სასწავლო-საველმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის

აქტივობათა წიგნი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2012

სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისთვის

აქტივობათა წიგნი

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები სრულიად არაა აუცილებელი, ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს

სახელმძღვანელოს შედგენაზე მუშაობდნენ:

ხათუნა დოლიძე, ეკა კეკელია,
თამარ ბაქრაძე, თეონა ბექიშვილი,
თამთა კუხალეიშვილი, ნინო რუხაძე,
თამარ უჩანეიშვილი, ნინო ჯიჯავაძე,
ნინო ქაჯაია, ნინო ცინცაძე, ქეთევან იაშვილი

რედაქტორი: **თეონა ბექიშვილი**
მხატვარი: **ნინო ჯიჯავაძე**
კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ქეთევან გოგავა**
ლელა მაჭარაშვილი

© 2012, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-107-8
ISBN 978-9941-18-108-5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

3-4 წლიანების თემები

პირველი კვირა ბაღში 7
ფერები ჩემ გარშემო 15
შემოდგომა და რთველი 27
ზღაპარი 31
მე და ჩემი სხეული 41
მე და ჩემი გარემო 50
პროსოციალური ქცევა 58
სახლის ცხოველები 67
ამინდი 76
ზამთარი და შობა-ახალი წელი 84
ფორმები ჩემ გარშემო 92
საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები 101
კატეგორიები 115
ფერმა და ფერმის ბინადრები 121
დედის დღე 130
ზოოპარკის და ტყის ბინადრები 132
პირველი აპრილი 144
პროფესიები 145
აღდგომა 151
გაზაფხული 153
საქართველო 157
მწერები 163
ზაფხული 172

4-5 წლიანების თემები

პირველი კვირა ბაღში 176
ფერები ჩემ გარშემო 184
შემოდგომა და რთველი 191
კვება 195
მე და ჩემი სხეული 200
ოჯახი და მეგობრები 210
პროსოციალური ქცევა 220
ემოციები 229
ცირკი 238
ზამთარი და შობა-ახალი წელი 245
ფორმები 253

შეგრძნებები 261
გზები და ტრანსპორტი 267
წყლის სამყარო 273
დედის დღე 282
ჰიგიენა 284
პირველი აპრილი 290
პროფესიები 291
აღდგომა 297
გაზაფხული 299
საქართველო 305
ცოცხალი ტრანსპორტი 311
ზაფხული 321

5-6 წლიანების თემები

მეგობრობა 328
ადგილი, სადაც ვცხოვრობ 337
შემოდგომა და რთველი 345
ჯანსაღი კვება 349
დედამიწა და კოსმოსი 360
მოგზაურობა და თავგადასავალი 370
ტოლერანტობა 381
ემოციები 387
დინოზავრები 396
ზამთარი და შობა-ახალი წელი 401
სამგანზომილებიანი ფორმები 409
შეგრძნებები 415
უსაფრთხოება 422
გოლიათები და გიგანტები 432
დედის დღე 445
დრო და კალენდარი 447
პირველი აპრილი 454
გამოგონებები 455
აღდგომა 466
მწერები და ხოჭოები 468
საქართველო 482
მცენარეები 488
ბაღის დასრულება 492
რჩევები აღმზრდელებისათვის 494
გამოყენებული ლიტერატურა 502

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს თემატურ აქტივობათა კრებულს, რომელიც განკუთვნილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის. წიგნი დაყოფილია სამ ნაწილად და მოიცავს თემებს 3-4, 4-5 და 5-6 წლიან ბავშვებთან სამუშაოდ.

პროგრამა თბილისის მერიის შეკვეთითა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრში. იგი ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავებულ 0-6 წლამდე ბავშვის განვითარების სტანდარტებს. 2011-2012 სასწავლო წლის მანძილზე სახელმძღვანელომ პილოტირება გაიარა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში.

პროგრამის მეთოდოლოგიად გამოყენებულია თემატური სწავლება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მოდელი.

სახელმძღვანელოში თავმოყრილი აქტივობები ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული უნარების (კოგნიტური, მეტყველების, მოტორული, შემოქმედებითი) განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული განვითარების ხელშეწყობასაც. პროგრამაში შესულია ისეთი თემები და აქტივობები, რომელიც ბავშვის სოციალური და ემოციური კომპეტენტურობის ზრდას შეუწყობს ხელს.

პროგრამაში შესული თითოეული თემა მოიცავს ბაღში განსახორციელებელი აქტივობების მთელ პაკეტს, აქტივობათა სრული აღწერილობით და დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად.

1. ხელოვნება
2. მუსიკა და მოძრაობა
3. სამაგიდო აქტივობები
4. წიგნიერება/მეტყველება
5. დრამატული აქტივობები
6. სენსორული აქტივობები
7. მეცნიერება
8. კონსტრუქციული აქტივობები
9. დილისა და საღამოს წრეები

ხელოვნება

ხელოვნება ბავშვების შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას ახდენს. ხელოვნების ცენტრის აქტივობები აუცილებლია როგორც შემოქმედებითი უნარების, ასევე ემოციური, ფიზიკური, სოციალური და ინტელექტუალური უნარების განვითარებისათვის. შემოქმედებითი აქტივობების დროს ვითარდება სენსორული აღქმა, ხელისა და თვალის კოორდინაცია, ნატიფი მოტორიკის კონტროლი, სილამაზის აღქმა. ხელოვნებით დაკავება ბავშვებში სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდას ზრდის და ეს საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებაა.

მუსიკა და მოძრაობა

სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან კოგნიტურ და შემოქმედებით უნარებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია მსხვილი მოტორული უნარების განვითარება. სხეულის მრავალმხრივი გამოყენება თამაშისა და სწავლის პროცესში გააუმჯობესებს კოორდინაციას, დაეხმარება ბავშვს, დაარეგულიროს და ისწავლოს სხეულის კონტროლი, გააძლიეროს სხეული და გახდეს თვითდაჯერებული. მოძრაობა ეხმარება ბავშვს სტრესის შემცირებაში, ენერგიის გამოთავისუფლებაში, განცდების გამოხატვაში, ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარის გაზრდაში.

თანამედროვე კვლევებმა ნეირომეცნიერებაში გვიჩვენა, რომ მუსიკა ენის დასწავლასა და მეხსიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სიმღერის საშუალებით ბავშვები ადვილად იმახსოვრებენ სიტყვებს.

სამაგიდო აქტივობები

სამაგიდო მანიპულაციური აქტივობები და თამაშები ნატიფი მოტორიკის განვითარებას უწყობს ხელს. ნატიფი მოტორიკის მიზანია ხელისა და თითების კუნთების განვითარება, ხელისა და თვალის კოორდინაციის სრულყოფა, რაც მომავალში წერისა და კითხვის უნარებზე აისახება. სამაგიდო-სამანიპულაციო აქტივობებით დაკავება ბავშვებს დამოუკიდებელი მუშაობის, პრობლემის გადაჭრისა და აზროვნების უნარებს უვითარებს. ეს აქტივობები ასევე ძალიან მნიშვნელოვანია წინა მათემატიკური უნარების განვითარებისთვისაც.

დრამატული თამაშები

დრამატულ ცენტრში ბავშვები სიმბოლურ თამაშებს თამაშობენ, რომელსაც სხვანაირად წარმოსახვით ან როლურ თამაშებს უწოდებენ. დრამატული თამაშები დასწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, როდესაც ბავშვები ირგებენ სხვადასხვა სოციალურ როლებს, ურთიერთობენ, იღრმავებენ და იქმნიან წარმოდგენას გარე სამყაროს შესახებ. დრამატული თამაშების საშუალებით ხდება წარსული გამოცდილების ხელახლა განცდა და დაუფლება. დრამატული, წარმოსახვითი თამაში სასაუბრო ენის განვითარებას უწყობს ხელს. ბავშვები ამ დროს სწავლობენ მოლაპარაკებას, აზრის გამოთქმას და პრობლემის გადაჭრას. წარმოსახვითი თამაშებით ბავშვები უფრო ეგუებიან გარემოს და ნაკლებ სტრესს განიცდიან.

წიგნიერება/ მეტყველება

წიგნიერების ცენტრი, ბაღის ასაკის ბავშვებთან, კითხვისთვის მზაობას უნდა უზრუნველყოფდეს და წიგნისა და კითხვის მიმართ დადებით დამოკიდებულებას უნდა აყალიბებდეს. ეს ცენტრი ხელს უნდა უწყობდეს ფონემური აღქმის, მათი გამორჩევისა და სინთეზის საწყისი უნარების განვითარებას. მეტყველებისა და წიგნიერების ცენტრში ბავშვებმა აზრებისა და განცდების ვერბალურად გამოხატვა უნდა ისწავლონ.

სენსორული აქტივობები

ბავშვი გარე სამყაროს შეგრძნებების (სენსორების) – შეხების, ყნოსვის, ხმის, მხედველობის და გემოს – საშუალებით აღიქვამს და შეისწავლის. სენსორული თამაშები და აქტივობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. სენსორული მასალაა: ქვიშა, წყალი, სათამაშო ცომი, თიხა, პლასტელინი, საპარსი ქაფი, ასევე კულინარიული პროდუქტები და სხვა, ყველაფერი ის, რაც ბავშვის სხვადასხვა შეგრძნებების სტიმულაციას ახდენს.

მეცნიერება

ყველა აქტივობა, რომელსაც ბაღში შეიძლება ვაკეთებდეთ ამა თუ იმ მეცნიერებასთანაა კავშირში. მაგალითად, ფერების შერევა ხელოვნების ცენტრში, სიმაღლის გაზომვა სამაგიდო/მათემატიკის ცენტრში და ა.შ. მაგრამ სასწავლო დღის დაგეგმვისას აუცილებლად ცალკეც უნდა დაიგეგმოს მეცნიერული აქტივობა. ამგვარი აქტივობებით ბავშვები სწავლობენ: დაკვირვებას, კვლევას, ცდების ჩატარებას, შედეგების განსაზღვრას და პრობლემის გადაჭრას. მეცნიერული აქტივობების განხორციელებისას წაახალისეთ ბავშვები, დასვან კითხვები, გაუზიარონ ერთმანეთს აზრები, განჭვრიტონ შედეგები, მოახდინონ კლასიფიცირება და დაკვირვება.

კონსტრუქციული

კუბურებით და სხვა „საშენი“ მასალით თამაში აუმჯობესებს მანიპულაციურ უნარებს, რაც თავის მხრივ ხელისა და თითების კუნთებს აძლიერებს და ზრდის თვალისა და ხელის კოორდინაციას. კუბურებით თამაში სოციალური ურთიერთობების შესაძლებლობაცაა. ასევე, ბავშვებს უვითარდებათ წარმოდგენები ზომაზე, ფორმაზე, წონაზე, სივრცესა და რაოდენობაზე.

პირველი კვირა ბაღში

1. პირველი დღე ბაღში (ჯგუფში ორიენტაცია)
2. მეორე დღე ბაღში (დღის რეჟიმის გაცნობა)
3. მესამე დღე ბაღში (ბაღის წესები)
4. მეოთხე დღე ბაღში (მეგობრობა)
5. მეხუთე დღე ბაღში (ექსკურსია ბაღში)

- კარგია, თუ სწავლის დაწყებამდე მოაწყობთ ბაღში ტურებს, რომ ბავშვები მოვიდნენ და ოჯახთან ერთად დაათვალიერონ. შეგიძლიათ, ჯგუფური თამაშებიც შესთავაზოთ, რომ ბავშვი კარგი შთაბეჭდილებებით დაბრუნდეს სახლში. გაეცანით ბავშვის საინფორმაციო პაკეტს: რითი უყვარს თამაში, რა ჩვევები აქვს, როგორ გამოხატავს პროტესტს, რა არის საყურადღებო და ა.შ.

1. პირველი დღე ბაღში (ჯგუფში ორიენტაცია)

- შექმენით სადღესასწაულო გარემო ჯფუგში. შეძლებისდაგვარად მორთეთ ჯგუფი.
- წინასწარ გამოჭერით დიდი ფერადი ფურცლები (სხვადასხვა ფორმის) და ზედ ბავშვების სახელები დააწერეთ. ეს ქაღალდები წრიულად დააფინეთ და დილის წრეზე ბავშვები თავიანთ სახელებზე დასხით.
- გაეცანით ბავშვებს და უთხარით, როგორ გსურთ რომ მოგმართონ.
- უთხარით ბავშვებს, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოგმართოთ.

დილის წრე



- ჰკითხეთ, ვინმე ადრე თუ ყოფილა საბავშვო ბაღში? ისინი, ვინც ნამყოფია, წაახალისეთ, მოყვნენ რაიმე ამბავი ბაღზე, რას აკეთებდნენ იქ, რა მოსწონდათ, რა – არა?
- წაუკითხეთ: „ჩემი პირველი დღე ბაღში“. წინასწარ გამოჭერით ბავშვების ფიგურები (დანართი 1.1.1.) და გააცოცხლეთ ამბავი დაფაზე (ფიგურებს მაგნიტები მიაწებეთ და დაფაზე განათავსეთ).
- წაუკითხეთ: „ბროლიაც ბაღში მიდის“. ჰკითხეთ, მათ თუ ჰყავთ შინაური ცხოველები, რომელიმეს ხომ არ გამოუთქვამს ბაღში სიარულის სურვილი?
- მცირე ექსკურსია ჯგუფის ოთახებში. დაათვალიერებინეთ ბავშვებს ოთახი. აჩვენეთ ცენტრები, ამ ცენტრების აღმნიშვნელი სიმბოლოები და აუხსენით, რითი დაკავდებიან თითოეულ ცენტრში. მიეცით საშუალება, დაათვალიერონ თაროები და იქ მდებარე ნივთები. აჩვენეთ, სად შეუძლიათ დაიბანონ ხელები, სად არის ტუალეტი (ყველანაირმა განუსაზღვრელობამ შეიძლება ბავშვის შფოთი უფრო გაამძაფროს).

მოძრაობა

- ჩართეთ მხიარული მუსიკა. დააყენეთ ხელჩაკიდებული ბავშვები წრეზე, სთხოვეთ გაიშალონ და გაუშვან ხელები. შესთავაზეთ თამაში „რა მიყვარს“. ამ თამაშის საშუალებით ადვილად გაიცნობენ ერთმანეთს და დაისწავლიან სახელებს. ესროლეთ (ან გაუგორეთ) ბურთი რომელიმე ბავშვს. აუხსენით, რომ როცა ბურთს დაიჭერს, ხმამაღლა თქვას თავის სახელი და რა უყვარს (მე მქვია ნიკო და მიყვარს...): თამაში, სათამაშო, ცხოველი, საჭმელი, ოჯახის წევრი, ნებისმიერი რამ. შემდეგ ბავშვმა ბურთი სხვას უნდა გადაუგდოს. ყურადღებით იყავით, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა. ეს თამაში, ამ თემის ფარგლებში, სასურველია ყოველდღე გაიმეოროთ და თემები ცვალოთ.

ხელოვნება



- ათამაშეთ და აძერწინეთ სათამაშო ცომით.იხ. განმარტებები დანართიდან.

- ერთად დაამზადეთ წასვლა-მოსვლის დაფა. წასვლა-მოსვლის დაფა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი. ძირითადი აზრი არის იმაში, რომ თვალსაჩინო იყოს, ვინ არის დღეს და ვინ აცდენს.



- *სახლი და ბაღი.* ფერადი ფორმატისგან გამოჭერით ორი შენობა. ერთი სახლია, მეორე – ბაღი. გამოუჭერით იმდენი ფანჯარა, რამდენი ბავშვიც არის და გაუკეთეთ პატარა ჯიბეები ფანჯრებზე. ბავშვების სურათები დააწებეთ წაგრძელებული ფორმის პატარა მუყაოზე, ყველა ბავშვის ფოტო ჩალაგებულია სახლის ფანჯრებში, ვინც მოვა, გადმოსვამს თავის ფოტოს ბაღის ფანჯარაში. განათავსეთ ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე.



- *ილუსტრირებული კალენდარი.* შეგიძლიათ დაამზადოთ ამინდის კალენდარი. გამოიყენეთ სხვადასხვა მასალა: თექა, მუყაო, ფერადი ქაღალდები და ქსოვილები. ძირითადი პრინციპი არის ის, რომ კალენდარი უნდა იყოს მაქსიმალურად თვალსაჩინო და ბავშვი იღებდეს მონაწილეობას მის ყოველდღიურ ცვლილებაში (დანართი 1.1.2.). განათავსეთ ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე.



წიგნიერება:

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ბროლიაც ბაღში მიდის“.

2. მეორე დღე ბაღში (დღის რეჟიმის გაცნობა)

დილის წრე

- ესაუბრეთ ბავშვებს დღის რეჟიმზე. აჩვენეთ თვალსაჩინოებები თითოეული აქტივობისთვის. გამოიყენეთ სურათები, რომ კარგად წარმოიდგინონ, რა უნდა გააკეთონ დღის განმავლობაში.
- წაუკითხეთ „ტოპო ტიპი ბაღში მიდის“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

ხელოვნება



- შესთავაზეთ ბავშვებს დახატონ თავიანთი თავი. შეინახეთ ეს პორტრეტები პორტფოლიოში (არ არის აუცილებელი ყველა ნამუშევრის შენახვა). წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ დაახატვინეთ ბავშვებს. წლის ბოლოს კარგი მასალა იქნება ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე დასაკვირვებლად.
- ახატინეთ თითების საღებავებით. მიეცით ბავშვებს თავისუფლება, ხატონ, რა თემაც სურთ.

- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ აბრები ცენტრებისათვის. გააფერადებინეთ და გამოაჭრევინეთ, დააწებებინეთ ფერად მუყაოზე, დაამაგრეთ შესაბამის ადგილას. (დანართი 1.1.3.).
- *ილუსტრირებული განრიგი.* განრიგის დასამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ შაბლონები, გააფერადეთ და გამოჭერით. დააწებეთ ფერად მუყაოზე და თუ შესაძლებელია, გაუკეთეთ ლამინირება. ნაჭრისგან ან ფერადი ფორმატისგან გააკეთეთ ვერტიკალურად ჯიბეები და ჩააწყვეთ დამზადებული ბარათები დღის აქტივობების თანმიმდევრობის მიხედვით,ზევიდან ქვევით (დანართი 1.1.4.). ან გააკეთეთ ილუსტრირებული განრიგი თქვენი ფანტაზიით და მიაქცევინეთ ბავშვებს ყურადღება ისრის ან ბარათის ცვლილებაზე.





- გააცანით ბავშვებს ყველა ცენტრი. აჩვენეთ იქ განლაგებული მასალები, დაათვალიერებინეთ. უთხარით, რითი დაკავდებიან ამ ცენტრებში.

მუსიკა და მოძრაობა:

- გაიმეორეთ თამაში „წრეში ბურთი“.

3. მესამე დღე ბაღში (ბაღის წესები)

დილის წრე



- უთხარით ბავშვებს, რომ დღეს მათთან ერთად ბაღის წესები უნდა მოიფიქროთ. იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად, რისთვის არის საჭირო წესები, მაგ. რატომ უნდა ვისაუბროთ ხმადაბლა? ყურები რომ არ გვეტკინოს. რატომ უნდა ვითხოვოთ ხელის აწევით საუბრის ნებართვა? რომ არ ვიხმაუროთ, ყველა ერთად თუ ვისაუბრებთ, ვერაფერს გავიგებთ და ა.შ. უთხარით ბავშვებს, რომ წესები გვეხმარება ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ და ერთად კარგად ვითამაშოთ.
- წესების მოფიქრების და სწავლებისას გაითვალისწინეთ:
  - წესები უნდა იყოს მარტივი და ცოტა (3-4) (დანართი 1.1.5.).

- წესი უნდა გამოხატოთ პოზიტიური წინადადებით, მაგ. ვისაუბროთ დაბალ ხმაზე, და არა – ხმამაღლა საუბარი არ შეიძლება. ბავშვს უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, თუ რა უნდა გააკეთოს, უნდა იცოდეს რას ითხოვენ მისგან. ეს აადვილებს წესის დასწავლას.
- მოიფიქრეთ სხვადასხვა სიტუაციებისთვის სხვადასხვა წესები და შესაბამის ადგილას გააკარით. მაგ. ეზოს წესები ეზოში, დილის წრის და ბიბლიოთეკის ცენტრის წესები თავიანთ ადგილას, რადგან ყველა ადგილს თავისი წესები აქვს.
- წესების მოფიქრებისას ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხებზე: ხმის დონე, შენობაში მოძრაობა, ნივთებთან ურთიერთობა, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობა.
- წესებს აუცილებლად დაურთეთ ვიზუალური მინიშნებები და გააკარით თვალსაჩინო ადგილას (იხ. დანართი 1.1.6.).
- წესები სისტემატურად გაიმეორეთ (წესებს უნდა მიმართოთ არა მხოლოდ მაშინ, როცა ირღვევა, არამედ დასწავლის მიზნითაც. მშვიდ გარემოში, თამაშით ასწავლეთ და შეახსენეთ წესები).
- წლის დასაწყისში წესების განმტკიცება ხშირად უნდა ხდებოდეს.
- წლის განმავლობაში წესები შეგიძლიათ შეცვალოთ და კარგად დასწავლილი ერთი წესი ახლით შეცვალოთ.

ხელოვნება



- წინასწარ მოამზადეთ წესებისთვის ვიზუალური მინიშნებები. დაყავით ბავშვები მცირე ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს მიეცით დავალება, გააკეთონ წესების პოსტერი. ერთმა ჯგუფმა – ეზოს წესები, მეორემ – კითხვის საათის წესები, მესამემ – ჭამის წესები. სთხოვეთ, დაწერილ წესებს შეუსაბამონ ვიზუალური მინიშნებები, გააფორმონ და პოსტერზე დააწებონ (დანართი 1.1.6.)

- ჯგუფის ემბლემა. ბავშვებთან ერთად მოიფიქრეთ, რა სახელი შეიძლება დაარქვათ ჯგუფს, რა უყვართ ყველაზე მეტად, რომელი პერსონაჟები მოსწონთ, შეეცადეთ შეარჩიოთ ისეთი სახელი, რომელიც ყველას მოეწონება. შემდეგ სთხოვეთ, დახატონ ნახატი იმ თემაზე, რომელიც შეარჩიეს, ნახატებიდან შეარჩევინეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონებათ და მის გადატანაში დიდ ფორმატზე ყველას მიაღებინეთ მონაწილეობა.

დრამატული



- შესთავაზეთ ბავშვებს შემდეგი თამაში: თქვენ ასახელებთ წესს და ბავშვს სთხოვთ მის დემონსტრირებას.

სამაგიდო



- წინასწარ დაამზადეთ წესების ბარათები (დანართი 1.1.7.). თითო წესზე ორი ბარათი. ათამაშეთ ბავშვებს წესების მემო. (მემოს განმარტება)

წიგნიერება/მეტყველება

- დაათვალიერებინეთ ბიბლიოთეკა. აარჩევინეთ, რა წაუკითხოთ.
- ჰკითხეთ, ხომ არა აქვთ სურვილი თავადაც მოყვნენ ზღაპარი, მოთხრობა, თქვან ლექსი? წაახალისეთ!

საღამოს წრე

- გაიმეორეთ, რა წესები მოიფიქრეთ დღის განმავლობაში.
- მიეცით ბავშვებს დავალება, მეორე დღეს მოყვნენ რა წესები აქვთ სახლში.
- გააცანით მშობლებს ბავშვების მიერ შემუშავებული წესები.
- წაახალისეთ ის ბავშვები, რომლებმაც წესები შეასრულეს. ამისათვის წინასწარ მოამზადეთ სერთიფიკატი ან საუკეთესო მეგობრის ჯილდო. ტექსტი, თუ რატომ აჯილდოვებთ ბავშვს, ხმამაღლა წაიკითხეთ და ბავშვების თანდასწრებით ჩაწერეთ სერთიფიკატში (ეს აქტივობა ბავშვების წახალისების მიზნით ხშირად უნდა გაიმეოროთ) (დანართი 1.1.8.).

4. მეოთხე დღე ბაღში (მეგობრობა)

დილის წრე

- ისაუბრეთ, რითი ჰგავს ჯგუფი ოჯახს. როგორ უნდა ისწავლონ და ითამაშონ ერთად, დაეხმარონ ერთმანეთს და დაიცვან მეგობრობის წესები (მორიგეობით თამაში, სათამაშოების გაცვლა, ერთად თამაში).

ხელოვნება



- უთხარით, რომ ბავშვებმა უნდა დაამზადონ მეგობრობის სამაჯურები და ერთმანეთში გაცვალონ. მეგობრობის სამაჯური შეგიძლიათ დაამზადოთ ღილების, დაჭრილი ფერადი საწრუპის ან საქსოვი ძაფებისაგან. ასევე შეგიძლიათ თიხისაგან დაამზადებინოთ რაიმე საყვარელი ფიგურა, რასაც გაშრობის და შეღებვის მერე ააცვამენ თოკზე და აჩუქებენ მეგობარს.
- გააკეთეთ და გააფორმეთ ბავშვების დაბადების დღეების კალენდარი. გააკარით ბავშვების სიმაღლეზე.



წიგნიერება

- მოაყოლეთ, ბაღში მოსვლამდე როგორ ცხოვრობდნენ? აღწერონ ერთი დღე.
- ჰკითხეთ, თუ უყვებიან ან უკითხავენ სახლში ზღაპრებს, მოთხრობებს, ლექსებს? თუ აქვთ თავიანთი წიგნები?
- სთხოვეთ, მეორე დღეს ბაღში მოიტანონ თავიანთი საყვარელი წიგნი, დაათვალიერებინონ ჯგუფელებს.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ბაღში უკვე დავდივარ“.

სამაგიდო



- დაყავით ბავშვები 10 კაციან ჯგუფებად, დაურიგეთ ფორმატები და ძველი ჟურნალები და სთხოვეთ, გამოჭრან ის, რაც მათ მოეწონებათ. დააწებებინეთ ერთ დიდ ფორმატზე, შეუძლიათ ასევე გააფორმონ ნახატებით. უთხარით, რომ ამას კოლაჟი ჰქვია (თუ ბავშვს მაკრატლის ხმარება უჭირს, მიეცით საშუალება როგორც შეუძლია ისე გამოჭრას).
- დაურიგეთ ბავშვებს პლასტელინი, თიხა ან მარილიანი ცომი, აუხსენით მარტივი ფორმის მიღების ძირითადი პრინციპები. წაახალისეთ, ძერწონ თავისუფალ თემაზე.

5. მეხუთე დღე ბაღში (ექსკურსია ბაღში)

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ ბაღში თქვენ გარდა ბევრი ადამიანი მუშაობს და რომ ყველას თავის დანიშნულება და მნიშვნელოვანი საქმე აქვს. ჩამოთვალეთ ვინ არიან ისინი (ბაღის დირექტორი, ექთანი, მზარეული და ა.შ.).
- ექსკურსია ბაღში. მიიყვანეთ ბავშვები ბაღის თანამშრომლებთან და უშუალოდ გააცანით ისინი და მათი საქმიანობა.

წიგნიერება

- გაახსენეთ წიგნიერების დანართიდან წაკითხული ნაწარმოებები. სურვილის მიხედვით წაუკითხეთ თავიდან.

ხელოვნება



- მშობელთა კუთხე. მშობელთა დაფის დასამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ დიდი კორპის დაფა ან დიდი ფორმატი. დაწერეთ ფერად ფურცლებზე დიდი ასოებით სათაური „მშობელთა კუთხე „ ან ნებისმიერი სხვა და დაეხმარეთ ბავშვებს, გამოჭრან და დააწებონ ასოები დაფაზე. გასაფორმებლად შეგიძლიათ დაახატვინოთ ბავშვებს თავიანთი ოჯახები ან მშობლები. გამოაჭრევინეთ და დააწებებინეთ დაფის ირგვლივ.

- თაროების, სათამაშოების ყუთებისა და მასალების ყუთების ადგილების თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ დაამზადოთ ეტიკეტები შაბლონის მიხედვით. გააფერადებინეთ, გამოაჭრევინეთ და დააწებებინეთ ფერად მუყაოზე.

ფერები ჩემ გარშემო

1. წითელი
2. ყვითელი
3. ლურჯი
4. მწვანე
5. სტაფილოსფერი
6. იასამნისფერი
7. შავი
8. თეთრი
9. ვარდისფერი
10. ყავისფერი

საერთო აქტივობები

დილის წრე

- ჩაიცვით დღის ფერის ტანსაცმელი. მთლიანად გამოწყობას ავჯობებს ერთი, თვალშისაცემი აქსესუარი იყოს დღის ფერის, მაგალითად, ქუდი, შარფი, ჰალსტუხი და ა.შ. ბავშვები დაინახავენ ამ ფერს სხვა ფერებთან კონტრასტში ან დაკიდეთ შემოსასვლელში დღის ფერის ლენტები.
- წაახალისეთ ბავშვები, დაძებნონ ოთახში დღის ფერის ნივთები. ჩამოწერეთ და დახატეთ ნაპოვნი ნივთების სია. დაითვალეთ მათი რაოდენობა.
- სთხოვეთ ბავშვებს, წარმოიდგინონ დღის ფერის საგანი, რომელიც მათი მხედველობის არეალში არ არის.
- თუ შესაძლებელია, დღის ფერის საფენზე (მუშამბის ნაჭერი ან ქაღალდი) მიართვით საჭმელი.
- უთხარით ბავშვებს, რომელი ფერია დღევანდელი დღის თემა.

მოძრაობა:



- იატაკზე გააკეთეთ ბილიკი. ამისათვის გამოიყენეთ დღის ფერის ქაღალდი, რომელსაც იატაკზე სკოჩით დაამაგრებთ. ბილიკის დასაწყისში დადეთ დიდი ჯამი. ბილიკის ბოლოს დღის ფერის შესაბამისი ბუშტებით სავსე ყუთი. სთხოვეთ ბავშვებს, ხტუნვით მივიდნენ ბუშტებამდე და ბუშტებით ხელში დაბრუნდნენ, რომ ჯამი ბუშტებით გაავსონ. გააკეთეთ ორი ასეთი ბილიკი, დაყავით ბავშვები ორ ჯგუფად, რომ ყველამ შეძლოს მონაწილეობის მიღება.



სამაგიდო



- *ფერების დაწყვილება.* გრძელი ფურცელი დაყავით სიგრძეზე 6-6 უჯრად. თითოეულ უჯრედში ჩააწებეთ სხვადასხვა ფერის სტიკერი, ან ჩახატეთ სხვადასხვა ფერის ფორმები. მიეცით ბავშვებს ფერადი სარეცხის სარჭები ბავშვმა უნდა ამოარჩიოს და დაამაგროს შესაბამის ფერზე.
- სხვადასხვა ფერის ყუთებში შესაბამისი ფერის საგნების და ნახატების განაწილება.

სენსორული

- წინასწარ მოიმარაგეთ ფერადი ქვიშა, სთხოვეთ ბავშვებს, ძაბრის გამოყენებით მონაცვლეობით ჩაყარონ სხვადასხვა ფერის ქვიშა, ლამაზი ფორმის გამჭვირვალე, უფერო ბოთლებში. პარალელურად შეიძლება წვრილი ჩხირის გამოყენებით შეუცვალოთ ნახატს ფორმა და შექმნათ ქვიშის ორნამენტები. ავსების შემდეგ ბოთლს დაახურეთ მჭიდრო სახურავი.

კულინარია



- თუ შესაძლებელია, წინასწარ შეუთანხმდით მზარეულს, რომ დღის რაციონში დღის ფერის (მაგ. წითელი, ყვითელი, მწვანე, სტაფილოსფერი) საკვები სჭარბობდეს.

1. წითელი

დილის წრე (იხ. საერთო დილის წრის აქტივობები. შეუსაბამეთ წითელ ფერს).

ხელოვნება



- მოიმარაგეთ წითელი ქაღალდი, ლენტი, მძივები და სხვა მასალა წითელი კოლაჟის გასაკეთებლად. ასევე გამოიყენეთ საღებავით წითლად გაფერადებული თხევადი წებო ან გააკეთეთ აპლიკაცია წითელი ფერის ქაღალდის გამოყენებით.
- სთხოვეთ, დახატონ ვაშლი ან მარწყვი.
- წითელი საღებავების გამოყენებით გააკეთეთ სხვადასხვა საგნის ანაბეჭდები. მაგ. ვაშლის. შუაში გაჭერით ვაშლი, დაამაგრეთ ჩანგალზე. სთხოვეთ ბავშვებს, ვაშლის ბრტყელი მხარე ხელის წითელ საღებავში ჩააწონ და შემდეგ ფურცელზე გააკეთონ ანაბეჭდი.

მოძრაობა



- სთხოვეთ ბავშვებს, წითელი ბურთები წითელ ყუთში ჩაყარონ.
- მოძებნეთ წითელი საგნები ოთახში.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ წითელი მძივები და სთხოვეთ ბავშვებს, აასხან თასმაზე.
- გააფერადეთ „ჩემი ფერების წიგნიდან“ წითელი გვერდი(დანართი 1.2.1).

კონსტრუქციული



- კუბებით წითელი შენობების აგება.

წიგნიერება

- წაუკითხეთ და ჯგუფთან ერთად რამდენჯერმე გაიმეორეთ ლექსი „ყაყაჩოსა სიწითლითა“. წაახალისეთ, თქვენი დახმარებით ინდივიდუალურადაც გაიმეორონ.
- იქონიეთ ყაყაჩოს ფოტო. აუხსენით რა არის ყანა და ჯეჯილი. დასვით კითხვები: რამ გაახარა ყანა? ვინ გაახარა დედა?

მეცნიერება

- ჟურნალებსა და წიგნებში დაძებნეთ, წითელი ფერის მწერები და ხოჭოები. შემოხაზეთ ისინი წითელი მარკერით.
- წითლად შეფერილი წყლით შეღებეთ ბამბა ან სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილი. სანამ შეღებავთ ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი უფრო მეტს შეიწოვს?

კულინარია



- მოხარშული შედედებული რძე და კარაქი ათქვიფეთ ბავშვებთან ერთად, მიღებულ მასას შეურიეთ წითელი ფერის საკვები საღებავი. წითელი კრემი წაუსვით მრგვალი ფორმის მზა ნამცხვრებზე, ზემოდან მორთეთ „შოკოლადის ღილებით“.

საღამოს წრე

- რა ისწავლეთ წითლის შესახებ?
- რა არის შენი საყვარელი წითელი ფერის საგანი? რატომ?

2. ყვითელი

დილის წრე (იხ. საერთო დილის წრის აქტივობები. შეუსაბამეთ ყვითელ ფერს).



- ყვითელი, დიდი ზომის მყარი ქაღალდისგან გამოჭერით წრეები და დააწერეთ ბავშვების სახელები. დააწყვეთ წრეები წრიულად და სთხოვეთ ბავშვებს, დასხდნენ წრეში.
- აჩვენეთ ბავშვებს ჟურნალიდან ამოჭრილი ყვითელი ფერის საგნები, გაარჩიეთ თითოეული მათგანი. ჰკითხეთ, სხვა ფერის ეს საგანი თუ უნახავთ? მაგალითად, ლურჯი კარაქი?
- სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ მეგობრების ჩაცმულობას. ვის აცვია ყვითელი ფერის ტანსაცმელი?
- სთხოვეთ ბავშვებს, წარმოადგინონ ცოცხალი დიაგრამა. დააყენეთ ორ რიგად – ერთ რიგში დადგნენ ბავშვები, რომლებსაც არ აცვიათ ყვითელი ფერის ტანსაცმელი და მეორე რიგში – ბავშვები, რომლებსაც აცვიათ. რომელი რიგი უფრო გრძელია?

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს ყვითელი საძერწი ცომი ან პლასტელინი, გამოძერწონ მზე და სხივებად ყვითელი საწრუპები გამოიყენონ.
- ბავშვებთან ერთად პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით (იხ. განმარტებები) დაამზადეთ ბურთები, შეღებეთ ყვითელი გუაშით. მიღებული „მზეები“ ჩამოკიდეთ ყვითელ ძაფებზე.
- დაურიგეთ ბავშვებს პატარა ზომის ყვითელი ქაღალდები, ბამბა და ერთჯერადი თეფშები. სთხოვეთ ბავშვებს, შეახვიონ ბამბები ქაღალდებში და შეუკრან ბოლოები კანფეტებივით. დამზადებული კანფეტები მშრალი წებოს გამოყენებით თეფშებზე დააწებონ.
- წინასწარ გაჭერით ლიმონი შუაზე, სთხოვეთ ბავშვებს გადაჭრის ადგილი ამოავლონ თეფშებზე დასხმულ ყვითელ საღებავში და თეთრ ფურცელზე დატოვონ ლიმონის ანაბეჭდები. ნამუშევრები გააშრეთ და გამოფინეთ.

მოძრაობა



- ეზოს აქტივობა. თუ მზიანი ამინდია, ყვითელი პოლიეთილენის პარკი სხივებს მიუშვირეთ. წაახალისეთ ბავშვები, ყურადღება ანარეკლის ფერზე გაამახვილონ.
- ყვითელი კუნძული. გადაჭიმეთ ყვითელი ნაჭერი ორ სკამზე, მაგიდებისგან გააკეთეთ ბილიკი, ბილიკის ბოლოს დადეთ ყვითელი ბუშტებით ან ბურთებით სავსე ყუთი. უთხარით ბავშვებს, მორიგეობით გაძვრენ მაგიდების ქვეშ, აიღონ ყვითელი ბუშტი (ან ბურთი) დაბრუნდნენ ნაჭერთან და ზემოდან დაადონ ბუშტი. როდესაც ყველა ბუშტს (ბურთს) შეაგროვებენ, მიეცით საშუალება, ნაჭერს ხელი მოკიდონ და მაღლა აყარონ ბუშტები. შემდეგ სთხოვეთ ჯგუფში მიმოფანტული ყვითელი ბუშტები იპოვონ და ჩაალაგონ ყუთში. გააკეთეთ ორი ასეთი ბილიკი, დაყავით ბავშვები ორ ჯგუფად, რომ ყველამ შეძლოს მონაწილეობის მიღება.
- წაახალისეთ ბავშვები, იცეკვონ ყვითელი ლენტებით და გამოხატონ საკუთარი ემოციები.

სამაგიდო



- დაახარისხეთ ღილები ან მძივები ორ კატეგორიად „ყვითელი“ და „არა ყვითელი“.
- გააფერადეთ „ჩემი ფერების წიგნიდან“ ყვითელი გვერდი (დანართი 1.2.1).

დრამატული



- ყვითელი ავტობუსი: დიდი ზომის მუყაოს ყუთებს წინასწარ გამოაჭერით ფანჯრები და კარი; მრგვალი ფორმის მუყაოსაგან გამოჭერით წრეები, სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ ავტობუსი ყვითლად, ხოლო წრეები – შავად. ბორბლები ავტობუსზე წებო ემულსიის გამოყენებით დააწებეთ. ავტობუსის მაკეტის შიგნით მოათავსეთ საბავშვო სკამები. ბავშვებთან ერთად გაანაწილეთ ავტობუსის მძღოლის, მგზავრების და კონდუქტორის როლები. წაახალისეთ ბავშვები, განასახიერონ ავტობუსით მგზავრობის სცენები.

წიგნიერება/მეტყველება

- უთხარით და ასწავლეთ ხალხური ლექსი:

  მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი,
  მოციმციმე ვარსკვლავები – და და ძმაა ჩემი.

- ჰკითხეთ, რატომაა მზე დედა? რა იქნებოდა მზე რომ არ იყოს?
- აუხსენით სიტყვა ციმციმი, რომ ვარსკვლავები თითქოს თვალებს აფახულებენ. ფარანზეც შეგიძლიათ ხელის სწრაფი მოძრაობით უჩვენოთ მსგავსი ეფექტი.

მეცნიერება

- ლიმონის ქერქს გამადიდებელი შუშით დააკვირდით.

კულინარია



- მოიმარაგეთ ლიმონები, საწურები, წყალი და შაქარი. სთხოვეთ ბავშვებს, დაამზადონ ლიმონათი ჯგუფელებისთვის ან თავიანთი ოჯახის წევრებისთვის.

საღამოს წრე

- რა ისწავლე ყვითელი ფერის შესახებ?
- რა არის ყვითელი ფერის?

3. ლურჯი

დილის წრე იხ. საერთო დილის წრის აქტივობები, შეუსაბამეთ ლურჯ ფერს.

- დილის წრის შუაში მოათავსეთ სხვადასხვა ფერის ნივთებით სავსე კალათები. სთხოვეთ, გამოვიდნენ და კალათიდან ლურჯი საგნები ამოიღონ.
- წაახალისეთ ბავშვები, ლურჯი ნივთები დაალაგონ ტონალობის მიხედვით, ყველაზე მუქიდან – ყველაზე ღიამდე.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ლურჯი საღებავი და წაახალისეთ ბავშვები, დახატონ „ლურჯი ნახატი“.
- აძერწვინეთ ბავშვებს ლურჯი ცომით ან პლასტელინით.
- (ზღვის კოლაჟი. მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის და ფაქტურის დეკორატიული ქსოვილები, მძივები, ნიჟარები. წაახალისეთ ბავშვები, ქსოვილებიდან თევზის ფორმები გამოჭრან და დააწებონ ლურჯ ფორმატზე, გააფორმეთ მძივებით, ნიჟარებით და ქსოვილებისგან გამოჭრილი წყალმცენარეებით.
- ღრუბლების ხატვა. სველი ფუნჯი ფორმატს გადაუსვით. ლურჯ საღებავში დაასველებინეთ ბავშვებს ღრუბლები და სთხოვეთ, ანაბეჭდები დატოვონ სველ ფორმატზე.
- ცვილის თეთრი პასტელით დაახატვინეთ ბავშვებს ღრუბლები თეთრ ფორმატზე, ძლიერად განზავებული აკვარელის ლურჯი საღებავით დააფარვინეთ ნახატი.

მოძრაობა:



- ლურჯი კუნძული.გადაჭიმეთ ლურჯი ნაჭერი ორ სკამზე, მაგიდებისგან გააკეთეთ ბილიკი, ბილიკის ბოლოს დადეთ ლურჯი ბუშტებით ან ბურთებით სავსე ყუთი. უთხარით ბავშვებს, მორიგეობით გაძვრენ მაგიდების ქვეშ, აიღონ ლურჯი ბუშტი (ან ბურთი) დაბრუნდნენ ნაჭერთან და ზემოდან დაადონ ბუშტი. როდესაც ყველა ბუშტს (ბურთს) შეაგროვებენ, მიეცით საშუალება მოკიდონ ნაჭერს ხელი და მაღლა აყარონ ბუშტები. შემდეგ თხოვეთ, ჯგუფში მიმოფანტული ლურჯი ბუშტები იპოვნონ და ჩაალაგონ ყუთში. დაყავით ბავშვები ორ ჯგუფად, გააკეთეთ ორი ბილიკი, ერთი ლურჯი, ხოლო მეორე ყვითელი ბურთებისთვის.

სამაგიდო



- გააფერადეთ „ჩემი ფერების წიგნიდან“ ლურჯი გვერდი (დანართი 1.2.1.).
- ფერადი (სამი ფერის – წითელი, ყვითელი, ლურჯი) საგნების ბარათები უნდა გაანაწილონ სამი ფერის შესაბამის ფურცლებზე.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ლექსი: „მამას ლურჯი პერანგი“. რა არის ამ ლექსში სასაცილო? შეიძლება ტანსაცმლის ფუნჯებით შეღებვა? სად ღებავენ ტანსაცმელს? რა ფერი იყო თავდაპირველად მამას პერანგი? რა ფრად გააფერადა ლექსის გმირმა? როგორ ვხატოთ ისე, რომ არავინ გავაბრაზოთ?

კონსტრუქციული



- ააშენეთ ლურჯი ქალაქი. წაახალისეთ ბავშვები, ააგონ ლურჯი ქალაქი ლურჯი სქელი ქაღალდის, ლურჯი პოლიეთილენის პარკის, წებოსა და ლენტის გამოყენებით.

მეცნიერება

- ლურჯად შეფერილი წყლით ბავშვებმა ბამბა და სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილი შეღებონ. შეღებვამდე ბავშვებს ჰკითხეთ, მათი აზრით, რომელი უფრო შეიღებება?

საღამოს წრე

- ჩამოთვალონ, რა საგნები იციან ლურჯი ფერის?

4. მწვანე

დილის წრე

იხ. საერთო დილის წრის აქტივობები. შეუსაბამეთ მწვანე ფერს

- თუ ამინდი ხელს გიწყობთ, დილის წრე ეზოში ჩაატარეთ. მიეცით ბავშვებს საშუალება, ირგვლივ სიმწვანეს დააკვირდნენ.
- რას გრძნობენ, როცა ბალახს ხელს გადაუსვამენ. თუ თბილა და ამის საშუალება არსებობს, გაიხადეთ ფეხზე და გაიარეთ ბალახზე ფეხშიშველებმა.

- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ განწყობაზე აყენებს მათ მწვანე ფერი?

ხელოვნება



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფორმის ნივთები: ფანქარი, გასაღები, ღილები, ფოთლები, ხილი ან ბოსტნეული. წინასწარ გახსენით ცოტა წყალში მწვანე გუაშის ან აკვარელის საღებავი და დაასხით თეფშებზე. სთხოვეთ ბავშვებს, საგნები ამოავლონ საღებავში და დატოვონ ანაბეჭდები თეთრ ფურცელზე. ნახატის გაშრობის შემდეგ საგნების ანაბეჭდებს შემოავლონ კონტურები მწვანე ფლომასტერებით.

- შეაღებინეთ ბრტყელი ქვები მწვანედ.
- მოახატვინეთ ბავშვებს ერთჯერადი თეფშები მწვანე ორნამენტებით.

მოძრაობა



- წინასწარ გამოჭერით „ლოტოსის დიდი ფოთლები“ და სკოჩით ერთმანეთისაგან მოშორებით იატაკზე დაამაგრეთ. წაახალისეთ ბავშვები, რომ ბაყაყების მსგავსად იხტუნონ ერთი ფოთლიდან მეორეზე.
- გამოჭერით ორი წრე: მწვანე და წითელი. მიაწებეთ ჯოხზე. მწვანე ფერის ჩვენებისას მუსიკის თანხლებით ბავშვები მოძრაობას იწყებენ, წითელზე ჩერდებიან.

სამაგიდო



- გააფერადეთ „ჩემი ფერების წიგნიდან“ მწვანე გვერდი (დანართი 1.2.1.).

წიგნიერება

- სასურველია ათი დღით ადრე დათესოთ ბამბაზე ხორბალი. ცოტაოდენი მარცვლები თვალსაჩინოებისთვისაც შეინახეთ. გაახსენეთ სიტყვა „ ყანა“, აუხსენით „ჯეჯილი“, „ხორბალი“. მოუყევით, რა გზა უნდა გაიაროს ხორბლის მარცვალმა, რომ პურად იქცეს. იკითხეთ, რომელი ყვავილი ხარობს ყანაში? გაამეორებინეთ „ყაყაჩოსა სიწითლითა“.

- წაუკითხეთ: „ჯეჯილი“.

მეცნიერება

- დაახარისხეთ მწვანე ფოთლები იმდენ კატეგორიად, რამდენსაც მოიფიქრებთ, მაგალითად, დიდი და პატარა, პრიალა და უხეში, დაძარღვული და ნაკლებად დაძარღვული.
- აჩვენეთ, როგორ მიიღება მწვანე ყვითლის და ლურჯის შერევით. დაურიგეთ თითების ყვითელი და ლურჯი საღებავები და მიეცით ცდების ჩატარების საშუალება.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი მწვანის შესახებ?
- ჩამოთვალონ მწვანე ფერის საჭმელი.

5. სტაფილოსფერი

დილის წრე

იხ. საერთო დილის წრის აქტივობები. შეუსაბამეთ სტაფილოსფერს.

- დაურიგეთ თითო-თითო სტაფილო ბავშვებს, გაიხსენონ რა კეთდება სტაფილოთი (წვენი, სალათი).
- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ რაიმე, რომლის სახელიც ფერს ჰქვია (მაგ. ია, ვარდი, ცა).

ხელოვნება



- წინასწარ ჩაჭერით მუყაოს დიდი ზომის ყუთი (დაახლოებით 60-75 სმ.) ისე, რომ ყუთის სიმაღლე 5-8 სმ. იყოს. ყუთში ჩასაფენად გამოჭერით სქელი ქაღალდი. ყუთში ჩააწყვეთ შუშის ბურთულები. ჩადეთ ერთი კოვზი წითელი და ერთი კოვზი ყვითელი საღებავი. სთხოვეთ ბავშვებს, წყვილში იმუშაონ. ყუთის მოპირდაპირე მხარეებს ჩასჭიდონ ხელი და მუსიკის თანხლებით აგორაონ ბურთულები (იგივე აქტივობა შეგიძლიათ სხვა ფერებზეც გააკეთოთ).
- შეაღებინეთ ბრტყელი ქვები სტაფილოსფრად.

მოძრაობა



- შექმენით ლაბირინთი (სკამებისა და მაგიდების საშუალებით) და მიანიშნეთ მიმართულება სტაფილოსფერი ისრებით. შესთავაზეთ ბავშვებს გაიარონ ლაბირინთი.

სამაგიდო



- გააფერადეთ „ჩემი ფერების წიგნიდან“ სტაფილოსფერი გვერდი (დანართი 1.2.1.).
- წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ფერების დიდი წრეები და შესაბამისი ფერების პატარა ბევრი წრე. სთხოვეთ ბავშვებს, დაახარისხონ ფერები და პატარები დააწყონ დიდ წრეებზე.

წიგნიერება

- წაუკითხეთ „კასტორი ღებავს.“ [1]
- წაუკითხეთ წიგნიერების „თაგუნების საღებავი.“
- კითხვის ბოლოს ჩააყოფინეთ ერთი ხელი ყვითელ საღებავში (გამოიყენეთ თითების საღებავი) და დაადებინეთ ქაღალდის მარჯვენა კუთხეში. მეორე ხელი წითელ საღებავში და დაადებინეთ ქაღალდის მარცხენა კუთხეში. შემდეგ ხელისგულები ერთმანეთზე კარგად გაუსვან. მიღებული სტაფილოსფერი წითელსა და ყვითელს შორის დასვან. დააბანინეთ ხელები. იგივე გაიმეორეთ ლურჯი და ყვითელი საღებავებით, შემდეგ ლურჯი და წითელი საღებავებით.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ სტაფილოსფერი ხილი და ბოსტნეული (მაგალითად, სტაფილო, ფორთოხალი, გოგრა, კვახი და ა.შ.). სთხოვეთ ბავშვებს, კარგად დააკვირდნენ, დაათვალიერონ. შეგიძლიათ ასევე შესთავაზოთ სასწორი და გამადიდებელი შუშა. თუ არის ამის შესაძლებლობა, დააკვირდნენ ოქროს თევზებს აკვარიუმში.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი სტაფილოსფრის შესახებ?
- ჩამოთვალეთ სტაფილოსფერი საგნები.

---

1 კლინტინგი ლ. 2005. კასტორი ღებავს. ქართ. ტექსტი: დ. გაბუნია, თ. კუხიანიძე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

6. იასამნისფერი

დილის წრე: იხ. საერთო დილის წრის აქტივობები. შეუსაბამეთ იასამნისფერს.

- მოიმარაგეთ იასამნისფერი საგნებით სავსე დიდი ყუთი. მაგალითად, ფანქრები, შარფები, ფეხსაცმელები, ბაფთები და ა.შ. წაახალისეთ ბავშვები, ოთახში სხვა იასამნისფერი საგნებიც იპოვონ და ყუთში ჩააწყონ.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ სხვადასხვა სპექტრის იასამნისფერი ფანქრები და სთხოვეთ ბავშვებს, შექმნან იასამნისფერი ნახატი. ჰკითხეთ, რა დახატეს და თუ სურვილი გამოთქვეს, მათი მონათხრობი მათსავე ნამუშევრებს მიაწერეთ.
- შეაღებვინეთ ბრტყელი ქვები იასამნისფრად.

მუსიკა და მოძრაობა

- სთხოვეთ ბავშვებს, საყვარელი მუსიკის თანხლებით იასამნისფერი ლენტებით იცეკვონ.
- შესთავაზეთ ბავშვებს ეზოში იასამნისფერი პოლიეთილენის პარკის მეშვეობით იასამნისფერი ანარეკლები გააკეთონ.

სამაგიდო



- გააფერადეთ „ჩემი ფერების წიგნიდან“ იასამნისფერი გვერდი (დანართი 1.2.1.).

დრამატული თამაშები



- ფარნებს გადააკარით იასამნისფერი პოლიეთილენის პარკი. ჩართეთ მხიარული მუსიკა და წაახალისეთ ბავშვები, ერთობლივად შექმნან „შუქების წარმოდგენა.“

წიგნიერება

- დაასახელეთ ფერი, სთხოვეთ, ჩამოთვალონ საგნები. მაგალითად: წითელი ყაყაჩო, ტუჩები, ვაშლი, მარწყვი... ყვითელი მზე, მთვარე, ლიმონი... ლურჯი ცა, ზღვა, ვარსკვლავები... მწვანე საზამთრო, ბალახი, ჯეჯილი... სტაფილოსფერი სტაფილო, ფორთოხალი, გოგრა... ახლა დაასახელეთ საგნები, სთხოვეთ, დაასახელონ ფერი.
- ათამაშეთ „აფრინდა, აფრინდა, ქორი აფრინდას“ ტიპის თამაში: ხელებს ვწევთ მაღლა, როცა სწორია. ხელები დაშვებული გვაქვს, როცა შეცდომაა. ვუსახელებთ, მაგალითად, ლურჯი მზე, ყვითელი ფორთოხალი...
- წაუკითხეთ (წიგნიერების დანართი): „იასამანი.“

მეცნიერება

- მოიმარაგეთ ყვავილების კატალოგი და წაახალისეთ ბავშვები, შემოხაზონ იასამნისფერი ყვავილები. თუ კატალოგი არა გაქვთ, მოიმარაგეთ პლასტმასის ან ნაჭრის ყვავილები, რომ ბავშვებმა „იასამნისფერი“ და „არაიასამნისფერი“ კატეგორიებად დაყონ.
- დაურიგეთ ბავშვებს ლურჯი და წითელი საღებავები. მიეცით ცდების ჩატარების საშუალება.

საღამოს წრე

- რა გაიგეს იასამნისფრის შესახებ?
- ამ ფერთან დაკავშირებული რომელი საქმიანობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

7. შავი

დილის წრე

იხ. საერთო დილის წრის აქტივობები. შეუსაბამეთ შავ ფერს

ხელოვნება



- *ხატვა:* ღამის ცა; სთხოვეთ ბავშვებს, ფურცელზე გამოსახონ ღამის ცა სასურველი მასალის, გუაშის ან ფანქრების გამოყენებით.
- *აპლიკაცია:* შავთმიანი ბავშვი. დაურიგეთ ბავშვებს წინასწარ მომზადებული ფურცლები ბავშვის სახის გამოსახულებით და შავი ფერის საქსოვი ძაფი. ბავშვებმა დაჭრან ძაფი სასურველ ზომაზე და დააწებონ გამოსახულებას წებო ემულსიის გამოყენებით (დანართი 1.2.2.).

- *აპლიკაცია მზესუმზირა.* წინასწარ გამოჭერით ყვითელი ფერის ქაღალდისგან, ან ქსოვილისგან მზესუმზირის ფურცლები. დაურიგეთ ბავშვებს მუყაოს ქაღალდები, გამოჭრილი მზესუმზირის ფურცლები და მზესუმზირის მარცვალი. სთხოვეთ, გულში დააწებონ მზესუმზირის მარცვლები, გარშემო კი ფურცლები.
- ბავშვებთან ერთად შეაგროვეთ ტოტები, სთხოვეთ, შეღებონ ტოტები შავად. შეგიძლიათ ჩააწყოთ შეღებილი ტოტები ქოთანში ან ლარნაკში.

მოძრაობა



- მოიმარაგეთ შავი შარფები და ლენტები, ჩართეთ „ქარიშხლიანი“ კლასიკური მუსიკა ან სთხოვეთ დახმარება მუსიკის პედაგოგს. შესთავაზეთ ბავშვებს, ქარბუქიან ცაზე შავი ღრუბლები განასახიერონ.
- კეგლების დასამზადებლად (ცილინდრის ფორმის) ჩიფსების გრძელ ყუთებს გადააკარით შავი ფურცელი. იქონიეთ შავი ბურთი და ბავშვები ათამაშეთ.

სამაგიდო



- წინასწარ მოიმარაგეთ შავი ფურცლისგან გამოჭრილი გეომეტრიული ფიგურები, ოთხკუთხედები, წრეები, სამკუთხედები და სხვა. წაახალისეთ ბავშვები, ამ ფორმებით შექმნან კოლაჟი.
- გააფერადეთ „ჩემი ფერების წიგნიდან“ შავი გვერდი (დანართი 1.2.1).

კონსტრუქციული



- მიეცით ბავშვებს დიდი შავი ღილები. წაახალისეთ, ამ ღილებით შექმნან ნებისმიერი კონსტრუქცია. დაყავით ბავშვები 3-5 კაციან ჯგუფებად.

წიგნიერება

- ინტერნეტში მოიძიეთ ჭექა-ქუხილის, წვიმის, ქარიშხლის ხმა. ჰკითხეთ, რა განცდები ეუფლებათ?
- წაუკითხეთ: „მღებავი ბუ“(წიგნიერების დანართი).
- წაუკითხეთ: „მერცხლის ბარტყი და ყვავის ბახალა“.
- გაამახვილეთ ყურადღება სიტყვებზე: დახატვა, შეღებვა, დალაქავება. ახსენით, რა განსხვავებაა.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი და საინტერესო შავ ფერზე?
- რომელი საქმიანობა მოეწონათ?

8. თეთრი

დილის წრე

- იხ. საერთო დილის წრის აქტივობები. შეუსაბამეთ თეთრ ფერს.
- თუ ამინდი ხელს გიწყობთ და ეზოში მდელო გაქვთ, ჩაატარეთ დილის წრე ეზოში. ბავშვები პირაღმა დაწვნენ და ცაში ღრუბლებს დააკვირდნენ. მიამსგავსონ ნაცნობ ფორმებს, მოასმენინეთ წყნარი მუსიკა.
- იპოვეთ ეზოში თეთრი საგნები.

- წაახალისეთ ბავშვები, გაიხსენონ ყველაფერი თეთრი, რისი ნახვაც გარეთ შეიძლება. შეეცადეთ გამოიყენოთ სიტყვები: თეთრი, ფითქინა, ქათქათა.

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს მუქი ფერის ქაღალდი და თეთრი, თითებით სახატავი საღებავი. ბავშვებმა გამოსახონ ფიფქები.
- *აპლიკაცია: ცხვრები.* დაურიგეთ ბავშვებს ბამბა. სთხოვეთ, დაამრგვალონ. მშრალი წებოს საშუალებით დააწებონ ბამბა ფურცელზე, შემდეგ შავი ფლომასტრით დაუხატონ ცხვარს სახე და ფეხები.

- სთხოვეთ ბავშვებს, წინასწარ შავად შეღებილ ტოტებზე, წებო ემულსიის საშუალებით, დაამაგრონ ბამბა და შექმნან თოვლის იმიტაცია.
- *აპლიკაცია: თეთრწვერა მოხუცი.* სთხოვეთ ბავშვებს, წინასწარ ამობეჭდილ მოხუცის სახეს დააწებონ თეთრი ბამბა, წვერისა და წარბების ადგილზე (დანართი 1.2.3.).
- *თოვლის სასახლე.* მუყაოს ყუთს ბავშვებთან ერთად დაუხატეთ და გამოჭერით: ფანჯრები და კარები. მუყაოსაგან დაამზადეთ კონუსის ფორმის სახურავი და დაამაგრეთ სახლზე, სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ სასახლე თეთრი გუაშის საღებავით. გაშრობის შემდეგ წაუსვით სასახლეს წებო და დააყარეთ მანანის ბურღული.

მოძრაობა



- ბავშვებთან ერთად დაკუჭეთ ქაღალდი ან დააგორგოლავეთ ბამბა. დაყავით ბავშვები ორ გუნდად, დაურიგეთ გუნდები და წაახალისეთ ისინი, „იგუნდაონ“.
- *თეთრი დათვები.* იატაკზე მოათავსეთ თეთრი ქაღალდი, უთხარით ბავშვებს, რომ ყინულის ნაჭრებია, ისინი კი – თეთრი დათვები და უნდა გადაძვრნენ, გადაახტნენ, გადააბიჯონ ყინულის ნატეხებს.

- მოიმარაგეთ ბამბის ბურთულები და თასი. სთხოვეთ ბავშვებს, სცადონ ბამბის ბურთულების თასში ჩაყრა ცოტა მოშორებული მანძილიდან.

სენსორული

- მოიმარაგეთ მარილით ან მანის ბურღულით სავსე სინი. წაახალისეთ ბავშვები, თითებით ხატონ, გამოიყვანონ ფორმები.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსი: „ჩემი ფისო“. იმსჯელეთ, კიდევ რა ფერის შეიძლება იყოს ფისო. რა ფერი აქვს თვალები? რა ჰქვია კატის შვილს? (წიგნიერების დანართი).

მეცნიერება

- მოიმარაგეთ თეთრი საგნებით სავსე ყუთი (ქსოვილი, ბამბის ბურთულა, ქაღალდი, ღილი, შარფი, თოკი, ფანქარი, ბუმბული და ა.შ.). შესთავაზეთ ბავშვებს, ჩაატარონ ცდები. გაარკვიონ, ვარდნისას რომელი საგანი ლივლივებს და რომელი ეცემა სწრაფად ძირს.

კულინარია



- გამოაცხვეთ ჯგუფში ფხვიერი ცომის პატარა ნამცხვრები. ზემოდან მოასხით წინასწარ დამზადებული (რძე, შაქარი, კარაქი) თეთრი მინანქარი, მოაყარეთ ქოქოსის ნაფხვენები.

საღამოს წრე

- ჩამოთვალეთ თეთრი ფერის საგნები.

9. ვარდისფერი

დილის წრე იხ. საერთო დილის წრის აქტივობები. შეუსაბამეთ ვარდისფერს.

ხელოვნება



- ასწავლეთ ბავშვებს, როგორ გააკეთონ გოჭის ვარდისფერი კუდი, როგორ დაახვიონ ვარდისფერი ქაღალდის ლენტა ფანქარზე.

მოძრაობა



- მოიმარაგეთ ვარდისფერი პოლიეთილენის პარკები და წაახალისეთ ბავშვები, ეზოში ვარდისფერი ანარეკლები შექმნან.
- ვარდისფერი საგნები ოდნავ მოფარებულ ადგილას დადეთ. წაახალისეთ ბავშვები, იპოვონ.

სამაგიდო/მათემატიკა



- გამოჭერით ვარდისფერი სქელი ქაღალდი სხვადასხვა ზომის ბამბის ნაყინის ფორმად. დაახვიეთ ყავისფერი მყარი ქაღალდი, დაამსგავსეთ ნაყინის ჯოხს და მიაწებეთ „ბამბის ნაყინი.“ სთხოვეთ ბავშვებს, ბამბის ნაყინები სიდიდის მიხედვით დაალაგონ, პატარიდან დიდამდე.
- გააფერადეთ „ჩემი ფერების წიგნიდან“ ვარდისფერი გვერდი (დანართი 1.2.1.).

დრამატული თამაში



- მოიმარაგეთ ვარდისფერი ცომი და სთხოვეთ ბავშვებს, ტკბილეულობა გამოძერწონ და ერთმანეთს „გაუმასპინძლდნენ.“

წიგნიერება

- წაუკითხეთ მოთხრობა: „ვარდისფერი“ (წიგნიერების დანართი).

მეცნიერება

- დაურიგეთ ბავშვებს თეთრი და წითელი საღებავები. აურიონ ფუნჯით. რა ფერს მიიღებენ? მრავალფეროვნებისთვის ყველას სხვადასხვა პროპორციით მიეცით და შეადარეთ, ვის როგორი ვარდისფერი გამოუვა.

საღამოს წრე

- მოაწყვეთ გამოკითხვა, რამდენი ბავშვის საყვარელი ფერია ვარდისფერი?
- რომელი საქმიანობა მოეწონათ დღეს?

10. ყავისფერი

დილის წრე

- იხ. საერთო დილის წრის აქტივობები. შეუსაბამეთ ყავისფერს.
- გააკეთეთ გვირაბი მუყაოს დიდი ყუთებით. ისე დადგით, რომ ბავშვებს ოთახში შესასვლელად მასში გაძვრომა მოუწიოთ.
- ბავშვები დააკვირდნენ ერთმანეთს, ვის აქვს ყავისფერი თმა ან თვალები? ვის აცვია ყავისფერი ტანსაცმელი?

ხელოვნება



- მოიმარაგეთ აკვარელის საღებავები, ფუნჯები და ფურცლები. წაახალისეთ ბავშვები, ყველა ფერი ერთმანეთში შეურიონ. რა ფერს მიიღებენ? დახატონ „ყავისფერი ნახატი“.
- კოლაჟი „ჭრელი პიცა“. შეაგროვეთ სხვადასხვა ფერის პატარა ნივთები: სარჭები, ღილები, ზონრები, ქსოვილები, პატარა სათამაშოები. მუყაოსგან წინასწარ გამოჭერით დიდი ზომის წრე. დაყავით (დახაზეთ) ათ ნაწილად და სთხოვეთ ბავშვებს, ნაჭრები სხვადასხვა ფერებად შეღებონ. წებო ემულსიის გამოყენებით დააწებეთ ნივთები შესაბამის ფერებზე.
- *„ჩემი ფერების წიგნი“*. დაეხმარეთ ბავშვებს წიგნად აკინძონ კვირის განმავლობაში გაფერადებული ფურცლები. ყდაზე ბავშვის სახელი და გვარი დააწერეთ. უთხარით ბავშვს, თავის სახელზე გადაუსვას ფანქარი.

მუსიკა და მოძრაობა

- მოიმარაგეთ მუყაოს ყუთები (დოლები) და ხის კოვზები. წაახალისეთ ბავშვები, რომ „დოლზე“ დაუკრან.
- დაალაგეთ სკამები წრიულად. შუაში დადგით სინი ან დაბალი თასი. ირგვლივ მოაბნიეთ რკოები. დასხით ბავშვები და სთხოვეთ, შიშველი ფეხებით სცადონ რკოების აღება და თასში ჩაყრა.

სამაგიდო



- გააფერადეთ. „ჩემი ფერების წიგნიდან“ ყავისფერი გვერდი (დანართი 1.2.1.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს: „ნაყინის სახლი“ (წიგნიერების დანართი). ჰკითხეთ რა იყო ყავისფერი. კიდევ რა ფერი შეხვდათ?
- თავი მოუყარეთ კვირის სიტყვებს. **ყავისფერი:** შოკოლადი, მიწა, თმა... **ვარდისფერი:** ფერია, ვარდი, ატამი...**თეთრი:** თოვლი, კაბა, ფისო, ბატკანი; **შავი:** ღამე, ყვავი, ყაყაჩოს და მზესუმზირის გული. გაიხსენეთ წინა კვირაში ნასწავლი ფერებიც.
- მეტყველება – აჩვენეთ ბავშვებს ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილი წრეები ან ოთხკუთხედები და სთხოვეთ, მოიფიქრონ წინადადება, სადაც იქნება ამ ფიგურის ფერი ნახსენები. მაგალითად, „ჩემს მეგობარ ქეთის წითელი კაბა აცვია“ ან „ მე მომწონს წითელი მანქანა“.
- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ ბუნებაში არსებული საგნები თავის ფერთან ერთად, მაგალითად, ბალახი მწვანეა, ვაშლები წითელია, მზე ყვითელია და ასე შემდეგ.
- წარმოადგინეთ ცოცხალი დიაგრამა. სთხოვეთ ბავშვებს, გამოკითხონ თავიანთი ჯგუფელები, გაარკვიონ მათი საყვარელი ფერი. შემდეგ დააწყვეთ ყველა ფერის ოთხკუთხედები იატაკზე და სთხოვეთ ბავშვებს, დადგნენ თავიანთი საყვარელი ფერის უკან.

შემოდგომა და რთველი

1. შემოდგომა
2. რთველი

1. შემოდგომა

დილის წრე

- ყავისფერი მუყაოსგან წინასწარ გამოჭერით ხის ტანი (ვარჯი) და ტოტები. ყვითელი, სტაფილოსფერი, იასამნისფერი, წითელი და ყავისფერი ფურცლებისგან კი – ფოთლები. ხე და ტოტები დილის წრესთან ახლოს, კედელზე ჩამოკიდეთ.
- დაურიგეთ ბავშვებს ფერადი ფოთლები და „სკოჩის“ ან „სტეპლერის“ გამოყენებით ხეზე მიამაგრებინეთ. ნაწილი ძირს დააყრევინეთ.
- უთხარით ლექსი:

გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი,
წელიწადის ოთხი დრო,
ოთხივ გულგასახარი.

(გ. წერეთელი)

- ახლა შემოდგომაა. შემოდგომაზე ბუნება ზამთრის ძილისთვის ემზადება.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა შემოდგომაა.

ხელოვნება



- წვიმიანი ცა. ბავშვებს სთხოვეთ, ცისფერი აკვარელის საღებავით დაფარონ ფურცელი და სანამ ბოლომდე გაშრება, მოაყარონ ქვამარილი. გაშრობის შემდეგ ქვამარილი გადაფერთხონ და მიიღებენ ნახატს წვიმის ეფექტით.
- ქარის ბზრიალა. დანართის მიხედვით დაამზადებინეთ ბავშვებს ქაღალდის ბზრიალები. დაეხმარეთ ჯოხებზე დამაგრებაში და წაახალისეთ, ჰაერი შეუბერონ ან დააკვირდნენ ქარში (დანართი 1.3.1).



- ქარის ჩამოსაკიდი სათამაშო. მოიმარაგეთ სხვადასხვა მყარი ლითონის ან სხვა ჟღერადი ნივთები, ზანზალაკები, ნიჟარები, კოვზები, დიდი მძივები და სხვა. მოაბით თოკები და დაკიდეთ პატარა ჯოხზე. დაკიდეთ ფანჯარასთან ან კარზე.



- „ფოთლის კაცუნები“ მოიმარაგეთ სხვადასხვა ფორმის და ფერის ხის ფოთლები, დააწებებინეთ ბავშვებს ქაღალდზე, სთხოვეთ, შეავსონ კაცუნა ნახატით (დაუხატონ თავი, ხელები, ფეხები).



- მოიმარაგეთ გამხმარი ხის ტოტები და სხვადასხვა ფერის კრეპის ან ჟატის ქაღალდი. წაახალისეთ ბავშვები, გამოჭრან ფოთლები კრეპის ქაღალდისაგან და დააწებონ ტოტებს. დამზადებული ტოტები ჩაამაგრეთ ქოთანში ან სხვა ჭურჭელში.
- მოიმარაგეთ შემოდგომის ფერების სხვადასხვა ფაქტურის ფურცლები და წაახალისეთ ბავშვები, კოლაჟი გააკეთონ.

მოძრაობა



- უთხარით ბავშვებს, წარმოიდგინონ, რომ ფოთლები არიან. ჩართეთ მუსიკა, მოუსმინონ, იმოძრაონ და იცეკვონ, როგორ ეშვებიან ძირს.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ერთი ყუთი შემოდგომის ფოთლები, რომ ბავშვებმა კატეგორიებად დაახარისხონ ფერის, ფორმის და ზომის მიხედვით.

დრამატული



- შეიტანეთ დრამატულ ცენტრში ბოტები, საწვიმრები, ქოლგები და კალათები, გამოყავით ოთახის ერთი ნაწილი, ვითომ ტყეა. წაახალისეთ ბავშვები, ჩაიცვან სეზონური ტანსაცმელი და წავიდნენ რკოს შესაგროვებლად ტყეში (რკოდ შეგიძლიათ გამოიყენოთ მცირე ზომის საგნები).

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ქეთოს მერცხალი“ წიგნიერების დანართიდან. სად გაფრინდა ქეთოს მერცხალი? რომელი ფრინველები მიფრინავენ თბილ ქვეყნებში, რომლები რჩებიან?

მეცნიერება

- წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ გოგრას. მოიმარაგეთ გამადიდებელი შუშები და გოგრა შუაზე გაჭერით. რითი განსხვავდება ერთმანეთისგან შიგა და გარეთა მხარე?

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა ისწავლე დღეს შემოდგომის შესახებ?
- შემოდგომის ფოთლის რომელი ფერი მოგწონს ყველაზე მეტად? რატომ?
- რითი განსხვავდება შემოდგომა ზაფხულისგან?

2. რთველი

დილის წრე

- ისაუბრეთ რთველზე, ყურძენზე: სად იზრდება, რა ჰქვია მცენარეს, რომელიც ყურძენს ისხამს? რა ჰქვია ადგილს, სადაც ბევრი ვაზია. თუ ყოფილან ვენახში? რა მზადდება ყურძნის წვენისგან, რა არის რთველი, თუ ყოფილან სოფელში რთველის დროს?

ხელოვნება



- *ჯადოსნური ფოთოლი.* მოიმარაგეთ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფოთლები. დაურიგეთ ბავშვებს სახატავი ფურცლები და ფერადი ფანქრები. სთხოვეთ, აარჩიონ ფოთოლი, ზემოდან სახატავი ფურცელი დააფარონ და ფანქარი გადაუსვან. თანდათანობით ფურცელზე ფოთოლი გამოისახება.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ეთნოგრაფიულ მუზეუმში და აჩვენეთ მარანი, ქვევრი, საწნახელი.

მოძრაობა



- მოიმარაგეთ დაწნული ვედრო და ხილის ფორმის სათამაშოები. ბავშვებს სთხოვეთ, ყუთში ჩაყარონ. ნელ-ნელა მანძილი გაზარდეთ.

სამაგიდო



- მათემატიკა. მოიმარაგეთ: ნემსი, ძაფი და წინა დღით დამბალი თხილი, სთხოვეთ ბავშვებს მოგაწოდონ თითოეულმა გარკვეული რაოდენობის თხილი, აასხით ერთ ძაფზე ხუთიდან ათ თხილამდე და სთხოვეთ, გადათვალონ.
- იმუშავეთ სამუშაო ფურცლებით „ხილი ვარდება ხიდან“ (1.3.2.).
- იმუშავეთ სამუშაო ფურცლებით „დაუხატე ყურძენს მარცვლები“ (1.3.3.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „შემოდგომა“ და „შაქრად“. სად უფრო ლამაზი და მნიშვნელოვანია შემოდგომა? რატომ? რას ნიშნავს გამოთქმა: „შაქრად“. რა იგულისხმება „შემოდგომის ოქროს ფუნჯში?“

მეცნიერება

- ვაზის ფოთოლი გამადიდებელი შუშით დაათვალიერებინეთ.

კულინარია



- *ყურძნის დაწურვა.* დაურიგეთ ბავშვებს ყურძნის თითო მტევანი და პატარა თასები. სთხოვეთ, დამარცვლონ მტევანი, მარცვლები შეაგროვონ თასში და ხელებით დაჭყლიტონ. მიღებული მასა დიდ ჭურჭელში გადაწურონ საწურის მეშვეობით. წვენი მიირთვან.
- სთხოვეთ ბავშვებს, თეთრი და შავი (წინასწარ გარეცხილი) ყურძენი ორ ჯამში დაახარისხონ. შემდეგ მიირთვან.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა მოეწონათ დღის აქტივობებიდან ყველაზე მეტად.

ზღაპარი

1. წითელქუდა
2. სამი გოჭი
3. ნაცარქექია
4. კოშბლე

წითელქუდა

დილის წრე:



მორთეთ ოთახი გამჭვირვალე ნაჭრებითა და თასმებით, სხვადასხვა დეკორაციებით, რომ ოთახი ზღაპრულ ოთახს დაემსგავსოს. დაფაზე სხვადასხვა ზღაპრის ილუსტრაციები გააკარით. დახვდით ბავშვებს მეზღაპრის ფორმაში, გაიკეთეთ ნიღაბი და უთხარით მათ, რომ დღევანდელი თემა ზღაპარია.

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა არის ზღაპარი?
- არის თუ არა ზღაპარი ნამდვილი ამბავი?
- ვინ წერს ზღაპრებს?
- რა ჰქვია ადამიანს, ვინც ზღაპარს ყვება?
- რა ზღაპრები იციან?
- რომელია მათი საყვარელი ზღაპარი? გმირები?
- უნახავთ თუ არა ზღაპრის გმირები, მაგ.: ჯადოქარი, ჯუჯა, ფიფქია, კუდიანი დედაბერი, დრაკონი სინამდვილეში?
- ადრე, როცა არც კომპიუტერი, არც ტელევიზორი, არც ამდენი სათამაშო და წიგნი არსებობდა, მეზღაპრეები ერთი ქვეყნიდან მეორეში ზღაპრების მოსაყოლად დადიოდნენ.
- ჰკითხეთ ბავშვებს, ვინ იყო წითელქუდა და რატომ ერქვა ეს სახელი?
- რომელი გმირები გვხვდებიან წითელქუდას ზღაპარში?
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ წითელქუდას ზღაპრის გმირები.
- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ წითელქუდას ზღაპარი.
- წაახალისეთ ბავშვები, მოიგონონ ახალი ზღაპარი წითელქუდაზე. თითო ბავშვმა თქვას მხოლოდ ერთი წინადადება. აბა, ნახეთ, რა გამოვა?

ხელოვნება:

- დაამზადეთ წითელქუდას გმირების თითზე ჩამოსაცმელი თოჯინები (იხ. დანართი1.4.1.).

- დაამზადეთ ტყის პანო თოჯინების თეატრისთვის. კარგი იქნება, თუ ნაჭრის აპლიკაციებით გააკეთებთ (ხეები, ყვავილები, ჩიტები, პატარა ცხოველები).
- ქაღალდისგან გააკეთეთ ან გამოჭერით ყვავილები.
- დახატეთ წითელქუდა ტყეში ყვავილების კრეფის დროს, შეხვედრა მგელთან, ბებიას სახლი, წითელქუდა ბებიასთან და ა.შ.
- გააფერადეთ (დანართი1.4.2.).

მუსიკა:

- წითელქუდას სიმღერა.

მოძრაობა:



- ქაღალდისგან გაკეთებული ყვავილები ააფრიალეთ ჰაერში და დაყარეთ ოთახში ან ეზოში. შემდეგ ბავშვებმა გააკეთონ ვარჯიშები: ასწიონ მაღლა ხელები, თავს ზევით მიადონ ხელები ერთმანეთს, შემდეგ ნელა ჩამოაცურონ გვერდებზე, დაიხარონ და აიღონ ყვავილი. ასე აკრიფონ ყველა ყვავილი.
- ეზოში ითამაშეთ წითელქუდობანა და მგელობანა. მგელი იჭერს წითელქუდებს და ვისაც დაიჭერს, ის ხდება მგელი.

დრამატული:



- გაითამაშეთ წითელქუდა ხელოვნების წრეში დამზადებული პანოსა და თითის თოჯინების გამოყენებით.
- ნახეთ მხატვრული ან მულტიპლიკაციური ფილმი „წითელქუდა“.

ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები თოჯინების მუზეუმში.

სენსორული:

- ჩაყარეთ „ჯადოსნურ“ ნაჭრის გაუმჭვირვალე ტომარაში სხვადასხვა ნივთები, რომელიც წითელქუდას ზღაპარში გვხვდება (მაგ.: სათვალე, ქუდი, საჭმელი, ყვავილი და ა.შ.) ისე, რომ ბავშვებმა დაინახონ და დაასახელონ ისინი. ტომარას პირი მოუკარით და წაახალისეთ ბავშვები, ხელის გარედან შევლებით აღწერონ და გამოიცნონ, რა ნივთია.

სამაგიდო:



- ქაღალდისგან გააკეთეთ კალათა.



- გააფერადეთ ყვავილი რიცხვების მიხედვით (დანართი 1.4.3.).

წიგნიერება:

- წაიკითხეთ წითელქუდას ზღაპარი.
- წაახალისეთ ბავშვები, ზღაპრის შესახებ საკუთარი ემოციები, აზრები, იდეები გამოთქვან.

კონსტრუქციული:



- კუბურებით გააკეთეთ ტყე და წითელქუდას ბებიის სახლი.

კულინარია:



- გამოაცხვეთ ბებიასთვის კარტოფილის ღვეზელები.

საღამოს წრე:

- რა მოეწონათ დღის მანძილზე ყველაზე მეტად?
- ვინმე ხომ არ ოცნებობს გახდეს ზღაპრების მწერალი ან მეზღაპრე?
- რა არის საჭირო იმისათვის, რომ ზღაპრების გამომგონებელი გამოხვიდე?

სამი გოჭი

დილის წრე:



- დილის წრის დაფაზე დაახვედრეთ ბავშვებს სამი გოჭის ილუსტრაციები.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოიცნონ რომელი ზღაპრის გმირები არიან გამოსახული სურათზე.
- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ სამი გოჭის ამბავი.

ხელოვნება:

- გააკეთეთ თითის თოჯინები (დანართი1.4.4.).



- გააფერადეთ (დანართი1.4.5.).

- დაამზადეთ სამი გოჭის ნიღაბი ქაღალდის ერთჯერადი თეფშისგან. თეფშში ამოჭერით ორი თვალი, ცხვირის ადგილას (თეფშის უკანა მხარეს) დააწებეთ იოგურტის ქილა და ყურების ადგილას ქაღალდისგან გამოჭრილი ორი ყური. წაახალისეთ ბავშვები, ნიღაბი შეღებონ ვარდისფრად. თეფში კიდეებში ორგან ფრთხილად გახვრიტეთ, გაუყარეთ რეზინი და გაკვანძეთ. წაახალისეთ ბავშვები, დასრულებული ნიღბით ითამაშონ და გოჭი განასახიერონ.



- ვატმანის ფორმატზე ბავშვებთან ერთად დახატეთ სამი გოჭი. თემაზე ბავშვებთან ერთად შეთანხმდით, შეიძლება სამი გოჭი მგელთან ერთად დახატოთ, შეიძლება სახლების ან ტყის ფონზე და ა.შ.
- გააკეთეთ კოლაჟი. ბავშვებმა დახატონ სამი გოჭის სცენები და ამოჭრან. ამოჭრილი ნამუშევრებით გააკეთეთ ერთი დიდი კოლაჟი.

მუსიკა:

- სამი გოჭის სიმღერა.
- წაახალისეთ ბავშვები, ჩაბერონ ჩასაბერ ინსტრუმენტებს, ვითომ ფლეიტაზე უკრავენ. დაამზადეთ ქაღალდისგან პატარა საყვირები. პატარა სავარცხელს მიადეთ ქაღალდის ნაჭერი და ჩაბერეთ. დააკვირდით, გამოსცემს თუ არა ხმას?

მოძრაობა – დრამატული:



- თამაში: საბრალო რუხი მგელი. ყველა ბავშვი, ერთის გამოკლებით, დაჯდეს წრეში. ისინი არიან გოჭები, რომლებიც პერიოდულად დაიღრუტუნებენ ხოლმე. ერთმა ბავშვმა უნდა შეასრულოს მგლის როლი, რომელიც აქეთ-იქით ირბენს, საშინლად იყმუვლებს, იღრიალებს და თავის ბასრ კბილებს გვაჩვენებს. მგელი უნდა ეცადოს, ისე განასახიეროს თავისი გმირი, რომ გოჭებს გაეცინოთ. როდესაც მგელი რომელიმე გოჭს მიუჯდება, გოჭმა თავზე ხელი უნდა გადაუსვას და უთხრას: საბრალო რუხო მგელო. მთავარია, გოჭს ამ ფრაზის თქმის დროს არ გაეცინოს. თუ გაეცინა, მაშინ ეს გოჭი ხდება საბრალო რუხი მგელი.
- გააკეთეთ თოჯინების თეატრი.

სამაგიდო:



- გააფერადეთ და ამოჭერით სამი გოჭის სახლები. დახატეთ სამი გოჭი და ამოჭერით. თითო სახლს თითო გოჭი დაუკავშირეთ (დანართი1.4.6.).

წიგნიერება:

- წაიკითხეთ ზღაპარი „სამი გოჭი“.
- რას გვეუბნება, მათი აზრით, ეს ზღაპარი?
- წაახალისეთ, აღწერონ სამივე ძმა. რა მსგავსებები და განსხვავებებია მათ შორის?
- ჩამოთვალეთ სახელები.
- რისგან აშენებენ გოჭები სახლებს?
- სხვანაირად როგორ შეიძლება დამთავრდეს ეს ზღაპარი?
- ნახეთ მულტიპლიკაციური ან მხატვრული ფილმი „სამი გოჭი“.
- წაახალისეთ ბავშვები, შექმნან ახალი ზღაპარი სამ გოჭზე. თითო ბავშვმა თქვას მხოლოდ ერთი წი-

ნადადება.

მეცნიერება – კონსტრუქციული:

- წაახალისეთ ბავშვები, შეაგროვონ პატარ-პატარა ქვები და ააგონ პატარა სახლი. ასევე ხის კუბურებით ააწყონ სახლი. თივა თუ არ გექნებათ, მაშინ ბალახისგან ააწყვეთ სახლი. როდესაც სამივე სახლი მზად იქნება, შეუბერეთ სული და დააკვირდით, რა მოხდება? დაითვალეთ მასალა: რამდენი ქვა, თივა და ხის კუბურები დაგჭირდათ სახლის ასაშენებლად?
- ჰკითხეთ ბავშვებს, რომელ სახლს აირჩევდნენ საცხოვრებლად და რატომ?

კულინარია:



- სოსისის პატარა ნაჭრებისგან დაამზადეთ გოჭები. სოსისის პატარა ნაჭრები უნდა ჩაჭრათ ზემოდან, ჩაამაგროთ ყურები. დინგი მაგრდება სპაგეტის პატარა ნატეხით. თვალები და ნესტოები კი სეზამის მარცვლებია.





- გამოაცხვეთ გოჭის ხრაშუნა ყურები. ფენოვან ცომს მოაყარეთ დაახლოებით 100 გრ. შაქარი. ცომი გააბრტყელეთ დაახლოებით 3 მილიმეტრის სისქეზე. ცომის ორივე ბოლო ჩაახვიეთ შუისკენ. დახვეული ცომი დაჭერით თითის სისქე ნაჭრებად და გამოაცხვეთ. თუ სურვილი გექნებათ, გამომცხვარ ხრაშუნა ყურებს წაუსვით შოკოლადის გლაზური.



საღამოს წრე:

- რას გვასწავლის „სამი გოჭის“ ზღაპარი?
- რა მოეწონათ ყველაზე მეტად?

ნაცარქექია

დილის წრე:

- დაახვედრეთ დილის წრის დაფაზე ნაცარქექიას სხვადასხვა ილუსტრაციები.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოიცნონ ვინ არის ილუსტრაციაზე გამოსახული.
- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ და აღწერონ ნაცარქექიას გმირები.
- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ ნაცარქექიას ზღაპარი.
- წაახალისეთ ბავშვები, მოიგონონ ნაცარქექიაზე ახალი ზღაპარი.

ხელოვნება:



- გააკეთეთ თითის თოჯინები (დანართი1.4.7.).

- დახატეთ ნაცარქექიას ზღაპრიდან ეპიზოდები პატარა ქაღალდებზე და აკინძეთ წიგნად, შეგიძლიათ სტეპლერით თოკით ან ლენტით აკინძოთ.

მოძრაობა:



- განასახიერეთ დევი. იბაჯბაჯეთ დევებივით.
- ბავშვები დაყავით ორ გუნდად, მიეცით გრძელი თოკი. უთხარით ბავშვებს, რომ მათ შორის მდინარეა, ერთი გუნდი ნაცარქექიაა, მეორე კი დევი. სთხოვეთ, მოქაჩონ თოკს. რომელი გუნდი გადაძლევს?

დრამატული:



- გააკეთეთ თოჯინების თეატრი.
- გაითამაშეთ ნაცარქექიასა და დევის როლები.

ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები ეთნოგრაფიულ მუზეუმში, აჩვენეთ კერია.

სენსორული:

- სხვადასხვა ზომის ქვები დააწყვეთ მაგიდაზე. წაახალისეთ ბავშვები, ქვას მთელი ძალით მოუჭირონ ხელი. გაადენთ წყალს? მოხატეთ ქვები გუაშის ან აკრილის საღებავებით. შესაძლებელია თითის საღებავების გამოყენებაც.
- პატარა ჯამებში ჩაასხით წყალი. დაურიგეთ ბავშვებს პატარა ღრუბლები. ჩააწეთ ღრუბელი ჯამში და დააკვირდით, რა მოხდება? წაახალისეთ ბავშვები, გაწურონ ღრუბელი.

სამაგიდო:



- დაგჭირდებათ ერთი კამათელი და სხვადასხვა ფერის ფანქარი ან ფლომასტერი. გააგორეთ კამათელი, გააფერადეთ ის გუდა, რომელსაც შესაბამისი რაოდენობის წერტილი ახატია. შეგიძლიათ ეს თამაში წყვილებშიც ითამაშოთ. წყვილებში თამაშისას ორი ფერის ფანქარი ან ფლომასტერი დაგჭირდებათ, ყველამ თავისი გუდა რომ იცნოს (დანართი1.4.8.).

წიგნიერება:

- წაიკითხეთ ზღაპარი „ნაცარქექია“
- ისაუბრეთ ზღაპრის შინაარსზე, რას გადმოგვცემს ეს ზღაპარი.
- უთხარით და განმარტეთ ქართული ხალხური ანდაზა: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

მეცნიერება:

- დაუდგით ბავშვებს წყალი ჯამით. მიეცით ქვები, ნაჭრები, ღრუბელი, ბამბა. წაახალისეთ ბავშვები, ჩაყარონ ეს ნივთები წყალში და დააკვირდნენ. რა მოსდის ქვას, ნაჭერს, ღრუბელს და ბამბას? წაახალისეთ ბავშვები, დაიჭირონ ეს ნივთები ხელში და აღწერონ თავიანთი შეგრძნებები.

კონსტრუქციული:



- ააშენეთ კუბურებით ნაცარქექიას და დევის სახლი. დევის სახლი ნაცარქექიას სახლთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი უნდა იყოს.

კულინარია:



- მოზილეთ ცომი, დააგრძელეთ წვრილ ზოლად, შემოახვიეთ შამფურის მსგავს ჯოხს. მიუსხედით კოცონს და შეწვით თქვენი პური. შეიძლება ცომი სპირალივით დაახვიოთ და ცომი ღუმელში გამოაცხოთ.



საღამოს წრე:

- რომელი აქტივობა მოეწონათ ბავშვებს ყველაზე მეტად?

კომბლე

დილის წრე:

- დაახვედრეთ ბავშვებს დილის წრის დაფაზე გაკრული კომბლეს ილუსტრაციები.
- დახვდით ბავშვებს კომბლით ხელში.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი ზღაპრის გმირი თლის კომბლებს?
- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ კომბლეს ამბავი.
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ კომბლე, მისი შინაური ცხოველები და სხვა გმირები(ისაუბრეთ იმაზეც, რომ მულტიპიკაციურ ფილმში კომბლეს ძროხა ჰყავს, ზღაპარში – ცხვრები).
- წაახალისეთ ბავშვები, მოიგონონ ახალი ამბავი კომბლეზე.

ხელოვნება:



- დახატეთ კომბლე, ზღაპრის სხვა გმირები.
- გააკეთეთ თითის თოჯინები (დანართი1.4.9.).



- გააკეთეთ კომბალი დაჭმუჭნული ქაღალდისგან.
- დაამზადეთ გავლილი ზღაპრის გმირებისგან დომინო (დანართი1.4.10.).
- დახატეთ ნახშირით ზღაპრის გმირები.
- ერთჯერადი ჭიქებისგან ან ქაღალდის რულონისგან გააკეთეთ ცხვრები. ჭიქას ან რულონს მიაწებეთ ერთ ღიობზე დახატული და გამოჭრილი ცხვრის თავი. ფეხების ნაცვლად გაუკეთეთ თოკზე ჩამოცმული მსხვილი მძივი.
- გააფერადეთ (დანართი1.4.11.).

მუსიკა:

- კომბლეს სიმღერა.

მოძრაობა:



- თამაში: კომბლე და მისი ცხვრები. შეგიძლიათ ეზოშიც ითამაშოთ. ერთი მოთამაშე კომბლეა. დადგეს კედელთან და ზურგი შეაქციოს დანარჩენ ბავშვებს. ბავშვები განასახიერებენ კომბლეს ცხვრებს. ისინი დადგნენ ოთახის ან ეზოს მეორე ბოლოში. როდესაც კომბლე იტყვის: ცხვრები მობაკუნობენ მინდორზე, ამ დროს ბავშვები უნდა დაიძრან და იარონ მანამ, სანამ კომბლე წინადადებას დაასრულებს. როგორც კი კომბლე ბოლო სიტყვას დაასრუ-

ლებს და მოტრიალდება ცხვრებისკენ, ცხვრები ადგილზე უნდა გაშეშდნენ. თუ კომბლემ რომელიმე ცხვარი დაინახა, რომელიც მოძრაობს, ის ცხვარი ბრუნდება საწყის პოზიციაზე. განაგრძეთ თამაში. კომბლე ისევ ტრიალდება და ამბობს: ცხვრები მობაკუნობენ მინდორზე. ის ცხვარი, რომელიც კომბლესთან პირველი მიაღწევს, გახდება კომბლე.

დრამატული:



- გააკეთეთ თოჯინების თეატრი.
- გაითამაშეთ კომბლეს ზღაპარი.
- უყურეთ მულტიპლიკაციურ ფილმს „კომბლე“ http://www.dailymotion.com/video/x2rddk_www-mamuli-net-sps-ig_creation

სენსორული – სამაგიდო:

- მიეცით ბავშვებს ფერად-ფერადი მატყლი ხელში სათამაშოდ. უთხარით, რომ მატყლისგან ძაფის დართვა და თექის გაკეთება შეიძლება. (თუ ჯგუფში ალერგიული ბავშვებიც არიან, მატყლი ბამბით ჩაანაცვლეთ)
- გააკეთეთ თექის თმის სამაგრები. დაგჭირდებათ თმის რეზინი, თექისთვის შალი, სარეცხი საპონი და წყალი. დაუდგით ბავშვებს საპნიანი წყალი ჯამით. შალი დაშალეთ დაახლოებით 20 სმ. სიგრძის და თითის სისქე ზოლებად. დაასველეთ შალის ნაკუწები და ხელში სიგრძეზე იმდენ ხანს აგორგოლავეთ, სანამ არ დაითექება. შესაძლოა, მაგიდაზე დადოთ შალის ნაჭერი და ხელის გულით მაგიდაზე დააგორგოლავოთ. დათექილი შალი შეაშრეთ პირსახოცით ან ჩაის ტილოთი და შეაკვანძეთ თმის რეზინს. შეგიძლიათ ალაგ-ალაგ მძივებიც მიამაგროთ.



სამაგიდო



- შეაერთეთ წერტილები და დახატეთ ცხვარი (დანართი1.4.12.).

წიგნიერება:

- წაიკითხეთ ზღაპარი „კომბლე“.
- იმსჯელეთ მულტფილმთან მსგავსებისა და განსხვავების შესახებ.

კულინარია:



- ფუნთუშის ცომისგან გამოაცხვეთ ცხვარი. მოზელილი ცომი მიეცით ბავშვებს და წაახალისეთ, დაამზადონ თითო ბურთულა. შემდეგ ბურთულები ფაზლივით ააწყვეთ ცხვრის ფორმაზე.



საღამოს წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან თავიანთი აზრები ზღაპრების შესახებ.
- რა შეიძლება ვისწავლოთ ამ ზღაპრებიდან?
- რომელი ზღაპარი სურთ წავიკითხოთ ან მოვყვეთ კიდევ ერთხელ?
- რომელი აქტივობის გამეორება სურთ?

მე და ჩემი სხეული

1. მე და ჩემი სხეული. სხეულის ნაწილები
2. ხელები და თითები
3. ფეხები და ტერფები
4. სახის ნაკვთები

1. მე და ჩემი სხეული. სხეულის ნაწილები

დილის წრე

- *აბა, გამოიცანი.* მიეცით ბავშვებს საშუალება, მინიშნებით გამოიცნონ სხეულის რომელ ნაწილზეა საუბარი:
  - ჩვენ მასზე ვიცვამთ ფეხსაცმელს და წინდებს. რა არის?
  - სახეზე გვაქვს, ვიყენებთ იმისთვის, რომ ვილაპარაკოთ და საჭმელი მივირთვათ.
  - ამ სხეულის ნაწილით ვხატავთ. და ა.შ.

აპოვნინეთ ბავშვებს საკუთარი სხეულის სხვადასხვა ნაწილი. მაგ. დაითვალეთ თითები ერთ ხელზე.

- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი თემა სხეულის ნაწილები იქნება.

ხელოვნება



- *ღილებითა და სხვადასხვა მასალით ადამიანის კონტურის გაფორმება.* დაყავით ბავშვები ათკაციან ჯგუფებად. მუყაოს მოზრდილ ფორმატზე წინასწარ შემოხაზეთ ადამიანის სხეულის კონტური. მოიმარაგეთ ძველი ღილები, პატარა ზომის ბალთები, ბაფთები, ზონრები და ა.შ. სთხოვეთ ბავშვებს, ამოირჩიონ მათთვის სასურველი მასალა და ემულსიის საშუალებით დააწებონ ადამიანის კონტურს.



- *ბუშტისა და ფერადი ქაღალდების გამოყენებით თავის დამზადება.* გაბერეთ სხვადასხვა ზომის ბუშტი, წინასწარ გამოჭერით ფერადი ქაღალდებისგან სახის ნაწილები (თვალები, პირი, ცხვირი, ლოყები, ყურები, თმა). დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, დააწებონ ბუშტზე (დანართი 1.5.1).



- *თეთრი წინდის გატენა ბამბით და სათამაშო თავის დამზადება.* მოიმარაგეთ თეთრი წინდები, ბამბა, პლასტმასის თვალები, სხვადასხვა ფერის მარკერები. სთხოვეთ ბავშვებს, გატენონ წინდები ბამბით, ბოლო ლენტით შეუკარით. დააწებებინეთ ბავშვებს პლასტმასის თვალები ან გამოიყენეთ ფერადი მარკერები თვალების, პირისა და ცხვირის დასახატად.



- *საკუთარი ტანის დახატვა.* დააწვინეთ ბავშვი იატაკზე დაფენილ დიდი ზომის ფურცელზე (ძველი შპალერის ქაღალდზე). ბავშვის სხეულის ირგვლივ კონტური შემოხაზეთ. გააფერადებინეთ და გააფორმებინეთ.
- *სხვადასხვა ფერის კაცუნები.* სხვადასხვა ფერის ქაღალდებზე კაცუნების კონტურები ამობეჭდეთ, ბავშვებს გამოაჭრევინეთ და გააფორმებინეთ (დანართი 1.5.2.).

მოძრაობა

- ერთ-ერთი ბავშვი დგება წრის შუაგულში, მას ყურში ჩურჩულით ვეუბნებით სხეულის რომელიმე ნაწილს და სწრაფად უნდა აჩვენოს ჯგუფს სხეულის ეს ნაწილი. ბავშვებმა უნდა შეამჩნიონ და დაასახელონ სხეულის რა ნაწილი იყო.
- *სხეულის ნაწილების დაწყვილება.* ყოველი ბავშვი პოულობს წყვილს. თქვენ ხმა-

მაღლა ამბობთ სხეულის რომელიმე ნაწილს და ბავშვი ამ ნაწილით უკავშირდება თავის წყვილს მაგ: თითი – თითთან, მუხლი – მუხლთან, ხელი – ხელთან, თავი – თავთან.

- *სხეულის ნაწილის პოვნა.* დოლის ან ზარის რიტმში ბავშვები დადიან, ძახილზე „შეჩერდი“ ისინი ჩერდებიან, თქვენ ასახელებთ სხეულის ნაწილს მაგ. „ხელი,“ ისინი სწრაფად პოულობენ სხვა ბავშვის ხელს.
- ჩართეთ მუსიკა, თავად აირჩიონ ბავშვებმა ცეკვა. მიეცით დასარტყამი ინსტრუმენტები, რომელი მათგანი შეიძლება გამოიყენონ ფეხების მეშვეობით?
- ბავშვები დგანან წრეში და იმეორებენ მასწავლებლის მოქმედებას სიმღერასთან ერთად. მასწავლებელი სიმღერის ტექსტის შესაბამისად ორივე ხელით მიუთითებს სხეულის სხვადასხვა ნაწილს. სიმღერის შემდეგ ბავშვები და მასწავლებელი სხდებიან წრეზე. მასწავლებელი წევს ხელს და ესალმება ერთერთი ბავშვის ხელს. ბავშვები იმეორებენ მოქმედებას, მორიგეობით ესალმებიან ერთმანეთს ხელებით. თამაშში ჩართული ყველა ბავშვის ხელი ესალმება ერთმანეთს (ცდილობენ შეახონ საკუთარი ხელი დანარჩენების ხელებს). საბოლოოდ წრის შუაში იქმნება ხელების მთა. იგივე თამაში შეიძლება ჩატარდეს ფეხებით. თამაშის ბოლოს შეიძლება გამეორდეს იგივე სიმღერა.

ნოტები მოძრავი თამაშისათვის (თავი, მხრები, მუცელი):

სამაგიდო



- *სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებიდან, თავის ფორმის წრეების ამორჩევა.* დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ფორმები და სთხოვეთ, ამოარჩიონ თავის ფორმის ფიგურები.
- *გეომეტრიული ფორმებით ადამიანის ფიგურის აწყობა, აპლიკაცია.* დაურიგეთ ბავშვებს ფერადი ქაღალდისგან წინასწარ გამოჭრილი ფორმები. სთხოვეთ, ფურცელზე გაანაწილონ ფორმები და დააწებონ ისე, რომ მიიღონ ადამიანის ფიგურა.

დრამატული



- *ექიმის მისაღები კაბინეტი.* მოაწყვეთ ექიმის მისაღები ოთახი, საჭიროა თეთრი ტანსაცმელი, ექიმის ჩანთა და სტეტოსკოპი. დაგჭირდებათ სათამაშო წამლები, ბროშურები, სადაც ჯანსაღ ცხოვრების წესზე იქნება საუბარი: ჯანსაღი საკვები, ყოველდღიური პირადი ჰიგიენა, კბილების მოვლა, ვარჯიში და ა.შ. ათამაშეთ ბავშვები ექიმის როლში, გამოაწერინეთ წამლები და ასაუბრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ჩხუბი ადამიანის ნაწილებისა“.

მეცნიერება

- შესთავაზეთ ბავშვს, დააკვირდეს, თუ რა ხმას გამოსცემს მისი ფეხები ბაკუნისას; ხელები – ტაშის დაკვრისას; ან ენა – წკაპუნის დროს.

საღამოს წრე:

- რა გაიგეთ თქვენი სხეულის შესახებ?

2. ხელები და თითები

დილის წრე



- სთხოვეთ ბავშვებს, გაჩვენონ, თუ რისი კეთება შეუძლიათ ხელებით? მაგ: ტაშის დაკვრა, თავის მოფხანა, მუცელზე დაპარტყუნება.
- ჩამოათვლევინეთ ბავშვებს ყველაფერი, რისთვის ვიყენებთ ხელებს, ჩამოწერეთ მათი ჩამონათვალი დაფაზე ან ფურცელზე.
- ჰკითხეთ, რას იცვამენ ხელებზე?
- ჰკითხეთ, რა მოხდებოდა, რომ არ ჰქონოდათ ხელები? წარმოიდგინონ, ვითომ თევზები ან ძაღლები არიან.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა ხელები და თითებია.

ხელოვნება



- *ხელნაკეთი წიგნი.* გაკეცილ ფურცლებზე ბავშვს ხელი დაადებინეთ და შემოავლეთ კონტური. გამოჭერით ხელი ისე, რომ გაკეცილ ადგილას ფურცელი არ გაჭრათ. საბოლოოდ გამოგივათ ხელის ფორმის ბუკლეტი, რომელიც შეიძლება გადაფურცლოთ. მცირე ზომის კონტეინერში მოათავსეთ საღებავი, მიეცით ბავშვს ნება, რომ თითებით დახატოს ამ წიგნზე. გარედან კი მისი სახელი დააწერეთ.

- *ხელების ანაბეჭდებით კოლაჟის გაკეთება.* ერთჯერად თეფშებზე თითით სახატავი საღებავი დაასხით, დაასხით თითო ფერი თითო თეფშზე, სთხოვეთ ბავშვებს, დადონ ხელი თეფშზე და ფორმატზე დაიტანონ ხელის ანაბეჭდი.
- *თიხის ზედაპირზე ხელის ანაბეჭდების გაკეთება.* მოამზადეთ თიხისგან ბავშვის ხელის მტევნის ზომის საშუალო სისქის ფირფიტები. სთხოვეთ ბავშვებს, დატოვონ სველ თიხაზე ხელის ანაბეჭდი. დაელოდეთ გაშრობას.
- *ხელის კონტურების გაფორმება.* სთხოვეთ ბავშვებს, ფურცელზე დააწყონ ხელები, თქვენ კი შემოავლეთ კონტური. შემდეგ სთხოვეთ, გააფორმონ საკუთარი ხელის კონტური, დაახატონ სამკაული, საათი და ა.შ.

მოძრაობა



- *ხელებზე სიარული.* ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრილი ხელისგულები „სკოჩით“ დააწებეთ იატაკზე. მუსიკის თანხლებით ბავშვები მიყვებიან ხელების ნაკვალევს. მეტი ხალისისთვის ასეთი ნაკვალევი მაგიდის ან რაიმე დაბალი სივრცის ქვეშაც დატოვეთ, სადაც ბავშვი გაძრომას შეძლებს.
- შესთავაზეთ ბავშვებს იცეკვონ ისე, რომ მხოლოდ ფეხები ამოძრაონ.
- ბავშვები ერთმანეთის ხელის მტევნებს ხატავენ ქაღალდებზე. ერთი დგება ქაღალდზე, მეორე ბავშვი ან მასწავლებელი ხატავს მისი ხელის კონტურებს. ასევე მასწავლებლის ხელის მტევანს. ამ ფურცლებს ალაგებენ მათზე გამოსახული ხელის მტევნის სიდიდის მიხედვით. ვის აქვს ყველაზე დიდი ხელი? იატაკზე დალაგებულ ხელის ანაბეჭდებზე დადიან, ხტებიან ერთიდან მეორეზე, სრიალებენ. აზომებენ თავის ხელებს.

სამაგიდო



- *მოცემულ ნიმუშთან საკუთარი ხელის ზომის შედარება.* დაურიგეთ 5 კაციან ჯგუფებს ფურცლები ხელების გამოსახულებით და სთხოვეთ, ხელის ნიმუშზე დადებით შეადარონ საკუთარი ხელების ზომა. თქვან, მათი ხელი უფრო დიდია თუ პატარა (დანართი 1.5.3.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ და გაითამაშეთ, წიგნიერების დანართიდან: „სცენარი თითების სპექტაკლისთვის“.

სენსორული:

- შეურიეთ 1 ჩაის კოვზი მარილი ხელის საღებავში და ბავშვებს ისე ახატვინეთ.

დრამატული



- დახატეთ, მოიფიქრეთ და ჩაატარეთ თითების ხელების თეატრი (იხ. წიგნიერების დანართში სცენარი თითების სპექტაკლისათვის).

მეცნიერება

- 5-5 ბავშვს გამადიდებელი შუშით დაათვალიერებინეთ ხელები და თითების ანაბეჭდები.

კულინარია



- *მასალა:* 2 ჭიქა ფქვილი, 1/2 ჩ/კოვზი მარილი, 2/3 ჭიქა ზეთი, 4-5 ს/კოვზი წყალი. ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ ჯამში. მოურიეთ ხელით ან ჩანგლით. ცომი პატარა ბურთებად დაამრგვალეთ. ყოველი ბურთის შუაგულში ბავშვებს ჩააჭერინეთ ცერი. დააკვირდნენ საკუთარი თითის ანაბეჭდს. გამოაცხვეთ 325 გრადუსზე 10 წუთის განმავლობაში. გაცივების შემდეგ ამოავსეთ ჯემით ან შოკოლადის კარაქით და მიირთვით ბავშვებთან ერთად.

საღამოს წრე:

- რისთვის გამოიყენეთ ხელები დღეს?
- რა აღმოაჩინეთ თქვენი თითების ანაბეჭდების შესახებ?

3. ფეხები და თითები

დილის წრე



- დახვდით პატარებს შესასვლელ კარებთან და სთხოვეთ, რომ ხტუნვა-ხტუნვით წამოგყვნენ სათამაშო ადგილისკენ.
- ჩამოათვლევინეთ, რისთვის სჭირდებათ ფეხები?
- რას იცვამენ ფეხზე?
- წაუკითხეთ ლექსი „არსენა“ (წიგნიერების დანართი).

უთხარით ბავშვებს, რომ დღის თემა ფეხები და ტერფებია. სთხოვეთ, ყურადღება სხეულის ამ ნაწილებზე გაამახვილონ.

ხელოვნება

- *ფეხის ფორმის წიგნი.* შუაში გაკეცეთ ფურცელი. შემოხაზეთ ბავშვის ტერფი და გამოჭერით. დააწერეთ ბავშვის სახელი. გააფორმებინეთ ბავშვებს ტერფის ფორმის წიგნები.



- *ფეხის ფორმის თოჯინები.* დააყენეთ ბავშვები ფერად ფურცლებზე, შემოხაზეთ ტერფების კონტური, გამოჭერით და ქუსლთან დააწებეთ პატარა ხის ჯოხი (შპადელის ან ნაყინის) იმისთვის, რომ ხელში დაჭერა შეძლოს. მიღებულ ხელნაკეთ „თოჯინაზე“ ბავშვს დაახატვინეთ სახე.



მოძრაობა



- წრის შუაგულში მოათავსეთ კალათა, სთხოვეთ ბავშვებს უფეხსაცმელო ფეხებით აიღონ მცირე ზომის რბილი ბურთები (ბურთები შესაძლებელია გავაკეთოთ წინდებისგანაც) იატაკიდან და მოათავსონ კალათში. ეს აქტივობა მცირე ჯგუფებში (8-10 ბავშვი) განახორციელეთ.
- მარჯვენა და მარცხენა. სტიკერი მოათავსეთ ყველა ბავშვის მარჯვენა ფეხსაცმლის წვერზე. აჩვენეთ მარჯვენა და მარცხენა, ამის შემდეგ კი მიეცით შემდეგი სახის დავალებები: დადექით მარჯვენა ფეხზე, ასწიეთ მარცხენა ფეხი მაღლა, გადმოდგით წინ მარჯვენა ფეხი და ა. შ. დაიწყეთ ტერფების მოძრაობებით.

სამაგიდო



- *ცხრილი, ადამიანის სხეულის ნაწილების დათვლა.* გააკეთეთ თვალსაჩინო ცხრილი და ბავშვებთან ერთად შეავსეთ, რამდენი თავი აქვს ადამიანს, ხელი, ფეხი, თითები?



მეცნიერება

- აჩვენეთ ბავშვებს, თუ როგორ ნაკვალევს ტოვებს სხვადასხვა ცხოველი (დანართი 1.5.4.).
- სთხოვეთ ბავშვებს, ნამიან ქვიშაში დატოვონ ნაკვალევი და დააკვირდნენ, შეადარონ სხვადასხვა ფეხსაცმლის ნაკვალევი.

საღამოს წრე

- რომელი თამაში მოგეწონათ დღეს ყველაზე მეტად?
- რა გაიგეთ ფეხების შესახებ?
- ძნელია, საგნების აღება ფეხების მეშვეობით?
- რითი ჰგავს თქვენი ფეხის თითები ხელის თითებს? რითი განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან?

4. სახე და სახის ნაკვთები

დილის წრე



- სთხოვეთ ბავშვებს, საკუთარი სხეულის ნაწილები სარკეში ყურების დროს დაასახელონ. ასევე სთხოვეთ, მიიღონ სახის სხვადასხვა გამომეტყველება. დააკვირდნენ, როგორ იცვლება სახის მიმიკა სხვადასხვა ემოციის დროს.

ხელოვნება

- წინასწარ გაამზადეთ სახის კონტური, დაურიგეთ ბავშვებს ფანქრები და სთხოვეთ, მიუხატონ თვალები, ცხვირი, პირი, თმა და გააფერადონ (დანართი 1.5.5.).
- *სარკის დამზადება ფოლგის გამოყენებით.* წინასწარ გამოჭერით ფოლგა და მუყაო ოთხკუთხედებად, ოვალებად. გარდა ამისა, მოიმარაგეთ სხვადასხვა მასალა სარკის ჩარჩოს გასაფორმებლად. ემულსიის საშუალებით დააწებებინეთ ბავშვებს ფოლგა მუყაოზე, ზემოდან გაუკეთონ ასევე მუყაოს ჩარჩო. გააფორმონ სარკის ჩარჩო სხვადასხვა მასალით.

მოძრაობა



- დიდი ყუთისგან (1 კვ.მ.) გააკეთეთ კამათელი. გვერდებზე დააწებეთ სხეულის ნაწილების გამოსახულება. ბავშვები აგორებენ კამათელს, რომელზეც გამოსახულია: ცხვირი, პირი, თვალები, ყურები, თმა, ხელები და ა.შ. სხეულის რა ნაწილზეც დაჯდება კამათელი, ის ნაწილი გვიჩვენონ ბავშვებმა საკუთარ თავზე ან გვერდით მყოფზე.



სამაგიდო



- სთხოვეთ ბავშვებს, ცომის ან პლასტელინისგან გააკეთონ სახის ნაკვთები (თვალები, ცხვირი, პირი, თმები) და დააკრან ქაღალდზე.
- *ჩემი თვალები.* გამოჭერით თვალის ფორმის ფურცელი (დანართი 1.5.6.), მიეცით ბავშვებს სარკე. დააკვირდნენ თვალებს. შემდეგ აფერადებენ ჯერ წრის შუაგულს შავად, დანარჩენ ნაწილს კი თავიანთი თვალების ფერად. ბავშვებს აარჩევინეთ შავი ან ყავისფერი ფანქრები იმისთვის, რომ თვალების გარშემო მიახატონ წამწამები.

წიგნიერება/მეტყველება

- სახის ნაკვთების დამაგრება სახეზე. მაგნიტურ დაფაზე შემოხაზეთ სახის ოვალი. სთხოვეთ, სათითაოდ აირჩიონ მაგნიტური ნაკვთები და სახეზე მიამაგრონ და თან თქვან: „მე ვირჩევ თვალებს. თვალებს ვამაგრებ სახეზე.“
- წაუკითხეთ ბავშვებს „კომბლე“. გააკეთეთ ინსცენირება (წიგნიერების დანართი).

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს სახის შესახებ?
- ჩამოათვლევინეთ სახის ნაწილები.
- ჩამოათვლევინეთ, რისი გამოხატვა შეიძლება სახის მიმიკის მეშვეობით.

მე და ჩემი გარემო

1. მე და ჩემი სამყარო
2. ჩემი ოჯახი
3. მშობლები
4. ბებია-ბაბუა
5. ჩემი და-ძმა
6. ჩემი ბაღი
7. მეგობრები ბაღში

1. მე და ჩემი სამყარო

დილის წრე



- ჩაიხედეთ სარკეში და აღწერეთ საკუთარი თავი. რა ფერის (და რამდენი) თვალი გაქვთ, რა ფერის და როგორი თმა და ა.შ. აღწერეთ, რა გაცვიათ. უთხარით, რომ ეს გარეგნული ნიშნებია.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩაიხედონ სარკეში და აღწერონ საკუთარი თავი.
- შემდეგ ისაუბრონ, რისი კეთება უყვართ, როცა სახლში არიან, რომელია მათი საყვარელი საჭმელი, რას თამაშობენ, როგორ იძინებენ.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ საკუთარი თავი.
- წინასწარ, მოიმარაგეთ ფანქრის ნათალი და ნაფხვენები, დაურიგეთ ბავშვებს გოგონას და ბიჭუნას გამოსახულება ბავშვის სქესის შესაბამისად. სთხოვეთ, ნაფშხვენებით ტანსაცმლის გაფორმება (დანართი 1.6.1.).
- დაურიგეთ ბავშვებს გოგონას ან ბიჭუნას პორტრეტი და გააფორმებინეთ ფერადი საქსოვი ძაფებით (დანართი 1.6.2.).

მოძრაობა



- „მე ვარ შენი ჩრდილი“. ბავშვებს სვამთ იატაკზე და ეკითხებით, რომელს სურს იყოს თქვენი ჩრდილი. ბავშვი დგება თქვენ უკან და ცდილობს ზუსტად გაიმეოროს თქვენი მოძრაობები. თქვენ დადიხართ ხან ძალიან ნელა, ხან – სწრაფად, ხან თითის წვერებზე, ხან ჩაკუზული, ხან მუხლების მაღლა აწევით, ხან ტაშის შემოკვრით, და ა.შ. ამ დროს დანარჩენები იატაკზე სხედან, გაკვირდებიან და შეიძლება ითვლიდნენ კიდეც, მაგალითად, ათამდე. შემდეგ მეორე მსურველი იწევს ხელს და ის განასახიერებს თქვენს ჩრდილს. შემდეგ წამყვანის როლი მიეცით ბავშვებს.

სამაგიდო



- დაურიგეთ ბავშვებს ფურცლები წარწერით „რაც ყველაზე ძალიან მიყვარს“ და ძველი ჟურნალ-გაზეთები. სთხოვეთ, ამოჭრან რაც უყვართ და მოსწონთ (საყვარელი ფერი, კერძი, და ა.შ.). დააკრან ფურცელზე. ყველა ფურცელს დააწერეთ ბავშვის სახელი.
- მათემატიკა. შეავსებინეთ ბავშვებს ცხრილი „სახელები“. რამდენ ბავშვს ჰქვია ერთი და იგივე სახელი.



წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ბიძინას ნატვრისთვალი“. ჰკითხეთ, თავად რომ ჰქონდეთ ნატვრისთვალი, რას ინატრებდნენ?

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს საკუთარი თავის შესახებ?
- რომელი საქმიანობით გაერთნენ ყველაზე მეტად?

2. ჩემი ოჯახი

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა არის, მათი აზრით, ოჯახი. ისაუბრეთ, თუ როგორ უნდა ზრუნავდნენ ერთმანეთზე ოჯახის წევრები.
- თითებით თამაში „ოჯახი“. სთხოვეთ ბავშვებს მოიფიქრონ, რომელი თითი ოჯახის რომელი წევრი იქნება. მაგ. აჩვენეთ თქვენი ხელი და უთხარით, რომ ეს ოჯახია. შემდეგ დაითვალეთ რამდენი წევრისგან შედგება ოჯახი. ისიც აღნიშნეთ, რომ ბევრნაირი ოჯახი არსებობს, შეიძლება იყოს 2-3 წევრიანი (მხოლოდ დედა და ბავშვი, მხოლოდ მამა და ბავშვი ან სხვა) და ა.შ.
- წინასწარ სთხოვეთ მშობლებს, მოიტანონ ბავშვების და ოჯახის ფოტოები. დაათვალიერებინეთ ბავშვებს ფოტოები, სთხოვეთ, ამოიცნონ საკუთარი თავი (მოაყოლეთ ოჯახურ ფოტოზე ვინ არიან გამოსახული). გააკეთეთ ჯგუფური კოლაჟი.

ხელოვნება

- *წიგნი: „მე და ჩემი ოჯახი“.* სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ თავისი თავი ოჯახთან ერთად, თავისი ოჯახის წევრები ცალ-ცალკე, საკუთარი სახლი, რას აკეთებენ ოჯახის წევრებთან ერთად. აკინძეთ ნამუშევრები ერთად და მიაწერეთ ბავშვების კომენტარები, გაუკეთეთ ყდა და მიეცით წიგნის სახე. შეგიძლიათ ეს აქტივობა რამდენიმე დღეზე გადაანაწილოთ.

- მოიმარაგეთ ბამბის თეთრი წინდები. საქსოვი ძაფისა და ფლომასტრების მეშვეობით შექმენით ხელის თოჯინები (ოჯახის წევრების). გამოიყენეთ დრამატულ ცენტრში.



- ბავშვებს იატაკზე, წრეზე სვამთ. თქვენ კი აკეთებთ ისეთ მოძრაობას, თითქოს მოგაქვთ დიდი, მძიმე ყუთი. შემდეგ ჯდებით ბავშვებთან ერთად და იწყებთ გამოცანების ამოლაგებას ყუთიდან: წარმოსახვით ამოგაქვთ წარმოსახვითი ყუთიდან სხვადასხვა საგნები (მაგალითად: ფუნჯი – და განასახიერეთ ფუნჯით ხატვა ჰაერში; სათვალე, ბურთი, კბილის ჯაგრისი, ჭიქა, ქუდი, ფეხსაცმელები, სავარცხელი, უთო, ტელეფონი, ქოლგა და ა.შ.) და ასრულებთ ამ საგნების შესაბამის მოძრაობას (მანიპულირებას საგნით). ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რა საგანი ამოიღეთ და შემდეგ ეს მოქმედება ყველამ ერთად გაიმეოროს ამ წარმოსახვითი საგნით.

სამაგიდო



- ლოტო – ოჯახის წევრები. დაამზადეთ ლოტო დანართის მიხედვით და ათამაშეთ (დანართი 1.6.3.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ჩვენი ტკბილი ოჯახი“ ისაუბრონ საკუთარი ოჯახის შესახებ.

დრამატული



- მისასხურებელ ბოთლში ჩაასხით წყალი, მიასხურეთ ავეჯს. დაურიგეთ ბავშვებს ნაჭრები და წაახალისეთ, გაწმინდონ. მიეცით ბავშვებს საშუალება, მიასხან სპრეით სითხე ავეჯს (ფრთხილად! თვალში არ შეისხან! აჩვენეთ, საიდან გამოდის სითხე და რა მიმართულებით უნდა იყოს ხვრელი).

საღამოს წრე

- ჰკითხეთ: რა გაიგეს ახალი ოჯახის შესახებ?

3. მშობლები

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა არის მშობლის საქმე, რას აკეთებენ სახლში, გარეთ, როგორ ზრუნავენ შვილებზე.
- დაათვალიერებინეთ სურათები, სადაც გამოსახული იქნება დედა და მამა სხვადასხვა საქმის კეთებისას. ერთი წინადადებით აღაწერინეთ ბავშვებს სურათები (მაგ. დედა სადილს ამზადებს, მამა პატარას აბანავებს) (დანართი 1.6.4.). გაითვალისწინეთ, რომ ზოგ ოჯახში შეიძლება იყოს მხოლოდ დედა, ზოგან მხოლოდ მამა, ზოგან კი ბებია-ბაბუა ზრდის ბავშვებს.
- ისაუბრეთ, როგორ ზრუნავენ ცხოველები ნაშიერებზე. რითი ჰგვანან ადამიანებს, დაათვალიერებინეთ ფოტოები.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფორმის მაკარონი და შეაღებვინეთ ბავშვებს საღებავით, გაშრობის შემდეგ ააწყობინეთ სქელ ძაფებზე მძივები დედებისათვის (დისთვის, დეიდისთვის ან ახლობელი ქალისთვის).
- დაურიგეთ ბავშვებს თიხა და სთხოვეთ, მამის, ძმის, ბაბუის ან ახლობელი კაცისთვის სხვადასხვა ფორმის საგნები გამოძერწონ.

მოძრაობა



- ერთი ბავშვი გამოდის ჯგუფის წინ. ყურში ჩასჩურჩულეთ სახლის საქმე. მაგ, უთოობა, სარეცხის გაფენა, მტვრის გადაწმენდა, ჭურჭლის გარეცხვა. სთხოვეთ ბავშვს, განასახიეროს. გაითვალისწინეთ, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა. აქტივობა 7-10 ბავშვიან ჯგუფში განახორციელეთ.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი: წინსაფარზე ზოლების მოხატვა (დანართი 1.6.5.).

დრამატული



- მოაწყვეთ დრამატულ ცენტრში ოჯახური გარემო. სთხოვეთ ბავშვებს, გაინაწილონ როლები და ითამაშონ ოჯახობანა. შეასრულონ სხვადასხვა ოჯახური, ყოფითი საქმიანობები.

წიგნიერება/მეტყველება

- წაუკითხეთ: „დედა“, „ყველაზე ლამაზო“, „მამიკოს გასაჭირი“, „მოჭიდავე“.
- გაახსენეთ დედასთან დაკავშირებული ლექსიკა.
- დაასრულებინეთ ბავშვებს წინადადებები: „მე მიყვარს დედა იმიტომ, რომ...“ „მე მიყვარს მამა იმიტომ, რომ ...“ (ჩაიწერეთ ბავშვების გამონათქვამები).

კონსტრუქციული



- მუყაოს ყუთით დაამზადებინეთ ბავშვებს საოჯახო ავტომობილი.
- უფრო დიდი ყუთისაგან შეგიძლიათ მოაწყოთ ავტოფარეხიც.

საღამოს წრე

- მოიფიქრონ, ამ საღამოს ოჯახში რითი დაკავდებიან?
- რითი დაეხმარებიან უფროსებს?

4. ბებია-ბაბუა

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, ვინ ცხოვრობს ბებია-ბაბუასთან ერთად? რას აკეთებენ ერთად?
- ჰკითხეთ, რაში ეხმარებიან ბებია-ბაბუას, რაში ეხმარებიან ისინი ბავშვს?

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, მოიტანონ ბებია-ბაბუას, მშობლებისა და საკუთარი ფოტოები. მოიმარაგეთ სამი, ფოტოების შესაბამისი ზომის, ფერადი მუყაო. გადააბით ერთმანეთზე ლენტებისა და სტეპლერის მეშვეობით. დააწებეთ ზემოთ ბებია-ბაბუას, შუაში – მშობლების, ქვემოთ კი – ბავშვების ფოტოები. გააფორმებინეთ დარჩენილი მუყაოს ადგილები ფერადი ფლომასტერითა და ბრჭყვიალა წებოთი.

- წინასწარ მოამზადეთ ბებია-ბაბუას სერთიფიკატი „განსაკუთრებულ ბებიას“, „განსაკუთრებულ ბაბუას“ და გააფორმებინეთ ბავშვებს (დანართი 1.6.6.). სერთიფიკატში სხვადასხვა ტექსტი შეგიძლიათ ჩაწეროთ (ამის შესახებ ჰკითხეთ ბავშვებს). მაგ „დიდი მადლობა, გემრიელი კერძებისათვის, რომელსაც მიმზადებ“; ან „დიდი მადლობა, თბილი ჩახუტებებისა და კოცნებისათვის“; „დიდი მადლობა, მოყოლილი ზღაპრებისთვის“; „დიდი მადლობა, დაცვისთვის“; „დიდი მადლობა, ძველი ამბების მოყოლისთვის“.
- წინასწარ მოიმარაგეთ მუყაოს დიდი ნაჭერი, გამოჭერით თალგამის ფორმა და წაახალისეთ ბავშ-

ვები შეღებონ. მოიმარაგეთ 3,5 – 4 მ. სიგრძის მსხვილი თოკი ან დიდი, დაგორგოლავებული ნაჭერი. თალგამი შუაში გახვრიტეთ და თოკი გაუყარეთ. დაყავით ჯგუფი 6 კაციან გუნდებად და თითო გუნდთან მორიგეობით თითო უფროსის მონაწილეობით ითამაშეთ. დაიწყეთ ,,თალგამი"-ს მოყოლა და იკითხეთ ვინ იქნება პაპა/ბაბუა, რომელმაც თალგამი დათესა. ,,ბაბუა" თოკს ჩაებას ერთი მხრიდან, მეორე მხრიდან კი დანარჩენი ბავშვები ჩაამწკრივეთ. მწკრივის ბოლოს თქვენ ჩაებით, მოყოლა განაგრძეთ და თოკის მოქაჩვის ძალაც აკონტროლეთ. თხრობასთან ერთად, სიტყვებზე ,,წიეს, წიეს და ვერ ამოსწიეს" წაახალისეთ თალგამის ორივე მხარეს მყოფი ბავშვები თოკი მოქაჩონ. გააგრძელეთ თხრობა და ჩამოთვლილ პერსონაჟებთან ერთად თითო ბავშვი (ჯერ ბებია, შემდეგ მაშა და ა.შ.) ერთი მხრიდან თოკის მეორე მხარეს გადაირბენს და ბაბუას თალგამის ამოღებაში დაეხმარება. სულ ბოლოს, როდესაც წრუწუნაც თოკის მეორე მხარეს აღმოჩნდება და ,,თალგამის" უკან მხოლოდ თქვენ დარჩებით, სიტყვებზე ,,წიეს, წიეს და თალგამი ამოსწიეს" ფრთხილად და ნელი ტემპით, თანდათან გააყოლეთ ხელი თოკს, ისე რომ ბავშვები უვნებლად და მხიარულად დაეშვან იატაკზე.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი: განსხვავების პოვნა ბებიების სურათებს შორის (დანართი 1.6.7.).
- სამუშაო ფურცელი: დიდი და პატარა ფეხსაცმლის ნახატების დაწყვილება (დანართი 1.6.8).

დრამატული



- მიეცით ბავშვებს ტანსაცმელი, რომ დაკეცონ.

წიგნიერება/მეტყველება

- წაუკითხეთ: „ციალას წერილი", „ბაბუა და შვილიშვილი", „ნუღარ დამიბერდები", „ჩვენი ბებო", „თითის წვერზე".

კულინარია



- მოიპატიჟეთ ჯგუფში რომელიმე ბავშვის ბებია და სთხოვეთ, ბავშვებთან ერთად ნამცხვრის დამზადება.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, ააშენონ ბებია-ბაბუას სახლი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, მოეწონათ თუ არა დღევანდელი თემა?
- რითი გაახარებენ ბებიას და ბაბუას?
- რომელი საქმიანობა მოეწონათ დღეს?

5. და-ძმა

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ დღის თემა და-ძმაა. გააკეთეთ დაფაზე ცხრილი რამდენს ჰყავს და, რამდენს – ძმა და რამდენს – არც ერთი.
- მოაყოლეთ ბავშვებს, როგორ თამაშობენ და-ძმასთან ერთად.

ხელოვნება



- *„ყვავილები დაიკოს“* სთხოვეთ ბავშვებს, თეთრ ქაღალდზე თითების საღებავით დახატონ სხვადასხვა ფორმის და ფერის ყვავილები, შემდეგ გამოჭრან და ჩაუჭრან გული. მწვანე ფერის ქაღალდი დაახვიონ ღეროსავით, გაუყარონ ჭრილებში და დააწებონ გულებში.
- *„საჩხარუნო“:* იოგურტის ცარიელ ქილებში ჩაყარეთ მარცვლეული, დაამაგრეთ მუყაოს თავსახური სტეპლერის გამოყენებით და შემოახვიეთ ბრჭყვიალა ფოლგა.

- *ბავშვის პლედი.* (ბავშვები გამოიყენებენ როლური თამაშისას, ჩვილი თოჯინის გასახვევად). ოთხკუთხედებად გამოჭრილი სხვადასხვა ფერის ქსოვილები თექაზე დააწებებინეთ.



მოძრაობა



- იატაკზე იზოლენტა დააწებეთ. ეს იქნება სასტარტო ხაზი. შემდეგ კი ბავშვები შეაჯიბრეთ, ვინ უფრო შორს გადახტება.

სამაგიდო



- კლასიფიკაცია. ბავშვებს ამოაჭრევინეთ ჟურნალებიდან ადამიანის ფოტოები და სთხოვეთ, დააჯგუფონ: „ბავშვები“ და „მშობლები“. ფოტოები ცალ-ცალკე დააწებონ. ალტერნატიული ვარიანტი: დაახარისხებინეთ ბავშვებს სურათები იმის მიხედვით – და არის თუ ძმა.
- სამუშაო ფურცელი: გააფერადე სკოლის ჩანთა (დანართი 1.6.9.).

კონსტრუქციული ლოგო



- მუყაოს ყუთისაგან დაამზადებინეთ ბავშვებს თოჯინის საწოლი, ჩააფინეთ თოჯინის თეთრეული და გამოიყენეთ დრამატულ ცენტრში.

წიგნიერება/მეტყველება

- წაუკითხეთ: „კეთილი ძმა“ წიგნიერების დანართიდან.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, ვის ვისი ყოლა სურს (კიდევ ერთი და, უმცროსი ძმა, უფროსი და და ა.შ. აქცენტი გააკეთეთ სიტყვებზე: „უმცროსი,“ „უფროსი“)?
- დაფიქრდნენ, თვითონ როგორი და-ძმები არიან?

6. ჩემი ბაღი

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა საბავშვო ბაღია.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვალონ, რას აკეთებენ ბაღში ხალისით და რას – უხალისოდ.
- გაიხსენონ ბავშვებმა, რას ფიქრობდნენ ბაღზე, სანამ მოვიდოდნენ. როგორი იყო ბაღის პირველი დღეები მათთვის.

ხელოვნება



- წინასწარ დაბეჭდეთ ბაღის ფოტოები (ოთახების, ეზოს) შემდეგ დაათვალიერებინეთ ბავშვებს და მათ მიერ არჩეული ფოტოებით დაამზადეთ ფოტოკოლაჟი მათივე კომენტარებით.
- *წიგნი: „ჩემი ბაღი“.* წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ბაღის სხვადასხვა ადგილები, სამზარეულო, მუსიკის ოთახი, ეზო. აკინძეთ წიგნი, გაუკეთეთ კომენტარები ბავშვების კარნახით, რატომ აირჩია ეს ადგილი დასახატად, რატომ მოსწონს ან არ მოსწონს.

კულინარია



- წაიყვანეთ ბავშვები ბაღის სამზარეულოში და გააცანით მზარეულები და აჩვენეთ, როგორ მზადდება მათთვის საკვები.

სამაგიდო



- გამოჭერით დანართში მოცემული ნახატები, გაუკეთეთ ლამინირება. სთხოვეთ ბავშვებს, თანმიმდევრულად დაალაგონ ბარათები (დანართი 1.6.10.).

წიგნიერება/მეტყველება

- უთხარით, რომ ხანდახან ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მაგ. „ბაღი“.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ მუყაოს ცარიელი ყუთები. ბავშვები დაყავით 5 კაციან ჯგუფებად. ცალკეულმა ჯგუფებმა მუყაოს ყუთისა და სხვადასხვა მასალებით (კუბები, პატარა კაცუნები, ქაღალდები, ნაჭრები) ააშენონ საბავშვო ბაღი და მოაწყონ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რომელი საქმიანობა მოეწონათ დღეს?
- თავად რომ იყვნენ დიდები, რად იმუშავებდნენ ბაღში?

7. მეგობრები ბაღში

დილის წრე



- წაუკითხეთ და დაათვალიერებინეთ „რწყილი და ჭიანჭველა“ (გამომცემლობა პალიტრა L. 2011 წ.) და ისაუბრეთ მეგობრობის შესახებ (წიგნის არ ქონის შემთხვევაში, იხ. დანართი ოჯახი და მეგობრები. 4-5 წ.).
- ესაუბრეთ ბავშვებს მეგობრობის შესახებ, ყურადღება გაამახვილეთ: რას აკეთებენ მეგობრები ერთმანეთისთვის, როგორ ზრუნავენ ისინი ერთმანეთზე.

ხელოვნება



- *ხატვა მეგობართან ერთად.* გააკარით კედელზე ძველი შპალერის ქაღალდი სიგანეზე და წაახალისეთ ბავშვები ერთმანეთის გვერდიგვერდ ხატონ.
- *მეგობრის პორტრეტი.* დააწყვილეთ ბავშვები და სთხოვეთ, ადგნენ და დააკვირდნენ მეწყვილეს. უთხარით, თითოეული ახლოდან დააკვირდეს მეგობარს: დაიმახსოვროს რა ფერის და როგორი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი აცვია, რა ფერის თვალები და თმა აქვს, რა სიგრძის თმა აქვს ან როგორ აქვს შეჭრილი და ა.შ. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ მეწყვილეები და მიაწერონ, ვის მიერ არის დახატული (მასწავლებლის დახმარებით).

მოძრაობა



- *ბავშვები დგებიან წრეში, ასახელებენ მეგობრის სახელს და მხოლოდ ამის შემდეგ უგდებენ ბურთს.*
- *მეგობართან ცეკვა.* წაახალისეთ ბავშვები, იცეკვონ წყვილებში: ხელჩაკიდებულებმა, ერთად გაძვრნენ თაღში, ერთად ახტნენ. წაახალისეთ ბავშვები, მოიფიქრონ, კიდევ რა მოძრაობები შეიძლება გააკეთონ ერთად.

წიგნიერება/მეტყველება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „დათუნია დრუნჩა“, „საქანელა“ (3-4 პროსოციალური ქცევა). ჰკითხეთ, რომელს შეეძლო მეგობრებისთვის რაღაცის გაზიარება, დათუნიას თუ მელიას. შეეცოდათ დათუნია, თვითონ რომ აღარაფერი დარჩა? შესთავაზეთ, დახატონ „დათუნია დრუნჩას“ პერსონაჟები და ყველას გაუნაწილონ თაფლი, მათ შორის დრუნჩასაც.

კონსტრუქციული



- *მეგობრობის ხალიჩა.* (თანამშრომლობა). წინასწარ მოიმარაგეთ პატარა ზომის ხალიჩები და ასაწყობი მასალა (ლეგო, ფაზლი ა.შ.). ერთმანეთისგან მოშორებით დააფინეთ პატარა ხალიჩები, თითოეულზე მოათავსეთ ასაწყობი მასალა. წაახალისეთ, წყვილი ჩამოჯდეს ერთ ხალიჩაზე და ითამაშონ ისე, რომ ერთმანეთს ნივთები გაუზიარონ.

მეცნიერება

- *მეგობრის ანაბეჭდები.* წინასწარ მოიმარაგეთ: საღებავი, ქაღალდი, ფლომასტერი, გამადიდებელი შუშა. წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ იმაზე, რით ჰგვანან და რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. აუხსენით, რომ თითის ანაბეჭდები, მართალია, ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ არც ერთი ზუსტად ერთნაირი არ არის. ჩამოწერეთ ქაღალდზე ბავშვების სახელები. წაახალისეთ ბავშვები, ჩააწონ მელანში თითი და საკუთარი სახელის ქვეშ თითის ანაბეჭდი დატოვონ. შემდეგ მიეცით საშუალება, დააკვირდნენ ანაბეჭდებს გამადიდებელი შუშით, რომ დარწმუნდნენ განსხვავებაში.

კულინარია



- *მეგობრული სამხარი. „ბოსტნეულის სალათი“.* წინასწარ მოიმარაგეთ მოხარშული ბოსტნეული (კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი). სთხოვეთ ბავშვებს, დაჭრან, ერთმანეთში აურიონ და ერთმანეთს გაუმასპინძლდნენ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი მეგობრობაზე?
- რატომ არის მნიშვნელოვანი მეგობრების ყოლა?
- დაახასიათონ, როგორი უნდა იყოს კარგი მეგობარი, დაფიქრდნენ, თავად თუ არიან ასეთები?

პროსოციალური ქცევა

1. კარგი მანერები
2. გაზიარება. თხოვება. რიგის დაცვა
3. კონფლიქტის გადაჭრა
4. დახმარება
5. როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ადგილებში (ქუჩასა და სუფრასთან ქცევის წესები)
6. როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ადგილებში (მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში)

1. კარგი მანერები

დილის წრე



- იმსჯელეთ, რა არის კარგი მანერები (სწორი ქცევის წესები). გააკეთეთ ზოგიერთი მარტივი ქცევის დემონსტრირება (მაგ. მისალმება, გაღიმება). აუხსენით, რომ ასეთი ქცევები გვეხმარება სხვებთან ურთიერთობაში, სხვა ადამიანის მიმართ პატივისცემის გამოხატვაში. მარტო რომ ცხოვრობდნენ რომელიმე კუნძულზე, რა თქმა უნდა, ასეთი ქცევები და მანერები მათ არ დასჭირდებოდათ.
- სთხოვეთ ბავშვებს, თავად ჩამოთვალონ თავაზიანი ქცევები. შემდეგ ახსნან, მათი აზრით, რაში ეხმარებათ ასეთი ქცევა.
- წარმოიდგინონ, რა მოხდება, არავინ რომ არ მოიქცეს წესიერად.
- იმსჯელეთ, ასევე რას გამოხატავს სიტყვა „შეიძლება?“ როდის ვიხდით ბოდიშს, ვამბობთ მადლობას.
- ჩამოთვალონ, კიდევ რა ქცევის წესები იციან და ჩამოწერეთ დაფაზე: ვიცავთ რიგს, ვაცლით სხვას საუბრის დასრულებას, ვიღიმით, არ ვკრავთ ხელს სხვას, არ ვჩხუბობთ, ვალაგებთ ჩვენს დაყრილს, არ ვეჩურჩულებით მეგობარს სხვისი თანდასწრებით.

ხელოვნება

- თავაზიანი ქალბატონი ფუტკარი. დაამზადებინეთ ბავშვებს ფუტკრები. ამისათვის დახატეთ გაღიმებული სახე ყვითელ ერთჯერად თეფშზე. მეორე თეფშზე – წარბშეჭმუხნილი. შავად შეღებეთ ნაყინის ხის ჯოხები, შავი ქაღალდებისგან გამოაჭრევინეთ პატარა წრეები და მიაწებეთ ჯოხებზე (როგორც ანტენები). დაამაგრეთ ჯოხები სახეებზე. დააწებეთ ხელის მოსაკიდებელი ჯოხიც. თეფშები ერთმანეთზე დააწებეთ. ფუტკრები წიგნიერების ცენტრში გამოიყენეთ.
- ცხვირზე ხელის მიფარება დაცემინებისას; წინასწარ მოიმარაგეთ ქაღალდის ერთჯერადი თეფშები, ქაღალდის ხელსახოცები, მარკერები, ძაფები (ის მასალები, რაც სახის გაკეთებაში გამოგადგებათ). ბავშვებმა თეფშებისგან სახეები გააკეთონ. ქაღალდზე ბავშვებმა თავიანთი ხელები შემოხაზონ და გამოჭრან. მიაწებონ დაჭმუჭნული ხელსახოცი ცხვირზე და ზემოდან ქაღალდის ხელები დააწებონ. ისაუბრეთ, როგორ უნდა დაიფარონ ცხვირი დაცემინებისას და თქვან: „უკაცრავად“ (აქვე ისიც უთხარით, რომ ცემინების შეკავება არ შეიძლება).

მუსიკა და მოძრაობა



- წრიულად დასხით ბავშვები. მოიმარაგეთ მუსიკალური ან დასარტყამი ინსტრუმენტი. სთხოვეთ ბავშვებს, ინსტრუმენტი ერთმანეთს გადააწოდონ და იმდენჯერ დაარტყან, რამდენი მარცვლისგანაც შედგება მისი სახელი, მაგ. ა-ნა (2 დარტყმა).

სამაგიდო

მანერების ცხრილი. გააკეთეთ დიდი ცხრილი. ჰკითხეთ ბავშვებს ჩამოთვალონ სიტუაციები, როდესაც თავაზიანი სიტყვები – „თუ შეიძლება“, „მადლობა“ – უნდა გამოიყენონ. ცხრილი თქვენ შეავსეთ და ბავშვებმა სურვილისამებრ ჩახატონ.

დრამატული



- ავარჯიშეთ ბავშვები თავაზიან ქცევებში და გაათამაშეთ შემდეგი სცენარები: ერთმანეთს ხელი ჩამოართვან და რამე სასიამოვნო უთხრან. თქვენც დაეხმარეთ, მაგ. „მადლობ, რომ მაგიდის ალაგებაში დამეხმარე“; ან „ძალიან მომწონს, როგორ აშენებ კუბიკებით“; „მადლობ, რომ სათამაშო მათხოვე“.

წიგნიერება

- *თავაზიანი ქალბატონი ფუტკარი.* წაუკითხეთ ბავშვებს სხვადასხვა სიტუაციები და სთხოვეთ, გამოიცნონ, მოეწონებოდა თუ არა თავაზიან ფუტკარს ეს საქციელი. თუ კი, მაშინ გაღიმებული სახე ასწიონ, თუ არა – მოწყენილი. მაგალითები თქვენი გამოცდილებიდანაც შეგიძლიათ მოიყვანოთ (მაგ. რიგის დაცვაზე, ჩხუბზე, სათამაშოს გაზიარებაზე და ა.შ). სთხოვეთ ბავშვებს, სცენარები თავადაც მოიფიქრონ და სათითაოდ მოყვნენ.
- სცენარები: 1) პეპელა პელომ თქვა: „თუ შეიძლება ყვავილი მომაწოდეთ“. 2) როდესაც კალია კალეს გაუმასპინძლდნენ, მან „დიდი მადლობა“ გადაუხადა. 3) უფროსმა ფუტკარმა თავისი ძმა სკიდან გამოაგდო. 4) ჭიანჭველა დინჯად ელოდებოდა თავის რიგს. 5) მუხლუხო კარლო ჩუმად ღრღნიდა ფოთოლს. 6) მუხლუხო მიხო კი სავსე პირით ლაპარაკობდა. 7) ობობა ბობი თავისი საჭმლით თამაშობდა. 8) ჭრიჭინა კეკე სხვა ჭრიჭინასთან ერთად ჭრიჭინებდა. 9) ჭრიჭინა მაშომ ბოდიში მოიხადა, სანამ სხვას ჭრიჭინი შეაწყვეტინა. 10) ჭიამაია მაიამ ნებართვის გარეშე აიღო სხვისი ფოთოლი.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „მაღაზიაში“. იმსჯელეთ პერსონაჟების საქციელზე.
- წაუკითხეთ: „ჩუმად ფისო“; „დილავ, დილავ“; „დავემალოთ“; „წარწერა წყაროზე“.

მეცნიერება

- ქცევაზე დაკვირვება. მოამზადეთ ყულაბის მსგავსი ყუთი (შეგიძლიათ მუყაოს ყუთისგან დაამზადოთ), რომელსაც „კარგი ქცევის ყუთს“ დაარქმევთ. ყუთი ბავშვებს გააფორმებინეთ. აუხსენით ბავშვებს, დააკვირდნენ ერთმანეთს მთელი დღის განმავლობაში და რამდენჯერაც ერთმანეთის კარგ საქციელს შეამჩნევენ, იმდენი ბარათი ჩააგდონ ყუთში. ბარათები თქვენ შეავსეთ და ბავშვებს ჩააყრევინეთ. კვირის ბოლოს გახსენით ყუთი და ყველა ბარათი ხმამაღლა წაიკითხეთ. თქვენც მიიღეთ აქტიური მონაწილეობა.

საღამოს წრე

- ბავშვებმა თავაზიანი ქცევები ჩამოთვალონ. იმსჯელონ, რაში ეხმარებათ ასეთი ქცევები.

2. გაზიარება. თხოვება. რიგის დაცვა

დილის წრე

- შექმენით შემდეგნაირი დილემა: მიეცით ბავშვებს არასაკმარისი რაოდენობის საგნები რაღაცის გასაკეთებლად (მაგ. ერთი ფანქარი სახატავად ან ხუთი სკამი შვიდი ბავშვის დასაჯდომად). ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ უნდა მოიქცნენ, რომ ამ ამოცანის შესრულებას თავი გაართვან ასეთი შეზღუდული რაოდენობის საგნებით. თუ ბავშვებს არ მოაფიქრდებათ გაზიარება, დათმობა, მაშინ თქვენ შესთავაზეთ.
- უთხარით ბავშვებს ერთდროულად ისაუბრონ. შემდეგ შესთავაზეთ ხელის აწევით მიგანიშნონ და მორიგეობით ისაუბრონ. ჰკითხეთ, რომელი ჯობია, რომელი უკეთ ესმით – ერთდროულად თუ მონაცვლეობით. ისიც აღნიშნეთ, რომ რიგის დაცვა არ არის ადვილი. ბავშვებს ბურთით დახმარება შესთავაზეთ. ვისაც ბურთს გაუგორებთ, მან უნდა გიპასუხოს. სხვებმა კი მოუსმინონ. ამ თამაშისთვის მარტივი კითხვები დასვით. მაგალითად, „რომელია საყვარელი ფერი?“ სთხოვეთ, ვისაც პასუხი უნდა, ხელი ასწიოს. ბურთი იმ ბავშვს გაუგორეთ, რომელიც ჩუმად აწევს ხელს და მოთმინებით დაელოდება თავის რიგს. თუ ასეთი რამდენიმე ბავშვია, ბუნებრივია, ყველას ერთდროულად ვერ გაუგორებთ, ასეთ შემთხვევაში დანარჩენები სიტყვიერად წაახალისეთ. პასუხის შემდეგ ბურთი უკან უნდა გამოგიგორონ. დასვით მრავალფეროვანი და სახალისო კითხვები და ხშირად გაიმეორეთ ეს თამაში.

ხელოვნება



- პანო „მეგობრობა“: ბავშვები მცირე ჯგუფებად დაყავით, თითო ჯგუფს დაურიგეთ მოზრდილი ზომის სახატავი ქაღალდი. სთხოვეთ ერთ ბავშვს დაიწყოს ნახატის ხატვა, დანარჩენებმა რიგრიგობით გააგრძელონ ან რამოდენიმემ ერთდროულად დახატოს ერთ ფურცელზე.
- ფერადი პანო. დაყავით ბავშვები ოთხკაციან ჯგუფებად. თითო ჯგუფს დაურიგეთ ერთი ფერადი ფორმატი, თაბახის ფურცლები, ერთი ფანქარი, ერთი ფუნჯი, ერთი მაკრატელი, და ერთი მშრალი წებო. ბავშვებმა უნდა დახატონ თაბახის ფურცლებზე, ამოჭრან ნახატები და დააწებონ ფორმატზე, სთხოვეთ, ერთმანეთს დაელოდონ და ათხოვონ საჭირო ნივთები.

მუსიკა და მოძრაობა

- *„ჩავეტიე“:* ჩაამწკრივეთ ჰულაჰუპები (იმდენი, რამდენი ბავშვიცაა) იატაკზე და ჩართეთ მუსიკა. ბავშვები „მოგზაურობენ“ ჰულაჰუპიდან ჰულაჰუპში. როდესაც მუსიკა ჩერდება,ბავშვები შეშდებიან ჰულაჰუპის ცენტრში. შემდეგ, მოათავსეთ ჰულაჰუპები ისე, რომ გარკვეული ფორმა შეიქმნას (ოთხკუთხედი, წრე) და სთხოვეთ ბავშვებს, მუსიკის თანხლებით იარონ ჰულაჰუპებით შექმნილი ფორმის გარშემო, მუსიკის შეწყვეტასთან ერთად კი თითოეული დგება თითო ჰულაჰუპის შიგნით. შემდეგ შეგიძლიათ თანდათან მოაკლოთ ჰულაჰუპები, და სთხოვოთ ბავშვებს, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი „ადგილი/სივრცე“, ჩადგეს რამდენიმე ბავშვი ერთ ჰულაჰუპში. ბოლოს შეიძლება მთელი ჯგუფი ორ ჰულაჰუპში მოთავსდეს.
- *სახელების წრე.* ბავშვები ხელჩაკიდებული დგანან წრეში და შემდეგ სხდებიან ძირს. პირველად კარგი იქნება თუ აღმზრდელი აჩვენებს ბავშვებს, რა მოძრაობა უნდა გააკეთონ სიმღერასთან ერთად: ადგომა, დატრიალება და დაჯდომა. ეს ყველაფერი კი სიმღერის თანხლებით ხდება: „(ბავშვის სახელი) დღეს ჩვენთან არის, ... (ბავშვის სახელი) დღეს ჩვენთან არის. დატრიალდი და დაჯექი (ბავშვის სახელი) დღეს ჩვენთან არის!“
  თამაშით ბავშვები ადვილად სწავლობენ რიგს (თამაშის დროს ყველა ბავშვს უნდა მოუწიოს რიგმა), ერთმანეთის სახელებს, მოძრაობის თანმიმდევრობას. შეიძლება ამ თამაშის ხშირად თამაში და შემდეგ გვარების ჩართვაც.

სამაგიდო



- „რისი განაწილება შეიძლება, რისი არა“: დანართის 1.7.1. მიხედვით გამოჭერით ბარათები, რომელზედაც გამოსახულია სხვადასხვა ნივთები, ჰკითხეთ ბავშვებს, რისი თხოვება შეიძლება და რისი – არა?
- „მიაღწიე საჩუქრამდე“: დიდ ფორმატზე დახატეთ უჯრედებად დაყოფილი გზა ან ამო-

ბეჭდეთ დანართი 1.7.2. ბავშვები აგორებენ კამათელს, რა რიცხვიც დაჯდება, იმდენი უჯრით წავლენ წინ. თუ კამათელზე დაჯდება წყვილი 2, 4, ან 6 ნახევარ ქულას უნაწილებენ გვერდში მჯდომს, ან მოპირდაპირე მხარეს მჯდომს (მინიშნების სახით შეგიძლიათ ჩამოწეროთ წყვილი და ლუწი რიცხვები).



კამათელზე ამოსულ ციფრს + იმდენი უჯრით წინ გადასვლა, რამდენი ნამცხვარიც არის

უკან დაბრუნება იმ უჯრაში, სადაც მიუთითებს ისარი

- სთხოვეთ ბავშვებს, წყვილებში აასხან მძივები (თითოეულ წყვილს ერთი თასმა მიეცით).

დრამატული



- წინასწარ მოიმარაგეთ ორი ტელეფონი. ასწავლეთ ბავშვებს ტელეფონზე თავაზიანი საუბარი. ჯერ თქვენ გაითამაშეთ რომელიმე ბავშვთან, შემდეგ როლები გაცვალეთ და სხვებიც ჩართეთ თამაშში. მაგ. როგორ მიესალმონ, როგორ იკითხონ მეგობარი. ასევე როგორ უპასუხონ, როცა მათთან რეკავენ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსები: „აი“, „საქანელა“, „კომში, კომში“, „კოპი“.
- მოაყოლეთ პირადი ისტორიები, ვისთვის რა გაუზიარებიათ, უთხოვებიათ. ესაუბრეთ პირად საკუთრებაზეც.

კონსტრუქციული



- კუბურებით მშენებლობა. გაუყავით ბავშვებს სხვადასხვა ფერის ან ფორმის კუბურები. სთხოვეთ ბავშვებს, ააშენონ ფერადი შენობები და გაუნაწილონ ერთმანეთს საჭირო ფერის და ფორმის კუბურები.

მეცნიერება

- საღებავების გაზიარება. დააჯგუფეთ ბავშვები სამ-სამად. სათითაოდ დაურიგეთ ერთჯერადი ჭიქები წყლით, რომელშიც ძირითადი ფერის საღებავია შერეული. ერთ ბავშვს მიეცით წითელი, მეორეს ყვითელი, მესამეს ლურჯი და ასე ყველა ჯგუფში. წინასწარ დაამზადეთ ფერების ცხრილი (ნიმუში – წითელს + ყვითელი = სტაფილოსფერი, ლურჯს + წითელი = იასამნისფერი, ყვითელი + ლურჯი = მწვანე). ასევე დაურიგეთ სამი ცარიელი ერთჯერადი

ჭიქა. სთხოვეთ ბავშვებს, თავიანთ ჯგუფებში მიიღონ დანარჩენი სამი ფერი და აღნიშნონ ცხრილში.

- წაახალისეთ ბავშვები, თეფშებიან სათამაშო სასწორზე აწონონ სხვადასხვა ნივთები და შეეცადონ გააწონასწორონ სასწორი.

კულინარია



- დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ხილი (ვაშლი, ფორთოხალი, მანდარინი და ა.შ). შესთავაზეთ ერთმანეთს გაუნაწილონ, ისე რომ ყველამ შესძლოს მრავალფეროვანი დესერტის მომზადება.

საღამოს წრე

- ბავშვებმა გაიხსენონ, რა ათხოვეს და გაუზიარეს ერთმანეთს დღეს? ისაუბრონ, როგორია, როცა სხვას გულისხმიერად ექცევი და შენც ასე გექცევიან?

3. კონფლიქტის გადაჭრა

(ბავშვებმა უნდა ისწავლონ იმპულსების მართვა. პირველ რიგში სხეულის დამორჩილება – ხელის, ფეხის და სიტყვების კონტროლი. შემდეგ დაფიქრება და სწორი გადაწყვეტილების მოძებნა)

დილის წრე



- დილის წრეზე ბავშვებს ხელზე ჩამოსაცმელი თოჯინით დახვდით. გააცანით ბავშვებს, უთხარით, რომ ძალიან გაბრაზებულია. მოუყევით: როგორ აფერადებდა, გვერდით მჯდომმა მეგობარმა როგორ გაკრა ხელი, როგორ გაუფუჭდა ნახატი და შემდეგ გაბრაზებულმა, როგორ დაარტყა მეგობარს. ამის შემდეგ როგორ არ ისურვა მეგობარმა მასთან ერთად თამაში.
- უთხარით ბავშვებს, რომ გაბრაზების უფლება ყველას აქვს და ეს ნორმალურია. უბრალოდ, არსებობს ბრაზის გამოხატვის მისაღები და მიუღებელი ქცევები. სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ, როგორ იქცევიან ისინი, როცა ძალიან ბრაზობენ (ამოცანა რომ გაუადვილდეთ, აღუწერეთ პრობლემური სიტუაციები, მაგ, მეგობარმა სათამაშო არ გათხოვა, შენთან თამაში არ ისურვა, კოშკი დაგინგრია, ცუდი რაღაც გითხრა). დასახელებული ქცევები (ბრაზის გამოხატვა) მოკლედ ჩამოწერეთ დაფაზე. გააკეთეთ ორი გრაფა. ერთი მისაღები (კარგი) ქცევის, მეორე მიუღებელი (ცუდი) ქცევის (თქვენც დაეხმარეთ ჩამოთვლაში, მაგ. ხელის დარტყმა, ცუდი სიტყვა, გაბუტვა, დაცინვა, წართმევა, მასწავლებლის დახმარება, წუხილის გამოთქმა).
- აუხსენით, რატომ არის ეს ქცევები მიუღებელი ან მისაღები. უთხარით, რომ ასეთი ქცევით პრობლემას ვერ გადაჭრიან და ბრაზი კი არ გაქრება, უფრო გაიზრდება და მეგობრები არ მოისურვებენ მასთან თამაშს.
- უთხარით, რომელია მისაღები ქცევები, რაც დაეხმარება პრობლემის მოგვარებაში. უნდა თქვან, რა აწუხებთ, ამისათვის ჯერ ხელი, ფეხი და პირი უნდა გააკონტროლონ. ბრაზი და წყენა კი მისაღები სიტყვებით გამოხატონ: „ეს არ მომწონს“, „მეწყინა“, „გავბრაზდი“, „არ მინდა“.
- დაუბრუნდით ისევ ხელის თოჯინის თემას. უთხარით, როგორ შეიძლებოდა პრობლემის მოგვარება: ეთქვა მეგობრისთვის, რომ გული დაწყდა, ნახატი რომ გაუფუჭდა. მეგობარი ბოდიშს მოუხდიდა, რადგან შემთხვევით გაკრა ხელი და წყენაც განელდებოდა (ეს ორი სცენარი შედარებისთვის შეგიძლიათ ერთად გაიმეოროთ).

ხელოვნება



- უთხარით ბავშვებს, რომ მოჩხუბარი და თავაზიანი სხეულის ნაწილები უნდა გააცოცხლონ. დაურიგეთ ბავშვებს მუყაოს ქაღალდზე წინასწარ დახატული ხელის, ფეხის და პირის კონტურები (დანართში 1.7.3.). მიეცით ბავშვებს საშუალება აირჩიონ, ვის რომელი სხეულის ნაწილი უნდა. სხეულის ნაწილებს ერთ მხარეს გაღიმებული სახე დაუხატონ, მეორეზე – გაბრაზებული. სურვილისამებრ გააფორმონ, გააფერადონ, შემდეგ გამოჭრან და ჯოხებზე დააწებონ, ან სკოჩით დაამაგრონ. ამ სხეულის ნაწილებით წიგნიერების წრეში გადაინაცვლეთ.

მუსიკა და მოძრაობა

- დადეთ ბალიშზე ბურთი და დააჭერინეთ ორ ბავშვს. სთხოვეთ ბავშვებს, ისე გაიარონ გარკვეული მანძილი, რომ ბურთი არ ჩამოუვარდეთ. შეგიძლიათ ეს თამაში გაართულოთ. სთხოვოთ, ააგდონ ბურთი ბალიშით და ისევ დაიჭირონ. შეგიძლიათ ბავშვების რაოდენობა გაზარდოთ და ბურთი გაშლილ ზეწარზე დადოთ.
- ოთახში სამოძრაო ბილიკი გააკეთეთ ბარიერებით. სთხოვეთ ბავშვებს, ერთი მიმართულებით იარონ, რიგი დაიცვან, დაელოდონ იმ ბავშვს, რომელიც ნელა გადაადგილდება და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს ბოდიში მოუხადონ.

წიგნიერება

- თამაში „მე ვიმორჩილებ ხელს, ფეხს და პირს.“ უთხარით ბავშვებს, რომ გაბრაზებული ხელი, ფეხი და პირი უხეშად და ცუდად ექცევა მეგობარს. გაღიმებული პირი, ხელი და ფეხი არ ჩხუბობს, და ბავშვის (პატრონის) ბრძანებას ემორჩილება. მოუყევით სხვადასხვა სიტუაცია და სთხოვეთ ბავშვებს, სხეულის შესაბამისი ნაწილი ასწიონ. მაგ. ნინი ანოზე გაბრაზდა და ხელი დაარტყა. (ბავშვებმა უნდა ასწიონ გაბრაზებული ხელი); ლიზი ნუცაზე გაბრაზდა და წყნარად აუხსნა, რა არ მოეწონა მის საქციელში (გაღიმებული პირი). გიომ ნიკა არ ათამაშა და ნიკამ გიოს კოშკი ფეხით დაუნგრია (გაბრაზებული ფეხი); თიკამ საბას ცუდი სიტყვა უთხრა, (გაბრაზებული პირი); ლუკა ძალიან გაბრაზდა ლევანზე, უნდოდა ხელი მიერტყა, მაგრამ გაახსენდა, როგორ შეუძლია დაიმორჩილოს ხელი და გაჩერდა (გაღიმებული ხელი), მერე უთხრა „ძალიან გავბრაზდი“ (გაღიმებული პირი).
- წაუკითხეთ: „წუთისოფელი ასეა“, „პეპელა და ფუტკარი“, „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“, „მეზობლები“. განიხილეთ ყოველი სიტუაცია. ახსენით, რომ კონფლიქტის გადაჭრის სხვადასხვა გზა არსებობს, რომ როცა თავად ვერ ართმევენ თავს, შეიძლება ითხოვონ დახმარება. ისაუბრეთ სიყვარულსა და სიკეთეზე.

მეცნიერება

- გააბნიეთ ქაღალდის სარჭები (სკრეპები) მაგიდაზე. მიეცით ბავშვებს პატარა (მაგიდის) ცოცხი, ან ჯაგრისი, მაგნიტი და პინცეტი. ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი საგნით არის ყველაზე მარტივი სარჭების აკრეფა. შემდეგ შეამოწმონ სწორად გამოიცნეს თუ არა.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა ისწავლეს ახალი დღეს?
- რომელი თამაში/აქტივობა მოეწონათ?

4. დახმარება

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა არის, მათი აზრით, მეგობრობა, პასუხები წინასწარ დამზადებულ ქაღალდის ყვავილებზე დაწერეთ და ჯგუფში დაკიდეთ. თუ ჩამონათვალში არ იქნება ერთმანეთის დახმარება, მიანიშნეთ.
- ჩამოთვალონ მეგობრული და არამეგობრული ქცევები. თქვენ დაფაზე ჩამოწერეთ.
- ისიც აღნიშნეთ, რომ თუ მეგობარი რამეს კარგად ვერ აკეთებს (მაგ. ვერ დახატა კარგად, ვერ გააფერადა) მასწავლებელთან არ უნდა დააბეზღოს. ეს მეგობრული საქციელი არ არის. მაგრამ მასწავლებელს შეუძლიათ დახმარებისთვის მიმართონ, როდესაც უძნელდებათ პრობლემის გადაჭრა.
- აჩვენეთ ბავშვებს მულტფილმი ჭკვიან თევზზე (http://www.youtube.com/watch?v=Z5boTGFPglc&feature=related). იმსჯელეთ, როგორ მოიფიქრა პატარა თევზმა რთული სიტუაციიდან გამოსავალი. როგორ შეიკრა პატარა თევზები ერთ გუნდად და დიდი თევზის ფორმა მიიღეს. როგორ შეაშინეს დიდი თევზები და გადარჩნენ.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ამბავი მოქმედი პირი სხვანაირი (დიდი) რომ ყოფილიყო? რა მოხდებოდა, რომ ვერ მოეფიქრებინა ის გამოსავალი, რაც მოიფიქრა?

ხელოვნება



- ბავშვები წყვილებად ან მცირე ჯგუფებად დასვით. დაურიგეთ დიდი ფორმატის ფურცლები და სხვადასხვა მასალები კოლაჟისთვის (ძველი ჟურნალები, ფერადი ქაღალდები, ნაჭრები, მძივები, ღილები, ლენტები, საქსოვი ძაფები, წებო, მაკრატელი). წაახალისეთ, თხოვებითა და ერთმანეთის დახმარებით საერთო კოლაჟი შექმნან.

მუსიკა და მოძრაობა

- თამაში „მუსიკალური მეგობრული სკამი“: სკამები დგას წრეზე, ბავშვები მოძრაობენ მუსიკის თანხლებით, მუსიკის დამთავრებისთანავე ბავშვები ისე უნდა მოთავსდნენ სკამებზე, რომ ერთი სკამი „გააგდონ“; ასე გრძელდება იქამდე, სანამ ყველა სკამი არ გავა თამაშიდან. თამაშიდან ბავშვების ნაცვლად სკამები ვარდებიან.
- წაახალისეთ ბავშვები, წარმოიდგინონ სხვადასხვა სიტუაცია და განასახიერონ: მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ სახლს ვაშენებთ და აგურებს ვაწვდით ერთმანეთს; მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ ხეებს ვრწყავთ ბაღში; მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ კედელს ვღებავთ; და ა.შ.

სამაგიდო



- დაახარისხე ბარათები ორ ჯგუფად: სად ეხმარებიან ერთმანეთს და სად – არა (დანართი 1.7.4.). სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ სურათები.

სენსორული

- აურიეთ ერთმანეთში ჩიტების საკენკი (პატარა ყვითელი ბურთულები), ქვიშა და მარმარილოს ბურთულები. დაურიგეთ ბავშვებს საცერი, საწური და სამი ცარიელი კონტეინერი. სთხოვეთ ბავშვებს, ცალცალკე კონტეინერებში ჩაყარონ ქვიშა, ჩიტების საკენკი და ბურთულები ამ საგნების გამოყენებით.

დრამატული



- აუხსენით ბავშვებს, რა სასიამოვნო გრძნობაა, როცა ვინმეს საჩუქარს ჩუქნი და აღფრთოვანებას გამოხატავენ. ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ გამოხატავენ ისინი აღტაცებას და აღფრთოვანებას. ასწავლეთ, როგორ უნდა გადაუხადონ მადლობა საჩუქრისთვის: „მადლობ“, „რა ლამაზია“, „სწორედ ეს მინდოდა“, „ძალიან მომწონს“. გაათამაშებინეთ როლები.

წიგნიერება

- მოაყოლეთ ბავშვებს, ვინ როგორ ეხმარება ოჯახის წევრებს.
- წაუკითხეთ: „ჭუკები“.
- ჩამოათვლევინეთ ფრაზები (მიეხმარეთ), რომლებითაც დახმარება უნდა ითხოვონ, რომლებითაც მადლობა უნდა გადაიხადონ გაწეული დახმარებისთვის.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რომელი აქტივობა მოეწონათ ყველზე მეტად?

5. როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ადგილებში ქუჩასა და სუფრასთან ქცევის წესები

დილის წრე

- ისაუბრეთ იმაზე, რომ სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვანაირი ქცევის წესებია. მაგ. სუფრასთან ქცევის წესები, ქუჩაში ქცევის წესები, ტრანსპორტში ქცევის წესები, ბიბლიოთეკაში, თეატრში და ა.შ. თუ ბავშვებს ეხალისებათ, თვითონაც ჩამოთვალონ. სასურველია, მოაწყოთ გასვლითი ექსკურსიები და წინასწარ აუხსნათ ბავშვებს, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ სიტუაციებში.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა სუფრასთან და ქუჩაში ქცევის წესებია. მეტი ხალისისთვის სთხოვეთ ბავშვებს, განასახიერონ ზრდილობიანად და უწესოდ ჭამა.
- ესაუბრეთ ბავშვებს ქუჩაში ქცევის წესებზე: როგორ უნდა მოვიქცეთ და როგორ არა, ჩამოწერეთ ბავშვების აზრები ცხრილის სახით.

ხელოვნება



- სთხოვეთ, დახატონ ქუჩა მეხსიერებით.
- საკუთარი ნახატების ამოჭრითა და ფერად ქაღალდებზე დაწებების საშუალებით დაამზადებინეთ ბავშვებს ქუჩაში ქცევის აბრები. შეგიძლიათ ნიმუშებიც აჩვენოთ (დანართში 1.7.5.).

მუსიკა და მოძრაობა

- თამაში – შეჯიბრი „გაშალე სუფრა“: მოაწყვეთ დარბაზი შეჯიბრისთვის. დარბაზის ბოლოს დადგით ორი ცარიელი და ერთი სათამაშო თეფშებითა და დანა-ჩანგლით სავსე მაგიდა, აჩვენეთ ბავშვებს სწორად გაწყობილი სუფრის ნიმუში (დანართი 1.7.6.) თითო ბავშვი თითო გუნდიდან გარბის და თითო ნივთს დებს მაგიდაზე. მოიგებს ის გუნდი, ვინც პირველი გაშლის სუფრას.

სამაგიდო



- ლაბირინთი „შეიყვანე მანქანა ფარეხში“ (დანართი 1.7.7.).
- დაალაგე ნახატები თანმიმდევრულად (დანართი 1.7.8.).
- იპოვე განსხვავებები. დანართიდან გამოჭერით ქუჩის სურათები და ლამინირება გაუკეთეთ. წაახალისეთ ბავშვები იპოვონ განსხვავებები (დანართი 1.7.9.).

დრამატული



- სთხოვეთ ბავშვებს, გააწყონ სადღესასწაულო სუფრა ან მოაწყონ კაფე. აუხსენით და წაახალისეთ ბავშვები, სწორად გაითამაშონ შესაბამისი როლები.
- მოაწყვეთ ჯგუფში ან ეზოში „ქუჩა“, დაამზადეთ შუქნიშანი, გაუნაწილეთ ბავშვებს მანქანის მძღოლის, ფეხით მოსიარულისა და პოლიციელის როლები. სთხოვეთ ბავშვებს, განასახიერონ სწორი და არასწორი ქცევა.

წიგნიერება

- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ როგორია ქუჩა, რას ხვდებიან ქუჩაში ან აჩვენეთ ფოტოები და წაახალისეთ, აღწერონ.

საღამოს წრე

- სთხოვეთ ბავშვებს, გზაში დააკვირდნენ აბრებს.

6. როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ადგილებში მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში

დილის წრე

- ესაუბრეთ და აჩვენეთ ბავშვებს ბიბლიოთეკების ფოტოები და დაათვალიერებინეთ მუზეუმების ალბომები. აღუწერეთ როგორ იქცევიან ასეთ ადგილებში.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ნახატები აბრებისთვის: ისაუბრეთ ხმადაბლა, ხელით ნუ შეეხებით, ნაგავი არ დაყაროთ, სურათის გადაღება არ შეიძლება. გამოჭრან და დააწებონ ფერად ფურცლებზე. შესაბამისად მიაწებონ წინასწარ ამობეჭდილი წარწერები.

მუსიკა და მოძრაობა

- თამაში-შეჯიბრი. დარბაზის ერთ ბოლოში დგას ორი „ ბიბლიოთეკარი “, ორ გუნდად გაყოფილ ბავშვებს უჭირავთ თითო წიგნი. ბავშვები სათითაოდ მირბიან და აბარებენ წიგნებს ბიბლიოთეკარებს. რომელი გუნდის წევრიც პირველი ჩააბარებს ბოლო წიგნს, გამარჯვებულია.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ექსკურსიაზე ახლომდებარე მუზეუმში ან ბიბლიოთეკაში. სთხოვეთ, დააკვირდნენ, როგორ იქცევიან იქ ადამიანები.

წიგნიერება

- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ: „ბიბლიოთეკაში“.

დრამატული

- ექსკურსიიდან ჯგუფში დაბრუნების შემდეგ სთხოვეთ, მოყვნენ შთაბეჭდილებები. შესთავაზეთ მოიფიქრონ და მოაწყონ ჯგუფის ერთ-ერთ კუთხეში მუზეუმი ან ბიბლიოთეკა. გაანაწილეთ როლები: ბიბლიოთეკარი, მკითხველი, ბილეთების გამყიდველი, გიდი, დამთვალიერებელი. ითამაშეთ მათთან ერთად და წაახალისეთ, დაიცვან წესები.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა მოეწონათ ყველაზე მეტად ექსკურსიის დროს.

სახლის ცხოველები

1. სახლის ცხოველები და ჩიტები
2. ძაღლები და კატები
3. თევზები
4. კუები და კურდღლები
5. ზაზუნა და ზღვის გოჭი

სახლის ცხოველები და ჩიტები

დილის წრე

- გაიგეთ, ვის ჰყავს სახლში ცხოველი ან ფრინველი. თუ შესაძლებელია, წინასწარ შეუთანხმდით მშობლებს მოიტანონ თავიანთი ცხოველის ან ჩიტის ფოტო.
- ჰკითხეთ ბავშვებს, ვის ჰყავს სახლში ცხოველი ან ჩიტი.
- ისაუბრონ, როგორ უვლიან. დაათვალიერეთ ბავშვების მოტანილი სურათები. ისაუბრეთ, როგორი საპასუხისმგებლოა ცხოველის მოვლა.
- აჩვენეთ თუთიყუშების, მტრედების და სხვა ჩიტების სურათები ან, თუ შესაძლებელია, ნამდვილი ჩიტი.
- განიხილეთ, რას ჭამენ შინაური ჩიტები, როგორ ბანაობენ და სად ცხოვრობენ.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა სახლის ცხოველები და ჩიტებია.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ სქელი ფურცლები, მაკრატლები, წებო და ფხრიწები. წაახალისეთ ბავშვები, დაამზადონ საყელოები თავიანთი „ცხოველისთვის“. მოიმარაგეთ ფარფლები და სხვა სამშვენისები, რომ ბავშვებმა საყელოები გააფორმონ.
- მოიმარაგეთ ძუა (დაამზადეთ კატის ულვაშები), ფურცლები და გუაშის საღებავები. წაახალისეთ ბავშვები, ნახატი ფუნჯის ნაცვლად „კატის ულვაშებით“ დახატონ (ძუის მაგივრად შეგიძლიათ ნაძვის წიწვები გამოიყენოთ).
- მოიმარაგეთ გუაში და აკვარელის საღებავები, სხვადასხვანაირი ბუმბული. ბავშვებმა ბუმბული ფუნჯად გამოიყენონ (ბუმბულები შეგიძლიათ დააცალოთ მტვრის საწმენდს. თუ ჯგუფში ალერგიული ბავშვი გყავთ, უმჯობესია, ხელოვნური ბუმბული გამოიყენოთ).
- მიეცით ბავშვებს საღებავები და სთხოვეთ, დახატონ ძაღლი.

მუსიკა და მოძრაობა

- დაურიგეთ ბავშვებს ქაღალდის ან პლასტმასის თეფშები. ჩართეთ მუსიკა და წაახალისეთ ბავშვები, თეფშები ფრთებად გამოიყენონ და ჩიტებივით ინავარდონ.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, დააწყვილონ ძაღლები და ძვლები, ძაღლის საყელოზე და ძვალზე დახატული წერტილების რაოდენობის გათვალისწინებით (დანართი 1.8.1.).
- *სამუშაო ფურცელი:* დაუხატე ძაღლის ჯიხურს ზოლები (დანართი 1.8.2.).
- *მათემატიკა.* ბავშვების მოტანილი ცხოველების დიაგრამა გააკეთეთ (სიხშირის მიხედვით, მაგალითად, 10 ძაღლი, 2 ცხენი და 1 კატა).

დრამატული



- მოაწყვეთ ვეტერინარის კაბინეტი. წაახალისეთ ბავშვები, თავიანთი ცხოველები მიიყვანონ ექიმთან.

წიგნიერება

- ესაუბრეთ ბავშვებს ჩიტების იმ ჯიშებზე, რომლებიც გალიაში ცხოვრობენ. უთხარით, რომ ზოგიერთი ჩიტი ტყვეობას ვერ იტანს, ზოგიერთი პირიქით – რომ გაუშვა, დამოუკიდებლად ვეღარ შეძლებს თავის გატანას. უთხარით, რომ მერცხალი, შაშვი, ბეღურა – შინაური ფრინველები არაა, მაგრამ ისინი ადამიანთან ძალიან ახლოს ცხოვრობენ და ჩვენგან მოფრთხილებას, ხანდახან დახმარებასაც საჭიროებენ. წაუკითხეთ ლექსები ჩიტებზე (წიგნიერების დანართი). უთხარით, რომ ჩიტი პატარა ზომის ფრინველს ჰქვია. არწივი, ქათამი და ფარშევანგი, – ჩიტი არაა.
- წაუკითხეთ: „სამდურავი“. ჰკითხეთ, რატომ არის ლექსის გმირი ნაწყენი კატაზე? აუხსენით, რას ნიშნავს: „ვემდური“.

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს.

- რომ შეეძლოთ სახლში ყოლა, რომელ შინაურ ცხოველს აირჩევდნენ?
- რა პასუხისმგებლობები გვეკისრება ამ დროს?

ძაღლები და კატები

დილის წრე

- თუ შესაძლებელია, დილის წრეზე ძაღლი და მისი პატრონი მოიწვიეთ.
- ისაუბრეთ, სად ცხოვრობენ, რას ჭამენ?
- თუ ვინმეს ჰყავს ძაღლი სახლში, ისაუბროს მასზე.
- აჩვენეთ ბავშვებს კატის სურათები. სთხოვეთ ბავშვებს, გითხრან ყველაფერი, რაც კატების შესახებ იციან.
- ბავშვებმა განასახიერონ, როგორ დადის, იზმორება, ეპარება მსხვერპლს, ამაყად დაიარება, პირს იბანს და სძინავს კატას.
- წინასწარ დახატეთ უკუდო კატა ფურცელზე. დაამზადეთ კუდები ძაფისაგან და სთხოვეთ ბავშვების, სათითაოდ ყოველმა მათგანმა აიხვიოს თვალები და სცადოს კუდის მიმაგრება.



- დღის თემაა კატები და ძაღლები.

ხელოვნება



- ბავშვებმა დახატონ ცხოველის თათის ნაკვალევი, ჩააწონ მუშტი თითების საღებავში და ფურცელზე გადაიტანონ.



- ნაყინის ჯოხებით ძაღლის ფიგურის დამზადება.



- ძველი წინდის გამოყენებით სათამაშო ძაღლის დამზადება.



მუსიკა და მოძრაობა

- ითამაშეთ „ძაღლი და ძვალი“: ბავშვები დასხდნენ წრეზე. აირჩიეთ ერთი ბავშვი, რომელიც იქნება „დედა“: „დედა“ გადის ოთახიდან, სანამ დანარჩენი ბავშვები ირჩევენ ბავშვს, რომელსაც ხელში უნდა ეჭიროს მუყაოს ძვალი. „დედა“ ოთახში ბრუნდება და უნდა გამოიცნოს, ვის უჭირავს ძვალი (დასაწყისისთვის „დედა“ უნდა იყოს აღმზრდელი).
- *„ჯადოსნური ქვა“:* ბავშვები იმეორებენ აღმზრდელის მიერ განსახიერებულ სხვადასხვა მოძრაობას, რომელსაც აღმზრდელი კარნახობს, მაგ.: რობოტებივით მოძრაობა, ძაღლივით ყეფა, გველივით სრიალი, ცხენივით სირბილი, კატასავით გაზმორება, კატასავით პირის დაბანა. როდესაც მასწავლებელი ამბობს „ჯადოსნური ქვა,“ ბავშვები გადაიქცევიან „ქვებად“ ანუ შეშდებიან. მასწავლებლის მითითების შემდეგ განაგრძობენ მოძრაობას.
- სთხოვეთ ბავშვებს, გაიზმორონ და წარმოიდგინონ: კმაყოფილი კატა: – დადგნენ ოთხზე, აიხედონ მაღლა და ჩაზნიქონ ზურგი, გაჩერდნენ ამ მდგომარეობაში სამ დათვალმდე და იკრუტუნონ, ისე როგორც კმაყოფილი კატა კრუტუნებს. შემდეგ წარმოიდგინონ უკმაყოფილო კატა: – დადგნენ ოთხზე, დაიხედონ დაბლა და ამოზნიქონ ზურგი, გაჩერდნენ ამ მდგომარეობაში სამ დათვალმდე და ისისინონ, ისე როგორც უკმაყოფილო კატა. შემდეგ წარმოიდგინონ ხე – დადგნენ ცალ ფეხზე და განასახიერონ ხის ტანი. მიადონ მეორე ფეხის ტერფი იმ ფეხს (მუხლის გასწვრივ), რომელზეც დგანან. აწიონ ხელები მაღლა, თავის ზემოთ, თითები შეახონ ერთმანეთს. დაითვალეთ ხუთამდე ნელა, და სთხოვეთ, წარმოიდგინონ მზე, რომელიც ზემოდან ანათებს.

სამაგიდო



- გასაფერადებელი ძაღლი და კატა (დანართი 1.8.3.);
- გააფერადე დიდი ძაღლები წითლად და პატარები ლურჯად (დანართი 1.8.4.);
- დაუხატე ძაღლს ძვალი (დანართი 1.8.5.).

დრამატული



- უთხარით ბავშვებს, სხვადასხვა ხმაზე ყეფით ძაღლების სხვადასხვა ხასიათი გამოხატონ, თან აღწერონ, რას ამბობს ამით ძაღლი.

წიგნიერება

- რას ნიშნავს და რატომ გაჩნდა გამოთქმა „ძაღლივით ერთგული“? რა შეიძლება ერქვას ძაღლს, კატას? ჩამოათვლევინეთ შესაძლო სახელები. მოიმარაგეთ და აჩვენეთ სხვადასხვა ჯიშის ძაღლების ფოტოები. კარგია, თუ მოძებნით ქართული მეცხვარის ფოტოს და ეტყვით, რომ ეს ქართული ჯიშია. გაახსენეთ, კიდევ რისი ჯიშები იციან (მსხალი, ვაშლი, ქათამი...).
- წაუკითხეთ „ჩექმებიანი კატა“: განუმარტეთ, რას ნიშნავს „მარკიზი“.

მეცნიერება

- დაათვალიერებინეთ ბავშვებს ენციკლოპედია ძაღლებზე, ისაუბრეთ და აღწერეთ რა მსგავსებები და განსხვავებებია. რა სახელები აქვთ მსგავს, ანუ ერთი ჯიშის ძაღლებს. ისაუბრეთ რითი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთი ჯიშის ძაღლები. ისაუბრეთ ასეთ მსგავსებებსა და განსხვავებებზე ადამიანებშიც.

კულინარია



- დაურიგეთ ბავშვებს ნამცხვრის ცომის პატარა გუნდები და სთხოვეთ, დააწვნენ მუშტით. გამოაცხვეთ და გაუმასპინძლდით.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

თევზები

დილის წრე

- თუ შესაძლოა, იქონიეთ თევზი აკვარიუმით. სთხოვეთ ბავშვებს თევზის აღწერა. როგორ მოძრაობს? როგორ სუნთქავს?
- წაახალისეთ ბავშვები, იმოძრაონ ოთახში, თითქოს აკვარიუმში მცურავი თევზები არიან, შემდეგ კი ოკეანეში.

ხელოვნება



- ქაღალდის ტომრისგან თევზის დამზადება. მოიმარაგეთ ქაღალდის პატარა ტომრები, წებო-ემულსია, შავი მარკერი და ლურჯი საღებავი. დააწებებინეთ ბავშვებს ტომარა ქაღალდზე, სთხოვეთ დაუხატონ თევზს თვალი და ფარფლები. ფურცელი შეღებონ ლურჯად.



- დიდ ქილაში აკვარიუმის მოწყობა. მოიმარაგეთ დიდი ქილა. გამოაძერწინეთ ბავშვებს ფერადი თევზები და მოათავსეთ ქილაში.
- ერთჯერადი თეფშის თევზის დამზადება. მოიმარაგეთ ერთჯერადი თეფშები და საღებავი. სთხოვეთ ბავშვებს, სასურველი ფერით შეღებონ. დაახატონ თვალი და ფარფლები. დაეხმარეთ ფერადი ქაღალდისაგან გამოჭრან კუდი და მიაწებონ.

მუსიკა და მოძრაობა

- წაახალისეთ ბავშვები, აკვარიუმში ბურთები (მარცვლებით გატენილი) ჩაყარონ.
- ბუშტის სროლა, გადაგდება და დაჭერა. განუსაზღვრეთ ბავშვებს საკმაოდ დიდი ადგილი, შემოავლეთ წრე, რათა მათ იცოდნენ, რომელ სივრცეში შეუძლიათ მოძრაობა. დაურიგეთ თითოეულ ბავშვს ერთი ბუშტი. ბავშვებმა ჰაერში უნდა ააგდონ ბუშტი და ისევ დაიჭირონ. თამაშს აქვს შემდეგი წესები რომელსაც აღმზრდელი აცნობს:
  - ბუშტს ორივე მხარეს მოკიდეთ ხელები (ანუ მოაქციეთ ხელებს შორის), გამოწიეთ ბუშტიანი ხელები წინ.
  - დაწიეთ ბუშტი დაბლა წელისკენ, დაწიეთ იქამდე, სანამ მუხლებს არ შეეხება.
  - აწიეთ ხელები და ნელა ააგდეთ ბურთი.
  - ააგდეთ ბუშტი მაღლა.
  - შეხედეთ, როგორ ჩამოდის ბუშტი ქვევით.
  - როდესაც ბუშტი ჩამოვა თქვენს ტანთან, შემოავლეთ ხელები და დაიჭირეთ.
  - დააგდეთ ბუშტი, ნახეთ როგორ ხტის, ახლა დაიჭირეთ.
  - ააგდეთ ბუშტი ძალიან მაღლა, ნახეთ, როგორ მოძრაობს, ახლა დაიჭირეთ.
  - ააგდეთ ბუშტი მაღლა და დაიჭირეთ, სანამ იატაკს შეეხება.
  - ააგდეთ ბუშტი მაღლა და დაითვალეთ, რამდენჯერ მოასწრებთ ტაშის დაკვრას, სანამ დაიჭერთ.
  - ისროლეთ ბუშტი პირდაპირ კედელზე და დაიჭირეთ.

სამაგიდო



- *მათემატიკა*. გამოჭერით ცხრა სხვადასხვა ზომის თევზის ფორმა და წაახალისეთ ბავშვები, სიდიდის მიხედვით დააწყონ, პატარიდან დიდამდე (დანართი 1.8.6.).
- სთხოვეთ ბავშვებს, ცომისაგან თევზები გამოძერწონ.
- მუყაოსგან წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფერადი თევზები. თევზებს პირთან დაამაგრეთ „სკრეპი“: ცალკე ჯოხზე დაამაგრეთ სქელი ძაფი (30 სმ-ის), ძაფის ბოლოში კი მაგნიტი. მაგიდაზე გაშალეთ თევზები და სთხოვეთ ბავშვებს, ითევზაონ. თამაში უფრო სახალისო გახდება, თუ წინასწარ მისცემთ ინსტრუქციას რომელი თევზი (ზომის, ფერის და ფორმის) დაიჭიროს (დანართი 1.8.7.). ერთდროულად ათამაშეთ იმდენი ბავშვი, რამდენი „ანკესიც“ გაქვთ დამზადებული.

დრამატული



- მოაწყვეთ სახლის ცხოველების მაღაზია (ზოომაღაზია).

წიგნიერება

- ჩაყარეთ აკვარიუმში პატარა ფურცლებზე დაწერილი მათთვის ნაცნობი ზღაპრების დასაწყისი. ბავშვებმა თითო ფურცელი ამოიღონ. წაუკითხეთ ნაწერი და სთხოვეთ ზღაპრის გაგრძელება.
- წაუკითხეთ: „ოქროს თევზი“. აუხსენით; „გობი“. ჰკითხეთ, რამ გააბრაზა ოქროს თევზი?

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებისგან ააგონ თევზებისათვის აუზი.

მეცნიერება

- მიეცით ბავშვებს საშუალება გამადიდებელი შუშით აკვარიუმში ნამდვილ თევზს დააკვირდნენ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს თევზების შესახებ?
- ჰკითხეთ, რა სურვილს სთხოვდნენ, ოქროს თევზი რომ დაეჭირათ?

კუები და კურდღლები

დილის წრე



- თუ შესაძლებელია, აჩვენეთ ბავშვებს კუ ან დაათვალიერებინეთ სურათები.
- ჰკითხეთ ბავშვებს: „თქვენი შინაური ცხოველი კუ რომ ყოფილიყო, სად იცხოვრებდა? რას შეჭამდა?“
- აჩვენეთ კურდღლის სურათები.
- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორია, როცა შინაურ ცხოველად გყავს კურდღელი? სად იცხოვრებდა? რას შეჭამდა?

ხელოვნება



- წინასწარ მოიმარაგეთ ქაღალდის ჯამი. მწვანე საღებავი, შავი მარკერი (ან ფლომასტერი), ყავისფერი ქაღალდი და სტეპლერი. სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ ჯამი მწვანედ, გააშრეთ. ყავისფერი ქაღალდისგან გამოჭერით წინა და უკანა კიდურები. მიასტეპლერეთ

ტანზე. ასევე გამოჭრან თავი და კისერი, დაახატონ თვალები და პირი. თავი მიასტეპლერეთ ტანს. მიამაგრეთ ძაფი და მიეცით საშუალება ბავშვებმა ატარონ კუები.



- წინასწარ ამობეჭდეთ კუს ნახატი (იხ. დანართი 1.8.8.) და მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის და ზომის ღილები. სთხოვეთ ბავშვებს ღილები კუს ბაკანზე დააწებონ (ღილების ნაცვლად პატარა კენჭები, ან ლობიო, ან ქაღალდისგან გამოჭრილი სხვადასხვა ფორმები შეგიძლიათ გამოიყენოთ).
- გამოჭერით წრე და ყურები. შეგიძლიათ ტრაფარეტი ბავშვებს გამოაჭრევინოთ. მოიმარაგეთ ბამბები, მოძრავი თვალები, ფაფუკი მავთულები (შავი და ვარდისფერი) და წებო. ააწყობინეთ ბავშვებს კურდღლის თავი. ფაფუკი მავთული ულვაშებად გამოიყენეთ.



მუსიკა და მოძრაობა

- წაახალისეთ ბავშვები, დაწვნენ ზურგზე, მუხლები და თავი მუცლისკენ მიმართონ და მუსიკის ფონზე იქანაონ.
- შეღებეთ ყუთები მწვანედ. წაახალისეთ ბავშვები, ჩამოიცვან ყუთები, ვითომ კუს ბაკანია.
- იატაკზე დააკარით იზოლენტა, როგორც სასტარტო ხაზი. წაახალისეთ ბავშვები, რაც შეიძლება შორს გადახტნენ. ბავშვებმა საკუთარი ნახტომის გასაზომად კუბურები გამიყენონ.

სამაგიდო



- *მათემატიკა.* მოიმარაგეთ კაკლის ნაჭუჭები და ხუთ ქაღალდის თეფშს სათითაოდ დააწერეთ ციფრები ერთიდან ხუთამდე (ასევე დასვით შესაბამისი რაოდენობის წერტილები). სთხოვეთ ბავშვებს, თითოეულ თეფშზე „კუს ბაკნების“ მითითებული რაოდენობა დააწყონ.
- მოიმარაგეთ პინცეტები, ორი კონტეინერი და ბამბის ბურთულები. წაახალისეთ ბავშვები, ერთი კონტეინერიდან მეორეში გადაალაგონ „კურდღლის კუდები“ პინცეტის გამოყენებით.

სენსორული

- მოიმარაგეთ პლასტმასის კუები და სთხოვეთ ბავშვებს, დამალონ ქვიშაში, შემდეგ კი დაძებნონ ისინი.

დრამატული



- სთხოვეთ ბავშვებს, წარმოიდგინონ, ვითომ კუები არიან და ნელა მიდიან ოთხი კიდურით, თავიც გამოყოფილი აქვთ ბაკნიდან. აღმზრდელის ნიშანზე უნდა შეყონ „ხელები, ფეხები და თავი ბაკანში“. შემდეგ ისევ უნდა გააგრძელონ სვლა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „საწყალი კურდღელი “; „კიკლი-კიკლი“.

მეცნიერება

- დაათვალიერებინეთ ბავშვებს ხმელეთის და წყლის კუს სურათები საბავშვო ენციკლოპედიაში. უთხარით, რომ კუებს, რომლებიც წყალში ცხოვრობენ, აქვთ შებრტყელებული კიდურები, ხმელეთზე მცხოვრებ კუებს კი – არა. ისაუბრეთ, როგორ იცავს ბაკანი კუს სხვადასხვა საფრთხისგან.

კულინარია



- სთხოვეთ ბავშვებს, წინასწარ გარეცხილი კომბოსტოს ფურცლებით გააკეთონ სალათა.

საღამოს წრე

- შეაჯამეთ განვლილი დღე.
- ჰკითხეთ, რას ნიშნავს: „კუს ნაბიჯებით სიარული“?

ზაზუნა და ზღვის გოჭი

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, თუ ვინმეს ჰყავს ან უნახავს ზღვის გოჭი ან ზაზუნა.
- უთხარით, რომ ზღვის გოჭი და ზაზუნა მღრღნელებია. ზაზუნა უფრო მომცროა, ვიდრე ზღვის გოჭი. ზღვის გოჭს უკანა თათზე 3 თითი აქვს, წინაზე კი – 4 (ჰკითხეთ თუ შეუმჩნევიათ). ზღვის გოჭი სოროში ბინადრობს, ოღონდ მარტო არა, პატარ-პატარა ჯგუფებად.
- ზაზუნები ღამე უფრო აქტიურები არიან. ჰკითხეთ ბავშვებს, თუ იციან სხვა ცხოველი ან ფრინველი, რომელიც ღამე ფხიზლობს. ისაუბრეთ, რაში ეხმარებათ ეს და რა პრობლემებს უქმნით.
- ისაუბრეთ იმის შესახებ, რას ჭამს ზაზუნა და ზღვის გოჭი (ბურღულეული, თხილი, მზესუმზირა, ბოსტნეული, ბარდა).

ხელოვნება

- მოიმარაგეთ წინასწარ ბურღულეული (სიმინდი, ხორბალი), მაკარონი, მზესუმზირა, თუ შესაძლებელია ნახერხიც კი, წებო და ქაღალდები. სთხოვეთ ბავშვებს, ზაზუნას საკვებისგან კოლაჟი გააკეთონ.
- წინასწარ გამოჭერით დანართში მოცემული ზაზუნას თავი და ფეხები. სთხოვეთ ბავშვებს გააფერადონ და მიაწებონ მათივე დამზადებულ ცილინდრს (დანართი 1.8.9.).



მუსიკა და მოძრაობა

- მოაწყვეთ საბავშვო გვირაბები. თუ შესაძლებელია, დიდი ყუთებისგანაც გააკეთეთ. სთხოვეთ ბავშვებს ზაზუნებივით იძრომიალონ გვირაბში.
- ოთახში, იატაკზე, გარკვეული დისტანციით ჩაამწკრივეთ 6-8 მოხატული მუყაოს დიდი ყუთი (შეგიძლიათ გამოიყენოთ საყოფაცხოვრებო ტექნიკის ყუთები). ჩართეთ მუსიკა და სთხოვეთ ბავშვებს, იარონ, იხტუნონ, იძუნძულონ ყუთების უკან (თქვენსა და ბავშვებს შორის ყუთების მწკრივია). როგორც კი მუსიკა შეწყდება, ბავშვები იმალებიან ყველაზე ახლო მყოფი ყუთის უკან (შეიძლება რამდენიმე ბავშვი ერთი ყუთის უკან იყოს ჩაკუზული). მასწავლებელი დგება ცენტრში და ამბობს: „ხის კუნძის უკან ფაჩუნი მესმის, ნეტა ვინ არის?... სკუპ, სკუპ, სკუპ!!! კურდღლები ყოფილან!!!“ „სკუპ, კურდღლების“ თქმის დროს ბავშვები ხტებიან ყუთების უკნიდან და „აფრთხობენ“ მასწავლებელს. მასწავლებელი გამოხატავს დიდ გაოცებას და შემდეგ ყველაფერი მეორდება თავიდან (შენიშვნა: შეგიძლიათ სხვადასხვა ხმა გამოსცეთ და სხვადასხვა ცხოველი განასახიეროთ).

სამაგიდო



- დაეხმარეთ ზაზუნას მივიდეს თხილამდე (დანართი 1.8.10.).

წიგნიერება

- ზაზუნას თემა შეგიძლიათ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების გავარჯიშებაშიც გამოიყენოთ. ჰკითხეთ ბავშვებს მოიფიქრონ ან ოთახში მოძებნონ საგნები: გამხდარი-მსუქანი, სუფთა-ჭუჭყიანი, გრძელი-მოკლე, რბილი-მაგარი, ბასრი-ბლაგვი.
- წაუკითხეთ „ტოპო-ტიპის“[1] ან „კასტორის“[2] სერიიდან რომელიმე ამბავი თაგუნაზე.

მეცნიერება

- დაათვალიერებინეთ ბავშვებს ზაზუნების ფოტოები ენციკლოპედიაში. აჩვენეთ ასევე სხვა მღრღნელების ფოტოები. დააკვირდნენ, როგორი ორი წინა კბილი აქვთ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა ისწავლეს ახალი ზაზუნას და ზღვის გოჭის შესახებ.

---

1 კალასი ა. 2008. ტოპო-ტიპი ბებიასთან მიდის. ქართ. ტექსტი. თ. მამულაშვილი, ნ. გოგოლაძე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

2 კლიტინგი ლ. 2005 კასტორი ღებავს. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ამინდი

1. მზიანი დღეები
2. ქარიანი დღეები
3. ღრუბლიანი დღეები
4. წვიმიანი დღეები
5. ცივი და თოვლიანი დღეები

- ბავშვებთან ერთად ამინდის ბორბალი დაამზადეთ. მოცემული ნახატი და ისარი ამობეჭდეთ, გააფერადეთ და გამოჭერით (დანართი 1.1.2. თემიდან „პირველი კვირა ბაღში“). დააწებეთ ერთჯერად თეფშს და მიამაგრეთ ისარი (ისე რომ მოძრაობდეს). ყოველ დღე ისარი თემის შესაბამისი ამინდისკენ მიმართეთ.

მზიანი დღეები
(მზიანი დღეები დაგეგმეთ მზიან დღეს)

დილის წრე

- ბავშვებს მზის სათვალით და ქუდით დახვდით.
- აჩვენეთ ბავშვებს მზის სურათები, შეგიძლიათ, დილის წრის კედელზე ჩამოკიდოთ მზის დიდი სურათი ან ნახატი.
- სთხოვეთ, ამინდის ბორბლის ისარი დღევანდელი დღის თემის შესაბამის ამინდზე მიმართონ.
- ჩამოწერეთ ყველა აქტივობის სია, რომელიც მზიან დღეს შეიძლება გააკეთოთ.
- წაახალისეთ ბავშვები, დაასახელონ რაც შეიძლება მეტი რამ, რითიც მზე კარგია ჩვენთვის – გვათბობს, ჯანმრთელობას უწყობს ხელს, ეხმარება მცენარეებს გაზრდაში, გვანათებს და სხვა.
- ისაუბრეთ უსაფრთხოებაზე. არასდროს უნდა შეხედონ მზეს პირდაპირ და არ უნდა დარჩნენ მზეზე იმდენ ხანს, რომ დაიწვან. აუხსენით, რომ ადამიანები, რომლებიც მცხუნვარე მზის ქვეშ გადიან, აუცილებლად უნდა ისვამდნენ მზისგან დამცავ კრემს.
- აუხსენით ბავშვებს, რომ არსებობს ინსტრუმენტი, რომლითაც მზისგან მიღებული სითბო შეგვიძლია გავზომოთ. თერმომეტრი გვიჩვენებს, რამდენად ცივა ან თბილა. აჩვენეთ ბავშვებს თერმომეტრი.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა მზიანი ამინდია.

ხელოვნება



- დაურიგეთ თითოეულ ბავშვს შავი ან მუქი ლურჯი სახატავი ფურცელი. მოიმარაგეთ, მაგალითად, ფოთლები, ფაზელები, ნამცხვრის ცომის საჭრელი ფორმები და სხვა. წაახალისეთ ბავშვები, თავიანთი ფურცლები მზეზე დაალაგონ. ზემოდან მათთვის სასურველი ნივთები როგორც უნდათ, ისე დააწყონ. თუ მზე საკმარისად მწველია, რამდენიმე საათში ფურცლების იმ ნაწილებს გაახუნებს, რომლებიც დაფარული არ იყო.
- წაახალისეთ ბავშვები, შექმნან მზის ქუდები. მოიმარაგეთ ერთჯერადი ქაღალდის თეფშები, ფერადი ფურცლები, ლენტები, ფლომასტერები და ყვავილები.
- მოიმარაგეთ თბილი ფერების საღებავები და წაახალისეთ ბავშვები, ცხელი მზიანი დღე დახატონ.

მუსიკა და მოძრაობა

- დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ფერის პოლიეთილენის პარკის ლენტები და წაახალისეთ, ეზოში ჩრდილები გააკეთონ.
- წაახალისეთ ბავშვები, ჩრდილები დაძებნონ. შეუძლიათ საკუთარი სხეულით ჩრდილის გაკეთება? გამოიგონონ ჩრდილების ცეკვა. შეუძლიათ საკუთარი ჩრდილის დაჭერა? სცადონ, რომ ჩრდილი უფრო გრძელი იყოს, ვიდრე თვითონ არიან. შემდეგ კი – უფრო მოკლე.

სამაგიდო



- *ნატიფი მოტორიკა.* ჩამოკიდეთ კედელზე გრძელი თეთრი ფურცელი და მიანათეთ მაგიდის ნათურა. წაახალისეთ ერთი ბავშვი, ლამპასა და ფურცელს შორის ისე დადგეს, რომ მისი ჩრდილი ფურცელზე ეცემოდეს. სთხოვეთ მეორე ბავშვს, რომ მეგობრის ჩრდილი შემოხაზოს.
- დაურიგეთ ბავშვებს სათამაშო „ჩამაცვი ტანსაცმელი“ (დანართი 2.5.2. 4-5 წლიანების დანართიდან, თემა „მე და ჩემი სხეული“) და წაახალისეთ, ჩააცვან ტანსაცმელი ცხელი, მზიანი დღისთვის და შემდეგ ცივი, მზიანი დღისთვის.

სენსორული

- ცხელ ამინდში, როდესაც ბავშვები ეზოში გავლენ, ცივი წყალი ჩრდილში დადგით. როდესაც ბავშვებს დასცხებათ, სთხოვეთ, ხელები ცივ წყალში ჩაყონ. გაუგრილდათ ხელები? ხელების გაგრილებით ცოტათი მაინც არ გაგრილდნენ?

წიგნიერება

- *სიტყვიერება.* მზიანი დღე, მზიური ქვეყანა, მზეთუნახავი ქალი, სამზეო, მზით გაცვითე, იამზე, მზექალა, ყვავილი – პირიმზე, გამზეურება... – ჩამოუთვალეთ მზესთან დაკავშირებული ლექსიკა, განუმარტეთ. ჰკითხეთ, რომელი გაუგიათ, რომელი – არა?
- წაუკითხეთ (წიგნიერების დანართიდან): „მზე და ქარი“, „მზე დედაა ჩემი“, „მზე შინა და მზე გარეთა“ „ზაფხული“.

მეცნიერება

- დაურიგეთ ბავშვებს მზის სათვალეები და „ფეროსკოპები“ (მუყაოს რულონს გადააკარით ფერადი პოლიეთილენის პარკი და გაამაგრეთ წებოთი, რეზინით ან სკოჩით). წაახალისეთ, გამოიყენონ „ფეროსკოპი“ და ფანჯრიდან შემომავალი სხივებით ოთახში ლამაზი ჩრდილები გააკეთონ.
- სთხოვეთ ბავშვებს, მინის პრიზმები მზიან ადგილებში დააწყონ. როგორ განცდას იწვევს მათში ცისარტყელა?
- სთხოვეთ ბავშვებს, თესლები სარგავებში ჩარგონ (გადაჭრილი რძის ყუთი, თუნუქის ქილები, ა.შ.) და ფანჯარასთან დააწყონ.

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა ისწავლეთ დღეს მზის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად? რატომ?

ქარიანი დღეები

დილის წრე

- ჩართეთ ფენი, ვითომ ქარია.
- ქარის ეფექტის თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ ვენტილატორს ლენტები მიამაგროთ და ისე ჩართოთ (იყავით ფრთხილად).
- სთხოვეთ, ამინდის ბორბლის ისარი დღევანდელი დღის თემის შესაბამის ამინდზე მიმართონ.
- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა ქარის შესახებ. ჰკითხეთ, როგორ იგებენ ქარიანი დღეა თუ არა?
- უთხარით, რომ ქარი მოძრავი ჰაერია.
- ცაში ღრუბლები ქარს გადააქვს. ღრუბლებში წვიმაა.
- რაში გვეხმარება ქარი? ყვავილებს ამტვრიანებს, გადააქვს ღრუბლები, მოაქვს წვიმა და სხვა.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ქარიანი დღეებია.

ხელოვნება



- წაახალისეთ ბავშვები, გააკეთონ „ქარის დამჭერები“ (გაჭერით ქაღალდის ერთჯერადი თეფში შუაზე და დააწებეთ ან სტეპლერით დაამაგრეთ 30 სანტიმეტრიანი ფერადი თხელი ქაღალდის ლენტები.). თუ შესაძლებელია, გარეთ ჩამოკიდეთ. რა ხდება, როდესაც ქარი უბერავს?
- მოიმარაგეთ სახატავი ფურცლები, წყალში თხლად გახსნილი საღებავები, კოვზები და საწრუპები. სთხოვეთ ბავშვებს, ფურცელზე კოვზით დადონ საღებავი და საწრუპს ჩაბერონ, რომ საღებავი ფურცელზე მიმოიფრქვეს.
- დაეხმარეთ ბავშვებს დაამზადონ ფრანი. დაურიგეთ ბავშვებს ქაღალდის პაკეტები. როგორც მოესურვებათ, ისე გააფორმონ. შემდეგ მის გასამყარებლად პაკეტის პირზე იზოლენტა დააწებეთ. იზოლენტა ერთ ადგილას გახვრიტეთ და 2 მეტრი სიგრძის ძაფი გაუყარეთ. მიეცით საშუალება ბავშვებს ააფრინონ თავიანთი ფრანები. რა როლს თამაშობს ქარი?



მუსიკა და მოძრაობა

- გაბერეთ ბუშტები და ირბინეთ.
- საპნის ბუშტები ვენტილატორის წინ გაბერეთ. რა მოსდით ბუშტებს? შემდეგ გაბერონ ვენტილატორის გარეშე. რა შეიცვალა? (ფენის გამოყენებაც შეიძლება.)
- დაამზადეთ ფურინები ანუ ქარის მუსიკალური ინსტრუმენტი. საკიდზე ძაფით ჩამოკიდეთ ექვსი ან რვა მსუბუქი მეტალის კოვზი (შეგიძლიათ კოვზების მაგივრად ნიჟარები გამოიყენოთ). თუ შესაძლებელია, გარეთ ჩამოკიდეთ. რა ხდება, როცა ქარი უბერავს?

სენსორული

- მოიმარაგეთ იალქნიანი გემები, რომ ბავშვებმა წყალში ითამაშონ. მათი გადაადგილება ჰაერის შებერვით სცადონ.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებით ქარის წისქვილები ააშენონ, შეგიძლიათ მუყაოს ყუთებიც შესთავაზოთ.

წიგნიერება

- *სიტყვიერება*. მოიმარაგეთ ხმის ჩამწერი და საგნები, რომლებითაც ქარის ხმების გამოცემაა შესაძლებელი (მაგალითად, რულონები, ჭიქები, ბოთლები). წაახალისეთ ბავშვები, სცადონ ქარის იმიტაცია პირით და ამ საგნების გამოყენებით. ჩაწერეთ ეს ხმები და

მოასმენინეთ. ჰგავს ქარის ხმას? სთხოვეთ, გაიხსენონ სიტყვები, რომლებსაც ქარის აღსანიშნად იყენებენ. მაგალითად „ბზუილი“, „შრიალი“, „წუილი“. ჰგავს ეს სიტყვები ქარის ხმას?

- სიო, ნიავი, ქარი, ქარაშოტი – ჰკითხეთ, რა სხვაობაა მათ შორის. შეეცადეთ სიჩქარეებიანი ვენტილატორით ან სულაც რაიმე საგნის ძლიერად და სუსტად დაქნევით მიახვედროთ, რომ ქარის ძალა სიჩქარეშია. ქარი ქრის, უბერავს, ზუზუნებს, ქარისგან შრიალებენ ხის ფოთლები, ჭრიალებს ღიად დარჩენილი კარი, მიჰქრიან ღრუბლები.
- წაუკითხეთ (წიგნიერების დანართიდან): „ღამეა და ზუის ქარი“.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ ფურცლები და წაახალისეთ ბავშვები, თვითმფრინავები გააკეთონ. რომელი მოდელი უფრო შორს მიფრინავს? უფრო სწრაფად? როგორ სჯობს ააფრინო?



- ვენტილატორის ან ფენის გამოყენებით ბავშვებმა ჩაატარონ ცდა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ აფრენს სხვადასხვა წონის ნივთს ქარი.
- გამოიყენეთ იზოლენტა და იატაკზე, ორი მეტრის დაშორებით, ორი ხაზი დახაზეთ. მოიმარაგეთ რულონები, პიპეტები, მარაოები, და მუყაოს ქაღალდები. დააწყვეთ ერთ ხაზთან მაგიდის ჩოგბურთის ბურთები და სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვლილი საგნების გამოყენებით, ბურთები მეორე ხაზამდე მიაგორონ. რომელი საგნის გამოყენებითაა უფრო ადვილი?

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა ისწავლეთ დღეს ქარის შესახებ?
- შეგიძლია ჩამოთვალო საგნები, რომლებსაც ქარი აფრიალებს, გადააადგილებს (ფოთლები, ფურცელი, ბუშტები და სხვა)?

ღრუბლიანი დღეები

დილის წრე

- სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ, მათი აზრით, რისგან შედგება ღრუბელი.
- აუხსენით ბავშვებს, რომ როდესაც წყლის წვეთები ორთქლად გადაიქცევა და ცაში ავა, მაშინ ჩნდება ღრუბლები.
- სხვადასხვანაირი ღრუბლების სურათები აჩვენეთ.

კულინარია:



- დაურიგეთ ბავშვებს თითო ნაჭერი პური და სთხოვეთ, ნაპირები ისე ჩამოაკბიჩონ, რომ ღრუბლის ფორმა მიიღონ.
- სთხოვეთ, ამინდის ბორბლის ისარი დღევანდელი დღის თემის შესაბამის ამინდზე მიმართონ.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ღრუბლიანი დღეებია.

ხელოვნება



- ღრუბლიანი ცის დასახატად ბავშვებს ლურჯი ფურცლები და თეთრი საღებავები დაურიგეთ.

მუსიკა და მოძრაობა

- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ „მუსიკალური ღრუბლები“, როგორც „მუსიკალური სკამები“. თეთრი სქელი ქაღალდისგან წინასწარ გამოჭერით ღრუბლები და სკამების მაგივრად გამოიყენეთ.

სამაგიდო



- თეთრი და შავი ფურცლებისგან ღრუბლები წინასწარ გამოჭერით და სთხოვეთ ბავშვებს, თითოეული ღრუბელი თავის ჩრდილთან დააწყვილოს.

წიგნიერება

- აღაწერინეთ, რას შეიძლება ჰგავდეს ღრუბელი. რა ფერის შეიძლება, რომ იყოს? როგორ ღრუბელზე ითქმის „ღრუბლის ქულა“, „ღრუბლის ფთილა“, „საავდრო ღრუბელი“? წაუკითხეთ: „ერთი პატარა ღრუბლის ფთილის თავგადასავალი“

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა გაიგეს ღრუბლების შესახებ?
- მათ თუ დაუნახავთ ღრუბლებზე სხვადასხვა ფიგურები?

წვიმიანი დღეები

დილის წრე



- სთხოვეთ, ამინდის ბორბლის ისარი დღევანდელი დღის თემის შესაბამის ამინდზე მიმართონ.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორი შეგრძნებაა, როცა გაწვიმს? რა გაცვია, როცა წვიმს? რისი კეთება გიყვარს წვიმიან ამინდში?

- გაარკვიეთ, რა იციან წვიმის შესახებ.
  - ტემპერატურის მიხედვით წყალი ღრუბლებიდან ცვივა წვიმად, თოვლად, სეტყვად ან თოვლ-ჭყაპად.
  - ღრუბლები სავსეა დედამიწიდან შეწოვილი წყლით.
  - ნალექის რაოდენობის გამოსათვლელად, იყენებენ ხელსაწყოს, რომელშიც წვიმის წყალი მილით ჩაედინება და გროვდება კონტეინერში, რომელიც მის რაოდენობას გვიჩვენებს.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რაში გვეხმარება წვიმა. ყვავილებს ეხმარება გაზრდაში, ასუფთავებს დედამიწას, ავსებს ტბებს და სხვა.
- აჩვენეთ ბავშვებს წვიმის და ცისარტყელას სურათები.
- თუ მზიანი ამინდია, ეზოში გადით და წყლის რეზინის მილის გამოყენებით ცისარტყელა გააკეთეთ. ისაუბრეთ ცისარტყელაზე.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა წვიმიანი ამინდია.

ხელოვნება



- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ წვიმა. აჩვენეთ, როგორ მოაყარონ სახატავ ფურცელს მშრალი საღებავი და შემდეგ წყალი შეასხურონ. თუ ფურცელს წყლის შეშრობამდე ოდნავ ააყირავებთ, წვეთები ქვემოთ ჩამოვა, თითქოს წვიმის წვეთებია.
- წაახალისეთ ბავშვები, წვიმიანი დღე დახატონ.
- წაახალისეთ ბავშვები, წვიმიანი დღე ღია ლურჯი საღებავით ხატონ. მიეცით შესაბამისი ფერების საღებავები ცისარტყელას დასახატად.

სამაგიდო



- *მათემატიკა.* ლურჯი ფურცლისგან წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ზომის წვეთები. სთხოვეთ ბავშვებს, წვეთები სიდიდის მიხედვით დააწყონ.
- *წერა.* მოიმარაგეთ სველი ქვიშა და სინები, რომ ბავშვებმა მასზე სხვადასხვა საგნის გამოყენებით „წერონ“: მაგალითად, კალმის, ჯოხის, საწრუპის ან თითის.

სენსორული

- დაურიგეთ ბავშვებს პიპეტები. წაახალისეთ, მეგობართან ერთად წვეთი ფოლგაზე, სინზე ან ამდაგვარ ზედაპირზე დააწვეთონ. ასწიონ ფურცელი, რომ წვეთები ძირს დაეშვას. რომელმა წვეთმა მოიგო? როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ მოგების მეტი შანსი გვქონდეს? (დიდი წვეთები უფრო სწრაფად მოცურავენ ქვემოთ)

წიგნიერება

- გააკეთეთ წიგნი სათაურით: „რა გავაკეთოთ წვიმიან დღეს“. დაურიგეთ ფურცლები და ფანქრები ბავშვებს, დააწერეთ მათი იდეები და სთხოვეთ მათი ილუსტრირება. აკინძეთ წიგნი და შეინახეთ ბიბლიოთეკაში.
- ჰკითხეთ: გაუგიათ თუ არა: „თავსხმა წვიმა,“ „დელგმა,“ „ჟუჟუნა წვიმა,“ „კოკისპირული წვიმა,“ „მზე პირს იბანს.“ აუხსენით თითოეული მათგანი.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ღრუბლის საცერი,“ „წკიპურტი“.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ წყლის ჭიქები, საკონდიტრო საღებავები და თეთრი ფერის ყვავილები ან თავთავები. სთხოვეთ ბავშვებს, წყალი საღებავით გააფერადონ და თითოეულ ჭიქაში მცენარე ჩადონ. რა მოხდება?
- წაახალისეთ ბავშვები, აყირავებულ სინზე პიპეტით წყლის წვეთები დააწვეთონ და დააკვირდნენ, როგორ ჩამოცურდება.
- დაამზადებინეთ ბავშვებს ტერარიუმი. ორლიტრიან პლასტმასის ბოთლში მოათავსეთ მიწა, კენჭები, ნახშირი, მწვანე მცენარეები და წყალი.

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა კავშირია ღრუბლებსა და წვიმას შორის?
- რით შეიძლება გაერთო წვიმიან დღეს?

ცივი და თოვლიანი დღეები

დილის წრე

- სთხოვეთ, ამინდის ბორბლის ისარი დღევანდელი დღის თემის შესაბამის ამინდზე მიმართონ.
- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა ცივი ამინდების შესახებ.
* ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რისი კეთებაა შესაძლებელი ცივ ამინდში.
* ისაუბრეთ ტანსაცმელზე, რომელსაც ცივ ამინდებში ვიცვამთ.
* როგორ არის შესაძლებელი სითბოს შენარჩუნება?

    * აჩვენეთ ბავშვებს ხელების გასათბობად, როგორ დაიზილონ და შეუბერონ სული.
- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა თოვლზე.
    * თოვლი ყინულის კრისტალებია.
    * შეგიძლია თოვლით რაიმეს აშენება?
    * ზოგი ადამიანი ისეთ ადგილებში ცხოვრობს, სადაც თითქმის მთელი წლის განმავლობაში თოვლია; ზოგი კი ისეთ ადგილებში, სადაც იშვიათად, ან არასდროს არის თოვლი.
    * როგორი ტანსაცმელი გვაცვია თოვლიან ამინდში?
    * რისი კეთება გვიყვარს თოვლიან ამინდში?
- აჩვენეთ თოვლის სურათები და უთხარით, რომ თოვლი გაყინული წვიმაა. ისაუბრეთ თოვლსა და წვიმას შორის განსხვავებებზე. აღნიშნეთ, როგორ სწრაფად ეცემა მიწაზე წვიმა, ხოლო თოვლი მოფარფატებს.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ცივი და თოვლიანი დღეებია.

ხელოვნება



- წინასწარ გააკეთეთ ყინული-კუბიკები, რომლებშიც ნაყინის ჯოხები იქნება ჩაყინული. ბავშვებმა სახატავ ფურცლებს მშრალი საღებავი (პიგმენტები) მოაყარონ და ყინული ფუნჯებად გამოიყენონ.
- მოიმარაგეთ ცივი ფერის საღებავები, რომ ბავშვებმა ცივი დღე დახატონ.
- მოიმარაგეთ შავი ან მუქი ლურჯი სახატავი ფურცლები და თეთრი საღებავი, რომ ბავშვებმა თოვლიანი დღე დახატონ.

მუსიკა და მოძრაობა

- ითამაშეთ „ცივა-ცხელა“ (დამალეთ რაიმე ნივთი ოთახში და როდესაც მაძებარი ამ ნივთს მიუახლოვდება, უთხარით, რომ ცხელა. როცა დაშორდება – უთხარით, რომ ცივა.)

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ჟურნალ-გაზეთები და მაკრატლები. სთხოვეთ ბავშვებს, დაძებნონ აქტივობები, რისი გაკეთებაც ცივ ამინდში შეიძლება და გამოჭრან.
- მოიმარაგეთ თეთრი ფურცლები და მაკრატლები, რომ ბავშვებმა ფიფქები გამოჭრან.
- *მათემატიკა.* წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ზომის ფიფქები და წაახალისეთ ბავშვები, სიდიდის მიხედვით დაალაგონ.
- დაურიგეთ ბავშვებს დათვები, რომ ზამთრის ტანსაცმელი ჩააცვან. რითი განსხვავდება ზამთრის ტანსაცმელი ზაფხულისაგან (დანართი 1.9.1)?

სენსორული

- წაახალისეთ ბავშვები, ცომს მსხვილი მარილი დაუმატონ და ისე ძერწონ.
- მოიმარაგეთ თეთრი ცომი ან პლასტელინი. ბავშვებმა თოვლის ადამიანები გამოძერწონ. აქსესუარების გასაკეთებლად მოიმარაგეთ ქსოვილის ნაკუწები, მძივები და სხვა მასალა.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, კუბურების საშუალებით თოვლის სასახლე ააშენონ (შეგიძლიათ კუბურების ცენტრში შეიტანოთ ფოლგა, ბამბა და ა.შ.).

წიგნიერება

- გაიხსენეთ ზამთრის სპორტის სახეობები. ჩამოთვალეთ ზამთრის ტანსაცმელი, გათბობის საშუალებები: ღუმელი, ქურა, ბუხარი, რადიატორი. ესაუბრეთ გამათბობლებთან დაკავშირებულ უსაფრთხოებაზე.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „თოვლის გუნდა“ ან, თუ შესაძლებელია, აჩვენეთ მულტფილმი. მოაყოლეთ გუნდის სახეცვლილების შესახებ.

მეცნიერება

- მოათავსეთ ყინული ზიპიან პარკში და სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ, როგორ დნება. შეგიძლიათ სათამაშო კაცუნა ყინულში მოათავსოთ და სთხოვოთ, მოიფიქრონ, როგორ გაათავისუფლონ ყინულისაგან.
- სთხოვეთ ბავშვებს, ნახევრად გაავსონ წყლით ზიპიანი პოლიეთილენის პარკები და შეალაგონ საყინულეში. რა მოხდება?
- მოიმარაგეთ მსუბუქი საგნები, მაგალითად, ბამბის ბურთები, ბუმბულები და პატარა ბურთები. წაახალისეთ ბავშვები, გაარკვიონ, რომელი საგანი ვარდება და რომელი ფარფატებს ჰაერში.

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რითი ჰგავს თოვლი წვიმას?
- რას გააკეთებდი თოვლიან დღეს?

ზამთარი და შობა-ახალი წელი

1. ზამთარი
2. შობა-ახალი წელი
3. საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოები
4. თოვლის ბაბუა
5. საახალწლო და საშობაო საჩუქრები
6. საახალწლო დეკორაციები

1. ზამთარი

დილის წრე

- ყავისფერი ქაღალდისგან წინასწარ გამოჭერით ხის ტანი და ტოტები, ჩამოკიდეთ კედელზე.
- შიშველი ხის დანახვისას, შესაძლებელია, ამოიცნო წელიწადის დრო?
- ისაუბრეთ ზამთარზე. ზამთარში ამინდი უფრო ცივი ხდება და ხეები უფოთლოდ რჩება. შეუძლიათ ბავშვებს ზამთრის სხვა ნიშნები გაიხსენონ? ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც ზამთრის შესახებ იციან. ზამთრის გასართობები, დღესასწაულები, საკვები და სხვა.

- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ზამთარია.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ გამხმარი ხის ტოტები და ბამბა. წაახალისეთ ბავშვები, დააწებონ ტოტებს ბამბა და შექმნან თოვლის იმიტაცია. დამზადებული ტოტები ჩაამაგრეთ ქოთანში ან სხვა ჭურჭელში.
- გამოჭერით მუყაოს ნაჭრისგან ფიფქები (რაც უფრო უხეში, ნაკლებად გლუვი ზედაპირი ექნება, მით უფრო კარგია). დაადეთ ფიფქს ქაღალდი. სთხოვეთ ბავშვებს, გადაუსვან ცისფერი პასტელი. ქაღალდზე ფიფქი დაიხატება.

- ქაღალდის ხელსახოცებისაგან ან თეთრი ქაღალდისაგან დაამზადებინეთ ბავშვებს ფიფქები და ლოლოები შაბლონის მიხედვით და დაამაგრეთ ფანჯრებზე.



მუსიკა და მოძრაობა:

- ათამაშეთ ბავშვებს გაშეშობანა.

სამაგიდო



- *თასმების გაყრა.* წინასწარ გამოჭერით მუყაოსგან ფიფქები ან თოვლის კაცები და დახვრიტეთ. სთხოვეთ ბავშვებს, გაუყარონ თასმები.
- აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვა ამინდის ამსახველი სურათები. თბილი ამინდის ჩვენებისას ბავშვები დახტიან, ცივის ჩვენებისას შეშდებიან (იყინებიან).
- *მათემატიკა.* სხვადასხვა ზომის ხელთათმანები (დანართი 1.10.1.) დაალაგეთ ზრდის მიხედვით.

- დაურიგეთ ბავშვებს წინასწარ გამოჭრილი სათამაშო „ჩამაცვი ტანსაცმელი“ (დანართი 2.5.2. თემიდან „მე და ჩემი სხეული“) და სთხოვეთ, ზამთრის აქტივობებისთვის გამოაწყონ.
- თოვლის ბაბუის ასაწყობად დაურიგეთ ბავშვებს თექისგან გამოჭრილი სხვადასხვა ზომის თეთრი წრეები, ქუდები, შარფები და სხვა საჭირო საგნები.

სენსორული

- თუ საშუალება არსებობს, დაასხით საპარსი ქაფი (იყიდება საბავშვო საპარსი ქაფიც, თუმცა დიდებისაც უსაფრთხოა სათამაშოდ) ან ხელოვნური თოვლი მაგიდაზე და წაახალისეთ ბავშვები, თითებით თოვლიანი სცენა შექმნან.
- ზამთრის სენსორული მაგიდა. ჯამში მოათავსეთ შემდეგი მასალა: კარტოფილის ფქვილი, ბამბა, საპარსი ქაფი, ბრჭყვიალები, ხელოვნური თოვლი. ატარებინეთ მანქანები ან მიეცით საზომი ჭიქები და კოვზები და ათამაშეთ.

- მოათავსეთ ჯამში თეთრი ფურცლები. სთხოვეთ ბავშვებს, დააქუცმაცონ და დახიონ წვრილად (დამალეთ სხვადასხვა პატარა საგნები). სთხოვეთ, იპოვნონ ეს საგნები.
- ჩაყარეთ ჯამში წიწვოვანი მცენარის ფოთლები (სხვადასხვა ფორმის). მოსინჯონ ხელით. დაასხით ხელოვნური თოვლი.

წიგნიერება

- შეეცადეთ ბავშვებთან ერთად თავი მოუყაროთ იმ სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ ზამთართან ასოცირდება. სთხოვეთ, თითოეულმა ხუთ-ხუთი მაინც ჩამოთვალოს.
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

მეცნიერება

- ერთ ბოთლში აურიეთ ერთი ჭიქა მანანის ბურღული, ორი სუფრის კოვზი ვერცხლისფერი და თეთრი ბრჭყვიალები და 350 გრამი წყალი. მეორე ბოთლში აურიეთ ერთი ჭიქა სარეცხი საშუალება და წყალი. სთხოვეთ ბავშვებს, აანჯღრიონ ბოთლები და დააკვირდნენ. რომელი უფრო ჰგავს თოვლს?

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა მოგწონთ ზამთარში?
- რა ისწავლეს ახალი ზამთრის შესახებ?
- რითი განსხვავდება ზამთარი შემოდგომისგან?

2. შობა-ახალი წელი

დილის წრე



- იმღერეთ საშობაო სიმღერა.
- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა შობის შესახებ. წაახალისეთ ისინი, ისაუბრონ შობაზე.
- ისაუბრეთ შობის და ახალი წლის შესახებ.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა შობა-ახალი წელია.
- სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ და თქვან თავიანთი საახალწლო სურვილები.

ხელოვნება



- სადღესასწაულო ქუდი. მოიმარაგეთ ერთჯერადი ჭიქები. დაურიგეთ ბავშვებს. სთხოვეთ, გადმოატრიალონ და გააფორმონ სხვადასხვა მასალით: შესაფუთი ქაღალდის ნაგლეჯები, სტიკერები, ბუმბულები, ლენტები და სხვა. დაურიგეთ ბამბის ბურთულები, რომ „ქუდის“ ბოლოს მიაწებონ. გახვრიტეთ ჭიქები ორ მხარეს და გაუყარეთ ლენტა.

- არაჟნის კონსისტენციის საფუარიანი ცომისგან ბავშვებს შავ ფურცელზე ნახატი დაახატვინეთ. დადეთ თბილ ადგილას. ცოტა ხანში აჩვენეთ, როგორ შეიცვლება/აფუვდება მათი ნამუშევარი (რეცეპტი: 1 ჭ. თბილი წყალი, 4 ჩ.კ. ფქვილი, 1 ჩ.კ საფუარი ან გამაფხვიერებელი, 1 ჩ.კ. შაქარი).
- ხელის ანაბეჭდის ნაძვის ხე. მოიმარაგეთ თეთრი ფურცლები და მწვანე საღებავი. სთხოვეთ ბავშვებს, შეიღებონ ხელი მწვანედ და ფურცლის ზედა ნაპირში ერთი ანაბეჭდი ისე დასვან, რომ თითები ქვევით იყოს. შემდეგ გააკეთონ ორი ანაბეჭდი, უფრო ქვევით – სამი ანაბეჭდი და ასე შემდეგ, სანამ ფურცელზე ადგილი გეყოფათ. ხელის ანაბეჭდებით მიიღებთ ნაძვის ხეს.



მუსიკა და მოძრაობა

- დამალეთ საშობაო მუსიკალური სათამაშო ოთახში და სთხოვეთ ბავშვებს, იპოვონ.
- წინასწარ გამოჭერით მუყაოსგან დიდი ზომის ზარი და მასზე ზანზალაკები მიამაგრეთ. ჩამოკიდეთ მიღებული ზარი ოთახში. სთხოვეთ ბავშვებს, განსაზღვრული ადგილიდან ზარს ბურთები ესროლონ და სცადონ მისი ახმაურება.

სამაგიდო



- წინასწარ გამოჭერით თექის ნაძვის ხეები და სათამაშოები. დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ ნაძვის ხის მორთვა. გამოიყენეთ კამათელი. ბავშვებმა იმდენი სათამაშოთი უნდა მორთონ, რა რაოდენობაც კამათელზე დაუჯდებათ.

სენსორული

- ზანზალაკების ნახატი. თეთრი ფურცელი მოათავსეთ ყუთის სახურავში. წითელი და მწვანე საღებავები მოათავსეთ ცალ-ცალკე თასებში და ამ თასებში ჩაყარეთ ზანზალაკები. სთხოვეთ ბავშვებს, კოვზის გამოყენებით ამოიღონ ზანზალაკები საღებავიდან და ჩადონ ყუთის სახურავში. გაანჯღრიონ. ზანზალაკები თან ხმას გამოსცემენ და თან საახალწლო ნახატს შექმნიან.

წიგნიერება

- აუხსენით, რა არის ალილო. ჰკითხეთ, თუ უნახავთ მეალილოეები?
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

მეცნიერება:

- მოიმარაგეთ გაზქურის და ჩვეულებრივი ხელთათმანები. ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რაში ვიყენებთ მათ. ხელებს სიცივისგან ვიცავთ. აჩვენეთ ბავშვებს გაზქურის ხელთათმანი, ისაუბრეთ მათ დანიშნულებაზე – ხელებს ცხელი საგნებისგან ვიცავთ. ჰკითხეთ ბავშვებს, შეუძლიათ გაზქურის ხელთათმანებს სიცივისგან დაცვა? დაყავით ბავშვები მცირე ჯგუფებად და მიეცით გაზქურის ხელთათმანი, ყინული და ხელსახოცი. სთხოვეთ, ერთ ხელზე ხელთათმანი ჩამოიცვან და სცადონ, იმდენ ხანს დაიჭირონ ყინული თითოეული ხელით, რამდენ ხანსაც კომფორტული იქნება, შემდეგ ხელსახოცზე დადონ. რა დაკვირვება გააკეთეს? შეუძლია გაზქურის ხელთათმანს სიცივისგან დაცვა?

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი შობა-ახალი წლის შესახებ?
- ვის რომელი აქტივობა მოეწონა ყველაზე მეტად?

3. საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოები

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რითი გამოირჩევა ახალი წელი სხვა დღესასწაულებისგან?
- რა უყვართ ყველაზე ძალიან ამ დღესასწაულში?
- როგორ ემზადებიან ახალი წლისთვის?

ხელოვნება

- *ჩიჩილაკის დამზადება ქაღალდის ბურბუშელით.* ყვითელი ან კრემისფერი ქაღალდი ბავშვებმა ზოლებად დაჭრან და ფანქრით დაახვიონ. ცალკე ფურცლისგან დაამზადონ ჩიჩილაკის ღერძი და მასზე თანმიმდევრობით, ქვევიდან ზევით, ქაღალდის ბურბუშელები მიაწებონ.
- მოახატვინეთ ბავშვებს პატარა ბურთები გუაშის საღებავითა და გააფორმეთ ბრჭყვიალა წებოთი.
- მაუდის ქსოვილზე ბავშვებს შემოახაზინეთ და გამოაჭრევინეთ წრეები. გააფორმებინეთ ღილების, ლენტებისა და მაქმანების გამოყენებით. გაუკეთეთ სკრეპის საკიდები.
- ამოაჭრევინეთ ბავშვებს ფორმები: წრე, გული, ვარსკვლავი – შაბლონის მიხედვით. ფოლგის ქაღალდზე კალმით ან ფანქრით დაახატვინეთ ბავშვებს მარტივი ორნამენტები. შემოახვიონ ფოლგა მუყაოს ფორმას, დაუმაგრეთ სკრეპის საკიდები.

მოძრაობა



- ჩართეთ ინგლისური საშობაო სიმღერა „jingle bells“, დაურიგეთ ბავშვებს პატარა ზარები და წაახალისეთ, იცეკვონ.

სამაგიდო



- რამდენი სათამაშოა ნაძვის ხეზე (დანართი 1.10.2.)?

დრამატული



- მოაწყვეთ საახალწლო ბაზრობა. გაანაწილეთ როლები (მყიდველი, გამყიდველი). მოაწყვეთ ხელოვნების ცენტრში დამზადებული სათამაშოების გამოფენა-გაყიდვა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

მეცნიერება:

- ბავშვების თვალწინ ძველი ნაქსოვი ხელთათმანი დაარღვიეთ. ბავშვებმა ნახონ, რომ ის ერთი გრძელი ძაფისგან შედგება. მიეცით თითოეულ ბავშვს 20 სანტიმეტრის სიგრძის ძაფი და სთხოვეთ, დაშალონ. ისინი აღმოაჩენენ, რომ ძაფი შედგება უფრო წვრილი, მჭიდროდ დაგრეხილი ძაფებისგან. რაც უფრო მეტი ფენა ძაფია, მით უფრო თბილი გამოვა ამ ძაფისგან ნაქსოვი ხელთათმანი.

კულინარია



- მოიმარაგეთ (ბავშვებთან ერთად დაამზადეთ) მაგარი ცომი და ცომის საჭრელი საახალწლო ფორმები. გააბრტყელეთ ცომი და მიეცით საშუალება ბავშვებს, ფორმები გამოჭრან. თუ გაქვთ საშუალება, ნამცხვრები თეთრად მოართვევინეთ.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ნაძვის ხისა და ჩიჩილაკის შესახებ?
- ისაუბრონ, როგორი ნაძვის ხე უნდათ, რა სიმაღლის, რა ფერის, როგორი განათებით?

4. თოვლის ბაბუა

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა სურვილები უნდათ, რომ მისწერონ თოვლის ბაბუას. ჩამოწერეთ ყველას სურვილი.
- წაუკითხეთ ლექსები თოვლის ბაბუაზე.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა თოვლის ბაბუაა.

ხელოვნება



- წინასწარ გააკეთეთ საფოსტო ყუთი. ჩამოკიდეთ ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე. სთხოვეთ ბავშვებს საახალწლო სურვილები დახატონ. დაურიგეთ კონვერტები, რომ გაკეთებული ნახატები შიგნით ჩადონ და შემდეგ ყუთში ჩაყარონ.
- ორი ან სამი ერთფერადი თეთრი თეფში დაამაგრეთ ერთმანეთზე, რომ მიიღოთ

თოვლის ბაბუის სხეული. წინასწარ გამოჭერით ფერადი ქაღალდისაგან ან ქსოვილებისაგან სხვადასხვა დეტალები, თვალები, ცხვირ-პირი, კაშნე, ხელები, ჩექმები, ღილები და ა.შ. სთხოვეთ ბავშვებს, გაანაწილონ დეტალები და დააწებონ თეფშებზე.

- თოვლის კაცუნას ხატვა – დაურიგეთ ბავშვებს მუქი ფერის ქაღალდი და თეთრი გუაში, სთხოვეთ, დახატონ თოვლი და თოვლის კაცუნა.

მოძრაობა



- თავისუფალი ცეკვა. ჩართეთ რიტმული მუსიკა და ბავშვებს სთხოვეთ, იცეკვონ, რაც უნდათ და როგორც უნდათ (ინსტრუქციების და მითითებების გარეშე).

სამაგიდო



- გამოჭერი და ჩააცვი თოვლის კაცს (დანართი 1.10.3.).
- თოვლის კაცის ლაბირინთი (დანართი 1.10.4.).
- მარილიანი ცომის თოვლის ბაბუა. წინასწარ მოამზადეთ მარილიანი ცომი, გაუნაწილეთ ბავშვებს და სთხოვეთ, ჯერ დაამრგვალონ პატარა გუნდები და შემდეგ ერთმანეთზე დამაგრებით მიიღონ თოვლის კაცუნები.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

მეცნიერება:

- შავი ქაღალდი შედეთ საყინულეში და გააჩერეთ. მოაგროვეთ ფხვიერი ყინული ქაღალდზე და ბავშვებს აჩვენეთ. გამოიკვლიონ გამადიდებელი შუშით.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი თოვლის პაპას შესახებ?
- რა მოეწონათ ყველაზე მეტად?

5. საახალწლო და საშობაო საჩუქრები

დილის წრე

- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ ყველაზე დასამახსოვრებელი საახალწლო საჩუქარი. თქვენც მოუყევით თქვენი გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების შესახებ.
- რას ისურვებენ, რომ აჩუქონ ოჯახის წევრებს და მეგობრებს.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა საახალწლო და საშობაო საჩუქრებია.

ხელოვნება



- დეკორატიული ფორმების: ფიფქის, გულის, წრეების, ვარსკვლავების შტამპები გააფორმონ კედელზე გასაკრავი ქაღალდით და გამოიყენეთ საჩუქრების შესაფუთად.
- სთხოვეთ ბავშვებს, დაახვიონ და დააწებონ მუყაო ან წინასწარ მოიმარაგეთ მუყაოს რულონი და შეახვევინეთ ის ფერადი კრეპის ან ჟატის ქაღალდში. შეაკვრევინეთ ორივე მხრიდან და დაამზადებინეთ დიდი ზომის კანფეტები.

დრამატული



- მაღაზიობანა. ბავშვებმა მაღაზიაში უნდა შეარჩიონ საახალწლო საჩუქრები ახლობლებისთვის, ზოგი გამყიდველია, ზოგი მყიდველი. გამოიყენეთ მუყაოს ყუთები და შესაფუთი ქაღალდი. შეაფუთინეთ და გააფორმებინეთ მუყაოს ყუთები საახალწლო საჩუქრების ჩასაწყობად.

წიგნიერება

- სთხოვეთ, გიკარნახონ საახალწლო მისალოცის ტექსტი ოჯახის წევრებისთვის. ჩაიწერეთ, მეორე მხრიდან დაახატვინეთ ნახატი.
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

კულინარია



- დაეხმარეთ ბავშვებს ფხვიერი ნამცხვრის ცომის დამზადებაში, გამოაჭრევინეთ საახალწლო ფორმებით, გამოაცხვეთ და გააფორმებინეთ სხვადასხვა ფერის მინანქრით.

საღამოს წრე

- მოაყოლეთ, როგორ მოუტანა თოვლის პაპამ წინა წელს საჩუქარი, სად დახვდათ, ნაძვის ხესთან თუ საწოლთან; დილით ნახეს თუ ღამით; მოეწონათ თუ არა?

6. საახალწლო დეკორაციები

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, მორთეს თუ არა საახალწლოდ სახლები და ოთახები.
- დაათვალიერებინეთ ჟურნალებიდან სურათები და აჩვენეთ, როგორ რთავენ საახალწლოდ ოთახებს. ჰკითხეთ, ვის რა მოსწონს, ასაუბრეთ და აღაწერინეთ სურათები.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა საახალწლო დეკორაციებია.

ხელოვნება



- ფერად ქაღალდებზე დაახატვინეთ გუაშით სხვადასხვა ფერის ზოლები, კოპლები, ფიფქები ან რაიმე სხვა ორნამენტები, გაშრობის შემდეგ, დააჭრევინეთ წვრილ ზოლებად და დაამზადეთ ჯაჭვები.
- ფერადი მუყაოსაგან წინასწარ გამოჭერით და შეკარით კონუსის ქუდები, მოიმარაგეთ ფერადი ქაღალდები, წვიმები და გირლანდები, სთხოვეთ ბავშვებს, აპლიკაციებით გააფორმონ.
- საახალწლო ფერია. წინასწარ გამოჭერით კრეპის ან ჟატის ქაღალდის წრეები, სათითაოდ დაურიგეთ ბავშვებს, ჩადონ ყუთში ბამბა და შემოახვიონ ფერადი სკოჩი, რეზინა ან ფაფუკი ღერები.
- მოძრავი საშობაო ფარნები. დაურიგეთ ბავშვებს ფერადი ფურცლები და სთხოვეთ, შუაზე გადაკეცონ და ზოლებზე დაჭრან, გაშალონ, დააწებონ და გაუკეთონ საკიდი. შეაღებინეთ ბავშვებს ფარნები გუაშებით და გააფორმეთ ბრჭყვიალა წებოთი, აასხით თოკზე და გააფორმეთ ოთახი.



მოძრაობა



- *მოქმედებითი ზღაპარი „გამოვაცხოთ ნამცხვარი“. გაითამაშეთ ზღაპარი, თან წაახალისეთ ბავშვები, გაიმეორონ თქვენი მოქმედებები.* ვის უნდა გამოაცხოს ნამცხვარი? ყველა მცხობელი ახლოს მომიჯდეს! მოდი, ვნახოთ! გვჭირდება მიქსერი, ორი თასი, საზომი ჭიქა და კოვზები, ასევე ნამცხვრის ფორმა *(გაითამაშეთ თითქოს ამ ნივთებს*

თაროებიდან იღებთ). ახლა კი მგონი მზად ვართ. პირველ რიგში კარაქი და შაქარი მოვათავსოთ თასში *(გაითამაშეთ, თითქოს ორივე მოათავსეთ თასში).* ახლა მიქსერი გვჭირდება *(გაითამაშეთ, თითქოს გადაატარეთ მიქსერი თასს და გამოეცით ბზუილის ხმა).* შეხედეთ, რა ერთგვაროვანია ათქვეფილი მასა. მოდით, კვერცხები ჩავამატოთ *(დაითვალეთ და თასში თითქოს ოთხი კვერცხი ჩატეხეთ).* ისევ ავურიოთ *(გაითამაშეთ, თითქოს მოურიეთ მიქსერით და გაახმოვანეთ).* რა კარგად გამოიყურება, ახლა კი უნდა ჩავამატოთ ფქვილი *(გაითამაშეთ, თითქოს* არწყეთ ორი სავსე ჭიქა ფქვილი და ჩაყარეთ თასში). მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩა – ერთი შეკვრა ვანილი (*გაითამაშეთ, თითქოს* აიღეთ ჩაის კოვზით ვანილი). ბოლო მორევა *(აურიეთ),* ახლა კი მზად ვართ მიღებული მასა ფორმაში ჩავასხათ *(ჩაასხით).* შევდგათ ჩვენი ფორმა გაზქურაში *(გაითამაშეთ, თითქოს* გამოალეთ გაზქურის კარი, ჭრიალის ხმის გამოცემით, შედგით ნამცხვარი და მიხურეთ კარი) . ახლა ჩვენი ნამცხვარი ცხვება (აათამაშეთ თითები მაგიდაზე, თითქოს ელოდებით). ვინ გრძნობს გემრიელ სუნს? *(*ჩაისუნთქეთ.) რა მადის აღმძვრელი სუნია! კარგი! მგონი დროა, ჩვენი ნამცხვარი გაზქურიდან გამოვიღოთ *(გაითამაშეთ, თითქოს* გამოიღეთ ნამცხვარი და დასუნეთ*).* ვის უნდა ნამცხვარი?

სამაგიდო



- დანართიდან წინასწარ გამოჭერით საახალწლო ნამცხვრების გამოსახულებები. სთხოვეთ ბავშვებს, შეუსაბამონ ნამცხვრები ფორმებს (დანართი 1.10.5.).
- დაალაგე სურათები თანმიმდევრულად (დანართი 1.10.6.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ ნაწყვეტი „პეპი გრძელიწინდადან“ (წიგნიერების დანართი).

საღამოს წრე

- შეაჯამეთ, რა ისწავლეს შობა-ახალ წელზე.
- რა მოეწონათ ყველაზე მეტად?
- რას გამოიყენებენ სახლში საახალწლო სამზადისისას?

ფორმები ჩემ გარშემო

1. წრე
2. ოთხკუთხედი
3. სამკუთხედი
4. სხვადასხვა ფორმები: გული, პარალელოგრამი, ტრაპეცია, ჯვარი
5. ფერადი ფორმები

საერთო აქტივობები

მოძრაობა



- იატაკზე დააკარით საკმარისი რაოდენობის სკოჩი ისე, რომ დიდი ზომის დღის ფორმები გამოვიდეს. სთხოვეთ ბავშვებს, მის მიერ არჩეულ და დასახელებულ ფორმის კონტურზე მონაცვლეობით იხოხონ, იარონ ან იხტუნონ (ორი ან ცალი ფეხით).
- თუ ამინდი ხელს გიწყობთ, გაიყვანეთ ეზოში, ფერადი ცარცით დაუხატეთ დღის ფორმა. ბავშვები დარბიან და მასწავლებლის მინიშნებებზე დგებიან დღის ფორმაში.

სამაგიდო



- თითოეულ ბავშვს დაურიგეთ ფურცელზე დახატული დიდი ზომის დღის ფორმა (მაგ. კვადრატი); სთხოვეთ ბავშვებს, ცომისგან გამოძერწონ წაგრძელებული ფორმები და დაადონ შესაბამის ფორმას ქაღალდზე. ცომის ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ თასმები.
- ზუმფარას ქაღალდისგან წინასწარ გამოჭერით დღის ფორმები. ფორმა ორმაგი სკოჩით დაამაგრეთ ქაღალდზე და ამოატრიალეთ. სთხოვეთ ბავშვებს, ფანქრები გაუსვან ქაღალდზე (პასტელები მთელი სიგრძით შეუძლიათ წაუსვან). რა ფორმა გამოჩნდა ქაღალდზე?

- სამუშაო ფურცლები – „გაყევი ფორმებს“ (დანართი 1.11.1.).
- სამუშაო ფურცლები „იპოვე ფორმები“ (დანართი 1.11.2.).
- სამუშაო ფურცლები (დანართი 1.11.3.) – „ფორმები და ზომები“
- თვლა და ფორმა – სთხოვეთ ბავშვებს, დაითვალონ 3 ფორმა, 5 ფორმა.
- ფორმები და რაოდენობა – სამუშაო ფურცლები (დანართი 1.11.4.) „ფორმები და რაოდენობა“. აჩვენეთ ფურცელზე დახატული 3 წრე და 2 სამკუთხედი; ჰკითხეთ, რომელი ფორმაა მეტი, ნაკლები.
- სთხოვეთ ბავშვებს, ქაღალდისგან გამოჭრილი ფორმები დახატულ კონტურს მოარგონ.
- ათამაშეთ ფორმების ლოტო (დანართი 1.11.5.).

სენსორული:

- „ფორმის გამოკვლევა“. წინასწარ მოიმარაგეთ ხის ან პლასტმასის ფორმები, თუ არ გაქვთ, მყარი მუყაოს ქაღალდისგან გამოჭერით დღის ფორმები. მიაწოდეთ ბავშვებს და სთხოვეთ, გაიმეორონ ფორმის სახელი, კარგად დაათვალიერონ, შემდეგ თვალი დახუჭონ და ისე მოსინჯონ ხელით.

1. წრე

დილის წრე

- გამოჭერით დიდი ზომის დღის ფორმა და ჩამოკიდეთ თვალსაჩინო ადგილას.



- გამოიყენეთ იზოლენტა და გააკეთეთ იატაკზე დიდი წრე. სთხოვეთ ბავშვებს, დასხდნენ ამ წრეზე.
- სთხოვეთ ბავშვებს, წამოდგნენ და ერთმანეთს ხელები ჩაჰკიდონ. დააკვირდნენ ფორმას, რომელიც მათ შექმნეს. ჰკითხეთ, იციან თუ არა ამ ფორმის სახელი. აუხსენით,

რომ წრე არის ფორმა, რომელიც შედგება მომრგვალებული ხაზებისგან და რომ მას არც გვერდები აქვს და არც კუთხეები.

- სთხოვეთ ბავშვებს, თავიანთი სხეულის მეშვეობით წრეების გაკეთება სცადონ. მათ შეიძლება გამოიყენონ ხელები, თითები ან მთელი სხეული.
- წაახალისეთ ბავშვები, დაძებნონ ოთახში წრის ფორმის საგნები. ჩამოწერეთ ნაპოვნი საგნების სია (უმჯობესია დაფაზე, ყველას დასანახად).
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა წრეა.

ხელოვნება



- წინასწარ მოიმარაგეთ მუყაოს ერთჯერადი თეფშები და დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ფორმის სტიკერებთან ერთად სხვადასხვა ფორმის ნიღბებისთვის და ამოუჭერით თვალების ადგილები. სთხოვეთ ბავშვებს, მიუხატონ ცხვირ-პირი, გააფორმონ ნიღბები სტიკერებით. ნიღაბს გაუკეთეთ რეზინის ზონარი და მოარგეთ ბავშვს სახეზე.

- წინასწარ ამოჭერით მუქი და ღია ფერის წრეები და ნახევარწრეები და სთხოვეთ, ნიმუშის მიხედვითააწყონ მანქანა.
- ფერადი ქაღალდისგან წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ზომის წრეები, სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ წრეები ფურცელზე გარკვეული კანონზომიერებით (პატარიდან დიდისკენ და შემდეგ ისევ პატარისკენ, ან მონაცვლეობით პატარა, დიდი, პატარა დიდი). სთხოვეთ ბავშვებს, დაახატონ მუხლუხოს თვალები და პატარა ფეხები.



- გამოჭერით წრეები ვარდისფერი ან კრემისფერი ნაჭრისგან (თექისგან). მოიმარაგეთ თექის თვალები, პირები, ცხვირები და ყურები. სთხოვეთ ბავშვებს, შექმნან სახე.

მუსიკა და მოძრაობა

- ჰულა-ჰოპების (ან სხვა წრის ფორმის საგნისგან) გააკეთეთ ბილიკი, ბილიკის დასაწყისში დადეთ დიდი ჯამი, ბილიკის ბოლოს ფერადი ბურთებით სავსე ყუთი. სთხოვეთ ბავშვებს ერთ ჰულა-ჰოპიდან მეორეში გადახტომით მივიდნენ ბურთებამდე და ბურთებით ხელში დაბრუნდნენ დასაწყისში, რომ ჯამი ბურთებით გაავსონ. გააკეთეთ ორი ასეთი ბილიკი, დაყავით ბავშვები ორ ჯგუფად, რომ ყველამ შეძლოს მონაწილეობის მიღება.
- გაუშვით საპნის ბუშტები. რა ფორმას მიიღებს საპნის ბუშტი? ბავშვები დასდევენ და იჭერენ საპნის ბუშტებს.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ხის კოჭები ან ბუშტუკებიანი შესაფუთი პოლიეთილენის პარკი და გუაშის საღებავები. წაახალისეთ ბავშვები, გააკეთონ წრიული ანაბეჭდები. გაამახვილეთ ყურადღება კოჭების ფორმაზე და ფურცელზე დატოვებული ანაბეჭდის ფორმაზე (ნებისმიერი რამის გამოყენება შეიძლება, რაც წრიულ ანაბეჭდს დატოვებს).
- თხლად დაყარეთ მარილი, მანის ბურღული ან ქვიშა ფერად სინზე, ან თეფშზე. წაახალისეთ ბავშვები საჩვენებელი თითით წრეები დახატონ.

მეცნიერება:

- მოიმარაგეთ სხვადასხვა საგნები და ჩაატარეთ ცდა. რომელი გაგორდება, რომელი – არა?

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა ისწავლე წრის შესახებ?
- შესთავაზეთ ბავშვებს, შინისაკენ მიმავალ გზაზე დაძებნონ წრეები, ძებნა დაიწყონ მანქანებზე დაკვირვებით.

2. ოთხკუთხედი

დილის წრე

- გამოჭერით დიდი ზომის დღის ფორმა და ჩამოკიდეთ თვალსაჩინო ადგილას.
- გამოიყენეთ იზოლენტა და გააკეთეთ იატაკზე დიდი ოთხკუთხედი. სთხოვეთ ბავშვებს, დასხდნენ ამ ოთხკუთხედზე. ჰკითხეთ, „დღეს დილის წრეს სხვა სახელი ხომ არ უნდა ერქვას? რა?(დილის ოთხკუთხედი)
- სთხოვეთ ბავშვებს, წამოდგნენ და დააკვირდნენ ფორმას, რომელსაც ქმნიან. აუხსენით, რომ ოთხკუთხედი არის ფორმა, რომელსაც ოთხი გვერდი და ოთხი კუთხე აქვს. დაითვალეთ ერთად.
- ითამაშეთ „მეძებარი ძაღლი“. სთხოვეთ ბავშვებს, იპოვონ ოთხკუთხა ფორმის საგნები ოთახში. ეცადეთ, საგნები ადვილად შესამჩნევ ადგილას დააწყოთ.
- წაახალისეთ ბავშვები, შეარჩიონ პარტნიორი და წყვილში სცადონ თავიანთი სხეულების მეშვეობით, რაც შეიძლება ბევრნაირად შექმნან ოთხკუთხა ფორმა.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ოთხკუთხედია.

ხელოვნება



- წინასწარ მოიმარაგეთ დისკების შესანახი პლასტმასის თხელი ყუთები და გუაშის საღებავი. გახსენით დისკის ყუთი და სთხოვეთ ბავშვებს, გუაშის საღებავით მოხატონ ყუთის შიდა მხარე. დაელოდეთ გაშრობას და დახურეთ ყუთი. შემდეგ სკოჩით დაამაგრონ მუყაოსგან წინასწარ გამოჭრილი მართკუთხა სახურავი და პატარა ფანჯრები. მიიღებენ სახლს.
- დაამზადებინეთ ბავშვებს დროშები. წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ზომისა და ფერის ოთხკუთხედები. დაურიგეთ თითოეულს ერთი დიდი და რამდენიმე პატარა ოთხკუთხედი. სთხოვეთ ბავშვებს, დიდ ოთხკუთხედზე დააწებონ პატარები საკუთარი გემოვნებით. მიამაგრეთ მიღებული დროშა ხის ჩხირს ან საწრუპებს.
- აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დაამზადონ ქაღალდის პაკეტისგან ცხოველი – თოჯინები. (გამოჭერით ცხოველის ნიღბები, გააფერადეთ და ლამინირება გაუკეთეთ ან ბავშვებმა თვითონ დახატონ ცხოველის თავები. ლამინირებული თავები ქაღალდის პაკეტების ძირს დააწებეთ (იხ. დანართი 1.11.6.). ყურადღება მიაქციონ თოჯინების ოთხკუთხა ფორმის ტანს.



მუსიკა და მოძრაობა

- გააკეთეთ ოთხკუთხედების ბილიკი (ოთხკუთხედები გამოჭერით მუყაოსგან და სკოჩით დაამაგრეთ იატაკზე). ბილიკის დასაწყისში დადეთ დიდი ჯამი, ბილიკის ბოლოს ოთხკუთხედებით სავსე ყუთი. სთხოვეთ ბავშვებს, ხტუნვით მივიდნენ კუბიკებამდე. შემდეგ აიღონ ფიგურა და დაბრუნდნენ დასაწყისში, რომ ჯამი კუბიკებით გაავსონ.
- მოიმარაგეთ ყუთები, რომლებსაც ორი გვერდი მაინც ექნება კვადრატული ფორმის. წაახალისეთ ბავშვები, ზანზალაკები ყუთში ჩაყარონ და შექმნილი მუსიკალური ინსტრუმენტით დაუკრან.

სამაგიდო:



- მოიმარაგეთ კვადრატის ფორმის ყუთი და მარცვლეულით დატენილი ბურთები და სთხოვეთ ბავშვებს, მძიმე, მარცვლებით დატენილი ბურთები ყუთში ჩაყარონ.
- მოიმარაგეთ ოთხკუთხა ფორმის ტრაფარეტები (შესაძლებელია ტრაფარეტის შექმნა სქელი მუყაოსგანაც). წაახალისეთ, მათი გამოყენებით შექმნან კომპოზიცია.
- გაუკეთეთ ლამინირება ჟურნალიდან ამოჭრილ სურათებს ან პოსტერებს და დაჭერით ისე, რომ შექმნათ ოთხკუთხა ფორმის ფაზელი.
- მოიმარაგეთ სხვადასხვა ზომის ყუთები. წაახალისეთ ბავშვები, ყუთები ერთმანეთში მოათავსონ.

დრამატული



- სთხოვეთ, შექმნან თოჯინების სპექტაკლი ხელოვნების ცენტრში წინასწარ დამზადებული თოჯინა-ცხოველების გამოყენებით.

წიგნიერება

- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ ნაწყვეტი“ ხუთკუნჭულადან“, როგორი იყო ხალიჩა? ოთხკუთხედი, რბილი, ჭრელი. დაახატვინეთ ხალიჩა. ჰკითხეთ, კიდევ რა ფორმის ხალიჩა შეიძლება შეგვხვდეს?
- შეავსეთ ბიბლიოთეკა ოთხკუთხა წიგნებით. შეგიძლიათ დაამზადოთ ოთხკუთხა ფორმის „თექის წიგნი“ ან „ტომრის წიგნი“. „თექის წიგნი“ – წინასწარ გამოჭერით თექის კვადრატის ფურცლები. ხუთი თექის კვადრატი ერთმანეთს დაადეთ და მარცხენა მხარე გაკერეთ. გამოჭერით გეომეტრიული ფიგურები თექისგან ფურცელზე მისაწებებლად. მიეცით საშუალება ბავშვებს, ამ ფიგურებით ააწყონ კომპოზიციები თექის წიგნის ცარიელ ფურცლებზე.
- „ტომრის წიგნი“ – წინასწარ, ტომრის წიგნის დასამზადებლად დაასტეპლერეთ ერთმანეთზე ხუთი ზიპიანი გამჭვირვალე ოთხკუთხა პაკეტის არაზიპიანი ბოლოები. სტეპლერის ტყვიები სქელი იზოლენტით დაფარეთ. ასევე წინასწარ მოამზადეთ იმავე ზომის და ფორმის ფურცლები და დაურიგეთ ბავშვებს თითო წიგნთან ერთად. სთხოვეთ ბავშვებს, რომელიმე ზღაპრის ილუსტრაციები დახატონ და პარკებში მოათავსონ.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, კუბის ფორმის კუბურებით ააგონ კონსტრუქცია.

სენსორული:

- მოიმარაგეთ ოთხკუთხედებად დაჭრილი სხვადასხვა ფაქტურის (თუ ხარისხის) ზუმფარის ქაღალდი. წაახალისეთ ბავშვები, ერთმანეთზე ახახუნონ.

საღამოს წრე

- რა ისწავლე ოთხკუთხედის შესახებ?
- შეგიძლია, გაიხსენო რა ოთხკუთხედი ფორმების საგნები გაქვთ სახლში?
- შესთავაზეთ ბავშვებს, შინისაკენ მიმავალ გზაზე ოთხკუთხედები დაძებნონ.

3. სამკუთხედი

დილის წრე

- გამოჭერით დიდი ზომის დღის ფორმა და ჩამოკიდეთ თვალსაჩინო ადგილას.
- გამოიყენეთ იზოლენტა და გააკეთეთ დიდი სამკუთხედი იატაკზე. სთხოვეთ ბავშვებს, ამ სამკუთხედზე დასხდნენ.
- სთხოვეთ ბავშვებს, წამოდგნენ და დააკვირდნენ ფორმას, რომელსაც ისინი ქმნიან. უთხარით, რომ ეს სამკუთხედია. აუხსენით, რომ სამკუთხედი არის ფორმა, რომელსაც სამი გვერდი და სამი კუთხე აქვს. ერთად დაითვალეთ.
- აუხსენით რა არის კუთხე, რომ მას აქვს წვერო და ორი გვერდი, რომელიც ამ წვეროს ქმნის, რომ კუთხე წვეტიანია, მოაძებნინეთ ოთახში, რას აქვს კუთხე. უთხარით, რომ კუთხეებთან შეჯახება უფრო მტკივნეულია და ამიტომ, ოთახში, სადაც კუთხეებიანი ავეჯი ბევრია, ფრთხილად უნდა იყვნენ. სადაც მხოლოდ რბილი, მომრგვალებული ავეჯია, შეუძლიათ უფრო სწრაფად და თავისუფლად იმოძრაონ. მოახრევინეთ იდაყვი, თითი, მუხლი. აჩვენეთ, რომ კუთხეებს მათი სხეულიც ქმნის, მაგრამ ის ისე წვეტიანი არაა, როგორც მაგიდის კუთხე.
- წინასწარ მოიმარაგეთ სამკუთხა საგნები. ჩაალაგეთ ეს საგნები ყუთში ან ტომარაში. სათითაოდ ამოიღეთ და აჩვენეთ ბავშვებს. შემდეგ თქვენ წინ დააწყვეთ. ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ყოველ მათგანს სამი გვერდი და კუთხე აქვს.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა სამკუთხედია.

ხელოვნება



- დაჭერით ფურცლები სამკუთხედებად და წაახალისეთ ბავშვები. საღებავებით „სამკუთხა ნახატი“ დახატონ.
- დაამზადეთ მუყაოსგან წინასწარ გამოჭრილი სხვადასხვა ზომისა და ფერის სამკუთხედების ჩამოსაკიდი. წინასწარ გახვრიტეთ და ბავშვებს თასმებზე აასხმევინეთ. თუ ასეთი ასხმულა ბევრი გამოგივათ, შეგიძლიათ დაამაგროთ ფანჯარაზე, გამოგივათ ორიგინალური ფარდა.



- დაამზადეთ ბავშვებთან ერთად ქაღალდის ფრანი. მოიმარაგეთ დიდი ზომის ხის ჩხირები და კრეპის ქაღალდი. ჩხირებისგან შეკარით სამკუთხედი და დააწებეთ კრეპის ქაღალდისგან გამოჭრილი სამკუთხედი. სამკუთხედს კუთხეებში თოკები მოაბით. აქტივობა ჩაატარეთ ბავშვების მცირე ჯგუფებში.

კონსტრუქციული:



- წაახალისეთ ბავშვები, მხოლოდ სამკუთხა კუბების გამოყენებით ააგონ კონსტრუქცია.

სენსორული

- წაახალისეთ ბავშვები, ქვიშაში სამკუთხა ფორმები გამოიყვანონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ (წიგნიერების დანართიდან): „სამკუთხედი სახურავი“ და ჰკითხეთ, კიდევ რაში გვჭირდება ეს ფორმა? დახატონ ისე, როგორც ზაზა ხატავდა.

საღამოს წრე

- რა ისწავლეთ სამკუთხედის შესახებ?
- შესთავაზეთ ბავშვებს, შინისაკენ მიმავალ გზაზე სამკუთხედები დაძებნონ.

4. სხვადასხვა ფორმები
(გული, ვარსკვლავი, ნახევარმთვარე, ჯვარი)

დილის წრე:

- წინასწარ გამოჭერით დიდი ზომის გულის, ჯვრის, ნახევარმთვარის და ვარსკვლავის ფორმები. აჩვენეთ და დაასახელეთ. აუხსენით სიტყვა ქიმი.
- „ფორმის გამოკვლევა“: სთხოვეთ ბავშვებს, დაწვნენ ხალიჩაზე, ისე რომ ვარსკვლავი გამოვიდეს. გაშალონ ფეხები, ერთმანეთს ისე მიადონ რომ წრე გამოვიდეს.
- სთხოვეთ გაიხსენონ, რა უნახავთ ამ ფორმებით მორთული. იქნებ ვინმეს მაისურზე ახატია ან საღამურზე.

ხელოვნება



- წინასწარ გამოჭერით გულის დიდი ფორმა წითელი ქაღალდისგან და პატარა გულები შავი ქაღალდისგან. სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ დიდ წითელ გულს პატარა შავი გულები. დააწებებინეთ მწვანე ქაღალდზე ჯერ შავი გული (ეს იქნება ჭიამაიას თავი), შემდეგ კი წვეტიანი მხრიდან დააწებეთ გამზადებული ტანი და სთხოვეთ ბავშვებს, შავი ფლომასტრით ფეხები მიუხატონ.

- მოიმარაგეთ ძველი ღილები, გასაღები, ბოქლომი და ა.შ. ერთჯერად თეფშებზე დაასხით გუაშის საღებავი, წაუსვით საღებავი საგნებს და დაატოვებინეთ ქაღალდზე კვალი. გაშრობის შემდეგ გამოაჭრევინეთ ბავშვებს და დააწებებინეთ ფერად ფორმატზე.
- ფერადი ქაღალდებისგან წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ზომის გულები. სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ ფურცელზე ჯერ დიდი ზომის გული, შემდეგ საშუალო და ასე ზომის კლების მიხედვით. ყვავილს გაუკეთეთ ღერო და გულის ფორმის მწვანე ფოთლები. იგივე გააკეთეთ სხვადასხვა ფორმებით.

- *„ფერიების უცნაური სახლები“.* მოიმარაგეთ თეთრი ფერის ძველი პლასტმასის ბოთლები (იოგურტის, რძის, წვენის და ა.შ.). წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ბოთლებზე სხვადასხვა ფორმის ფანჯრები და კარები. ფრთხილად ამოჭერით ბავშვების მიერ მონიშნული ფორმები. სთხოვეთ ბავშვებს, გააფორმონ მიღებული სახლები სტიკერებით.



სენსორული:

- წინასწარ მოამზადეთ მართკუთხა შუშა, მოათავსეთ ორ სიბრტყეს შორის ისე, რომ ქვევიდან ანთებული სანათურის დადგმა შეძლოთ. დააყარეთ მინაზე ქვიშა და წაახალისეთ ბავშვები, რომ თითით, ჯოხით, ან უხეში ფუნჯით დახატონ. ბავშვები დაინახავენ როგორ „ამოანათებს“ მათი ნახატი.

სამაგიდო



- *დაწყვილება.* წინასწარ მოიმარაგეთ გამოჭრილი ფორმები და იმავე რაოდენობის კონვერტები შესაბამისი ფორმების გამოსახულებებით. სთხოვეთ ბავშვებს, ფორმები შესაბამის კონვერტებში ჩააწყონ.
- *მათემატიკა.* დაათვლევინეთ ბავშვებს ფორმები. შეადარებინეთ რაოდენობა გამოჭრილი ფორმების მაგალითზე. რომელი უფრო მეტია (7 გული თუ 3 ვარსკვლავი); (8 მთვარე თუ 4 გული)?

წიგნიერება

- წაუკითხეთ „სათამაშო მოედანზე“ წიგნიერების დანართიდან. ჩამოათვლევინეთ როგორი ფორმები ჰქონდა ერთ ბიჭს? თვითონ თუ ათხოვებენ ხოლმე თავიანთ სათამაშოებს სხვებს?

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა ფორმები ისწავლეს დღეს?
- რომელი ფორმა მოსწონთ ყველაზე მეტად?
- შესთავაზეთ, სახლშიც დაძებნონ მსგავსი ფორმები.

5. ფერადი ფორმები

დილის წრე



- შესთავაზეთ ბავშვებს, დაძებნონ ოთახში ფორმები (მაგალითად, მრგვალი საათი, კვადრატული მაგიდა, მართკუთხა წიგნი და ა.შ.). ჩამოწერეთ ნაპოვნი საგნების სია.
- ისაუბრეთ შენობაში ან ოთახში გამოყენებულ ფორმებზე. რა ფორმების (ოთხკუთხა კარები და ფანჯრები, ფილები, და ა.შ.) პოვნა შეუძლიათ ბავშვებს?
- იმსჯელეთ „ფერად ფორმებზე“ (წიგნიერების დანართი).

ხელოვნება



- აჩვენეთ ბავშვებს პიტ მონდრიანის ნამუშევრების (ჰოლანდია, 1872–1944) რეპროდუქციები. ჰკითხეთ „რა შეამჩნიე?“ ბავშვები სავარაუდოდ გიპასუხებენ, რომ ნახატების უმრავლესობაში ერთი და იგივე ფერებია გამოყენებული (წითელი, ყვითელი, შავი, ლურჯი, თეთრი). მოუყევით, რომ როდესაც მონდრიანმა ხატვა დაიწყო, ადამიანებსა და პეიზაჟებს ხატავდა. მოგვიანებით, მან გეომეტრიული ფორმების ხატვა დაიწყო. მოიმარაგეთ ყვითელი, შავი, ლურჯი და წითელი საღებავები. ბავშვებმა გეომეტრიული კომპოზიციები დახატონ.
- *აპლიკაცია „ქალაქი“.* სხვადასხვა ფერისა და ფაქტურის ქაღალდისგან და ქსოვილისგან გამოჭერით სხვადასხვა ფორმები. სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ ფორმები ქაღალდის ზედაპირზე ისე, რომ მიიღონ სახლები, ადამიანის ფიგურები, ხეები და ა.შ.
- მოიმარაგეთ გამოჭრილი სხვადასხვა ფერის გეომეტრიული ფორმები. წაახალისეთ ბავშვები, ფორმები ფურცელზე დაალაგონ, ააწყონ სხვადასხვა კომპოზიციები და დააწებონ. სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ თავიანთი შექმნილი ნახატები.

მოძრაობა



- იატაკზე დააკარით საკმარისი რაოდენობის სკოჩი ისე, რომ დიდი ზომის დღის ფორმები გამოვიდეს. სთხოვეთ ბავშვებს, მის მიერ არჩეულ და დასახელებულ ფორმის კონტურზე მონაცვლეობით იხოხონ, იარონ ან იხტუნონ (ორი ან ცალი ფეხით).

სამაგიდო



- *ფორმების კოლაჟი.* მოიმარაგეთ შავი ქაღალდისგან გამოჭრილი დიდი ფორმები (წრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი); ასევე, პატარა ზომის ფერადი ფორმები; პატარა ფორმები არეულად დააწყვეთ მაგიდის შუაში; წაახალისეთ ბავშვები, ამოირჩიონ რომელიმე დიდი შავი ფორმა, მოძებნონ შესაბამისი პატარა ფორმები და რიგრიგობით დააწებონ.
- სხვადასხვა ფორმის კუბურების დაჯგუფება ფორმის მიხედვით.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ კონსტრუქციები. ერთი და იმავე ფორმის კუბები თითო კონსტრუქციისთვის გამოიყენონ (მაგალითად, ერთი კონსტრუქცია კვადრატებით, მეორე მართკუთხედებით და მესამე სამკუთხედებით).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „პრანჭიები“. ჰკითხეთ, რა ფორმის და რამხელა იყო ბაჭიას ბოსტანი (ჩავთვალოთ, რომ იყო ოთხკუთხედი), ციყვის ფუღურო (მრგვალი), იხვის გუბე (ოვალური). დავუხატოთ ეს ფორმები დაფაზე, შეეცადონ, გადაიხატონ. გავაფერადებინოთ: მწვანედ, ყავისფრად, ცისფრად.

საღამოს წრე

- გაამეორებინეთ კვირის მანძილზე შესწავლილი ფორმები.
- სთხოვეთ, სათითაოდ დაასახელონ ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონთ.

საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები

1. დიდი და პატარა
2. მაღალი და დაბალი
3. გრძელი და მოკლე
4. მაღლა, დაბლა
5. შიგნით და გარეთ
6. ქვეშ და ზემოდან
7. წინ და უკან
8. განიერი და ვიწრო. მსუქანი და გამხდარი
9. დღე და ღამე

1. დიდი და პატარა

დილის წრე

- ჩაიცვით დიდი ზომის ფეხსაცმელი და ისე შეხვდით ბავშვებს.
- როდესაც დილის წრისკენ გადაინაცვლებთ, უთხარით, რომ ფეხსაცმელები გაწუხებთ. ჰკითხეთ, თუ ხვდებიან, რა პრობლემა გაქვთ?
- როდესაც რომელიმე ბავშვი გიპასუხებთ, რომ ძალიან დიდი ფეხსაცმელი გაცვიათ, უპასუხეთ: „აბა! მგონი, მართალი ხარ. შეიძლება შენი ფეხსაცმელი გავისინჯო?“ როდესაც ფეხსაცმლის ჩაცმას ვერ მოახერხებთ, ისევ იკითხეთ: „რა პრობლემაა?“ როდესაც ვინმე გეტყვით, რომ ფეხსაცმელი ძალიან პატარაა, უპასუხეთ: „მგონი მართალი ხარ.“ სთხოვეთ, თვითონაც მოისინჯონ ერთმანეთის ფეხსაცმელები.

- მოიმარაგეთ სამი განსხვავებული ზომის სხვადასხვა საგანი და სთხოვეთ ბავშვებს, დააწყონ სიდიდის მიხედვით.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვალონ დიდი და პატარა საგნები. უთხარით, რომ დიდი და პატარა ზომის აღმნიშვნელი სიტყვებია.
- უთხარით და შეეცადეთ დაიმახსოვრონ გამოცანა: პატარაზე დიდი, დიდზე უფრო დიდი, დიდზე უფრო პატარა, პატარაზე პატარა (ხელის თითები).
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა „დიდი“ და „პატარა“ იქნება.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ ძალიან დიდი და ძალიან პატარა ფურცლები. სთხოვეთ ბავშვებს, ერთი და იგივე რაიმე დახატონ ამ ფურცლებზე.
- მოიმარაგეთ დიდი და პატარა ზომის ღილები და თასმები. დაამზადებინეთ ბავშვებს სამკაული: სამაჯური ან გულსაკიდი. სთხოვეთ ბავშვებს, რომ ღილების აცმისას გაითვალისწინონ გარკვეული კანონზომიერება, მაგ, ერთი დიდი ღილი – ერთი პატარა; ან ორი დიდი – ერთი პატარა და ა.შ.

- სთხოვეთ, დახატონ დიდ ფურცლებზე დიდი ცხოველები, ხოლო პატარა ფურცლებზე ამ ცხოველების პატარა შვილები. ნახატების გამოყენებით დაამზადებინეთ დიდი და პატარა წიგნები.
- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ საკუთარი პორტრეტები: როგორები იყვნენ პატარები და როგორები წარმოუდგენიათ თავი, დიდები რომ იქნებიან.
- პანო: დიდი და პატარა ხელები. მოიმარაგეთ დიდი ზომის ფორმატი და სხვადასხვა ფერის საღებავი. თითო ფერის საღებავი მოათავსეთ პლასტმასის ერთჯერად თეფშზე. სთხოვეთ ბავშვებს, ჩაყონ ხელისგულები საღებავში და შემდეგ ხელის ანაბეჭდი გააკეთონ ფორმატზე, იგივე გააკეთეთ თქვენც, გაამახვილეთ ბავშვების ყურადღება უფროსისა და ბავშვის ხელისგულების ზომებზე.
- ბავშვებთან ერთად გაისეირნეთ რომელიმე პარკში და შეაგროვეთ სხვადასხვა ზომის კენჭები და ქვები.

(შეგიძლიათ მოიმარაგოთ ზღვიდან ჩამოტანილი კენჭები). ჯგუფში მოტანისას დაახარისხეთ კენჭები ზომის მიხედვით, დიდები – ცალკე, პატარები – ცალკე. დაგჭირდებათ დიდი და პატარა თიხის ქოთნები, ასევე ცემენტი და ემულსია. გახსენით ცემენტი ცოტაოდენ წყალში და შეურიეთ ემულსია ისე, რომ მიიღოთ სქელი ფაფისებური მასა. წაუსვით ეს მასა ქოთნებს და სთხოვეთ ბავშვებს, საკუთარი გემოვნების მიხედვით გააფორმონ დიდი ქოთანი დიდი კენჭებით და პატარა – პატარა კენჭებით(სთხოვეთ ბავშვებს ჩაამაგრონ კენჭები ცემენტის მასაში).

- სთხოვეთ ბავშვებს, ერთად დახატონ, რაც, მათი აზრით, ყველაზე დიდია და რაც – ყველაზე პატარაა.

მოძრაობა



- ჰკითხეთ, რომელია დიდი ცხოველი? ითამაშეთ „სპილოობა“. ბავშვები სხედან წრეზე. ერთი ბავშვი დგება, ხელს წევს ცხვირის წინ, თითქოს ხორთუმია და ვითომ ობობის ქსელს ეთამაშება, ბავშვების ირგვლივ დადის. თქვით ლექსი:

„ეს ობობა ხელმარჯვე,
ქსოვს და ბუზებს დარაჯობს,
გაუშლია ქსელი,
ახლა სტუმრებს ელის.
ვეთამაშოთ წამოდი,
ლია, წრეში გამოდი!“

ან გიორგი, ან პავლე... თქვას იმ ბავშვის სახელი, რომელიც გამოყავს.

- „სპილო“ ირჩევს ერთ-ერთ ბავშვს და წრიდან გამოყავს. ის მეორე ხელს წინიდან უკან ფეხებს შორის ყოფს, ვითომ კუდია. მეორე ბავშვი კი ერთი ხელით ხორთუმს აკეთებს და პირველ „სპილოს კუდს“ ჩაეჭიდება, ასე აგრძელებენ წრიულ მოძრაობას. გაიმეორეთ ლექსი; 3-4 ბავშვისგან შექმენით სპილოების მწკრივები. მიაქციეთ ყურადღება, რომ ყველამ ითამაშოს.



- იატაკზე დადებულია დაახლოებით A4 ზომის ქაღალდები. ბავშვები ჯერ ერთ, ხოლო შემდეგ მეორე ფეხს დებენ ქაღალდზე, მასწავლებელი ან სხვა ბავშვი მარკერით, ფანქრით ან ფლომასტრით ავლებს კონტურს ბავშვის ტერფის გარშემო. იმავეს აკეთებს მასწავლებელი და მისი თანაშემწეც. მას შემდეგ, რაც შეგროვდება გარკვეული რაოდენობის ანაბეჭდები, ბავშვები ატოლებენ თავისი ტერფის ზომას ანაბეჭდისას. დგებიან სხვის ანაბეჭდებზე, შესაძლებელია მათზე ფეხების დაყრდნობით ოთახში სრიალი, ერთი ანაბეჭდიდან მეორეზე გადახტომა, უკან-უკან სიარული, და სხვა. საბოლოოდ ბავშვები აგროვებენ ყველა ანაბეჭდს და ეძებენ ყველაზე დიდ ტერფს (სავარაუდოდ მასწავლებლის), შემდეგ უფრო პატარას და ასე სულ პატარამდე. შეუძლიათ ეს ანაბეჭდები სიდიდის მიხედვით გააკრან კედელზე ან გააფერადონ. გაიხსენონ, ვის აქვს ჯგუფში ყველაზე დიდი ფეხი, ვის – ყველაზე პატარა.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ძველი ჟურნალ-გაზეთები, დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ მოძებნონ და ამოჭრან დიდი და პატარა საგნები (მაგ. დიდი და პატარა ტელეფონი, მანქანა, სტატიის სათაური და ა.შ.). დააწებებინეთ ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ, რომ დაინახონ განსხვავება.
- *მათემატიკა.* მოიმარაგეთ დიდი და პატარა ზომის მძივები. წაახალისეთ ბავშვები ააგონ სხვადასხვა დიზაინის მძივები, მაგალითად, დიდი მძივის შემდეგ პატარა და ა.შ.

- *მათემატიკა.* დაურიგეთ ბავშვებს სამი სხვადასხვა ზომის წრე და სთხოვეთ, ერთმანეთზე დააწებონ, ყველაზე დიდი, შუაში საშუალო და ყველაზე პატარა.
- სამუშაო ფურცელი – დაუხატეთ დიდი და პატარა ბუშტები (დანართი 1.12.1.).

წიგნიერება

- სთხოვეთ, დაახარისხონ ბიბლიოთეკის წიგნები დიდ და პატარა წიგნებად (უმჯობესია, წინასწარ მოუმზადოთ გადასარჩევი წიგნები).
- მოამზადეთ თვალსაჩინოებები: სათამაშოები, ფოტოები, ნახატები და ჰკითხეთ, რა არის? მაგალითად, ვეფხვი, რა ჰქვია მის შვილს, პატარა ვეფხვს? – ბოკვერი. ლომი – ბოკვერი; ქათამი – წიწილა; ძროხა – ხბო; ცხვარი – ბატკანი; და ა. შ. ასევე დიდი მთა – პატარა – გორაკი; დიდი წყალი, რომელიც მიედინება – მდინარე, პატარა – ნაკადული; ზღვა – ტბა, ბიჭი – კაცი, წიგნი – წიგნაკი და ა. შ.

- წაახალისეთ ბავშვები, წარმოიდგინონ, როგორი განცდაა, იყო ჭიანჭველა ადამიანების სამყაროში. სთხოვეთ, ეს განცდა გადმოსცენ (მათი ნათქვამი ჩაიწერეთ).
- წაუკითხეთ „როგორ გაჩნდა ზღვის ვარსკვლავი“ (წიგნიერებიდან) სთხოვეთ, დახატონ, როგორ მიფრინავდნენ სპილოები.

სენსორული:

- სთხოვეთ ბავშვებს თიხაში დატოვონ ხელის ანაბეჭდები, იგივე გააკეთეთ თქვენც. შემდეგ აუხვიეთ ბავშვებს თვალები და სთხოვეთ, იპოვონ დიდი და პატარა.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ ფოთლები და წაახალისეთ ბავშვები, დაახარისხონ ორ – დიდი და პატარა ფოთლების გროვად. შეგიძლიათ მოიმარაგოთ სხვადასხვა ზომის ყუთები, ქილები, მილები ან სხვა.
- მოიმარაგეთ ყავის (თუნუქის) ქილა და სხვადასხვა ზომის საგნები. სთხოვეთ ბავშვებს, საგნები ორად დაახარისხონ, ერთი, რომლებიც ეტევა ქილაში და მეორე, რომლებიც ქილაში არ ეტევა.

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რომელ ფურცელზე უფრო ადვილი იყო ნახატის დახატვა – პატარასა თუ დიდზე?
- ჩამოათვლევინეთ დიდი და პატარა ცხოველები.

2. მაღალი და დაბალი

დილის წრე

- მოიმარაგეთ მაღალი და დაბალი საგნები (მაგალითად, საკვების ყუთები, ბოთლები, კუბები და ა.შ.). აჩვენეთ ბავშვებს საგნები და ჰკითხეთ, რომელია მაღალი და რომელი დაბალი? აუხსენით, რომ ეს სიტყვები სიმაღლეს აღნიშნავს.

- აჩვენეთ ბავშვებს თქვენი ქალაქის ან ნებისმიერი სხვა ქალაქის სურათები. ისაუბრეთ შენობების ზომაზე. ისაუბრეთ, რა აქვს საერთო ცათამბჯენებსა და ჩვეულებრივ სახლებს და რა განსხვავებაა მათ შორის.
- წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ ავეჯს. როგორ არის ოთახი მოწყობილი, მაგალითად, საბავშვო სკამები და მაგიდები უფრო დაბალია, უფროსებისთვის სარკეს კიდებენ მაღლა, პატარებისთვის – დაბლა.
- ისაუბრეთ კიბეზე, რომ ადამიანმა მაღალი შენობებისთვის მოიგონა კიბე, უფრო მაღლებისთვის – ლიფტი. გაიხსენეთ სამკუთხა დასადგმელი კიბეებიც. ის შეიძლება მაღალიც იყოს და დაბალიც. დასვით კითხვა: როდის რომელი ჯობია? აუხსენით, აჩვენეთ, რომ როცა პატარა სიმაღლეს უნდა მისწვდნენ, ძალიან მაღალი კიბე მძიმეა და ძნელი წასაღებია, შედარებით დაბალი ჯობია.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა მაღალი და დაბალი იქნება.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ მაღალი და დაბალი შენობები.
- გამოაჭრევინეთ ბავშვებს დანართი 1.12.2. ტანისათვის დაგჭირდებათ გრძელი მართკუთხედი. სთხოვეთ ბავშვებს, დაკეცონ მართკუთხედი მარაოსებურად. ზედა მხარეს დააწებონ თავი, შუაში ხელები, ქვედა მხარეს კი – ფეხები. მიიღებენ ადამიანის ფიგურას, რომელიც ხან დაბალი იქნება, ხან – მაღალი (ფურცლის დაკეცვისა და გაშლის ხარჯზე).
- გაისეირნეთ ბავშვებთან ერთად ეზოში და შეაგროვეთ სხვადასხვა ზომის გამხმარი ტოტები. დაამზადებინეთ ბავშვებს ტყის მაკეტი ტოტების გამოყენებით. ისე, რომ ზოგიერთი ხე მაღალი, ზოგიერთი კი დაბალი იყოს.
- დაათვალიერებინეთ ბავშვებს მთების ფოტოები. სთხოვეთ, დახატონ პეიზაჟი, სადაც გამოსახული იქნება მაღალი და დაბალი მთები.

მოძრაობა:



- სთხოვეთ ბავშვებს, წყვილებად ჩაკიდონ ხელები, ახტნენ ხან ძალიან მაღლა, ხანაც ოდნავ.

ექსკურსია



- გაისეირნეთ ბაღის გარეთ და დააკვირდით მაღალ და დაბალ საგნებს.
- გაასეირნეთ ბავშვები თბილისის ახლადაშენებულ უბანში და ძველ ქალაქში. ჯგუფში მოსვლის შემდეგ, მუყაოს სხვადასხვანაირი ყუთების გამოყენებით დაამზადებინეთ ორი მაკეტი: მრავალსართულიანი სახლების უბანი და ძველი ქალაქი.

კონსტრუქცია



- ბავშვებმა ააწყონ მაღალი და დაბალი კოშკები. წაახალისეთ, ააგონ თავიანთი სიმაღლის კოშკი. წაახალისეთ, ააგონ პირამიდის მსგავსი კოშკები.



წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპარი: „მზეთუნახავი და გლეხის ბიჭი“ (წიგნიერების დანართი). ჰკითხეთ, რატომ დარჩა მაღალი კოშკი ცარიელი, როგორ შეიძლება ვუშველოთ მას? სთხოვეთ, დახატონ ან ააგონ კოშკი და მიუხატონ ან კუბებით მიუშენონ კიბეები.

მეცნიერება

- დაურიგეთ ბავშვებს საგნები, რომლებიც დილის წრეზე გქონდათ წარმოდგენილი და სთხოვეთ მათი დაწყვილება. წაახალისეთ ისინი, სხვა დაბალი და მაღალი საგნების წყვილებიც იპოვონ.
- გაზომეთ თითოეული ბავშვი და გამოჭერით მათი ზომის ლენტი. დაურიგეთ ეს ლენტები და წაახალისეთ, დაძებნონ ოთახში თავიანთი სიმაღლის საგანი.

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- არის ოთახში ისეთი საგნები, რომლებიც უმჯობესი იქნებოდა, რომ სხვა სიმაღლის იყოს?
- რა შეიძლება იყოს მაღალიც და დაბალიც (მაგ. მთა, კოშკი, ადამიანი)?

3. გრძელი და მოკლე

დილის წრე



- მოიმარაგეთ ორი მოგრძო კანფეტი (თუ შესაძლებელია, თითო ბავშვზე ორი ცალი). ერთი კანფეტი დაამოკლეთ. შესთავაზეთ და ჰკითხეთ ბავშვებს, რომელს აირჩევდნენ? ძირითადად ყველა გრძელს ირჩევს. ჰკითხეთ რატომ?
- ისაუბრეთ მოკლესა და გრძელზე. დაძებნეთ ოთახში გრძელი და მოკლე საგნები.
- მოიმარაგეთ ჩალის ღერები, რამდენიმე გრძელი და რამდენიმე მოკლე. თითო ბავშვს თითო ჩალის ღერი ამოაღებინეთ. სთხოვეთ, ერთმანეთის ჩალის ღერების სიგრძე შეადარონ და დაიყონ ორ გუნდად, მოკლე ჩალის ღერებიანად და გრძელი ჩალის ღერებიანად. აუხსენით, რომ ამ წესით შეიძლება გუნდებად დაყოფა ან ერთი ადამიანის ამორჩევა. დღის განმავლობაში, როდესაც კი შესაძლებლობა მოგეცემათ, ეს მეთოდი გამოიყენეთ.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა იქნება გრძელი და მოკლე.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ გრძელი და მოკლე ფუნჯები, რომ ბავშვებმა ხატონ.
- ბავშვებს გამოაძერწინეთ თიხისგან ორ-ორი თაგვი. სთხოვეთ, რომ ერთ თაგუნიას მიაწებონ მოკლე კუდი, მეორეს კი – გრძელი (კუდი შეიძლება იყოს კანაფი, რომელსაც მიაწებებთ ემულსიით). თიხის გაშრობის შემდეგ თაგუნები შეღებეთ გუაშით.
- აუხსენით ბავშვებს, რომ მათ უნდა დაამზადონ გრძელფეხება და მოკლეფეხება ობობები. დაყავით ბავშვები ორ ჯგუფად, დაამზადებინეთ შავი საქსოვი ძაფისგან პომპონი (იხ. განმარტებები) და დააწებებინეთ მუყაოზე, ეს იქნება ობობას ტანი. შემდეგ დაავალეთ ერთ ჯგუფს, რომ ტანს მიაწებონ მოკლე ფეხები (შავი საქსოვი ძაფი), მეორე ჯგუფმა კი გრძელი ფეხები.
- ბავშვებს დაათვალიერებინეთ ჟირაფის ფოტოები. სთხოვეთ მათ, დახატონ ჟირაფის ტანი და თავი, კისრის გარეშე. დაურიგეთ ბავშვებს მუყაოს ზოლები, სთხოვეთ დაჭრან სხვადასხვა ზომებად. შემდეგ დააწებონ მუყაოს ჟირაფის თავი და ტანი. ამგვარად, ზოგიერთ ჟირაფს მოკლე კისერი ექნება, ზოგს კი – გრძელი.
- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის საწრუპები და დააჭრევინეთ ბავშვებს სხვადასხვა ზომებად. კაპრონის ძაფზე აასხით საწრუპები და დაამზადეთ გრძელი მძივი და მოკლე სამაჯურები;

მუსიკა და მოძრაობა



- იმღერეთ და იცეკვეთ გრძელი და მოკლე სიმღერის ფონზე.
- წინასწარ დაამზადეთ რეზინის არფა (გამოჭერით ტრაპეციის ფორმის მუყაოს ქაღალდი. ზედა და ქვედა გვერდები 28 სმ. მარცხენა გვერდის სიმაღლე 20 სმ. და მარცხენასი – 40 სმ.

ჩაჭერით 2 სანტიმეტრზე ტრაპეციის ზედა და ქვედა გვერდები ხუთ ადგილას 5 სმ.-ის დაშორებებით. მოათავსეთ რეზინები ჭრილებში). აჩვენეთ ბავშვებს რეზინის არფა და მიეცით დაკვრის საშუალება. წაახალისეთ, მოუსმინონ გრძელი და მოკლე რეზინების განსხვავებულ ჟღერადობას.



მოძრაობა:



- გადახტნენ კენგურუსავით შორს და ბეღურასავით ახლოს.

სამაგიდო



- სთხოვეთ ბავშვებს, გრძელ, უფრო გრძელ და უგრძეს ძაფზე ააგონ მძივები.
- მოიმარაგეთ საძერწი ცომი და აჩვენეთ ბავშვებს, როგორ გააკეთონ გრძელი და მოკლე გველები. სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ სხვა რა შეუძლიათ გამოძერწონ გრძელი და მოკლე.
- მოიმარაგეთ გრძელი და მოკლე საწრუპები და სთხოვეთ ბავშვებს, სიგრძის მიხედვით დაახარისხონ.
- დაურიგეთ სხვადასხვა ზომის საწრუპები. სთხოვეთ ბავშვებს, სიგრძის მიხედვით დაალაგონ, ყველაზე მოკლე საწრუპიდან ყველაზე გრძელ საწრუპამდე.

წიგნიერება

- აუხსენით, რომ არსებობს გრძელი და მოკლე ზღაპრებიც. მათთვის ცნობილი ზღაპრებიდან გაახსენეთ, რომელია გრძელი, რომელი– მოკლე?
- გაახსენეთ რომელი გზაა მოკლე, ვთქვათ, ქუჩიდან საბავშვო ბაღის კარამდე, რომელია გრძელი, ვთქვათ, ქალაქიდან სოფლამდე. აუხსენით სივრცითი განსხვავება მაღალსა და გრძელს შორის, რომ კიბე გრძელია, როცა მიწაზე დევს, მაგრამ თუ წამოვაყენებთ, მაღალი იქნება.
- აუხსენით გამოთქმები: **გრძელი ცხვირი** აქვსო, ისეთ ადამიანზე ამბობენ, ვინც სხვის საქმეებში ეჩრება. **გრძელი ენა** აქვსო – ვინც ბევრს ლაპარაკობს. ათამაშეთ „მაღალი თუ გრძელი“: თქვენ უსახელებთ საგანს, ვთქვათ: ადამიანი, ჟირაფი, ცხენი, ფანქარი... ისინი ერთხმად ყვირიან მაღალია თუ გრძელი.
- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ: „სპილოს შვილი“.

- წაუკითხეთ „სპილოს შვილი“ (წიგნიერების დანართიდან) და ჰკითხეთ თუ წარმოუდგენიათ სპილო მოკლე ცხვირით. კიდევ რას რა აქვს გრძელი? მელიას – კუდი, ვირს და კურდღელს – ყურები... სთხოვეთ, იქნებ მოიფიქრონ, რატომ აქვთ მათ ეს ნაწილები გრძელი. თუ გაუჭირდათ მიეხმარეთ. ვთქვათ, ბაჭია გაუგონარი იყო, ან ვირი ჯიუტობდა, ან მელა კუდით ნაკვალევს შლიდა... მიეცით საშუალება მოიგონონ ისტორიები.
- ძალიან გრძელი სიტყვები. სათითაოდ, წინასწარ ჩამოწერეთ პატარა ფურცლებზე (მაგალითად, „შვილიშვილი“, „მატარებელი“ „თვითმფრინავი“ „სამზარეულო“ ...) და ასევე ჩამოწერეთ მოკლე სიტყვებიც (ასო-ბგერათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამს. მაგალითად, „ხე“, „ბუ“, „წრე“ და სხვა). წაახალისეთ ბავშვები, ფურცლები ორ კატეგორიად დაახარისხონ – გრძელი სიტყვები და მოკლე სიტყვები.

საღამოს წრე

- რას აქვს ყველაზე გრძელი კისერი?
- მათი აზრით, რას ნიშნავს გამოთქმა: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“ (მოისმინეთ თითოეული მათგანის მოსაზრება და თუ სწორი ვერსია არ იქნა, აუხსენით)?

4. ზევით და ქვევით (მაღლა.დაბლა)

დილის წრე

- ჰკითხეთ, ოდესმე თუ უვლიათ გორაკზე აღმა-დაღმა. თუ სადმე ახლოს კიბეა, მიიყვანეთ და სთხოვეთ, ავიდნენ და ჩამოვიდნენ. უთხარით, რომ ზევით და ქვევით მიმართულების განმსაზღვრელი სიტყვებია.
- წინასწარ მოიმარაგეთ ისრის ტრაფარეტი. როდესაც აუხსნით, რომ ზევით და ქვევით მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვებია, უთხარით, რომ მიმართულება საერთაშორისო ენაზე აღინიშნება ისრით. ასეთ ნიშანს ბევრ ქვეყანაში შეხვდებით. გაახსენეთ შუქნიშნები, რომლებსაც ისარი ახატია. გაახსენეთ პოლიციელი, რომელიც ჯოხით მიმართულებას აჩვენებს. თუ შენობაში გაქვთ კიბეები, შეგიძლიათ რიგრიგობით დააყენოთ ბავშვები ჯოხით ხელში და ამართინოთ მათი მოძრაობა ზევით და ქვევით. გაახსენეთ ლიფტი, რომელიც ზევით-ქვევით მოძრაობს.

უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა „ზევით და ქვევით“ იქნება.

ხელოვნება

- გამოაჭრევინეთ ბავშვებს მუყაოს სხვადასხვა ფორმები. დააწებეთ თითოეულ ფორმას კანაფის ან კაპრონის ძაფი. დაამაგრეთ ძაფები ხის ძელზე ისე, რომ ზოგი ფიგურა აღმოჩნდეს ზევით, ზოგი კი ქვევით. ჩამოკიდეთ ხის ძელი ჯგუფში.
- აირჩიეთ ჯგუფის ერთი კედელი და გააკარით ქაღალდის ორი თეთრი რულონი სიგრძეზე. დაყავით ბავშვები ორ ჯგუფად. სთხოვეთ, ერთმა ჯგუფმა მოხატოს კედლის ზედა ნაწილი, მეორემ კი – ქვედა ნაწილი.

მოძრაობა



- გაასეირნეთ ბავშვები ბაღის ეზოში ან ბაღის გარეთ. თან წაიღეთ სახატავი ფურცლები და ფანქრები. სთხოვეთ ბავშვებს, დადგნენ ერთ ადგილზე და დახატონ, რას ხედავენ ზევით და რას ხედავენ ქვევით (თუ არის საშუალება, შესაძლოა, ბავშვებმა გადაიღონ ფოტოები).
- უნდა დაასახელოთ ცხოველი ან ფრინველი და ბავშვებმა ხელის აწევით ან დაწევით გაჩვენონ სად ცხოვრობს (ცაში თუ მიწაზე).

წიგნიერება

- წაუკითხეთ „ქვემოთ“ (წიგნიერების დანართიდან). ჰკითხეთ, რატომ გაფუჭდა ლიფტი? რა მოხდებოდა, მისტერ უოლინგტონს გაშლილი ქოლგა რომ არ სჭეროდა ხელში. აუხსენით, რას ნიშნავს „მისტერ“, ვინ არის შვეიცარი.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ საპნის ბუშტების გასაბერი სითხე. სთხოვეთ ბავშვებს, გაბერონ ბუშტები და შეეცადონ, რაც შეიძლება მეტ ხანს გააჩერონ ჰაერში. წარმოიდგინონ, რას იგრძნობდნენ ბუშტები,სულიერი არსებები რომ ყოფილიყვნენ, ჯოხიდან მოწყვეტის შემდეგ.
- ჩამოკიდეთ თოკი ჭერზე. სთხოვეთ ბავშვებს, ააცვან მძივები თოკზე. რატომ არ ჩერდება მძივი თოკის თავში, რატომ ვარდებიან ქვევით?

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რას აკეთებდნენ, ბუშტები ქვევით რომ არ ჩამოვარდნილიყვნენ?
- რა დადის მარტო ზევით და ქვევით?
- რა არსებები ცხოვრობენ ყველაზე ზევით, ქვემოთ?

5. შიგნით და გარეთ

დილის წრე

- მოიმარაგეთ ვაშლი. სთხოვეთ ბავშვებს ისაუბრონ ვაშლის გარეთა მხარის, გარეკანის შესახებ. ის წითელია, მრგვალია, პრიალაა, ყუნწი აქვს.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ გამოიყურება ვაშლი შიგნიდან. სთხოვეთ კარგად აღწერონ.
- რა აქვს თოჯინას, სათამაშო მანქანას, სათამაშო დათუნიას შიგნით? არის თუ არა მათი შიგთავსი საინტერესო?
- აუხსენით ბავშვებს, რომ შიგნით და გარეთ არის მდებარეობის განმსაზღვრელი სიტყვები და ისინი მიგვითითებენ სად არის საგანი.
- გაახსენეთ საგარეო და საშინაო ტანსაცმელი.
- რა არ იჭმევა გარედან? რა უნდა გაითალოს, გატყდეს?
- სთხოვეთ საკუთარი სხეულებით შემოსაზღვრონ სივრცე და ერთი ბავშვი მოიქციონ შიგნით, ერთი დატოვონ გარეთ.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა შიგნით და გარეთ იქნება (თუ ამინდი შესაძლებლობას იძლევა, წრეები გარეთ ჩაატარეთ).

ხელოვნება



- ბავშვებს თითო მუყაოს დიდი ყუთი დაურიგეთ. წაახალისეთ, ყუთები გადააქციონ სახლებად, შეღებონ თავიანთი სახლის გარეთა კედლები და მოაწყონ შიგნით. ამისთვის მოიმარაგეთ საღებავები, პატარა ზომის „ხალიჩები“ და შპალერის ნიმუშები.
- გამოაჭრევინეთ ბავშვებს დანართის ფურცლებიდან ბუ და ჩიტები. გამოჭრან ხეში ფუღურო. შემდეგ სთხოვეთ, ფუღუროში ჩააწებონ ბუ, ხოლო ხის გარეთ ტოტებზე დააწებონ ფრინველები და გააფერადონ (დანართი 1.12.3.).
- დაამზადებინეთ ბავშვებს სახელობითი ბარათები. გაკეცეთ სქელი ქაღალდი ორად და სთხოვეთ ბავშვებს, რომ გააფორმონ ბარათის გარეთა მხარე ნახატებით, აპლიკაციით ან სტიკერებით, ხოლო შიდა მხარეს ჩააწებონ წინასწარ ამობეჭდილი და გამოჭრილი საკუთარი სახელი.
- სთხოვეთ ბავშვებს, დიდ ფორმატზე სახლის კონტური დახატონ. შემდეგ დაურიგეთ წინასწარ შეგროვებული ძველი ჟურნალ-გაზეთები და სთხოვეთ, გამოჭრან სურათები და ჩააწებონ სახლის შიგნით ის, რაც არის სახლში, ხოლო სახლის გარეთ ის, რაც არის სახლის გარეთ.
- სთხოვეთ, დახატონ საკუთარი ჯგუფი შიგნიდან, ხოლო შემდეგ გავიდნენ გარეთ და დახატონ ბაღის შენობა გარედან;
- დეკორატიული ქილები. წინასწარ მოიმარაგეთ ქვიშა, პატარა ტოტები ან მცენარეები, კენჭები, ნიჟარები და სხვა სასურველი ნივთები, სთხოვეთ ბავშვებს, მინის ფართო ქილაში ჩააწყონ ნივთები საკუთარი გემოვნების მიხედვით.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, ჟურნალებში ისეთი საქმიანობის ამსახველი სურათები დაძებნონ, რომელთა განხორციელებაც შეუძლიათ გარეთ ან შიგნით. სთხოვეთ, ამოჭრან შერჩეული სურათები და დაახარისხონ კატეგორიებად – საქმიანობა, რომელიც შესაძლებელია, შიგნით, შენობაში და საქმიანობა, რომელიც უნდა შესრულდეს გარეთ. შეგიძლიათ გამოაყოფინოთ მესამეც, საქმიანობა, რომლითაც შეიძლება დავკავდეთ გარეთაც და შიგნითაც.

სენსორული

- 2.5-3 სანტიმეტრზე წინასწარ გაჭერით ჩოგბურთის ძველი სამი ან ოთხი ბურთი და შიგნით მოათავსეთ ხმაურის გამომწვევი საგნები, მაგალითად, ზანზალაკები, კენჭები, სკრეპები და ღილები. ბურთები გაამთელეთ იზოლენტით ან სკოჩით. წაახალისეთ ბავშვები, ისროლონ ბურთები და გამოიცნონ რა არის შიგნით.

წიგნიერება

- რატომ აშენებენ ადამიანები სახლებს? რატომ გამოდიან გარეთ? მერე სად შედიან? როდის ვამბობთ შიგნით? (როცა რაღაცა შემოსაზღვრულია, ღობით, კედლებით, სხეულით). გაიხსენონ რის შიგნით ყოფილან, რა უნახავთ შიგნიდან.
- უთხარით და შეეცადეთ დაიმახსოვრონ გამოცანა: გარეთ – ატლასი, შიგნით – ათასი. (ბროწეული) აუხსენით, რა არის ატლასი.
- წაუკითხეთ: „ფანქარი“ (წიგნიერების დანართი).

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ სატვირთო მანქანები და კუბები. დაყარეთ კუბები ერთ ადგილას, სთხოვეთ ბავშვებს, ჩააწყონ ისინი სატვირთო მანქანაში და სხვა ადგილას გადმოაწყონ.

მეცნიერება

- წაახალისეთ ბავშვები, გაუშვან საპნის ბუშტები ოთახში და შემდეგ ფანჯრიდან გარეთ. აღწერონ განსხვავება, როგორ მოძრაობენ ბუშტები სხვადასხვა ადგილას.
- მოიმარაგეთ ოთხი ცარიელი თუნუქის ქილა და გაავსეთ ორი მათგანი მძიმე ნივთებით (მაგალითად, კენჭები და კონსერვი) და ორიც მსუბუქით (მაგალითად ქაღალდი და სკრეპები). წაახალისეთ ბავშვები, გააგორონ ქილები, რომ დაადგინონ რომელი ქილა უფრო სწრაფად დაგორავს, რომლის შიგნითაც უფრო მძიმე საგნები აწყვია თუ, უფრო – მსუბუქი.

საღამოს წრე

- რა არის მათი საყვარელი საქმიანობა სახლის გარეთ?
- რა აქვს ხილის უმრავლესობას შიგნით?

6. ქვეშ და ზემოდან

დილის წრე

- მოაწყვეთ ბილიკი მაგიდების, სკამების ან ზეწრის გამოყენებით შემოსასვლელიდან დილის წრემდე და სთხოვეთ ბავშვებს, დილის წრემდე მისასვლელად მაგიდების ქვეშ გაძვრნენ.
- აუხსენით ბავშვებს „ქვეშ“ და „ზემოდან“ სიტყვების მნიშვნელობა. მაგალითისთვის გამოიყენეთ ყუთი და ბურთი, დადეთ ბურთი ყუთზე და შემდეგ ყუთის ქვეშ. დაიხმარეთ მოხალისე.

ხელოვნება



- სახატავი ფურცელი მაგიდის ქვეშ სკოჩით მიამაგრეთ და წაახალისეთ ბავშვები, მაგიდის ქვეშ ზურგზე დაწოლილებმა დახატონ ნახატი.

მოძრაობა



- ითამაშეთ „გაყევი წინამძღოლს“: აირჩიეთ ერთი ბავშვი, რომელიც იქნება წინამძღოლი, დანარჩენები დგებიან მის უკან მწკრივში და იმეორებენ მის მოძრაობებს. გამოიყენეთ მაგიდები და სკამები, რომ ბავშვები ქვეშ გაძვრნენ და ზედ აძვრნენ. ყურადღება გაამახვილეთ სიტყვის ნაწილებზე „ზე“ და „ქვეშ“.
- უფროსებმა დაიჭირეთ თოკი. ბავშვები ხან ზემოდან გადაახტუნეთ, ხან ქვემოდან გააძვრინეთ.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ კალკა და რაიმე მარტივი, კონტურული ნახატი. სთხოვეთ ბავშვებს ნახატზე დადონ კალკა და გადაიხატონ.
- წაახალისეთ ბავშვები, დააწყონ ფერადი კუბები შესაბამის ადგილას: წითლები – ყუთში, ლურჯები ყუთის თავსახურზე, მწვანეები – ყუთის ქვეშ და ყვითლები – ყუთის გვერდით.

წიგნიერება

- გაახსენეთ ბავშვებს, რის ქვეშ შეიძლება მოვხვდეთ: ხის, მაგიდის, სახლის, თუ ის ფეხებზე დგას ან თუ სარდაფში ჩავედით. რას შეიძლება მოვექცეთ ზემოდან: სახლს (სახურავზე თუ ავედით), ხეს (კენწეროზე), სკამს, ცხენს.
- წაუკითხეთ (წიგნიერების დანართი) „ხალიჩის ქვეშ“. ჰკითხეთ: იცხოვრებდნენ თუ არა ვეფხვი და ცხენი ხალიჩის ქვეშ მართლა რომ არსებულიყვნენ. სთხოვეთ, მოიფიქრონ და მოყვნენ: „ვინ ცხოვრობს საწოლის ქვეშ?“ და ვინ ცხოვრობს სახურავზე დახატონ.

მეცნიერება:

- დაურიგეთ ბავშვებს მუსიკალური სათამაშოები და სთხოვეთ, მოუსმინონ მუსიკას, შემდეგ დადონ ჩართული სათამაშო ყუთის ქვეშ და ისევ მოუსმინონ. ერთნაირად ისმის მუსიკა?

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რით განსხვავდება მაგიდის ქვეშ ხატვა მაგიდაზე ხატვისგან?
- რის ქვეშ უნდა იარო წვიმაში?
- რას იხურავენ ზემოდან, როდესაც იძინებენ, რას იდებენ თავქვეშ?

7. წინ და უკან

დილის წრე

- გადაიცვით რაიმე მაისური უკუღმა. ისაუბრეთ ტანსაცმლის წინა და უკანა მხარეზე. რა განსხვავებაა მათ შორის? ოდესმე შემთხვევით თუ ჩაგიცვამს ტანსაცმელი უკუღმა? როგორ უნდა გაარჩიო ტანსაცმლის წინა და უკანა მხარე? (შეხედო იარლიყს, დააკვირდე, როგორ გაქვს).
- სთხოვეთ ბავშვებს ადგნენ ფეხზე და დატრიალდნენ ისე, რომ ზოგი წინ იყურებოდეს და ზოგიც უკან. უთხარით, რომ წინ და უკან არის მიმართულების და მდებარეობის მანიშნებელი სიტყვები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა იქნება „წინ და უკან“.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ნახატი სახატავ ფურცელზე. შემდეგ გადმოატრიალონ და დახატონ მეორე ნახატი ფურცლის უკანა მხარეს.
- სთხოვეთ, დასხდნენ პირისპირ და ისე დახატონ ერთმანეთის პორტრეტები, ხოლო შემდეგ ზურგიდან დახატონ ერთმანეთი;
- სთხოვეთ ბავშვებს მუყაოს ქაღალდზე დახატონ ნახატი, დააწყვილეთ ბავშვები და სთხოვეთ, ერთმანეთის ნახატები შეაწებონ უკანა მხრიდან. გამოჭერით ეს ნახატები ოთხკუთხედებად, მიიღებთ ფაზელს, რომელიც აიწყობა როგორც წინა, ასევე უკანა მხრიდან.

მოძრაობა



- მოიმარაგეთ კეგლი. სთხოვეთ ბავშვებს გააგორონ ბურთი წინ და შემდეგ კი პირ-შექცევით, უკან (დაიხარონ და ფეხებს შორის გააგორონ ბურთი).

სამაგიდო



- ფაზლით მანიპულაცია. დაყარეთ მაგიდაზე ფაზლი და სთხოვეთ ბავშვებს, გადმოატრიალონ უკანა მხრიდან დაყრილი ფაზლი წინა მხარეს.

დრამატული



- მოიმარაგეთ კოსტიუმები და ფორმები და სთხოვეთ ბავშვებს, გადაიცვან ისინი უკუღმა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ (წიგნიერების დანართიდან) „წინ“. გაარკვიეთ, როცა ზაფხული დამთავრდება და ქალაქისკენ წამოვლენ, რა იქნება წინ და რა უკან.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ბარათები დანართიდან. სთხოვეთ ბავშვებს, ბარათები სათითაოდ აღწერონ (დანართი 1.12.4).

საღამოს წრე

- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?
- რა არის ბაღის წინ, უკან?

8. განიერი და ვიწრო. მსუქანი და გამხდარი

დილის წრე

- მსუქანი და გამხდარი; მსხვილი და წვრილი; ფართო და ვიწრო; თხელი და სქელი საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტყვებია. ზოგიერთი რამ შეიძლება მსხვილიც იყოს და წვრილიც. მაგალითად, თოკი. გზა ვიწროა ან ფართო. ადამიანი მსუქანი ან გამხდარი. ფუნჯი მსხვილი ან წვრილი. საღებავის ფენა თხელი ან სქელი. ეს თვისებები ერთმანეთის საპირისპიროა. ასევე თვისებებია: მაღალი და დაბალი: მოკლე და გრძელი.
- აჩვენეთ ან გაახსენეთ პონი. შეეცადეთ დაახასიათოთ. პონი დაბალია, გრძელია, მსუქანია. გაამახვილეთ

ყურადღება, რომ ზოგიერთი რამ შეიძლება ან მსუქანი იყოს, ან გამხდარი. მაგალითად, ძროხა, ქათამი, ცხვარი, ძაღლი, კატა, ადამიანი. ზოგიერთი რამ აუცილებლად ან მსუქანია, ან გამხდარი. მაგალითად, სპილო, ბეჰემოტი, მელა, ტურა.

ხელოვნება



- წაახალისეთ ბავშვები დახატონ საღებავებით გრძელი და წვრილი ფუნჯების გამოყენებით.
- ფერადი ქაღალდისაგან გამოაჭრევინეთ ბავშვებს ვიწრო და განიერი ხის ტანი და ვარჯები დააწებეთ ქაღალდზე. შექმენით „ბებერი და ახალგაზრდა ტყეები.“
- მუყაოს ქაღალდის გადახვევით გააკეთეთ ვიწრო და ფართო ხვეულა, მოახატვინეთ ბავშვებს, ბოლოებში გაუკეთეთ ფერადი ძაფების ფოჩები და დაკიდეთ მათზე ჩხრიალები ან ღილები. გაუკეთეთ საკიდები და აასხით ძაფზე. დაკიდეთ კედლის გასწვრივ ან ფანჯარაზე.



- დაურიგეთ ბავშვებს ჯერ განიერი ფორმატის ფურცელი და სთხოვეთ, დახატონ რაიმე კომპოზიცია, შემდეგ იგივე კომპოზიცია გადახატონ ვიწრო ფორმატზე. ისაუბრეთ განსხვავებაზე.

მუსიკა და მოძრაობა

- ჩართეთ „მაუგლის“ (სასურველია, აჩვენოთ მულტფილმიც) მუსიკა და სთხოვეთ, იცეკვონ და მიბაძონ მაუგლის მსუქან და გამხდარ მეგობრებს.
- გააკეთეთ სკამებით სამი დერეფანი: ერთი – ვიწრო, ბავშვის სიგანის; მეორე – უფრო ვიწრო, რომელშიც ბავშვისთვის შესაძლებელი იქნება გვერდულად გავლა; მესამე – ფართო, განიერი, სადაც ორი-სამი ბავშვიც გაეტევა. სთხოვეთ ბავშვებს, იარონ ამ დერეფნებში. სთხოვეთ, აღწერონ, როგორ გადიან თითოეულ დერეფანში.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ სქელი და წვრილი პასტელები (ფანქრები). სთხოვეთ ბავშვებს, ხატონ და წერონ.
- წინასწარ მოიმარაგეთ მძივები სქელი და ვიწრო ნახვრეტით, ასევე შესაბამისი ზომის თასმები. ააცმევინეთ და შეადარებინეთ, როგორ ნახვრეტში როგორი თასმა ეტევა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ „მარტორქა და კეთილი ფერია“ (წიგნიერების დანართი).
- ჰკითხეთ, როგორი იყო მარტორქა, განიცდიდა თუ არა თავის სიმსუქნეს, რატომ? წარმოუდგენიათ თუ არა გამხდარი მარტორქა. გაამახვილეთ ყურადღება, რომ ეს მისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ ვიწრო და განიერი ქუჩები და ვიწრო და განიერი შენობები. გაატარონ სათამაშო მანქანები მათ აშენებულ ქუჩებში.

საღამოს წრე

- ჩამოთვალონ მსუქანი და გამხდარი ცხოველები.
- აღწერონ ფართე და ვიწრო ქუჩები.

9. დღე და ღამე

დილის წრე



- გააკეთებინეთ დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიშები.
- გააკეთეთ ღამესთან და დღესთან ასოცირებული საგნების სია.
- ჩამოწერეთ იმ საქმიანობების სია, რისი კეთება მოსწონთ დღე და რისი – ღამე.
- ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რა განასხვავებს დღესა და ღამეს ყველაზე მეტად?
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა იქნება დღე და ღამე.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ თექისგან გამოჭრილი მზეები, ღრუბლები, მთვარეები და ვარსკვლავები. წაახალისეთ ბავშვები, ააწყონ დღის ცა და ღამის ცა.
- მოიმარაგეთ შავი ფურცლები და ის მასალა, რომლითაც შესაძლოა მასზე მუშაობა: ოქროსფერი და ვერცხლისფერი ქაღალდი, ბრჭყვიალა წებო, პასტელის ფანქრები. სთხოვეთ ბავშვებს, ამ მასალის გამოყენებით შექმნან ღამის ცის სურათი.
- აჩვენეთ ბავშვებს ვან გოგის „ვარსკვლავიანი ცა“ და სთხოვეთ, გააკეთონ ასლი.
- მუყაოსა და ფერადი ქაღალდის გამოყენებით დაამზადებინეთ ბავშვებს ღამისა და დღის სიმბოლოები და დაკიდეთ ჯგუფში.



მუსიკა და მოძრაობა

- გაიყვანეთ ბავშვები ეზოში, რომ გამოედევნონ საკუთარ ჩრდილებს.
- მოიმარაგეთ და მოასმენინეთ სხვადასხვა იავნანა, ვითომ იძინებენ.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ პინცეტები და ქვამარილი (ვარსკვლავები). დაურიგეთ ბავშვებს შავი თექის ნაჭერი და სთხოვეთ, პინცეტის გამოყენებით ამოიღონ თასში ჩაყრილი ქვამარილი და დააწყონ „ვარსკვლევები შავ ცაზე“.
- მოიმარაგეთ დაფა, თეთრი ფერის ცარცი და სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ღამის ცა.

სენსორული:

- დადეთ დიდი პრიალა ფურცელი მაგიდაზე. დაასხურეთ ქაფი და სთხოვეთ ბავშვებს, აურიონ ლურჯი საღებავი, რათა შექმნან ცისფერი, დღის ცა. ახატინეთ თითებით.

წიგნიერება

- გაახსენეთ ხალხური ლექსი: „მზე დედაა ჩემი..“ ესაუბრეთ ღამის მნიშვნელობაზე, როგორი მშვენიერი დროა ზღაპრების მოსაყოლად, დასასვენებლად, საოცნებოდ, ძილისთვის. წაუკითხეთ „სალამურას თავგადასავლის“ მოკლე ვერსია (წიგნიერების დანართი). უთხარით, რომ წიგნი სავსეა უამრავი საინტერესო ამბით და წერა-კითხვას რომ ისწავლიან, აუცილებლად წაიკითხონ.

- აუხსენით, რომ ციცინათელას ასე იმიტომ ჰქვია,რომ მისი შუქი ციმციმებს ე.ი. ინთება და ქრება. კიდევ რა არის ციმციმა? ვარსკვლავი.
- ჩამოათვლევინეთ დღესთან დაკავშირებული სიტყვები: განთიადი, ცისკარი (მიანიშნეთ რას შეიცავს ეს სიტყვა: ცა და კარი. რას უღებს ამ დროს ცა კარს?), ალიონი (მზის ამოსვლისას თითქოს ცას ცეცხლის ალი ედება), რიჟრაჟი (უთხარით, რომ ამ დროს თითქოს ახალგაღვიძებულ დღეს აჟრჟოლებს. ჰკითხეთ, მათ თუ განუცდიათ ასეთი რამ.) დილა, შუადღე.
- გაახსენეთ ღამესთან დაკავშირებული სიტყვები: საღამო, შუაღამე, უკუნი ღამე, კუნაპეტი ღამე, მოკაშკაშე და მოციმციმე ვარსკვლავები, ბადრი მთვარე, ნამგალა მთვარე. აუხსენით ნამგალი, უთხარით, რომ ბადრი ამირანის ძმაა, რომელიც ძალიან ლამაზი იყო.

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რომელი უფრო მეტად მოსწონთ, დღე თუ ღამე?
- რა გახსენდება, როდესაც დღეზე ფიქრობ? ღამეზე?
- გაახსენეთ თემასთან დაკავშირებული ლექსიკა.

კატეგორიები

1. ტანსაცმელი და აქსესუარები
2. სათამაშოები
3. ცხოველების სახლები
4. ავეჯი და ჭურჭელი

1. ტანსაცმელი და აქსესუარები

დილის წრე

- ყუთში წინასწარ მოათავსეთ ტანსაცმლის წყვილები ან რასაც ერთად ვხმარობთ. მაგალითად, წყვილი წინდა, ხელთათმანი, წინდა და ფეხსაცმელი, შარვალი და ქამარი. სათითაოდ ამოიღეთ წყვილები და ისაუბრეთ მათ ურთიერთკავშირზე.
- შეგიძლიათ ბავშვები ათამაშოთ: დააწყვეთ სამი საგანი, ერთი წყვილი და მესამე ზედმეტი. ჰკითხეთ ბავშვებს, რომელია ზედმეტი?

ხელოვნება



- წინასწარ მოიმარაგეთ პოლიეთილენის პარკები, ძველი გაზეთები, ქსოვილის ნაჭრები, საქსოვი ძაფები და დიდი სკოჩი. მიეცით ბავშვებს და წაახალისეთ, მათი დახმარებით შექმნან კოსტუმები, ჩააცვან ერთმანეთს და მოაწყონ ჩვენება.
- დაათვალიერებინეთ ბავშვებს სხვადასხვა ერისა და დროის ტანსაცმელი, წაახალისეთ ბავშვები, გადაიხატონ სასურველი სამოსი ან დახატონ თავისი ფანტაზიით.
- მოიმარაგეთ თეთრი ქსოვილი და ქსოვილის საღებავები. გააფორმეთ ანაბეჭდების საშუალებით და შექმენით დეკორატიული ქსოვილები.
- მოიმარაგეთ თეთრი ფერის მაისურები, მოახატინეთ ბავშვებს ქსოვილის საღებავით ან აკრილით.

მუსიკა და მოძრაობა

- ითამაშეთ პანტომიმა „სათამაშოდ ჩაცმული“: ბავშვები გადიან ეზოში სათამაშოდ, თავიდან ქარიანი ამინდია, შემდეგ დაცხება და ბოლოს კი გაწვიმდება. აქცენტი გაკეთებულია ტანსაცმლის ჩაცმა-გახდაზე. გამოიცანი რას ვიცვამ?

სამაგიდო



- მოიმარაგეთ თასმებიანი ფეხსაცმელების მუყაოს შაბლონები და წაახალისეთ ბავშვები, თასმები შეკრან (დანართი 1.13.1.).
- მოიმარაგეთ სხვადასხვა შესაკრავიანი ნაჭრები (ღილებიანი, ელვა, ფხრიწი, კნოპი) ჩამოთვალეთ, რას რა ჰქვია. შეაკვრევინეთ ბავშვებს.
- წინასწარ მოიმარაგეთ სხვადასხვა სეზონის სხვადასხვა ტანსაცმლის ბარათები (დანართი 1.13.2.). ჰკითხეთ ბავშვებს, რას ამოირჩევდნენ წვიმიან ამინდში გასასვლელად, თოვლის ან სიცხისას.
- წინასწარ დანომრეთ ერთიდან ხუთამდე ბარათები და მოიმარაგეთ სათამაშო ბეჭდები. წაახალისეთ ბავშვები, ამოიღონ ბარათი და მასზე მითითებული რაოდენობის ბეჭედი გაიკეთონ.
- დაათვლევინეთ სარეცხის სარჭები. დაურიგეთ სამუშაო ფურცლები (დანართი 1.13.3.). სთხოვეთ ბავშვებს, იმდენი სარეცხის სარჭი გაუკეთონ ბარათს, რამდენი წრეც ახატია.

ექსკურსია

- წაიყვანეთ ბავშვები სტუმრად სამკერვალოში ან მოიწვიეთ სტუმრად მკერავი და მასთან ერთად რომელიმე თოჯინისთვის შეკერეთ კაბები.

დრამატული



- გაჭიმეთ თოკი. სთხოვეთ ბავშვებს, თოჯინის ტანსაცმელი ან უბრალო ნაჭრები სარეცხი სარჭებით დაკიდონ.
- წაახალისეთ ბავშვები, საზომი ლენტის დახმარებით აუღონ ერთმანეთს კაბების და შარვლების ზომები.

წიგნიერება

- *შენი და ჩემი ფეხსაცმელი.* სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ ერთმანეთის ფეხსაცმელებს და იპოვონ რაღაცა ნიშნით მათი ფეხსაცმლის მსგავსი მეგობრის ფეხსაცმელი. ეს მსგავსება შეიძლება იყოს: თასმები, ფხრიწი, ფერი, და ა.შ. სთხოვეთ, გაახმოვანონ თავიანთი საქმიანობა. მაგ: მე მაცვია ყავისფერი, თასმებიანი ფეხსაცმელი, ვეძებ მსგავსს.
- გაამახვილეთ ყურადღება: ტანსაცმელს, ფეხსაცმელს ვიცვამთ; ქუდს – ვიხურავთ; ტანსაცმელი გაიხადე; ქუდი მოიხადე; სამკაული გაიკეთე. ჰკითხეთ: რა აცვიათ ზამთარში, ზაფხულში, გაზაფხულ-შემოდგომაზე. საშინაო-საგარეო. ჰკითხეთ: როცა პატრულს ხედავენ, როგორ ხვდებიან რომ პატრულია? ე. ი. არსებობს სპეცტანსაცმელი. ვის აცვია თეთრები, ვისი ფორმა მოსწონთ?
- წაუკითხეთ ლექსები წიგნიერების დანართიდან.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ტანსაცმლის შესახებ?
- გაიმეორონ, რას იხურავენ, რას იცვამენ, რას იკეთებენ?

2. სათამაშოები

დილის წრე



- ბავშვებს საპნის ბუშტების ბერვით შეხვდით.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ შეიძლება საპნის ბუშტების სპეციალური ჯოხის გარეშე გაბერვა.
- ისაუბრეთ ისეთ სათამაშოებზე, რომლებიც ორი ნაწილისგან შედგება. მაგალითად, ბურთი და კალათი, დოლი და საკრავი ჯოხები.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვალონ მათი საყვარელი სათამაშოები.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ გასაფერადებელი წიგნები და ფანქრები. წაახალისეთ ბავშვები, გააფერადონ.
- *ბურთი.* პაპიე-მაშეს (იხ. განმარტებები) ტექნოლოგიით დაამზადებინეთ ბავშვებს მრგვალი ფორმა, შეალებინეთ ბურთის მსგავსად.
- *აპლიკაცია:* წინასწარ მოიმარაგეთ თოჯინის სხეულის გამოჭრილი ნაწილები, დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, ააწყონ და დააწებონ ფურცელზე (დანართი 1.13.4.).
- დაურიგეთ ბავშვებს სათამაშო მანქანები და სთხოვეთ, გააფორმონ მანქანები სხვადასხვა „სტიკერებისა“ და სხვა მასალის მეშვეობით (მარკერებით, პლასტელინით, ლენტებით...).

მოძრაობა



- მოიმარაგეთ სათამაშო მანქანები, სთხოვეთ გააგორონ მანქანები სტარტიდან ფინიშამდე.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი: გააფერადე განსხვავებული თოჯინა (დანართი 1.13.5.).
- სამუშაო ფურცელი: დაუხატე თოჯინას კაბაზე კოპლები (დანართი 1.13.6.).
- სამუშაო ფურცელი: იპოვე ორი ერთნაირი სათამაშო მანქანა და გააფერადე (დანართი 1.13.7.).

სენსორული

- მოიმარაგეთ ქვიშაში სათამაშოდ ფოცხი და ნიჩბები. მათი გამოყენება უფრო სახალისოს ხდის ქვიშაში თამაშს? უფრო აადვილებს რაიმეს აშენებას?
- მოიმარაგეთ ბუშტების გასაბერი სითხე და ჯოხი. ბავშვებს ბუშტები გააბერინეთ. შემდეგ აჩვენეთ, როგორ გაბერონ ჯოხის გარეშე, საკუთარი ხელის მეშვეობით.

დრამატული



- სათამაშოების მაღაზია. მოაწყვეთ სათამაშოების მაღაზია. გაანაწილეთ როლები; წაახალისეთ გამყიდველი, შეურჩიონ მყიდველს სათამაშო (ასაკის, სქესის და სიტუაციის მიხედვით) და „მყიდველებმაც“ აღუწერონ, რატომ უნდა, რომ იყიდოს ესა თუ ის სათამაშო. მაგ. „შემირჩიეთ დაბადების დღის საჩუქარი 4 წლის გოგონასთვის.“

წიგნიერება

- რიგრიგობით ჰკითხეთ: რითი თამაშობენ მაგიდასთან, სახლში, ბაღში, ეზოში; რა არის მათი საყვარელი სათამაშო; თუ უვლიან სათამაშოებს; რა თამაშები იციან?
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა არის მათი საყვარელი სათამაშო?
- ჰკითხეთ, რა არის მათი საყვარელი თამაში?

3. ცხოველების სახლები

დილის წრე



- ოქროსფერი სქელი ქაღალდისგან დიდი სკა გამოჭერით და ჩამოკიდეთ დილის წრეში. სთხოვეთ ბავშვებს, დილის წრეში ფუტკრებივით მიფრინდნენ.
- ბავშვებს სხვადასხვა ცხოველის სახლები აჩვენეთ (ჩიტის ბუდე, კიბორჩხალის ლოკოკინა, ბზიკის ბუდე და სხვა).
- სთხოვეთ ბავშვებს, სხვა ცხოველების სახლები გაიხსენონ.
- როგორი სახლები აქვთ ადამიანებს?
- შეადარეთ ადამიანების და ცხოველების სახლები.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ მუყაოს პატარა ყუთები და ბავშვებთან ერთად გააკეთეთ ჩიტების სახლები, გააფორმეთ ხის ტოტებით.

მოძრაობა



- გაითამაშეთ „წავიდეთ დათვებზე სანადიროდ“ (იხ. თემაში „ზოოპარკის და ტყის ბინადრები“).
- ოთახში თოკით ან ლენტით წინასწარ გააკეთეთ დიდი ობობის ქსელი. სთხოვეთ ბავშვებს, სცადონ ქსელში გავლა ისე, რომ ძაფს ან ლენტს არ შეეხონ.

სამაგიდო



- წინასწარ გამოჭერით სქელი მწვანე ქაღალდისგან ლოტოსის ხუთი ფოთოლი და დანომრეთ ერთიდან ხუთამდე. დაამზადეთ 15 ბაყაყი, დახატეთ და გამოჭერით. დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, თითოეულ ლოტოსის ფოთოლზე შესაბამისი რაოდენობის ბაყაყი დასვან (დანართი 1.13.8.).

წიგნიერება

- რა სად ცხოვრობს? დიდი ცხოველები – ბუნაგში, პატარები – სოროში, ჩიტები – ბუდეში. გაამეორებინეთ „ფერმიდან“: ქათმები – საქათმეში, ცხვრები – ბაგაში, ცხენები – თავლაში, ღორები – საღორეში, ძროხები – ბოსელში. რა ატარებს თან თავის სახლს?
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.
- დაათვალიერებინეთ ცხოველების საბავშვო ენციკლოპედია.

ექსკურსია



- ცხოველთა სახლების აღმოსაჩენად ბუნებაში გაისეირნეთ.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი სხვადასხვა არსებების სახლებზე?
- გაიმეორეთ, რა სად ცხოვრობს?

5. ავეჯი და ჭურჭელი

დილის წრე

- დიდი ყუთში წინასწარ მოათავსეთ სხვადასხვა სათამაშო ჭურჭელი და ავეჯი. სათითაოდ ამოიღეთ და ჰკითხეთ ბავშვებს, რა ჰქვია საგანს და რისთვის ვიყენებთ?
- შემდეგ სთხოვეთ, დაგეხმარონ არეული ნივთების ორ კატეგორიად დალაგებაში. როცა გაანაწილებთ, ჰკითხეთ, რა საერთო სახელი აქვს ყუთებში განაწილებულ საგნებს.
- წარმოიდგინონ, კიდევ რა საგნებს დაუმატებდნენ ამ ყუთებს.
- სთხოვეთ ბავშვებს ჩამოთვალონ ჭურჭელი.
- აჩვენეთ ჭურჭლის ბარათები (დანართი 1.13.9.). სთხოვეთ დაასახელონ.
- იმსჯელეთ, რისგან არის დამზადებული და რისთვის არის საჭირო სხვადასხვა ჭურჭელი.
- იმსჯელეთ პურის და კექსის საცხობ სხვადასხვა ფორმებზე და ზომებზე.
- სინზე დაალაგეთ პლასტმასის ჭურჭელი და სთხოვეთ, ფრთხილად მიიტანონ მაგიდასთან.

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს საძერწი მასალა: თიხა ან პლასტელინი. სთხოვეთ, გამოძერწონ სხვადასხვა ჭურჭელი: თეფშები, ჯამები, კოვზები და ა.შ.
- დაათვალიერებინეთ ბავშვებს სხვადასხვანაირი მოხატული ჭურჭლის ფოტოები. დაურიგეთ ბავშვებს მუყაოს ერთჯერადი თეფშები და სთხოვეთ, გააფორმონ ნახატებით ან აპლიკაციით.
- პაპიე-მაშეს (იხ. განმარტებები) ტექნოლოგიით დაამზადებინეთ ბავშვებს სხვადასხვა სახის ჭურჭელი და გააფერადებინეთ. გამოიყენეთ ჭურჭელი დრამატულ ცენტრში.
- მოიმარაგეთ მუყაოს სხვადასხვა ზომის ყუთები და წაახალისეთ, დაამზადონ თოჯინის სახლი და ავეჯი.



- დაურიგეთ ბავშვებს საწოლის ნახატი, ბამბა და ქსოვილები. სთხოვეთ, გააკეთონ საწოლზე საბნის და ბალიშების აპლიკაცია (დანართი 1.13.10.).

მოძრაობა და მუსიკა

- გამოიყენეთ ჯამ-ჭურჭელი, როგორც „მუსიკალური ინსტრუმენტები.“

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი გადახაზე ზედმეტი (დანართი 1.13.11.).
- სამუშაო ფურცელი დააწყვილე (დანართი 1.13.12.).
- სთხოვეთ ბავშვებს, სხვადასხვა ჭურჭელი (თეფში, ჭიქა, კოვზი) დადონ ფურცელზე და შემოავლონ ფანქარი. გააფერადონ თავიანთი ნამუშევარი.
- *აზომვა:* ქვიშის ან წყლის მაგიდაზე თამაშის დროს შეგიძლიათ ბავშვებს მისცეთ საზომი ჭიქა, რომლითაც განსაზღვრავენ წყლის ან ქვიშის, ბრინჯის ან ლობიოს რაოდენობას.
- დაალაგებინეთ ზომების მიხედვით ჭურჭელი.
- სათამაშო ჭურჭლით გააშლევინეთ სუფრა მოცემულ რაოდენობაზე. ბოლოს 5 კაცზე გაშლილ სუფრას ჩუმად მოაკელით სხვადასხვა ნივთი. სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ, სად რა აკლია. ჰკითხეთ ბავშვებს, რამდენი თეფში, ჩანგალი, კოვზი, ჭიქა დასჭირდებათ 2, 3, 4, 5 ადამიანს რომ გაუშალონ სუფრა?

სენსორული

- ჩაყარეთ სათამაშო ჭურჭელი ტომარაში. ბავშვს თვალები აუხვიეთ, რომ მხოლოდ ხელის შეხებით გამოიცნოს, რა საგანია.
- იგივე გააკეთეთ სათამაშო ავეჯზეც.
- მიეცით ბავშვს საცერი და გააცრევინეთ ფქვილი.
- ჯამ-ჭურჭელი გამოიყენეთ ქვიშაში სათამაშოდ.

დრამატული



- ბავშვებმა თოჯინების ოთახები მოაწყონ და გაანაწილონ ავეჯი შესაბამის ოთახებში.
- წინასწარ მომარაგებული ჭურჭლით ბავშვებს მოაწყობინეთ სამზარეულო.
- მოაწყვეთ თოჯინების წვეულება, გაშალეთ საზეიმო სუფრა, დაპატიჟეთ სტუმრები და გაუმასპინძლდით სასარგებლო საკვებით.

წიგნიერება

- ჰკითხეთ ოთახების მიხედვით: რა დგას სამზარეულოში, მისაღებში, საძინებელში? აუხსენით, რა არის რბილი ავეჯი. დაფიქრდნენ, რა სჭირდებათ უფრო: საწოლი თუ მაგიდა, კარადა თუ სკამი? გამოთქვან თავისი აზრი.
- ჩამოთვალონ რითი ჭამენ: კოვზით, ჩანგლით. ჩინეთში ჩხირებით, ხელით. რისი ჭამა

შეიძლება ხელით, რისი არ შეიძლება, რატომ? რაზე დებენ საჭმელს? რითი განსხვავდება წვნიანის თეფში მშრალი საჭმლისთვის განკუთვნილი თეფშისგან. ჩამოთვალონ ჭურჭლის გარდა რა ნივთები აქვთ სამზარეულოში? გაზქურა, ონკანი, მაცივარი. რატომ არის ეს ნივთები აუცილებელი სამზარეულოში? კიდევ რა დამხმარე ნივთები გვხვდება სამზარეულოში? საბრტყელებელი, გასახსნელი, ხორცსაკეპი მანქანა, ელექტრომიქსერი, სათქვეფელა, ქვასანაყი, ხის დაფა...

- წაუკითხეთ: „გმირი ქვასანაყი“ რა ომში მიდიოდა ქვასანაყი? სინამდვილეში რა უნდა გაეკეთებინა? დაამტვრევდა ქვასანაყი კაკლებს?
- ჩამოათვლევინეთ ჭურჭელი, რომელშიც მზადდება საჭმელი, რითაც ვჭამთ, რითაც სუფრაზე გაგვაქვს.
- რა მასალის შეიძლება იყოს ჭურჭელი? თიხის, ხის, შუშის, ფაიფურის... შეძლებისდაგვარად აჩვენეთ და ხელი მოაკიდებინეთ.
- ჩამოათვლევინეთ დამხმარე ხელსაწყოები სამზარეულოში: საბრტყელებელი, გასახსნელი, ხორცსაკეპი მანქანა...
- წაუკითხეთ: „გმირი ქვასანაყი“ (წიგნიერების დანართი).
- აუხსენით ბავშვებს, რა არის რეცეპტი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ავეჯისა და ჭურჭლის შესახებ?
- დღევანდელ დღეს რომელი საქმიანობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

ფერმა და ფერმის ბინადრები

1. ფერმა და ფერმერი
2. ცხოველები ფერმაში
3. ძროხები და ცხენები
4. ქათმები და იხვები
5. ბოჭკები
6. ცხვარი, ბატკანი და თხა

საერთო აქტივობები

დილის წრე



- ფერმაზე თხრობისას გააკეთეთ აქცენტი, ვინ არის ფერმერი, ვინ არის მეცხვარე, მენახირე, მწველავები, რა ჰქვიათ ცხოველების შვილებს. რა სად ცხოვრობს. რა რას ჭამს? რომელია უწყინარი, რომელმა შეიძლება გირქინოს, წიხლი გკრას, ჩაგინისკარტოს. რა არ გვექნებოდა, ფერმები და მისი ბინადრები რომ არ არსებობდნენ. რას ვიყენებთ საჭმელად, ჩასაცმელად, დასაწოლად, თავის დასადებად.

წიგნიერება

- თემის მიხედვით უკითხეთ დანართი „ფერმა“. კვირის ბოლოს შეაჯამეთ სიტყვათა მარაგი: ცხენები – თავლაში, ძროხები – ბოსელში, ღორები – საღორეში, ქათმები – საქათმეში, ცხვრები – ბაგაში; ქათამი – ვარიკა, ყვინჩილა – წიწილა, ღორი – გოჭი, ცხენი – კვიცი, ძროხა – ხარი, ხბო – ბოჩოლა, ცხვარი – კრავი – ბატკანი, თხა – ციკანი – თიკანი, იხვი – ჭუჭული.

1. ფერმა და ფერმერი

დილის წრე



- ჰკითხეთ ბავშვებს, რა იციან ფერმის შესახებ, აჩვენეთ ფერმის სურათები და ისაუბრეთ მასზე.
- აჩვენეთ ბავშვებს სურათები: ტრაქტორები, ფოცხი, თოხი, ნიჩაბი და სხვა. ისაუბრეთ ხელსაწყოებსა და აღჭურვილობებზე, რომლებსაც ფერმებში იყენებენ.
- ჰკითხეთ ბავშვებს „როგორ მოხნავდი მიწას ტრაქტორის გარეშე? ამოთხრიდი ნიჩაბის გარეშე? შეაგროვებდი კვერცხებს კალათის ან ვედროს გარეშე?“

ხელოვნება

- ფერმერს აუცილებლად სჭირდება ტრაქტორი, წინასწარ გამოჭერით ბორბლები, ტრაქტორის კორპუსი და დააწებებინეთ ბავშვებს ფურცელზე (დანართი 1.14.1.).
- *მე ფერმერი ვარ.* ამ აქტივობისთვის დაგჭირდებათ ბავშვების ფოტოები, საიდანაც ამოჭრით ბავშვის სახეს. წინასწარ გამოჭერით ფერმერის სხეული და ქუდი და დაურიგეთ ბავშვებს გასაფერადებლად (დანართი 1.14.2.). შემდეგ დააწებებინეთ ფურცელზე ფერმერის ტანი, თავის ნაცვლად ბავშვის ფოტო ან დახატული ავტოპორტრეტი და ზემოდან ქუდი.
- *ჩვენი ფერმა.* მოიმარაგეთ მართკუთხა ფორმის მუყაოს ყუთი, რომელსაც ზემოდან დააწებებთ ორფერდა სახურავს. სთხოვეთ ბავშვებს გარედან შეღებონ ფერმის კედლები სასურველი ფერის გუაშის საღებავით და გაშრობის შემდეგ დააწებებინეთ მუყაოსგან წინასწარ გამოჭრილი ფანჯრები და კარი (სასურველია აქტივობა მცირე ჯგუფებში გაკეთდეს. 5-6 კაცი).

სამაგიდო



- მოიმარაგეთ სხვადასხვა სახის მარცვლეული და კონტეინერები. ბოთლს შემოახვიეთ ყვითელი ქაღალდი, გაუკეთეთ თვალები და ბიბილო, წაახალისეთ ბავშვები, პინცეტის გამოყენებით მარცვლეულით წიწილები გამოკვებონ.



- წაახალისეთ ბავშვები, საფრთხობელას დასამზადებლად ძველი მაისური და ჯინსის შარვალი ჩალით ან ძველი ჟურნალ-გაზეთებით გატენონ.
- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ „ფერმის მემო“ (თამაშის წესი იხ. განმარტებებში) (დანართის 1.14.3.).

სენსორული

- მოიმარაგეთ ტრაქტორები, ხელის ნიჩბები, პატარა ფოცხები, აქანდაზები, ვედროები და სხვა... ქვიშაში სათამაშოდ.

დრამატული



- სკამებით ან მუყაოს ყუთებით გააკეთეთ ტრაქტორის ან საბარგო მანქანის იმიტაცია და ათამაშეთ ბავშვები.

წიგნიერება

- იკითხეთ, ვინ ყოფილა სოფელში? ვის ჰყავს სოფელში ბაბუა-ბებია? თუ ეწევიან ისინი მეურნეობას? ალაპარაკეთ იმაზე, რაც თავად უნახავთ.
- წაუკითხეთ „ტოპო-ტიპი ბებიასთან და ბაბუასთან მიდის.“[1]

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, ააგონ ფერმა. შეღებეთ ზეწარი (დიდი ფურცელი) ყავისფრად (მიწა), მწვანედ (ბალახი) და ცისფრად (გუბურა). მოიმარაგეთ კუბურები, ყუთები, სათამაშო ტრაქტორები და სატვირთო მანქანები. ჩასვან ადამიანები ფერმაში.

1 კასალისი ა. 2008. ტოპო-ტიპი ბებიასთან მიდის. ქართ. ტექსტი: თ. მამულაშვილი, ნ. გოგალაძე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

მეცნიერება

- ლობიოს დასათესად მოიმარაგეთ პლასტმასის კონტეინერები, მიწა, სარწყავი და ლობიოს მარცვლები. (მცენარის დათესვის ან დარგვის შემთხვევაში, მიწა არ დატკეპნოთ, პირიქით, გააფხვიერეთ).

საღამოს წრე

- რომელი საქმიანობა მოეწონათ დღეს?
- რა გაიგეს ახალი ფერმის და ფერმერის შესახებ?

2. ფერმის ბინადრები

დილის წრე

- ჰკითხეთ: რა და რა ცხოველი ცხოვრობს ფერმაში? ვინ უვლის მათ?
- აჩვენეთ ბავშვებს ფერმის ბინადრების სურათები ან სათამაშოები. ისაუბრეთ ცხოველებზე, რომლებსაც ფერმაში არ ვხვდებით ხოლმე.
- რისთვის ჰყავთ ფერმერებს ცხოველები ფერმაში? რას გვაძლევს თითოეული ფერმის ბინადარი? (ქათამი – კვერცხს, ძროხა – რძეს, ღორი – ხორცს და ა.შ.)
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ფერმის ცხოველები იქნება.

ხელოვნება



- მოამზადეთ დიდი ზომის ფორმატი და წინასწარ გამოჭრილი ფერმის ბინადრები (დანართი 1.14.4.), გააფერადებინეთ ეს ცხოველები, შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ ფორმატი მწვანედ (ეს იქნება ბალახი), გაანაწილონ ფერმის ბინადრები და დააწებონ ფორმატზე.
- მუყაოზე დააწებეთ დანართის ფურცლები და გამოჭერით ბავშვებთან ერთად, გააფერადებინეთ და გამოიყენეთ სარეცხის ხის სარჭები ფეხების დასამზადებლად. დაუმაგრეთ სარჭები ცხოველებს და დააყენეთ ფეხებზე (დანართი 1.14.5.).



მოძრაობა



- ძაფისგან ან ნაჭრისგან წინასწარ დაამზადეთ სხვადასხვა შინაური ცხოველის კუდები, გაუკეთეთ ზონარი ან რეზინა და ჩაყარეთ ტომარაში. სთხოვეთ ბავშვებს ისე მოიქცნენ, როგორც ის ცხოველი, რომლის კუდიც აქვს მიმაგრებული.
- იმოძრავე ფერმის ბინადრების მსგავსად – იარე ქათამივით, იჭენავე ცხენივით, იხტუნავე კურდღელივით, იბაჯბაჯე იხვივით.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ პლასტმასის ცხოველები და სთხოვეთ ბავშვებს, გამოყონ ფერმის ბინადრები. თუ არ გაქვთ პლასტმასის ცხოველები, გამოიყენეთ სურათები.
- აჭამე ქათამს. გადაიღეთ დანართი 1.14.6.-ის ხუთი პირი ქსეროასლი, გააფერადეთ, გამოჭერით და ლამინირება (რომ სხვა დროსაც გამოიყენოთ) გაუკეთეთ. მოიმარაგეთ ხუთი პატარა ზომის თუნუქის ქილა ან ყუთი. თავსახურებზე დააწებეთ წინასწარ გამზადებული ქათმები, პირის ადგილი გამოჭერით. ქილები დანომრეთ ერთიდან ხუთამდე. მოიმარაგეთ პინცეტები და მარცვლეული. წაახალისეთ ბავშვები, თითოეულ ქათამს პირში ხუთი მარცვალი ჩაუგდონ.
- წინასწარ ამოჭერით ჟურნალებიდან ფერმის ცხოველების სურათები, დააწებეთ მყარ ფურცელზე და დაჭერით ოთხ ან ხუთ ნაწილად. დაურიგეთ ბავშვებს, რომ თავსატეხი ააწყონ.

დრამატული



- მოაწყვეთ დრამატული ცენტრი ფერმასავით, მოიმარაგეთ სათამაშო სამუშაო იარაღები, ხის ყუთები, დიდი საწოვარა ცხოველებისთვის, დაყარეთ ცოტა თივა, ფერადი ფორმატებისგან გამოაჭრევინეთ ბავშვებს ცხოველების დიდი გამოსახულებები და მიაკარით კედელს ან ხის ყუთებს. შეგიძლიათ შემოსაზღვროთ ხის ან პლასტმასის დასადგამი პატარა ღობით. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ცხოველების რბილი სათამაშოები. წაახალისეთ ბავშვები, „გამოკვებონ“ ცხოველები, „მოწველონ“ ძროხა და ა.შ.

წიგნიერება

- მოიმარაგეთ ფერმის ცხოველების სურათები და მათი ხმის აუდიო ჩანაწერი. მოასმენინეთ ბავშვებს და სთხოვეთ, გამოიცნონ რისი ხმაა?

საღამოს წრე

- რა გაიგეს ფერმის ბინადრებზე?
- შეამჩნიეთ, რომ ზოგიერთი ფერმის ბინადარი ზოოპარკშიც ცხოვრობს?

3. ძროხები და ცხენები

დილის წრე



- ჩამოატარეთ წრეზე ეჟვანი. ისაუბრეთ მის დანიშნულებაზე.
- ისაუბრეთ ფერმაში ხარების, ცხენების და ვირების შესახებ, რაში ეხმარებიან ისინი ადამიანებს.
- მოიძიეთ და აჩვენეთ სურათები, რომელიც ცხენს სხვადასხვა საქმიანობის დროს გამოსახავს.
- ისაუბრეთ ცხენის მოვლის შესახებ. აუხსენით, რომ ისინი ყოველდღე უნდა ავარჯიშო და გაასუფთაო.
- აჩვენეთ ცხენების და ძროხების სურათები. ჰკითხეთ, რითი ჰგვანან და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ხელოვნება



- ამობეჭდეთ დანართი 1.14.7. სთხოვეთ ბავშვებს გაუკეთონ თვალები, ნესტოები, ყურები.
- *სათამაშო ცხენი.* მოიმარაგეთ რამდენიმე ხის დიდი ჯოხი და ქაღალდის პარკი. დააკუჭინეთ ბავშვებს რამდენიმე გაზეთი და გამოტენეთ ქაღალდის პარკები. დაუხატეთ ან დააწებეთ სახე: ცხვირის ნესტოები, თვალები, პირი. დააწებეთ ქაღალდისგან გამოჭრილი ყურები. ჯოხზე სკოჩის საშუალებით დაამაგრეთ თავი.



- *სათამაშო ცხენი, მეორე ვარიანტი.* მოიმარაგეთ წინდები, ბამბა, ღილები, ლენტები და ქსოვილი. სთხოვეთ ბავშვებს, გამოტენონ წინდები ბამბით. დააწებონ თვალები, შემოახვიონ ლენტი უნაგირივით. დააწებონ ფაფარივით დაჭრილი ქსოვილი. ჩამოაცვან ჯოხებს და შეკრან რეზინით ან თოკით.
- *სათამაშო ცხენი 3.* დაურიგეთ ბავშვებს ერთჯერადი ქაღალდის ჭიქები და ნაყინის ჯოხები. ერთი ჭიქა გადმოატრიალონ (ტანი) და მეორე ზედ დაამაგრონ (თავი) წებო ემულსიას საშუალებით. დააწებონ „მოძრავი თვალები“, ყურები, დაჭრილი საქსოვი ძაფები ფაფარის ადგილას. ნაყინის შუაზე გატეხილი ჯოხები კი გამოიყენეთ ფეხებად.



მოძრაობა



- მუყაოსგან გამოჭერით რქები და სკამზე დაამაგრეთ. მოიმარაგეთ რგოლები (შეიძლება მუყაოსგან გამოჭრა და შეღებვა) და წაახალისეთ ბავშვები, სცადონ მათი რქებზე ჩამოცმა.
- ჩამოკიდეთ ჭერში ეჟვნები. მოიმარაგეთ ბურთები და წაახალისეთ ბავშვები, ეჟვნებს ბურთები ესროლონ.

- ჩართეთ მხიარული მელოდია და დაურიგეთ ბავშვებს სპორტული ჯოხები. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ უნდა იჯირითონ მუსიკის თანხლებით.
- მოასმენინეთ ცხენის ფლოქვების ხმა სხვადასხვანაირი სიარულის და სირბილის დროს, წაახალისეთ, აყვნენ ამ ხმას ხელების მუხლებზე დარტყმით და შემდეგ დამოუკიდებლად გამოსცენ ეს ხმები.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ თიხა და ნალები. წაახალისეთ ბავშვები, თიხაში ნალის ნაკვალევი გამოსახონ.
- წინასწარ თივის პატარა კონები ძაფით შეკარით და წაახალისეთ ბავშვები, პინცეტის მეშვეობით მაგიდის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გადაიტანონ.
- სამუშაო ფურცელი – დაუხატე ცხენს უნაგირი (იხ. დანართი 1.14.8.).
- დაურიგეთ ბავშვებს ვირისა და ცხენის ნახატები. შემოხაზონ, რა აქვთ განსხვავებული (იხ. დანართი 1.14.9.).
- სამუშაო ფურცელი – დაუხატე ძროხას 5 ლაქა (დანართი 1.14.10.).
- სამუშაო ფურცელი – რა გვაძლევს რძეს (დანართი 1.14.11.).

წიგნიერება

- სთხოვეთ ბავშვებს, გამოიგონონ ამბები ცხენთან შეხვედრის, ჭენების ან შეძენის შესახებ. წინასწარ გამოჭრილ ცხენის ფორმას (დანართი 1.14.12.), დააწერეთ მათი მონათხრობი. დაურიგეთ ბავშვებს თავთავიანთი ცხენები და სარეცხი სარჭები. წაახალისეთ, სარჭები ფეხების ნაცვლად გაუკეთონ.

მეცნიერება

- წაახალისეთ ბავშვები, დათესონ რაიმე მარცვლეული (ხორბალი, ქერი). როდესაც გაიზრდება, მოაჭრევინეთ და აცადეთ გამოშრეს, რომ მიიღოთ თივა.

ექსკურსია



- სტუმრად იპოდრომზე.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ძროხებისა და ცხენების შესახებ?
- გაიმეორონ, რა სარგებლობა მოაქვთ ადამიანისთვის?

4. ქათმები და იხვები

დილის წრე

- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ ქათამი და იხვი. აჩვენეთ სურათები. ისაუბრეთ ამ ორი ფრინველის განსხვავებებზე და მსგავსებებზე.
- სთხოვეთ ბავშვებს, ქათამსა და იხვს სიარულში მიბაძონ.

ხელოვნება

- თეფშზე დაასხით ყვითელი საღებავი, სთხოვეთ ბავშვებს, დააფარონ ქაღალდი. მიიღებენ ყვითელ ლაქას. გაშრობის შემდეგ დაუხატონ თვალები, ფეხები და ნისკარტი.
- აიღეთ თეთრი და ყვითელი პატარა ზომის წინდები. სთხოვეთ ბავშვებს, გამოტენონ ყვითელი წინდები ბამბით, ისე რომ მიიღონ მრგვალი წიწილის ფორმა. ამოკერეთ

წინდები. ბავშვებმა დააწებონ ქსოვილისგან გამოჭრილი ნისკარტი, თვალები, ფრთები და ფეხები. თეთრი წინდა დაამოკლეთ ყვითლის ზომაზე. ბავშვებს შეუძლიათ ჩასვან და ამოიღონ წიწილა კვერცხის ნაჭუჭში.

- პაპიე-მაშეს (იხ. განმარტებები) ტექნოლოგიით ბავშვებს ქათმის ფორმა დაამზადებინეთ, მოიმარაგეთ ბუმბული, წაუსვით ქათამს წებო, ამოავლეთ ბუმბულებში ან დააწებეთ ბიბილო და მუყაოს ან მაუდის ნისკარტი. ქათამი ჩასვით კალათაში, ასევე შეგიძლიათ დაამზადოთ წიწილები.

მოძრაობა



- წაახალისეთ ბავშვები, მხრის ან წელის სიმაღლიდან ჩააგდონ ბუმბული ძირს დადგმულ თასში.
- თუ ამის საშუალება არსებობს, მოიმარაგეთ რამდენიმე ლასტი და ბავშვებმა რიგრიგობით სცადონ იხვივით სიარული.
- როგორ სძინავს ქათამს საქათმეში: იატაკიდან 15-20 სმ. სიმაღლეზე გადეთ 6 სმ. სიგანის ძელი (ფიცრის ნაჭერი), ბავშვები მორიგეობით ადიან, დგანან და ინარჩუნებენ წონასწორობას ძელზე, ცდილობენ 2-3 წამით დახუჭონ თვალები – ისე როგორც ქათამი საქათმეში დაძინებისას (მასწავლებელი ბავშვის გვერდით დგას, რომ საჭიროებისას დაეხმაროს), შემდეგ კი ძირს ხტებიან.

სენსორული

- მოიმარაგეთ რეზინის ექვსი იხვი და სამი ფერის პერმანენტული მარკერი. დაასვით ძირზე იხვებს წერტილები (ორს წითელი, ორს მწვანე და ორსაც ლურჯი). ჩასვით იხვები წყალში და წაახალისეთ ბავშვები, წყვილები იპოვონ.

წიგნიერება

- მოასმენინეთ ქათმის კაკანი, მამლის ყივილი, ბატის ყიყინი. სთხოვეთ მიბაძონ. მიმართვისას აქცენტი გააკეთეთ ფრინველების ხმების დასახელებაზე, რომ დაიმახსოვრონ, რის ხმას რა ჰქვია. მაგ. როგორ ყივის მამალი (და არა: რა ხმას გამოსცემს მამალი?)? მეტი ხალისისთვის შეგიძლიათ ერთხმად ათქმევინოთ ლექსი:
  ბატებო, ბატებო,
  – ყი, ყი, ყი,
  ჭამა გინდათ?
  – კი, კი, კი!
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

მეცნიერება

- გაავსეთ პლასტმასის კვერცხები (მაგ. „ქინდერის“ კვერცხები) სხვადასხვა ნივთებით. წაახალისეთ ბავშვები, დააწყვილონ კვერცხები, რომლებიც ერთნაირად გორავს. რა არის განსხვავების მიზეზი?

კულინარია



- სთხოვეთ ბავშვებს, გაფცქვნან მაგრად მოხარშული კვერცხები და შუაზე გაჭრან. ამოაცალონ გული. მოათავსონ თასში, დაუმატონ ერთი სუფრის კოვზი მაიონეზი და ცოტა სუნელი. აურიონ და უკან ცილაში ჩადონ მიღებული მასა.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ფერმის ფრინველებზე?
- რატომ ცხოვრობენ ფერმაში ისეთი ფრინველები, რომლებიც არ ფრენენ?

5. გოჭები

დილის წრე

- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რითი იკვებებიან გოჭები და როგორ იქცევიან. აჩვენეთ სურათები.
- წაახალისეთ ბავშვები ისაუბრონ გოჭებზე.

ხელოვნება



- ფურცელზე დააწვეთეთ თეთრი და წითელი თითის საღებავები და წაახალისეთ ბავშვები, თითით აურიონ. მიღებული ვარდისფერი საღებავით ნახატი დახატონ.
- მოიმარაგეთ მარკერები, სკოჩი, საღებავი, ფუნჯები და ძაფი. წაახალისეთ ბავშვები, თეფშებისგან ერთჯერადი ქაღალდის გოჭის ნიღბები დაამზადონ. დინგის გასაკეთებლად გამოიყენეთ პატარა ერთჯერადი ჭიქები ან ტუალეტის ქაღალდის რულონის ნახევარი (ან კვერცხის კონტეინერის ბუდეები).

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, ჩაამატონ პლასტმასის სათამაშო გოჭები მშენებარე ფერმაში.

წიგნიერება

- წაახალისეთ ბავშვები, გამოუშვან გოჭის ღრუტუნის ხმა. ჩაიწერეთ და მოასმენინეთ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა მოეწონათ დღეს ყველაზე მეტად?
- ფერმის რომელ ბინადართან ისურვებდნენ მეგობრობას?

6. ცხვარი, ბატკანი და თხა

დილის წრე

- აჩვენეთ სურათები და სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ განსხვავებებს და მსგავსებებს.
- ისაუბრეთ მათ როლზე ფერმაში.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ შუაზე გადაკეცილი ფურცლები, ძაფები და საღებავები. წაახალისეთ ბავშვები, ჩააწონ ძაფი საღებავში და შემდეგ ლამაზად დადონ ფურცლის ერთ მხარეს. გადაკეცონ ფურცელი, დააწვნენ და ისევ გაშალონ.
- მოიმარაგეთ თეთრი სახატავი ფურცლები და შავი საღებავი. ანაბეჭდების საშუალებით დახატეთ ცხვარი; თითის ანაბეჭდებით დახატეთ ფეხები, ცერა თითის – თავი და კისერი. ტანი კი დაფარეთ თეთრი ბამბის ბურთულებით.
- მუქი ფერის ქსოვილზე დააწებეთ ბამბა, გაშრობის შემდეგ გამოჭერით და მიამაგრეთ თავი და ფეხები თეთრი ქსოვილისგან.

მოძრაობა



- გასაკრეჭი ცხვარი: გამოჭერით ცხვრის დიდი სილუეტი, დააწებეთ მასზე ბევრი „ფხრიწის“ ზოლი. წაახალისეთ ბავშვები, ბამბის ქულები, ბამბის ბურთები ისროლონ მიზანში (კონტურისკენ), ისე რომ ბოლოს კონტური დაიფაროს ბამბით.

სამაგიდო



- დააწებეთ ცხვრის სურათი ერთჯერად თეფშებზე. მოიმარაგეთ ბალახი და პინცეტები. წაახალისეთ ბავშვები, აჭამონ ცხვარს (დანართი 1.14.13.).
- მწვანე ფერის ხუთ ფურცელს წინასწარ დაასვით ერთიდან ხუთ წერტილამდე. მოიმარაგეთ პლასტმასის ან ქაღალდის ცხვრები. წაახალისეთ ბავშვები, იმდენი ცხვარი გაიყვანონ „საძოვრად“, რამდენიც თითოეულ ფურცელზეა მითითებული.
- ყუთში მოათავსეთ შალის წინდები, ნაჭრები, ძაფები და სხვა საგნები. წაახალისეთ ბავშვები, საგნები ფერების ან ქსოვილის ხარისხის მიხედვით დაახარისხონ.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, პლასტმასის სათამაშო ცხვრები, ბატკნები და თხები ფერმაში ჩაამატონ.

წიგნიერება

- მოასმენინეთ ძროხის, ცხვრის ბღავილი, თხის – კიკინი. მიბაძონ.
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ფერმის ბინადრების შესახებ?
- რა მოეწონათ ყველაზე მეტად?
- გაიმეორეთ: რა სად ცხოვრობს? რის შვილს რა ჰქვია? რა სარგებლობა მოაქვთ ადამიანებისათვის?

დედის დღე

შენიშვნა: გაითვალისწინეთ და იყავით ფრთხილად, ზოგიერთ ბავშვს დედა არ ჰყავს ან მონაწილეობას არ იღებს მათ აღზრდაში. წაახალისეთ ისინი, იფიქრონ ქალზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ ცხოვრებაში.

დილის წრე

- სთხოვეთ ბავშვებს, მოიტანონ დედის ან მათთვის ძვირფასი ადამიანის სურათი. საკუთარი სურათი აჩვენონ სურათზე გამოსახული ადამიანი და თქვან, რაიმე განსაკუთრებული მათზე.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რისი კეთება უყვართ დედასთან ერთად.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა დედის დღეა.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ფურცლები, პასტელები, საღებავები, თასმები/მაქმანი და წებო. სთხოვეთ ბავშვებს, დაამზადონ დედის დღის ბარათი. გაატანეთ სახლში რომ აჩუქონ დედას.
- მოიმარაგეთ ჟურნალები, მაკრატლები, წებო და ფურცელი. სთხოვეთ ბავშვებს, გადაათვალიერონ ჟურნალები და ამოჭრან იმ საგნის ფოტო, რისი საჩუქრად მიღებაც მათ დედებს გაუხარდებოდათ. სთხოვეთ, დაამზადონ კოლაჟი.
- მოიმარაგეთ საღებავები და ფურცლები და სთხოვეთ ბავშვებს, დედის პორტრეტები დახატონ.
- ყელსაბამი დედისთვის. მოიმარაგეთ გრძელ სამკუთხედებად დაჭრილი ფერადი ქაღალდი ან ჟურნალებიდან ამოჭრილი ჭრელაჭრულა გვერდები. სთხოვეთ ბავშვებს, დაახვიონ სამკუთხედები ფანქარზე დიდი გვერდიდან წვერისკენ. წვერზე წაუსვან წებო და დაამაგრონ. გამოაცალონ ფანქარი და მის ნაცვლად გაუყარონ ფერადი თოკი.
- მოიმარაგეთ სხვადასხვა ზომის ფერადი ღილები, წინასწარ ამოჭერით დანართში (1.15.1.) მოცემული ყვავილები, სთხოვეთ ბავშვებს, გააფერადონ, დააწებონ ფერად ფურცელზე, გულის მაგივრად ღილი დააწებონ.
- თაიგული დედისთვის. მოიმარაგეთ ოთხკუთხად დაჭრილი კრეპის ქაღალდი ან თხელი ფერადი ქაღალდი, ან ფერადი შიფონი, სთხოვეთ ბავშვებს, დაკეცონ წვრილი მარაოსავით და შუაში მწვანე მავთულის ღერო შემოაჭდონ ისე, რომ მიიღონ ფუმფულა ყვავილის ფორმა.
- მოიმარაგეთ მცირე ზომის ყუთები და სხვადასხვა სახის მეორეული მასალა (ქსოვილის ნაჭრები, ღილები, ბაფთები და ა.შ.) და სთხოვეთ ბავშვებს, გააფორმონ ყუთები დედისთვის სამკაულის ჩასალაგებლად.

მუსიკა და მოძრაობა

- ითამაშეთ „დედა, შეიძლება?“ ბავშვები სათითაოდ გამოიყვანეთ და სთხოვეთ კონკრეტულ ცხოველს მიბაძოს, მაგალითად, განასახიეროს კატის ნახტომი, ცხენის ჭენება, ლეკვის კუნტრუში და სხვა. წაახალისეთ, შესაბამისი ხმებიც გამოსცენ. თამაშის წესების მიხედვით ბავშვი არ უნდა გაინძრეს, სანამ არ იკითხავს: „დედა, შეიძლება?“ და მასწავლებელი უპასუხებს: „კი, შეიძლება.“

სამაგიდო



- სთხოვეთ ბავშვებს, დაახარისხონ „რისი კეთება მიყვარს“ აქტივობის ბარათები (დანართი 1.15.2.) ორ კატეგორიად „რისი კეთება მიყვარს დედასთან ერთად“ და „რისი კეთება მიყვარს მარტო.“

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ყველაზე ლამაზო.“
- ჩემი დედის დედა. ისაუბრეთ ბავშვებთან იმის შესახებ, რომ დედებსაც ჰყავთ დედა. დაეხმარეთ, გაიაზრონ, რომ მათი ბებიები და ბაბუები მათი მშობლების დედები და მამები არიან. ბავშვებს, რომლებსაც დიდი ბებიაც ჰყავთ, აუხსენით რომ ის მათი ბებიას (ან ბაბუას) დედაა.

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ნუღარ დამიბერდები“.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის შიფონი, ბრჭყვიალა ქსოვილები და სხვა აქსესუარები და სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებითა და ამ ნივთების გამოყენებით დედებისთვის სასახლეების აშენება.

კულინარია

- დაამზადებინეთ ბავშვებს მარტივი ნამცხვარი დედის დღის აღსანიშნავად.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, როგორ და ვის მიულოცავენ დედის დღეს?
- ჰკითხეთ, რომელი აქტივობა მოეწონათ დღის მანძილზე, რატომ?

ზოოპარკის და ტყის ბინადრები

1. რა ცხოვრობს და ვინ მუშაობს ზოოპარკში
2. ლომები და ვეფხვები; მაიმუნები და გორილები
3. ზებრები და ჟირაფები
4. დათვები
5. სელაპები, წავები (თახვი) და პინგვინები
6. მელა და მგელი
7. ციყვი
8. ფრინველები

1. რა ცხოვრობს და ვინ მუშაობს ზოოპარკში

დილის წრე



- დილის ცენტრში წინასწარ მოაწყვეთ ზოოპარკი, ჰკითხეთ, მათი აზრით, რა არის ეს?
- ჩამოათვლევინეთ, რომელი ცხოველები ცხოვრობენ ზოოპარკში.
- წაახალისეთ, გიამბონ ზოოპარკზე თავიანთი გამოცდილების შესახებ.
- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ ყველა ის საქმე, რომელსაც ზოოპარკის პერსონალი ასრულებს (ცხოველების გამოკვება, ბაკის დასუფთავება, ბილეთების გაყიდვა და სხვა.). ჩამოწერეთ სია.
- როგორ გამოიკვებებოდნენ ცხოველები, ზოოპარკის მაგივრად ბუნებაში რომ ცხოვრობდნენ?
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემაა ზოოპარკი.

ხელოვნება

- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ თავიანთი საყვარელი ზოოპარკის ცხოველი.
- დაამზადებინეთ ბავშვებს ზოოპარკის აბრები.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოჭრან ჟურნალებიდან ცხოველები და გააკეთონ კოლაჟი.

მუსიკა და მოძრაობა

- იმოძრაონ ზოოპარკის ცხოველებივით.

სამაგიდო



- მათემატიკა. მიეცით ბავშვებს თამაში „აჭამე სელაპს“: ამობეჭდეთ, გამოჭერით, გააფერადეთ და ლამინირება გაუკეთეთ სელაპის სურათს. დააწებეთ მუყაოს ყუთს თავზე და პირის ადგილი გახვრიტეთ. მოიმარაგეთ პინცეტები (დანართი 1.16.1.). წაახალისეთ ბავშვები, თითოეულ სელაპს „თევზების“ (თევზის ფორმის კრეკერები) მითითებული რაოდენობა აჭამონ.
- ათამაშეთ ზოოპარკის მემო (დანართი 1.16.2.).
- მოიმარაგეთ მარცვლეული, თივა და პინცეტები. მოიმარაგეთ პლასტმასის (ან სურათი) ჩიტი და სპილო. წაახალისეთ ბავშვები, ცხოველებს სწორად შერჩეული საჭმელი აჭამონ.

სენსორული

- დაურიგეთ ბავშვებს პლასტმასის ცხოველები და პატარა ჯაგრისები, რომ ცხოველები გაასუფთაონ.

დრამატული



- მოიმარაგეთ ცხოველების ნიღბები. სთხოვეთ ბავშვებს, მოირგონ და შესაბამისი ცხოველი განასახიერონ.
- მოიმარაგეთ ზოოპარკის პერსონალისთვის საჭირო ნივთები (წინსაფრები, ბოტები, ცოცხები, ვედროები, ჯაგრისები, ნიჩბები და სხვა). ითამაშეთ „ზოოპარკის მომვლელები.“

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ზოოპარკში“ და ნაწყვეტი „მანანას წერილიდან“.
- გაარკვიეთ, იციან თუ არა, რას ნიშნავს სიტყვები: მხეცი, ნადირი, ცხოველი, ჩიტი, ფრინველი, ქვეწარმავალი...

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ პლასტმასის ცხოველები და გალიის მსგავსი კალათები. წაახალისეთ ბავშვები, რომ ერთი სახეობის ცხოველები ერთ გალიაში მოათავსონ (მაგ. მაიმუნები ერთად, ფრინველები ერთად და ა. შ.).
- მოიმარაგეთ პლასტმასის ცხოველები, ღობეები და მუყაო (ცისფერი, მწვანე და ყავისფერი). წაახალისეთ ბავშვები, ააგონ ზოოპარკი.
- მოიმარაგეთ ნაყინის ჯოხები და წებო. სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ გალიები.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ ზოოპარკის ცხოველების სურათები და გამადიდებელი შუშები. წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ ცხოველებს.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რომელია მათი საყვარელი ცხოველი ზოოპარკში, რატომ?
- იმუშავებდნენ თუ არა ზოოპარკში, რად, რატომ?

2. ლომები და ვეფხვები. მაიმუნები და გორილები

დლის წრე



- აჩვენეთ ბავშვებს ლომების, ვეფხვების სურათები.
- სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ რითი ჰგვანან და რითი განსხვავდებიან ლომები და ვეფხვები ერთმანეთისგან. რითი განსხვავდება ორივე სახლის კატისგან?
- ჰკითხეთ, რა იციან მათ შესახებ. რას ჭამენ? სად სძინავთ? რა ჰქვია მათ ნაშიერებს.
- ჰკითხეთ, რა იციან მაიმუნებსა და გორილებზე.
- აჩვენეთ მათი სურათები და განიხილეთ მსგავსებები და განსხვავებები.
- აუხსენით, რომ ზოგიერთმა გორილამ ადამიანებთან „ლაპარაკი“ ჟესტების ენის საშუალებით ისწავლა.

ხელოვნება



- დაამზადებინეთ ბავშვებს ლომის ნიღბები ერთჯერადი თეფშებისგან. ყვითელი ქაღალდის ლენტები დაახვიონ ფანქარზე და მიაწებონ თეფშს, ვითომ ფაფარია.



მუსიკა და მოძრაობა

- წაახალისეთ ბავშვები, იმოძრაონ, ირბინონ, იხტუნონ და გაიწელონ ლომებივით და ვეფხვებივით.
- წინასწარ დაამზადეთ სამი ვეფხვის ფორმა და მიაწებეთ გრძელი ძაფი კუდის ადგილას. ჩადეთ ვეფხვები ყუთში ისე, რომ მათი კუდები გარეთ გამოდიოდეს. ჩაამატეთ ძაფები, რომლებიც ვეფხვზე გამობმული არ არის. დააწყვეთ ბავშვები წყვილებად და წაახალისეთ, ამოიყვანონ ვეფხვი.

სამაგიდო



- მათემატიკა. მოიმარაგეთ სტაფილოსფერი და შავი ფანქრები, რომ ბავშვებმა შაბლონები გააფერადონ (დანართი 1.16.3.).
- მოიმარაგეთ პლასტმასის ლომები და ვეფხვები, რომ ბავშვებმა კატეგორიებად დაახარისხონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „მეგობრობა“
- წაუკითხეთ: „ზოოპარკში“ და „მაკაკი და იაკი“ (წიგნიერების დანართი).

მეცნიერება

- წინასწარ მყარად ჩამოკიდეთ თოკი და ბოლოს ცალი ხელით ჩამოკიდეთ რბილი სათამაშო მაიმუნი. წაახალისეთ ბავშვები, დააბზრიალონ, ერთი მხრიდან მეორე მხარეს აფრინონ და ჭერს მიაწვდინონ. როგორ უცვლიან მაიმუნს მიმართულებას?

კულინარია



- მიეცით საშუალება ბავშვებს გაფცქვნან ბანანები, აცვან ნაყინის ჯოხებზე, ჩააწონ შოკოლადში და დააგემოვნონ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ლომების, ვეფხვების და მაიმუნების შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

3. ზებრები და ჟირაფები

დილის წრე

- აჩვენეთ ბავშვებს ჟირაფებისა და ზებრების სურათები.
- ისაუბრეთ მათ მსგავსებებზე (ოთხი ფეხი, მოხატული – ზოლებიანი და დაკოპლილი საფარი, საკვები და სხვა) და განსხვავებებზე (ზომა, ფერები, ნაკვალევი და სხვა). გაუსვით ხაზი იმას, რომ არცერთი ზებრა არ არის ერთნაირად დაზოლილი და ჟირაფი – კი დაკოპლილი.
- ისაუბრეთ იმის შესახებ, რომ მიწაზე ყურის დადებით შეგიძლიათ გაიგოთ ზებრის ან ჟირაფის ჯოგის მოახლოება.
- ისაუბრეთ ცხოველების შენიღბვაზე. ახსენით, რომ მათი კანის შეფერილობა რთულს ხდის დაინახო თითოეული ცალ-ცალკე, როდესაც ისინი ჯოგში არიან.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ყვითელი და ყავისფერი საღებავები. წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ჟირაფები.
- მოიმარაგეთ ყვითელი სქელი ფურცლები, ოვალური ფორმის ღრუბლები და ყავისფერი საღებავი, სთხოვეთ ბავშვებს, გააკეთონ ჟირაფის კანის ნიმუში, ჩააწონ ღრუბლები ყავისფერ საღებავში და ყვითელ ფურცელს ლაქები დაასვან.
- დაახევინეთ ბავშვებს ყვითელი და ყავისფერი ან თეთრი და შავი ქაღალდის ფურცლები პატარა ნაკუწებად, ზებრის ან ჟირაფის წინასწარ დახატულ შაბლონზე ბავშვებმა უნდა დააწებონ ნაკუწები ცხოველის შესაბამის ფერებში.
- სთხოვეთ ბავშვებს, მუყაოსგან წინასწარ გამოჭრილ ან დახატულ ზებრის კონტურზე წაუსვან წებო ემულსია და შავი საქსოვი ძაფი ზოლებად დააწებონ.



მუსიკა და მოძრაობა

- იმოძრავეთ ჟირაფივით. დადექით ოთხზე, შეგიძლიათ ძოვოთ ზებრასავით, გაექცეთ მონადირე ლომს ან წინა ფეხების მოხრით ჟირაფივით დალიოთ წყალი.

სამაგიდო



- წინასწარ დაამზადეთ ექვსი ბარათი ჟირაფის ნაფეხურით და ექვსიც ზებრის ნაფეხურით (დანართი 1.16.4.). ბარათები ამოატრიალეთ და აურიეთ. სთხოვეთ ბავშვებს, იპოვონ ერთნაირი ნაფეხურები და დააწყვილონ.
- მოიმარაგეთ შავი და თეთრი ქაღალდის ლენტები, რომ ბავშვებმა შაბლონები შექმნან.
- აუხსენით ბავშვებს, რომ ჟირაფის კისერი 2 მეტრი სიგრძისაა. იატაკზე ამ სიგრძის იზოლენტა დააკარით და სთხოვეთ ბავშვებს, გამოარკვიონ რამდენ სათამაშო კუბურას იტევს ჟირაფის კისერი.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ჟირაფი“.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, ააგონ ჟირაფები ყუთებისა და შესაფუთი ქაღალდის რულონის გამოყენებით.



მეცნიერება

- წაახალისეთ ბავშვები, დაადონ ყური მაგიდას და დააკაკუნონ თითებით მაგიდის ზედაპირზე. რა ესმით? როგორ ხმას გამოსცემენ თითები?

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ზებრებსა და ჟირაფებზე?
- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მატად?

4. დათვები

დილის წრე

- წინასწარ გააფრთხილეთ ბავშვები, რომ ამ დღისთვის სახლიდან თავიანთი სათამაშო დათვი მოიტანონ (უთხარით, რომ საღამოს ისევ სახლში წაიღებენ). იქონიეთ რამდენიმე ზედმეტი, იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც სათამაშო დათვი არ აქვთ ან დაავიწყდათ.
- აჩვენეთ პოლარული, ყავისფერი დათვების და გრიზლების სურათები. ისაუბრეთ ამ დათვებს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებზე. რითი იკვებებიან? როგორ გამოიყურებიან? სად ცხოვრობენ?
- წაახალისეთ ბავშვები, წარადგინონ თავიანთი სათამაშო დათვი.
- ჩამოწერეთ ნაცნობი პერსონაჟი დათვების სია (ვინი პუჰი, ბალუ და ა.შ.).

ხელოვნება



- წინასწარ გამოჭერით შესაფერისი ფერის ქაღალდისაგან სხვადასხვა ზომის წრეები. სთხოვეთ ბავშვებს, ააწყონ დათვის ფორმა, დააწებონ ქაღალდზე და დაუხატონ საჭირო დეტალები.
- სთხოვეთ ბავშვებს, გუაშის საშუალებით დახატონ თეთრ ფურცელზე მურა, ხოლო შავ ფურცელზე – თეთრი დათვი.

მუსიკა და მოძრაობა

- გაითამაშეთ „წავიდეთ დათვებზე სანადიროდ“.

ჩვენ მივდივართ დათვებზე სანადიროდ. გინდა გამოგვყვე? კარგი, წამოდი წავედით! (იარეთ ადგილზე) შეხედეთ, მდინარე! ვერ გადავალთ ზევიდან. ვერ გადავალთ ქვევიდან. ვერ შემოვუვლით. უნდა გადავჭრათ. (ვითომ შედიხართ მდინარეში, გაცურავთ წყალს და ამოხვალთ მეორე ნაპირზე. გააგრძელეთ ადგილზე სიარული.) შეხედეთ, ხე! ვერ გავუვლით ქვევიდან. ვერ გავალთ ხეში. უნდა გადავძვრეთ ზევიდან (ვითომ ხეზე აძვერით და შემდეგ ჩამოძვერით. გააგრძელეთ ადგილზე სიარული). შეხედეთ, ხორბლის ყანა! ვერ გადავალთ ზევიდან. ვერ გადავალთ ქვევიდან. ვერ შემოვუვლით. უნდა გადავჭრათ (ვითომ ყანაში მიაბიჯებთ, შრიალის ხმა გამოეცით და თან ხელებით გაიკაფეთ გზა. გააგრძელეთ ადგილზე სიარული). შეხედეთ, გამოქვაბული! გინდათ, შიგნით შევიდეთ? ო, აქ ძალიან ბნელა (გაიხედ-გამოიხედეთ თვალებმოჭუტულმა) ორ თვალს ვხედავ. ნეტავ რა არის? (გაიშვირეთ ხელები, რომ შეეხოთ) ის რბილი და ბანჯგვლიანია. დიდია. დათვია! გავიქცეთ! (გაიმეორეთ უკანა გზა: ირბინეთ ადგილზე, ხორბლის ყანა გაიარეთ, ისევ ადგილზე, ხეზე გადაძვერით, ირბინეთ ადგილზე, მდინარე გადაცურეთ, ისევ ირბინეთ ადგილზე და შეჩერდით) უსაფრთხოდ მოვედით სახლში (შვებით ამოისუნთქეთ).

სამაგიდო



- წინასწარ დაამზადეთ სამაგიდო თამაში. დანომრეთ ბარათები ერთიდან სამამდე (ციფრებით ან წერტილებით). თითოეული მოთამაშის ადგილის აღსანიშნავად პლასტმასის პატარა დათვები მოიმარაგეთ. წაახალისეთ ბავშვები, ამოიღონ ბარათი და მასზე მითითებული რაოდენობის მიხედვით თავიანთი დათვი გადააადგილონ. ვინ გავა პირველი ბოლოში (დანართში 1.16.5.)?
- წინასწარ დაახატეთ მუყაოს ყუთს დათვის თავი და პირის ადგილი გამოჭერით. წაახალისეთ ბავშვები, „გამოკვებონ“ დათვი – ბურთები დათვის პირში ჩაყარონ.
- წინასწარ აჩვენეთ ბავშვებს თეთრი და მურა დათვების საცხოვრებელი გარემო, შემდეგ სთხოვეთ, დახატონ ან გააფერადონ ეს გარემო შესაბამისი ფერებით. წინასწარ გამოჭრილი დათვის გამოსახულებები ჩააწებონ შესაბამის გარემოში (დანართი 1.16.6.).

სენსორული

- დააწებებინეთ ბამბის ფთილები კონტურზე თეთრი დათვის მისაღებად (დანართში 1.16.7.).

დრამატული



- ბავშვებმა თავიანთი მოტანილი სათამაშო დათვებით „სამი დათვის ზღაპარი“ გაითამაშონ. მოიმარაგეთ თეფშები, სკამები და სხვა საჭირო ნივთები.

წიგნიერება

- სასურველია, იქონიოთ „მაუგლის“ დასურათხატებული გამოცემა. დაათვალიერებინეთ. წაუკითხეთ ნაწყვეტი ბალუს მონაწილეობით.
- წაუკითხეთ ნაწყვეტები „ვინი პუჰიდან“, დაათვალიერებინეთ ილუსტრაციები.
- თუ არის საშუალება აჩვენეთ შესაბამისი მულტფილმები.
- წაუკითხეთ „დათუნია დრუნჩასა“ (გ. ჭიჭინაძე. პალიტრა L . 2010 წ.).

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, დიდი მუყაოს ყუთისგან გამოქვაბული გააკეთონ.
- ეზოში სეირნობისას ბავშვებთან ერთად შეაგროვეთ სხვადასხვა ბუნებრივი მასალა, გამხმარი ბალახები, პატარა ტოტები, ქვები და ფოთლები. ჯგუფში დაბრუნების შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, მასალის გამოყენებით დაამზადონ დათვების ბუნაგები. შესაწებებლად შეუძლიათ გამოიყენონ პლასტელინი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, მოეწონათ თუ არა დათვების დღე?
- ჰკითხეთ, რა ფერის დათვს ანიჭებენ უპირატესობას?

5. სელაპები, წავები (თახვი) და პინგვინები

დილის წრე



- წაახალისეთ ბავშვები, იარონ პინგვინებივით.
- აჩვენეთ სელაპების, წავების და პინგვინების სურათები. რა აქვთ ამ ცხოველებს საერთო?
- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ ამ ცხოველების დამახასიათებელი ნიშნები (მაგალითად, პინგვინის სიარულის მანერა, წავების ცურვის მანერა, სელაპის ბურთით თამაში ან ხმა) და გაითამაშონ ისინი.

ხელოვნება



- მუყაოს ცილინდრს შემოახვიეთ შავი ქაღალდი. თეთრი ქაღალდისაგან ოვალური გულები გამოჭერით, შავი ქაღალდისგან წაგრძელებული ფორმის ფრთები, პატარა რომბის ფორმის ნარინჯისფერი ნისკარტი და თვალები. დეტალები ნიმუშის მიხედვით დააწებეთ.



- ბავშვებს პლასტელინისგან წინასწარ დაამრგვალებინეთ ერთი მოზრდილი ყავისფერი სხეული, ორი პატარა შავი თვალი, ორი საშუალო თეთრი ზომის კბილი და ერთი მოგრძო ფორმის გაბრტყელებული ოვალი – კუდი. სთხოვეთ, ააწყონ თახვის ფიგურა დეტალების სხეულზე დამაგრებით.



მუსიკა და მოძრაობა

- ითამაშეთ „სელაპები, წავები და პინგვინები“: ოთახში შეარჩიეთ სამი ადგილი, რომლებსაც თითოეულ ცხოველს შეუსაბამებთ. როდესაც ამ სამი ცხოველიდან ერთ-ერთის სახელს დაიძახებთ, ბავშვები შესაბამისი ადგილისკენ უნდა გაიქცნენ.

სამაგიდო



- ნატიფი მოტორიკა. კონტეინერის თავზე წინასწარ დააწებეთ სელაპის სურათი, რომელსაც პირის ადგილას ამოჭრით. მოიმარაგეთ თევზის ფორმის კრეკერები და პინცეტები. წაახალისეთ ბავშვები, გამოკვებონ სელაპები, შემდეგ კი თვითონ მიირთვან (დანართი 2.1.7.1).

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს თახვი კასტორის რომელიმე ამბავი („კასტორი დურგლობს“, „კასტორი ღებავს“, „კასტორი აცხობს“: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „სად იშოვე ფრაკი?“

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ სხვადასხვა სისქის ხის ტოტები და ლურჯი ფურცელი, ვითომ წყალია. წაახალისეთ ბავშვები, წავებივით ააგონ ბუნაგი.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფაქტურის ნაჭრები და საგნები და გამადიდებელი შუშები. მიეცით საშუალება ბავშვებს დაკვირვებები ჩაატარონ.
- აჩვენეთ საბავშვო ენციკლოპედიაში პინგვინის, წავის და სელაპის ფოტოები.

საღამოს წრე

- რა მოეწონათ დღის მანძილზე ყველაზე მეტად?
- რომელი ცხოველის ნახვა აინტერესებთ ყველაზე მეტად?
- რა დაიმახსოვრეს თახვებზე, წავებსა და სელაპებზე?

6. მელა და მგელი

დილის წრე



- ჰკითხეთ ბავშვებს, რა იციან მელიას და მგლის შესახებ, სად ცხოვრობს, რითი იკვებება?

- დაათვალიერებინეთ მელიას და მგლის ფოტოები.
- ესაუბრეთ ბავშვებს ზამთარში მელიას ქცევის ცვლილებებზე.

ხელოვნება



- მიეცით ბავშვებს ორი ფერის საღებავი: წითელი და ყვითელი. სთხოვეთ, შეურიონ პალიტრაზე და მიღებული ფერით გააფერადონ მელია (დანართი 1.16.8.).
- სთხოვეთ ბავშვებს, პლასტელინის გამოყენებით დაამზადონ მელაკუდას სოროები. წაახალისეთ ბავშვების ფანტაზია, შექმნან სხვადასხვა ფორმის და ზომის სოროები.
- ტყის ხალიჩა. წინასწარ გამოჭერით მუყაოსგან მგლის, დათვის, ფრინველების ანაბეჭდის ტრაფარეტი. სთხოვეთ ბავშვებს, საღებავის გამოყენებით ფურცელზე გააკეთონ თათების ანაბეჭდები.
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ მგლები და გააფერადონ.
- დაამზადებინეთ ბავშვებს მელიას თავი ორიგამის ტექნოლოგიით, დაახატეთ თვალები და ცხვირი.



დრამატული:



- გაითამაშეთ „დედა ღორი და მგელი“ (იხ. წიგნიერების დანართი).

მუსიკა და მოძრაობა

- დარბაზში მაგიდებით, შესაბამისი ზომის სკამებით, ტანვარჯიშის რგოლებით ან სპეციალური საძრომიალო გვირაბებით მოაწყვეთ რამდენიმე გასაძრომი. შეაჯიბრეთ ბავშვები მელიასავით ძრომიალში, შესაძლებელია, ბავშვები ერთმანეთს გადასცემდნენ „კუდს.“
- გაითამაშეთ თამაში, სადაც ერთი ბავშვი მგელი იქნება და სხვებს, მაგ. ცხვრებს, დასაჭერად დასდევს. ცვალეთ როლები.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „სერზე მიდის სამი მგელი“, „მგელმა თქვა“, „დედა ღორი და მგელი“, „მგელი გალიაში“.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „მელიას კუდი მოწმედ“, „საწყალი მელა“, „მელია და მამალი“, „რა ქნას მელიამ“, „ნამდვილი ამბავი“.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი მელიასა და მგლის შესახებ?
- აღწერონ მელია და მგელი. რითი ჰგვანან, რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

7. ციყვი

დილის წრე



- ისაუბრეთ ციყვზე. აღწერეთ როგორია, რითი იკვებება, სად ცხოვრობს.
- ჩამოთვალეთ ციყვის საჭმელი.

ხელოვნება



- წინასწარ მოამზადეთ საშუალო ზომის გაშლილი გირჩები, პომპონები, თვალები, ცხვირი და ნარინჯისფერი ბეწვის პატარა ნაჭრები ან ბეწვიანი მავთულები. დაეხმარეთ ბავშვებს, წებო ემულსიას საშუალებით დაამაგრონ პომპონები თავის მაგივრად თავზე – თვალები, ფუმფულა მავთული – კუდის მაგივრად.



მუსიკა და მოძრაობა

- სთხოვეთ მუსიკის მასწავლებელს ან მოიძიეთ შესაბამისი მუსიკალური კომპოზიცია და ჩანაწერის, ან ცოცხალი შესრულების ფონზე სთხოვეთ ბავშვებს, იხტუნაონ ციყვებივით.
- ტყეში გასეირნება (ეზოში ან დარბაზში). წინასწარ მოიმარაგეთ: სახტუნაო, თოკის ნაჭრები, ლენტები ან ქაღალდის ზოლები (სასურველია ლურჯი ან ცისფერი), რასაც შეიძლება გადაახტეს ბავშვი (რაოდენობა: თითო ბავშვზე – თითო). განალაგეთ აღნიშნული მასალა ძირს, ერთმანეთისაგან მოშორებით. სთხოვეთ ბავშვებს, წარმოიდგინონ, რომ მიდიან სასეირნოდ ტყეში. გზაში მათ პატარა წყაროები (თოკი, ქაღალდის ზოლი) შეხვდებათ, რომელსაც ისე უნდა გადაახტნენ, რომ ფეხები არ დაისველონ. სთხოვეთ ბავშვებს, ისეირნონ და როგორც კი მიადგებიან „წყაროს“ (თოკს,

ჯოხს) გადაახტნენ მას. გააფრთხილეთ ბავშვები, რომ ნახტომის გაკეთებამდე გაიხედ-გამოიხედონ, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. 3-5 წთ.-ის შემდეგ შეასვენეთ ბავშვები. ნახევარი ან ერთი წუთით და შემდეგ ისევ განაგრძეთ ტყეში მოგზაურობა. შენიშვნა: ნახტომის ადვილად შესასრულებლად სთხოვეთ ბავშვებს, ნახტომამდე ოდნავ ჩაიკუზონ და ახტომასთან ერთად ხელები წინ გაიქნიონ. ახტნენ და დახტნენ ორივე ფეხით ერთდროულად.

სამაგიდო



- დაურიგეთ ბავშვებს რკოს გამოსახულება (დანართი 1.16.9.), სთხოვეთ ბავშვებს, რკოს ტანი გააფერადონ, ხოლო ქუდი შესაბამისი ფერის ქაღალდის ნაკუწების დაწებებით შეავსონ.

სენსორული

- ბავშვებმა წინასწარ ერთმანეთში შერეული სხვადასხვანაირი გირჩები, რკო, კაკალი, ან სხვა ხელმისაწვდომი მასალა დაახარისხონ პატარა მუყაოს ყუთებში.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ციყვი“.

კონსტრუქციული



- ციყვის ფუღურო. ყავისფერი მუყაო წინასწარ დაახვიეთ და დაამაგრეთ, ჩაუჭერით და გადმოუკეცეთ ერთ მხარეს ბოლოები (ტოტები) და ამოუჭერით ფუღურო. სთხოვეთ ბავშვებს, წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი ან მწვანე ფერის თხელი ქაღალდის (კრეპი) ნაკუწები დაკუჭონ და დააწებონ ტოტებზე. დიდი ზომის ციყვის შაბლონი გააფერადონ და დაამაგრონ ფუღუროში.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ციყვების შესახებ?
- უნახავთ თუ არა ბუნებრივ პირობებში ციყვი?

8. ფრინველები

დილის წრე



- აჩვენეთ ბავშვებს ნამდვილი ჩიტები ან ფრინველების სურათები.
- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ ყველაფერი, რითაც ფრინველები ცხოველებისგან განსხვავდებიდან (ბუმბულები, ბუდე, ფეხები, ფრენის უნარი და სხვა).
- ჩაიწერეთ პასუხები ფურცელზე, საწერ საშუალებად ბუმბული და საღებავი გამოიყენეთ.

ხელოვნება

- ერთი ბუს დასამზადებლად დაგჭირდებათ ორი ერთჯერადი თეფში. ბავშვებს წინასწარ გააფერადებინეთ თეფშები შესაბამის ფერებში, სთხოვეთ, გაჭრან თითო თეფში შუაზე. წინასწარ ქაღალდისგან გამოჭრილი თვალები, ნისკარტი და ფრთები (შუაზე გაჭრილი თეფში) დააწებებინეთ ბავშვებს ერთჯერად თეფშზე.



მუსიკა და მოძრაობა

- წაახალისეთ ბავშვები, იხვებივით იბაჯბაჯონ, ქათმებივით იარონ, ფლამინგოებივით დადგნენ, ფარშევანგებივით იხტუნონ და სხვა.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ მარცვლეულობა, პატარა ცოცხი და აქანდაზი (მაგიდის). წაახალისეთ ბავშვები, მოხვეტონ მარცვლეული და კონტეინერში ჩაყარონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ნეტამც არ დაგძინებოდა“, „ტოროლას მაინც არ მოვკლავ“, „მერცხლის სიმღერა“, „პაწია მერცხალი“, „კუნწულა“, „გვრიტი“.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ სხვადასხვანაირი ბუმბულები, საგნები და წყლით სავსე თასი. წაახალისეთ ბავშვები, ცდა ჩაატარონ და ნივთები ორ კატეგორიად დაახარისხონ: ნივთები, რომლებიც წყალს იწოვენ და რომლებიც არ იწოვენ. ფრინველების ბუმბული იწოვს წყალს?

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, თუ უყრიან მტრედებსა და ბეღურებს საკვებს?
- თუ უნახავთ ფრინველების გადაფრენა?
- რა მოეწონათ დღეს?

პირველი აპრილი

დილის წრე

- დაიწყეთ დღე რაიმე ტყუილით (მაგალითად, ვითომ ხმა გაქვთ ჩახლეჩილი და ლაპარაკი გიჭირთ) და სიცილით გამოუცხადეთ ბავშვებს: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია!“
- ისაუბრეთ პირველი აპრილის „დღესასწაულზე“:
  - ის არ არის ნაციონალური დღესასწაული. მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ ამ დღეს.
  - ინგლისურენოვან ქვეყნებში მას „ხუმარების დღეს“ ეძახიან.
  - ამ დღეს ადამიანები ერთმანეთს ატყუებენ და სასაცილო რაღაცებს უკეთებენ ან აკეთებინებენ. საფრანგეთში კი ერთმანეთს ზურგზე თევზს აწებებენ და ამას „აპრილის თევზს“ ეძახიან.
  - ეს არის მხიარულების და იუმორის დღესასწაული.
  - მისი სათავეები არ არის ცნობილი, მაგრამ ძალიან ძველი დღესასწაულია, საუკუნეების წინათაც „ასულელებდნენ“ ერთმანეთს.
- გამოიყენეთ ეს დღე იმაზე სასაუბროდ, თუ რა არის სასაცილო და რა – საწყენი. სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ სასაცილო ოინები, რომელიც შეუძლიათ თავიან ოჯახის წევრებს მოუწყონ. მაგალითად, მიაწოდონ ტელეფონი დედას, ვითომ ბებო ურეკავს, ტელეფონზე კი არავინაა.

ხელოვნება



- წინასწარ გამოჭერით ცხოველების სურათები, გაჭერით შუაზე და დააწებეთ თეთრ ფურცელზე. დაურიგეთ თითოეულ ბავშვს და სთხოვეთ, დაასრულონ ცხოველის ხატვა. ეცადონ სასაცილო გამოვიდეს. როდესაც დაასრულებენ, დაარქვან სახელი.
- წინასწარ თითოეული ბავშვისთვის თეთრ ფურცელზე, თეთრი პასტელით დახატეთ. დაურიგეთ ბავშვებს ფუნჯებთან და საღებავებთან (წყალში გახსნილი, წყლის 1/3 საღებავი) ერთად. გააფერადონ ფურცელი და აღმოაჩინონ ნახატი. ვარიაცია: შეგიძლიათ ბავშვებს დაახატვინოთ თეთრი პასტელებით და ერთმანეთში გაცვალონ ნახატები.
- გააკეთეთ სასაცილო კოლაჟი. ბავშვებმა ამოჭრან ჟურნალებიდან სხვადასხვა საგნები და უცნაურად დააწებონ. მაგალითად, ტელევიზორზე ამოსული ყვავილები; ადამიანი, რომელსაც თავზე ფეხსაცმელები აწყვია და შარვლის მაგივრად პიჯაკი აცვია და ა.შ.

წიგნიერება

- თითოეულმა ბავშვმა სასაცილო და დაუჯერებელი წინადადება მოიფიქროს. მაგალითად, ვნახე თევზი ხეში დაცურავდა; ზაფხული იმიტომ მიყვარს, რომ შეგვიძლია თოვლში ვიგუნდაოთ; მამაჩემი მანქანას აბაზანაში რეცხავს და სხვა.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ტყუილი თუ მართალი“, „ტყუილების წვიმა“, „სამი ტყუილი“, „სანთლის გუთანი“.

მეცნიერება

- უთხარით ბავშვებს, რომ ახლა ეტყვით სხვადასხვა წინადადებებს, ზოგიერთი მათგანი მართალია, ზოგი კი ტყუილი. მათ უნდა გამოიცნონ, რომელია მართალი და რომელი – ტყუილი. მათი პასუხის სისწორეში დასარწმუნებლად, ცდები ჩაატარებინეთ. მაგალითად, „ბუმბული უფრო მალე დავარდება ვიდრე ბურთი“; „ჩვენს კლასში მხოლოდ სამ ბავშვს აცვია ჟაკეტი“; „გარეთ წვიმს“; „დარბაზის კედლები წითლად გადაღებეს“ და სხვა.

საღამოს წრე

- შეახსენეთ, რომ როდესაც ვინმეს გაეხუმრებიან (მოატყუებენ), არ დაავიწყდეთ: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია-ს“ თქმა.

პროფესიები

1. გამყიდველი
2. მეხანძრე
3. პოლიციელი
4. ექიმი და ექთანი
5. ბიბლიოთეკარი

გამყიდველი

დილის წრე



- წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ სასურსათო მაღაზიებზე.
- სთხოვეთ, დაასახელონ და აღწერონ საგნები, რომლებსაც გამყიდველი იყენებს.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, ძველი ჟურნალებიდან სასურსათო მაღაზიაში გასაყიდი პროდუქციის (ბოსტნეული, საკვები, ჰიგიენური საშუალებები და სხვა) სურათები გამოჭრან და დააწებონ წინასწარ მომზადებულ ცარიელ ბარათებზე. გააფორმონ სურვილისამებრ. იქვე მიუწერეთ დასახელება. შექმნილი ბარათები შეგიძლიათ სამაგიდო აქტივობებში გამოიყენოთ.
- გააფორმებინეთ ბავშვებს მაღაზიის აბრები თითების საღებავებით. უთხარით, რა წერია (დანართი 1.18.1.).

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ხელოვნების ცენტრში დამზადებული ბარათები ან გამოჭერით დანართიდან (1.18.2.). დაალაგეთ კატეგორიების მიხედვით,
- წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ბურღულეულის ყუთის წინა მხარე და სთხოვეთ ბავშვებს, თითოეული ამონაჭერი შესაბამის ყუთთან დააწყვილონ.

დრამატული

- მოიმარაგეთ ურიკა, ჩანთები, ცარიელი საკვების ყუთები, პლასტმასის ხილი და ბოსტნეული, სათამაშო ფული და სხვა. ბავშვებმა სასურსათო მაღაზია მოაწყონ.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, კუბურების საშუალებით ააშენონ მაღაზია.

ექსკურსია



- შეუთანხმდით ახლო მდებარე მაღაზიას, აჩვენონ ბავშვებს მაღაზიის „კულისები“: როგორ იღებენ ახალ პროდუქციას, როგორ გადააქვთ, სად ინახავენ, როგორ აწყობენ მაღაზიაში და ა.შ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ტოპო-ტიპი დედას სამსახურში არ უშვებს“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „მინდა ვიყო გამყიდველი“.

საღამოს წრე:

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა ისწავლეს ახალი მაღაზიის შესახებ.

მეხანძრე

დილის წრე



- გაარკვიეთ, რა იციან მეხანძრეზე და მის საქმიანობაზე.
- აჩვენეთ ბავშვებს მეხანძრის ნივთები ან სურათები: მილი, ქუდი, უნიფორმა, ხელთათმანები, ჩექმები.
- თუ შესაძლებელია, მოიპატიჟეთ მეხანძრე. სთხოვეთ, ისაუბროს უსაფრთხოების წესებზე: არ ითამაშოთ ასანთით ან სანთებელით, მოერიდეთ ელექტროჩამრთველებსა და ელექტროსადენებს.
- ასწავლეთ „გაჩერდი, დაწექი, გაგორდი“ მეთოდი (იმ შემთხვევაში თუ ცეცხლი წაგეკიდათ, გაქცევა ცეცხლს უფრო მეტად ააგიზგიზებს, ამიტომ უნდა გაჩერდეთ; ცეცხლის ჩასაქრობად კი დაწექით ძირს და იგორავეთ).

ხელოვნება

- გააკეთე მეხანძრე. წინასწარ ამობეჭდეთ დანართი და გამოჭერით. ბავშვებმა ნიმუშის მიხედვით, გააფერადონ და მიაწებონ მუყაოს რულონს (დანართი 1.18.3.).



მუსიკა და მოძრაობა

- ვითომ ხანძარია, ბავშვები რაც შეიძლება სწრაფად, ხოხვით მივიდნენ ტელეფონთან და აკრიფონ სახანძროს ნომერი. აუხსენით, რომ ბოლი ოთახში გროვდება და ზევით მიიწევს. ადვილად რომ ვისუნთქოთ, ძირს უნდა დავწვეთ, ასე ბოლის ქვემოთ მოვექცევით. ბოლის იმიტაციისთვის ოთხ ბავშვს ზეწარი დააჭერინეთ, რომლის ქვეშაც ბავშვები შეძვრებიან.

სამაგიდო



- ათამაშეთ პროფესიების მემო თამაში (დანართი 1.18.4.).
- ამობეჭდეთ დანართი (დანართი 1.18.5.) და დაურიგეთ ბავშვებს მარკერებთან ერთად. სთხოვეთ, მოხაზონ გზა, რომელსაც სახანძრო მანქანა აალებულ სახლამდე მისასვლელად გაივლის.

- ამუშავეთ გასაფერადებლებზე (დანართი 1.18.6.).
- დაურიგეთ ბავშვებს წვრილი ჩხირები (თავწატეხილი ასანთის ღერების გამოყენებაც შეიძლება) და წებო. ააწყონ მეხანძრის კიბე. ღერები სათითაოდ დააწებონ ქაღალდზე (დანართი 1.18.7.).
- ამობეჭდეთ დანართში მოცემული ნახატი (დანართი 1.18.8.). დაურიგეთ ბავშვებს გასაფერადებლად და შემდეგ გამოსაჭრელად. ბავშვების შესაძლებლობებისა და ასაკის მიხედვით, შესაძლებელია, უმჯობესი იყოს, წინასწარ თქვენ თვითონ გამოჭრათ. შემდეგ მიეცით საშუალება, ააწყონ სახანძრო მანქანა.

სენსორული

- აჩვენეთ ბავშვებს ცეცხლჩამქრობი ხელსაწყო ან მისი ფოტო. დაასხით ქაფი (საპარსი ან ათქვეფილი კვერცხის ცილა) და აუხსენით, რომ ზუსტად ასეთი ქაფი გამოდის ცეცხლჩამქრობიდან. მიეცით ქაფით ხატვის საშუალება.

დრამატული



- მოიმარაგეთ წყლის მილი, მეხანძრის უნიფორმები (რაიმე მსგავსი). სთხოვეთ ბავშვებს, გაითამაშონ ხანძრის სცენა და რომელიმე სათამაშო გადაარჩინონ.
- მოიმარაგეთ დიდი მუყაოს ყუთი, რომ ბავშვებმა სახანძრო მანქანად გადააქციონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „მეხანძრე ძაღლები.“
- აუხსენით ცეცხლთან დაკავშირებული ლექსიკა: ცეცხლის ალი, ცეცხლის ენა, ნაცარი, ნაკვერჩხალი, კოცონი, ჭიაკოკონა, როდის ვამბობთ, რომ ხანძარია?

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებით სახანძრო ააშენონ;

საღამოს წრე

- რა ისწავლეს ახალი მეხანძრეების შესახებ?
- რომელი თამაში მოეწონათ?

პოლიციელი

დილის წრე



- გაარკვიეთ, რა იციან პოლიციელებზე.
- აჩვენეთ პოლიციელების სურათები. თუ შესაძლებელია, მოიპატიჟეთ უბნის პოლიციელი.
- ისაუბრეთ პოლიციელების საქმიანობაზე. რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მშობლები ახლოს არ არიან, პოლიციელს შეუძლიათ ენდონ. ისინი აუცილებლად დაეხმარებიან და დაიცავენ.
- მოიმარაგეთ სათამაშო ტელეფონი და ავარჯიშეთ 122-ზე დარეკვაში.

მუსიკა და მოძრაობა

- დაურიგეთ ბავშვებს სასტვენები და სთხოვეთ, ნაცნობ მუსიკას აყვნენ. ჩაბერონ სასტვენს ჯერ ძლიერად, რომ ხმამაღლა აყვნენ მუსიკას, შემდეგ კი სუსტად.
- ეზოში დახაზეთ ველოსიპედის სავალი გზა და სთხოვეთ ბავშვებს, სათითაოდ მართონ ველოსიპედი.

ხელოვნება



- ისაუბრეთ შუქნიშანზე, მის ფერებსა და მნიშვნელობაზე. სთხოვეთ ბავშვებს, ოთხკუთხა ფორმის ცარიელი ყუთები (მაგ. რძის ყუთი) შავად შეღებონ. როდესაც გაშრება, დაურიგეთ წითელი, ყვითელი და მწვანე წრეები, რომ სწორი თანმიმდევრობით დააწებონ „შუქნიშანს.“

სამაგიდო



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ბოქლომები თავისი გასაღებებით. სთხოვეთ ბავშვებს, თითოეულ ბოქლომს თავისი გასაღები მოუძებნონ.
- წინასწარ ამობეჭდეთ და გამოჭერით დანართში მოცემული საგზაო ნიშნები. თითოეულ წყვილში ერთი ნიშანი გააფერადეთ, მეორე კი დატოვეთ შავ-თეთრი. ბავშვებმა ერთნაირი ნიშნები დააწყვილონ (დანართი 1.18.9.).

დრამატული



- დიდი მუყაოს ყუთისგან დაამზადებინეთ ბავშვებს საპატრულო მანქანა. მოიმარაგეთ ბეჯები, მიმღებ-გადამცემები (ანუ რაცია), ფანრები და ჯარიმის ფურცლები.
- დასხედით წრეში, ერთი ბავშვი იყოს პოლიციელი, თქვენ კი მშობელი, რომელმაც შვილი დაკარგა. აღუწერეთ ერთ-ერთი ბავშვი. შემდეგ პოლიციელი „დაკარგულ“ ბავშვს პოულობს. თამაშის გასართულებლად ბავშვს მშობლის როლი მიეცით.
- პოლიციელებმა „მანქანების“ მოძრაობა გააკონტროლონ, გამოუწერონ ჯარიმა იმ მძღოლებს, რომლებიც წესებს არ იცავენ (მაღალი სიჩქარით მოძრაობენ, ღვედებს არ იკრავენ, წითელზე არ ჩერდებიან) და დაეხმარონ ფეხით მოსიარულეებს გზის გადაჭრაში.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „გზააბნეული ჭილყვავი.“
- ალაპარაკეთ, რა საქმეების მოგვარება ევალება პოლიციელს?

მეცნიერება

- სთხოვეთ ბავშვებს, ფურცელზე თითების ანაბეჭდები დატოვონ და შემდეგ გამადიდებელი შუშით დააკვირდნენ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა ისწავლეს ახალი პოლიციელის საქმიანობის შესახებ?

ქიმი და ქიმია

დილის წრე

- აჩვენეთ საქიმო იარაღები.
- ისაუბრეთ ექიმთან ვიზიტებზე. სთხოვეთ ბავშვებს, გაგიზიარონ თავიანთი გამოცდილება.
- აჩვენეთ სურათები.
- მოაყოლეთ ბავშვებს, ექიმთან ურთიერთობის ვის რა გამოცდილება აქვს. ისაუბრონ, რა არ მოსწონთ და რა მოსწონთ ყველაზე ძალიან.
- ისაუბრეთ იმაზეც, რომ ექიმით და ნემსით ბავშვების შეშინება არ შეიძლება. ისინი ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნავენ და გვეხმარებიან.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ სუფთა შპრიცები (ნემსის გარეშე) და თხელი საღებავი. ეზოში ან შესაბამის ადგილას ფურცლები ჩამოკიდეთ და ბავშვებს სთხოვეთ, საღებავი შპრიცის საშუალებით შეასხან.
- მოიმარაგეთ სქელი ფურცლები, წებო, ბამბა, ყელში ჩასახედი ჯოხები, ბინტები, ლეიკოები და სახვევები. ისაუბრეთ თითოეული ნივთის გამოყენებაზე და შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ ფურცელზე ისე, როგორც მოისურვებენ.

- დაამზადებინეთ ბარათები საავადმყოფოს პაციენტებისთვის. დაურიგეთ ფურცლები და აჩვენეთ, როგორ გადაკეცონ შუაზე. ბარათის შიგნით მათი ნაკარნახევი ტექსტი ჩაწერეთ, მაგალითად, „გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას“.
- სთხოვეთ ფანქრებით, ფლომასტერებით ან საღებავებით გააფორმონ ბარათები. ჩადეთ ბარათები დიდ კონვერტში და გაგზავნეთ საავადმყოფოში.

სამაგიდო



- დანართში მოცემული ნახატები წინასწარ ამობეჭდეთ, გამოჭერით, გაუკეთეთ ლამინირება (დანართი 1.18.10.), არეულად დააწყვეთ. ბავშვებს სთხოვეთ, მოძებნონ ექთნის მეორე ნახევარი.
- ამობეჭდეთ დანართში (1.18.11.) მოცემული ექიმისა და ექთნის სურათები და სთხოვეთ ბავშვებს, წყვეტილ ხაზებს ფლომასტერი გადაუსვან და შემდეგ გააფერადონ.
- მოიმარაგეთ 10 ბარათი. ხუთ ბარათზე დააწებეთ ბამბის ბურთულები, პირველზე ერთი, მეორეზე – ორი და ა.შ. დანარჩენ ხუთ ბარათზე კი დაწერეთ ციფრები 1-დან 5-მდე. მაგიდაზე არეულად დააწყვეთ ბამბის ბურთულებიანი ბარათები და სთხოვეთ ბავშვებს, შესაბამისი ბარათი გვერდზე მიუდონ.

სენსორული

- წინასწარ გადაულეთ სურათები სათამაშო საექიმო ნივთებს, რომელიც მოგეპოვებათ, ამობეჭდეთ და დააწერეთ სახელები. ჩანთაში ჩაყარეთ ნივთები. მიეცით ბავშვებს სურათები და სთხოვეთ, ამოარჩიონ ერთი, დააკვირდნენ და შემდეგ ჩანთიდან, მასში ჩაუხედავად, ეს ნივთი იპოვნონ და ამოიღონ.

დრამატული



- მოიმარაგეთ სათამაშო ან ნამდვილი სტეტოსკოპი, ენის გამოსაყოფი ჯოხი, სახვევები, ნემსი (წვერის გარეშე) და სხვა სამედიცინო საგნები, ბავშვებმა მოაწყონ ექიმის კაბინეტი და ითამაშონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ექიმი“. იმსჯელეთ, მართლა არ იყო ავად ლექსის გმირი?

მეცნიერება

- წაახალისეთ ბავშვები აწონონ და გაზომონ ერთმანეთი. გააკეთეთ ცხრილი.
- ისაუბრეთ ჯანმრთელი ჩვევების შესახებ.

* ხელების ხშირად დაბანა. იბანეთ ხელები 10-20 წამის განმავლობაში ან სანამ რაიმე სიმღერას არ დაასრულებთ.

* მიიღეთ ნოყიერი საკვები. აჩვენეთ საკვების პირამიდა და ისაუბრეთ ჯანმრთელ საკვებზე.

* ივარჯიშეთ ყოველ დღე. ისეირნეთ ეზოში, იცეკვეთ ან იხტუნავეთ სახტუნაოთი.

* თავის საქმიანობაზე სასაუბროდ პედიატრი ან ექთანი მოიპატიჟეთ. წაახალისეთ ბავშვები, წინასწარ მოფიქრებული კითხვები დასვან.

- მოიმარაგეთ შპრიცები (ნემსის გარეშე) და წყლით სავსე კონტეინერები. სთხოვეთ ბავშვებს, შპრიცში შეუშვან და გამოუშვან წყალი, შემდეგ კი ერთი კონტეინერიდან წყლის მეორეში გადატანა სცადონ.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ექიმისა და ექთნის შესახებ?
- რომელი თამაში მოეწონათ?

ბიბლიოთეკარი

დილის წრე

- აჩვენეთ ბიბლიოთეკის სურათები. უთხარით, რომ ბიბლიოთეკებში ძალიან ბევრი ინფორმაციაა. ზოგი მათგანი წიგნებში წერია, ზოგიც კომპიუტერშია.
- ისაუბრეთ ბიბლიოთეკარის მოვალეობებზე.

ხელოვნება



- წინასწარ თითოეული ბავშვისთვის რამდენიმე თეთრი ფურცელი ორ სქელ ფურცელს შორის მოაქციეთ და სტეპლერით შეკარით. დაურიგეთ ბავშვებს ფანქრებთან და ფლომასტერებთან ერთად. სთხოვეთ, დახატონ რაც უნდათ და როგორც უნდათ, როცა დაასრულებენ, დააწერეთ მათი სახელი და ჩაწერეთ მათი ნაკარნახევი ტექსტი. შემდეგ სთხოვეთ, მათი დამზადებული წიგნი ბიბლიოთეკაში შეინახონ.
- აუხსენით ბავშვებს, რაში ვიყენებთ სანიშნეებს. დაურიგეთ სანიშნის ზომის ფურცლები და სთხოვეთ გაფორმება. თუ შესაძლებელია, ლამინირება გაუკეთეთ.

დრამატული



- მოაწყვეთ ოთახში ერთი კუთხე, რბილი ხალიჩითა და წიგნებით სავსე თაროთი, ყუთით, რომელშიც წაკითხულ წიგნებს ჩააწყობენ, მაგიდითა და სკამით ბიბლიოთეკარისთვის. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ „ბიბლიოთეკარობა“: წაუკითხონ ზღაპრები ბავშვების ჯგუფს, დაეხმარონ მკითხველელებს წიგნის პოვნაში, დაურიგონ ბიბლიოთეკის ბარათები (წინასწარ გამოჭრილი), დააბრუნონ ძირს დატოვებული ან ყუთში ჩადებული წიგნები თავიანთ ადგილას.

წიგნიერება

- წინასწარ, ბავშვების სიმაღლეზე დიდი ხე დახატეთ, გამოჭერით ფოთლები და დააწერეთ ბავშვებისთვის ცნობილი ზღაპრების სათაურები. სთხოვეთ, სათითაოდ გამოვიდნენ და ხეს ფოთლები დააწებონ. როდესაც მორჩებით, წაიკითხეთ ფოთლებზე დაწერილი სათაურები. რომელია თქვენი საყვარელი ზღაპარი?
- სთხოვეთ ბავშვებს, თქვენი მინიშნებებით, წიგნის დასახელება გამოიცნონ. მაგალითად, „გამოიცანით წიგნი, რომელიც სამი ცხოველის ამბავს გვიამბობს, რომლებიც სახლს მგლისგან თავის დასაცავად აშენებენ.“
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ბიბლიოთეკარი“.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებით ააშენონ ბიბლიოთეკა.

მეცნიერება

- სთხოვეთ ბავშვებს, ბიბლიოთეკაში წიგნები სიდიდის მიხედვით დაალაგონ.
- სთხოვეთ, დაითვალონ თაროზე დაწყობილი წიგნების რაოდენობა.
- სთხოვეთ, ცხოველებზე წიგნები ცალკე გადააწყონ და შეაწყონ ცალკე თაროზე.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ბიბლიოთეკაში. გაარკვიეთ, აქვთ თუ არა ბავშვებისთვის ზღაპრის წრეები. შეუთანხმდით ბიბლიოთეკარს, რომ თავისი საქმიანობის შესახებ უამბოს. მიეცით საშუალება ბავშვებს, აარჩიონ წიგნები საბავშვო ბაღში წამოსაღებად.

საღამოს წრე

- ისაუბრეთ ბიბლიოთეკაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

აღდგომა

დილის წრე



- აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე ბამბიან თეფშზე ჯეჯილი გაახარეთ და შემდეგ მასში წითელი კვერცხები ჩაალაგეთ.
- ოთახში დამალეთ ქაღალდის წითელი კვერცხები და დილის წრეზე სთხოვეთ, დაძებნონ ისინი.
- ისაუბრეთ კვერცხის სიმბოლოზე და რატომ გახდა ის აღდგომის განუყრელი ნაწილი.
- ასწავლეთ ბავშვებს მისალმება „ქრისტე აღდგა“ – „ჭეშმარიტად!“ აუხსენით, რომ აღდგომას ყველა ქრისტიანი ასე ესალმება ერთმანეთს.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ წითელი ფერის გუაშის საღებავი და ჩაუმატეთ სიმინდის ფქვილი. დაურიგეთ ბავშვებს წინასწარ გამოჭრილი კვერცხის ფორმის ფურცლები და სთხოვეთ მათი შეღებვა. როდესაც საღებავი გაშრება, კვერცხს ფაიფურის ეფექტი ექნება. სთხოვეთ ბავშვებს, რომ კვერცხები ერთჯერად თეფშებზე დააწებონ ან მათგან ჩამოსაკიდებელი სათამაშოები დაამზადეთ.
- იმისთვის, რომ მოხატული კვერცხები შეინახოთ, საჭიროა მისი შიგთავსისგან დაცლა. ამისთვის მოიმარაგეთ კვერცხები, კონტეინერები და წვეტიანი ნივთი (მაგალითად, ჭიკარტი). დაეხმარეთ ბავშვებს, კვერცხი ორივე ბოლოში გახვრიტონ, დაიჭირონ კონტეინერის თავზე და ჩაბერონ ერთი ბოლოდან. სთხოვეთ, გამოსუფთავებულ კვერცხს ფრთხილად მოექცნენ, რომ არ გატყდეს. მოიმარაგეთ რეზინები და მწვანილი (ნიახურისა და ოხრახუშის ფოთლები). სთხოვეთ ბავშვებს, შემოარტყან რეზინები და შექმნან კომპოზიციები მწვანილის გამოყენებით. შემდეგ შეღებონ კვერცხი წითელი საღებავით. როდესაც გაშრება, მოაცალონ ფოთლები და რეზინა.
- ბამბის ბატკნები. სთხოვეთ ბავშვებს ბამბის ბურთულები მცირე ზომის ერთჯერად თეფშს მიაწებონ, შემდეგ სქელი ქაღალდისგან გამოჭრილი ფეხები, თავი და კუდი მიამაგრონ, თვალების გაკეთება არ დაგავიწყდეთ.
- ვარიაცია: მოკუჭეთ ძველი გაზეთი, გადააკარით ქაღალდის სკოჩი ისე, რომ ბურთივით დამრგვალდეს. საწრუპები (უმჯობესია შავი ფერის იყოს) დაჭერით პატარა ნაწილებად და სკოჩის ბურთს ოთხი ცალი შეურჭვეთ, ვითომ ბატკნის ფეხებია. დასკოჩილ ქაღალდს მთელ ზედაპირზე დააწებეთ ბამბის ბურთები. სქელი ქაღალდისგან გამოჭერით თავები. არ დაგავიწყდეთ თვალების გაკეთებაც. ამისთვის გამოჭერით თეთრი სქელი ქაღალდისგან წრე და შავი სქელი ქაღალდისგან შედარებით პატარა ზომის წრე. ისე მიაწებეთ, რომ სასაცილო და საყვარელი ბატკნები გამოგივიდეთ.



მუსიკა და მოძრაობა

- მოიმარაგეთ სუფრის კოვზები და მოხარშული ან პლასტმასის კვერცხები. წაახალისეთ ბავშვები, გაიარონ რაიმე მანძილი ისე, რომ კვერცხი კოვზიდან არ გადმოუვარდეთ.
- ბავშვები წრიულად დასხით და სათამაშო კვერცხი მიეცით. სანამ მუსიკა ჩართულია, კვერცხი წრეზე გადააწოდონ. მუსიკის გამორთვისას ვისაც კვერცხი ხელში შერჩება, „კალათაში“ გადაინაცვლებს (თამაშიდან გავარდება).

- მოიმარაგეთ პლასტმასის კვერცხები („ქინდერსურპრიზის კვერცხები“), მოშორებით დადგით კალათი და სთხოვეთ ბავშვებს, კალათში ჩაყარონ.

სამაგიდო



- გამოჭერით სხვადასხვა ზომის სააღდგომო კვერცხები და სთხოვეთ ბავშვებს, ზომის მიხედვით დააწყონ.
- წინასწარ გამოჭერით ორ-ორი წითელი კვერცხი სხვადასხვა მასალისაგან (მაგალითად, თექისგან, სხვადასხვანაირი ქაღალდისგან, ზუმფარისაგან და სხვა). სთხოვეთ ბავშვებს, ერთნაირი კვერცხების დაწყვილება.
- სთხოვეთ ბავშვებს, დათვალონ კვერცხების რაოდენობა (დანართი 1.19.1.).
- (4-5 წლიანებთან) გააგრძელე ქათამზე დახატული სიმბოლოების ხატვა (დანართი 1.19.2.).
- ამობეჭდეთ დანართი (1.19.3) და სთხოვეთ ბავშვებს წერტილების შეერთება ისე, რომ ხაზი კვერცხებს ზევით და ქვევით გადაატარონ.
- ამობეჭდეთ დანართი (1.19.4) და სთხოვეთ ბავშვებს, კვერცხების მითითებული რაოდენობა გააფერადონ.
- ამობეჭდეთ დანართი (1.19.5) და სთხოვეთ ბავშვებს, გააგრძელონ ზარის ორნამენტი.

სენსორული

- მიეცით თიხა კვერცხების გამოსაძერწად. შემდეგ სხვადასხვა ტექნიკით წითლად შეღებონ.
- მოიმარაგეთ წითელი ფერის პლასტელინი და წითელი ფერის მძივები და ღილები. სთხოვეთ ბავშვებს, გამოძერწონ კვერცხები და გააფორმონ მძივებითა და ღილებით.
- დამალეთ ეზოში კვერცხები. შეგიძლიათ ნიჩბებიც დაურიგოთ.
- ათამაშეთ ქვიშაში, „პასკა, პასკა, გამოცხვი“. შეგიძლიათ ბავშვების ორ გუნდად დაყოფაც, რომ ერთმანეთს შეეჯიბრონ, ვინ უფრო მეტ კვერცხს იპოვის. მათ დასახმარებლად შეგიძლიათ შექმნათ იოლად წასაკითხი/ამოსაცნობი მინიშნებების რუკაც.

წიგნიერება

- მოუყევით ბავშვებს ქრიტეს ცხოვრებაზე, რომ ის მამა ღმერთმა გამოუგზავნა ადამიანებს, მისმა თანამედროვეებმა კი არ ირწმუნეს. ერთ-ერთმა მოწაფემ ოცდაათ ვერცხლად გაყიდა და ის ჯვარზე გააკრეს (ჯვარზე გაკვრის სცენას ნუ აღუწერთ დაწვრილებით, რომ ბავშვებში შფოთი არ გამოიწვიოთ). მაგრამ ქრისტემ დაამარცხა სიკვდილი, მესამე დღეს გადაწია საფლავის ლოდი და ზევით, თავის მამასთან წავიდა. რომ აღდგომას ჩვენ, ყველანი, ვდღესასწაულობთ ქრისტეს მიერ სიკვდილის დამარცხებას. შეგიძლიათ მოუყვეთ რამდენიმე სასწაულიც.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ნაზარეთში“.

მეცნიერება

- კვერცხის ნაჭუჭის ქოთნები. კვერცხს ისე მოაცალეთ ერთი ბოლო, რომ მისი დიდ ნაწილი მთელი დარჩეს. კარგად გამოასუფთავეთ და გააშრეთ. ჩადეთ ნაჭუჭში ბამბა და ხორბლის თესლი. მორწყეთ ყოველ დღე და დადგით განათებულ ადგილას. დააკვირდით, როგორ ამოვა ჯეჯილი კვერცხის ნაჭუჭიდან.
- მოიმარაგეთ მოხარშული კვერცხი, წყლით სავსე კონტეინერი და მარილი. ჩადეთ კვერცხი წყალში. რა მოსდის? ჩაიძირება. უთხარით ბავშვებს, რომ ახლა თქვენ წყალში მარილს ჩაამატებთ. მათი აზრით, რა შეიცვლება? გახსენით საკმარისი რაოდენობის მარილი წყალში და კვერცხი წყალზე იტივტივებს.
- მოიმარაგეთ პლასტმასის კვერცხები („ქინდერსიურპრიზი“) და შიგნით სხვადასხვა ნივთები მოათავსეთ. სცადონ, გამოიცნონ რა დევს კვერცხში, ან კვერცხები სიმძიმის მიხედვით დააწყონ.
- ისაუბრეთ იმაზე, რომ კვერცხიდან იჩეკება წიწილა.

გაზაფხული

1. გაზაფხული
2. გაზაფხულის ჩიტები
3. გაზაფხულის ყვავილები

1. გაზაფხული

დილის წრე



- ყავისფერი ფურცლისგან წინასწარ გამოჭერით შიშველი, დიდი ხე და დილის წრესთან ახლოს გააკარით. დილის წრეზე ბავშვებს მწვანე ფურცლისგან გამოჭრილი ფოთლები დაურიგეთ და დაეხმარეთ, მიაწებონ ხის ტოტებს. იმღერეთ ან ლექსი თქვით გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით.
- ისაუბრეთ გაზაფხულზე. მაგალითად, მწვანე ფოთლებზე, რომლებსაც ისევ ისხამენ ხეები. კიდევ რითი ვხვდებით, რომ გაზაფხული დადგა? წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ, რაც გაზაფხულის შესახებ იციან. ჰკითხეთ მათ:
  * როგორია ამინდი ამ დროს?
  * რა გვაცვია ხოლმე?
  * რა ყვავილები ხარობს ამ დროს?
  * რა ბოსტნეული და ხილი შემოდის?
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა გაზაფხულია.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის თხელი ქაღალდი. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დაფლითონ და დააწებონ ფურცელზე, რომ გაზაფხულის ყვავილები გამოვიდეს.
- მოიმარაგეთ ხეების ტოტები და ბატიბუტი. სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ ბატიბუტი ტოტზე ისე, რომ მიიღონ ალუბლის აყვავებული რტო.
- მოიმარაგეთ ლურჯი ფურცელი, თეთრი, მწვანე და ყავისფერი გუაში. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ყავისფერი ტოტები ფუნჯით, გაშრობის შემდეგ კი დაახატონ თეთრი ყვავილები და მწვანე კვირტები.
- დაახატვინეთ ბავშვებს გაზაფხულის ხილის ნატურმორტი.
- დაამზადებინეთ ბავშვებს ფრანები. ქაღალდის პარკის ღია პირზე მიაწებონ ქაღალდის ლენტები და შემდეგ მთლიანად გააფორმონ.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ გაზაფხულის ხმები, მაგალითად, ჩიტების ჭიკჭიკი და შხაპუნა წვიმის ხმა, სთხოვეთ ბავშვებს, აყვნენ ამ ხმებს და იცეკვონ.
- პირველად აღმზრდელი ბავშვებთან ერთად დგება დიდი სარკის წინ და ანახვებს, როგორ იმეორებს სარკე მის მოძრაობას. შემდეგ აღმზრდელის წინ დგება ერთი ბავშვი და მასწავლებელი იმეორებს ბავშვის მოქმედებას (ვითომ სარკეა). ამის შემდეგ ბავშვები წყვილდებიან, ერთმანეთის პირისპირ და ერთი მათგანი იმეორებს მეწყვილის მოძრაობებს.

სენსორული

- გადააფარეთ მაგიდას ლურჯი ფერის პრიალა ქაღალდი ან მუშამბა. ქაფის გამოყენებით სთხოვეთ ბავშვებს, შექმნან ღრუბლები გაზაფხულის ცაზე.

დრამატული

- წაახალისეთ ბავშვები, გაითამაშონ გასეირნება ბუნებაში, „შეიგრძნონ“ ყვავილების სურნელი, მოაწყონ „პიკნიკი,“ ჩამოასხან „ჩაი“ ფინჯნებში და ა.შ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ნამცეცას თავგადასავალი“. გამოარკვიეთ, წელიწადის რომელ დროს გაფრინდნენ ნამცეცა და მერცხალი ელფების ქვეყანაში?
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „გაზაფხული“.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ ქოთნები, მიწა, პატარა ნიჩაბი, ყვავილების თესლი და სარწყავი. ჩარგეთ ყვავილები ბავშვებთან ერთად.
- გაისეირნეთ ბუნებაში და შეაგროვეთ მინდვრის ყვავილები, გააშრეთ და დაამზადეთ ჰერბარიუმი;

სამაგიდო:



- სამუშაო ფურცელი: დაეხმარე პატარა გოგოს მივიდეს სახლამდე, სანამ გაწვიმდება (დანართი 1.20.1.).

ექსკურსია



- გაზაფხულის ნიშნების აღმოსაჩენად პარკში გაისეირნეთ.

საღამოს წრე

- შეგიძლია დაასახელო გაზაფხულის ნიშნები?

2. გაზაფხულის ჩიტები

დილის წრე

- ესაუბრეთ გაზაფხულის ჩიტებზე, მერცხალზე.

ხელოვნება



- ეზოში სეირნობისას შეაგროვეთ გამხმარი ბალახები, წვრილი ჯოხები, მოიმარაგეთ დაჭრილი საქსოვი ძაფი ან თხელი მუყაოს ქაღალდი. პატარა თასი ან ღრმა თეფში გადმოაბრუნეთ და შემოახვიეთ ცელოფნის პარკი, წაუსვით წებო ემულსია და სთხოვეთ ბავშვებს, დააკრან წინასწარ მომზადებული მასალა რამდენიმე ფენად. გაშრობის შემდეგ მოხსენით ბუდე თასს და შიგნიდანაც დააწებეთ დარჩენილი მასალა.

ბუდეში შეგიძლიათ ჩააწყოთ ბავშვების მიერ პლასტელინის ან თიხისაგან დამზადებული კვერცხები.

- „ჩიტის ბუდე“. მოიმარაგეთ ფანქრის ნათალები. სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ მუყაოზე ისე, რომ მიიღონ ჩიტის ბუდე და შეღებონ ყავისფრად.
- მოიმარაგეთ ცარიელი კვერცხის ნაჭუჭები და დაამზადებინეთ ბავშვებს ჩიტები. დააწებებინეთ შავი ქაღალდისგან გამოჭრილი თვალები და ყვითელი ნისკარტები.
- გამოჭერით დანართში მოცემული ჩიტები და სთხოვეთ ბავშვებს, გააფორმონ ბუმბულით ან ფერადი ფანქრის ნათალებით (დანართი 1.20.2.).

სამაგიდო



- დანართიდან ამობეჭდეთ და ლამინირება გაუკეთეთ გაზაფხულის დომინოს. ათამაშეთ ბავშვები (დანართი 1.20.3.).

მუსიკა და მოძრაობა

- მიამაგრეთ 50 სმ-ის ხის ჯოხს მიამაგრეთ 3 მეტრის ლენტი, რომ მიიღოთ ტანმოვარჯიშის ჯოხი. დააყენეთ ბავშები ისე, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. დაურიგეთ თითო ბავშვს თითო ჯოხი და სთხოვეთ, ამოძრაონ ისინი: ისე, როგორც საქარე მინის საწმენდი ჯოხები – ბავშვები ამოძრავებენ ხელებს მარჯვნივ და მარცხნივ და ლენტა ჰაერში ქმნის თაღის ფორმას; ამოძრავენებ წრიულად, ასევე იატაკთან ახლოს ცოცხივით, აკეთებენ თევზაობის იმიტაციას, ხატავენ ჰაერში ზიგზაგს და ა.შ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „რას უმღერიან მერცხლები“.

მეცნიერება

- დაათვალიერებინეთ ბავშვებს წიგნები ჩიტებზე. აღწერეთ, ისაუბრეთ. ითამაშეთ „თუ მიხვდები“: აღწერეთ რომელიმე ჩიტი წიგნიდან და სთხოვეთ ბავშვებს, მიხვდნენ რომელზე საუბრობთ (აღწერეთ გარეგნული ნიშნებით, როგორც წიგნშია. მაგ. ამ ჩიტს ჭრელი ბუმბულები აქვს და ტოტზე ზის; ეს ჩიტი ბუდეს აშენებს და ნისკარტით ბალახი მოაქვს).

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ჩიტების შესახებ?
- როგორ უნდა მოექცნენ ჩიტებს, რომლებიც ჩვენ ახლოს ცხოვრობენ?

3. გაზაფხულის ყვავილები

დილის წრე

- ესაუბრეთ გაზაფხულის ყვავილებზე. ჩამოთვალეთ ყვავილები, რომელიც გაზაფხულზე პირველი მოდის.
- ესაუბრეთ გაზაფხულის ფერებზე. დაურიგეთ ბავშვებს ფერადი ფურცლის ნაჭრები და წაახალისეთ, ყველამ თავის ფერის შესაბამისი საგანი მოძებნოს ოთახში.

ხელოვნება



- ყვავილების თაიგული. დაეხმარეთ ბავშვებს ფერადი ქაღალდებისგან ხელის ანაბეჭდები და წვრილი ფოთლები გამოჭრან. დაახვიეთ ყვავილის ფურცლები ფანქრით. გამოჭრილი ყვავილები კონუსურად შეკარით და დაასტეპლერეთ ფუმფულა მავთულზე („ფაიფ ქლინერზე“).



- პანო: „გაზაფხულის ყვავილები“. წინასწარ გამოჭერით ფერადი ქსოვილისგან ყვავილების ფურცლები. დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, დააწებონ დიდ ფორმატზე ისე, რომ მიიღონ ყვავილები.
- მოიმარაგეთ ბამბის ბურთულები. სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ მუყაოზე ისე, რომ მიიღონ ყვავილი. გული გაუფერადონ გუაშით.
- მოიმარაგეთ საშუალო ზომის კენჭები და სთხოვეთ, შეღებონ. ფერადი კენჭები დააწებონ მუყაოზე ისე, რომ მიიღონ ყვავილები.
- მოიმარაგეთ ჭრელაჭრელა ხელსახოცები. წაახალისეთ ბავშვები, გამოჭრან და დააწებონ ფერად ქაღალდზე ისე, რომ მიიღონ ყვავილების ფორმები. დაუხატონ ღეროები და მწვანე ფოთლები.

მუსიკა და მოძრაობა

- სთხოვეთ ბავშვებს, იარონ ხაზზე ერთი მიმართულებით მუსიკის რიტმში. გარკვეული დროის შემდეგ თქვით: „გაშეშდი“. ბავშვები ქანდაკებებივით შეშდებიან. შეაქეთ „ნამდვილი ქანდაკებები“, როდესაც ბავშვები უმოძრაოდ დგანან. ჩართეთ მუსიკა, რომ ბავშვებმა ისევ გააგრძელონ სიარული. შეგიძლიათ ცვალოთ მუსიკის და შესაბამისად, სიარულის ტემპი, ასევე სიარულის მიმართულება.
- სთხოვეთ ბავშვებს, აიღონ პატარა ბურთი და ისროლონ, რაც შეიძლება შორს და ძლიერად. სთხოვეთ ბავშვებს, იდაყვში მოხრილი ხელით დაიჭირონ ბურთი თავის უკან. ხელის საპირისპირო ფეხით გადადგან ნაბიჯი წინ, ისროლონ ბურთი, რაც შეიძლება შორს და რაც შეიძლება ძლიერად.

სამაგიდო



- წინასწარ მოიმარაგეთ ყვავილების სტიკერები. დაურიგეთ ბავშვებს მწვანე ფურცლები (პატარა ზომის) და სხვადასხვა რაოდენობის სტიკერები. სთხოვეთ, მინდორზე ყვავილები დააწებონ.
- სთხოვეთ ფერადი ხელის საღებავებით და თითების ანაბეჭდებით მწვანე ფურცელზე ჭრელი მდელო შექმნან.

სენსორული

- გაზაფხულის ტალახი. ბავშვებს ქვიშა წყლით დაუნამეთ. მიეცით პატარა მანქანები ან ჭურჭელი და ათამაშეთ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „იის ნატვრა“, „ყოჩივარდა“.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, ფერადი კუბიკებისგან ყვავილები ააწყონ.

მეცნიერება

- გაისეირნეთ ეზოში და სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ გაზაფხულის ნიშნებს. რას ამჩნევენ, რა ხდება გაზაფხულზე ისეთი, რაც არ არის ზამთარში. მათი დაკვირვებები ჩაიწერეთ და საღამოს წრეზე შეაჯამეთ.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი გაზაფხულის ყვავილების შესახებ?
- რომელი ყვავილი უყვართ ყველაზე მეტად?

საქართველო

1. საქართველო
2. საქართველო
3. დედაქალაქი თბილისი
4. დამოუკიდებლობის დღე

1. საქართველო

დილის წრე



- თუ შესაძლებელია, ქართულ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოეწყვეთ ან ერთი რაიმე დეტალი გამოიყენეთ.
- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა საქართველოს შესახებ.

* ესაუბრეთ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის შესახებ. სხვა რომელი ქალაქები იციან?

- აჩვენეთ ქართული ნაციონალური ტანსაცმლის ფოტოები.
- უთხარით, რომ ადრე ქვეყანას მეფეები მართავდნენ, დღეს კი მას პრეზიდენტი მართავს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ირჩევს.
- საქართველო ცხოველთა და მცენარეთა თვალსაზრისით ძალიან მრავალფეროვანია. აქ უამრავი ცხოველი ბინადრობს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ საქართველოში ან კავკასიაში გვხვდება, მაგალითად, ჯიხვი. აჩვენეთ ჯიხვის სურათები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა საქართველოა.

ხელოვნება

- აჩვენეთ ბავშვებს ფიროსმანის „მეეზოვე". დაურიგეთ გასაფერადებლად ფიროსმანის მეეზოვის შავ-თეთრი ვერსია (დანართი 1.21.1.).
- მოიმარაგეთ ორი ტონის ყავისფერი ხელის საღებავები. სთხოვეთ ბავშვებს, ჯიხვის დასახატად ხელისგული შეიღებონ და ისე დატოვონ ორი ანაბეჭდი, რომ ჯიხვის ტანს დაემსგავსოს. ოთხი ფეხით (თითო ფეხი შეტყუპებული ორი თითია) და კუდით (ცერა თითი). შემდეგ თავის მისახატად ხელისგულის პატარა ნაწილით დატოვონ ანაბეჭდი. თითით მიახატონ დრუნჩი და დაგრეხილი რქები. გამოიყენონ შედარებით ღია ფერის საღებავი. როდესაც გაშრება, შავი მარკერით მიუხატეთ თვალები და ნესტოები.



- მარილიანი ცომით, თიხით ან პლასტელინით გამოაძერწვინეთ ბავშვებს თონე, შოთის პურები, ქვევრები და დოქები. მოახატინეთ დოქები დანართი 1.21.2-ში მოცემული ნიმუშების მიხედვით.
- აჩვენეთ ბავშვებს ხალხური ორნამენტის ნიმუშები, სთხოვეთ, გადაიხატონ ან თვითონ შექმნან და გააფერადონ ორნამენტი (დანართი 1.21.2.).
- „ლურჯი სუფრები“ მოიმარაგეთ ლურჯი ფერის ქსოვილი, დანართის მიხედვით მუყაოსგან წინასწარ გამოჭერით ორნამენტები. გააკეთებინეთ ბავშვებს თეთრი გუაშის ანაბეჭდები ლურჯ ქსოვილზე (დანართი 1.21.3.).

მუსიკა და მოძრაობა

- ათამაშეთ „ხაჭაპურო, ხაჭაპურო გამოცხვი.“
- იმღერეთ სიმღერები საქართველოზე.
- ძველებური თამაში „კაკლობანა“: მოიმარაგეთ რამდენიმე კაკალი. ჩაამწკრივეთ რამდენიმე ბავშვი და ერთი კაკალი დადეთ მათგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით. ბავშვები რიგრიგობით უნდა ეცადონ იმ კაკალს ადგილიდან სხვა კაკალი მოახვედრონ. სანამ ვინმე სამიზნე კაკლისათვის სხვა კაკლის მორტყმას მოახერხებს, მიმოფანტული კაკლები იატაკზე რჩება. საბოლოოდ ყველა კაკალი იმისია, ვინც სამიზნე კაკალს თავის კაკალს მოახვედრებს.

სამაგიდო



- დაურიგეთ დანართში მოცემული საქართველოს რუკა (დანართი 1.21.4.) და ფლომასტერი. სთხოვეთ ბავშვებს, შემოხაზონ კონტური.
- დაამზადეთ საქართველოს რუკის ფაზელი. სთხოვეთ ბავშვებს, ააწყონ ნიმუშის მიხედვით (დანართი 1.21.5.).
- ათამაშეთ ბავშვებს „მემო“ საქართველო (დანართი 1.21.6.)
- სთხოვეთ, შემოხაზონ ის ადამიანები, რომლებსაც ქართული ნაციონალური ტანსაცმელი აცვიათ (დანართი 1.21.7.).

სენსორული

- მოიმარაგეთ სათამაშო ცომი, ნაწილი თეთრი ფერის (ვითომ ცომია), ნაწილი კი წითელი (ვითომ ხორცია) და სთხოვეთ, „ხინკლები“ მოახვიონ. ჯერ გააბრტყელონ ცომი, გამოჭრან მრგვალი ფორმები (მაგ. სათამაშო ფინჯნებით), ისევ გააბრტყელონ, მოათავსონ ცოტაოდენი „ხორცი“ და შეკრან.
- უთხარით ბავშვებს, რომ საქართველოში ნაპოვნია დინოზავრების ნაკვალევი. აჩვენეთ სათაფლიაში ნაპოვნი ნაკვალევის სურათები. მოიმარაგეთ ყავისფერი პლასტელინი და სათამაშო დინოზავრები. სთხოვეთ ბავშვებს, სათამაშო დინოზავრებს „მიწაში“ ნაკვალევი დაატოვებინონ.

წიგნიერება

- მოუყევით ქართველი გმირი მეფეების შესახებ, წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ვახტანგ მეფე“, „ჩვენი ბატონი ერეკლე“.

კონსტრუქციული



- წინასწარ დიდი ქაღალდისგან (მაგ. შპალერისგან) გამოჭერით საქართველოს რუკა. ფურცლებზე დახატეთ ან მოიმარაგეთ საქართველოს ღირსშესანიშნაობების (მაგალითად, ვარძია, სვეტიცხოველი და სხვა), კავკასიონის მთების, ტყის, ზოგიერთი ცხოველის სურათები. სთხოვეთ ბავშვებს, ნახატები გააფერადონ, ამოჭრან და რუკაზე დააწებონ. დაეხმარეთ ადგილების სწორად შერჩევაში.
- აჩვენეთ სვანური კოშკების და გალავნიანი ქალაქების (სიღნაღი) ან კომპლექსების (ანანური, ნარიყალა) სურათები. სთხოვეთ, ააშენონ მსგავსი ნაგებობები კუბურების გამოყენებით.
- ცენტრში შეიტანეთ სხვადასხვა ზომის ჯოხები. აჩვენეთ ბავშვებს ქართული დარბაზული სახლის ფოტო ან ნახატი და წაახალისეთ, ააწყონ „გვირგვინი“ ჯოხების ან ხის მოგრძო კუბურების დახმარებით.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ეთნოგრაფიულ მუზეუმში. წასვლამდე ისაუბრეთ არქიტექტურაზე, როგორი აივნიანი სახლებია ძველ თბილისში. აჩვენეთ ელენე ახვლედიანის ნამუშევრები. უთხარით, რომ საქართველოს ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი არქიტექტურა აქვს.

კულინარია



- უთხარით, რომ საქართველო მდიდარია მინერალური მჟავე წყლების წყაროებით. წყალს აგროვებენ და შემდეგ მაღაზიებში ყიდიან. გაასინჯეთ ბორჯომი, ლიკანი და ნაბეღლავი. სთხოვეთ, კარგად გაუსინჯონ გემო. რომელი წყალი მოსწონთ ყველაზე მეტად?

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი საქართველოს შესახებ?
- „მშობლები“, „სამშობლო“ – ასაუბრეთ, რატომ აქვს ამ ორ სიტყვას საერთო ძირი.

2. საქართველო

დილის წრე



- უთხარით, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობთ და ის ჩვენ, ყველას გვეკუთვნის, მიუხედავად ეროვნებისა, რადგან ჩვენ, ყველანი საქართველოს მოქალაქეები ვართ.
- აუხსენით, რას ნიშნავს – მოქალაქე. ჰკითხეთ, მუშაობენ თუ არა მათი ოჯახის წევრები? აუხსენით, რომ ქვეყანას აქვს საერთო საფულე, (სალარო) რომ ყველანი ვაგროვებთ ამ საფულეში ფულს ქვეყნის ასაშენებლად. ეს უფროსების მოვალეობაა.
- უთხარით, რომ მათი მოვალეობაა საკუთარი თავის მოფრთხილება, კარგად მოქცევა, სწავლა.
- აუხსენით, რომ ძველად მთავარი ვალი იყო ქვეყნის დაცვა მტრებისგან, რადგან ხშირი იყო ომები. ახლა მშვიდობაა, მთავარია: სწავლა, შრომა, შენება.

ხელოვნება

- აჩვენეთ საქართველოს დროშა. რამდენ ჯვარს ხედავ? მოიმარაგეთ წითელი და თეთრი თხელი ქაღალდისგან გამოჭრილი, პატარა ზომის ოთხკუთხედები, სახატავი ფურცელი (რომელზეც წინასწარ დაახატავთ საქართველოს დროშის ჯვრებს) და თეთრი წებო. სთხოვეთ ბავშვებს, წაუსვან ფურცელს წებო. აიღონ თითო-თითო წითელი ქაღალდის ოთხკუთხედები, დაკუჭონ და დააწებონ დახატულ ჯვრებზე. დარჩენილი ადგილებში დააწებონ თეთრი დაკუჭული ფურცლები.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ საქართველოს ჰიმნი.
- ჩაურთეთ ხალხური საცეკვაო მუსიკა და ბავშვები აცეკვეთ.

სამაგიდო



- აუხსენით, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი გერბი და დროშა. წაახალისეთ, შემოხაზონ საქართველოს გერბი და დროშა (დანართი 1.21.8.).
- მათემატიკა. მიეცით ფურცლები მაღალსართულიანი სახლების გამოსახულებით და სხვადასხვა ზომის საქართველოს დროშებით. სთხოვეთ ბავშვებს გამოჭრან დროშები და დააწებონ ყველაზე მაღალს ყველაზე – დიდი, საშუალოს – საშუალო, მომცროს – პატარა (დანართი 1.21.9.).

დრამატული



- ითამაშონ: „სახლობანა“. ახსენით, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ოჯახი ქვეყნისთვის.
- ითამაშონ: „პოლიციელობანა“, „ხანძრობანა“, „ექიმობანა“, „სკოლობანა“. აირჩიონ თვითონ და თვითონვე ახსნან, რითი არის მნიშვნელოვანი ესა თუ ის საქმიანობა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „მხედართა ძველი სიმღერა“, „სიმღერა სამშობლოზე“, „სიმღერა საქართველოზე“, „საქართველოს დავხატავ“ და „ყველა სიტყვა“.

კონსტრუქციული



- კუბურებითა და სხვადასხვა საშენი მასალებით ააგონ ძველებური ციხე-სიმაგრე, ჩააყენონ ჯარისკაცები, ითამაშონ ომობანა.
- იმავე მასალებით ააგონ რაიმე შენობა, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია ქვეყნის შენებისთვის მშვიდობიანობის დროს (სკოლა, ბაღი, მაღაზია, საავადმყოფო). წაახალისეთ მათი ნებისმიერი არჩევანი, ახსენით, რატომ არის ეს შენობა მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, როგორ აპირებენ ემსახურონ ქვეყანას, ვის რა პროფესიის უნდა, რომ გამოვიდეს?
- რა მოეწონათ დღის მანძილზე, რა – არა, რატომ?

3. დედაქალაქი თბილისი

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია.
- მოუყევით თბილისის დაარსების ლეგენდა.
- მოუყევით გოგირდის აბანოების შესახებ.
- ესაუბრეთ თბილისის ღირსშესანიშნაობებზე და ჰკითხეთ, სად მოსწონთ ყველაზე მეტად გასეირნება.
- უთხარით, რომ თბილისი ყოველთვის ტოლერანტული ქალაქი იყო (აუხსენით ბავშვებს ამ სიტყვის მნიშვნელობა) და რომ ამის ნიშანი, თბილისის ძველ უბანში გვერდიგვერდ მყოფი სინაგოგა, მეჩეთი, სომხური სამოციქულო ეკლესიის ტაძარი და მართლმადიდებლური ტაძრებია.
- ჰკითხეთ, როგორ სახლებში ცხოვრობენ თვითონ, რა ჩანს მათი სახლის ფანჯრებიდან; ისაუბრეთ იმაზე, რომ ქალაქში ზოგი სახლი მრავალსართულიანია, ზოგი კი – არა.

ხელოვნება

- კოლაჟი „ჩემი ქალაქი“. სთხოვეთ ბავშვებს, საკუთარი სახლები დახატონ შემდეგ გამოჭერით და დიდ ფორმატზე დააწებებინეთ.
- ხატვა საღებავით: ჩემი ქალაქის ხიდი.

სამაგიდო



- დაამთავრე სახლების ორნამენტი და გააფერადე (დანართი 1.21.10.).
- დახატე ქუჩაში მანქანები (დანართი 1.21.11.).
- შემოხაზე სიტყვა თბილისი (დანართი 1.21.12.).
- გაიმეორე ნახატი (დანართი 1.21.13.).

დრამატული



- გაანაწილეთ როლები და სთხოვეთ ბავშვებს ვახტანგ გორგასლის ნადირობის ამბის ინსცენირება, ზოგი ვეზირი იქნება, ზოგი მონადირე, ზოგი შიკრიკი და ა.შ.

წიგნიერება

- ჰკითხეთ, თუ იციან, რომელ უბანში ცხოვრობენ? თუ გაუგიათ სხვადასხვა უბნების სახელები? წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ავტობიოგრაფია“. აუხსენით, რომ ვერა თბილისის ერთ-ერთი უბანია. ჰკითხეთ, როგორ ფიქრობენ, სახელით, გვარითა და უბნით შესაძლებელია ადამიანის მოძებნა? კიდევ საჭიროა, ქუჩის სახელი, სახლის ნომერი, თუ სახლს რამდენიმე სადარბაზო აქვს, სადარბაზოს, ბინის, სართულის ცოდნა. შესთავაზეთ, მოიფიქრონ მისამართები ნიმუშის მიხედვით (ასათიანის ქუჩა, ნომერი 8, მე-4 სადარბაზო, მე-5 სართული, ბინა ნომერი 6).

კონსტრუქციული



- დაეხმარეთ ბავშვებს, დაამზადონ ქალაქის მაკეტი მუყაოს ყუთების გამოყენებით.
- ააშენეთ კუბურებით ქალაქი.
- დაამზადეთ მუყაოსგან ხიდი.
- დაეხმარეთ ბავშვებს, მუყაოს ყუთებისგან ყვითელი ავტობუსები დაამზადონ.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ექსკურსიაზე ძველ თბილისში. აჩვენეთ, გაატარეთ რუსთაველსა და თავისუფლების მოედანზე, აუხსენით, სად რა შენობა დგას და რომელს რა ფუნქცია აქვს.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, იციან თუ არა საკუთარი სახლის მისამართი? (მასწავლებელი წინასწარ არის მომზადებული და ყველა ბავშვის მისამართი აქვს მონიშნული, თუ ბავშვმა არ იცის მისამართი, თვითონ ეუბნება და სთხოვს რომ დაისწავლოს)

4. დამოუკიდებლობის დღე

დილის წრე

- უთხარით, რომ 26 მაისი საქართველოს თავისუფლების დღეა.
- უთხარით, როგორი მნიშვნელოვანია თითოეული მათგანი ქვეყნისთვის, რომ როცა გაიზრდებიან, ეს ქვეყანა მათ უნდა აშენონ.
- ჰკითხეთ, თუ იციან, რა არის თავისუფლება?
- სთხოვეთ მოხალისეს მოგცეთ უფლება გაკოჭოთ. ახსენით, რომ ახლა მისი თავისუფლება შეზღუდულია. აჭამეთ რაიმე საყვარელი ტკბილეული. როგორ ფიქრობენ, საყვარელი საჭმლის ჭამა ისევე სასიამოვნო იყო, როგორც ჩვეულებრივ მდგომარეობაში იქნებოდა?
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „მახეში გაბმული ჩიტი“. იმსჯელეთ, რომ პატარა ჩიტმაც კი იცის, თავისუფლება ყველაზე საჭირო და ძვირფასი რომაა. აუხსენით, რომ ამ დღეს გათავისუფლდა ქვეყანა და ამიტომ ვდღესასწაულობთ 26 მაისს.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ მუქი ლურჯი სქელი ფურცელი და წყალში გაზავებული სხვადასხვა ღია ფერის გუაშის საღებავი. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დააწვეთონ ცოტაოდენი ღია ფერის საღებავი ქაღალდზე და ფეიერვერკის დასახატად, საღებავის თავზე მოთავსებულ საწრუპში ჩაბერონ.

- მოიმარაგეთ თეთრი ქაღალდი, წითელი ფურცლისგან გამოჭრილი ლენტები და წებო. სთხოვეთ ბავშვებს, ააწყონ საქართველოს დროშა.
- მოიმარაგეთ მასალა და წაახალისეთ ბავშვები, დაამზადონ დასარტყამი ინსტრუმენტები, ცარიელი კონტეინერებისგან.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ მარში. გამოიყენონ თავიანთი დამზადებული ალმები და დასარტყამი ინსტრუმენტები. მოაწყვეთ მარშირება.

სამაგიდო



- წინასწარ გამოჭერით თეთრი ალმები და მყარი მუყაოს ტარები. ალამზე წერტილებით მონიშნეთ ჯვრების კონტურები. დაურიგეთ ბავშვებს წითელი ფერის პასტელები და წებო. სთხოვეთ, წერტილები შეაერთონ, შემდეგ ალამს ტარი მიაწებონ.
- დაურიგეთ გასაფერადებლები „მე მიყვარს საქართველო“, გააფერადონ და ჩახატონ საქართველოს დროშა (დანართი 1.21.14.).

დრამატული



- ბავშვებმა გაითამაშონ აღლუმი. ჩართეთ მუსიკა და ზოგმა ჩაიბაროს აღლუმი, ზოგიც ჯარისკაცი იყოს, ზოგი თვითმფრინავი. ბოლოს გაუშვან ფეიერვერკები (აყარონ ლენტები და ქაღალდის პატარა ნაკუწები).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „კიდევაც დაიზრდებიან“, „ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს“, „სამშობლო ხავსურისა“, „პატარა ქართველი“, „სიმღერა“.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, კუბურებით (თეთრი და წითელი) ააწყონ საქართველოს დროშა.

მეცნიერება

- აუხსენით, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა ავითარებს, აშენებს ქვეყანას.
- მოუყევით დანართიდან „ძალა ერთობისა“. დაამტკიცეთ ცდის საშუალებით.

საღამოს წრე

- რა მოეწონათ საქართველოს თემაში?
- რა გაიგეს თავისუფლების შესახებ?

მწერები

1. ჭიანჭველები
2. საქმიანი ფუტკრები
3. ჭიამაიები
4. ციცინათელები
5. მუხლუხოები და პეპლები

1. ჭიანჭველები

დილის წრე

- მოაგროვეთ ჭიანჭველები (რომლებიც არ იკბინებიან) ქილაში და კარგად დაახურეთ თავსახური. ეცადეთ, დედა ჭიანჭველა დაიჭიროთ. ჩვეულებრივ, დედა ჭიანჭველას ოთხჯერ უფრო გრძელი მკერდი აქვს, ვიდრე – მუშა ჭიანჭველას.
- ბაღში მოსვლისთანავე სთხოვეთ ბავშვებს, ჩაებან ჯაჭვში, ვითომ ჭიანჭველები არიან. მივიდნენ დილის წრესთან. კარგი იქნება, თუ ტკბილეულს დაახვედრებთ. ჭიანჭველები ხომ მუდმივად საკვებს დაეძებენ... განსაკუთრებით კი ტკბილეული უყვართ.

- გაარკვიეთ, რა იციან ჭიანჭველების შესახებ. აჩვენეთ ჭიანჭველები.
- უთხარით, რომ ჭიანჭველა მწერია. მისი სხეული სამი ნაწილისაგან შედგება (თავი, მკერდი, მუცელი). აქვს ექვსი ფეხი და ორი ანტენა.
  - * ჭიანჭველები დიდ ჯგუფად ცხოვრობენ. ასეთ ჯგუფს კოლონია ეწოდება. მთელ ცხოვრებას სახლის შენებაში (შეუძლიათ მიწის ქვეშ გვირაბების გაყვანა), საკვების მოგროვება-შენახვაში ატარებენ.
  - * ჰკითხეთ, უნახავთ, როგორ ეზიდება ჭიანჭველა თავისზე ბევრად დიდი ზომის ტვირთს?
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ჭიანჭველებია.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ მელანი, ფანქრები და პასტელები. წაახალისეთ ბავშვები, ცერა თითის სამი ანაბეჭდის მეშვეობით ჭიანჭველა დახატონ. შემდეგ ფანქრებით ან პასტელებით ფეხები და ანტენები მიუხატონ.

მუსიკა და მოძრაობა

- ჩართეთ სწრაფი მუსიკა და წაახალისეთ ბავშვები, ჭიანჭველებივით იფუსფუსონ.
- დაურიგეთ ბავშვებს დოლები, წაახალისეთ შექმნან რითმი, რომელიც ჭიანჭველის სწრაფ მოძრაობას შეესაბამება.

სამაგიდო



- წინასწარ დაამზადეთ მაგნიტური ლაბირინთი. ყუთის ძირზე (25სმ./0სმ.) ლაბირინთი დახატეთ, მონიშნეთ საწყისი წერტილი და ლაბირინთის ბოლოში დახატეთ ნამცხვრები. მოიმარაგეთ მაგნიტი და პატარა სათამაშო ჭიანჭველა (შეგიძლიათ გამოჭრათ მყარი ქაღალდისგანაც), ერთი მაგნიტი ჭიანჭველას ძირში მიამაგრეთ და ლაბირინთის დასაწყისში დასვით. წაახალისეთ ბავშვები, მეორე მაგნიტის გამოყენებით ჭიანჭველა ნამცხვრამდე მიიყვანონ.



- ითამაშეთ დანართში მოცემული მწერების მემოს თამაში (დანართი 1.22.1.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „სპილო და ჭიანჭველები“ და „ჭრიჭინა და ჭიანჭველა:“

საღამოს წრე

- რა ისწავლეთ ჭიანჭველების შესახებ?
- როგორ გადაადგილდებოდნენ ჭიანჭველები, დიდი ზომისანი რომ იყვნენ?
- რას ფიქრობენ, როგორები ვჩანვართ ჭიანჭველის თვალით?

2. საქმიანი ფუტკრები

დილის წრე

- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა ფუტკრების შესახებ. აჩვენეთ ფუტკრების სურათები ან თუ შესაძლებელია, ნამდვილი ფუტკრები.

* ფუტკრები სკებში ცხოვრობენ. ყოველ სკას ერთი დედა ფუტკარი, ათასობით მუშა ფუტკარი და რამდენიმე ასეული მამალი ფუტკარი ჰყავს.

* მუშა ფუტკრები ყვავილებიდან ნექტარს აგროვებენ და თაფლს ამზადებენ. დედა ფუტკარი კი კვერცხებს დებს, საიდანაც ფუტკრები იჩეკებიან.

* ფუტკრებს ყვავილის მტვერი ერთი ყვავილიდან მეორეზე გადააქვთ და მეტი ახალი ყვავილი ამოდის.

* ფუტკრები ერთმანეთთან ურთიერთობას მოძრაობით ამყარებენ, ფუტკრები ცეკვავენ, რომ ერთმანეთს შეატყობინონ, სად მოიპოვება ნექტარი. წრიული ცეკვა ნიშნავს, რომ ნექტარი ახლოსაა, ქანქარისებური ცეკვა კი იმის მაუწყებელია, რომ ნექტარი შორს არის.

* უთხარით, რომ მხოლოდ მუშა ფუტკარს აქვს ნესტარი, რომელსაც თავის დასაცავად მტერს ასობს. თუ არ შეაწუხე ფუტკრები, იერიშზე არ გადმოდიან.

* უთხარით, რომ სკაში ყოველთვის არიან ა. მზვერავი ფუტკრები, რომლებსაც ინფორმაცია მოაქვთ, სად და რამდენია საკვები. ბ. ძიძა ფუტკრები, რომლებიც კვერცხებს პატრონობენ და ყვავილების მტვრით კვებავენ. გ. მშენებელი ფუტკრები, რომლებიც ფიჭას აშენებენ. დ. გუშაგები, რომლებიც კარებს ყარაულობენ და თავიანთი სკის ფუტკარს სუნით ცნობენ, უცხო რომ არ შეეპაროთ. ე. ფუტკარი ვენტილატორები, რომლებიც ფრთებით სკას ანიავებენ, როცა ცხელა, ფიჭა რომ არ ჩამოდნეს. ვ. თაფლზე მომუშავე ფუტკრები. ზ. მეომარი ფუტკრები და ყველამ თავისი საქმე იცის.

* ზამთარში ფუტკრები ერთმანეთს ეხუტებიან და გუნდ-გუნდად გადადიან ფიჭიდან ფიჭაზე. გარეთ რაც არ უნდა ციოდეს, ამ გუნდის შუაში ძალიან თბილა. შეუძლიათ ერთმანეთს ჩაეხუტონ და ცოტა ხანში სითბოს მომატებას თავადაც იგრძნობენ.

- ჰკითხეთ ბავშვებს, ფუტკარს თუ უკბენია, რა იგრძნეს?
- უთხარით ბავშვებს, რომ ნებისმიერი მწერის კბენის შემთხვევაში უნდა უთხრან უფროსებს.
- ჰკითხეთ ბავშვებს, არის თუ არა ფუტკარი მწერი. დაითვალონ სხეულის ნაწილები, ფეხები და ანტენები. რა აქვს ფუტკარს, რაც ჭიანჭველების უმრავლესობას არ აქვს (პასუხი: ფრთები)?
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ფუტკრებია.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ყვითელი და შავი საღებავები და წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ფუტკრები.
- მოიმარაგეთ ყვითელი თითის საღებავი, რომ ბავშვებმა ფურცელს ცერის ანაბეჭდები დაასვან. როდესაც გაშრება, შავი მარკერებით გაუკეთონ ზოლები.

მუსიკა და მოძრაობა

- ჩართეთ მუსიკა და დაურიგეთ ბავშვებს ორ-ორი ერთჯერადი თეფში, ვითომ ფრთებია. წაახალისეთ შეასრულონ ფუტკრების ცეკვა (ფუტკარი ჰაერში „რვიანებს“ ხაზავს).



- ყველამ ერთად გაითამაშეთ:
  აქ არის სკა (აჩვენეთ შეკრული მუჭა)
  სად არიან ფუტკრები?
  იმალებიან იქ, სადაც ვერავინ დაინახავს.
  ახლა კი ყველანი გამოფრინდებიან.
  აი, ეს მესმის!
  ერთი! ორი! სამი! ოთხი! ხუთი! (გამოშალეთ სათითაოდ თითები)
- მოასმენინეთ ბავშვებს რიმსკი კორსაკოვის „ფუტკრების გადაფრენა“. რას გრძნობენ მუსიკის მოსმენისას? იცეკვონ მუსიკის თანხლებით.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ მწერების „მემო“ (დანართი 1.22.1.).
- მათემატიკა. დანართის მიხედვით გამოჭერით ყვავილები და ფუტკრები. მიეცით სხვადასხვა რაოდენობის ყვავილები და ფუტკრები, იმის დასადგენად, თუ რომელია მეტი. სთხოვეთ ბავშვებს, დააწყვილონ ფუტკრები ყვავილებთან (დანართი 1.22.2.).

სენსორული

- „ყვავილის მტვერი“ (ფხვიერი ყვითელი საღებავით შეღებილი ქვიშა ან მარილი) ბავშვებმა თავთავიანთ ფურცელზე გადაიტანონ და თითით სხვადასხვა ფიგურები დახატონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ჭიანჭველა და ფუტკარი“.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ფუტკარი“, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ რამდენიმე (2.5სმ. x 20სმ.) ყვითელი და შავი ლენტი, რომ ბავშვებმა მონაცვლეობით დააფინონ, ფუტკრის ტანს დაამსგავსონ.
- მოიმარაგეთ სქელი ყვითელი ფურცლისგან წინასწარ გამოჭრილი ეგზაგონის ფორმები, რომ ბავშვებმა ფიჭა ააგონ.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ ფიჭა და გამადიდებელი შუშები, რომ ბავშვები დააკვირდნენ. რა ფორმისაა ფიჭის თითოეული სექცია?

საღამოს წრე

- რა ისწავლე ახალი ფუტკრების შესახებ?
- რითი ჰგვანან ფუტკრები ჭიანჭველებს? რითი განსხვავდებიან?
- ვის შეუძლია ფუტკრების ცეკვის შესრულება?
- რა პროდუქტებს გვაძლევს ფუტკარი (თაფლი, სანთელი, დინდგელი, ჭეო)?

3. ჭიამაიები

დილის წრე

- აჩვენეთ ბავშვებს ჭიამაიების სურათები ან, თუ შესაძლებელია, ცოცხალი ჭიამაიები.
- გაარკვიეთ, რა იციან მათ შესახებ.
- უთხარით, რომ ჭიამაია ხოჭოა.
  * ის ბაღლინჯოს ერთ-ერთი სახეობით – ბუგრებით (მცენარის ტილი) იკვებება, რომლებიც მცენარეებს ანადგურებენ. ერთ ჭიამაიას დღეში ოცდახუთი ბუგრის შეჭმა შეუძლია. ბუგრები ჭამენ მცენარეებს და ანადგურებენ. ჭიამაიები კი, ბუგრების შეჭმით, იცავენ მცენარეებს. ამის გამო ისინი ძალიან უყვართ ფერმერებს.
  * ძირითადად წითლები არიან შავი კოპლებით, მაგრამ ასაკთან ერთად ფერი ეკარგებათ და სტაფილოსფრები ხდებიან.
  * 1999 წელს ჭიამაიები გაგზავნეს კოსმოსური ხომალდით კოსმოსურ მისიაზე, რომ ენახათ, როგორ გაართმევდნენ ისინი თავს კოსმოსში ცხოვრებას.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ჭიამაიებია.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ წითელი და შავი საღებავები, ფუნჯები და გლუვი ქვები. თითოეულ ბავშვს თითო ქვა დაურიგეთ და წაახალისეთ, ჭიამაიასავით შეღებონ.

მუსიკა და მოძრაობა



- დაურიგეთ ბავშვებს ორ-ორი წითელი ფერის ერთჯერადი თეფში და სთხოვეთ, კლასიკური მუსიკის თანხლებით ჭიამაიებივით „იფრინონ“.
- ათამაშეთ ბავშვები „ჭიამაიამ თქვა“. მიეცით ადვილი მითითებები (მაგალითად, ასწიე

ხელები, ჩაიკუზე, დაბზრიალდი), რომლებიც უნდა შეასრულონ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინადადებას დაიწყებთ „ჭიამაიამ თქვა“-თი.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ მწერების „მემო“ (დანართი 1.22.1.).
- წინასწარ ამობეჭდეთ დანართში მოცემული ჭიამაიები, გააფერადეთ, გაუკეთეთ ლამინირება და გამოჭერით. დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, სწორად შეაერთონ ჭიამაიების ნახევრები (დანართი 1.22.3.).

დრამატული



- ბავშვებმა მოიხვიონ წითელი შარფები და გაითამაშონ ის ზღაპარი ან ლექსი, რომელიც ჭიამაიებზე მოისმინეს.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ჭიამაია.“

მეცნიერება

- თუ ცოცხალი ჭიამაიები გყავთ, მოიმარაგეთ გამადიდებელი შუშები და წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ.

საღამოს წრე

- რა ისწავლე ახალი ჭიამაიების შესახებ?
- გაუხარდებოდათ ფერმერებს ჭიამაიების ფერმაში დანახვა? რატომ?

4. ციცინათელები

დილის წრე



- მოიმარაგეთ ასანთი ან სხვა სინათლის წყარო. აანთეთ. უთხარით რომ არსებობს არსება, რომელიც სინათლის წყაროს თვითონ წარმოქმნის.
- აჩვენეთ ციცინათელას სურათები. დაითვალეთ მისი ფეხები, ანტენები და სხვა. მწერია?

ხელოვნება



- მოიმარაგეთ საღებავი, რომელიც სიბნელეში ანათებს და სთხოვეთ ბავშვებს ციცინათელების დახატვა.
- ბავშვებმა თიხისგან ციცინათელები გამოძერწონ და კუდთან ბრჭყვიალა ქვები მიამაგრონ.

მუსიკა და მოძრაობა

- ერთ-ერთ ბავშვს მიეცით ფარანი. ჩააბნელეთ ოთახი, რამდენადაც შესაძლებელია. ბავშვი დაიმალოს და უცბად აანთოს და ჩააქროს ფარანი. ვინც პირველი იპოვის მას, გახდება შემდეგი „ციცინათელა.“
- დაურიგეთ ბავშვებს ფარნები. ხან მოკლე და ხანაც ხანგრძლივი დროით გაანათონ ბნელ ოთახში და იცეკვონ მუსიკის თანხლებით.

სამაგიდო



- ათამაშეთ მწერების კონცენტრაციის (მემო) თამაში (დანართი 1.22.1.).
- წინასწარ დახატეთ და გამოჭერით რამდენიმე ციცინათელა (დანართი 1.22.4.). მათი კუდები თეთრიდან – მუქ ყვითლამდე გააფერადეთ. სთხოვეთ ბავშვებს, ციცინათელები მათი კუდების ფერის სიმუქის მიხედვით დაალაგონ, ყველაზე ღია ფერიდან – ყველაზე მუქამდე.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „სალამურა“ (იხ. დანართი „საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები“).
- შეახსენეთ, როგორ ნათებას ჰქვია ციმციმი?

კონსტრუქციული



- ბავშვებმა კუბურებით ააშენონ ციცინათელების სახლები.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა ისწავლეს ციცინათელების შესახებ და რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად.

5. მუხლუხოები და პეპლები

დილის წრე

- მწვანე, მყარი ფურცლისგან წინასწარ გამოჭერით ფოთლები, გამოიყენეთ ისინი და შემოსასვლელი კარიდან დილის წრემდე ბილიკი გაკვალეთ. სთხოვეთ ბავშვებს, გაყვნენ ამ ბილიკს.
- წინასწარ დაამზადეთ მუხლუხო/პეპელას თოჯინა. ამისთვის დაგჭირდებათ ერთი ყავისფერი ან შავი ფერის წინდა, 4 მოძრავი თვალი და 2-3 ფერის თექა. თექისგან გამოჭერით პეპლის ფრთები და წინდას მიაკერეთ, მიაწებეთ ორი თვალი. როდესაც წებო შეშრება, გადმოატრიალეთ წინდა და შიგნითა მხარესაც ორი მოძრავი თვალი დააწებეთ (თუ მოძრავი თვალი არ გაქვთ, შეგიძლიათ თეთრი და შავი თექისგან გამოჭრათ და მიაკეროთ). თოჯინა მუხლუხოების თემის გაცნობისას გამოიყენეთ.



- გაარკვიეთ, რა იციან მუხლუხოების შესახებ. აჩვენეთ ბავშვებს ნამდვილი მუხლუხო ან ფოტოები.

- აუხსენით, რომ მუხლუხო არის ჭია, რომელიც პეპლად (მწერად) გადაიქცევა. დააკვირდით მუხლუხოს. მწერია? აქვს სხეულის სამი ნაწილი, ექვსი ფეხი და ორი ანტენა? ჯერ – არა.
- აუხსენით, რომ პეპლები მწერები არიან. აჩვენეთ პეპლის სურათი და დაითვალეთ მათი სხეულის ნაწილები, ფეხები და ანტენები.
  * ესაუბრეთ ბავშვებს მეტამორფოზაზე. მართალია, გრძელი სიტყვაა, მაგრამ ბავშვებს მისი წარმოთქმა ძალიან მოსწონთ.
  * პეპლის სიცოცხლის ციკლი ოთხ პერიოდად იყოფა, მუხლუხო მეორე საფეხურია, იქამდე ის კვერცხია. ესაუბრეთ ცხოვრების ციკლზე.
  * გაითამაშეთ ბავშვებთან ერთად ოთხივე საფეხური. თავიდან შეკარით მუშტი, ვითომ კვერცხია. შემდეგ კვერცხიდან მუხლუხო გამოიჩეკება, ეს საჩვენებელი თითით განასახიერეთ. მესამე საფეხურზე, მუხლუხო იკეთებს ჭუპრს და მასში ეხვევა; მეორე ხელი შემოაკარით საჩვენებელ თითს. ბოლოს კი ჭუპრიდან პეპელა გამოძვრება, ამოძრავეთ ხელები ფრთებივით, ვითომ პეპლები ხართ.
  * მუხლუხო/პეპელას თოჯინა საფეხურების საჩვენებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ.
  * სანამ მუხლუხო პეპლად გადაიქცევა, ჭამის მეტს არაფერს აკეთებს. ჭამს და ჭამს ფოთლებს. პეპელა კი ყვავილების ნექტრით იკვებება.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა მუხლუხოები და პეპლებია.

ხელოვნება



- წინასწარ გადაკეცეთ თეთრი სქელი ფურცლები შუაზე და დაახატეთ ნახევარი პეპელა. დაურიგეთ ბავშვებს მაკრატლებთან ერთად. სთხოვეთ გამოჭრან და შემდეგ გაშალონ. შემდეგ აჩვენეთ, როგორ დაადონ ორი სხვადასხვა ფერის სქელი საღებავი პეპლის ერთერთ ფრთას და ისევ გადაკეცონ. ორივე მხარეს ერთნაირ ნახატს მიიღებთ მარიონეტების დასამზადებლად, პეპლებს ჯოხები მიამაგრეთ (საწრუპი).



- თეთრი ქაღალდისგან თითოეული ბავშვისთვის წინასწარ გამოჭერით 13 წრე (დიამეტრი 5 სანტიმეტრი). დაეხმარეთ დათვლაში. სთხოვეთ, ერთმანეთზე დააწებონ ვითომ მუხლუხოა. შავი ქაღალდისგან ექვსი ფეხი გამოჭრან და მიაწებონ. გაშრობის შემდეგ ფანქრებითა და ფლომასტერებით გააფერადონ, დაკეცონ მარაოსავით და ბოლოებში ჯოხები (საწრუპი) მიამაგრონ. ჯოხების ერთმანეთთან მიახლოებით და დაშორებით შესაძლებელია მუხლუხო „ახოხონ“.



- მოიმარაგეთ წიგნები პეპლების ილუსტრაციებით. სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ პეპლებს და დახატონ.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ პიპეტი და წყალში გახსნილი სხვადასხვა ფერის საკონდიტრო საღებავი პატარა ზომის შემწოვ ქაღალდზე დააწვეთონ ან აკვარელის საღებავებით სველ ხელსახოცებზე დახატონ. როდესაც ქაღალდი გაშრება, დაეხმარეთ ხის სარეცხი სარჭის გაკეთებაში. მიახატონ თვალები მარკერით.





მუსიკა და მოძრაობა

- სთხოვეთ ბავშვებს, გაითამაშონ სცენა: თავიდან პატარა კვერცხები არიან, რომლიდანაც გამოიჩეკებიან მუხლუხოები. მუხლუხო ჭამას იწყებს და ნელ-ნელა იზრდება, ჭუპრად იქცევა. იქიდან კი პეპელა გამოდის და ცაში ფარფატით აიჭრება.
- მოასმენინეთ ბავშვებს სხვადასხვა იავნანა. სთხოვეთ, აარჩიონ ერთი, რომ მოასმენინონ „მუხლუხოს“, სანამ ის პარკშია გახვეული.
- მოიმარაგეთ ფერადი შარფები, ჩართეთ კლასიკური მუსიკა და სთხოვეთ ბავშვებს, პეპლებივით იცეკვონ.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ მწვანე ფურცლისგან გამოჭრილი ფოთლები, მწვანე ფერის სქელი ძაფები („მუხლუხოები“) და პინცეტები. ფოთლები 1-დან 5-მდე დანომრეთ და სთხოვეთ ბავშვებს, პინცეტების საშუალებით „მუხლუხოების“ შესაბამისი რაოდენობა ფოთლებზე დააწყონ.
- დანართიდან ამოჭერით პეპლის ცხოვრების ოთხი პერიოდის ბარათები (დანართი 1.22.5.) სთხოვეთ, თანმიმდევრულად დააწყონ და თან აღწერონ თითოეული საფეხური.
- წინასწარ დახატეთ რამდენიმე პეპელა, გააფერადეთ სხვადასხვაფრად, ლამინირება გაუკეთეთ, გამოჭერით და გაჭერით შუაში. სთხოვეთ ბავშვებს, ფრთების ფერის მიხედვით, იპოვონ ორი ერთნაირი ნაწილი და ააწყონ პეპელა.
- წინასწარ გამოჭერით მუყაოს პეპლის ფორმის შტამპი. დაურიგეთ ბავშვებს ფანქრებსა და ფურცლებთან ერთად და სთხოვეთ შტამპის შემოხაზვა.
- წინასწარ დაამზადეთ სხვადასხვა ზომის მუხლუხოები (პლასტელინისგან, თიხისგან ან თუნდაც ფურცლისგან). წაახალისეთ ბავშვები, მუხლუხოები ზომის მიხედვით დააწყონ, პატარიდან – დიდამდე.

დრამატული



- მოიმარაგეთ ძველი, სუფთა ჩვრები, ზეწრები ან პირსახოცები. წაახალისეთ ბავშვები, ერთმანეთი „ჭუპრში“გაახვიონ. როგორ გრძნობთ თავს ჭუპრის შიგნით? (მუდმივად ყურადღებით იყავით!)
- სთხოვეთ ბავშვებს, ხელოვნების წრეზე თავიანთი დამზადებული პეპლის და მუხლუხოს თოჯინით გამოგონილი ამბები გაითამაშონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ნეკისტოლა ბიჭის თავგადასავალი“.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ყმაწვილი და პეპელა“.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ პლასტმასის სათამაშო ჭიები და ძაფი. სთხოვეთ ბავშვებს, შემოახვიონ „მუხლუხოებს“ ძაფი, ვითომ ჭუპრია, მუყაოს ყუთებში მოუწყონ კუთხე.

მეცნიერება

- დაათვალიერებინეთ ენციკლოპედიაში პეპლები და მუხლუხოები.

ექსკურსია



- ბავშვები აბრეშუმის მუზეუმში წაიყვანეთ.
- ბაღში გაისეირნეთ და პეპლები დაძებნეთ.

საღამოს წრე

- რა ისწავლე მუხლუხოების შესახებ? მწერები არიან?
- რა ისწავლე ახალი პეპლების შესახებ?
- რომელი აქტივობა მოგეწონა ყველაზე მეტად?

ზაფხული

1. ზაფხული
2. ზაფხული და ზღვა

1. ზაფხული

დილის წრე



- წინასწარ დაკეცეთ ქაღალდის მარაოები და დაურიგეთ მოსულ ბავშვებს. წელიწადის რომელ დროს ვიყენებთ ყველაზე ხშირად მარაოს?
- წაახალისეთ ისინი ჩამოთვალონ, რისი კეთება უყვართ ზაფხულის თბილ დღეებში.
- ისაუბრეთ ზაფხულზე:
  * როგორი ამინდებია?
  * როგორ ტანსაცმელს ვიცვამთ?
  * საჭმელი, რომელსაც მხოლოდ ზაფხულში მივირთმევთ?
  * რა დღესასწაულებია?
- გააკეთეთ დაფაზე ცხრილი, რა არის ზაფხულში განსაკუთრებით სასიამოვნო? ცხრილის შევსებისას დაიხმარეთ ბავშვები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ზაფხულია.

ხელოვნება

- დაურიგეთ ბავშვებს სახატავი ფურცლები და სთხოვეთ, შუაზე გადაკეცონ. გადაკეცილი ფურცლის გარეთა მხარეს დახატონ ღრუბელი. წაახალისეთ, შექმნან თავიანთი, ორიგინალური ღრუბელი. შემდეგ გამოჭრან ეს ღრუბელი და მიღებულ ორ იდენტურ ღრუბელს (რადგან ფურცელი გადაკეცილი იყო) საკუთარი სახელი წაუწერეთ. შეაგროვეთ ბავშვების ღრუბლები და აურიეთ. სთხოვეთ ბავშვებს, მოძებნონ წყვილები. ზოგი ამას ღრუბლის ფორმის მიხედვით მოახერხებს, ზოგიც – სახელების დაძებნით. შეახსენეთ, რომ ზოგჯერ, იმის გასაგებად მისი წყვილია თუ არა, ღრუბლების ერთმანეთზე მიდებაა საჭირო.
- დაიწყეთ აქტივობა ქაღალდის ერთჯერადი თეფშის ყვითლად შეღებვით. შემდეგ დაეხმარეთ ბავშვებს სხვადასხვა ტონის ყვითელ და სტაფილოსფერ ფურცლებზე გადაიტანონ თავიანთი ხელისგულები. შემდეგ გამოჭრან და როდესაც საღებავი გაშრება, ხელები თეფშს სხივებად მიაწებონ. შავი მარკერით მზეს მხიარული სახე მიახატონ.
- მოიმარაგეთ ბუნებრივი მასალა: ტოტები, კენჭები, წიწვები, ფოთლები, ყვავილები. მუყაოს ყუთის თავსახურის ძირი დაფარეთ წებო ემულსიას სქელი ფენით. სთხოვეთ ბავშვებს, შექმნან კომპოზიციები და გაანაწილონ მასალები ყუთის ძირზე. შემდეგ შეარჩიონ რამდენიმე ფერის წყლის საღებავები და შეავსონ ცარიელი ადგილები საღებავის დაწუწებით. გააშრეთ და გაუკეთეთ საკიდები.
- დადეთ მზეზე წინასწარ შერჩეული ბრტყელი ქვები, რამდენიმე საათით, როცა ქვები გაცხელდება, სთხოვეთ ბავშვებს დახატონ მათზე ცვილის ფანქრებით (კრეიოლა), შემდეგ გააგრილეთ ჩრდილში და გამოიყენეთ ეზოს ან ჯგუფის მოსართავად.
- მოიმარაგეთ ხელის საღებავები. მარწყვის დასახატად ხელისგულები წითლად შეიღებონ და ისე დატოვონ ანაბეჭდი, რომ თითები შეტყუპებული ჰქონდეთ. შემდეგ კარგად დაიბანონ ხელები და თითებით მიახატონ მწვანე ყუნწი და შავი წიბწები.
- ძველი გაზეთებისგან დაამზადეთ ბავშვებთან ერთად მზის ქუდები.

მუსიკა და მოძრაობა

- ეზოში გაფინეთ ტილოს მოზრდილი ნაჭერი და დააკარით ფერადი საიზოლაციო ლენტის რამდენიმე კვადრატის ფორმა, პატარა სათლი გაავსეთ წყლით და ჩაყარეთ მასში საშუალო ზომის აბაზანის ან სარეცხი ღრუბლები, წაახალისეთ ბავშვები, მიზანში ისროლონ ღრუბლები და მოარტყან ცენტრალურ კვადრატში.
- მოიმარაგეთ სპორტული ჯოხები და ბუშტები. დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, რაც შეიძლება დიდხანს გააჩერონ ბუშტები ჰაერში.

სამაგიდო



- ამოჭერით (დანართიდან 1.23.1.) საზამთროს ნაჭრის ბარათები. სთხოვეთ ბავშვებს, დაითვალონ რამდენი კურკა აქვს თითო ნაჭერს. სთხოვეთ ბავშვებს, დააჯგუფონ ერთი რაოდენობის კურკებიანი ნაჭრები.

წიგნიერება

- ესაუბრეთ თემაზე: რატომ გვიყვარს ზაფხული? მიეხმარეთ რომ წელიწადის დანარჩენ დროს ძირითადად ქალაქში ატარებენ, ზაფხულს კი – ქალაქგარეთ.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ლექსოს ზღაპარი“.
- ესაუბრეთ, რომ ზაფხულობით ბავშვები ბევრ ისეთ რამეს ნახულობენ, რასაც ქალაქებში ვერ ნახავენ. წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „საფრთხობელა“, „ნაკადულო, ფერკრიალავ“, „დიდი თხა“.
- ისაუბრეთ ზაფხულის საკვებზე. წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „რამ გაზარდა?“, „ყვინჩილა“.

კონსტრუქციული



- ფერადი მეორეული ნაჭრებისგან გამოჭერით ბავშვებთან ერთად სამკუთხედი დროშები, დაამაგრეთ სტეპლერით თოკებზე და გამოფინეთ ეზოში ან ჯგუფში – ზაფხულის აღსანიშნავად.
- წინასწარ მოიმარაგეთ მასალა, (მაგ. დიდი მუყაოს ყუთები, დიდი ზეწარი, თოკები, სარეცხის სარჭები, სკოჩი) რომლის საშუალებითაც კარავს გაჭიმავთ. უთხარით ბავშვებს, რომ ტყეში ხართ და აუცილებლად სადღაც უნდა დაიძინოთ. რა დასჭირდებათ კარვის ასაგებად (იმსჯელონ)? შემდეგ მიეცით თქვენ მიერ მომზადებული მასალები და კარავი ერთად ააშენეთ.

მეცნიერება

- მავთულებს წინასწარ მიეცით სხვადასხვა ზომის გულის, ყვავილის, პეპლის ფორმები და შემოახვიეთ ჯოხებზე. დაამზადეთ ბუშტების გასაბერი სითხე (იხ. განმარტებები) და სთხოვეთ ბავშვებს, გაუშვან საპნის ბუშტები, დააკვირდნენ, რომ ბუშტები მხოლოდ განსხვავებული ზომის გამოდის, მაგრამ მხოლოდ მრგვალი.

საღამოს წრე

- ისაუბრეთ, რას ელიან ამ ზაფხულისგან?
- გაახსენეთ შარშანდელი ზაფხული, მოაყოლეთ ისტორიები.
- ჩამოწერეთ დაფაზე დღის მანძილზე შესრულებული აქტივობები. მიეცით ბავშვებს საშუალება, ხელის აწევით კენჭი უყარონ ნომინაციებს: „ყველაზე საინტერესო აქტივობა“, „ყველაზე რთული“, „ყველაზე სახალისო“, „ყველაზე ძნელი“ და ა. შ. თქვენი სურვილისამებრ. შედეგები დაითვალეთ, შეაჯამეთ და გაახმოვანეთ (ეს აქტივობა საღამოს წრეში ნებისმიერ დღეს შეგიძლიათ გააკეთოთ).

2. ზაფხული და ზღვა

დილის წრე

- ბავშვებს მზის სათვალეებითა და ქოლგით შეხვდით.
- მიეცით მინიშნებები, თავად გამოიცნონ, რა არის დღევანდელი დღის თემა. მაგ. ის ახლა წყნარია, არ ღელავს. მასში უამრავი სულდგმული ცხოვრობს და ა.შ.
- ისაუბრეთ მდინარეების, ტბების და ზღვების შესახებ. რა განასხვავებს მათ?
- ჰკითხეთ, რატომ არ აირჩიეთ ზღვის თემა ზამთარში ან გაზაფხულზე?
- შეთანხმდით, რომ დღევანდელი დღის თემაა: ზღვა და ზაფხული.

ხელოვნება

- სთხოვეთ ბავშვებს, სქელ ფურცელზე თეთრი წებოთი (ემულსია) დახატონ და გააფერადონ „ქვიშის“ სასახლე. შემდეგ წებოზე მოაყარონ ქვიშა. ნიჟარები წებოში ამოავლონ და სასახლეზე სასურველ ადგილას დააწყონ. დროშის გასაკეთებლად, ამოარჩიონ სასურ-

ველი ფერის პატარა ფურცელი და დააწერონ თავიანთი სახელი, ჯოხთან ერთად სასახლის ყველაზე მაღალი კოშკის თავზე დააწებონ. როდესაც წებო კარგად შეშრება, ფრთხილად გადმოფერთხეთ ზედმეტი ქვიშა.

- მოახატინეთ ბავშვებს პატარა მოგრძო ფორმის ქვები თევზების მსგავსად.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ ზღვის ტალღების ხმები. სთხოვეთ ბავშვებს, ტალღების მოძრაობა გააკეთონ ან ჩაკიდონ ხელები დადგნენ წრიულად და ხელებით ტალღების მოძრაობა გააკეთონ.
- განალაგეთ ჰულაჰუპები ან ფერადი წრეები – „თხუნელას სოროები“ აქტივობისათვის განკუთვნილ სივრცეში. ბავშვები არიან თხუნელები. მინიშნებისას ბავშვები იწყებენ მოძრაობას, დოლის ხმაზე ბავშვები შეშდებიან. აღმზრდელი ამბობს „ზამთარი“ ან „ზაფხული“; ზამთრის გაგონებაზე ბავშვები იმალებიან „სოროში“; ხოლო ზაფხულის გაგონებაზე აგრძელებენ მოძრაობას ოთახში.

- გადით ეზოში, შეარჩიეთ შესაბამისი ადგილი და სთხოვეთ ბავშვებს, მორიგეობით დადონ ბურთი ძირს, გადადგან ერთი ნაბიჯი უკან და დაარტყან ფეხი ბურთს რაც შეიძლება ძლიერად, რომ ბურთი რაც შეიძლება შორს გაფრინდეს. ჩართეთ ბავშვები ნასროლი ბურთების შეგროვების და უკან მოტანის პროცესში. მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი მოსინჯავს ბურთის შორს გადაგდებას, სთხოვეთ, რამდენიმე ნაბიჯით დაიხიონ უკან, გამოიქცნენ და ისე დაარტყან ფეხი ბურთს. ამ თამაშში არ აქვს მნიშვნელობა მიზანს, მთავარია, ბურთის ძლიერად და რაც შეიძლება შორს გადაგდება (თუმცა სროლის მიმართულების განსაზღვრისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ნიშნული, თავიდან დაახლოებით 10 მ.-ის დაშორებით).

სამაგიდო



- წინასწარ გამოჭერით ყავისფერი სქელი ქაღალდისგან ნაყინის ხუთი კონუსი, დაუსვით სქელი მარკერით წერტილები. გამოჭერით სხვადასხვა ფერის ფურცლებისგან ნაყინის ბურთები. სთხოვეთ ბავშვებს, იმდენი ნაყინის ბურთი „ჩადონ“ კონუსში, რამდენი წერტილიც ახატია.

სენსორული

- ჩაფალით ქვიშაში ნიჟარები, დაურიგეთ ბავშვებს სათამაშო ფოცხები და ნიჩბები. წაახალისეთ, ითამაშონ ქვიშაში.

დრამატული



- ბავშვებმა გაითამაშონ, ვითომ ზღვაზე მიდიან. მოიმარაგეთ ჩემოდნები, შესაბამისი ტანსაცმელი და სხვა საგნები.

წიგნიერება

- მოიმარაგეთ საგნები (ან მათი სურათები), რომლებსაც ვიყენებთ ზაფხულის და ზამთრის სპორტში (ზაფხულის: ფეხბურთის ბურთი, საცურაო კოსტუმი, გორგოლაჭები, ზამთრის: ჰოკეის ქუდი, ბუტები, თხილამურები). ისაუბრეთ ამ საგნებზე და მათთან დაკავშირებულ სპორტზე. განიხილეთ მიზეზები, რატომ არის ზოგიერთი სპორტი სეზონური? ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებენ თავი აარიდონ ამ უხერხულობას. მაგალითად, ფიგურული სრიალი, სპეციალურად მომზადებულ დარბაზში ზაფხულშიც არის შესაძლებელი. ცურვაც დახურულ აუზებში, ზამთარშიც შეიძლება.

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ზღვის ნობათი“ და „ქეთინოს ვედრება მზისადმი.“ ჰკითხეთ, მართლა წაეკიდებოდა ზღვას ცეცხლი? აჩვენეთ ზღვაზე მზის ჩასვლის ფოტოები.
- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ: „ზღვის ნობათი“, „ქეთინოს ვედრება ზღვისადმი.“

მეცნიერება

- სუფთა პენოპლასტის თეფშებისგან გამოჭერით თევზები, გველები და სხვა წყლის ცხოველები, ისინი წყალზე იტივტივებენ. მოიმარაგეთ საგნები, რომლებიც წყალში იძირება და წყლის მაგიდის გვერდით მოაგროვეთ. მიეცით ბავშვებს საშუალება, ცდები ჩაატარონ. ყურადღება გაამახვილეთ ბავშვების აღმოჩენებზე. შემდეგი დღისთვის მოიმარაგეთ სათევზაო ბადეები და აბრები „ტივტივებს“, „არ ტივტივებს“. წაახალისეთ ბავშვები, ითევზაონ და ამოღებული საგნები შესაბამისი აბრის ქვეშ დააწყონ.

კულინარია



- მოიმარაგეთ ერთჯერადი ჭიქები და თითოეულს თითოეული ბავშვის სახელი დააწერეთ. მიეცით ბავშვებს ფორთოხლის ან ყურძნის წვენი და სთხოვეთ, ჩაასხან საკუთარ ჭიქაში ან გაუმასპინძლდნენ ერთმანეთს. შეგიძლიათ, კოქტეილივით გააფორმოთ ხილით და საწრუპებით.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა მოეწონათ დღეს?
- რა გაიგეს ახალი?
- შეაჯამეთ დღის მანძილზე მიღებული გამოცდილება.

პირველი კვირა ბაღში

1. პირველი დღე ბაღში (ჯგუფში ორიენტაცია)
2. მეორე დღე ბაღში (დღის რეჟიმის გაცნობა)
3. მესამე დღე ბაღში (ბაღის წესები)
4. მეოთხე დღე ბაღში (მეგობრობა)
5. მეხუთე დღე ბაღში (ექსკურსია ბაღში)

- კარგია, თუ სწავლის დაწყებამდე მოაწყობთ ბაღში ტურებს, რომ ბავშვები მოვიდნენ და ოჯახთან ერთად დაათვალიერონ. შეგიძლიათ, ჯგუფური თამაშებიც შესთავაზოთ, რომ ბავშვი კარგი შთაბეჭდილებებით დაბრუნდეს სახლში. გაეცანით ბავშვის საინფორმაციო პაკეტს: რითი უყვარს თამაში, რა ჩვევები აქვს, როგორ გამოხატავს პროტესტს, რა არის საყურადღებო და ა.შ.

1. პირველი დღე ბაღში (ჯგუფში ორიენტაცია)

- შექმენით სადღესასწაულო გარემო ჯგუფში. შეძლებისდაგვარად მორთეთ ჯგუფი.
- წინასწარ გამოჭერით დიდი ფერადი ფურცლები (სხვადასხვა ფორმის) და ზედ ბავშვების სახელები დააწერეთ. ეს ქაღალდები წრიულად დააფინეთ და დილის წრეზე ბავშვები თავიანთ სახელებზე დასხით.
- გაეცანით ბავშვებს და უთხარით, როგორ გსურთ რომ მოგმართონ.
- უთხარით ბავშვებს, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოგმართოთ.

დილის წრე



- ჰკითხეთ, ვინმე ადრე თუ ყოფილა საბავშვო ბაღში? ისინი, ვინც ნამყოფია, წაახალისეთ, მოყვნენ რაიმე ამბავი ბაღზე, რას აკეთებდნენ იქ, რა მოსწონდათ, რა – არა?
- წაუკითხეთ: „ჩემი პირველი დღე ბაღში“. წინასწარ გამოჭერით ბავშვების ფიგურები (დანართი 1.1.1.) და გააცოცხლეთ ამბავი დაფაზე (ფიგურებს მაგნიტები მიაწებეთ და დაფაზე განათავსეთ).
- წაუკითხეთ: „ბროლიაც ბაღში მიდის“. ჰკითხეთ, მათ თუ ჰყავთ შინაური ცხოველები, რომელიმეს ხომ არ გამოუთქვამს ბაღში სიარულის სურვილი?
- მცირე ექსკურსია ჯგუფის ოთახებში. დაათვალიერებინეთ ბავშვებს ოთახი. აჩვენეთ ცენტრები, ამ ცენტრების აღმნიშვნელი სიმბოლოები და აუხსენით, რითი დაკავდებიან თითოეულ ცენტრში. მიეცით საშუალება, დაათვალიერონ თაროები და იქ მდებარე ნივთები. აჩვენეთ, სად შეუძლიათ დაიბანონ ხელები, სად არის ტუალეტი (ყველანაირმა განუსაზღვრელობამ შეიძლება ბავშვის შფოთი უფრო გაამძაფროს).

მოძრაობა

- ჩართეთ მხიარული მუსიკა. დააყენეთ ხელჩაკიდებული ბავშვები წრეზე, სთხოვეთ გაიშალონ და გაუშვან ხელები. შესთავაზეთ თამაში „რა მიყვარს“. ამ თამაშის საშუალებით ადვილად გაიცნობენ ერთმანეთს და დაისწავლიან სახელებს. ესროლეთ (ან გაუგორეთ) ბურთი რომელიმე ბავშვს. აუხსენით, რომ როცა ბურთს დაიჭერს, ხმამაღლა თქვას თავის სახელი და რა უყვარს (მე მქვია ნიკო და მიყვარს...): თამაში, სათამაშო, ცხოველი, საჭმელი, ოჯახის წევრი, ნებისმიერი რამ. შემდეგ ბავშვმა ბურთი სხვას უნდა გადაუგდოს. ყურადღებით იყავით, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა. ეს თამაში, ამ თემის ფარგლებში, სასურველია ყოველდღე გაიმეოროთ და თემები ცვალოთ.

ხელოვნება



- ათამაშეთ და აძერწინეთ სათამაშო ცომით. იხ. განმარტებები დანართიდან.

- ერთად დაამზადეთ წასვლა-მოსვლის დაფა. წასვლა-მოსვლის დაფა შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი. ძირითადი აზრი არის იმაში, რომ თვალსაჩინო იყოს, ვინ არის დღეს და ვინ აცდენს.



- *სახლი და ბაღი.* ფერადი ფორმატისგან გამოჭერით ორი შენობა. ერთი სახლია, მეორე – ბაღი. გამოუჭერით იმდენი ფანჯარა, რამდენი ბავშვიც არის და გაუკეთეთ პატარა ჯიბეები ფანჯრებზე. ბავშვების სურათები დააწებეთ წაგრძელებული ფორმის პატარა მუყაოზე, ყველა ბავშვის ფოტო ჩალაგებულია სახლის ფანჯრებში, ვინც მოვა, გადმოსვამს თავის ფოტოს ბაღის ფანჯარაში. განათავსეთ ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე.



- *ილუსტრირებული კალენდარი.* შეგიძლიათ დაამზადოთ ამინდის კალენდარი. გამოიყენეთ სხვადასხვა მასალა: თექა, მუყაო, ფერადი ქაღალდები და ქსოვილები. ძირითადი პრინციპი არის ის, რომ კალენდარი უნდა იყოს მაქსიმალურად თვალსაჩინო და ბავშვი იღებდეს მონაწილეობას მის ყოველდღიურ ცვლილებაში (დანართი 1.1.2.). განათავსეთ ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე.



წიგნიერება:

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ბროლიაც ბაღში მიდის“.

2. მეორე დღე ბაღში (დღის რეჟიმის გაცნობა)

დილის წრე

- ესაუბრეთ ბავშვებს დღის რეჟიმზე. აჩვენეთ თვალსაჩინოებები თითოეული აქტივობისთვის. გამოიყენეთ სურათები, რომ კარგად წარმოიდგინონ, რა უნდა გააკეთონ დღის განმავლობაში.
- წაუკითხეთ „ტოპო ტიპი ბაღში მიდის“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

ხელოვნება



- შესთავაზეთ ბავშვებს დახატონ თავიანთი თავი. შეინახეთ ეს პორტრეტები პორტფოლიოში (არ არის აუცილებელი ყველა ნამუშევრის შენახვა). წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ დაახატვინეთ ბავშვებს. წლის ბოლოს კარგი მასალა იქნება ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე დასაკვირვებლად.
- ახატინეთ თითების საღებავებით. მიეცით ბავშვებს თავისუფლება, ხატონ, რა თემაც სურთ.

- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ აბრები ცენტრებისათვის. გააფერადებინეთ და გამოაჭრევინეთ, დააწებებინეთ ფერად მუყაოზე, დაამაგრეთ შესაბამის ადგილას (დანართი 1.1.3.).
- *ილუსტრირებული განრიგი.* განრიგის დასამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ შაბლონები, გააფერადეთ და გამოჭერით. დააწებეთ ფერად მუყაოზე და თუ შესაძლებელია, გაუკეთეთ ლამინირება. ნაჭრისგან ან ფერადი ფორმატისგან გააკეთეთ ვერტიკალურად ჯიბეები და ჩააწყვეთ დამზადებული ბარათები დღის აქტივობების თანმიმდევრობის მიხედვით ზევიდან ქვევით (დანართი 1.1.4.). ან გააკეთეთ ილუსტრირებული განრიგი თქვენი ფანტაზიით და მიაქცევინეთ ბავშვებს ყურადღება ისრის ან ბარათის ცვლილებაზე.





- გააცანით ბავშვებს ყველა ცენტრი. აჩვენეთ იქ განლაგებული მასალები, დაათვალიერებინეთ. უთხარით, რითი დაკავდებიან ამ ცენტრებში.

მუსიკა და მოძრაობა:

- გაიმეორეთ თამაში „წრეში ბურთი“.

3. მესამე დღე ბაღში (ბაღის წესები)

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ დღეს მათთან ერთად ბაღის წესები უნდა მოიფიქროთ. იმსჯელეთ ბავშვებთან ერთად, რისთვის არის საჭირო წესები, მაგ. რატომ უნდა ვისაუბროთ ხმადაბლა? ყურები რომ არ გვეტკინოს. რატომ უნდა ვითხოვოთ ხელის აწევით საუბრის ნებართვა? რომ არ ვიხმაუროთ, ყველა ერთად თუ ვისაუბრებთ, ვერაფერს გავიგებთ და ა.შ. უთხარით ბავშვებს, რომ წესები გვეხმარება ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ და ერთად კარგად ვითამაშოთ.
- წესების მოფიქრების და სწავლებისას გაითვალისწინეთ:
  - წესები უნდა იყოს მარტივი და ცოტა (3-4) (დანართი 1.1.5.).

- წესი უნდა გამოხატოთ პოზიტიური წინადადებით, მაგ. ვისაუბროთ დაბალ ხმაზე, და არა – ხმამაღლა საუბარი არ შეიძლება. ბავშვს უნდა ჰქონდეს იმის მოლოდინი, თუ რა უნდა გააკეთოს, უნდა იცოდეს რას ითხოვენ მისგან. ეს აადვილებს წესის დასწავლას.
- მოიფიქრეთ სხვადასხვა სიტუაციებისთვის სხვადასხვა წესები და შესაბამის ადგილას გააკარით. მაგ. ეზოს წესები ეზოში, დილის წრის და ბიბლიოთეკის ცენტრის წესები თავიანთ ადგილას, რადგან ყველა ადგილს თავისი წესები აქვს.
- წესების მოფიქრებისას ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხებზე: ხმის დონე, შენობაში მოძრაობა, ნივთებთან ურთიერთობა, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობა.
- წესებს აუცილებლად დაურთეთ ვიზუალური მინიშნებები და გააკარით თვალსაჩინო ადგილას (იხ. დანართი 1.1.6.).
- წესები სისტემატურად გაიმეორეთ (წესებს უნდა მიმართოთ არა მხოლოდ მაშინ, როცა ირღვევა, არამედ დასწავლის მიზნითაც. მშვიდ გარემოში, თამაშით ასწავლეთ და შეახსენეთ წესები).
- წლის დასაწყისში წესების განმტკიცება ხშირად უნდა ხდებოდეს.
- წლის განმავლობაში წესები შეგიძლიათ შეცვალოთ და კარგად დასწავლილი ერთი წესი ახლით შეცვალოთ.

ხელოვნება



- წინასწარ მოამზადეთ წესებისთვის ვიზუალური მინიშნებები. დაყავით ბავშვები მცირე ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს მიეცით დავალება, გააკეთონ წესების პოსტერი. ერთმა ჯგუფმა – ეზოს წესები, მეორემ – კითხვის საათის წესები, მესამემ – ჭამის წესები. სთხოვეთ, დაწერილ წესებს შეუსაბამონ ვიზუალური მინიშნებები, გააფორმონ და პოსტერზე დააწებონ (დანართი 1.1.6.).

- ჯგუფის ემბლემა. ბავშვებთან ერთად მოიფიქრეთ, რა სახელი შეიძლება დაარქვათ ჯგუფს, რა უყვართ ყველაზე მეტად, რომელი პერსონაჟები მოსწონთ, შეეცადეთ შეარჩიოთ ისეთი სახელი, რომელიც ყველას მოეწონება. შემდეგ სთხოვეთ, დახატონ ნახატი იმ თემაზე, რომელიც შეარჩიეს, ნახატებიდან შეარჩევინეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონებათ და მის გადატანაში დიდ ფორმატზე ყველას მიაღებინეთ მონაწილეობა.

დრამატული



- შესთავაზეთ ბავშვებს შემდეგი თამაში: თქვენ ასახელებთ წესს და ბავშვს სთხოვთ მის დემონსტრირებას.

სამაგიდო



- წინასწარ დაამზადეთ წესების ბარათები (დანართი 1.1.7.). თითო წესზე ორი ბარათი. ათამაშეთ ბავშვებს წესების მემო. (მემოს განმარტება)

წიგნიერება/მეტყველება

- დაათვალიერებინეთ ბიბლიოთეკა. აარჩევინეთ, რა წაუკითხოთ.
- ჰკითხეთ, ხომ არა აქვთ სურვილი თავადაც მოყვნენ ზღაპარი, მოთხრობა, თქვან ლექსი? წაახალისეთ!

საღამოს წრე

- გაიმეორეთ, რა წესები მოიფიქრეთ დღის განმავლობაში.
- მიეცით ბავშვებს დავალება, მეორე დღეს მოყვნენ რა წესები აქვთ სახლში.
- გააცანით მშობლებს ბავშვების მიერ შემუშავებული წესები.
- წაახალისეთ ის ბავშვები, რომლებმაც წესები შეასრულეს. ამისათვის წინასწარ მოამზადეთ სერთიფიკატი ან საუკეთესო მეგობრის ჯილდო. ტექსტი, თუ რატომ აჯილდოვებთ ბავშვს, ხმამაღლა წაიკითხეთ და ბავშვების თანდასწრებით ჩაწერეთ სერთიფიკატში (ეს აქტივობა ბავშვების წახალისების მიზნით ხშირად უნდა გაიმეოროთ) (დანართი 1.1.8.).

4. მეოთხე დღე ბაღში (მეგობრობა)

დილის წრე

- ისაუბრეთ, რითი ჰგავს ჯგუფი ოჯახს. როგორ უნდა ისწავლონ და ითამაშონ ერთად, დაეხმარონ ერთმანეთს და დაიცვან მეგობრობის წესები (მორიგეობით თამაში, სათამაშოების გაცვლა, ერთად თამაში).

ხელოვნება



- უთხარით, რომ ბავშვებმა უნდა დაამზადონ მეგობრობის სამაჯურები და ერთმანეთში გაცვალონ. მეგობრობის სამაჯური შეგიძლიათ დაამზადოთ ღილების, დაჭრილი ფერადი საწრუპის ან საქსოვი ძაფებისაგან. ასევე შეგიძლიათ თიხისაგან დაამზადებინოთ რაიმე საყვარელი ფიგურა, რასაც გაშრობის და შეღებვის მერე ააცვამენ თოკზე და აჩუქებენ მეგობარს.
- გააკეთეთ და გააფორმეთ ბავშვების დაბადების დღეების კალენდარი. გააკარით ბავშვების სიმაღლეზე.



წიგნიერება

- მოაყოლეთ, ბაღში მოსვლამდე როგორ ცხოვრობდნენ? აღწერონ ერთი დღე.
- ჰკითხეთ, თუ უყვებიან ან უკითხავენ სახლში ზღაპრებს, მოთხრობებს, ლექსებს? თუ აქვთ თავიანთი წიგნები?
- სთხოვეთ, მეორე დღეს ბაღში მოიტანონ თავიანთი საყვარელი წიგნი, დაათვალიერებინონ ჯგუფელებს.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ბაღში უკვე დავდივარ“.

სამაგიდო



- დაყავით ბავშვები 10 კაციან ჯგუფებად, დაურიგეთ ფორმატები და ძველი ჟურნალები და სთხოვეთ, გამოჭრან ის, რაც მათ მოეწონებათ. დააწებებინეთ ერთ დიდ ფორმატზე, შეუძლიათ ასევე გააფორმონ ნახატებით. უთხარით, რომ ამას კოლაჟი ჰქვია. (თუ ბავშვს მაკრატლის ხმარება უჭირს, მიეცით საშუალება როგორც შეუძლია ისე გამოჭრას).
- დაურიგეთ ბავშვებს პლასტელინი, თიხა ან მარილიანი ცომი, აუხსენით მარტივი ფორმის მიღების ძირითადი პრინციპები. წაახალისეთ, ძერწონ თავისუფალ თემაზე.

5. მეხუთე დღე ბაღში (ექსკურსია ბაღში)

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ ბაღში თქვენ გარდა ბევრი ადამიანი მუშაობს და რომ ყველას თავის დანიშნულება და მნიშვნელოვანი საქმე აქვს. ჩამოთვალეთ ვინ არიან ისინი (ბაღის დირექტორი, ექთანი, მზარეული და ა.შ.).
- ექსკურსია ბაღში. მიიყვანეთ ბავშვები ბაღის თანამშრომლებთან და უშუალოდ გააცანით ისინი და მათი საქმიანობა.

წიგნიერება

- გაახსენეთ წიგნიერების დანართიდან წაკითხული ნაწარმოებები. სურვილის მიხედვით წაუკითხეთ თავიდან.

ხელოვნება



- მშობელთა კუთხე. მშობელთა დაფის დასამზადებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ დიდი კორპის დაფა ან დიდი ფორმატი. დაწერეთ ფერად ფურცლებზე დიდი ასოებით სათაური „მშობელთა კუთხე „ ან ნებისმიერი სხვა და დაეხმარეთ ბავშვებს, გამოჭრან და დააწებონ ასოები დაფაზე. გასაფორმებლად შეგიძლიათ დაახატინოთ ბავშვებს თავიანთი ოჯახები ან მშობლები. გამოაჭრევინეთ და დააწებებინეთ დაფის ირგვლივ.

- თაროების, სათამაშოების ყუთებისა და მასალების ყუთების ადგილების თვალსაჩინოებისთვის შეგიძლიათ დაამზადოთ ეტიკეტები შაბლონის მიხედვით. გააფერადებინეთ, გამოაჭრევინეთ და დააწებებინეთ ფერად მუყაოზე.

ფერები ჩემ გარშემო

1. ცისარტყელას ფერები
2. ძირითადი ფერები
3. ღია და მუქი ფერები. ჭრელი
4. თბილი და ცივი ფერები
5. შავი და თეთრი

1. ცისარტყელას ფერები

დილის წრე

- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ჩნდება ცისარტყელა. თუ ამინდზე საუბრისას ეს თემა გარჩეული გაქვთ, ჰკითხეთ ბავშვებს, რა ახსოვთ?
- გააცანით ბავშვებს კალეიდოსკოპი.
- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ ფერები როგორ მიმზიდველს და საინტერესოს ხდის ჩვენს სამყაროს.
- წარმოგიდგენიათ თუ არა უფერული სამყარო?
- ჰკითხეთ ბავშვებს, რას აგონებთ ესა თუ ის ფერი?

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ფორმის ბრტყელი ნივთები (მაგ: ფოთლები, გაჭრილი ხილი, და ა.შ.) სთხოვეთ ბავშვებს, ჩადონ ნივთები საღებავში, ანაბეჭდები ფორმატზე დატოვონ. გამოჭერით ანაბეჭდები და დააწებეთ დიდ ფორმატზე.
- დაურიგეთ ბავშვებს ფერადი მუყაო, რომელზედაც წინასწარ გექნებათ დახატული ცისარტყელას თითო რკალი. სთხოვეთ ბავშვებს, გამოჭრან რკალი ნახაზის მიხედვით. აასხით ძაფზე ცისარტყელას რკალები თანმიმდევრობით და ჩამოკიდეთ.
- მოიმარაგეთ ფერადი ძველი ჟურნალები. დაყავით ბავშვები რამდენიმე ჯგუფად. სთხოვეთ ჯგუფებს, იპოვონ ერთი განსაზღვრული ფერის ფოტოები, ამოჭრან და დააწებონ ფორმატზე.

მოძრაობა



- *ბურთი ფერზე.* წინასწარ განალაგეთ 20 სანტიმეტრის დიამეტრის მწვანე, წითელი, ლურჯი და ყვითელი წრეები იატაკზე. სთხოვეთ ბავშვებს, აირჩიონ და დაასახელონ ერთი ფერი და ბურთი ამ ფერის წრეზე ისროლონ (გამოიყენეთ ისეთი ბურთი, რომელშიც პატარა ბურთულებია მოთავსებული, რადგან ნაკლებად მოძრავია).

სამაგიდო



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის მსხვილი მძივები და სათამაშო პინცეტები. წაახალისეთ ბავშვები, რომ პინცეტის გამოყენებით მძივები ფერების მიხედვით დაახარისხონ. გაუწიეთ ზედამხედველობა (მძივების ნაცვლად შეგიძლიათ მოზაიკა გამოიყენოთ).
- *ცისარტყელას გაკეთება.* მაგიდაზე რკალად ალაგებენ 5 ფერის მძივების მწკრივს. მძივების ნაცვლად შეგიძლიათ გამოიყენოთ მაკარონები. მაკარონებს ღებავთ 5 ფრად. ზიპიან 5 პაკეტში ყრით მაკარონებს, უმატებთ თითო-თითო კოვზ საღებავს, კარგად კეტავთ პაკეტს. ბავშვებს სთხოვთ, აურიონ პაკეტში ჩაყრილი მაკარონები. შემდეგ გაშალეთ ფურცლებზე და გააშრეთ. 5-5 ბავშვიან ჯგუფებს დაურიგეთ დიდი ფურცლები, რომელზეც წებოთი ცისარტყელას რკალები იქნება გაკეთებული; თითო რკალზე მინიშნებისთვის დააწებეთ სხვადასხვა ფერის მაკარონი. სთხოვეთ ბავშვებს, დაასრულონ რკალად მაკარონების დაწებება.
- ბავშვებს დაურიგეთ სხვადასხვა ფერის გამოსახულებები, წინასწარ მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის წრეები. რა ფერ წრესაც დადებთ მაგიდაზე, იმ ფერის გამოსახულებები უნდა დადონ ბავშვებმაც.
- *წერა.* რამდენიმე ფურცელს (საკანცელარიო პატარა ფერადი ფურცლების შეკვრა) დააწერეთ ფერების

სახელები. ამოირჩიონ რომელი ფერის დაწერა სურთ. დაურიგეთ ბავშვებს კალკასთან ერთად. სიტყვები შესაბამისი ფერის ფანქრით გადმოხატონ.

- ათამაშეთ ფერების „მემო“ (იხ. განმარტებები).

სენსორული

- მოიმარაგეთ ცომი, საკონდიტრო საღებავები: წითელი, ლურჯი და ყვითელი. ცომისგან წინასწარ დაამზადეთ „ჯადოსნური ფერების ცომის ბურთები“. ამისთვის, დააგუნდავეთ ცომი პატარა ბურთებად. შუაში თითით ჩააღრმავეთ და დაასხით საკონდიტრო საღებავის სხვადასხვა ფერის რამდენიმე წვეთი. ცომი დააგუნდავეთ ისე, რომ საღებავი შიგნით მოექცეს. დაურიგეთ თითო-თითო ბურთი ბავშვებს და წაახალისეთ ისინი, რომ ითამაშონ ამ ცომებით. ზელვისას ბურთები ფერს შეიცვლიან. წაახალისეთ აღწერონ, რა მოსდის ცომს.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსი: „ფერადი ფანქრები“ (იხ. წიგნიერების დანართი). ახსენით რა არის სარტყელი. დაუკავშირეთ ქამარს. იკითხეთ ვის აქვს ქამარი, თუ არის ის ცისარტყელასავით ლამაზი? შეეცადონ დახატონ ლექსის ილუსტრაცია.

მეცნიერება

- ბავშვებთან ერთად დიდ ქილებში წყალი შეაფერადეთ აკვარელის სხვადასხვა ფერის საღებავით; ჩაასხით გაფერადებული წყალი ყინულის ფორმებში და გაყინეთ. დააკვირდით ყინულს.
- ფერების შერევა/შერწყმა. მოიმარაგეთ წითელი, ყვითელი და ლურჯი საკონდიტრო საღებავები, მოათავსეთ ცალ-ცალკე თასებში, დაურიგეთ ბავშვებს პიპეტი და კვერცხის ჩასადები ყუთები. სთხოვეთ ბავშვებს, ჩააწვეთონ ორივე ფერის წვეთები ყუთებში. რა მოხდება?

- გამოიყენეთ პრიზმა ცისარტყელას შესაქმნელად. იქონიეთ რაიმე შუქის წყარო, მაგალითად, ფანარი. მიანათეთ კედლებს, იატაკს ან ჭერს. თუ მზიანი ამინდია და წყლის ჭავლით სარგებლობა შესაძლებელია, შექმენით ცისარტყელა ეზოში.

საღამოს წრე

- რა გაიგეს საინტერესო ცისარტყელას ფერების შესახებ?
- ცისარტყელას რომელი ფერები მოსწონთ?

2. ძირითადი ფერები

დილის წრე:

- დაასახელეთ ძირითადი ფერები.
- მოუყევით ბავშვებს, როგორ ხატავს მხატვარი.
- რა არის პალიტრა?

ხელოვნება



- *შევქმნათ ფერი.* მოიმარაგეთ წითელი, ყვითელი და ლურჯი საღებავები (სასურველია ტემპერა), სამი პლასტმასის თასი, პლასტმასის კოვზები, პატარა ქაღალდის ჭიქები, 3 ცალი თითო ბავშვს, ბამბის ჩხირები, მარკერი, სახატავი ფურცლები. ჩაასხით წითელი, ყვითელი და ლურჯი საღებავები ცალ-ცალკე თასებში. თითოეულ ბავშვს სამი პატარა ქაღალდის ჭიქა მიეცით. სთხოვეთ მათ რიგის დაცვით კოვზით გადაიღონ საღებავები თავიანთ ჭიქებში. სთხოვეთ ნებისმიერი რაოდენობის ერთი ან ორი განსხვავებული ფერი ჩაამატონ თავიანთ ჭიქებში და შეურიონ. წაახალისეთ ბავშვები, ბამბის ჩხირების გამოყენებით გააფერადონ სამი პატარა მონაკვეთი თავიანთი შექმნილი სამი საღებავით. მიეცით საშუალება ბავშვებს, დახატონ დარჩენილი საღებავებით.

- ფერების ბორბლის დამზადება. მოიმარაგეთ თეთრი ქაღალდის თეფშები, ფანქრები, წითელი, ლურჯი და ყვითელი საღებავები, ფუნჯები.

- თეფშებზე მსუბუქად მოხაზეთ მცირე ზომის წრეები „12:00“, „4:00“ და „8:00“-ზე. დაურიგეთ თითო თეფში თითოეულ ბავშვს და ყურადღება გაუმახვილეთ ფანქრით მოხაზულ წრეებზე. სთხოვეთ გააფერადონ წრეები: „12:00“-ზე წითელი საღებავით, „4:00“-ზე ყვითელი საღებავით, „8:00“-ზე ლურჯი საღებავით. სთხოვეთ ბავშვებს, კოვზის დახმარებით მცირე რაოდენობის წითელი და ლურჯი ფერის საღებავები თავიანთ ფერების ბორბალზე წითელ და ლურჯ წრეებს შორის მოათავსონ. აჩვენეთ, როგორ შეურიონ ეს ორი ფერი ბამბის ჩხირებით ისე, რომ მიიღონ ახალი ფერი. ისაუბრეთ ცვლილებებზე. გაიმეორეთ იგივე ლურჯი და ყვითელი საღებავის შერევით ლურჯ და ყვითელ წრეებს შორის, წითელი და ყვითელი საღებავის შერევით წითელ და ყვითელ წრეებს შორის.



მეცნიერება

- *ორი ფანარი.* დააწყვილეთ ბავშვები, მიეცით ფანარი, რომელზედაც გადაკრული იქნება ყვითელი და ლურჯი პოლიეთილენის პარკი. კედელზე ან თეთრ ფორმატზე მინათებით ბავშვებმა უნდა ეცადონ, გადაფარონ ფერადი შუქის წრეები; დააკვირდნენ მიღებულ ფერს ან დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ფერის ნათების ფანრები, რათა კედელზე ფერების გადაკვეთა სცადონ.

სამაგიდო



- *ფერების მიმატება.* მოიმარაგეთ ძირითადი ფერების საღებავები, 3 ფუნჯი თითო ფერისთვის, გრძელი თეთრი ფურცელი, მარკერი. გამოიყენეთ ფერების შერწყმა, რომ ბავშვები ავარჯიშოთ მათემატიკური სიმბოლოების „მიმატება“ და „ტოლობას“ გამოყენებაში. იმუშავეთ თითოეულ ბავშვთან სათითაოდ, ბავშვის მარცხენა ხელისგული შეღებეთ მისი არჩეული ერთ-ერთი ფერის საღებავით. დაეხმარეთ ბავშვს, ხელის ანაბეჭდი ფურცლის მარცხენა კიდეზე გააკეთოს. დაწერეთ „მიმატების“ სიმბოლო ანაბეჭდის მარჯვენა მხარეს. შეღებეთ ბავშვის მარჯვენა ხელისგული მის მიერ არჩეული სხვა ფერის საღებავით. დაეხმარეთ ბავშვს, „მიმატების“ სიმბოლოს გვერდით გააკეთოს ანაბეჭდი. დაწერეთ „ტოლობის“ სიმბოლო ანაბეჭდის მარჯვენა მხარეს. განაახლეთ ბავშვის ხელებზე საღებავები. სთხოვეთ ბავშვს, ენერგიულად მოუსვას ხელები ერთმანეთს. წარმოიშობა ახალი ფერი. დაეხმარეთ ბავშვს ტოლობის ნიშნის მარჯვნივ გააკეთოს ორივე ხელის ანაბეჭდი.
- ათამაშეთ „ფერების ბილიკი“ (დანართი 2.2.1.).

წიგნიერება

- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ „ქუჩაში“. დაახატინეთ შუქნიშანი.
- წაუკითხეთ „კასტორი ღებავს“.[1]

1 კლინტინგი ლ. 2005. კასტორი ღებავს. ქართ. ტექსტი: დ. გაბუნია, თ. კუხიანიძე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

მეცნიერება

- *ფერების ბზრიალები.* დაურიგეთ ბავშვებს პატარა ზომის წრეები ფანქრით დაყოფილი ოთხ ან რვა მონაკვეთად. სთხოვეთ ბავშვებს, გააფერადონ ორი ძირითადი ფერის მონაცვლეობით, გაუყარეთ ცენტრში პატარა ზომის ჩხირი, დაატრიალეთ ბზრიალას პრინციპით, დააკვირდით ფერს.
- პლასტმასის თეთრ ჭურჭელში გახსენით ლილა და სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ, როგორ იფერება წყალი.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ძირითადი ფერების შესახებ?
- რა მოეწონათ ყველაზე მეტად?

3. ღია და მუქი ფერები. ჭრელი

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ ფერი არის თვისება, რომელიც შეიძლება იყოს ბევრი და ცოტა. მაგ.: ბევრი წითელი აქვს მარწყვს და ცოტა ვარდს.
- რას ნიშნავს კაშკაშა, ჭრელი, ბევრი ფერი ერთად და არა ერთმანეთში არეული ფერები; სიტყვა ფერადი.

ხელოვნება



- *აპლიკაცია ფერადი ქსოვილებით.* დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ფერის ქსოვილები, სთხოვეთ მათ, გამოჭრან სხვადასხვა ფორმები და დააწებონ მუყაოს ქაღალდზე, შექმნან რაიმე ნახატი ან ორნამენტი.
- სთხოვეთ ბავშვებს, მათი საყვარელი ფერების მეშვეობით, დახატონ ფერადი წრეები და გამოჭრან. ყველა ნამუშევარი დააწებეთ ერთ დიდ ფორმატზე ერთმანეთის გვერდიგვერდ.
- *აპლიკაცია „ჭრელი პეპლები“.* ბავშვებს სთხოვეთ, წინასწარ დაასველონ ფურცლის ზედაპირი სველი ღრუბლის მეშვეობით, შემდეგ გააფერადონ ფურცელი სხვადასხვა ფერის აკვარელის საღებავით და სანამ ნამუშევარი სველია, გაკეცონ ორ ნაწილად. გადაკეცილი ფურცლისგან გამოჭრან პეპლის ცალი მხარის ფორმა და გაშალონ. ფერადი პეპლები შესაძლოა დააწებონ ფორმატზე მხოლოდ შუა ნაწილით, ფრთები კი აუპრიხონ.



მოძრაობა



- ოთახის ერთ კუთხეში დადგით ცისარტყელას ფერების ბუშტებით სავსე ორი ყუთი. ოთახის მეორე კუთხეში კი ორი ცარიელი ყუთი. დაყავით ბავშვები ორ ჯგუფად. მოაწყვეთ მხიარული სტარტები. რომელი ჯგუფი უფრო მალე შეავსებს ცარიელ ყუთებს?

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ქაღალდის თეფშები და ფერადი ქაღალდის ლენტები, დაახლოებით 20 სანტიმეტრის სიგრძის. სთხოვეთ ბავშვებს, მიაწებონ ლენტები თეფშს. მიამაგრეთ მსუბუქი, ბრტყელი ხის ჯოხი (მაგალითად, ნაყინის ან „შპადელი“).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან ლექსი: „ბოსტანი“. დასვით კითხვები: გოგრა მუქი ყვითელია თუ ღია; ცეცხლმოდებული პამიდვრები წითელს ნიშნავს თუ ვარდისფერს; უნახავთ ვარდისფერი პამიდორი; ქორფა კიტრი რა ფერი წარმოუდგენიათ, ბებერი? რა არის გამარგვლა, მორწყვა, კვალი?

სენსორული:

- წინასწარ პატარა თეფშზე დაასხით სხვადასხვა ფერის გუაშის საღებავი. სთხოვეთ ბავშვებს თითი ერთხელ ჩააწონ და ბევრი ანაბეჭდი დატოვონ ფურცელზე. დააკვირდნენ, როგორ ღიავდება ფერი.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ პიპეტი, გრძელი თეთრი ქაღალდი, ბამბის ჩხირები და საღებავები (თეთრიც). წაახალისეთ ბავშვები, რომ სცადონ პირველადი ფერის შეცვლა (გამუქება ან გაღიავება). სთხოვეთ, ერთი წვეთი თეთრი საღებავი დააწვეთოს. იქვე ახლოს დააწვეთოს ერთი წვეთი ლურჯი (ან წითელი, ყვითელი, რომელსაც აირჩევენ) საღებავიც. შემდეგ სთხოვეთ, სუფთა ბამბის ჩხირით საღებავები ერთმანეთში აურიოს. გაიმეორეთ, ოღონდ ამჯერად ბავშვს სთხოვეთ, დააწვეთოს ერთი წვეთი თეთრი საღებავი და ორი წვეთი ლურჯი საღებავი და შემდეგ აურიოს სუფთა ჩხირით. გაიმეორეთ სხვა პროპორციების გამოყენებით. შეეკითხეთ ბავშვს, რომელი გვაძლევს ყველაზე ღია ფერს: ნაკლები რაოდენობის თეთრი საღებავის უფრო მეტ რაოდენობის ლურჯ საღებავთან შერევა, თუ პირიქით ნაკლები რაოდენობის ლურჯი საღებავის უფრო მეტ რაოდენობა თეთრ საღებავთან შერევა? ყველა ეს საფეხური თითოეულ ბავშვთან სათითაოდ გაიმეორეთ და გამოფინეთ ნამუშევრები. წაახალისეთ ისინი, დააკვირდნენ რამდენად განსხვავებული ფერები შექმნეს. შეუძლიათ იპოვონ ერთნაირი ფერები? ერთნაირი ფერები მიიღეს?

საღამოს წრე

- რა მოეწონათ დღის მანძილზე ყველაზე მეტად?
- რა ისწავლეს ფერებზე ახალი?

4. თბილი და ცივი ფერები

დილის წრე

- *ფერების ბორბალი* (6 ფერის სექტორად დაყოფილი წრე, შემდეგი თანმიმდევრობით: წითელი, სტაფილოსფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, იასამნისფერი) გადაკეცეთ ბორბალი (ფურცელი) შუაზე. დაიჭირეთ ფერების ბორბალი ისე, რომ წითელი ფერი „12-ზე“ იყოს. სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ მარჯვნივ მდებარე ფერებს. მათ უწოდებენ „თბილ ფერებს“. ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რატომ არის ასე. რა ფერია ცეცხლი?

რომელ ფერს ვირჩევთ მზის გასაფერადებლად? სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ წრის მარცხენა მხარეს მოთავსებულ ფერებს. მათ ეძახიან „ცივ ფერებს“. ისაუბრეთ იმის შესახებ თუ რატომ არის ასე. რა ფერზე ვიფიქრებდით ცივი წყლით სავსე საცურაო აუზისთვის?

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს ფანქრები და თეთრი სახატავი ფურცლები, შუაზე გადაკეცილი და შემდეგ ისევ გაშლილი. სთხოვეთ, დახატონ ფურცლის ერთ მხარეს სტაფილოსფერი მზე ცისფერ ცაზე. სთხოვეთ ბავშვებს, ფურცლის მეორე მხარეს დახატონ ცისფერი მზე სტაფილოსფერ ცაზე. იმსჯელეთ, ნახატების შესახებ. რომელი ფერი გგონიათ თბილი? გრილი?

- წაახალისეთ ბავშვები, რომ თბილი ფერის ფანქრების გამოყენებით დახატონ რაიმე საგანი ან ადგილი, სადაც ცხელა. სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ თავიანთი ნამუშევარი. მათი მონათხრობი ნახატებს მიაწერეთ. გაიმეორეთ იგივე ცივი ფერების გამოყენებით. გაყავით დაფა (ან კედელი) შუაზე. ერთ მხარეს დააწერეთ „თბილი“, მეორეს კი „ცივი“. ცივი ფერებით დახატული „ცივ“ მხარეს გამოფინეთ. თბილი ფერებით შესრულებული ნამუშევრები კი – „თბილ“ ნახევარში.
- აჩვენეთ ბავშვებს წერტილოვანი ტექნიკით შესრულებული ნამუშევრების რეპროდუქციები. წინასწარ პატარა თეფშებზე დაასხით სხვადასხვა ფერის გუაშის საღებავები, სთხოვეთ ბავშვებს, უბრალო ფანქრით მოხაზონ ნახატის კონტურები. შემდეგ ჩააწონ თითი საღებავში და ფურცელზე დატოვონ წერტილოვანი ანაბეჭდები.

მოძრაობა



- „ცივა-ცხელა“. აირჩიეთ პატარა ზომის სათამაშო ცხოველი, რომელსაც თამაშის განმავლობაში დამალავთ. ერთი ბავშვი (მონადირე) ოთახიდან გადის. დანარჩენები ოთახში სათამაშოს დამალავენ. მონადირემ დამალული სათამაშოს ძებნა უნდა დაიწყოს. დამალულ სათამაშოსთან მიახლოებისას ბავშვები ყვირიან „თბილა“, ხოლო დაშორებისას „გრილა“. თუ უკიდურესად ახლოს მოვა – „ცხელა“, ხოლო თუ ძალიან დაშორდება – „ცივა“.

სამაგიდო



- დააწყვილებინეთ ფერები შესაბამის სიტყვებთან.

საღამოს წრე

- რა გაიგეს თბილი და ცივი ფერების შესახებ?
- ეთანხმებიან თუ არა უფროსებს, რომ მათ ფერები ასე დააჯგუფეს, ხომ არა აქვთ სურვილი თვითონაც გამოიგონონ ფერთა სხვადასხვა ჯგუფები?

5. შავი და თეთრი

დილის წრე

- რა ჩანს ღამით? რა ჩანს დღისით?
- ყველაზე ხშირად სად გვხვდება შავი და თეთრი ერთად.

ხელოვნება



- წაახალისეთ ბავშვები, რომ სრულად გააფერადონ ფურცელი ფერადი ფანქრებით და შემდეგ ზემოდან შავი პასტელით დაფარონ. აჩვენეთ, როგორ დაკაწრონ ესკიზი უბრალო ფანქრით, ქვედა ფერები ნაკაწრებიდან გამოჩნდება.
- თეთრად ხატვა. მოიმარაგეთ ფერადი ფურცლები, თეთრი საღებავი და თეთრი ფანქრები. სთხოვეთ ბავშვებს, შექმნან თეთრი ნახატი.

- „ფერადი ფაქტურა“: დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ფაქტურის ნივთები: ფოთლები, მონეტები, ხის ნაჭერი, ქვა, მაქმანები. სთხოვეთ დააფარონ ნივთს თეთრი ფურცელი და გადაავლონ უბრალო ან შავი ფანქარი. დააკვირდნენ, როგორ ანაბეჭდს დატოვებს სხვადასხვა ფაქტურა.

მოძრაობა



- „თეთრი პარაშუტი“: მოიმარაგეთ თეთრი დიდი ზომის ზეწარი. წაახალისეთ ისინი ახტუნაონ ბურთი ზეწარზე, გაირბინონ მის ქვეშ, შეეცადონ ერთმანეთის ზეწარში გახვევა და ა.შ. თუ ამინდი ხელს გიწყობთ, ითამაშეთ ეზოში.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, ფურცელი სხვადასხვაფრად გააფერადონ (პასტელით). ჭრელი ფურცელი შავი პასტელით დაფარონ. შემდეგ პლასტელინის დანით ან ჩხირებით ამოკაწრონ.
- თეთრი, როგორც თოვლი. დაასხით ქაფი მაგიდას, სთხოვეთ ბავშვებს თითებით დახატონ.
- ახატვინეთ ცარცით.

წიგნიერება

- გაახსენეთ „კონკიას“ ღამის სასწაულები.
- წაუკითხეთ „ექიმი“ წიგნიერების დანართიდან. კიდევ ვის აცვია თეთრები? მოსწონთ ექიმების თეთრი ფორმა, ხომ არ აქვთ სხვა მოსაზრება?

მეცნიერება

- მოიმარაგეთ თეთრი ქაღალდი, ფანქრები და კალკა. გააცანით ამ ქაღალდით მუშაობის პრინციპი.
- შავი ქვიშის მიღება; წაახალისეთ ბავშვები, დაუმატონ მშრალი შავი ტემპერა საღებავი ქვიშას. რამდენად სწრაფად იცვლის ფერს ქვიშა?

საღამოს წრე

- რა გაიგეს ფერების შესახებ?
- ჩამოთვალეთ საყვარელი ფერები.

შემოდგომა და რთველი

1. შემოდგომა
2. რთველი

1. შემოდგომა

დილის წრე

- ისაუბრეთ შემოდგომაზე. პირველი, რასაც ვამჩნევთ, ფოთლებია, რომლებიც ფერს იცვლიან. შეგიძლიათ გაიხსენოთ სხვა ნიშნები? წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ, რაც შემოდგომის შესახებ იციან.
- როგორი ამინდებია?
- რა ტანსაცმელი გვაცვია?
- რა ხილი და ბოსტნეულია ამ დროს?
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა შემოდგომაა.
- დაათვალიერებინეთ შემოდგომის ამსახველი პეიზაჟები.

ხელოვნება



- სხვადასხვა ფერის ქაღალდის ხელსახოცებისა და ხის ჩხირებისგან დაამზადებინეთ ბავშვებს ქოლგების კოლაჟი.



- „შემოდგომის ფანჯრები“. მოათავსეთ შემოდგომის ფოთლები წებოვან გამჭვირვალე ქაღალდზე (გამოიყენება წიგნების გადასაკრავად) და დააწებეთ ფანჯრის მინაზე.
- მოიმარაგეთ გამხმარი ხის ტოტები და სხვადასხვა ფერის კრეპის ქაღალდი. წაახალისეთ ბავშვები, გამოჭრან ფოთლები კრეპის ქაღალდისაგან და დააწებონ ტოტებს. დამზადებული ტოტები ჩაამაგრეთ ქოთანში ან სხვა ჭურჭელში.
- წელიწადის ოთხი სეზონის შესაბამისად დაამზადეთ ოთხი ქვეყანა. მაკეტი დაამზადეთ დიდი ზომის მუყაოზე. შემოდგომისათვის გამოიყენეთ გამხმარი ტოტები, შემოდგომის ფოთლები, ქსოვილები, ფერადი ქაღალდები და პლასტელინი.

მოძრაობა



- მოიმარაგეთ კალათა, სიმინდის ტარო ან ნაგულა. წაახალისეთ ბავშვები, სიმინდის ტაროები კალათში ჩაყარონ. მათ შორის მანძილი ნელ-ნელა გაზარდეთ.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ერთი ყუთი შემოდგომის ფოთლები, რომ ბავშვებმა კატეგორიებად დაახარისხონ ფაქტურის მიხედვით.
- მათემატიკა. მოიმარაგეთ ექვსი ან რვა კონტეინერი და დანომრეთ წერტილებით. წაახალისეთ ბავშვები, თითოეულ კონტეინერში წერტილების შესაბამისი რაოდენობის რკო ჩაყარონ.

სენსორული

- მოიმარაგეთ ნახევარლიტრიანი ბოთლები. ერთი ბოთლი გაავსონ ქაღალდის პატარა ფერადი ნაჭრებით და წყლით, (ბოთლი შეუძლიათ გამოიყენონ სადღესასწაულო წვეულებებზე), მეორე – შემოდგომის ფოთლებით და მესამე – შემოდგომის არომატული საგნებით (გირჩა, ფოთლები და სხვა). სამივე ბოთლს თავსახური მიაწებეთ, მესამე ბოთლის თავსახურს გაუკეთეთ პატარა ნახვრეტები, რომ ბავშვებმა სუნი შეიგრძნონ.

წიგნიერება

- შემოდგომას სიხარულთან ერთად სევდაც ახლავს თან. გადამფრენი ფრინველები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ. ხეები შიშვლდებიან, ზამთრის ძილისთვის ემზადებიან. წაუკითხეთ „შემოდგომა“ (იხ. წიგნიერების დანართი). რა ანაღვლებთ ცხოველ-ფრინველებს? რატომ არის მათთან შედარებით ადამიანი დაცული. მას აქვს სახლი, შემოდგომაზე იკეთებს ზამთრის მარაგს და რაც მთავარია, ადამიანს აქვს ცეცხლი და შემოდგომის შემდეგ მომავალი ზამთარი ყველაზე ნაკლებად აშინებს.

საღამოს წრე

ჰკითხეთ:

- რა გაიგეთ დღეს შემოდგომის შესახებ?
- შემოდგომის ფოთლის რომელი ფერი მოგწონს ყველაზე მეტად?
- რით განსხვავდება შემოდგომა ზაფხულისგან?

2. რთველი

დილის წრე

- ისაუბრეთ ყურძენზე. რა ისხამს ყურძენს, რა ჰქვია ადგილს, სადაც ბევრი ვაზია. რა არის რთველი, რატომ არის სახალისო ერთად მუშაობა. რა მზადდება ყურძნის წვენით, რა არის ტკბილი, თათარა, ფელამუში, მაჭარი, თუ ყოფილან სოფლად მოსავლის აღების დროს? უთხარით, რომ დღის თემაა: „რთველი“.

ხელოვნება



- თიხის ქვევრები. დაურიგეთ ბავშვებს თიხა, აჩვენეთ მათ უკვე გამოძერწილი ქვევრის ფორმა და სთხოვეთ, ჯერ დაამრგვალონ თიხის გუნდა, შემდეგ კი მისცენ ქვევრის ფორმა.

ექსკურსია



- *ნიკო ფიროსმანის ნახატები „რთველი“.* წაიყვანეთ ბავშვები მუზეუმში და წაახალისეთ, იპოვონ 3 ტილო, რომელზეც რთველია გამოსახული. (ან აჩვენეთ ნახატების რეპროდუქციები). დააკვირდით რთველთან დაკავშირებულ საგნებს (ყურძენი, გოდორი, ქეიფი, ღვინო, ვენახი, ქვევრი, ჩურჩხელა).

მოძრაობა



- გამოიყენეთ მუსიკა La Pigiatura, ფილმიდან „ჭირვეულის მორჯულება.“ ოთახში სხვადასხვა ადგილას მიამაგრეთ „ყურძნის მტევნები“ (ნაჭრები, ღრუბელი, პატარა ბალიშები ან სხვა რბილი მასალა). ამ „მტევნებს“ ბავშვები „დაკრეფენ“ და ჩაყრიან ჯამებში (ან შეგროვებულ „მტევნებს“ უბრალოდ ძირს დაყრიან). ჯამები ან გროვები წრიულად განალაგეთ. ზოგი ბავშვი ჩადგება ნაჭრებით – „მტევნებით“ სავსე ჯამში და დაიწყებს ყურძნის „დაწურვას.“ ზოგიც იატაკზე დაყრილ „მტევნებს“ „წურავს.“ სასურველია, ნაჭრების გროვა უსწორმასწორო იყოს, რომ ბავშვებს მოუწიოთ წონასწორობის დაცვა და ძალის გადანაწილება. მას შემდეგ რაც ბავშვები კარგად იხტუნავებენ, ივლიან და იბაკუნებენ ნაჭრების გროვებზე, აიღებენ „დაწურული“ „ყურძნით“ სავსე ჯამებს და გადაიტანენ ერთ ან ორ დიდ „ქვევრში“ – დიდი ზომის ჯამში. შეიძლება ამ ჯამებიდან ისევ ამოიღონ ნაჭრები და „ჩურჩხელები“ გააკეთონ – მოურიონ, ამოიღონ ცოტა, დადონ მაგიდაზე და დააწებონ ჩურჩხელას ფორმის მსგავსად, შეღებონ და ა.შ.

სამაგიდო



- ყურძნის ძერწვა; დაურიგეთ ბავშვებს პლასტელინი და სთხოვეთ დაყონ ის რამდენიმე პატარა ნაწილად. დაამრგვალონ ნაწილები, ან მისცენ ოვალური ფორმა. შემდეგ მიამაგრონ მარცვლები ერთმანეთზე ან დააბრტყელონ მუყაოზე და მისცენ მტევნის ფორმა.
- იმუშავეთ სამუშაო ფურცლით – „დააბინავე მოსავალი“ (დანართი 2.3.1.).
- *დაწანი საწრუპები.* აიღეთ მუყაო ან ყუთი და თითოეულ გვერდზე სიმეტრიულად 4 ნახვრეტი გაუკეთეთ. ასევე აიღეთ 8 საწრუპი. საწრუპებს ძაფები გაუყარეთ. 4 საწრუპი, ძაფის საშუალებით, მუყაოს (ყუთს) მიამაგრეთ ჰორიზონტალურად. დანარჩენი საწრუპები ვერტიკალურად მხოლოდ ერთ მხარეს დაამაგრეთ. სთხოვეთ ბავშვებს გაუყარონ ერთმანეთში და დაწნან. ბოლოს, მეორე მხარესაც გაკვანძონ.





წიგნიერება

- წაუკითხეთ: „რთველი“ და „შემოდგომა ჰქვია“ (იხ. წიგნიერების დანართი). აუხსენით, რომ არსებობს ყურძნის სხვადასხვა ჯიში, გაახსენეთ, რამდენნაირი ვაშლი იყიდება ბაზარში, ასევე განსხვავებულია ყურძნის ჯიშებიც.

მეცნიერება

- დაკვირვება ყურძნის მარცვალზე, კანზე, გულზე, წიპწებზე; დაურიგეთ ბავშვებს ყურძნის მარცვლები. სთხოვეთ, შეისწავლონ მისი აგებულება, მოაცალონ კანი, ნახონ რა აქვს შიგნით, როგორია კურკის ფორმა, რამდენი კურკა აქვს, ვისაც სურვილი ექნებათ, ჩაიხატონ.

კულინარია



- მომზადებულ თათარაში ბავშვებმა უნდა ამოავლონ (მასწავლებლის დახმარებით) სხვადასხვა ზომის ჩურჩხელები და დაკიდონ ჯოხზე ზომის მიხედვით.
- სთხოვეთ ბავშვებს მომზადებულ თათარაში სხვადასხვა ზომის ჩურჩხელები ამოავლონ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს რთველზე?
- გაამეორებინეთ რთველთან დაკავშირებული სიტყვათა მარაგი.
- ჰკითხეთ, რა მოეწონათ ყველაზე მეტად?

კვება

1. ჯანსაღი საკვები
2. ხილი და ბოსტნეული
3. მე ვჭამ ცისარტყელას

1. საკვები

დილის წრე:



- ჰკითხეთ ბავშვებს, რატომ ვიკვებებით? სავარაუდო პასუხები: გავიზარდოთ, მივიღოთ თამაშისთვის საჭირო ენერგია, გვეხმარება, რომ ვიყოთ ჯანმრთელები და ძლიერები.
- ჰკითხეთ ბავშვებს, არის თუ არა სულერთი როგორ საკვებს ვჭამთ. როგორი უნდა იყოს ჩვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო საკვები? უთხარით ბავშვებს, რომ მრავალფეროვანი კვება მნიშვნელოვანია. რომ დღის განმავლობაში უნდა ვჭამდეთ მარცვლეულს, ხორცს ან მის შემცვლელ პროდუქტს, რძის ნაწარმს, ხილს, ბოსტნეულს.

- აჩვენეთ ჯანსაღი კვების პირამიდა (დანართი 2.4.1.). დაალაგებინეთ საკვები ბარათები ჯგუფების მიხედვით: მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული, ხორცის პროდუქტი, რძის ნაწარმი (დანართი 2.4.2). დაიწყეთ ორი კატეგორიით და თანდათან გაართულეთ.

ხელოვნება

- დაურიგეთ ბავშვებს მუყაოს წრეები და წინასწარ გამოჭრილი ინგრედიენტები (დანართი 2.4.3.). სთხოვეთ გააკეთონ პიცა. შესაძლებელია, ინგრედიენტები ჯერ გააფერადონ და შემდეგ დააწებონ ან დაჭრან და ისე გაანაწილონ პიცაზე.
- ფერადი ქაღალდების, მუყაოს, მაუდისა და სხვა მასალის გამოყენებით დაამზადებინეთ სხვადასხვა მზა კერძები, რომლებსაც შემდეგ გამოიყენებთ დრამატულ ცენტრში სათამაშოდ. მაგ. ფერადი, თეთრი და ყვითელი ქაღალდის აპლიკაციით შეიძლება დამზადდეს ერბოკვერცხი. თეთრი მაუდის წვრილად დაჭრით – მაკარონი, მწვანე კრეპის ქაღალდით – სალათა, მაუდით – ძეხვისა და ყველის ნაჭრები და ა.შ.

მოძრაობა



- *თევზაობა.* ხის კოვზს მიაბით დაახლოებით 0,5 მეტრი სიგრძის ძაფი/თოკი, ძაფის ბოლოზე მაგნიტი დაამაგრეთ. მუყაოსგან 6 პატარა რგოლი გამოჭერით. თითოეულ მათგანზე მიამაგრეთ რკინის მცირე ზომის „სკრეპი“. დაალაგეთ რგოლები იატაკზე, არეულად. ბავშვებმა „ანკესით“ უნდა შეძლონ რგოლების დაჭერა.

სამაგიდო



- დააჯგუფებინეთ ბავშვებს საკვების ბარათები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: მაგ: მიყვარს – არ მიყვარს, ფერი, სასარგებლო ა. შ. (დანართი 2.4.2.).
- *მეორე ვარიანტი – ნაყინის კონუსები.* ქაღალდისგან წინასწარ გამოჭერით სამკუთხედის და წრის ფორმის დეტალები. ახალ ფურცელზე ბავშვებს დააწებებინეთ აღნიშნული დეტალები ისე, რომ ნაყინის ფორმის აპლიკაცია გამოვიდეს.

- *საყვარელი საკვების კოლაჟი.* საკვები პროდუქტის ეტიკეტებიდან ბავშვებს ამოაჭრევინეთ მათი საყვარელი საკვების სურათები, შემდეგ კი შეუძლიათ დააწებონ ისინი ერთჯერად თეფშებზე.
- *მაკარონის ასხმულა.* შეაღებინეთ ბავშვებს მაკარონები და სთხოვეთ, აასხან გრძელ ძაფებზე.
- *მეხსიერება. საკვების დამახსოვრება:* დაალაგეთ 4 ან 5 სხვადასხვა დასახელების საკვები პროდუქტი ლანგარზე. ბავშვი უყურებს ამ ლანგარს 10 წამის განმავლობაში, შემდეგ ხუჭავს თვალებს და თქვენ იღებთ ლანგრიდან 1 რომელიმე პროდუქტს. ბავშვმა უნდა გამოიცნოს, რა აღარ დევს ლანგარზე?
- *სამუშაო ფურცელი:* დაუხატე ფაფას ორთქლი (დანართი 2.4.4.).
- *სამუშაო ფურცელი:* მოურიე წვნიანს (დანართი 2.4.5.).

სენსორული

- *რისი სუნი აქვს?* ამოირჩიეთ 4 განსხვავებული სუნის მქონე საკვები პროდუქტი და აჩვენეთ ბავშვს. ბავშვს თვალი აუხვიეთ და ცხვირთან ახლოს მიუტანეთ რომელიმე მათგანი, უნდა გამოიცნოს, რომელი საკვებია.
- მოამარაგეთ ბავშვები საზომი ჭიქებით და მიეცით საშუალება, ითამაშონ მანანის ბურღულით.

დრამატული



- *რესტორანი, კაფე, მაღაზია, ბაზარი.* ჯგუფის ერთი კუთხე მოაწყვეთ კაფესავით. დადგით პატარა მაგიდები, და იქვე სამზარეულოც. მოიმარაგეთ ჭურჭელი და სათამაშო საჭმელები. ზოგი ბავშვი იქნება მზარეული,ზოგი – მიმტანი, ზოგი – სტუმარი. თქვენც ჩაერთეთ თამაშში და წაახალისეთ ბავშვები, დაამზადონ, შეუკვეთონ მიიტანონ და მიირთვან საჭმელი.

წიგნიერება.

- წაუკითხეთ: „ათი თითი“, „ფაფა“, „თინიკოს“. გაარკვიეთ, სასარგებლოა თუ არა ხაჭაპური, ქადა? რა პროდუქტებისგან შედგება? რისგან კეთდება ფქვილი, ყველი? რატომ არის სასარგებლო ფაფა? აძლიერებს. რისი ფაფა იციან? რისი მარცვლები უნახავთ?

კულინარია



- სთხოვეთ ბავშვებს კარაქი ან ჯემი პურის ნაჭერს გადაუსვან.
- მიეცით სათამაშო ან ნამდვილი ცომი და საბრტყელებელი. სთხოვეთ გააბრტყელონ, ჩაადებინეთ პილმენის გასაკეთებელ პლასტმასის ფორმებში, წაახალისეთ გამოჭრან.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს საკვების შესახებ?
- რომელი საჭმელები უყვართ?

2. ხილი და ბოსტნეული

დილის წრე

- *ხილის ფორმის დასაჯდომები.* წინასწარ ამოჭერით დიდი ზომის ხილის ფორმების ნახატები და გაუკეთეთ ლამინირება. ეს დეტალები შეგიძლიათ გამოიყენოთ დასაჯდომად კითხვის ან წრიული აქტივობების დროს.
- ისაუბრეთ, რა მნიშვნელობა აქვს ხილს და ბოსტნეულს ბავშვის ჯანმრთელობისთვის. უთხარით, რა განსხვავებაა ხილსა და ბოსტნეულს შორის. სთხოვეთ, ჩამოთვალონ ხილი, ბოსტნეული.
- აჩვენეთ ხილისა და ბოსტნეულის ბარათები (დანართი 2.4.6.). სთხოვეთ, აღწერონ დიდია თუ პატარა, ხილია თუ ბოსტნეული, რა ფერია, როგორი ზედაპირი, როგორი გემო აქვს, როგორია წვნიანი, ხრაშუნა, რბილი, მაგარი (თუ შესაძლებელია გაასინჯეთ).

ხელოვნება

- *საზამთრო:* დაურიგეთ ბავშვებს თითების შავი საღებავი და საზამთროს ნაჭრის ფორმის წითელი ფურცლები. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ უნდა გააკეთონ თითების ანაბეჭდები მხოლოდ ერთი თითის გამოყენებით. ეს ანაბეჭდები საზამთროს კურკები იქნება.
- *კურკებისგან დამზადებული ჩხარუნა.* დაგჭირდებათ ხაჭოს ან არაჟნის ქილები. ჩაყარონ ქილაში კურკები. დაახურონ თავსახური. გააფორმებინეთ ეს კონსტრუქცია ბავშვებს ბაფთებით ან მუყაოსგან გამოჭრილი დეტალებით. თქვენი ჩხარუნა მზადაა, შეგიძლიათ აჩხარუნოთ მუსიკის თანხლებით.
- გოგრის თესლი გააშრეთ და შეღებეთ სხვადასხვა ფერებით. შეღებილი გოგრის თესლისგან შეგიძლიათ ბავშვებს დაამზადებინოთ სხვადასხვა კომპოზიციები.

მოძრაობა



- ავიწიოთ და მივწვდეთ ვაშლის ხეს (აწევა ფეხის წვერებზე). ორი ვაშლი მიღიმის (ხელებით ვაშლის ფორმის შემოვლება), დავფერთხოთ ხე, რაც შეგვიძლია ძლიერად (ხელებით და ტანით იმიტაცია), ვაშლი ძირს დაცვივდა (ხელების აწევა და ჩამოყრა), შევჭამოთ ვაშლი (ჭამის იმიტაცია), მმმმმმ, რა გემრიელი იყო (მუცელზე წრიული მოძრაობა).
- მოძრავი თამაში: მიგორავს ვაშლი (მასწავლებლის მოწოდებაზე ბავშვები კოტრიალობენ).

სამაგიდო



- *ხილის მძივები.* დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ხილის ფორმის ფურცლები. გახვრიტეთ ეს ფურცლები ისე, რომ ბავშვებმა მათი ძაფზე აცმა შეძლონ.
- ამოაჭრევინეთ ბავშვებს ჟურნალებიდან და პროდუქტების ეტიკეტებიდან ხილის სურათები. დაასათაურეთ მათი ფურცლები: „მე მიყვარს...“ ბავშვებმა კი დააწებონ ფურცელზე მათი საყვარელი ხილის სურათი.
- ფერადი მუყაოს ქაღალდისგან რომელიმე ხილის ან ბოსტნეულის ფორმა ამოჭერით, ირგვლივ კიდეებზე ნახვრეტები გაუკეთეთ. ბავშვებს დაურიგეთ თასმები, საქსოვი ძაფები ან ფაფუკი მავთულები (ფაიფქლინერები), სთხოვეთ გაუყარონ, ვითომ ჭიაყელაა.
- სამუშაო ფურცელი: ვაშლი ხიდან ვარდება (დანართი 2.4.7.).
- სამუშაო ფურცელი: დაუხატე ვაშლის ხეს ვაშლები (დანართი 2.4.8.).
- სამუშაო ფურცელი: დაუხატე გოგრას თვალები და პირი (დანართი 2.4.9.).
- დაახარისხეთ წითელი, მწვანე და ყვითელი ვაშლის ფორმები.
- სამუშაო ფურცელი – გააფერადე სტაფილო და დაუხატე სტაფილოს ფოთლები (დანართი 2.4.10.).

სენსორული

- მოიმარაგეთ სხვადასხვა ხილი ან ბოსტნეული და ტომარაში ჩადეთ ერთი ან ორი მათგანი. ბავშვებმა სათითაოდ ჩაყონ ხელი და აღწერონ შეხებითი შეგრძნებები (რბილი, მაგარი, უხეში, გლუვი, მრგვალი და ა.შ.). შემდეგ გამოიცნონ რა ხილი თუ ბოსტნეულია ტომარაში.

დრამატული



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ბოსტნეული: კომბოსტო, სტაფილო, კარტოფილი, მწვანილი. შესთავაზეთ ბავშვებს, დაამზადონ ბოსტნეულის წვნიანი თოჯინასათვის. შეძლებისდაგვარად უნდა დაანაწევრონ და დაფლითონ ბოსტნეული, დაასხან წყალი და შეკმაზონ მარილით. ჩამჩით გაანაწილონ სათამაშო თეფშებზე და აჭამონ თოჯინებს.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „კაკალი“, „ბროწეული“, „ტყუპები“, „ბებომ გოგრა შემიწვა“, „რამ გაზარდა“.

მეცნიერება

- კარტოფილის კაცი. კარტოფილი სანახევროდ ჩადეთ წყლიან ჭიქაში. მანამდე დააწებეთ „მოძრავი თვალები“, პირი და ცხვირი. პერიოდულად შეუვსეთ წყალი. დროთა განმავლობაში დააკვირდით, როგორ გაეზრდება თმები.

- ბავშვების თვალწინ გახეხეთ ვაშლი ან გამოწურეთ წვენი. სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ როგორ შეიცვლის ფერს ვაშლი.
- სანამ გოგრის თესლი სველია, სთხოვეთ ბავშვებს შეეხონ და ხელით მოსინჯონ, როგორი ფაქტურა აქვს. გაშრობის შემდეგ ისევ მოკიდონ ხელი და ნახონ განსხვავება.
- შეისწავლეთ ხილის კურკები გამადიდებელი შუშის დახმარებით. დაათვალიერეთ განსხვავებული ტექსტურის მქონე ხილის და ბოსტნეულის ნიმუშები.
- დაახარისხებინეთ ბავშვებს ერთნაირი კურკები სხვადასხვა პატარა განყოფილებიან ყუთში, რომელიც შეგიძლიათ თქვენ თვითონ დაამზადოთ მუყაოსაგან.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ხილის და ბოსტნეულის შესახებ?
- ხილთან და ბოსტნეულთან დაკავშირებული რომელი საქმიანობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

3. მე ვჭამ ცისარტყელას

დილის წრე

- მოიმარაგეთ ჟურნალები საკვების სურათებით და დიდი ზომის ცისარტყელას ნახატი. ცისარტყელას ყოველი (ფერისთვის) ზოლისთვის ბავშვებს შესაბამისი ფერის საკვები მოაძებნინეთ. ეცადეთ, ბავშვებს რაც შეიძლება სასარგებლო საკვები შეარჩევინოთ, როგორიცაა: ყურძენი, ყვავილოვანი კომბოსტო.
- უთხარით, რომ სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის ჭამა ჯანმრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი სხვადასხვა ვიტამინებს (ჩვენი ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ნივთიერებებს) შეიცავს.
- იმისათვის, რომ მრავალფეროვნად იკვებონ, ეცადონ სხვადასხვა ფერის ხილი და ბოსტნეული აირჩიონ საკვებად. მაგ. სამი ბანანის ჭამაზე უკეთესია, ერთი ბანანი, ერთი ვაშლი და ერთი კივი მიირთვან.

ხელოვნება

- *კურკების კოლაჟი.* დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა სახეობის ხილის კურკები და დააკვრევინეთ ფურცელზე.

მოძრაობა



- *თამაში „ცხელი კარტოფილი“.* (ამ თამაშისთვის გამოიყენეთ რბილი ბურთი). დასხით ბავშვები წრიულად. ბავშვებმა სწრაფად უნდა გადასცენ ბურთი გვერდით მჯდომს. აღმზრდელის დაძახებაზე „სდექ“ ბავშვმა სწრაფად უნდა გააგდოს ხელიდან.

სამაგიდო



- *საყვარელი ხილი.* შეადგინეთ ცხრილი: „ჩემი საყვარელი ხილი“.
- დააჯგუფეთ ხილი და ბოსტნეული. დაგჭირდებათ პოსტერის დაფა. ძველი ჟურნალები, მაკრატელი და წებო. დაასახელეთ რომელიმე ფერი, შემდეგ კი ბავშვებს სთხოვეთ, დაასახელონ ამ ფერის ხილი ან ბოსტნეული. შეგიძლიათ ყოველი მოცემული ფერის ქვეშ დაფაზე მიაკრათ შესაბამისი ფერის ხილისა და ბოსტნეულის სურათები. მაგ: კითხვა: რამდენი მწვანე ხილი და ბოსტნეული შეგიძლიათ ჩამომითვალოთ? ასე გაიმეორეთ სხვა ფერებისთვისაც: წითელი, ყვითელი, სტაფილოსფერი, თეთრი, ლურჯი, იასამნისფერი. ყველაზე ბევრი რომელი ფერის ხილი და ბოსტნეული დავასახელეთ? (**მწვანე**: მწვანე ვაშლი, კივი, ლობიო (მწვანე), ბარდა, მწვანე ყურძენი, კიტრი, სალათის ფოთოლი, ისპანახი, მწვანე ხახვი, ლეღვი, ბულგარული წიწაკა. **ყვითელი**: მსხალი, ვაშლი, ლიმონი, ბანანი, ნესვი, ყვითელი ბულგარული წიწაკა, სიმინდი. **სტაფილოსფერი**: ფორთოხალი, მანდარინი, გარგარი, ატამი, სტაფილო, გოგრა. **იასამნისფერი/ლურჯი**: შავი

ყურძენი, ქლიავი, მაყვალი, მოცხარი, შინდი, ჭარხალი, ბადრიჯანი, მელნისფერი კომბოსტო, ლობიო, ქიშმიში. **წითელი**: ვაშლი, მარწყვი, ჟოლო, ალუბალი, წიწაკა, პომიდორი, საზამთრო, ბოლოკი, **თეთრი**: ხახვი, ნიორი, სოკო, კარტოფილი, თალგამი, ყვავილოვანი კომბოსტო.)

სენსორული

- *რისი გემო აქვს?* შეარჩიეთ 4 სხვადასხვა დასახელების ხილი. თვალახვეულ ბავშვს გაასინჯეთ რომელიმე მათგანი და ჰკითხეთ, თუ შეუძლია, ამოიცნოს რა ხილი იყო? (**ყურადღება**: ზოგიერთ ბავშვს შესაძლებელია ჰქონდეს ალერგია ამა თუ იმ საკვებზე, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (მაგ. შაქრიანი დიაბეტი) შეზღუდული ჰქონდეს რომელიმე საკვების მიღება. ამიტომ წინასწარ დააზუსტეთ ამგვარი დეტალები. ნუ გამოიყენებთ ამ აქტივობაში ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა: მიწის თხილი, მარწყვი და ხორცის პროდუქტები).

წიგნიერება

- წაუკითხეთ „ციალას წერილი“. აუხსენით ჩირი და ჩამიჩი. რას ფიქრობენ, სად ცხოვრობს ციალას ბებია? მათ თუ ჰყავთ ვინმე სოფელში? რატომ სთხოვს სოფლელ ბებიას ხილს? ქალაქელმა ბებიამ საიდან უნდა მოიტანოს საკვები პროდუქტები, სოფლელმა? რა ფერის არის ლექსში ნახსენები საჭმელები?

საღამოს წრე

- რა გაიგეს საჭმლისა და ფერების ერთობაზე?
- რატომ უნდა მიიღონ სხვადასხვა ფერის საჭმელი?
- თავად რომელი ფერის საჭმელს ანიჭებენ უპირატესობას?

მე და ჩემი სხეული

1. სხეული და მისი ნაწილები
2. სახე და სახის ნაკვთები
3. ძვლები და კუნთები
4. გული და სისხლი
5. ფილტვები და სუნთქვა
6. კუჭი და საკვები
7. ტვინი და ჭკუა

1. სხეული და მისი ნაწილები

დილის წრე

- ჩამოათვლევინეთ ბავშვებს სხეულის ნაწილები.
- ჰკითხეთ, რისთვის გვჭირდება ხელები/მტევნები? მკლავები? ფეხები? ტერფები?
- თვალსაჩინოებისთვის იქონიეთ ცხოველების სურათები. სთხოვეთ, ადამიანი შეადარონ დათვს, თევზს, ჩიტს, ბუზს. რა მსგავსება და განსხვავებაა? რა განასხვავებს ადამიანს დანარჩენი სამყაროსგან? გააკეთეთ აქცენტი იმაზე, რომ ადამიანი გამართულია. უთხარით, რომ ადამიანები ასევე განსხვავებულ ხმებს გამოსცემენ, რომ მეტყველებაში რამდენიმე ორგანო ღებულობს მონაწილეობას, რომ ის ჩასაბერი ინსტრუმენტივითაა. ფილტვებიდან ჰაერი უბერავს და უკრავს. თუ ხელმისაწვდომია, ჩააბერინეთ სალამურზე, საყვირზე, უბრალო სასტვენზე. ისინი სხვადასხვანაირ ხმას გამოსცემს. გაახსენეთ ჩიტის, ძროხის, სპილოს ხმა. შეადარონ თავიანთ სიმღერას, ლაპარაკს. უთხარით, რომ ინფორმაციას სხვა არსებებიც ცვლიან, მაგრამ ლაპარაკი მარტო ადამიანს შეუძლია, იმიტომ, რომ მას ყველასგან განსხვავებული სამეტყველო აპარატი (საკრავი) აქვს. ესაუბრეთ მეტყველების უპირატესობაზე.
- ხელები და ფეხები. ჰკითხეთ და ჩამოწერეთ რისთვის არის ხელები (ხატვა, ჭამა, მისალმება) და რისთვის არ არის ხელები (დარტყმა, ჩქმეტა, ხელისკვრა). იგივე გააკეთეთ ფეხებზეც (არის სიარულისთვის, არის ეზოში სირბილისთვის; არ არის დარტყმისთვის).

ხელოვნება

- წინასწარ აკინძეთ თითოეული ბავშვისათვის ფერადი ფურცლებით წიგნი, რომელსაც დაასათაურებთ „მე და ჩემი სხეული“. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილები ცალ-ცალკე ფურცლებზე და შემდეგ გამოჭრან და დააწებონ ნახატები თითოეულ გვერდზე. გააფორმონ ყდა და გადაუსვან ფერადი ფლომასტერი სათაურს.
- *კოლაჟი – სასაცილო კაცუნები.* ბავშვებს ჟურნალ-გაზეთებიდან ამოაჭრევინეთ ადამიანის სხეულის ნაწილები, სთხოვეთ, შექმნან სასაცილო პერსონაჟები და დააწებონ ფურცელზე.
- *ადამიანის ორგანიზმის ქაღალდის მოდელის დამზადება პაპიე-მაშეს გამოყენებით.* გაბერეთ ორი ოვალური ბუშტი თავისთვის და ტანისთვის და ოთხი გრძელი ბუშტი კიდურებისთვის. წინასწარ მოამზადეთ სახამებელი, ჩაყარეთ მზა სახამებელში წვრილად დახეული გაზეთი. სახამებლით გაჟღენთილი გაზეთით დაფარეთ ბუშტები, გააშრეთ და ასევე გაზეთის საშუალებით დააწებებინეთ ერთმანეთზე ისე, რომ მიიღოთ ადამიანის სხეული. დაუხატეთ სახის ნაკვთები. შეგიძლიათ მოარგოთ ტანსაცმელი.
- *მარიონეტების დამზადება.* მოიმარაგეთ თიხა და გამოაძერწინეთ ბავშვებს მარიონეტი თოჯინების სხეულის ნაწილები: თავი, ტანი, ხელები, ფეხები. კიდურების გამოძერწვისას ყურადღება გაამახვილებინეთ იმაზე, რომ ხელი და ფეხი შედგება სამი ნაწილისგან.

მოძრაობა



- სთხოვეთ ბავშვებს იატაკიდან ტერფებით სხვადასხვა ნივთები აიღონ და დაბალ ყუთში ჩაყარონ.
- აქტივობა სპორტული დარბაზისათვის. ითამაშეთ „ტვისტერი“. დაყავით ბავშვები 6-7 კაციან ჯგუფებად. იქონიეთ ტვისტერის სათამაშო რამდენიმე კომპლექტი. (მუშამბის

(2მ/3მ) შიდა მხარეს დააწებეთ 16 სამი ფერის (წითელი, ყვითელი, ლურჯი) წრე; ყუთისგან გააკეთეთ კამათელი. თითო გვერდზე დააწებეთ (წითელი ხელი, ყვითელი ხელი, ლურჯი ხელი; წითელი ფეხი, ყვითელი ფეხი, ლურჯი ფეხი). „გამგორებელი“ მონაწილეებისათვის აგორებს კამათელს და აცხადებს რა დაჯდა, მაგ. „წითელი ფეხი!“ ვისი ჯერიც არის ფეხს დებს შესაბამის წრეზე.



- *მიბაძვა.* ყველა იმეორებს მოძრაობებს, რომელსაც წარმოთქვამს აღმზრდელი. ჯერ თქვენ თავად ასრულებთ სხვადასხვა მოძრაობებს და ასმენინებთ ხმებს, რომელსაც ამა თუ იმ მოძრაობის დროს გამოსცემთ. შემდეგ აღმზრდელს ბავშვი ენაცვლება.
- *გავაღვიძოთ სხეული.* სთხოვეთ ბავშვებს ჩაკიდონ ერთმანეთს ხელები, გაიშალეთ ფართო წრედ და ჩამოუშვით ხელები. დაიწყეთ საკუთარი სხეულის გაღვიძება ხელების მსუბუქი დატყაპუნებით 3-4-ჯერ სხეულის სხვადასხვა ნაწილზე, თან დაასახელეთ: გავაღვიძოთ ფეხები/ტერფები, მუხლები, ხელები, მხრები, მუცელი, თავი და ა.შ. ყველანი იმეორებთ. შემდეგ შეგიძლიათ არ დაასახელოთ, მხოლოდ აჩვენოთ ბავშვებს, რომ მსუბუქად იტყაპუნებთ ხელს მუცელზე და მათ ერთად დაასახელონ სხეულის რომელ ნაწილს აღვიძებენ. შემდეგ შეგიძლიათ ხან ერთი მეზობლის მხარზე დაატყაპუნოთ ხელი, ხან მეორის.

სამაგიდო



- *ნატიფი მოტორიკა.* დაურიგეთ ბავშვებს სამუშაო ფურცელი ადამიანის სხეული (დანართი 2.5.1.). სთხოვეთ შეაერთონ წერტილები.
- *მათემატიკა.* სთხოვეთ ბავშვებს, დაითვალონ სხეულის რომელი ნაწილი აქვთ ორი (წყვილი) და რომელი ერთი. გააკეთეთ ცხრილი.
- *დავითვალოთ ჩვენი სხეულის ნაწილები.* აპოვნინეთ ბავშვებს საკუთარი სხეულის სხვადასხვა ნაწილი. დაათვლევინეთ სხეულის ამა თუ იმ ნაწილის რაოდენობა. ეს ვარჯიში ჯგუფურად სრულდება: ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ირჩევს სხეულის რომელიმე ნაწილს და ხმამაღლა ასახელებს, ჯგუფის სხვა წევრები კი ითვლიან.
- ჰკითხეთ ბავშვებს, ოდესმე თუ გაუზომავთ სხეულის სიგრძე. როგორ გაზომეს?
- შესთავაზეთ გამოიყენონ სხეულის ნაწილები საზომ საშუალებებად; გაზომეთ მაგიდის სიგანე, სიმაღლე. კარების სიგანე ხელის მტევნით, თითებით (მაგ. მაგიდის სიგანეა 3 მტკაველი და სამი თითი). (მაგიდის სიგანე შეგიძლიათ ასევე გაზომოთ კვადრატებად დაჭრილი ფურცლებით. ბავშვმა უნდა დაითვალოს რამდენი კვადრატის სიგანეა მაგიდა).
- *თოჯინის შემოსვა.* დაურიგეთ ფურცლები, რომლებზეც გოგონას და ბიჭუნას გამოსახულებაა, ტანსაცმლის გარეშე, ბავშვმა თავად უნდა შეძლოს შესაბამისი ტანსაცმლის (გამოჭერით ქაღალდისგან) ნახატზე მორგება. ყველა ნაწილი და ტანსაცმლის სახელი დაასახელეთ (დანართი 2.5.2.).

დრამატული



- *სავარჯიშო დარბაზი.* დაგჭირდებათ ლეიბი, სათამაშო სიმძიმეები: მაგ. დიდი ზომის ასაწყობი სათამაშოები. მუსიკა, იმისთვის, რომ შეიქმნას სავარჯიშო დარბაზთან მაქსიმალურად მიახლოებული გარემო. გააკეთებინეთ სხვადასხვა ვარჯიშები მაგ. წინ გადაკოტრიალება, ზურგზე ერთმანეთის მოკიდება და ა.შ.

წიგნიერება

- რა საგნებს აქვს „სხეულის ნაწილები“? მაგიდას – ფეხები; სკამს – თავი, ზურგი, ფეხი; ხახვს – თავი; ფეხსაცმელს – ენა; დანას, სავარცხელს – პირი; ჩანგალს – კბილები; დოქს – ყელი; ჭიქას – ფეხი; ფინჯანს – ყური; ველოსიპედს – თვალი; ცეცხლს – ენა.
- მოიმარაგეთ „სტიკერები“. სთხოვეთ ბავშვებს, თქვენ მიერ დასახელებული სხეულის ნაწილი მორიგეობით აჩვენონ თოჯინაზე და დააწებონ სტიკერი. ამ თამაშში მონაწილეობა ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს (შეუძლიათ სტიკერი საკუთარ სხეულის ნაწილზეც დაიკრან, თუ მოისურვებენ).
- ბავშვებთან ერთად დაათვალიერეთ ადამიანის სხეულისა და აგებულების ენციკლოპედია.

მეცნიერება

- ბავშვებს თავიანთი ხელები გამადიდებელი შუშით დაათვალიერებინეთ. გააკეთებინეთ თითების ანაბეჭდები ფურცელზე და შემდეგ ისიც გამადიდებელი შუშით ანახეთ. აბა, თუ იპოვით 2 ზუსტად ერთნაირ თითების ანაბეჭდს?

საღამოს წრე:

- დაუსვით ბავშვებს კითხვები, თუ რა გაიგეს თავისი სხეულის შესახებ.
- რით ჰგავს და რით განსხვავდება ჩვენი სხეული ცხოველების სხეულისგან?

2. სახე და სახის ნაკვთები

დილის წრე

- წინასწარ გააკარით დაფაზე დიდი ზომის სახის გამოსახულება. სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვალონ ნაკვთები. რაც გამორჩებათ თქვენ დაუმატეთ. (თმა, შუბლი, წარბები, თვალები, წამწამები, ლოყები, ცხვირი, ტუჩები, ნიკაპი წვერ-ულვაში)
- როგორი შეიძლება იყოს წარბი: წვრილი, მსხვილი. აუხსენით რას ნიშნავს: წარბები შეყარა, წარბები აზიდა.
- წამწამები: ხშირი, გრძელი, აპრეხილი. ახსენით რას ნიშნავს: „გაოცებისგან წამწამებს აფახულებს“ გააკეთებინეთ სარკესთან.
- ცხვირი: ორი ნესტო. დაახასიათეთ ფორმის მიხედვით. ჰკითხეთ ვისა აქვს დინგი, დრუნჩი, ხორთუმი?
- პირი: შეიძლება იყოს დიდი, პატარა. რას ნიშნავს უპირო და პირიანი კაცი? რატომ დაარქვეს ასე. დაპირებას ადამიანი პირით იძლევა.
- ტუჩები: წითელი, მსხვილი, წვრილი, გაბუტული. გააკეთონ სარკესთან გაბუტული ტუჩები.
- კბილები: ქათქათა, საღი, ჭიანი, მეჩხერი, ჩაწიკწიკებული. რას ნიშნავს კბილების დაკრეჭა? გააკეთონ სარკესთან.
- ენა: როგორია ენა? სველი, გრძელი, მოკლე. განუმარტეთ: ენაგრძელი, ენაჭარტალა, ენამოკლე.
- ლოყები: ღაჟღაჟა, ფერმკრთალი, ფუმფულა, მსუქანი, მრგვალი.
- დაახასიათეთ, როგორი შეიძლება იყოს შუბლი: მაღალი, დაბალი. აუხსენით რას ნიშნავს „შუბლი გახსნა“, „შუბლი შეიჭმუხნა“. შეეცადონ გააკეთონ სარკესთან.

ხელოვნება

- *ვხატავ მეგობარს.* ბავშვებს ფურცლები და ფანქრები დაურიგეთ. დააწყვილეთ ისინი და სთხოვეთ, რომ მეგობრის სახე დახატოს. უთხარით, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თმის, თვალების, ტუჩის ფერს, ასევე, თუკი აქვთ, ჭორფლებსაც.

აქტივობის ბოლოს გააცვლევინეთ ფურცლები, რომ საბოლოოდ თითოეულ მათგანს საკუთარი სახის ნახატი ჰქონდეს.

- *წიგნი – „მხიარული სახეები“.* სთხოვეთ ბავშვებს დახატონ სხვადასხვა მიმიკის მქონე სახეები ან ფერადი ფურცლებისგან გამოაჭრევინეთ სახის ნაწილები და ააწყობინეთ სახეები. სთხოვეთ ბავშვებს, პორტრეტებს გაუკეთონ კომენტარი, თქვენ კი ჩაიწერეთ. დააწებეთ ნახატები და ტექსტები ფურცლებზე და აკინძეთ, წიგნს გაუკეთეთ ყდა.

სამაგიდო



- დაურიგეთ ბავშვებს დანართი 2.5.3. სთხოვეთ, დააწებონ სახის ნაკვთები ისე, რომ სასაცილო სახეები გამოვიდეს.

დრამატული თამაში



- ბავშვებს ყურადღება გაუმახვილეთ სახის სხვადასხვა ნაწილებზე: ლოყებზე, ნიკაპზე, შუბლზე, თვალებზე, წარბებსა და ცხვირზე. მოაწყვეთ ოთახის ერთი კუთხე, როგორც საგრიმიორო. დაკიდეთ რამდენიმე სარკე. დაუდგით სავარძლები, ზოგი ბავშვი მსახიობია,ზოგი გრიმიორი, შეგიძლიათ დაკიდოთ რამდენიმე კოსტიუმი, ხოლო დამზადებული გრიმი (იხ. განმარტება) დადგით მაგიდაზე. წაახალისეთ, რომ სახე შეიღებონ.

წიგნიერება

- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ: „ანო ბაიას თავგადასავალი“ პირველი ნაწილი. დახატონ თოჯინა.

მეცნიერება

- სარკეში ყურების დროს ბავშვებმა სხეულის ნაწილები დაასახელონ. მიიღონ სახის სხვადასხვა გამომეტყველება. ამით უკეთ გაიაზრებენ, თუ როგორ იცვლება სახის მიმიკა სხვადასხვა ემოციის დროს.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი სახის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?
- ბავშვებთან ერთად ხელახლა დაახასიათეთ თითოეული სახის ნაკვთი.

3. ძვლები და კუნთები

დილის წრე:



- უთხარით ბავშვებს, რომ არსებობს სხეულის ნაწილები, რომლებიც არ ჩანს, მაგრამ მნიშვნელოვანია. ასეთია ძვლები, შინაგანი ორგანოები. ყველა ორგანოს თავისი საქმე აქვს. ჰკითხეთ, რა შინაგანი ორგანოები იციან?
- აჩვენეთ ბავშვებს რენდგენის სურათი. ჰკითხეთ, რა შეიძლება იყოს ეს? რისთვის გვჭირდება ჩონჩხი? ჩონჩხი რომ არ გვქონდეს, როგორები ვიქნებოდით? სცადონ, განასახიერონ.
- როგორ ვმოძრაობთ? როგორ ვხრით ხელ-ფეხს? აუხსენით, რა არის სახსარი. საილუსტრაციოდ გამოიყენეთ თოჯინა, რომელსაც ხელები უმოძრავებს; ან რობოტი, ან ამწეს ცხვირი, სადაც ჩანს, გადაბმის ადგილები როგორაა ერთმანეთში ჩასმული.
- უთხარით რომელია: მხარი, იდაყვი, მაჯა. ეთამაშეთ ექიმობანა. გამოიყენეთ მყარი მუყაო ან მსუბუქი

ჯოხი და დოლბანდი და რიგრიგობით დაუფიქსირეთ სახსრები. აჩვენეთ, რა მოძრაობები შეეზღუდათ. დაათვლევინეთ რამდენი სახსარია, რამდენი თითი აქვთ, უთხარით, რომ თითებზე, ცერა თითის გარდა, სამ-სამი სახსარი აქვთ.

- დაითვალონ, ფეხი რამდენ ადგილას იხრება. დაასახელეთ: ბარძაყი, მუხლი, კოჭი. დაათვლევინეთ, რამდენი თითი აქვთ თითო ფეხზე. შეადარონ ხელის თითებს. აჩვენეთ ფეხისგული, ქუსლი. რას ვაკეთებთ ფეხებით? ჩამოათვლევინეთ ფეხსაცმლის სახეობები.
- რისთვის გვჭირდება კუნთი?
- როგორ უნდა ვიკვებოთ, რომ გვქონდეს მკვრივი ძვლები და ღონიერი კუნთები;
- როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ძვლებს?
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა ძვლები და კუნთებია.

ხელოვნება



- წინასწარ გამოჭერით მუყაოსგან ძვლები, აჩვენეთ ბავშვებს ჩონჩხის ნიმუში. დაყავით ბავშვები ჯგუფებად, სთხოვეთ, დააწებონ მუყაოს ძვლები ფორმატზე (დანართი 2.5.4.).
- დააწვინეთ მოხალისე ბავშვი დიდი ზომის ფორმატზე და სთხოვეთ დანარჩენებს, შავი ფლომასტერის საშუალებით შემოავლონ გარშემო კონტური. ამის შემდეგ ბავშვებს აჩვენეთ ჩონჩხის ნიმუში და სთხოვეთ, დაუხატონ კონტურს ძვლები.

- *მაკარონის ჩონჩხი.* წინასწარ მოიმარაგეთ სხვადასხვა ფორმის მაკარონი. აარჩევინეთ ბავშვებს სასურველი ფორმის მაკარონი და დააწებებინეთ ფურცელზე ისე, რომ მიიღონ ჩონჩხის მსგავსი გამოსახულება.
- გამოაძერწინეთ ბავშვებს ჩონჩხი პლასტელინის საშუალებით.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი – მოძებნე სიტყვა „ჩონჩხი“ (დანართები 2.5.5.).
- სამუშაო ფურცელი – მოძებნე სიტყვა „კუნთები“ (დანართები 2.5.6.).

დრამატული



- *სტუმრად ტრავმატოლოგთან.* მოაწყვეთ ერთი კუთხე, როგორც საავადმყოფოს მისაღები: „საწოლი“, პატარა მაგიდა. მოიმარაგეთ სხვადასხვანაირი დოლბანდები, ექიმის ხალათი, იოდისფრად შეფერილი წყალი, ბამბა, სათამაშო პინცეტი და მაკრატელი. გაანაწილეთ როლები: ერთი ექიმი, ერთი დამხმარე, დანარჩენი პაციენტები სხვადასხვა ტრავმებით. თამაშის წასახალისებლად თქვენც მიიღეთ მასში მონაწილეობა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ანო ბაიას თავგადასავალი“. მეორე ნაწილი.

მეცნიერება

- ძვლის მსგავსი ფაქტურის მქონე ნივთების მოძებნა (პემზის ქვა).

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ააშენონ საავადმყოფო კუბურებით.

საღამოს წრე

- რა გაიგეთ ახალი ძვლების შესახებ?
- კუნთების შესახებ?
- რომელი თამაში მოგეწონათ ყველაზე მეტად?

4. გული და სისხლი

დილის წრე:

- აჩვენეთ ბავშვებს ფონედოსკოპი და ჰკითხეთ, თუ იციან რა არის ეს?
- რისთვის იყენებს ექიმი ამ ხელსაწყოს?
- მოასმენინეთ ბავშვებს გულისცემა.
- ჰკითხეთ, რა არის გული და რას აკეთებს ის (უთხარით, რომ გული კუნთია, რომელიც სისხლს ამოძრავებს/ტუმბავს), სისხლი კი ტრანსპორტია, რომელსაც საკვები და ჟანგბადი დააქვს ჩვენს ორგანიზმში.
- ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ დაადებინეთ ხელი გულმკერდზე და სთხოვეთ, დააკვირდნენ რამდენად უფრო სწრაფად მუშაობს მათი გულები. უთხარით, რომ გული სხვადასხვა ტემპით მუშაობს სხვადასხვა აქტივობის და ემოციური მდგომარეობის დროს.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ სქელი მუყაო, რომელზეც გულის კონტურია გამოსახული და პლასტელინი. სთხოვეთ ბავშვებს, ჯერ გამოძერწონ პლასტელინისგან ლენტის ფორმა, რომელსაც გულის კონტურს შემოავლებენ, გულის შიგნით სიბრტყეზე სხვა ფერის პლასტელინი შეაზილონ.
- *კოლაჟის დამზადება „მხიარული გულები“:* სთხოვეთ ბავშვებს ფერადი ფურცლებისგან გულები გამოჭრან, მიახატონ თვალები და პირი. დააწებონ მხიარული გულები დიდი ზომის ფორმატზე.
- *გულის ფორმის მობილე.* გამოჭერით სხვადასხვა ზომის გულები სქელი ფურცლისგან, მოიმარაგეთ ფერადი ზონრები. გახვრიტეთ გულები ორ მხარეს თავში და ბოლოში, დაურიგეთ ბავშვებს, სთხოვეთ, გაუყარონ ფერადი ზონრები და ჩამოკიდონ ჯგუფში.

მოძრაობა:



- უთხარით ბავშვებს, რომ გულისთვის ფიზიკური ვარჯიში და ცურვა სასარგებლოა. ერთად განასახიერეთ, ვითომ ცურავთ.

დრამატული



- *სტუმრად გულის ექიმთან.* გამოიყენეთ ფონედოსკოპი, ექიმის სხვადასხვა ატრიბუტები. უთხარით ბავშვებს, რომ გულის ექიმს კარდიოლოგი ჰქვია.

მეცნიერება

- აჩვენეთ ბავშვებს, როგორ ამოძრავებს გული სისხლს ჩვენს ორგანიზმში. ამისათვის დაურიგეთ ბავშვებს წყლით ნახევრადსავსე ჭიქები და გამჭვირვალე საწრუპები. სთხოვეთ შეისრუტონ და ჩაბერონ. დააკვირდნენ წყლის მოძრაობას საწრუპავში. უთხარით ბავშვებს, რომ რასაც ისინი პირით აკეთებენ, იმავეს აკეთებს გულის კუნთიც.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი – წყვეტილი ხაზების შეერთება „გული“ (დანართი 2.5.7.).
- სამუშაო ფურცელი – „დაითვალე რამდენი გულია“ (დანართი 2.5.8.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ვის როგორი გული აქვს“. ყურადღება გაამახვილეთ გულის ეპითეტებზე.
- სიტყვა გულისგან ნაწარმოები სიტყვების ჩამოთვლა: გულისცემა, გულკეთილი, გულადი, გულჩვილი, გულმართალი, გულდაწყვეტილი და ა.შ.

კულინარია



- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ გულის ფორმის ნამცხვრები.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი გულის და სისხლის შესახებ.
- გულთან დაკავშირებული რომელი საქმიანობა მოეწონათ?

5. ფილტვები და სუნთქვა

დილის წრე



- დაურიგეთ ბავშვებს ბუშტები. სთხოვეთ, გაბერონ. ჰკითხეთ, საიდან (რომელი ორგანოდან) მოდის ჰაერი, რომლითაც ბუშტს ვბერავთ? აჩვენეთ ბუშტის მაგალითზე, როგორ იბერება და იჩუტება ჩვენი ფილტვები.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჯერ ცხვირით ისუნთქონ, ისე რომ პირზე ხელი აიფარონ. შემდეგ ცხვირზე მოიჭირონ ხელი და ისე ისუნთქონ პირით. შემდეგ დააკვირდნენ გულმკერდის მოძრაობას.
- სთხოვეთ ბავშვებს, გაჩუმდნენ, დახუჭონ თვალები და უსმინონ თავიანთ სუნთქვას. შემდეგ სთხოვეთ ადგნენ, იხტუნონ, გაირბინონ, იცინონ და მერე ისევ დააკვირდნენ სუნთქვას. აუხსენით, რომ სხვადასხვა მდგომარეობაში სხვადასხვანაირად ვსუნთქავთ.
- ჰკითხეთ, რა არის მავნე ჩვენი ფილტვებისთვის? (სიგარეტი, დაბინძურებული ჰაერის ჩასუნთქვა, მანქანების გამონაბოლქვი). რა არის სასარგებლო ფილტვებისთვის? სად არის სუფთა ჰაერი?

ხელოვნება



- აუხსენით ბავშვებს, თუ რა ზიანი მოაქვს ნიკოტინს ჯანმრთელობისთვის და დაამზადებინეთ ბავშვებს სიგარეტის საწინააღმდეგო პლაკატები (პლაკატები დრამატულ თამაშში გამოიყენეთ).

დრამატული



- ხელოვნების ცენტრში გაკეთებული პლაკატებით მოაწყვეთ აქცია – „ჯანსაღი ფილტვებისთვის“. გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე. ივარჯიშეთ.

მეცნიერება

- წაახალისეთ ბავშვები, სხვადასხვა სისქის ქაღალდს, შუშას, რკინას სული შეუბერონ და დააკვირდნენ.
- ბავშვებმა სცადონ სულის შებერვით პატარა ბუშტები ჰაერში დიდხანს გააჩერონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „მოვუფრთხილდეთ ფილტვებს“.

საღამოს წრე

- რა გაიგეთ ახალი სუნთქვასა და ფილტვების შესახებ?
- რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჯანმრთელი და ძლიერი ფილტვები გვქონდეს?

6. კუჭი და საკვები

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, სად მიდის საკვები, მას შემდეგ რაც გადავყლაპავთ? რა იციან კუჭის შესახებ. უთხარით, რომ ზოგჯერ საჭმელი მუცელს გვტკენს და აღნიშნეთ ჯანსაღი კვების მნიშვნელობა. ასევე რა მნიშვნელობა აქვს საკვების კარგად დაღეჭვას. რომელ საკვებს სჭირდება მეტი დაღეჭვა, რომელს – ნაკლები? რომელი საკვებია, რომელსაც დაღეჭვა არ სჭირდება?
- აუხსენით, რომ რასაც ჩვენი ორგანიზმი გამოყოფს, ყველაფერი საკვებიდან მოდის (ის საკვების ნარჩენებია, რაც ჩვენს ორგანიზმს არ სჭირდება).
- აღნიშნეთ, რომ ჩვენს ორგანიზმს სჭირდება კარგი კვება და ბევრი წყალი, რომ სწორედ აქედან იღებს მუშაობისა და თამაშისთვის საჭირო ენერგიას.

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს დანართი 2.5.9. სთხოვეთ, ამოჭრან და ჩააწებონ „კუჭში“ მათი საყვარელი საკვები.
- დაამზადეთ ბავშვებთან ერთად პლაკატი: „ჯანსაღი საკვები“, რომელზეც გამოსახული იქნება ჯანსაღი საკვები (შეგიძლიათ გამოიყენოთ ბავშვების ნახატები, ან მათ მიერ გადაღებული ფოტოები, ჟურნალიდან ამოჭრილი სურათები და ა.შ.).

მოძრაობა



- *გაავსე გოლიათის კუჭი.* ერთ ბავშვს უჭირავს დიდი ტომარა და დანარჩენები ცდილობენ გაავსონ ის სხვადასხვა ნივთებით. შეგიძლიათ ოთახში მიმოფანტოთ დაჭმუჭნული ქაღალდები, რომ ბავშვებმა მეტი იმოძრაონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „კუჭკუჭები.“

მეცნიერება

- *როგორ ამუშავებს კუჭი – „კუჭის სიმულატორი“.* გამოიყენეთ „ზიპიანი“ პოლიეთილენის პარკები. დაურიგეთ ბავშვებს. ჩადეთ შიგნით პურის პატარა ნაჭერი ან რამდენიმე კრეკერი. კარგად შეკარით პარკი. სთხოვეთ ბავშვებს, ხელით მოსრისონ, მოზილონ. შემდეგ დაუმატეთ ცოტაოდენი წყალი ან ნებისმიერი სასმელი. იგივე გაამეორებინეთ. დააკვირდნენ, რა მოსდის პურს.

საღამოს წრე

- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

7. ტვინი და ჭკუა

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რომელია ჩვენი ორგანოების და სხეულის ნაწილების უფროსი, მმართველი? სად მდებარეობს ტვინი? ტვინი აკონტროლებს და მართავს ყველა ჩვენს მოძრაობას, ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ, ვფიქრობთ, ვგრძნობთ და განვიცდით (სიხარული, წყენა, სევდა, ბრაზი) ტვინიდან მოდის.
- ტვინი ჰგავს დიდ დანაოჭებულ ღრუბელს. აჩვენეთ ტვინის სურათი საბავშვო ენციკლოპედიიდან.
- ტვინმა რომ კარგად იმუშაოს, რა უნდა გააკეთოთ ამისთვის? (ჯანსაღი კვება, დასვენება/ძილი, ფიზიკური ვარჯიში, ტვინის სავარჯიშოები მაგ. ფაზლებით აწყობა, სიტყვობანა და ა.შ).

ხელოვნება



- გამოიყენეთ თიხა ან პლასტელინი და სთხოვეთ ბავშვებს, გამოძერწონ დიდი ზომის დანაოჭებული ტვინი. წინასწარ გამზადებულ თავის კონტურში ჩააწებონ;
- „ჭკვიანი კაცუნები.“ სთხოვეთ ბავშვებს, პლასტელინისგან კაცუნას თავი გამოძერწონ, გაუკეთონ სახის ნაკვთები, ხოლო ზემოდან დაამაგრონ ნიგვზის ლებანი.
- დაახატინეთ ბავშვებს ორი ნახატი შემდეგ თემებზე: რა ხდება ტვინში, როცა ჩვენ გვღვიძავს და რა ხდება, როცა ჩვენ გვძინავს.
- მასალად გამოიყენეთ ძველი, მორჩენილი შპალიერის ქაღალდის რულონი, მსხვილი ფლომასტერები ან პასტელი, ჭურჭლის ღრუბლები და დიდი ფუნჯები, თითების საღებავი. დააფინეთ ქაღალდი ძირს და შემოავლეთ თითოეული ბავშვის კონტური თავიდან ფეხებამდე. შემდეგ გაუკარით კედელზე ისე, რომ ბავშვი თავის კონტურს კარგად მიწვდეს (ტერფის კონტური უნდა ეხებოდეს იატაკს). მიეცით საშუალება ბავშვებს რაც შეიძლება მეტი სხეულის ნაწილი მიუხატონ საკუთარ თავს – სახის ნაკვთები, შინაგანი ორგანოები (გული, კუჭი, ის რაც გაიარეთ), ტვინი და ა.შ. ხატვისას ბავშვებმა თითის საღებავები უნდა გამოიყენონ, შეიძლება სამზარეულოს ღრუბელი და სქელი ფუნჯებიც.

სენსორული

- წაახალისეთ ბავშვები, ოთახში/ეზოში დანაოჭებული და გლუვი ზედაპირის მქონე საგანი დაძებნონ.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი – ტვინის ლაბირინთი (დანართი 2.5.10.).
- ააწყობინეთ ბავშვებს მარტივი ფაზლები.
- ათამაშეთ ადამიანის სხეულის მემო (დანართი 2.5.11.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ორი ხელმწიფის ზღაპარი“. რატომ დამარცხდა ორივე ხელმწიფე? რა არის საჭირო იმისთვის, რომ სხეულიც და ტვინიც ერთნაირად განვითარებული და ძლიერი გვქონდეს? წაუკითხეთ; „მეფე და მხატვარი“. რამ გადაარჩინა მხატვარი?

მეცნიერება

- სთხოვეთ ბავშვებს, კაკლის გულს გამადიდებელი შუშით დააკვირდნენ.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ტვინის შესახებ?
- რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩვენმა ტვინმა კარგად იმუშაოს?

ოჯახი და მეგობრები

1. ჩემი სამყარო
2. ოჯახი
3. ოჯახური დღესასწაულები და ტრადიციები
4. ქორწილი
5. ოჯახის ახალი წევრი
6. მეგობრები

1. ჩემი სამყარო

დილის წრე

- ჩაიხედეთ სარკეში და აღწერეთ საკუთარი თავი. იგივე გაიმეორონ ბავშვებმაც.
- ჰკითხეთ, რითი ვგავართ ერთმანეთს, რითი განვსხვავდებით.
- შემდეგ ისაუბრეთ თქვენს შინაგან მდგომარეობაზე, როგორ ხასიათზე ხართ, რა გინდათ. თქვენს ინტერესებზე, რა მოგწონთ, ძლიერ და სუსტ მხარეებზე.
- წაახალისეთ ბავშვები, დაახასიათონ მეგობარი, შემდეგ საკუთარი თავი. ვინ რაშია ძლიერი, რაში – სუსტი.
- რა უფრო ადვილია, სხვაზე საუბარი თუ საკუთარ თავზე?

ხელოვნება



- *ჩემი წიგნი.* „წიგნივით“ დაასტეპლერეთ ფურცლები და დაურიგეთ ბავშვებს. სთხოვეთ, ერთ გვერდზე დახატონ საკუთარი თავი, მეორეზე – ხელის ანაბეჭდი. ჰკითხეთ, ვის რითი უნდა ამ წიგნის შევსება? შესთავაზეთ დახმარება (შეიძლება რამე ნახატის ამოჭრა ჟურნალიდან და ჩაწებება, ან რაიმეს ჩახატვა. თუ რამის ჩაწერას გთხოვთ, დიდად და გარკვევით ჩაუწერეთ. სთხოვეთ, ნაწერს ფანქარი გადაუსვან.
- *პასპორტები.* პატარა ქაღალდის ბარათებზე დააწებებინეთ ბავშვებს საკუთარი ფოტოები, დააწერეთ ბავშვის სახელი და სთხოვეთ, გააფორმონ ნახატებით. თუ შესაძლებელია, გაუკეთეთ პასპორტებს ლამინირება და საკიდები, ან ჩასვით „ბეჯებში“.

მოძრაობა



- ვარიაცია თამაშზე – „ჩემი ოქრო ჩემთან“. მოიმარაგეთ ბევრი პატარა სხვადასხვა ზომის და ფაქტურის საგნები, მაგალითად: ხის პატარა კუბი, პლასტმასის პატარა მანქანა, ბამბის ქულა, კაუჩუკის ბურთი და ა.შ. დასვით ბავშვები მწკრივში. დაათვალიერებინეთ, დაასახელეთ და გადააწოდეთ ყველა ბავშვს ის საგანი, რომელიც ტომარაში ან ყუთში გაქვთ. შემდეგ ყველა სათამაშო ისევ ყუთში მოათავსეთ და დაიწყეთ თამაში. ჩაყავით ორივე ხელი ტომარაში ან ყუთში, მოაქციეთ დახურულ პეშვში და ჩაუცურეთ პირველ ბავშვს პეშვში. ასე გააგრძელეთ, სანამ ყველას არ ჩაუგდებთ თითო საგანს. შემდეგ დაიწიეთ უკან და დაიძახეთ „ჩემი .../რომელიმე სათამაშო, რომელიც ჩაუგდეთ ბავშვებს/... ჩემთან“ , ის ბავშვი, რომელსაც შესაბამისი ნივთი აქვს პეშვში, უნდა წამოხტეს, თქვენთან მოირბინოს და ყველას აჩვენოს, რა აქვს ხელში.

სამაგიდო



- დანართიდან დაურიგეთ ბავშვებს გოგონასა და ბიჭის გამოსახულება. სთხოვეთ, გააფერადონ, გამოჭრან და დააწებონ ფერად მუყაოზე. ნამუშევარს გადააკარით სკოჩი და დაჭერით თანაბარი ზომის კვადრატებად. გამოიყენეთ როგორც ფაზელი, ბავშვებმა ააწყონ ნახატი (დანართი 2.6.1.).
- *მათემატიკა.* შეავსებინეთ ბავშვებს ცხრილი „გარეგნობა“, რამდენ ბავშვს აქვს სწორი ან ხვეული თმა, რამდენს აქვს ღია ან მუქი ფერის თვალები.

- *ამობეჭდეთ ბავშვების სახელები დიდად, დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, ამოიცნონ საკუთარი სახელი.*

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ავტობიოგრაფია“. როგორი ბიჭია ლევან მაჭარაშვილი, რაში მიამსგავსეს და რაში – არა საკუთარ თავებს?

საღამოს წრე

- რომელი საქმიანობა მოეწონათ ყველაზე მეტად?
- რა გაიგეს ახალი საკუთარი თავის შესახებ?

2. ოჯახი

დილის წრე

- წინასწარ სთხოვეთ მშობლებს, მოიტანონ ოჯახის სურათები.
- სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ ან განსაზღვრონ, რა არის ოჯახი. მათი მოსაზრებების საფუძველზე დაეხმარეთ ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რომ ოჯახის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან. ჩამოთვალეთ სხვადასხვა მაგალითები ან გზები, როგორ ეხმარებიან ისინი ერთმანეთს.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვალონ ოჯახის წევრები. დიდ ფურცელზე გააკეთეთ იმდენი ნიშნული (კაცუნა ან ჯოხი), რამდენ ოჯახის წევრსაც ჩამოთვლის ბავშვი.
- აჩვენეთ ბავშვებს, რომ ოჯახი შეიძლება სხვადასხვა რაოდენობის ადამიანისგან შედგებოდეს. აღნიშნეთ, თუ რომელიმე ბავშვს ახლახანს შეეძინა ახალი ოჯახის წევრი: და ან ძმა; ან ისაუბრეთ იმ საკითხზე, რომელიც ბავშვებს აინტერესებთ ოჯახთან დაკავშირებით (გაითვალისწინეთ, რომ თქვენს ჯგუფში რომელიმე ბავშვს შეიძლება არ ყავდეს მამა ან დედა, ან ბებია-ბაბუებთან იზრდებოდეს. ამ შემთხვევაში აღნიშნეთ, რომ ასეთი ოჯახებიც არსებობს).

ხელოვნება

- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ოჯახი. შეგიძლიათ ქაღალდის ნაცვლად შესთავაზოთ ქაღალდის ერთჯერადი თეფშები.
- მუყაოს პატარა ყუთის გამოყენებით დაამზადებინეთ ბავშვებს სახლები. დაახატინეთ და გამოაჭრევინეთ ბავშვებს ოჯახის წევრების ფიგურები, ჩასვან ფიგურები „სახლში“. შეუძლიათ თავების ადგილას დაუმაგრონ ფოტოებისგან გამოჭრილი თავები.
- სთხოვეთ ბავშვებს, ოჯახის წევრების ფოტოები გადაიხატონ და გააფერადონ სასურველი მასალით. (პასტელი, აკვარელი, გუაში).
- გამოიყენეთ სხვადასხვა ზომის გირჩები ოჯახის წევრების დასამზადებლად. გამოიყენეთ პლასტელინი და ხის ჩხირები.



- მოიმარაგეთ მუყაოს ყუთები. წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ ყუთები სახლების მაკეტების გასაკეთებლად. დაახატონ ფანჯრები და კარი, გაუკეთონ სახურავი, შეღებონ, დაამაგრონ ფორმატზე და გაუკეთონ ეზო.
- ზარდახშა დედისათვის. წინასწარ მოიმარაგეთ მუყაოს თავსახურიანი ყუთები. მოახატინეთ ბავშვებს ყუთი და გააფორმებინეთ დეკორატიული ქსოვილებისა და ბისერების დაწებებით.

წიგნიერება

- ბავშვებთან ერთად დანართი 1.6.3.-დან (იხ. 3-4 წლიანების დანართი, თემა „მე და ჩემი გარემო“) ამოჭრილი პერსონაჟები ჯოხებზე დაამაგრეთ და ერთად გაითამაშეთ ოჯახის ამბავი (იხ. წიგნიერების დანართიდან „ოჯახი და მეგობრები“).
- ბავშვებმა თქვენ მიერ შეთავაზებული სამი სურათის მიხედვით ამბავი შეთხზან (დანართი 2.6.2.).
- წაუკითხეთ ნაწყვეტი წიგნიდან: „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“ (წიგნიერების დანართი). რითი დაეხმარნენ პატარები მშობლებს? რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი მათი ოჯახისთვის საბარგო მანქანა?

სამაგიდო



- დაურიგეთ ბავშვებს სათამაშო ჭურჭელი გასარეცხად, გასამშრალებლად და მაგიდაზე მცირედან დიდისკენ (ზრდადობის მიხედვით) დასალაგებლად.
- დაურიგეთ ბავშვებს სათამაშო დანები, ჩანგლები და კოვზები და სთხოვეთ, დაახარისხონ ყუთებში.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩაყარონ პატარა პარკებში (ზიპიანი საკეტით) ღილები, თითო ოჯახის ყველა წევრისთვის. ბავშვებმა ეს პარკები სახლში უნდა წაიღონ და დარწმუნდნენ, რომ ოჯახის ყველა წევრი გაითვალისწინეს.
- სთხოვეთ ბავშვებს, შეარჩიონ და ამოჭრან პორტრეტები ძველი გაზეთებიდან და ჟურნალებიდან და შექმნან ოჯახის კოლაჟი.
- ჩამოუწერეთ თითოეულ ბავშვს ოჯახის წევრების (დედა, მამა, და, ძმა, და ა.შ.) სახელები, მიეცით კალკა და ფანქარი, რომ შემოავლონ ნაწერს.
- *კითხვა.* ნიმუშის მიხედვით სიტყვების: დედა, მამა – მოძებნა (დანართი 2.6.3.).

დრამატული



- დაპატიჟეთ ბავშვები, ითამაშონ სახლობანა, გაინაწილონ ოჯახის წევრების როლები, ერთად მოამზადონ და მიირთვან სადილი.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, ააშენონ დიდი და პატარა სახლები ოჯახებისთვის.

კულინარია



- სთხოვეთ რომელიმე დედას, შემოგთავაზოთ ოჯახური კერძის რეცეპტი და დაგეხმაროთ კერძის მომზადებაში.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ოჯახის შესახებ?
- რომელი საქმიანობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

3. ოჯახური დღესასწაულები და ტრადიციები

დილის წრე

- აჩვენეთ და აუხსენით ბავშვებს, რა არის ოჯახის ხე (დანართი 2.6.4.). ჰკითხეთ ბავშვებს, მათ მშობლებსა და ბებია-ბაბუებზე.
- დაურიგეთ ყველას ოჯახის ხის ნიმუში, იმისთვის რომ წაიღონ სახლში და შეავსონ მშობლებთან ერთად.
- განიხილეთ ოჯახური დღესასწაულების თემა ბავშვებთან ერთად, რა ტრადიციები აქვთ? აჩვენეთ ოჯახური დღესასწაულების ფოტოები და ნახატები.
- სთხოვეთ, აღწერონ თავიანთი ოჯახის დღესასწაულები (დაბადების დღეები, უქმე დღეები, პიკნიკი).

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს დახატონ ხე.
- „გენეალოგიური ხე“: დაურიგეთ ბავშვებს მუყაო, სთხოვეთ დახატონ ხე, გამოჭრან და გააფერადონ საღებავებით. ცალკე ფერადი ფორმატისგან გამოაჭრევინეთ ფოთლები და დააწებებინეთ მათზე ოჯახის წევრების გამოჭრილი ფოტოები. დააწებებინეთ ფოთლები ტოტებზე და დაამაგრებინეთ ხეები სადგამზე.
- სთხოვეთ ბავშვებს დახატონ ოჯახური დღესასწაული.
- სთხოვეთ ბავშვებს, მოიტანონ მათი ოჯახური პორტრეტი. ვისაც არა აქვს, დახატონ. დაამზადებინეთ ფოტოებისათვის ქაღალდის ჩარჩოები. გააფორმონ პასტელებით ან სხვა ტექნიკით.

მოძრაობა



- ჩართეთ მხიარული მუსიკა. სთხოვეთ, ბავშვებს შეასრულონ სადღესასწაულო ცეკვა ან ტრადიციული ცეკვა, რაც უნახავთ.

სამაგიდო



- დანართის მიხედვით დაამზადებინეთ ბავშვებს დომინო და ითამაშეთ (დანართი 2.6.5.).
- დანართის მიხედვით დაამზადებინეთ ბავშვებს კარტი და ითამაშეთ. 5 მოთამაშე, გამარჯვებულია, ვინც 1 ოჯახის 4-ივე წევრს შეაგროვებს (გამოიყენეთ ოჯახის ლოტოს ბარათები დანართი 1.6.3.; იხ. 3-4 წლიანების დანართი, თემა „მე და ჩემი გარემო“).
- *მისალოცი ბარათები.* დაარიგეთ ფერადი ფურცლები, მაკრატელი, წებო, და სთხოვეთ, გააკეთონ რომელიმე ოჯახის წევრისთვის მისალოცი ბარათი.
- სამუშაო ფურცელი – დააწებე სანთელი შესაბამის ტორტს. ტორტებს აქვს სხვადასხვა რაოდენობის სასანთლეები (დანართი 2.6.6.).

დრამატული



- მიეცით ბავშვებს სხვადასხვა ტანსაცმელი და სთხოვეთ, გამოიპრანჭონ ოჯახის რომელიმე წევრივით.
- მიეცით ბავშვებს პიკნიკის ან წვეულებისთვის სათამაშო მასალა.
- სთხოვეთ ბავშვებს, გადაუხადონ თოჯინას დაბადების დღე, დაუმზადონ საჭმელი, გაუწყონ სუფრა, გაუმასპინძლდნენ სტუმრებს.

წიგნიერება

- სთხოვეთ ბავშვებს, გიკარნახონ თითო წინადადება თითო ოჯახის წევრის შესახებ, რასაც თქვენ მიაწერთ ბავშვის ოჯახის გენეალოგიური შტოს სურათს.
- წაუკითხეთ „ზამთრის ზღაპარი“: როგორი პაპაა თევდორე? გაახსენდება თუ არა ეს ამბავი ავთანდილს, როდესაც პატარა, დაუცველ არსებებს შეხვდება?
- დაალაგეთ ოჯახური დღესასწაულების სურათები ცენტრში და სთხოვეთ ბავშვებს, სურათების მიხედვით შეთხზან ამბავი.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები ააშენონ სადღესასწაულო ცენტრი.

მეცნიერება

- დაათვალიერებინეთ ბავშვებს სხვადასხვა ცხოველის ოჯახის სურათები.

კულინარია



- წინასწარ მოიმარაგეთ: ½ ჭიქა ქიშმიში, 2 სადილის კოვზი თაფლი, კრეკერი, ჯამი, კოვზი და გასაბრტყელებელი ჯოხი. წაახალისეთ ბავშვები მოათავსონ ქიშმიში და თაფლი ჯამში. კრეკერი პარკში მოათავსონ და დაფშხვნან გასაბრტყელებელი ჯოხით. ჩაამატონ ჯამში და აურიონ იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება ისეთი მასის მისაღებად, რომელიც ადვილად დამრგვალდება ბურთულებად. მიღებული ბურთულებით გაუმასპინძლდნენ ერთმანეთს.

საღამოს წრე

- რომელი ოჯახური დღესასწაული უყვართ ყველაზე მეტად?
- რა გაიგეს ახალი ოჯახსა და ტრადიციებზე?

4. ქორწილი

დილის წრე

- დაათვალიერებინეთ ბავშვებს ქორწილის სხვადასხვა ფოტოები, ჰკითხეთ, თუ იციან, რა ხდება ამ სურათებზე? რატომ ქორწინდებიან ადამიანები? როგორი არის საქორწინო ცერემონია? გაიხსენონ რომელი ზღაპრები მთავრდება ქორწილით.
- მოუყევით ქორწილის ქართულ ტრადიციებზე. მოასმენინეთ „მრავალჟამიერი“.

ხელოვნება



- *საქორწილო ფატა.* დაგჭირდებათ თეთრი ფერის ფარდის ან სხვა რაიმე თხელი ქსოვილი და სთხოვეთ, დააწებონ ქსოვილი თმის სამაგრზე და ლამაზად მოაჭერინეთ ბოლოები. გასაფორმებლად მძივები, ხელოვნური ან ქაღალდის ყვავილები გამოიყენეთ.
- დაგჭირდებათ მავთული და სხვადასხვა ზომის თეთრი მძივები. აასხმევინეთ ბავშვებს მძივები მავთულზე. დაგრიხეთ და შემოახვიეთ ფარდის ან სხვა გახამებული ნაჭერი. შეკარით თეთრი ლენტების დახმარებით.



- პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით (იხ. განმარტებები) დაამზადეთ ორ ან სამსართულიანი საქორწინო ტორტი, შეაღებინეთ თეთრი გუაშით და გააფორმებინეთ კრეპის ქაღალდის ყვავილებით. შაბლონის მიხედვით გამოჭერით და გააფერადებინეთ ფიგურები. დააწებეთ მუყაოზე და დაამაგრეთ ტორტზე (გამოიყენეთ დანართი 2.6.7.).

მუსიკა და მოძრაობა

- დაწყვილდნენ ბავშვები, ჩაურთეთ ვალსი. სთხოვეთ იცეკვონ.
- მოასმენინეთ ბავშვებს მენდელსონის „საქორწილო მარში“, სთხოვეთ იცეკვონ.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი – „მოძებნე და დათვალე რამდენ წყვილს აქვს ქორწილი“ (დანართი 2.6.8.).
- სამაგიდო თამაში – „ჩააცვი წყვილს საქორწინო ტანსაცმელი“ (დანართი 2.6.9.).
- სამუშაო ფურცელი – მოძებნე 5 განსხვავება საქორწინო კაბებს შორის. (დანართი 2.6.10.)

დრამატული



- *ქორწილი.* წაახალისეთ ბავშვები, გაითამაშონ ქორწინების ცერემონია, გააგზავნონ მოსაწვევები, მიიღონ სტუმრები და გაუმასპინძლდნენ (ნეფე-პატარძლის როლი ათამაშონ თოჯინებს).

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ჩხიკვთა ქორწილი“ წიგნიერების დანართიდან.

კონსტრუქციული



- ააშენებინეთ სადღესასწაულო დარბაზი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა მოეწონათ ყველაზე მეტად დღევანდელი საქმიანობებიდან?
- რა გაიგეს ახალი ქორწილის შესახებ?

5. ოჯახის ახალი წევრი

დილის წრე



- წინასწარ სთხოვეთ ბავშვებს, მოიტანონ ჩვილობისდროინდელი სურათები. დაათვალიერებინეთ, სცადონ გამოცნობა, ვისი ფოტოა.
- დაათვალიერეთ და-ძმების ფოტოები, ესაუბრეთ პატარა და-ძმაზე, მათ ხასიათზე, გარეგნობაზე, თავისებურებებზე.
- წაუკითხეთ, „ტოპო ტიპი ძამიკოს ელოდება“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა) იმსჯელეთ, როგორი გრძნობაა დისა და ძმის ყოლა.

ხელოვნება

- სთხოვეთ ბავშვებს, გოგონასა და ბიჭუნას სილუეტების (დაიკო და ძამიკო) გაფორმება (იხ. დანართი 2.6.11.).
- დაამზადებინეთ ბავშვებს წიგნი „მე მყავს უფროსი/უმცროსი და ან ძმა.“ სადაც აღ-

წერენ თავიანთი და-ძმის გარეგნობას და თავისებურებებს. გააფორმონ თავისი ნახატებით (თუ არ ჰყავთ, ჩაანაცვლონ დეიდაშვილ-მამიდაშვილ-ბიძაშვილებით...).

- „წინდების მობილე“: დაურიგეთ ბავშვებს ძალიან პატარა ზომის წინდები, გაავსებინეთ ბამბით, შემოახვიონ და შეუკრან კუდები ლენტებით. დაუწებონ ღილების თვალები და მუყაოს ნისკარტი. ჩამოკიდეთ ლენტებით ჯოხზე ან რაიმე რგოლზე.

მოძრაობა



- ათამაშეთ ბავშვებს „ჯადოსნური ჯოხი“: შეახეთ ბავშვს ჯადოსნური ჯოხი და ის ხან ვითომ ჩვილად გადაიქცევა, ხან – ბებია-ბაბუად, ხან დედ-მამად.

დრამატული



- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ თოჯინით. გამოუცვალონ პამპერსი, ჩააცვან, აჭამონ და დააძინონ.
- მოუყვანეთ ბავშვებს თოჯინა, ტაშტი, პირსახოცი და სთხოვეთ, აბანაონ პატარა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ „ტოპო-ტიპი დაიკოს უვლის“.[1]
- წაუკითხეთ „ძამიკოს დაბადება“ წიგნიერების დანართიდან.

კონსტრუქციული



- ააშენონ ჩვილის საწოლი.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ პამპერსი, წყლით სავსე ბოთლი და ჭიქა. ჰკითხეთ ბავშვებს, თუ გამოიცნობენ რამდენ ჭიქა წყალს შეიწოვს პამპერსი. შემდეგ ექსპერიმენტი ჩაატარეთ. დაასხით იმდენი ჭიქა წყალი, რამდენსაც შეიწოვს. მცირე ჯგუფის შემთხვევაში მიეცით ბავშვებს საშუალება თავად ჩაატარონ ცდა.
- ვარიაცია. დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა მასალა, რომელიც წყალს იწოვს და რომელიც არა (მაგ. ხე, ხელსახოცი, ნაჭერი, ბამბა, ქაღალდი, სამზარეულის ხელსახოცი, ქვა, შუშის ნაჭერი, პლასტმასის ნაჭერი, რეზინის ნაჭერი, ღრუბელა და ა.შ.) სთხოვეთ ბავშვებს, პიპეტებით დააწვეთონ წყალი და დაახარისხონ, რომელმა შეიწოვა და რომელმა – არა.

საღამოს წრე

- სთხოვეთ იმ ბავშვებს, რომლებსაც უმცროსი და-ძმები ჰყავთ, მოუყვნენ ჯგუფს „დღე, როცა პირველად ჩემი და(ძმა) ვნახე“.

6. მეგობრები

დილის წრე

- დასვით კითხვები, რომ ბავშვებმა დაადგინონ ვინ არის მეგობარი. მაგალითად: ვისთან ერთად გსიამოვნებს დროის გატარება? როდესაც დახმარება გჭირდება, ვინ გეხმარება?
- დაათვალიერებინეთ სურათები, სადაც ადამიანები ერთად აკეთებენ რაიმეს: სეირნობენ, ატარებენ ველოსიპედს და ა.შ.

1 კასალისი ა. 2010. ტოპო-ტიპი დაიკოს უვლის. ქართ. ტექსტი: ნ. გოგალაძე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

- წაუკითხეთ ბავშვებს „თალგამი“. ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ მოხერხდა უზარმაზარი თალგამის მიწიდან ამოღება (იხ. დანართი).
- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ ოჯახის მეგობარი, რომელიც სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, სხვა ქალაქში ან ქალაქგარეთ ცხოვრობს.
- ისაუბრეთ იმ საშუალებებზე, რომლითაც ვურთიერთობთ მეგობრებთან (წერილი, დარეკვა, სტუმრად ჩასვლა), როცა ჩვენთან არ არიან.

ხელოვნება



- წაახალისეთ ბავშვები, შექმნან მეგობრობის წიგნი, დახატონ, რისი გაკეთება სიამოვნებთ მეგობართან ერთად.
- მიეცით თითო წყვილს ერთი სახატავი საშუალება და სთხოვეთ, ხატონ ისე, რომ დროგამოშვებით ერთმანეთს ათხოვონ ნივთები.
- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ თავიანთი მეგობრების პორტრეტები გუაშის, აკვარელის ან პასტელის საშუალებით.

- *მეგობრობის საკიდები.* თიხის ან მარილიანი ცომისგან დაამზადებინეთ გულები ან ნებისმიერი სხვა ფორმა (ვარსკვლავი, რომბი), რომლებსაც ზიგზაგის მაკრატლით გაჭრიან და ისე გააშრობენ. გაუკეთონ საკიდები და შეღებონ. წაახალისეთ ბავშვები, აჩუქონ მეგობრებს ერთი ნაწილი, მეორე კი თავისთვის დაიტოვონ.
- *მეგობრობის გვირგვინი.* გამოჭერით წრე და ამოუჭერით გული. წაახალისეთ ბავშვები, დატოვონ ხელის ანაბეჭდები ფურცელზე, გაშრობის შემდეგ კი დააწერონ თავიანთი სახელები.
- ცილინდრიდან ამოჭერით სამაჯურის ფორმა.



- სახვრეტელას საშუალებით გაუხვრიტეთ ორივე მხარე, მუყაოს ზედაპირზე ამოჭერით სხვადასხვა ფორმები და შიგნიდან გამოაკარით ფერადი ქაღალდი. გაუყარეთ ლენტები და მოირგეთ ხელზე.

მოძრაობა



- ვარიაცია თამაშზე „მუსიკალური სკამი“. სკამები მოთავსებულია წრეზე საზურგეებით წრის ცენტრისკენ. ბავშვები დარბიან ან დადიან სკამების წრის გარშემო მუსიკის თანხლებით. როდესაც მუსიკა წყდება, ბავშვები ცდილობენ შეივიწროვდნენ და ერთმანეთს ადგილი გამოუნახონ, მიუხედავად იმისა, რომ სკამები თანდათან ცოტავდება.
- ჩართეთ მუსიკა და წაახალისეთ ბავშვები, ცეკვისას გადაიღონ ერთმანეთის მოძრაობები, მიბაძონ ერთმანეთს.

- შეუკარით ბავშვებს ფეხი ნაჭრით ან თავსაფრით და წაახალისეთ, გაირბინონ მონაკვეთი „სამი-ფეხით“.

სამაგიდო

- დაურიგეთ ბავშვებს ძველი ჟურნალები და სთხოვეთ, ამოჭრან სურათები იმ სცენებით, რის გაკეთებაშიც ისინი ეხმარებიან ოჯახის წევრებს. დაეხმარეთ შემოხაზონ საკუთარი ხელი და დააწებონ არჩეული სურათი ხელის ცენტრში.
- დახატეთ ქაღალდზე ორი სახლი და გზა. ერთ სახლში ერთი მეგობარი ცხოვრობს, მეორეში – მეორე. რკინის მანქანებით და მაგნიტის გამოყენებით წაახალისეთ ბავშვები, ერთი მეგობარი მეორესთან სტუმრად მიიყვანონ.
- *მათემატიკა.* ჩამოურიგეთ არეული წინდები და სთხოვეთ ბავშვებს, იპოვონ წინდების წყვილები და დაამრგვალონ.
- *მათემატიკა.* მიეცით ბავშვებს წყვილში სამუშაოდ ფერების მიხედვით შექმნილი ნიმუში, წაახალისეთ, ააგონ იგივე ნიმუში (ფერების თანმიმდევრობის დაცვით).

სენსორული

- მოიმარაგეთ რამდენიმე განსხვავებული საგანი. რიგ-რიგობით ჩაყარეთ ტომარაში და წაახალისეთ ბავშვები, წყვილში გამოიცნონ. არ იჩქარონ, შეთანხმდნენ და ერთად გასცენ პასუხი.

დრამატული



- მოიმარაგეთ ტანსაცმელი, პირადი მოხმარების საგნები და ჩანთები. წაახალისეთ, ჩაალაგონ ჩანთები მეგობართან სტუმრად წასასვლელად ან ერთი ღამით მასთან დასარჩენად.
- გაითამაშონ „თალგამი.“

წიგნიერება

- დაურიგეთ თოჯინების თეატრის თოჯინები და სთხოვეთ ბავშვებს, ისეთი სიტუაცია გაითამაშონ, სადაც ოჯახის წევრი მეგობარია.
- წაუკითხეთ ბავშვებს „რწყილი და ჭიანჭველა“ წიგნიერების დანართიდან. სიუჟეტი გაათამაშებინეთ.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, წყვილში იმუშაონ კოშკის აშენებისას.
- წაახალისეთ ბავშვები, ორი სახლი ერთმანეთის მოშორებით ააშენონ. ერთ სახლში ერთი მეგობარი ცხოვრობს, მეორეში – მეორე. წაახალისეთ, სათამაშო მანქანით, ავტობუსით ან თვითმფრინავით წაიყვანონ ერთი მეგობარი მეორესთან სტუმრად.

მეცნიერება

- ტელეფონი – გაჭერით საკვების თუნუქის ქილა ორ ნაწილად (შეგიძლიათ გამოიყენოთ 2 ცალი ასანთის კოლოფი). გახვრიტეთ თითოეული, გაუყარეთ ნახვრეტებში სიმი ან ძაფი და გაკვანძეთ. დაჭიმეთ სიმი და წაახალისეთ ბავშვები ისაუბრონ ერთმანეთთან ტელეფონით (ერთი საუბრობს, ქილა პირთან აქვს მიდებული, მეორე ისმენს – ქილა ყურთან აქვს).



საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი და საინტერესო ოჯახის, მშობლების, ბებია-ბაბუების, ქორწილის, და-ძმების, მეგობრობის შესახებ? რა მოეწონათ?
- შეახსენეთ ამ თემების ირგვლივ წაკითხული მხატვრული ტექსტები. ჰკითხეთ, რომელი მოეწონათ ყველაზე მეტად? სურვილის მიხედვით წაუკითხეთ თავიდან.

პროსოციალური ქცევა

1. კარგი მანერები
2. გაზიარება. თხოვება. რიგის დაცვა
3. კონფლიქტის გადაჭრა
4. დახმარება
5. როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ადგილებში (ქუჩასა და სუფრასთან ქცევის წესები)
6. როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ადგილებში (მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში)

1. კარგი მანერები

დილის წრე



- იმსჯელეთ რა არის კარგი მანერები (სწორი ქცევის წესები). გააკეთეთ ზოგიერთი მარტივი ქცევის დემონსტრირება (მაგ. მისალმება, გაღიმება). აუხსენით, რომ ასეთი ქცევები გვეხმარება სხვებთან ურთიერთობაში, სხვა ადამიანის მიმართ პატივისცემის გამოხატვაში. მარტო რომ ცხოვრობდნენ რომელიმე კუნძულზე, რა თქმა უნდა, ასეთი ქცევები და მანერები მათ არ დასჭირდებოდათ.
- სთხოვეთ ბავშვებს, თავად ჩამოთვალონ თავაზიანი ქცევები. შემდეგ ახსნან, მათი აზრით, რაში ეხმარებათ ასეთი ქცევა.
- წარმოიდგინონ, რა მოხდება, არავინ რომ არ მოიქცეს წესიერად.
- იმსჯელეთ, ასევე რას გამოხატავს სიტყვა „შეიძლება“? როდის ვიხდით ბოდიშს, ვამბობთ მადლობას.
- ჩამოთვალონ, კიდევ რა ქცევის წესები იციან და ჩამოწერეთ დაფაზე: ვიცავთ რიგს, ვაცლით სხვას საუბრის დასრულებას, ვიღიმით, არ ვკრავთ ხელს სხვას, არ ვჩხუბობთ, ვალაგებთ ჩვენს დაყრილს, არ ვეჩურჩულებით მეგობარს სხვისი თანდასწრებით.

ხელოვნება

- თავაზიანი ქალბატონი ფუტკარი. დაამზადებინეთ ბავშვებს ფუტკრები. ამისათვის დახატეთ გაღიმებული სახე ყვითელ ერთჯერად თეფშზე. მეორე თეფშზე – წარბშეჭმუხნილი. შავად შეღებეთ ნაყინის ხის ჯოხები, შავი ქაღალდებისგან გამოაჭრევინეთ პატარა წრეები და მიაწებეთ ჯოხებზე (როგორც ანტენები). დაამაგრეთ ჯოხები სახეებზე. დააწებეთ ხელის მოსაკიდებელი ჯოხიც. თეფშები ერთმანეთზე დააწებეთ. ფუტკრები წიგნიერების ცენტრში გამოიყენეთ.
- ცხვირზე ხელის მიფარება დაცემინებისას; წინასწარ მოიმარაგეთ ქაღალდის ერთჯერადი თეფშები, ქაღალდის ხელსახოცები, მარკერები, ძაფები (ის მასალები, რაც სახის გაკეთებაში გამოგადგებათ). ბავშვებმა თეფშებისგან სახეები გააკეთონ. ქაღალდზე ბავშვებმა თავიანთი ხელები შემოხაზონ და გამოჭრან. მიაწებონ დაჭმუჭნული ხელსახოცი ცხვირზე და ზემოდან ქაღალდის ხელები დააწებონ. ისაუბრეთ, როგორ უნდა დაიფარონ ცხვირი დაცემინებისას და თქვან: „უკაცრავად“ (აქვე ისიც უთხარით, რომ ცემინების შეკავება არ შეიძლება).

მუსიკა და მოძრაობა

- წრიულად დასხით ბავშვები. მოიმარაგეთ მუსიკალური ან დასარტყამი ინსტრუმენტი. სთხოვეთ ბავშვებს, ინსტრუმენტი ერთმანეთს გადააწოდონ და იმდენჯერ დაარტყან, რამდენი მარცვლისგანაც შედგება მისი სახელი, მაგ. ა-ნა (2 დარტყმა).

სამაგიდო



მანერების ცხრილი. გააკეთეთ დიდი ცხრილი. ჰკითხეთ ბავშვებს ჩამოთვალონ სიტუაციები, როდესაც თავაზიანი სიტყვები – „თუ შეიძლება“, „მადლობა“ – უნდა გამოიყენონ. ცხრილი თქვენ შეავსეთ და ბავშვებმა სურვილისამებრ ჩახატონ.

დრამატული



- ავარჯიშეთ ბავშვები თავაზიან ქცევებში და გაათამაშეთ შემდეგი სცენარები: ერთმანეთს ხელი ჩამოართვან და რამე სასიამოვნო უთხრან. თქვენც დაეხმარეთ, მაგ. „მადლობ, რომ მაგიდის ალაგებაში დამეხმარე;“ ან „ძალიან მომწონს, როგორ აშენებ კუბიკებით;“ „მადლობ, რომ სათამაშო მათხოვე.“

წიგნიერება

- *თავაზიანი ქალბატონი ფუტკარი.* წაუკითხეთ ბავშვებს სხვადასხვა სიტუაციები და სთხოვეთ, გამოიცნონ, მოეწონებოდა თუ არა თავაზიან ფუტკარს ეს საქციელი. თუ კი, მაშინ გაღიმებული სახე ასწიონ, თუ არა – მოწყენილი. მაგალითები თქვენი გამოცდილებიდანაც შეგიძლიათ მოიყვანოთ (მაგ. რიგის დაცვაზე, ჩხუბზე, სათამაშოს გაზიარებაზე და ა.შ). სთხოვეთ ბავშვებს, სცენარები თავადაც მოიფიქრონ და სათითაოდ მოყვნენ.
- სცენარები: 1) პეპელა პელომ თქვა: „თუ შეიძლება ყვავილი მომაწოდეთ.“ 2) როდესაც კალია კალეს გაუმასპინძლდნენ, მან „დიდი მადლობა“ გადაუხადა. 3) უფროსმა ფუტკარმა თავისი ძმა სკიდან გამოაგდო. 4) ჭიანჭველა დინჯად ელოდებოდა თავის რიგს. 5) მუხლუხო კარლო ჩუმად ღრღნიდა ფოთოლს. 6) მუხლუხო მიხო კი სავსე პირით ლაპარაკობდა. 7) ობობა ბობი თავისი საჭმლით თამაშობდა. 8) ჭრიჭინა კეკე სხვა ჭრიჭინასთან ერთად ჭრიჭინებდა. 9) ჭრიჭინა მაშომ ბოდიში მოიხადა, სანამ სხვას ჭრიჭინი შეაწყვეტინა. 10) ჭიამაია მაიამ ნებართვის გარეშე აიღო სხვისი ფოთოლი.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წლიანები, პროსოციალური ქცევა): „მაღაზიაში.“ იმსჯელეთ პერსონაჟების საქციელზე.
- წაუკითხეთ დანართიდან (3-4 წლიანები, პროსოციალური ქცევა): „ჩუმად ფისო;“ „დილავ, დილავ;“ „დავემალოთ;“ „წარწერა წყაროზე“

მეცნიერება

- ქცევაზე დაკვირვება. მოამზადეთ ყულაბის მსგავსი ყუთი (შეგიძლიათ მუყაოს ყუთისგან დაამზადოთ), რომელსაც „კარგი ქცევის ყუთს“ დაარქმევთ. ყუთი ბავშვებს გააფორმებინეთ. აუხსენით ბავშვებს, დააკვირდნენ ერთმანეთს მთელი დღის განმავლობაში და რამდენჯერაც ერთმანეთის კარგ საქციელს შეამჩნევენ, იმდენი ბარათი ჩაყარონ ყუთში. ბარათები თქვენ შეავსეთ და ბავშვებს ჩააყრევინეთ. კვირის ბოლოს გახსენით ყუთი და ყველა ბარათი ხმამაღლა წაიკითხეთ. თქვენც მიიღეთ აქტიური მონაწილეობა.

საღამოს წრე

- ბავშვებმა თავაზიანი ქცევები ჩამოთვალონ. იმსჯელონ, რაში ეხმარებათ ასეთი ქცევები.

2. გაზიარება. თხოვება. რიგის დაცვა

დილის წრე

- შექმენით შემდეგნაირი დილემა: მიეცით ბავშვებს არასაკმარისი რაოდენობის საგნები რაღაცის გასაკეთებლად (მაგ. ერთი ფანქარი სახატავად ან ხუთი სკამი შვიდი ბავშვის დასაჯდომად). ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ უნდა მოიქცნენ, რომ ამ ამოცანის შესრულებას თავი გაართვან ასეთი შეზღუდული რაოდენობის საგნებით. თუ ბავშვებს არ მოაფიქრდებათ გაზიარება, დათმობა, მაშინ თქვენ შესთავაზეთ.
- უთხარით ბავშვებს ერთდროულად ისაუბრონ. შემდეგ შესთავაზეთ ხელის აწევით მიგანიშნონ და მორიგეობით ისაუბრონ. ჰკითხეთ, რომელი ჯობია, რომელი უკეთ ესმით – ერთდროულად თუ მონაცვლეობით. ისიც აღნიშნეთ, რომ რიგის დაცვა არ არის ადვილი. ბავშვებს ბურთით დახმარება შესთავაზეთ. ვისაც ბურთს გაუგორებთ, მან უნდა გიპასუხოს. სხვებმა კი მოუსმინონ. ამ თამაშისთვის მარტივი კითხვები დასვით. მაგალითად, „რომელია საყვარელი ფერი?“ სთხოვეთ, ვისაც პასუხი უნდა, ხელი ასწიოს. ბურთი იმ ბავშვს გაუგორეთ, რომელიც ჩუმად აწევს ხელს და მოთმინებით დაელოდება თავის რიგს. თუ ასეთი რამდენიმე ბავშვია, ბუნებრივია, ყველას ერთდროულად ვერ გაუგორებთ, ასეთ შემთხვევაში დანარჩენები სიტყვიერად წაახალისეთ. პასუხის შემდეგ ბურთი უკან უნდა გამოგიგორონ. დასვით მრავალფეროვანი და სახალისო კითხვები და ხშირად გაიმეორეთ ეს თამაში.

ხელოვნება



- პანო „მეგობრობა“. ბავშვები მცირე ჯგუფებად დაყავით, თითო ჯგუფს დაურიგეთ მოზრდილი ზომის სახატავი ქაღალდი. სთხოვეთ ერთ ბავშვს დაიწყოს ნახატის ხატვა, დანარჩენებმა რიგრიგობით გააგრძელონ ან რამდენიმემ ერთდროულად დახატოს ერთ ფურცელზე.
- ფერადი პანო. დაყავით ბავშვები ოთხკაციან ჯგუფებად. თითო ჯგუფს დაურიგეთ ერთი ფერადი ფორმატი, თაბახის ფურცლები, ერთი ფანქარი, ერთი ფუნჯი, ერთი მაკრატელი, და ერთი მშრალი წებო. ბავშვებმა უნდა დახატონ თაბახის ფურცლებზე, ამოჭრან ნახატები და დააწებონ ფორმატზე, სთხოვეთ, ერთმანეთს დაელოდონ და ათხოვონ საჭირო ნივთები.

მუსიკა და მოძრაობა

- *„ჩავეტიე“.* ჩაამწკრივეთ ჰულაჰუპები (იმდენი, რამდენი ბავშვიცაა) იატაკზე და ჩართეთ მუსიკა. ბავშვები „მოგზაურობენ“ ჰულაჰუპიდან ჰულაჰუპში. როდესაც მუსიკა ჩერდება,ბავშვები შეშდებიან ჰულაჰუპის ცენტრში. შემდეგ, მოათავსეთ ჰულაჰუპები ისე, რომ გარკვეული ფორმა შეიქმნას (ოთხკუთხედი, წრე) და სთხოვეთ ბავშვებს, მუსიკის თანხლებით იარონ ჰულაჰუპებით შექმნილი ფორმის გარშემო, მუსიკის შეწყვეტასთან ერთად კი თითოეული დგება თითო ჰულაჰუპის შიგნით. შემდეგ შეგიძლიათ თანდათან მოაკლოთ ჰულაჰუპები, და სთხოვოთ ბავშვებს, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი „ადგილი/სივრცე“, ჩადგეს რამდენიმე ბავშვი ერთ ჰულაჰუპში. ბოლოს შეიძლება მთელი ჯგუფი ორ ჰულაჰუპში მოთავსდეს.
- *სახელების წრე.* ბავშვები ხელჩაკიდებული დგანან წრეში და შემდეგ სხდებიან ძირს. პირველად კარგი იქნება თუ აღმზრდელი აჩვენებს ბავშვებს, რა მოძრაობა უნდა გააკეთონ სიმღერასთან ერთად: ადგომა, დატრიალება და დაჯდომა. ეს ყველაფერი კი სიმღერის თანხლებით ხდება: „(ბავშვის სახელი) დღეს ჩვენთან არის, . . . (ბავშვის სახელი) დღეს ჩვენთან არის. დატრიალდი და დაჯექი (ბავშვის სახელი) დღეს ჩვენთან არის!“

  თამაშით ბავშვები ადვილად სწავლობენ რიგს (თამაშის დროს ყველა ბავშვს უნდა მოუწიოს რიგმა), ერთმანეთის სახელებს, მოძრაობის თანმიმდევრობას. შეიძლება ამ თამაშის ხშირად თამაში და შემდეგ გვარების ჩართვაც.

სამაგიდო



- „რისი განაწილება შეიძლება, რისი არა“. დანართის 1.7.1. მიხედვით გამოჭერით ბარათები, რომელზედაც გამოსახულია სხვადასხვა ნივთები, ჰკითხეთ ბავშვებს, რისი თხოვება შეიძლება და რისი – არა?
- „მიაღწიე საჩუქრამდე“. დიდ ფორმატზე დახატეთ უჯრედებად დაყოფილი გზა ან ამო-

ბეჭდეთ დანართი 1.7.2. ბავშვები აგორებენ კამათელს, რა რიცხვიც დაჯდება, იმდენი უჯრით წავლენ წინ. თუ კამათელზე დაჯდება წყვილი 2, 4, ან 6 ნახევარ ქულას უნაწილებენ გვერდში მჯდომს, ან მოპირდაპირე მხარეს მჯდომს (მინიშნების სახით შეგიძლიათ ჩამოწეროთ წყვილი და ლუწი რიცხვები).



კამათელზე ამოსულ ციფრს + იმდენი უჯრით წინ გადასვლა, რამდენი ნამცხვარიც არის

უკან დაბრუნება იმ უჯრაში, სადაც მიუთითებს ისარი

- სთხოვეთ ბავშვებს, წყვილებში აასხან მძივები (თითოეულ წყვილს ერთი თასმა მიეცით).

დრამატული



- წინასწარ მოიმარაგეთ ორი ტელეფონი. ასწავლეთ ბავშვებს ტელეფონზე თავაზიანი საუბარი. ჯერ თქვენ გაითამაშეთ რომელიმე ბავშვთან, შემდეგ როლები გაცვალეთ და სხვებიც ჩართეთ თამაშში. მაგ. როგორ მიესალმონ, როგორ იკითხონ მეგობარი. ასევე როგორ უპასუხონ, როცა მათთან რეკავენ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან (3-4 წლიანები; პროსოციალური ქცევა): „აი“, „საქანელა“, „კომში, კომში“, „კოპი“.
- მოაყოლეთ პირადი ისტორიები, ვისთვის რა გაუზიარებიათ, უთხოვებიათ. ესაუბრეთ პირად საკუთრებაზეც.

კონსტრუქციული



- კუბურებით მშენებლობა. გაუყავით ბავშვებს სხვადასხვა ფერის ან ფორმის კუბურები. სთხოვეთ ბავშვებს, ააშენონ ფერადი შენობები და გაუნაწილონ ერთმანეთს საჭირო ფერის და ფორმის კუბურები.

მეცნიერება

- საღებავების გაზიარება. დააჯგუფეთ ბავშვები სამ-სამად. სათითაოდ დაურიგეთ ერთჯერადი ჭიქები წყლით, რომელშიც ძირითადი ფერის საღებავია შერეული. ერთ ბავშვს მიეცით წითელი, მეორეს ყვითელი, მესამეს ლურჯი და ასე ყველა ჯგუფში. წინასწარ დაამზადეთ ფერების ცხრილი (ნიმუში – წითელს + ყვითელი = სტაფილოსფერი, ლურჯს + წითელი = ისამნისფერი, ყვითელი + ლურჯი = მწვანე). ასევე დაურიგეთ სამი ცარიელი ერთჯერადი

ჭიქა. სთხოვეთ ბავშვებს, თავიანთ ჯგუფებში მიიღონ დანარჩენი სამი ფერი და აღნიშნონ ცხრილში.

- წაახალისეთ ბავშვები, თეფშებიან სათამაშო სასწორზე აწონონ სხვადასხვა ნივთები და შეეცადონ გააწონასწორონ სასწორი.

კულინარია



- დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ხილი (ვაშლი, ფორთოხალი, მანდარინი და ა.შ). შესთავაზეთ ერთმანეთს გაუნაწილონ, ისე რომ ყველამ შესძლოს მრავალფეროვანი დესერტის მომზადება.

საღამოს წრე

- ბავშვებმა გაიხსენონ, რა ათხოვეს და გაუზიარეს ერთმანეთს დღეს? ისაუბრონ, როგორია, როცა სხვას გულისხმიერად ექცევი და შენც ასე გექცევიან?

3. კონფლიქტის გადაჭრა

(ბავშვებმა უნდა ისწავლონ იმპულსების მართვა. პირველ რიგში სხეულის დამორჩილება – ხელის, ფეხის და სიტყვების კონტროლი. შემდეგ დაფიქრება და სწორი გადაწყვეტილების მოძებნა)

დილის წრე

- დილის წრეზე ბავშვებს ხელზე ჩამოსაცმელი თოჯინით დახვდით. გააცანით ბავშვებს, უთხარით, რომ ძალიან გაბრაზებულია. მოუყევით: როგორ აფერადებდა, გვერდით მჯდომმა მეგობარმა როგორ გაკრა ხელი, როგორ გაუფუჭდა ნახატი და შემდეგ გაბრაზებულმა, როგორ დაარტყა მეგობარს. ამის შემდეგ როგორ არ ისურვა მეგობარმა მასთან ერთად თამაში.

- უთხარით ბავშვებს, რომ გაბრაზების უფლება ყველას აქვს და ეს ნორმალურია. უბრალოდ, არსებობს ბრაზის გამოხატვის მისაღები და მიუღებელი ქცევები. სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ, როგორ იქცევიან ისინი, როცა ძალიან ბრაზობენ (ამოცანა რომ გაუადვილდეთ, აღუწერეთ პრობლემური სიტუაციები, მაგ, მეგობარმა სათამაშო არ გათხოვა, შენთან თამაში არ ისურვა, კოშკი დაგინგრია, ცუდი რაღაც გითხრა). დასახელებული ქცევები (ბრაზის გამოხატვა) მოკლედ ჩამოწერეთ დაფაზე. გააკეთეთ ორი გრაფა. ერთი მისაღები (კარგი) ქცევის, მეორე მიუღებელი (ცუდი) ქცევის (თქვენც დაეხმარეთ ჩამოთვლაში, მაგ. ხელის დარტყმა, ცუდი სიტყვა, გაბუტვა, დაცინვა, წართმევა, მასწავლებლის დახმარება, წუხილის გამოთქმა).
- აუხსენით, რატომ არის ეს ქცევები მიუღებელი ან მისაღები. უთხარით, რომ ასეთი ქცევით პრობლემას ვერ გადაჭრიან და ბრაზი კი არ გაქრება, უფრო გაიზრდება და მეგობრები არ მოისურვებენ მასთან თამაშს.
- უთხარით, რომელია მისაღები ქცევები, რაც დაეხმარება პრობლემის მოგვარებაში. უნდა თქვან, რა აწუხებთ, ამისათვის ჯერ ხელი, ფეხი და პირი უნდა გააკონტროლონ. ბრაზი და წყენა კი მისაღები სიტყვებით გამოხატონ: „ეს არ მომწონს“, „მეწყინა“, „გავბრაზდი“, „არ მინდა“.
- დაუბრუნდით ისევ ხელის თოჯინის თემას. უთხარით, როგორ შეიძლებოდა პრობლემის მოგვარება: ეთქვა მეგობრისთვის, რომ გული დაწყდა, ნახატი რომ გაუფუჭდა. მეგობარი ბოდიშს მოუხდიდა, რადგან შემთხვევით გაკრა ხელი და წყენაც განელდებოდა. (ეს ორი სცენარი შედარებისთვის შეგიძლიათ ერთად გაიმეოროთ).

ხელოვნება

- უთხარით ბავშვებს, რომ მოჩხუბარი და თავაზიანი სხეულის ნაწილები უნდა გააცოცხლონ. დაურიგეთ ბავშვებს მუყაოს ქაღალდზე წინასწარ დახატული ხელის, ფეხის და პირის კონტურები (დანართში 1.7.3.). მიეცით ბავშვებს საშუალება აირჩიონ, ვის რომელი სხეულის ნაწილი უნდა. სხეულის ნაწილებს ერთ მხარეს გაღიმებული სახე დაუხატონ, მეორეზე – გაბრაზებული. სურვილისამებრ გააფორმონ, გააფერადონ, შემდეგ გამოჭრან და ჯოხებზე დააწებონ, ან სკოჩით დაამაგრონ. ამ სხეულის ნაწილებით წიგნიერების წრეში გადაინაცვლეთ.

მუსიკა და მოძრაობა

- დადეთ ბალიშზე ბურთი და დააჭერინეთ ორ ბავშვს. სთხოვეთ ბავშვებს, ისე გაიარონ გარკვეული მანძილი, რომ ბურთი არ ჩამოუვარდეთ. შეგიძლიათ ეს თამაში გაართულოთ. სთხოვოთ, ააგდონ ბურთი ბალიშით და ისევ დაიჭირონ. შეგიძლიათ ბავშვების რაოდენობა გაზარდოთ და ბურთი გაშლილ ზეწარზე დადოთ.
- ოთახში სამოძრაო ბილიკი გააკეთეთ ბარიერებით. სთხოვეთ ბავშვებს, ერთი მიმართულებით იარონ, რიგი დაიცვან, დაელოდონ იმ ბავშვს, რომელიც ნელა გადაადგილდება და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს ბოდიში მოუხადონ.

წიგნიერება

- თამაში „მე ვიმორჩილებ ხელს, ფეხს და პირს.“ უთხარით ბავშვებს, რომ გაბრაზებული ხელი, ფეხი და პირი უხეშად და ცუდად ექცევა მეგობარს. გაღიმებული პირი, ხელი და ფეხი არ ჩხუბობს და ბავშვის (პატრონის) ბრძანებას ემორჩილება. მოუყევით სხვადასხვა სიტუაცია და სთხოვეთ ბავშვებს, სხეულის შესაბამისი ნაწილი ასწიონ. მაგ. ნინი ანოზე გაბრაზდა და ხელი დაარტყა. (ბავშვებმა უნდა ასწიონ გაბრაზებული ხელი); ლიზი ნუცაზე გაბრაზდა და წყნარად აუხსნა, რა არ მოეწონა მის საქციელში (გაღიმებული პირი). გიომ ნიკა არ ათამაშა და ნიკამ გიოს კოშკი ფეხით დაუნგრია (გაბრაზებული ფეხი); თიკამ საბას ცუდი სიტყვა უთხრა, (გაბრაზებული პირი); ლუკა ძალიან გაბრაზდა ლევანზე, უნდოდა ხელი მიერტყა, მაგრამ გაახსენდა, როგორ შეუძლია დაიმორჩილოს ხელი და გაჩერდა (გაღიმებული ხელი), მერე უთხრა „ძალიან გავბრაზდი“ (გაღიმებული პირი).
- წაუკითხეთ დანართიდან (3-4 წლიანები; პროსოციალური ქცევა): „წუთისოფელი ასეა“, „პეპელა და ფუტკარი“, „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“, „მეზობლები“. განიხილეთ ყოველი სიტუაცია. ახსენით, რომ კონფლიქტის გადაჭრის სხვადასხვა გზა არსებობს, რომ როცა თავად ვერ ართმევენ თავს, შეიძლება ითხოვონ დახმარება. ისაუბრეთ სიყვარულსა და სიკეთეზე.

მეცნიერება

- გააბნიეთ ქაღალდის სარჭები (სკრეპები) მაგიდაზე. მიეცით ბავშვებს პატარა (მაგიდის) ცოცხი, ან ჯაგრისი, მაგნიტი და პინცეტი. ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი საგნით არის ყველაზე მარტივი სარჭების აკრეფა. შემდეგ შეამოწმონ სწორად გამოიცნეს თუ არა.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა ისწავლეს ახალი დღეს?
- რომელი თამაში/აქტივობა მოეწონათ?

4. დახმარება

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა არის, მათი აზრით, მეგობრობა, პასუხები წინასწარ დამზადებულ ქაღალდის ყვავილებზე დაწერეთ და ჯგუფში დაკიდეთ. თუ ჩამონათვალში არ იქნება ერთმანეთის დახმარება, მიანიშნეთ.
- ჩამოთვალონ მეგობრული და არამეგობრული ქცევები. თქვენ დაფაზე ჩამოწერეთ.
- ისიც აღნიშნეთ, რომ თუ მეგობარი რამეს კარგად ვერ აკეთებს (მაგ. ვერ დახატა კარგად, ვერ გააფერადა) მასწავლებელთან არ უნდა დააბეზღოს. ეს მეგობრული საქციელი არ არის. მაგრამ მასწავლებელს შეუძლიათ დახმარებისთვის მიმართონ, როდესაც უძნელდებათ პრობლემის გადაჭრა.
- აჩვენეთ ბავშვებს მულტფილმი ჭკვიან თევზზე (http://www.youtube.com/watch?v=Z5boTGFPglc&feature=related). იმსჯელეთ, როგორ მოიფიქრა პატარა თევზმა რთული სიტუაციიდან გამოსავალი. როგორ შეიკრა პატარა თევზები ერთ გუნდად და დიდი თევზის ფორმა მიიღეს. როგორ შეაშინეს დიდი თევზები და გადარჩნენ.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ამბავი მოქმედი პირი სხვანაირი (დიდი) რომ ყოფილიყო? რა მოხდებოდა, რომ ვერ მოეფიქრებინა ის გამოსავალი, რაც მოიფიქრა?

ხელოვნება



- ბავშვები წყვილებად ან მცირე ჯგუფებად დასვით. დაურიგეთ დიდი ფორმატის ფურცლები და სხვადასხვა მასალები კოლაჟისთვის (ძველი ჟურნალები, ფერადი ქაღალდები, ნაჭრები, მძივები, ღილები, ლენტები, საქსოვი ძაფები, წებო, მაკრატელი). წაახალისეთ, თხოვებითა და ერთმანეთის დახმარებით საერთო კოლაჟი შექმნან.

მუსიკა და მოძრაობა

- თამაში „მუსიკალური მეგობრული სკამი“: სკამები დგას წრეზე, ბავშვები მოძრაობენ მუსიკის თანხლებით, მუსიკის დამთავრებისთანავე ბავშვები ისე უნდა მოთავსდნენ სკამებზე, რომ ერთი სკამი „გააგდონ“; ასე გრძელდება იქამდე, სანამ ყველა სკამი არ გავა თამაშიდან. თამაშიდან ბავშვების ნაცვლად სკამები ვარდებიან.
- წაახალისეთ ბავშვები, წარმოიდგინონ სხვადასხვა სიტუაცია და განასახიერონ: მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ სახლს ვაშენებთ და აგურებს ვაწვდით ერთმანეთს; მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ ხეებს ვრწყავთ ბაღში; მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ კედელს ვღებავთ; და ა.შ.

სამაგიდო



- დაახარისხე ბარათები ორ ჯგუფად: სად ეხმარებიან ერთმანეთს და სად – არა (დანართი 1.7.4.). სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ სურათები.

სენსორული

- აურიეთ ერთმანეთში ჩიტების საკენკი (პატარა ყვითელი ბურთულები), ქვიშა და მარმარილოს ბურთულები. დაურიგეთ ბავშვებს საცერი, საწური და სამი ცარიელი კონტეინერი. სთხოვეთ ბავშვებს, ცალცალკე კონტეინერებში ჩაყარონ ქვიშა, ჩიტების საკენკი და ბურთულები ამ საგნების გამოყენებით.

დრამატული



- აუხსენით ბავშვებს, რა სასიამოვნო გრძნობაა, როცა ვინმეს საჩუქარს ჩუქნი და აღფრთოვანებას გამოხატავენ. ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ გამოხატავენ ისინი აღტაცებას და აღფრთოვანებას. ასწავლეთ, როგორ უნდა გადაუხადონ მადლობა საჩუქრისთვის: „მადლობ“, „რა ლამაზია“, „სწორედ ეს მინდოდა“, „ძალიან მომწონს“. გაათამაშებინეთ როლები.

წიგნიერება

- მოაყოლეთ ბავშვებს, ვინ როგორ ეხმარება ოჯახის წევრებს.
- წაუკითხეთ დანართიდან (3-4 წლიანები; პროსოციალური ქცევა): „ჭუკები“.
- ჩამოათვლევინეთ ფრაზები (მიეხმარეთ), რომლებითაც დახმარება უნდა ითხოვონ, რომლებითაც მადლობა უნდა გადაიხადონ გაწეული დახმარებისთვის.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რომელი აქტივობა მოეწონათ ყველზე მეტად?

5. როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ადგილებში ქუჩასა და სუფრასთან ქცევის წესები

დილის წრე

- ისაუბრეთ იმაზე, რომ სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვანაირი ქცევის წესებია. მაგ. სუფრასთან ქცევის წესები, ქუჩაში ქცევის წესები, ტრანსპორტში ქცევის წესები, ბიბლიოთეკაში, თეატრში და ა.შ. თუ ბავშვებს ეხალისებათ, თვითონაც ჩამოთვალონ. სასურველია, მოაწყოთ გასვლითი ექსკურსიები და წინასწარ აუხსნათ ბავშვებს, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ სიტუაციებში.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა სუფრასთან და ქუჩაში ქცევის წესებია. მეტი ხალისისთვის სთხოვეთ ბავშვებს, განასახიერონ ზრდილობიანად და უწესოდ ჭამა.
- ესაუბრეთ ბავშვებს ქუჩაში ქცევის წესებზე: როგორ უნდა მოვიქცეთ და როგორ არა, ჩამოწერეთ ბავშვების აზრები ცხრილის სახით.

ხელოვნება



- სთხოვეთ, დახატონ ქუჩა მეხსიერებით.
- საკუთარი ნახატების ამოჭრითა და ფერად ქაღალდებზე დაწებების საშუალებით დაამზადებინეთ ბავშვებს ქუჩაში ქცევის აბრები. შეგიძლიათ ნიმუშებიც აჩვენოთ. (დანართში 1.7.5.)

მუსიკა და მოძრაობა

- თამაში – შეჯიბრი „გაშალე სუფრა“: მოაწყვეთ დარბაზი შეჯიბრისთვის. დარბაზის ბოლოს დადგით ორი ცარიელი და ერთი სათამაშო თეფშებითა და დანა-ჩანგლით სავსე მაგიდა, აჩვენეთ ბავშვებს სწორად გაწყობილი სუფრის ნიმუში (დანართი 1.7.6.) თითო ბავშვი თითო გუნდიდან გარბის და თითო ნივთს დებს მაგიდაზე. მოიგებს ის გუნდი, ვინც პირველი გაშლის სუფრას.

სამაგიდო



- ლაბირინთი „შეიყვანე მანქანა ფარეხში“ (დანართი 1.7.7.).
- დაალაგე ნახატები თანმიმდევრულად (დანართი 1.7.8.).
- იპოვე განსხვავებები. დანართიდან გამოჭერით ქუჩის სურათები და ლამინირება გაუკეთეთ. წაახალისეთ ბავშვები იპოვონ განსხვავებები (დანართი 1.7.9.).

დრამატული



- სთხოვეთ ბავშვებს, გააწყონ სადღესასწაულო სუფრა ან მოაწყონ კაფე. აუხსენით და წაახალისეთ ბავშვები, სწორად გაითამაშონ შესაბამისი როლები.
- მოაწყვეთ ჯგუფში ან ეზოში „ქუჩა“, დაამზადეთ შუქნიშანი, გაუნაწილეთ ბავშვებს მანქანის მძღოლის, ფეხით მოსიარულისა და პოლიციელის როლები. სთხოვეთ ბავშვებს, განასახიერონ სწორი და არასწორი ქცევა.

წიგნიერება

- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ როგორია ქუჩა, რას ხვდებიან ქუჩაში, ან აჩვენეთ ფოტოები და წაახალისეთ, აღწერონ.

საღამოს წრე

- სთხოვეთ ბავშვებს, გზაში დააკვირდნენ აბრებს.

6. როგორ მოვიქცეთ სხვადასხვა ადგილებში მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში

დილის წრე

- ესაუბრეთ და აჩვენეთ ბავშვებს ბიბლიოთეკების ფოტოები და დაათვალიერებინეთ მუზეუმების ალბომები. აღუწერეთ როგორ იქცევიან ასეთ ადგილებში.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ნახატები აბრებისთვის: ისაუბრეთ ხმადაბლა, ხელით ნუ შეეხებით, ნაგავი არ დაყაროთ, სურათის გადაღება არ შეიძლება. გამოჭრან და დააწებონ ფერად ფურცლებზე. შესაბამისად მიაწებონ წინასწარ ამობეჭდილი წარწერები.

მუსიკა და მოძრაობა

- თამაში-შეჯიბრი. დარბაზის ერთ ბოლოში დგას ორი „ბიბლიოთეკარი“, ორ გუნდად გაყოფილ ბავშვებს უჭირავთ თითო წიგნი. ბავშვები სათითაოდ მირბიან და აბარებენ წიგნებს ბიბლიოთეკარებს. რომელი გუნდის წევრიც პირველი ჩააბარებს ბოლო წიგნს, გამარჯვებულია.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ექსკურსიაზე ახლომდებარე მუზეუმში ან ბიბლიოთეკაში. სთხოვეთ, დააკვირდნენ, როგორ იქცევიან იქ ადამიანები.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ბიბლიოთეკაში“ (3-4 წ. პროსოციალური ქცევა).

დრამატული



- ექსკურსიიდან ჯგუფში დაბრუნების შემდეგ სთხოვეთ, მოყვნენ შთაბეჭდილებები. შესთავაზეთ მოიფიქრონ და მოაწყონ ჯგუფის ერთ-ერთ კუთხეში მუზეუმი ან ბიბლიოთეკა. გაანაწილეთ როლები: ბიბლიოთეკარი, მკითხველი, ბილეთების გამყიდველი, გიდი, დამთვალიერებელი. ითამაშეთ მათთან ერთად და წაახალისეთ, დაიცვან წესები.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა მოეწონათ ყველაზე მეტად ექსკურსიის დროს.

ემოციები

1. სიხარული
2. წყენა. მოწყენა
3. გაბრაზება. ბრაზის მართვა
4. შიში. როგორ დავძლიოთ შიში
5. ემოციების ამოცნობა

დილის წრე **(საერთო, შეუსაბამეთ დღის ემოციას)**



- ჩვენ გვაქვს ემოციები – ხან ვბრაზობთ, ხან გვიხარია, ხან გვწყინს. ეს ჩვეულებრივია, ყველა განვიცდით წყენას, ბრაზს, სიხარულს.
- აუხსენით ბავშვებს, რომ საკუთარი უარყოფითი ემოციების (უკმაყოფილების) გამოხატვა სხვადასხვანაირად შეიძლება. ასწავლეთ ბავშვს სიტყვებით გადმოსცეს ემოციები (მაგ. მე მეწყინა, გამიხარდა, გავოცდი და ა.შ).

- წინასწარ მოიმარაგეთ ფურცლები, რომლებზეც გახარებული, მოწყენილი, გაბრაზებული და შეშინებული სახე იქნება გამოსახული (დანართი 2.8.1.).
- ჰკითხეთ ბავშვებს, რა არის სიხარული, მოწყენა, გაბრაზება, შიში.
- რა ფერები ასოცირდება სიხარულთან, მოწყენასთან, გაბრაზებასთან, შიშთან მაგ. „რა ფერია ბედნიერება...“
- ჰკითხეთ სათითაოდ, თავს როგორ გრძნობენ იმ დღეს?
- მათი აზრით, სიხარულს, მოწყენას, გაბრაზებას, შიშს: როგორი სუნი აქვს? როგორი გემო აქვს? როგორი ხმა აქვს? შეხებით როგორია? რას ჰგავს?
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა ემოციები, კერძოდ კი, სიხარული, მოწყენა, გაბრაზება ან შიშია.

საერთო აქტივობები (მიუსადაგეთ დღის ემოციას)

- ყოველ დილით ბავშვებს შეუძლიათ, აირჩიონ მისი ემოციური მდგომარეობის გამომხატველი სურათი/სახე და მიამაგრონ თავისი სახელის გვერდით. ბავშვები უნდა წახალისდნენ, რომ დღის განმავლობაში ეს სურათები ემოციების შესაბამისად შეცვალონ.
- ემოციების ჟურნალი. ყოველდღიურად დაურიგეთ ბავშვებს ფურცელი,რომელზეც იქნება შემდეგი წინადადება: დღეს მე თავს ვგრძნობდი----------როდესაც ----------. წინადადება უნდა შეავსონ შემდეგი სახით:

- დახატეთ დაფაზე ჯერ სწორი, შემდეგ კი მომრგვალებული ტალღისებრი და ტეხილი ხაზები. ჰკითხეთ ბავშვებს, რას აგონებთ ეს ხაზი? როგორი ხასიათი აქვს? რომელი ხაზია მშვიდი, რომელი აღელვებული და რომელი გაბრაზებული. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ აბსტრაქტული ნახატი სწორი, ტალღოვანი ან ტეხილი ხაზებით და დაარქვან მათ სახელები.

ხელოვნება



- ემოციების წიგნი. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ როდის არიან გახარებულები, როდის მოწყენილები, რისი ეშინიათ და რა აბრაზებთ? ააკინძინეთ თავიანთი ნახატები და სთხოვეთ, დაასათაურონ, გააფორმონ ყდა საკუთარი პორტრეტით ან სურათით.
- პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით დაამზადეთ ნიღბის ფორმები. გაშრობის შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, დაუხატონ ნიღბებს სხვადასხვა ემოციის მიმიკები. გააფერადონ გუაშით, ამოჭრან თვალები და დაუმაგრონ რეზინის თასმა სტეპლერის მეშვეობით.

- დამზადებული ნიღბებით შეგიძლიათ გამართოთ წარმოდგენები.

- ყვავილების გასაფერადებელი. ბავშვებს გააფერადებინეთ საკუთარი არჩევანის მიხედვით – ცივ ან თბილ ფერებში. გამოფინეთ ნახატები და იმსჯელეთ, რა ემოციებს იწვევს განსხვავებული ფერების კომპოზიციები მათში (დანართი 2.8.2.).
- ბავშვებს დაურიგეთ ფურცლები და სთხოვეთ, დახატონ სხვადასხვა სახეები, რომელთაც განსხვავებული გამომეტყველება ექნებათ.
- გამოიყენეთ ქაღალდის თეფშები და მათზე დააწებეთ სხვადასხვა ემოციის გამომხატველი სახეები, დაუმატეთ სხვადასხვა დეტალი (თმა), რომ თოჯინა გამოვიდეს.
- დახატე, რაც (შეუსაბამეთ დღის ემოციას) გახარებს.
- გახარებული (შეუსაბამეთ დღის ემოციას) სახეების კოლაჟი: ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭერით ადამიანები, რომელთაც ბედნიერი (ან სხვა ემოციის) გამომეტყველება აქვთ. ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ ფიქრობენ, რატომ არიან ეს ადამიანები ასეთ გუნებაზე? რის გამო შეიძლება იგრძნოს ადამიანმა თავი ასე?

მუსიკა

- ბავშვებს სხვადასხვა ჟანრის მუსიკა მოასმენინეთ. ჰკითხეთ თითოეულს, რომელმა მუსიკამ როგორ ხასიათზე დააყენა. გაითვალისწინეთ, რომ ყველა ბავშვს ერთნაირი ემოცია არ ექნება, ბავშვებს უნდა აუხსნათ, რომ ეს ასეც უნდა იყოს.

მეცნიერება

- სარკეში დაანახეთ ბავშვებს საკუთარი გამოსახულება, როგორ გამოიყურებიან ისინი, როდესაც გახარებულები (შეუსაბამე დღის ემოციას) არიან.

1. სიხარული

ხელოვნება



- ასფალტზე ცარცით დახატეთ მხიარული სახეები.
- დანართის მიხედვით გამოაჭრევინეთ და დაამზადებინეთ ბავშვებს ჩარჩოები. გააფორმეთ ჩარჩოები ბავშვების მიერ წინასწარ დახატული და გამოჭრილი მიმიკებით, სასაცილო და მოწყენილი კაცუნების აპლიკაციებით (დანართი 2.8.3.).

მუსიკა და მოძრაობა

- ნიღბები ხალისიანი გამომეტყველებით: გამოიყენეთ ქაღალდის მრგვალი თეფშები, დაახატინეთ ხალისიანი სახე, ამოაჭრევინეთ თვალები, ქვედა ნაწილზე დააწებებინეთ ნაყინის ჯოხი ხელის მოსაკიდებლად, ნიღაბიც მზადაა. ბავშვებს შეუძლიათ ჩაატარონ მხიარული ნიღბების ,,აღლუმი“ ოთახის გარშემო.
- ჩაურთეთ ბავშვებს მხიარული მუსიკის ჩანაწერი, სთხოვეთ, მოუსმინონ მუსიკას და იცეკვონ თავისუფლად. გააკეთონ ის მოძრაობები, რომელიც მოსწონთ.
- როგორ იქცევა გახარებული ადამიანი? გააკეთონ იმიტაცია.

სამაგიდო



- დაითვალეთ გაღიმებული სახეები (დანართი 2.8.4.).

დრამატული

- მოიმარაგეთ მასხარების ფორმები, მისაწებებელი ცხვირები და გრიმი, დაეხმარეთ ბავშვებს, რიგრიგობით ჩაატარონ სასაცილო წარმოდგენა, ილაპარაკონ სასაცილო ხმით, იხუმრონ და გააცინონ პუბლიკა.

კონსტრუქციული



- შეიტანეთ კუბურების ცენტრში ფერად-ფერადი და ბრჭყვიალა ნაჭრები, სთხოვეთ ბავშვებს, გამოიყენონ ისინი მხიარულების ქალაქის ასაშენებლად.

კულინარია



- *ნამცხვრები.* მიეცით ბავშვებს ფხვიერი ცომი და სთხოვეთ, მისცენ ოვალური ფორმა. თითით დაახატონ ღიმილები და გამოაცხვეთ.
- დაურიგეთ ბავშვებს ვაშლი ან კიტრი და სთხოვეთ, სცადონ უკბიჩონ და მიამსგავსონ ღიმილს.

წიგნიერება

- ბავშვებმა მოიტანონ რაიმე, რაც მათ ხალისიან გუნებაზე აყენებს, სთხოვეთ აგიხსნან და გაუზიარონ თავიანთ თანატოლებს, თუ რატომაა ესა თუ ის ნივთი მათთვის ბედნიერების მიმნიჭებელი?
- „გამახარეთ ყველამ“ ბავშვები დასვით წრეზე და ჰკითხეთ: ვის უნდა, რომ გავახაროთ? მსურველი ბავშვი იძახის: მე მინდა, რომ გამახაროთ, ყველა უკრავს ტაშს, შემდეგ სხვა მსურველი და ა.შ.
- წაუკითხეთ ნაწყვეტი წიგნიდან: „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა“. ალაპარაკეთ ბავშვები, რითი არიან პერსონაჟები ბედნიერი და გახარებული (წიგნიერების დანართი).

საღამოს წრე

- რა გაიგეს ემოციების შესახებ?
- ამ წუთას რა სახელს დაარქმევდნენ თავიანთ ემოციურ მდგომარეობას?

2. წყენა-მოწყენა

დილის წრე



- როგორ ვიქცევით, როცა მოწყენილები ვართ, როგორ ვებრძოლოთ მოწყენილობას.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჯერ სახის მოწყენილი გამომეტყველება მიიღონ, შემდეგ კი შეცვალონ ის მხიარული მიმიკით. აუხსენით, რომ ასევე შეგვიძლია თავად შევცვალოთ უსიამოვნო ემოციები სასიამოვნოთი.
- დაურიგეთ ბავშვებს წითელი და მწვანე ქაღალდის წრეები. სთხოვეთ, გაჩვენონ როგორია გახარებული და მოწყენილი სახე. შემდეგ შავი მარკერით (ფლომასტრით) მარტივად დაახატინეთ გაღიმებული და დაღონებული სახეები. სთხოვეთ, ნაყინის ჯოხზე მიაწებონ ერთი მხრიდან გახარებული, ხოლო მეორე მხრიდან – დაღონებული სახე. ჩამოუთვალეთ ბავშვებს სხვადასხვა სიტუაციები და სთხოვეთ, გაჩვენონ რა ემოციას განიცდიან ასეთ დროს:

ძაღლი დაკარგე;
დაბადების დღე გაქვს;
ახალი თამაში ისწავლე;
დაეცი და ვიღაცამ დაგცინა;
ვიღაცამ შენი საყვარელი სათამაშო წაიღო;
მეგობარი შენთან სათამაშოდ მოვიდა.

ხელოვნება

- ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რა ფერია მოწყენილობა? წაახალისეთ ნებისმიერი პასუხი. ბავშვებმა უნდა შეურიონ ფერები და მხოლოდ ფერებით შეასრულონ აბსტრაქტული ნახატი.
- ბავშვებს სუფთა თეთრ ფურცელზე თეთრი ფანქრით (პასტელით) დაახატინეთ მოწყენილი სახე. შემდეგ კი ნებისმიერი ფერის აკვარელის საღებავი გადაუსვან მთელ ფურცელს. მიიღებთ მოწყენილ გამომეტყველებას.

- *სევდიანი იო-იო. პაპიე-მაშეს ტექნიკით* (იხ. განმარტებები) დაამზადეთ ორი მოგრძო ფორმა და დაამაგრეთ ერთმანეთს, ერთი თავია, მეორე ტანი, სქელი ნაჭრისგან ან მუყაოსაგან გამოჭერით გრძელი ყურები და დაამაგრეთ თავს, ასევე ნაჭრისგან გამოაჭრევინეთ და დაამაგრებინეთ ტანზე კუდი და სევდიანი თვალები. დაამაგრებინეთ კუდზე ბაფთა. შეაღებინეთ ბავშვებს იო-იო გუაშის საღებავით.
- *თოჯინა – ჭიქა, რომელიც იცვლის სახის გამომეტყველებას*. ერთჯერად ჭიქას ერთ გვერდზე ქვევით წინასწარ ამოუჭერით 5 სმ-მდე დიამეტრის მქონე წრე. დაურიგეთ ბავშვებს თითო ამოჭრილი და თითო მთელი ჭიქა. მთელ ჭიქას ქვედა ნაწილში დააკარით სკოჩი და ჩადეთ ის ამოჭრილ, რგოლიან ჭიქაში. ამოჭრილ რგოლში სკოჩზე ბავშვებს მარკერით დაახატინეთ გაღიმებული სახე, შემდეგ შიგნითა ჭიქა დაატრიალეთ ისე, რომ გაღიმებული სახე დაიმალოს და ახლა მოწყენილი სახე დაახატინეთ.

მოძრაობა



- ითამაშეთ „ცხელი კარტოფილი“ რისთვისაც ბურთი ან რომელიმე სხვა მრგვალი საგანი დაგჭირდებათ მასზე დახატული მოწყენილი სახით. ბურთი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაუგდონ ერთმანეთს. მიაქციეთ ყურადღება, რომ ყველა იყოს ჩართული.
- როგორ დადის მოწყენილი ადამიანი? სთხოვეთ ბავშვებს, განასახიერონ.

სამაგიდო



- *მათემატიკა. გააკეთეთ ცხრილი*: ვინ როდის, რატომ არის მოწყენილი.
- წინასწარ ამობეჭდეთ ფურცელი მოწყენილი სახის გამომეტყველებით. დააწებეთ იმავე ზომის მუყაოს ქაღალდზე, გამოჭერით ფაზლის ფორმის დეტალები. დაურიგეთ ბავშვებს, რომ ააწყონ ფაზელი და გამოიცნონ, რომელი ემოციაა მასზე გამოსახული.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ნაწყვეტი „ვინი პუჰიდან“ (თავი მეექვსე „იო-იოს დაბადების დღე“ დასაწყისი. წიგნიერების დანართი). ჰკითხეთ ბავშვებს, რატომ იყო იო-იო მოწყენილი? როდის არიან ხოლმე ისინი მოწყენილები და როგორ იქცევიან ?
- რას აკეთებენ ხოლმე, რომ გამხიარულდნენ?

კონსტრუქციული



- უთხარით ბავშვებს, რომ სევდიან ვირს, იო-იოს, არ აქვს სახლი და ამიტომ მოწყენილია. სთხოვეთ, აუშენონ სახლი კუბებით და ჩასვან შიგნით მათი დამზადებული ფიგურა და ამით გაახარონ.

მეცნიერება

- აჩვენეთ ბავშვებს ქოთნის მცენარე, რომელსაც მორწყვა აკლია. სთხოვეთ, დაასხან წყალი და დააკვირდნენ, როგორ შეიცვლება.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, მოიწყინეს თუ არა დღის განმავლობაში?
- ჩამოათვლევინეთ, როგორ ამარცხებენ მოწყენას?

3. გაბრაზება. ბრაზის მართვა

- ყველა ემოციებს შორის გაბრაზება ყველაზე ძლიერი და ბავშვებისთვის ყველაზე რთულად სამართავია. ჰკითხეთ, რა იწვევს მათ გაბრაზებას. უთხარით, რომ ზოგჯერ უფროსებიც ბრაზდებიან ხოლმე. აუხსენით, რომ არსებობს ჩვენი ემოციების (ამ შემთხვევაში გაბრაზების) გადმოცემის სხვაგვარი ფორმებიც და ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი ვინმე, ან საკუთარი თავი დააზიანო. ასწავლეთ ბავშვს გამოიყენოს შემდეგი სიტყვები: „მე იმიტომ ვარ გაბრაზებული, რომ ----------“. შეაქეთ ბავშვი, როდესაც დაინახავთ, რომ ის ცდილობს ემოციების გაკონტროლებას და თავს იკავებს აგრესიული

ფორმით თავისი ბრაზის გამოხატვისგან. თუ ბავშვი ვერ ახერხებს ემოციის მართვას, მაშინ ეცადეთ რაიმე სხვა აქტივობაზე გადართოთ მისი ყურადღება. მაგ. სათამაშო ცომის ზელვა, დოლზე დარტყმა, ფეხბურთი ან ცეკვა, რომელიც ფეხების ბაკუნით სრულდება.

დილის წრე

- აჩვენეთ ბავშვებს, თუ როგორ შეიძლება ემოციების შეკავებამ უარყოფითად იმოქმედოს მათზე და რა მნიშვნელობა აქვს ემოციების მისაღები (კონსტრუქციული) ფორმით გამოხატვას. მაგრად გაბერეთ თეთრი ბუშტი. შეკარით და ფრთხილად მოექეციოთ, რატომ? რომ არ გასკდეს. გაბერეთ წითელი ბუშტი ისე, რომ გასკდეს. აღწერეთ, რა მოხდა და რატომ? გაბერეთ ყვითელი ბუშტი და არ შეკრათ. ხელი გაუშვით ბუშტს. უთხარით რომ ვერ აკონტროლებთ მის მოძრაობას. რატომ? გაბერეთ ლურჯი ბუშტი და შეკარით. აათამაშეთ, აისროლეთ მაღლა და თავისუფლად მოექეციოთ. ბუშტს არაფერი მოუვა ასეთი მოპყრობით. რატომ?
- იმსჯელეთ: თეთრ ბუშტს ფრთხილად უნდა მოექცე, რადგან „ემოციით“ სავსეა და ოდნავ მეტ გაბერვასაც ვერ აიტანს.
- წითელი ბუშტი: ძალიან ბევრი ემოცია იყო, იმდენი, რომ გასკდა და ვერ ვისიამოვნეთ, ვერ ვითამაშეთ.
- ყვითელ ბუშტს ვერ ვაკონტროლებთ. არ იყო შეკრული და გარეთ გამოვარდა ემოცია. ადამიანიც როცა ასე სწრაფად (დაუფიქრებლად) უშვებს ემოციებს უძნელდება მისი მართვა.
- ლურჯ ბუშტს შეუძლია დამატებითი ემოციის მიღება, კონტროლს ექვემდებარება და ბედნიერია.

ბრაზის მართვა

- გამოიყენეთ ცომი აგრესიისგან „დასაცლელად“. აჩვენეთ, თუ როგორ ეხმარება ეს აქტივობები მათ დამშვიდებაში.
- „ჯერ დაფიქრდი და შემდეგ იმოქმედე“: ბავშვები შეჭმუხნულ, გაბრაზებულ სახეებს იღებენ. შემდეგ სთხოვთ, მოადუნონ ყველა კუნთი, ღრმად ჩაისუნთქონ, დაითვალონ ათამდე. საკუთარი სიტყვებით ახსნან, რა ემოციები დაეუფლათ ამის შემდეგ?

ხელოვნება

- გაბრაზებული/მხიარული. გამოიყენეთ ვაშლი, ფორთოხალი ან ატამი. დაახატინეთ ბავშვებს ხილის ერთ მხარეს მხიარული, ხოლო მეორე მხარეს ბრაზიანი სახე.
- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ გაბრაზებული ნახატი, სასურველი ფერებით. რა ფერია გაბრაზება (ფერების შერევა).
- გააკეთებინეთ ბავშვებს ბრაზისმზომი (ისეთივე „ხელსაწყო,“ როგორც თერმომეტრი სიცხის საზომად). დაურიგეთ ბავშვებს წინასწარ დამზადებული თერმომეტრის თარგი და წითელი საღებავის სხვადასხვა ტონალობები მუქი წითლიდან ღია ვარდისფრამდე (რომელიც თეთრში გადადის). თერმომეტრის ქვედა ნაწილი თეთრად შეაღებინეთ (მშვიდი განწყობა), შუა ნაწილი – ვარდისფრად, ხოლო ზედა – წითლად. აუხსენით, რომ ფერების ასეთი შეცვლა სიმშვიდიდან გაბრაზებისკენ გადასვლას შეესაბამება, ისაუბრეთ, როგორ უნდა ეცადონ, რომ საკუთარი თავი წითელი ფერიდან კვლავ თეთრ ფერში დააბრუნონ (დანართი 2.8.5.).

მუსიკა/მოძრაობა

- დაურიგეთ ბავშვებს მუსიკალური ინსტრუმენტები, სთხოვეთ, რიგრიგობით შეეცადონ თავისი ინსტრუმენტი „გააბრაზონ,“ ბრაზიანი ხმა გამოსცენ. შემდეგ ერთად დაუკრან „ბრაზიანი“ მელოდია.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ იქცევა ადამიანი როცა გაბრაზებულია? ცხოველი? ფრინველი? მწერი? რიგრიგობით განასახიერონ სასურველი არსება.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ნაწყვეტი „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონიდან“, „კარლსონი აღარაა მოჩვენება“ (იხ. წიგნიერების დანართი).

მეცნიერება

- სარკის დახმარებით აჩვენეთ ბავშვს, როგორ გამოიყურება მისი სახე გაბრაზების დროს (მიაღებინეთ გაბრაზებული სახის გამომეტყველება).

კულინარია



- მოამზადეთ მინანქრიანი ნამცხვარი („პეჩენია“) გაბრაზებული გამომეტყველების მქონე სახეებით. ამისთვის M&M კანფეტები გამოგადგებათ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, გაბრაზდნენ თუ არა დღეს, გუშინ?
- რა ისწავლეს, როგორ უნდა მოერიონ ბრაზს?

4. შიში. როგორ დავძლიოთ შიშები

- ბავშვებმა იციან, როგორია შიშის განცდა, მაგრამ არ იციან, როგორ მართონ შიშის ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ემოციური რეაქციები. შიშის დროს: გულისცემა ხშირდება, სუნთქვა უფრო ღრმა და ხშირი ხდება, ხელები ოფლიანდება, მუცელი „ბუყბუყებს“ და ირთვება „თავდაცვის“ რეაქცია. აუცილებლად უნდა აუხსნათ ბავშვებს, რომ შიშის განცდა ყველასთვის დამახასიათებელი და ნორმალური მოვლენაა, თუმცა ჩვენ ყველას სხვადასხვა რამის შეიძლება გვეშინოდეს. აუხსენით ბავშვებს, რისთვის გვჭირდება შიში, რა მნიშვნელობა აქვს შიშის განცდას. შიში ზოგჯერ გვიცავს ამა თუ იმ დაზიანებისგან, მაგრამ გვაფერხებს კიდევაც, არ გვაძლევს რაიმე სიახლის მიღების საშუალებას და უკან გვახევინებს გარკვეულ სიტუაციებში. ასწავლეთ ბავშვებს, უფროსებს უამბონ საკუთარი შიშის შესახებ: რისი ეშინიათ, რატომ ეშინიათ და როგორ გრძნობენ თავს შიშის დროს.

დილის წრე



- წაუკითხეთ ნაწყვეტი: „კარლსონი მოჩვენებაა“ (დანართი). დანართის მიხედვით გამოჭერით პატარა თეთრი მოჩვენება და დაამაგრეთ ნაყინის ჯოხზე.
- გამოჭერით დანართის მიხედვით პატარა მოჩვენება და დააწებეთ ნაყინის ჯოხზე (დანართი 2.8.6.). წაიკითხეთ ლექსი დანართიდან და სთხოვეთ ბავშვებს, ერთად დაიძახონ „უუუუ“ (იმდენჯერ წაიკითხეთ, რამდენჯერაც მოისურვებენ). სთხოვეთ ბავშვებს, ჯგუფში მოყვნენ თავიანთი შიშების შესახებ და ერთად მოიფიქრონ შიშის დაძლევის ხერხები.

ხელოვნება

- ძველი ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათების გამოყენებით გააკეთეთ „საშიში კოლაჟი“, სადაც ყველაფერი ის იქნება წარმოდგენილი, რაც შიშის გრძნობას იწვევს.
- შავ ფურცელზე თეთრი მოჩვენების დახატვა თეთრი საღებავით. წინასწარ მოიმარაგეთ მოჩვენების თეთრი თარგი. დაეხმარეთ ბავშვს, შავ ფურცელზე თარგს ნაცრისფერი მარკერი შემოავლოს. ფუნჯის ნაცვლად გამოიყენეთ სარეცხის სარჭზე დამაგრებული ღრუბლის პატარა ნაჭერი. სთხოვეთ ბავშვს, „ფუნჯი“ თეთრ საღებავში დაასველოს და მოჩვენება კი არ გააფერადოს, არამედ წერტილებით დაფაროს. როცა სულ დაფარავს თეთრი საღებავით, შავი მარკერით თვალები და გაღიმებული პირი დაახატოს.
- ჩუპა-ჩუპსის მოჩვენება. სთხოვეთ ბავშვებს, შემოხაზონ თეთრ ნაჭერზე წრეები, რაიმე მრგვალი შაბლონის დახმარებით, გამოჭრან ნაჭერი და ჩამოაცვან ჯოხიან კანფეტებს (ჩუპა-ჩუპს) ან თეთრი ხელსახოცი შემოახვიონ. გაუნასკვონ ლენტით და დაუხატონ სახე შავი ფლომასტერით. გამოიყენონ სათამაშოდ (წაუკითხეთ დანართიდან ლექსი „მოჩვენებად გადაცმული ჩუპა-ჩუპსის სიმღერა“, მოგვიანებით კი შეუძლიათ გახსნან და შეჭამონ.

- დაახატინეთ ბავშვებს სურათი, რომელიც მათში შიშის გრძნობას იწვევს, შემდეგ კი სურათი, რომელშიც ამ შიშს დაძლევენ.
- დაამზადეთ სიმამაცის მედალი. გამოჭერით მუყაოს ქაღალდისგან მედალი, შეაბით ბაფთა, დაფარეთ ოქროსფერი ფოლგით ან შეღებეთ ოქროსფრად. დააწერეთ წინა მხარეს ან მისაბმელ ბაფთაზე „------ის სიმამაცის მედალი". განუმარტეთ, რომ მამაცი არის ის, ვინც შიშებს ერევა.

მოძრაობა



- როგორ ფრთხიალებს შეშინებული ქათამი? როგორ ყეფს შეშინებული ძაღლი? მიბაძეთ შეშინებულ ცხოველს და ფრინველს.
- მოძრავი თამაში „ქორი და წიწილები". ერთი ბავშვი არის ქორი, ერთი კრუხი და დანარჩენები წიწილები, ქორი ცდილობს დაიჭიროს წიწილა, წიწილები დარბიან, ქორი კრუხთან მისულ წიწილას ვერ იჭერს.

სამაგიდო/მათემატიკა



- ცხრილი: ვის რისი ეშინია?
- ათამაშეთ ემოციების ლოტო (იხ. დანართი).

დრამატული



- მიეცით ბავშვს სცენარი, სადაც მას რაღაცის ეშინია. ჰკითხეთ: ეს შიში საფუძვლიანია თუ უსაფუძვლო? როგორია ეს შიში: რაიმე საფრთხისგან გვიცავს, თუ ხელს გვიშლის გართობაში?
- (სცენარის ვარიანტი) მეგობრები სთხოვენ ბავშვს, ველოსიპედით გაისეირნოს დატვირთულ ავტომაგისტრალზე, ბავშვს კი ამის ეშინია. ეს სრულიად გამართლებული შიშია, რომელიც სიცოცხლეს გვინარჩუნებს.
- (სცენარი მეორე) ბავშვს საწოლის ქვეშ დამალული „ბუას" ეშინია, ასეთი შიში სრულიად უსაფუძვლოა და ხელს უშლის ბავშვს მშვიდ ძილში. შიშის დაძლევის სხვადასხვა ხერხი მოიფიქრეთ: სინათლის დატოვება, მუსიკის მოსმენა, საწოლის ქვეშ სივრცის დათვალიერება და დარწმუნება, რომ იქ არაფერია.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ „საშიში არსებების კოშკი". მოიფიქრონ, რა შეიძლება გამოიყენონ კუბებთან ერთად.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „პატარა წითელი ავტობუსი, სიბნელის რომ ეშინოდა" და მუყაოს ყუთის გამოყენებით „მშიშარა ავტობუსი" დაამზადეთ.
- სთხოვეთ ბავშვებს, მუყაოს ყუთს დაახატონ ფანჯრები და გამოჭრან თქვენი დახმარებით. გამოაჭრევინეთ მუყაოს პატარა წრეები და დააწებეთ ბორბლების ადგილას. სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ ავტობუსი წითელი გუაშით.
- უყურეთ ფილმს: „ჯადოქარი ზურმუხტის ქალაქიდან" და ისაუბრეთ, როგორ დაძლია ამ ფილმში ლომმა საკუთარი შიში.

საღამოს წრე

- რა იყო მათთვის დღის მანძილზე ყველაზე საინტერესო?
- შეძლებენ მიეხმარონ სხვას (უმცროს და-ძმას, მეგობარს) შიშის დაძლევაში?

5. ემოციების აღიარება

დილის წრე

- ბავშვებს ყურადღება უნდა გაუმახვილოთ ფიზიკურ მინიშნებებზე, რომლებიც სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობას გამოხატავს. გამოიცანით ბავშვების ემოციები და ყურადღება გაუმახვილეთ მათ სახის გამომეტყველებაზე – წარბებზე, თვალებზე, პირზე. ეს თამაში წინასწარი დაგეგმვის გარეშე, დღის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობის ან საქმიანობის დროს შეგიძლიათ ითამაშოთ.

- აღმზრდელი ხუჭავს თვალებს და თოჯინა, ან სხვა უფროსი ამბობს „ოოოჰჰჰ, ვერ შევიკარი თასმები“ აღმზრდელი ასახელებს ემოციას, იგი ამბობს: „თოჯინას ეწყინა, თასმები რომ ვერ შეიკრა.“ შემდეგ ბავშვებიც ხუჭავენ თვალებს და უსმენენ მასწავლებლის სხვადასხვა ინტონაციით გამოთქმულ ფრაზებს; ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რა ემოციას გამოხატავს აღმზრდელი.
- ბავშვებმა სახის გამომეტყველებითა და სხეულის ენის საშუალებით უნდა გამოიცნონ რა ემოციას გამოხატავს სხვა ბავშვი ან უფროსი.

ხელოვნება



- ემოციების კოლაჟი. დაურიგეთ თითოეულ ბავშვს რამდენიმე ფერადი ქაღალდი. სთხოვეთ, დაახატონ სხვადასხვა ემოციები: სიხარული, გაბრაზება, გაოცება, მოწყენა და ა.შ. შემდეგ დააწებებინეთ ეს ემოციები ერთად ფურცელზე.

მოძრაობა



- *ქუდის გადაცემა.* ჟურნალებიდან ამოჭრილი სხვადასხვა ემოციების გამომხატველი სახეები ჩაყარეთ ქუდში ან დიდ კონვერტში. მუსიკის ფონზე ქუდი გადასცენ გვერდით მჯდომს. ვისზეც მუსიკა გაჩერდება, ის ბავშვი იღებს სურათს, ასახელებს ემოციას და გამოსახავს. ასევე, აღწერს სიტუაციას, როდესაც ასეთ ემოციას განიცდის.
- *ემოციებზე ნადირობა „მეძებარი ძაღლი“.* ოთახში მიმოაბნიეთ (ან დამალეთ) „ემოციების სახეები.“ ბავშვები ეძებენ სხვადასხვა ემოციებს. ვინც რას იპოვის, იმას ასახელებს. მრავალფეროვნებისთვის ბავშვებს შეუძლიათ ნაპოვნი სახეები გადახატონ.

- მოძრაობა და ემოციები. სთხოვეთ ბავშვებს, იმოძრაონ და თან შეცვალონ მოძრაობის **ფორმა**, მაგ. „ფართოდ და ვიწროდ სიარული“; „მაღლა და დაბლა“; „ძლიერად და ნაზად“; ხელების, ფეხების მოძრაობით, ფეხისწვერებით, ტანის მოხრით, გამართვით. სთხოვეთ ბავშვებს, შეცვალონ სიარულის **ტემპი** – სწრაფი ან ნელი. ასევე სთხოვეთ, შეცვალონ მოძრაობის **სიმძიმე**. სთხოვეთ, შეცვალონ მოძრაობის **მიმართულება**. მიზანმიმართული სიარული ან უმიზნოდ ხეტიალი. ასევე შეცვალონ მოძრაობისას კუნთის **დაძაბულობა**. კუნთები შეიძლება იყოს მოშვებული, მოდუნებული ან დაძაბული, დაჭიმული.

სამაგიდო



- *ემოციების დაჯგუფება.* ამობეჭდეთ გარკვეული რაოდენობით ემოციის სახეები (დანართი 2.8.4.) და ამოჭერით. სთხოვეთ ბავშვებს, დააჯგუფონ ემოციები.
- *სახის ცვლილებები.* მუყაოს ფურცელზე ხატავენ სახეს. პირი და წარბები დრეკადი მასალისგან (მაგ. ცომი, პლასტელინი, ჩიბუხის საწმენდი, თასმა) კეთდება და უმაგრდება სახეს. ბავშვებს შეუძლიათ, პირისა და წარბების მოხაზულობის შეცვლით შეცვალონ ემოციის გამოხატულება. ბავშვები აქაც ასახელებენ ემოციას. აფერადებენ დანარჩენ სახეს.

- *ემოციების ფაზლი.* პიქტოგრამის სახით ერთი ზომის ორ ფურცელზე დახატულია ორი ძირითადი ემოცია, მაგ. სიხარული და ბრაზი ან გაოცება და მოწყენილობა (სასურველია, ყველა ბავშვს დაურიგდეს ეს ორი ფურცელი). ფურცლები იჭრება შუაზე და ერთმანეთში ირევა. „სიხარულმა და გაბრაზებამ ერთად გადაიღეს სურათი. მოვიდა ერთი აბეზარი, დაჭრა სურათები და გაიქცა. რა ვქნათ? მათ მოსვლამდე ეს სურათები უნდა დავაწებოთ.“ ბავშვებმა უნდა ააწყონ სახეები (დანართი 2.8.1.).

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ სარკისებურზედაპირიანი პრიალა ქაღალდები. სთხოვეთ ბავშვებს, გამოჭრან და დააწებონ კუბებს პრიალა ქაღალდები მშრალი წებოს მეშვეობით, შემდეგ კი „ჯადოსნური ქალაქი“ ამ კუბებით ააშენონ.

დრამატული



- მოიმარაგეთ ილუზიონისტის ატრიბუტები: შავი შლაპა, ფერადი ცხვირსახოცები, კარტები, ჯოხი, სხვადასხვა ზომის ყუთები. აჩვენეთ ბავშვებს ილუზიონისტის ვიდეო ჩანაწერი, წაახალისეთ, გააოცონ ერთმანეთი.

მეცნიერება

- დაათვალიერებინეთ წინასწარ მომზადებული, გაოცებული ადამიანების ფოტოები. ერთად შეეცადეთ მიბაძოთ გაოცებულ ადამიანს მიმიკით.
- მოიწვიეთ ადამიანი, რომელიც შეძლებს მარტივი ფოკუსების ჩატარებას ბავშვებისათვის. სასურველია, გამოწყობილიც იყოს შესაბამისად.

წიგნიერება

- გამოიყენეთ საბავშვო ლიტერატურა. წაიკითხეთ მოთხრობა. ამოირჩიეთ ერთი სიტუაცია და სთხოვეთ ბავშვებს გამოიცნონ გმირის რეაქციები და განცდები. იხ. დანართი. „პეპი საყიდლებზე მიდის.“
- *სარკეები.* წრეში ყოფნისას ბავშვებს ურიგდებათ პატარა სარკეები. აღმზრდელი კითხულობს მოთხრობას, სადაც ბევრი ემოციაა დასახელებული. ბავშვები ნახსენებ ემოციას მიმიკებით გამოსახავენ და აკვირდებიან საკუთარ სახეს სარკეში (იხ. დანართი. „პეპიმ ორი ბიჭუნა გადაარჩინა“).

- *ემოციების კამათელი.* გააკეთეთ ემოციების კამათელი. დიდი ყუთის გვერდებზე მიაწებეთ სხვადასხვა ემოციების გამომსახველი სახეები (დანართი 2.8.1.). კამათლის გაგორების შემდეგ რომელი სახეც დაჯდება, ბავშვებმა უნდა დაასახელონ და მოყვნენ როდის გრძნობდნენ თავს ასე.



საღამოს წრე

- რა ისწავლეს ახალი?
- როგორ შეძლებენ ნასწავლის გამოყენებას?

ცირკი

1. ცირკი
2. ცირკის ცხოველები
3. თოკზე მოსიარულეები, მოჯირითეები, ჟონგლიორები და აკრობატები
4. ლომები, ძაღლები, სელაპები და მოცეკვავე დათვები
5. მძლეოსნები, ილუზიონისტები და მასხარები

1. ცირკი

დილის წრე

- წინასწარ ჩამოკიდეთ ჭერში რაიმე დიდი ზომის ქსოვილი ისე, რომ შაპიტოს ეფექტი ჰქონდეს.
- დასხედით „შაპიტოს“ ქვეშ და აჩვენეთ ბავშვებს საცირკო წარმოდგენები, შაპიტოსა და ცხოველების სურათები.
- ჰკითხეთ ბავშვებს, აქვთ თუ არა საცირკო წარმოდგენა ნანახი. აღწერონ ის, რაც ახსოვთ.

ხელოვნება



- წაახალისეთ ბავშვები, შეღებონ ყუთები და დააწყონ დილის წრეში, შაპიტოს ქვეშ.
- მოიმარაგეთ ორი ფერის საღებავი (წითელი და თეთრი), სახატავი ფურცლები და შაპიტოს ფორმის ღრუბლები. წაახალისეთ ბავშვები, შეღებილი ღრუბლების ნაკვალევი დატოვონ ფურცელზე.
- დიდი მრგვალი ყუთისგან ან მუყაოსგან ბავშვებთან ერთად დაამზადეთ დიდი შაპიტო ან თითო ბავშვს დაამზადებინეთ შაპიტო დანართის მიხედვით (დანართი 2.9.1.). წინასწარ მოახატინეთ ბავშვებს ფურცლები ცირკის სცენებით და გამოაკარით ყუთს შიგნიდან. გამოჭერით არენა და დააწებეთ ძირზე. სთხოვეთ ბავშვებს, ფურცლებზე დახატონ ცირკის მსახიობები და ცხოველები ან ამოჭრან დანართიდან და გააფერადონ. მიამაგრებინეთ ამოჭრილი ნახატები მუყაოზე და გაუკეთეთ სადგამები. თანდათან დღის თემების შესაბამისად შეავსეთ ცირკი პერსონაჟებით, წაახალისეთ ბავშვები, გააცოცხლონ პერსონაჟები და გამართონ წარმოდგენები.



- ცირკი ასევე შეგიძლიათ დაამზადოთ მუყაოს ბრტყელი ყუთისგან. გამოუჭერით ცალი მხარე მთლიანად. შეაღებინეთ ბავშვებს უკანა ფონი. ცალკე ფორმატზე შაბლონის მიხედვით დაახატინეთ და გამოაჭრევინეთ სახურავი და ფარდები. დაუმაგრეთ დროშა. შაბლონიდან გამოაჭრევინეთ მსახიობები და

ცხოველები. დაუმაგრეთ საწრუპები. წარმოდგენის დროს შეგიძლიათ გაანათოთ ფანრით (დანართი 2.9.2.). გააკეთებინეთ ბავშვებს მცირე ჯგუფებში.



- მოიძიეთ და დაათვალიერებინეთ ბავშვებს ცნობილი მხატვრების (Miles Baker; Marc Chagall, Fernando Botero; Georges Seurat; Edgar Degas) ნახატები ცირკის თემაზე, სთხოვეთ, აღწერონ ნახატები, რომელი მოეწონათ, რომელი – არა და რატომ? წაახალისეთ, დახატონ ნახატები A3 ზომის ფორმატზე, გუაშის საღებავით.

მუსიკა და მოძრაობა

- ჩართეთ საცირკო მუსიკა და სთხოვეთ ბავშვებს, მოაწყონ აღლუმი. როდესაც მუსიკას გამორთავთ, ბავშვები გაშეშდნენ, როდესაც ისევ ჩართავთ, გააგრძელონ ოთახში სიარული.
- მოიმარაგეთ ორი განიერი ზეწარი და სამი ან ოთხი სკამი. სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ შაპიტო.

სამაგიდო



- დაამზადებინეთ ბავშვებს ბილეთები. დაახატონ ცირკი ან რაიმე გამოსახულება, დააწერეთ რიგის და ადგილის ნომრები, დაარტყან სათამაშო ბეჭედი.
- წინასწარ ააწყვეთ მაგიდაზე პატარა შაპიტო და მოიმარაგეთ პატარა ზომის პლასტმასის ცხოველები. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ.

დრამატული



- ჰკითხეთ ბავშვებს, რა შეიძლება გამოიყენონ ცირკის მოსაწყობად, წაახალისეთ მათი იდეები და დაეხმარეთ მათ განხორციელებაში.
- მოიმარაგეთ კოსტიუმები, სარკე, რბილი სათამაშო ცხოველები. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ „ცირკობანა“. მიეცით ბავშვებს ჰულა-ჰუპები, პატარა საჟონგლიორო ბურთები, რომ სცადონ ფინტების კეთება.
- ცირკის შესასვლელში მოაწყვეთ სალარო. მოლარემ გაყიდოს დამზადებული ბილეთები, კონტროლიორმა შეამოწმოს და გახვრიტოს ან გადახიოს. „ცირკში“ დადგმული სკამები დანომრეთ, წაახალისეთ ბავშვები, იპოვონ თავისი ადგილი ბილეთის მიხედვით. წარმოდგენა ჩაატარონ „მსახიობებმა“.

წიგნიერება

- წაახალისეთ ბავშვები, გამოიგონონ საცირკო წარმოდგენების დასახელება, მაგალითად. „მფრინავი სამეული“, „დიდებული დათვები“ და ა.შ.
- ბიბლიოთეკა ცირკის შესახებ წიგნებით შეავსეთ.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „აქ მოდის ცირკი“.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ცირკის შესახებ?
- მიეცით საშუალება, იფანტაზიორონ და მოყვნენ, რისი ჩვენება შეიძლება საცირკო ნომრად?

2. ცირკის ცხოველები

დილის წრე

- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა ცირკის ცხოველების შესახებ.
- ისაუბრეთ ცხოველებზე, რომლებსაც ცირკში ვხვდებით ხოლმე.
- ჰკითხეთ: ვინ უვლის ცხოველებს? რას ჭამენ ცხოველები? უთხარით, რომ ხშირად სპილო შაპიტოს აგებაში იღებს მონაწილეობას.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ცირკის ცხოველები იქნება.
- აღწერეთ სპილოების სამუშაო ცირკში, მაგალითად, კარვების დადგმა, მძიმე საგნების აწევა და გადაადგილება, წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება და ხორთუმიდან წყლის ამოშვება.
- აჩვენეთ მულტფილმ „დამბოდან“ სცენა, სადაც შაპიტოს აგებაა ნაჩვენები.

ხელოვნება



- დახატინეთ ბავშვებს საღებავებით მათი საყვარელი ცირკის ცხოველი. ჰკითხეთ, რატომ უყვარს ეს ცხოველი ყველაზე მეტად და პასუხი მიაწერეთ ფურცლის უკანა მხარეს.
- დაამზადებინეთ ბავშვებს სპილოს ნიღბები. ქაღალდის ერთჯერადი თეფშები ნაცრისფრად შეღებონ, მიაწებონ ნაცრისფერი ქაღალდისაგან წინასწარ გამოჭრილი სპილოს ყურები. ნაცრისფერი ფურცელი აკორდეონივით დაკეცონ და ნიღაბს მიამაგრონ, ვითომ ხორთუმია. გამოჭრან თვალები.
- პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით დაამზადეთ სპილო. გაუკეთეთ დიდი ყურები და ხორთუმი, კუდი, შეაღებინეთ ბავშვებს და მოართვევინეთ საზეიმო წარმოდგენისთვის ქსოვილის, ლენტებისა და მძივების გამოყენებით.
- დაახატინეთ და გამოაჭრევინეთ ბავშვებს ცხოველების ფიგურები. დააწებეთ მუყაოზე და გაუკეთეთ სადგამები ან დაამაგრეთ საწრუპებზე ან ნაყინის ჯოხებზე, გამოიყენეთ ცირკის არენაში ჩასადგმელად, ინსცენირებისათვის.
- ცირკი მიემგზავრება. შაბლონის მიხედვით ან დამოუკიდებლად დაახატინეთ და გააფერადებინეთ ბავშვებს ცირკის ცხოველები მუყაოზე, თითოეულ ცხოველს გაუკეთეთ კონვერტი ჩასასვამად ან გალია ფერადი ქაღალდისაგან. დაუწებონ ბორბლები და ააწყონ მატარებელი (დანართი 2.9.3.).



მოძრაობა



- ვითომ ბავშვები სპილოები ან მაიმუნები არიან. მიეცით მათ მიწის თხილი, რომ შორიდან სათლში ჩაყარონ.
- *სპილოს ნაწილები.* ერთი ბავშვი დგება ცენტრში, ორი უდგება გვერდზე, ვითომ სპილოს ყურები არიან. სპილომ უნდა იმოძრაოს და ყურებმა იმოძრაონ სინქრონულად.

სამაგიდო



- *მათემატიკა.* ათამაშეთ ბავშვები „აჭამე სპილოს.“ წინასწარ ამობეჭდეთ, ამოჭერით, გააფერადეთ და გაუკეთეთ ლამინირება მოცემულ სპილოებსა და მიწის თხილებს. (დანართი 2.9.4.). წაახალისეთ ბავშვები, თითოეულ სპილოს მიწის თხილის შესაბამისი რაოდენობა გადაუწყონ.
- წაახალისეთ „სპილოები“ (ბავშვები) მოხალული მიწის თხილი ნაჭუჭებიდან გამოარჩიონ.
- სამუშაო ფურცელი: მოძებნე განსხვავებული სპილო (დანართი 2.9.5).
- სამუშაო ფურცელი: დაუხატე სპილოს ხორთუმი (დანართი 2.9.6.).
- დაურიგეთ ბავშვებს სპილოს კონტურული გამოსახულება. სთხოვეთ, გააფერადონ და მორთონ ბრჭყვიალა წებოთი (დანართი 2.9.7.).

დრამატული



- წაახალისეთ ბავშვები, შექმნან მოცეკვავე დათვების წარმოდგენა.

წიგნიერება

- წიგნიერების ცენტრში გააკეთეთ ცირკის ტენტი ზოლიანი ზეწრის ან სხვა ზოლიანი ნაჭრის გამოყენებით. აავსეთ ტენტი ცირკის ცხოველების შესახებ წიგნებით. წაუკითხეთ შესაბამისი ნაწყვეტი დანართიდან.

მეცნიერება

- თუ ამის საშუალება გექნებათ, ჩამოკიდეთ გორგოლაჭი ჭერში ან ფარდის საკიდზე, მოიმარაგეთ თოკი და სათლი (ვედრო). ბავშვებმა ჯერ სათლის ჩვეულებრივად აწევა სცადონ, შემდეგ კი გორგოლაჭი და თოკი გამოიყენონ.
- ჩაყარეთ კალათში სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილები, სთხოვეთ ბავშვებს, შეხებით განსაზღვრონ, რომელი უფრო მეტად წააგავს სპილოს კანის ზედაპირს.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, იმუშავებდა ცირკში? რატომ?
- რომელ სამუშაოს ისურვებდა? რომელიმე ფერმის ცხოველი თუ არის ამასთანავე ცირკის ცხოველიც?

3. თოკზე მოსიარულეები, მოჯირითეები, აკრობატები და ჟონგლიორები

დილის წრე



- წინასწარ დადეთ თოკი იატაკზე შემოსასვლელი კარიდან დილის წრემდე და სთხოვეთ ბავშვებს, მასზე გაიარონ და დასხდნენ წრეში.
- ისაუბრეთ თოკზე მოსიარულეების შესახებ. რა უნდა ისწავლონ? რატომ უჭირავთ ხოლმე გრძელი ჯოხი? რა აცვიათ ფეხზე?
- აუხსენით, რომ მოჯირითეებსა და აკრობატებსაც სჭირდებათ წონასწორობის დაცვა. ჰკითხეთ ბავშვებს, იციან თუ არა რატომ?

ხელოვნება



- გამოიყენეთ საწრუპები, საქსოვი ძაფი, ფერადი ქაღალდი, სქელი მაკარონი. დაურიგეთ ბავშვებს მუქი ფერის ფორმატი, სთხოვეთ, ერთ საწრუპსა და მეორეს შორის გააბან სქელი ძაფი. დააწებონ საწრუპები ქაღალდზე, ისე რომ თოკი დაიჭიმოს. ცალკე გამოჭრან ეკვილიბრისტი და დააწებონ თოკზე, ხელში დააჭერინონ ერთი ცალი გრძელი მაკარონი. ფონი შეუძლიათ გააფორმონ შენობების სახურავების, დროშების ან ადამიანების თავების აპლიკაციებით (დანართი 2.9.8.).

მუსიკა და მოძრაობა

- *თოკის ბილიკები.* ეზოში, დარბაზში, ან ოთახში თოკები დევს იატაკზე. ბავშვები ცდილობენ თოკის ბილიკზე გავლას, ხელების გაშლა წონასწორობის დაცვაში დაეხმარებათ
- *მეორე ვარიანტი:* ბავშვები დადიან თოკების ლაბირინთში, რომელსაც ექნება დასაწყისის და დასასრულის მაჩვენებელი სიმბოლოები.
- *მესამე ვარიანტი:* ბავშვებს ასევე შეუძლიათ თოკებით სხვადასხვა ფორმის ან ფიგურის გაკეთება: წრე, ოთხკუთხედი, სამკუთხედი, ლოკოკინა, გველი და მასში სიარული.
- წონასწორობის შესანარჩუნებლად გამოიყენეთ მუყაოს რულონები ან სპორტული ჯოხები და გაჭიმულ თოკზე ითამაშეთ „გაყევი ლიდერს“ (*სპორტული სკამები შეიძლება გამოიყენოთ წონასწორობის დასაცავად*).
- მოიმარაგეთ რბილი და მსუბუქი ბურთები და წაახალისეთ ბავშვები, სცადონ ჟონგლიორობა.
- სასტვენის გამოყენებით ავარჯიშეთ ცალ ფეხზე მონაცვლეობით დგომაში.

სამაგიდო



- ითამაშეთ „აიღე ჯოხი“ (ეს სათამაშო იყიდება მაღაზიებშიც. შედგება 15-20 სანტიმეტრის სიგრძის წვრილი ჯოხებისგან). ყველა ჯოხი ერთ მუჭად დაიჭირეთ და უცბად გაუშვით ხელი. ჯოხები მაგიდაზე მიმოიფანტება, თამაშის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ჯოხი ისე აკრიფოთ, რომ დანარჩენი ჯოხები არ ამოძრავდეს.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ ძველებური სასწორი და სხვადასხვა საგნები. წაახალისეთ ბავშვები, სასწორი გააწონასწორონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ შესაბამისი ნაწყვეტი წიგნიერების დანართიდან.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი თოკზე მოსიარულეების, მოჯირითეების, ჟონგლიორების შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ დღეს?

4. ლომები, ძაღლები, სელაპები და მოცეკვავე დათვები

დილის წრე

- წინასწარ ჩამოკიდეთ ჭერში თხელი ფურცლის ლენტები, რომ დილის წრის ირგვლივ გალია შექმნათ.
- მოიმარაგეთ სურათები, სადაც ლომების წვრთნაა გამოსახული, აჩვენეთ ბავშვებს, ისაუბრეთ მათზე, რა ხელსაწყოებს იყენებს მწვრთნელი?

- აჩვენეთ ბავშვებს ძაღლების, სელაპების და დათვების საცირკო წარმოდგენების სურათები.
- სთხოვეთ ბავშვებს, ეს ცხოველები სხვადასხვა ფინტების კეთებისას განასახიერონ.
- ჰკითხეთ, „როგორ ასრულებენ თავიანთ გამოსვლას ცხოველები?“ სელაპები უკრავენ ტაშს, ძაღლები აქნევენ კუდს და დათვები თავს უკრავენ მაყურებელს.

ხელოვნება



- წინასწარ, შაბლონის მიხედვით მუყაოსაგან გამოჭერით ლომის სახე და თვალები. დააჭრევინეთ ბავშვებს ფერადი ქაღალდი ზოლებად. დააწებებინეთ ფაფრის ადგილას. სტეპლერით დაამაგრეთ რეზინი, ნიღბის მოსარგებად (დანართი 2.9.9.).
- წაახალისეთ ბავშვები, დაამზადონ მასხარა-ძაღლის ქუდი. დაახვიეთ ნახევარწრის ფორმის ფურცელი ისე, რომ მიიღოთ კონუსი. სტეპლერით დაამაგრეთ ან დააწებეთ. ქუდების გასაფორმებლად მოიმარაგეთ მარკერები და სხვა მასალა.
- დაურიგეთ ბავშვებს ცირკის ცხოველების გამოსახულებები და სხვადასხვა ქსოვილი. სთხოვეთ, ჩააცვან ცხოველებს საზეიმო კოსტიუმები, გამოჭრან და დააწებონ.

მოძრაობა



- მოიმარაგეთ სხვადასხვა სახის ბურთები (მსუბუქი ბურთები, ქაღალდის ბურთები, ბინბეგები (მარცვლეულით გატენილი ბურთები), წყლის ბურთები და სხვა). სთხოვეთ ბავშვებს, სელაპების მსგავსად სცადონ მათი ცხვირზე გაჩერება.
- სთხოვეთ ბავშვებს, დადგნენ ცალ ფეხზე და დაბზრიალდნენ. წარმოიდგინონ, რომ ამას მოძრავი ცხენის ზურგზე აკეთებენ. ფონად ცირკის მუსიკა ჩართეთ.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, მუშტი საღებავში ჩააწონ და გადაიტანონ ნაკვალევი ფურცელზე. აჩვენეთ, როგორ მიუხატონ ფანქრით კლანჭები, რომ ლომის თათები გამოუვიდეთ.
- გამოჭერით ორი ან სამი ფერის წრეები. მიეცით ბავშვებს ფერთა განლაგების სხვადასხვა ნიმუში და წაახალისეთ, ნიმუშის მიხედვით დააწყონ.
- მოიმარაგეთ დაწნული კალათები (რომელიც წააგავს გალიას) და დააკარით 1, 2, 3, 4 და 5 წერტილი. წაახალისეთ ბავშვები, გალიებში პლასტმასის ლომების შესაბამისი რაოდენობა ჩასვან.

დრამატული



- მოიმარაგეთ დაწნული კალათები (გალიის მსგავსი), პლასტმასის სათამაშო ადამიანები და ლომები.
- მოიმარაგეთ წყლის ბურთები და ჰულაჰუპები. წაახალისეთ ბავშვები, გაერთონ სელაპების და ძაღლების ფინტების გამეორებით.

წიგნიერება

- აუხსენით, ვინ არიან ბრაკონიერები, ესაუბრეთ ცხოველთა დაცვის მნიშვნელობაზე.
- წაუკითხეთ შესაბამისი ნაწყვეტი დანართიდან.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ ნაყინის ჯოხები (ან შპადელები) და წებო. სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ გალია.

საღამოს წრე

- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?
- რომელი საცირკო ნომერი მოსწონთ ცხოველების მონაწილეობით?

5. ილუზიონისტები, მძლეოსნები და მასხარები

დილის წრე

- დაისწავლეთ რაიმე მარტივი ფოკუსი და დაიწყეთ დილის წრე იოლი ილუზიონისტური ფინტით.
- გამოჰკითხეთ, რა იციან ბავშვებმა ილუზიონისტებზე, აკრობატებსა და მძლეოსნებზე. აჩვენეთ მათი სურათები და მოუყევით მათ შესახებ.

ხელოვნება



- ჩააწყვეთ მაგიდის ჩოგბურთის ბურთები საღებავში, შემდეგ გადააწყვეთ ყუთში, რომელსაც სახატავი ფურცელი აქვს ჩაფენილი. სთხოვეთ ბავშვებს, ბურთები აგორაონ.
- სთხოვეთ, დახატონ, როგორი წარმოუდგენიათ ყველაზე ძლიერი ადამიანი მსოფლიოში.
- გამოაჭრევინეთ ბავშვებს მძლეოსნის ფიგურის ნაწილები. დააწებონ ერთმანეთს. დაახატინეთ დეტალები (დანართი 2.9.10.).

მოძრაობა



- რბილ ზედაპირზე ავარჯიშეთ ბავშვები. იკოტრიალონ წინ და უკან.
- ჩართეთ საცირკო მუსიკა და წაახალისეთ ბავშვები, აყვნენ მას რიტმული ინსტრუმენტებით.

დრამატული



- მოიმარაგეთ ბანქოს დასტა, შავი მოსასხამი, ცილინდრი, ჯადოსნური ჯოხი, რბილი სათამაშო კურდღელი. ბავშვებმა საცირკო წარმოდგენა გაითამაშონ.

წიგნიერება

- შეაჯამეთ ცირკთან დაკავშირებული ლექსიკა.
- წაუკითხეთ შესაბამისი ნაწყვეტი წიგნიერების დანართიდან.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ დიდი ზომის საწრუპები და სხვა მასალა. ბავშვებმა გააკეთონ ჯადოსნური ჯოხი.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ცირკის შესახებ?
- რომელი საცირკო ნომერი მოსწონთ ყველაზე მეტად?

ზამთარი და შობა-ახალი წელი

1. ზამთარი
2. იფიქრე თბილად
3. შობა-ახალი წელი
4. საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოები
5. თოვლის ბაბუა და სანუკვრები
6. საახალწლო დეკორაციები

1. ზამთარი

დილის წრე

- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ, „ზამთარი“ (შ. აკობია. იხ. დანართი: „ზამთარი და შობა-ახალი წელი“; 3-4 წ.). ჰკითხეთ ბავშვებს, წელიწადის რა დროზეა ლექსი?
- ჰკითხეთ ბავშვებს, რას აკეთებენ ზამთარსა და ზაფხულში. დაფაზე ჩამოწერეთ ზამთრის და ზაფხულის აქტივობები და შესაბამისი სურათები მიაკარით. (დანართი 2.10.1. თბილად ჩაცმული ბავშვი, გრილად ჩაცმული ბავშვი, თოვლით დაფარული ხის ტოტები, აყვავებული და მწვანე ხე, გუნდაობა, ზღვაში ცურვა, თხილამურებზე სრიალი, წყლის თხილამურები; ნაძვის ხის მორთვა ან თევზაობა).
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ზამთარია.

ხელოვნება



- წაახალისეთ ბავშვები, ლურჯ ფურცელზე თეთრი ფანქრით ან ზეთის პასტელებით ზამთარი დახატონ. ბოლოს ნახატს თეთრი ზღვის მარილი (აბაზანის მარილი) გადაუსვან. როდესაც გაშრება, ნახატს ბრჭყვიალა ელფერს შესძენს.
- *ზამთარი.* წელიწადის ოთხი სეზონის შესაბამისად დაამზადეთ ოთხი ქვეყანა. მაკეტი დაამზადეთ დიდი ზომის მუყაოზე. ზამთრისთვის გამოიყენეთ გამხმარი ტოტები, პენოპლასტი ან ბამბა, ქსოვილები, ფერადი ქაღალდები და პლასტელინი. წაახალისეთ ბავშვები, მოიფიქრონ და დაამზადონ სახლები, ტყე, ტრანსპორტი, ადამიანები.
- ასანთის კოლოფისა და ხის ჩხირებისაგან დაამზადებინეთ ბავშვებს ციგები. ჩასვან ციგებში პლასტელინისაგან დამზადებული ფიგურები.
- ფიჭვის ტოტის ფუნჯი. დაურიგეთ ბავშვებს ფიჭვის ტოტები. მიეცით საშუალება, ჩააწონ ეს ტოტები საღებავში და ისე დახატონ.

მუსიკა და მოძრაობა

- სთხოვეთ ბავშვებს, ფეხსაცმელები გაიხადონ და სცადონ იატაკზე გასრიალება (ფიგურული სრიალი წინდებში ან გამოიყენეთ ქეჩები). (უსაფრთხოებისათვის! ეს აქტივობა გააკეთეთ ისეთ ოთახში, სადაც პრიალა, უსაფრთხო იატაკია!)
- მუსიკა და მოძრაობა. ჩართეთ პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნადან“ „ფიფქების ცეკვა“. უთხარით ბავშვებს, წარმოიდგინონ ვითომ ფიფქები არიან და ისე იტრიალონ, იფრიალონ და დაეშვან ძირს.

სამაგიდო



- ზამთრის და ზაფხულის ტანსაცმელი. დაახარისხებინეთ ბავშვებს ზამთრის და ზაფხულის ტანსაცმელი, თან დაასახელონ (დანართი 1.13.2.; იხ. 3-4 წლიანების დანართი, თემა „კატეგორიები“).
- *მათემატიკა.* გამოჭერით სხვადასხვა ზომის ფიფქები. თუ ლამინირებას გაუკეთებთ, ბევრჯერ გამოიყენებთ. დაახარისხებინეთ ბავშვებს გამოჭრილი ფიფქები სხვადასხვა ზომის ჯგუფებად.

დრამატული



- მოიმარაგეთ სეზონური ტანსაცმელი და სხვადასხვა ქსოვილი, წაახალისეთ ბავშვები, შექმნან ზამთრის ტანსაცმლის კოლექცია და მოაწყონ ჩვენება.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ წებო და თეთრ, ავეჯის ყუთებში ჩაგებული, შესაფუთი ბურბუშელები და შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მოაქციეთ. ბავშვებმა ჩრდილოეთ პოლუსის სოფელი ააგონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსები (იხ. დანართი: „ზამთარი და შობა-ახალი წელი“; 3-4 წ.).

სენსორული

- მოიმარაგეთ ნახევარლიტრიანი ბოთლები. ერთი გაავსებინეთ წყლით და თეთრი ფანქრის ან პასტელის ნათალით, ვითომ თოვლია. მეორე გაავსებინეთ ხავსით, კენკრით, ხორბლეულით, რკოთი და ხის ქერქით. მესამე კი – წიწვებითა და დარიჩინის ჯოხებით. სამივე ბოთლს მიაწებეთ თავსახური, მესამე ბოთლის თავსახურს გაუკეთეთ პატარა ნახვრეტები (უფროსმა!), რომ ბავშვებმა სურნელი შეიგრძნონ.
- აავსეთ სენსორული მაგიდა მარილით. დაუმატეთ ბრჭყვიალები (თეთრი და ლურჯი). ჩააწყვეთ პატარა ფიგურები. ათამაშეთ ბავშვები „თოვლში“.
- გააკეთეთ დიდი ყინულები (ვითომ აისბერგია); დიდ ჯამში ან სენსორულ მაგიდაში ჩაასხით წყალი და ჩადეთ აისბერგები, დაასვან ზედ პატარა პლასტმასის სათამაშოები: თეთრი დათვი, პინგვინი.

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა მოსწონთ ზამთარში? რატომ?
- რა ისწავლეს ახალი ზამთრის შესახებ?
- რითი განსხვავდება ზამთარი შემოდგომისგან?

2. იფიქრე თბილად

დილის წრე



- გაათბეთ ზამთრის დღეები თბილი აქტივობებით.
- სთხოვეთ ბავშვებს, წარმოიდგინონ, თითქოს თბილი ამინდებია. წაახალისეთ ისინი გაიხსენონ, რისი კეთება უყვართ ზაფხულის თბილ დღეებში. ჰკითხეთ, სად მიდიან და რას აკეთებენ ხოლმე ოჯახთან ერთად ზაფხულში.
- წაუკითხეთ ნაწყვეტი „პეპი გრძელიწინდადან“ (წიგნიერების დანართი 3-4 წ. „ზამთარი და შობა-ახალი წელი“; 3-4 წ.).

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს სახატავი ფურცლები და სთხოვეთ, შუაზე გადაკეცონ. გადაკეცილი ფურცლის გარეთა მხარეს დახატონ ღრუბელი. წაახალისეთ, შექმნან თავიანთი, ორიგინალური ღრუბელი. შემდეგ გამოჭრან ეს ღრუბელი და მიღებულ ორ ერთნაირ ღრუბელს (რადგან ფურცელი გადაკეცილი იყო) საკუთარი სახელი დააწერონ (ან წაუწერეთ). შეაგროვეთ ბავშვების ღრუბლები და აურიეთ. სთხოვეთ ბავშვებს, მოძებნონ წყვილები. ზოგი ამას ღრუბლის ფორმის მიხედვით მოახერხებს, ზოგიც – სახელების დაძებნით. შეახსენეთ, რომ ზოგჯერ იმის გასაგებად, მისი წყვილია თუ არა, ღრუბლების ერთმანეთზე მიდებაა საჭირო.
- სთხოვეთ ბავშვებს, გუაშებით დახატონ ქვეყანა, სადაც სულ თბილა. გამოიყენონ თბილი ფერები.
- აპლიკაციის საშუალებით, დიდ ფორმატზე გააკეთებინეთ ბავშვებს ზღვის სანაპიროს პანო. გამოიყენეთ ფერადი ქაღალდი, ქსოვილი, პოლიეთილენის პარკები და სხვა მასალა.
- მოიმარაგეთ ნიჟარები და კენჭები. დააწებებინეთ მუყაოზე და გააკეთებინეთ სხვადასხვა კომპოზიცია.

დრამატული



- ბავშვებთან ერთად გააკეთეთ სანაყინე „ზაფხულის მომხმარებლებისთვის“. აიღეთ მუყაოს ყუთი და ძირზე წრეები ამოჭერით (უფროსმა!). გადმოატრიალეთ ყუთი, ვითომ ნაყინების ჩასადებია. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დაახვიონ ყავისფერი ფურცლები, რომ ნაყინის კონუსები მიიღონ. ჩააწყვეთ ისინი ნაყინის ჩასადებში. მოიმარაგეთ ძაფის ბურთები (პომპონები), ვითომ ნაყინის ბურთებია და სხვა მასალა, რომელიც შეიძლება გამოადგეთ, მაგალითად, საფულეები, ნაყინის კოვზები, სუფთა ნაყინის კონტეინერები, სახატავი ფურცლები და ფანქრები. დაეხმარეთ შექმნან მენიუ, აბრა, ფული და სხვა.

წიგნიერება

- მოიმარაგეთ საგნები (ან ამ საგნების ფოტოები), რომლებსაც ზაფხულში ვიყენებთ (ქვიშაში სათამაშო ნიჩაბი და ფოცხი, წყლის სათვალე, მარაო), რომლებსაც ზამთარში ვიყენებთ (თოვლის ნიჩაბი, ხელთათმანები, პალტო) და რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში ვიყენებთ (საშაქრე, პირსახოცი, სათამაშო დათუნია). სთხოვეთ ბავშვებს, ზამთართან და ზაფხულთან დაკავშირებული საგნები გადაახარისხონ. ისაუბრეთ საგნებზე, რომლებიც საჭიროა სეზონის მიუხედავად. თითოეულ ბავშვს სთხოვეთ, აირჩიოს ორი საგანი და დაასახელოს ერთი მსგავსება და ერთიც განსხვავება.
- მოიმარაგეთ საგნები (ან მათი სურათები), რომლებსაც ვიყენებთ ზაფხულის და ზამთრის სპორტში (ზაფხულის: ფეხბურთის ბურთი, საცურაო კოსტიუმი, გორგოლაჭები; ზამთრის: ჰოკეის ქუდი, ბუტები, თხილამურები). ისაუბრეთ ამ საგნებზე და მათთან დაკავშირებულ სპორტზე. განიხილეთ მიზეზები, რატომ არის ზოგიერთი სპორტი სეზონური? ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებენ თავი აარიდონ ამ უხერხულობას. მაგალითად, ფიგურული სრიალი, სპეციალურად მომზადებულ დარბაზში, ზაფხულშიც არის შესაძლებელი, ცურვა, დახურულ აუზებში, ზამთარშიც შესაძლებელია.

სამაგიდო:



- მოიმარაგეთ თერთმეტი პლასტმასის ქოთანი და პერმანენტული მარკერით დანომრეთ 0-დან 11-მდე. ჩადეთ ქოთნებში მყარი ღრუბლები, პლასტელინები ან პენოპლასტი. მიეცით ბავშვებს სხვადასხვა ხელოვნური ყვავილი, ზოგი ერთი კვირტით და ზოგიც რამდენიმეთი. სთხოვეთ ბავშვებს, დათვალონ ყვავილებზე კვირტების რაოდენობა და შესაბამის ქოთანში „ჩარგონ“. აირჩიონ მეგობარი, რომელიც მათ ნამუშევარს გადაამოწმებს. შემდეგ ქოთნები კვირტების რაოდენობის მიხედვით დაალაგონ.

ეზოს აქტივობები

- დაეხმარეთ ბავშვებს პიკნიკისათვის თბილად ჩაიცვან. ჩაალაგეთ კალათში სასუსნავი და ხელსახოცები. ეზოში შეარჩიეთ შესაფერისი ადგილი და ძირს წყალგაუმტარი ნაჭერი დააფინეთ. ზემოდან თბილი გადასაფარებელი გადააფარეთ. თუ ძალიან ცივა, მაშინ პიკნიკი შეგიძლიათ საკლასო ოთახის იატაკზე მოაწყოთ.

მეცნიერება

- პენოპლასტის სინებიდან გამოჭერით თევზები, გველები და სხვა წყლის ცხოველები, ისინი წყალზე იტივტივებენ. მოიმარაგეთ საგნები, რომლებიც წყალში იძირება. მიეცით ბავშვებს საშუალება, ცდები ჩაატარონ. ყურადღება გაამახვილეთ ბავშვების აღმოჩენებზე. მოიმარაგეთ სათევზაო ბადეები და აბრები „ტივტივებს“, „არ ტივტივებს“. წაახალისეთ ბავშვები, ითევზაონ და ამოღებული საგნები შესაბამისი აბრის ქვეშ დააწყონ.

კულინარია



- მოიმარაგეთ ერთჯერადი ჭიქები და თითოეულს თითოეული ბავშვის სახელი დააწერეთ. მიეცით ბავშვებს ფორთოხლის ან ყურძნის წვენი და სთხოვეთ, ჩაასხან საკუთარ ჭიქაში.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, იხალისეს თუ არა შემოთავაზებული თემით?
- რა მოეწონათ ყველაზე მეტად?

3. შობა-ახალი წელი

დილის წრე

- იმღერეთ საშობაო სიმღერა.
- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა შობის შესახებ. წაახალისეთ ისინი. გიამბონ თავიანთი პირადი გამოცდილების შესახებ.
- ისაუბრეთ შობის და ახალი წლის შესახებ.
- სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ, რას ელიან შემდეგი წლისგან. ბავშვებმა თავიანთი სურვილები დაასახელონ. ჩამოწერეთ სურვილების სია და შეინახეთ კონვერტში
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა შობაა.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ნაძვის ხის ტოტები (15-30სმ.). სკოჩით ერთმანეთზე დაამაგრეთ. დაურიგეთ ბავშვებს, ასევე მიეცით სახატავი ფურცლები და თეფშზე დასხმული საღებავი. სთხოვეთ, ტოტები ფუნჯად გამოიყენონ და დახატონ ნახატი.
- დაამზადეთ საახალწლო ნახატების შაბლონები (დანართი 2.10.2). დაეხმარეთ ბავშვებს შაბლონები ფანჯარას მიადონ, უძრავად გააჩერონ და „თოვლი“ მიასხურონ.

მუსიკა და მოძრაობა

- თუ იატაკის ზედაპირი საშუალებას გვაძლევს, სთხოვეთ ბავშვებს, გაიხადონ ფეხსაცმელები, ჩართეთ მუსიკა და წარმოიდგინონ, რომ ციგურებით სრიალებენ. შემდეგ სთხოვეთ გასრიალდნენ ხალიჩაზე და გამოიტანონ დასკვნები.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ პატარა ქისები ზანზალაკების ჩასაწყობად. ჩანთებს 1-დან 5-მდე ციფრები დააწებეთ. ქისებში სხვადასხვა ზომისა და ჟღერადობის ზანზალაკები ჩააწყვეთ. სთხოვეთ, დააწყონ ისინი წონის მიხედვით, ყველაზე მსუბუქიდან – ყველაზე მძიმემდე, ასევე ჟღერადობის მიხედვით, ყველაზე მაღალი ხმის ზანზალაკიდან – დაბალი ხმის ზანზალაკამდე ან ციფრების მიხედვით.
- *საახალწლო ბინგო.* დანართის მიხედვით დაამზადეთ ბინგოს ბარათები, ასევე გამოჭერით წითელი წრეები და დაამზადეთ „ირმის ცხვირები“. სთხოვეთ ბავშვებს, დააწყონ „ირმის ცხვირები“ იმ ბარათებზე, რომლის ნახატსაც დაასახელებთ (დანართ 2.10.3.).

დრამატული



- მოიმარაგეთ პრიალა ქაღალდები, ფერადი ლენტები და ცარიელი ყუთები. მოაწყვეთ „საჩუქრების შემფუთველი პუნქტი“ და სთხოვეთ ბავშვებს, საჩუქრები შეფუთონ.

წიგნიერება

- წაახალისეთ ბავშვები, თოვლის ბაბუასთვის გასაგზავნი წერილი გიკარნახონ. მოამზადეთ წერილები ჩრდილოეთ პოლუსში გასაგზავნად (ბავშვებმა წერილები გააფორმონ).
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან („ზამთარი და შობა-ახალი წელი“; 3-4 წ.).
- წაუკითხეთ „ტოპო-ტიპი ახალ წელს ელოდება“. ესაუბრეთ სიკეთისა და სხვების დახმარების მნიშვნელობაზე.[1]

1 კასალისი ა. 2007. ტოპო-ტიპი ახალ წელს ხვდება. ქართ. ტექსტი: თ. მამულაშვილი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

- ესაუბრეთ საახალწლო ლექსიკაზე, ათამაშეთ სიტყვებით. ერთი ბავშვი ჩაიფიქრებს ახალ წელთან დაკავშირებულ სიტყვას. ეტყვის მეორე გუნდის წევრს. მეორე ცდილობს ერთი მინიშნებით აუხსნას თავის გუნდელს. მაგ. ჩაფიქრებულია: „ნაძვის ხის სათამაშო“. მინიშნება – „მას ნაძვის ხეზე კიდებენ“.

მეცნიერება

- გამოიცანი, რა უფრო მალე დაადნობს ყინულს (მარილი, შაქარი, თბილი წყალი, მარილიანი წყალი თუ არაფერი)? დადეთ პატარა ყინულის კუბები და ჩაატარეთ ცდა. გააკეთეთ შედეგების გრაფიკი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, თუ აქვთ ოჯახში რამე საშობაო ტრადიცია?
- რა გაიგეს ახალი შობა-ახალი წლის შესახებ?

4. საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოები

დილის წრე

- იმღერეთ და ამღერეთ რომელიმე სიმღერა ნაძვის ხეზე.
- ალაპარაკეთ, რა ხდება ახალ წელს, რა უხარიათ ყველაზე მეტად?
- ჰკითხეთ, თუ იციან, ვინ არის მეკვლე? რატომ არის მნიშვნელოვანი კარგი ადამიანის შემოსვლა ოჯახში? უთხარით, როგორ უნდა დაილოცონ, თუ ოჯახმა მეკვლეობის ფუნქცია დააკისრათ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი – ჩემი, კვალი – ანგელოზისა“. კეთილი ადამიანის შემოსვლა და დალოცვა რა კვალს ტოვებს, ის ხომ არ ჩანს? მათ თუ სჯერათ ამ ტრადიციის? გაახსენეთ, როგორ ხასიათზე დგებიან, როდესაც ოჯახში სასურველი სტუმრებია.
- ესაუბრეთ: ნაძვის ხე, რისი სიმბოლოა ის? როგორი ნაძვი მოსწონთ? (ვერცხლისფერი, მწვანე, ხელოვნური, ბუნებრივი) ისაუბრეთ თითოეულის უპირატესობაზე, ისაუბრეთ იმაზეც, რომ ორი კვირის გამო ნაძვი, ცოცხალი არსება, ცოდოა მოსაჭრელად. შესთავაზეთ ალტერნატიული ვარიანტი: ნაძვი შეიძლება იყოს ქოთანში და მერე დაირგოს ან შეიძლება მოირთოს ხელოვნური ნაძვი და კედელზე სიმბოლურად ერთი პატარა ტოტი გააფორმონ.
- რა არის ჩიჩილაკი? უთხარით, რომ ის ქართული ტრადიციაა, ნაძვი – საერთაშორისოა.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოებია.

ხელოვნება

- *საახალწლო ნაძვის ხის დამზადება დიდი ზომის მწვანე მაუდის ან ხავერდის ქსოვილისაგან.* დიდი ზომის მუყაო დაახვიეთ კონუსისებურად. დაამაგრეთ დიდი სტეპლერით. ზედ შემოახვიეთ დიდი მწვანე ხავერდის ან მაუდის ნაჭერი. ნაძვის ხე გამოიყენეთ ბავშვების მიერ დამზადებული სათამაშოების დასამაგრებლად.
- პატარა ზომის ბუშტების გამოყენებით, პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით დაამზადეთ ბავშვებთან ერთად ნაძვის ხის სათამაშოების ზომის ბურთები. გამოიყენეთ სხვადასხვა ტექნოლოგიები ბურთების გასაფორმებლად.
- წინასწარ დაახატვინეთ ბავშვებს ნახატები საახალწლო თემებზე, შემდეგ გამოაჭრევინეთ პატარა დეტალები და დააწებებინეთ ბურთებზე. დარჩენილი ადგილები გააფერადონ.
- მაუდის ნაჭრისგან გამოაჭრევინეთ ბავშვებს წინდები შაბლონის მიხედვით. გააფორმებინეთ მაუდის ნაჭრის აპლიკაციებით.

მოძრაობა



- ჩართეთ მხიარული მუსიკა, დაკუჭული ქაღალდებისგან გააკეთეთ გუნდები და „იგუნდავეთ“.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი – იპოვე 3 წყვილი ერთნაირი სათამაშო (დანართი 2.10.4.).
- სამუშაო ფურცელი – დაითვალე რამდენია და ცარიელ უჯრაში იმდენი წერტილი ჩასვი (დანართი 2.10.5.).
- გამოჭერი საახალწლო ორნამენტები და გააფერადეთ. (დანართი 2.10.6.)

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან („ზამთარი და შობა-ახალი წელი“; 3-4 წ.).
- ნაძვის ხის სათამაშოები ვედროში ჩადგით ტოტი, მიწა დააყარეთ, რომ გამყარდეს. სთხოვეთ ბავშვებს, თავიანთი (ხელოვნება) გაკეთებული სათამაშოები ხეზე სკრეპების გამოყენებით ჩამოკიდონ. წაახალისეთ ბავშვები, ზღაპარი მოიფიქრონ ამ ხის შესახებ. ყველამ თითო წინადადებით მაინც შეიტანოს წვლილი. ზღაპარი ჩაიწერეთ.

მეცნიერება

- ბავშვების თვალწინ ძველი ნაქსოვი ხელთათმანი დაარღვიეთ. ბავშვებმა ნახონ, რომ ის ერთი გრძელი ძაფისგან შედგება. მიეცით თითოეულ ბავშვს 20 სანტიმეტრის სიგრძის ძაფი და სთხოვეთ, დაშალონ. ისინი აღმოაჩენენ, რომ ძაფი შედგება უფრო წვრილი, მჭიდროდ დაგრეხილი ძაფებისგან. რაც უფრო მეტი ფენა ძაფია, მით უფრო თბილი გამოვა ამ ძაფისგან ნაქსოვი ხელთათმანი.
- სთხოვეთ ბავშვებს, შინიდან თავიანთი ხელთათმანები მოიტანონ (ყოველი შემთხვევისთვის იქონიეთ მეტობით). ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რაში ვიყენებთ მათ. ხელებს სიცივისგან ვიცავთ. აჩვენეთ ბავშვებს გაზქურის ხელთათმანი, ისაუბრეთ მათ დანიშნულებაზე – ხელებს ცხელი საგნებისგან ვიცავთ. ჰკითხეთ ბავშვებს, შეუძლიათ მათ ხელების სიცივისგან დაცვა? მიეცით თითოეულ ბავშვს გაზქურის ხელთათმანი, ყინული და ხელსახოცი. სთხოვეთ, ერთ ხელზე ხელთათმანი ჩამოიცვან და სცადონ, იმდენ ხანს დაიჭირონ ყინული თითოეული ხელით, რამდენ ხანსაც კომფორტული იქნება, შემდეგ ხელსახოცზე დადონ. რა დაკვირვება გააკეთეს? შეუძლია გაზქურის ხელთათმანს სიცივისგან დაცვა?

კულინარია



- ფხვიერი ნამცხვრებისაგან ააშენებინეთ ბავშვებს სახლების კონსტრუქცია და გააფორმებინეთ თეთრი მინანქრით.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა ისწავლეს სასარგებლო? გამოიყენებენ თუ არა ბაღში ნასწავლს შინ საახალწლო სამზადისისას?

5. თოვლის ბაბუა და საჩუქრები

დილის წრე



- გააფორმეთ მუყაოს დიდი ყუთი, როგორც საჩუქარი, შიგ იდოს სათამაშო თოვლის პაპა. შეფუთეთ და გაბანტეთ ისე, რომ ძირი ადვილად გაუხსნათ. დილის წრეში ბავშვებს ამ ყუთთან ერთად დახვდით.
- ათამაშეთ „რა საჩუქარი გსურს“. ბავშვი გამოდის და მხოლოდ თქვენ განდობთ, რა საახალწლო საჩუქარი ჩაიფიქრა. თქვენ ამას მის სახელთან ერთად წერთ საკანცელარიო პატარა ფერად ბარათზე. ბავშვები ცდილობენ გამოიცნონ, რა ჩაიფიქრა მეგობარმა. ასე გამოგყავთ თითოეული და ამოცნობილ სურვილებს ყუთს აწებებთ.
- უთხარით, რომ ყუთში ვილაც ზის. გამოიცნონ, ვინ შეიძლება იჯდეს საახალწლო საჩუქრების სურვილების ყუთში. ამოიღეთ სათამაშო თოვლის პაპა და უთხარით, რომ დღის თემაა: თოვლის პაპა და საჩუქრები.

ხელოვნება



- ჩაიწერეთ ბავშვების სურვილები ქაღალდზე და სთხოვეთ, გააფორმონ შესაბამისი ნახატებით. დაამზადებინეთ ბავშვებს ქაღალდის კონვერტები. დააწერეთ მისამართები ბავშვების კარნახით.
- თიხის ქოთნის თოვლის ბაბუა. შეიძლება გამოიყენოთ წაგრძელებული ან მომრგვალებული ფორმის ქოთანი. გადმოაბრუნეთ, შეაღებინეთ ბავშვებს თეთრად, შემდეგ წაუსვან წებო ემულსია და მოაყარონ მანანის ბურღული ისე, რომ დაიფაროს ზედაპირი, დაუმაგრონ მარცვლის თვალები, ცხვირ-პირი და ხელები ფერადი ქაღალდისაგან.
- მოიმარაგეთ დიდი ზომის გირჩები, ბამბა, წებო ემულსია და პლასტელინი. დაუმაგრეთ გირჩს თვალები და ცხვირი პლასტელინისგან და წვერები ბამბისგან. გაუკეთეთ ფეხები პატარა ტოტებით.
- დაგჭირდებათ ცარიელი მინის ქილები, ქვამარილი და ფერადი წვიმები. სთხოვეთ ბავშვებს, შეურიონ ქვამარილს წვიმები და ჩაყარონ ქილაში. დაახურეთ თავსახური მჭიდროდ და გადმოატრიალეთ. დაამაგრებინეთ ქილაზე მოძრავი თვალები, ქაღალდისგან გამოჭრილი სტაფილოს ფორმის ცხვირი, პირი, ღილები და ხელები.
- მოიმარაგეთ ფერადი სქელი ქაღალდი და მაუდი. დაამზადებინეთ ბავშვებს მისალოცი ბარათები. აპლიკაციების საშუალებით გააფორმეთ მისალოცები საახალწლო თემებზე: ნაძვის ხე, სათამაშო, საჩუქარი, თოვლის ბაბუა და ა.შ

დრამატული



- მაღაზიობანა. ბავშვებმა მაღაზიაში უნდა შეარჩიონ საახალწლო საჩუქრები ახლობლებისთვის, ზოგი გამყიდველია, ზოგიც – მყიდველი. გამოიყენეთ მუყაოს ყუთები და შესაფუთი ქაღალდი. შეაფუთინეთ და გააფორმებინეთ მუყაოს ყუთები საახალწლო საჩუქრების ჩასაწყობად;

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი – რომელი ყუთი რომელი საჩუქრისაა (დანართი 2.1„0.7.).
- სამუშაო ფურცელი – აჩვენე სანტას გზა სახლამდე (დანართი 2.10.8.).

წიგნიერება

- ისაუბრეთ, რატომ ზეიმობენ ახალ წელს? რა არის იმედი. აღწერონ როგორი უნდა იყოს კეთილი წელიწადი? თავად რას მოელიან ახალი წლისგან? როგორი საჩუქარი უნდათ? იქნებ დიდებისთვის თვითონაც გაეკეთებინათ საჩუქარი (ნახატი, მისალოცი).
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.
- წაახალისეთ ბავშვები, თოვლის ბაბუისთვის გასაგზავნი წერილი გიკარნახონ. მოამზადეთ წერილები ჩრდილოეთ პოლუსზე გასაგზავნად (ბავშვებმა გააფორმონ).
- იქონიეთ ქართველი თოვლის ბაბუის და სანტა კლაუსის სურათები. აჩვენეთ ბავშვებს. სთხოვეთ და მიეხმარეთ, აღწერონ მათი გარეგნობა. რა აქვთ საერთო და რა განსხვავებული? ყურადღება გაამახვილეთ სიტყვებზე: „ჩოხა,“ „ქურქი,“ „ხურჯინი,“ „გუდა,“ „მარხილი,“ „ტომარა.“

მეცნიერება

- ჰკითხეთ ბავშვებს, სად უფრო მალე დადნება ყინული, შიშველ ხელზე თუ ხელთათმანზე. შემდეგ ჩაატარეთ ცდა.

კულინარია



- წინასწარ მოიმარაგეთ დანაწევრებული თხილი, შოკოლადი, კარამელი. სთხოვეთ ბავშვებს, აურიონ ყველაფერი ერთმანეთში და გააკეთონ პატარა გუნდები. ჩააწყონ სპეციალურ ქაღალდის ფორმებში ან ამოავლონ ფერად ქოქოსში.

საღამოს წრე

- მიეცით საშუალება, ისაუბრონ თოვლის პაპაზე. მოყვნენ ისტორიები თოვლის პაპასთან დაკავშირებით.
- რა ფილმები, მულტფილმები უნახავთ?

6. საახალწლო დეკორაციები

დილის წრე

- დილის წრესთან ჩამოკიდეთ საახალწლო გირლანდა.
- აჩვენეთ საახალწლოდ გაფორმებული სახლების, მაღაზიების, ქუჩების სურათები. ჰკითხეთ, ნაძვის ხის გარდა რა მორთულობები მიანიშნებს იმაზე, რომ ახალი წელია.
- ალაპარაკეთ, როგორ ისურვებდნენ მოერთოთ საკუთარი სახლი.
- უთხარით დღის თემა.

ხელოვნება



- წინასწარ დაამაგრეთ ხის ჩხირები ერთმანეთზე ისე, რომ მიიღოთ ფიფქის ფორმა: წებოს, ძაფის ან მავთულის მეშვეობით. სთხოვეთ ბავშვებს, წაუსვან ვერცხლისფერი აკრილის საღებავი და ამოავლონ დაქუცმაცებულ პენოპლასტში.
- დაურიგეთ ბავშვებს პატარა ზომის გაშლილი გირჩები და ოქროსფერი აკრილის საღებავი ან ბრჭყვიალა წებო და პატარა ზომის ბრჭყვიალა ფორმები და ბისერები. სთხოვეთ, გირჩების ბოლოები შეღებონ საღებავით და გააფორმონ დარიგებული დეკორატიული ელემენტებით. გამშრალი გირჩები შეგიძლიათ შემოუწყოთ ფართო დეკორატიულ სანთელს ან უბრალოდ დააწყოთ ფართო თეფშზე.
- მოიმარაგეთ ფორთოხალი და მანდარინი, მიხაკის ღეროები. სთხოვეთ ბავშვებს, ჩაარჭონ მიხაკის ღეროები ციტრუსებს, დააყარონ ბრჭყვიალები, დაეხმარეთ ბავშვებს, შემოახვიონ ლენტები და ჩამოკიდონ სურნელოვანი ბურთები.
- მოიმარაგეთ კაკლები, შეაღებინეთ ბავშვებს ოქროსფერი საღებავით, შემდეგ კი წვრილი თოკით გამონასკვეთ თითოეული და გადააბით ერთმანეთს.

წიგნიერება

- ისაუბრეთ საახალწლო სუფრაზე. რა უყვართ ყველაზე მეტად? თუ უჭამიათ გოზინაყი სხვა დროს? რით შეიძლება დაეხმარონ უფროსებს საახალწლო სამზადისის დროს?
- ისაუბრეთ, რა წესების დაცვაა საჭირო ფეიერვერკების და მაშხალების გაშვების დროს.
- ისაუბრეთ კალენდარზე, რომ წლებს ქრისტეს დაბადებიდან ვითვლით.
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან („ზამთარი და შობა-ახალი წელი“; 3-4 წ.).

სამაგიდო



- დანართიდან ამოჭერით ნამცხვრები. სთხოვეთ ბავშვებს, იმდენი ნამცხვარი ჩადოს დახატულ ქილაში, რამდენი რიცხვიც აწერია (დანართი 2.10.9).
- წინასწარ ამოჭერით სხვადასხვა ფორმის ნაძვის ხის სათამაშოები და ბავშვებს დააწებებინეთ შესაბამის ადგილას (დანართი 2.10.10.).

კულინარია



- მოიმარაგეთ პატარა კექსები, პლასტმასის დანები, შაქრის ჭიქურა, ნამცხვრის მოსართავი ფერადი ჩხირები, დაბადების დღის სანთლები. დაურიგეთ ბავშვებს და მიეცით საშუალება, თითომ თითო პატარა კექსი მორთოს, შემდეგ ჩაარჭონ სანთლები და ყველამ ერთად ჩააქროს.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა ისწავლეს ყველაზე საინტერესო შობა-ახალ წელთან დაკავშირებით?
- რა უხარიათ ახალ წელს ყველაზე მეტად?

ფორმები

1. წრე და ოვალი
2. მართკუთხედი და კვადრატი
3. მრავალკუთხედები (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ხუთკუთხედი, ექვსკუთხედი, რვაკუთხედი)
4. სამკუთხედი, რომბი და ტრაპეცია;

საერთო აქტივობები

სამაგიდო



- 6/7 ცალი შპადელი ან ნაყინის ჯოხი მჭიდროდ დაალაგეთ. დააკარით ლეიკო ან სკოჩი, რომ შტაბელებმა არ იმოძრაოს. მეორე მხარეს დაადეთ წინასწარ გამოჭრილი ფორმის შესაბამისი ტრაფარეტი. შემოხაზეთ მუქი მარკერით; ფორმა ფერადი მარკერით გააფერადეთ. მოხსენით ლეიკო. სთხოვეთ ბავშვებს დახატული ფორმა აღადგინონ.



- ამობეჭდეთ დღის ფორმის შესაბამისი (დანართი 2.11.1.) და სთხოვეთ ბავშვებს, წერტილები შეაერთონ და გააფერადონ.
- სხვადასხვა ფორმები სხვადასხვა პოზიციაშია გამოსახული. ჰკითხეთ ბავშვს, რომელი ფერის ფორმაა შუაში? რომელია შუა ფორმის ზევით/ქვევით (დანართი 2.11.2.).
- სქელი მუყაოს დააწებეთ ნაჭერი. გამოჭერით დღის ფორმები. ფორმა გარშემო დახვრიტეთ. სთხოვეთ ბავშვებს, გაუყარონ გრძელი თასმა.



- ამუშავეთ ბავშვები სამუშაო ფურცელზე – სხვადასხვა ფორმის ტომრისთვის შესაბამისი საგნის პოვნა (დანართი 2.11.3.).
- წერტილებით დახატეთ ფერად ფურცლებზე სხვადასხვა ზომის დღის ფორმები (მაგ. წრე); სთხოვეთ

ბავშვებს, შეაერთონ წერტილები შესაბამისი ფორმის მისაღებად. შემდეგ გამოჭრან სხვადასხვა ზომის ფორმები; ჯერ ყველაზე დიდი ფორმა დადეთ, შემდეგ სთხოვეთ, უფრო და უფრო პატარა ზომის ფორმები დააწებონ (დანართი 2.11.4.).

- ბავშვებმა ყოველდღე გამოჭრან თითო დღის ფორმა და დააკრან ფურცელზე. კვირის ბოლოს აკინძეთ ფორმების წიგნი, ყდაზე ბავშვის სახელი და გვარი დააწერეთ.
- დღის ფორმები დახატეთ ცალკეულ ფურცლებზე. გაუკეთეთ ლამინირება. სთხოვეთ ბავშვებს, ამ ფორმებზე პლასტელინი ან ცომი ზევიდან ისე დააწებონ, რომ იგივე ფორმა მიიღონ.
- *სივრცითი აღქმა.* აიღეთ ორი სხვადასხვა ფერის თაბახის ფურცელი და სიგრძეზე გაჭერით. კიდეზე სიგრძეზე დაახატეთ გეომეტრიული ფიგურები: ოთხკუთხედი, სამკუთხედი, წრე. სთხოვეთ ბავშვებს. ამოჭრან ეს ფიგურები. შემდეგ სხვადასხვა ფერის გაჭრილი თაბახები ერთმანეთის გვერდით ერთ დიდ თაბახზე დაამაგრეთ და სთხოვეთ ბავშვებს, ამოჭრილი ფიგურები სარკისებურად შეუსაბამონ ერთმანეთს.



1. წრე და ოვალი

დილის წრე



- გამოიყენეთ იზოლენტა და გააკეთეთ იატაკზე დიდი ოვალი. სთხოვეთ ბავშვებს, დასხდნენ ამ ოვალზე.
- გაბერეთ საპნის ბუშტი. სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ რა ფორმისაა გაბერვისას ბუშტი? (ოვალური). გააბერინეთ სათითაოდ.
- სთხოვეთ ბავშვებს, წამოდგნენ და ერთმანეთს ხელები ჩაკიდონ. დააკვირდნენ ფორმას, რომელიც მათ შექმნეს. ჰკითხეთ, იციან თუ არა ამ ფორმის სახელი. ისინი გიპასუხებენ, რომ ეს არის წრე. შემდეგ უთხარით, რომ ახლა შექმნიან ფორმას, რომელიც წრეს ჰგავს, მაგრამ წრე არ არის. დაეხმარეთ წრეს ოვალის ფორმა მისცენ. აუხსენით, რომ ოვალი არის ფორმა, რომელიც ჰგავს წრეს, რადგან ისიც მომრგვალებული ხაზებისაგან შედგება, არც გვერდები აქვს და არც კუთხეები, ის განსხვავდება წრისაგან იმით, რომ ოდნავ წაგრძელებულია.
- აჩვენეთ კოსმოსის, მზის სისტემის ფოტო. იქ სულ ოვალები და წრეებია. უთხარით, რომ ყველა მათ-

განი ბრუნავს. ბრუნვა გადაადგილების ყველაზე იოლი ფორმაა. უთხარით, რომ ბორბალი დღემდე რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენად კაცობრიობის ისტორიაში. ჰკითხეთ, როგორი იქნებოდა ცხოვრება, ბორბალი რომ არ გვქონდეს? როგორ ივლიდა მანქანა ოთხკუთხედი ბორბლებით. დასხით სკამებზე და გააკეთებინეთ იმიტაცია, ვითომ ასეთ მანქანაში სხედან. (ყველა გადაბრუნებაზე მკვეთრად შეხტნენ).

- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა წრე და ოვალია.

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს ცომი და სთხოვეთ, წაგრძელებული ფორმა მისცენ. ბოლოები შეაერთონ, ჯერ გააკეთონ წრე და შემდეგ ოვალი.
- აპლიკაცია: „პანდა“ წრეების გამოყენებით; სთხოვეთ ბავშვებს შავი და თეთრი ფურცლებისგან გამოჭრან წრეები და ოვალები. შემდეგ მიღებული წრეებით შეასრულონ აპლიკაცია ისე, რომ მიიღონ პანდას გამოსახულება. შეგიძლიათ, გამოიყენოთ პანდას სურათის ნიმუში (დანართი 2.11.5.).

- მუყაოს ხურდა ფულის დამზადება; გამოიყენეთ მრგვალი ფორმის რაიმე ნივთი (მაგ. ბოთლის თავსახური, პატარა ზომის ჭიქა და ა.შ) და სთხოვეთ ბავშვებს, მისი დახმარებით შემოხაზონ მუყაოს ნაჭერზე წრე. წრე გამოჭრან და შეღებონ გუაშის საღებავით, ჯერ ერთი და შემდეგ მეორე მხრიდან. გამშრალ წრეზე ბავშვებმა ნიმუშის მიხედვით უნდა გადაწერონ ციფრები შავი ფლომასტერით.
- აპლიკაცია ქსოვილებით: „დათუნია“ (წრეების გამოყენებით); მოიმარაგეთ ყავისფერი რბილი ან ხაოიანი ქსოვილი. სთხოვეთ ბავშვებს, გადაიტანონ მრგვალი ფორმის თარგი ნაჭერზე პასტელის ან ცარცის გამოყენებით, შემდეგ გამოჭრან და დააწებონ მუყაოზე ისე, რომ მიიღონ დათვის ფორმა. თვალების გასაკეთებლად გამოიყენეთ ღილები ან ფანქრით დაახატეთ.
- *„თაგვი“ ოვალების გამოყენებით.* სთხოვეთ ბავშვებს, პლასტელინისაგან დაამზადონ სხვადასხვა ზომის ოვალური ფორმები, რაც იქნება თაგვის სხეულის ნაწილები (თავი, ტანი, თათები). ფორმების ერთმანეთზე დამაგრებით მიიღონ თაგვის ფიგურა.

- *თიხისგან სხვადასხვა ფორმის მედალიონების დამზადება და მოხატვა.* თიხის მასა გააბრტყელეთ და საჭრელი ფორმებით გამოაჭრევინეთ ბავშვებს წრე, ოვალი და სხვა სასურველი ფორმები. ხის ჩხირის მეშვეობით გაახვრეტინეთ ბავშვებს ფორმები ზედა ნაწილში, რათა შემდეგ შეძლოთ თასმის გაყრა. გაშრობის შემდეგ ფორმები შეიძლება შეიღებოს და მოიხატოს გუაშის ან აკრილის საღებავით. შემდეგ გაუყარონ ფერადი ლენტები ან თასმები.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, 1 სმ. სიგრძის ნაწილებად დაჭრილი საწრუპი ჩხირებისაგან მძივი აცვან. ძაფის ბოლოს იზოლენტა შემოახვიეთ, რომ ბავშვებს აცმა გაუადვილდეთ. როდესაც მძივის დამზადებას დაასრულებენ, სთხოვეთ, მაგიდაზე წრის ფორმა მისცენ და შემდეგ ოვალად გადააკეთონ. რა ფორმისაა მძივი, როდესაც კისერზე ვიკიდებთ?

წიგნიერება

- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ „სავსე და ნამგალა მთვარე“. მიეხმარეთ თავადაც შეთხზან ზღაპარი რამე მრგვალზე. მაგალითად, როგორ გადაიქცა ფეხბურთის ბურთი რაგბის ბურთად ან ნამცხვარზე, რომელიც ვიღაცამ შეჭამა და გახდა ნახევარწრე, მერე მაინც ლამაზად მორთეს და ა.შ.

საღამოს წრე

- შეაჯამეთ, რა გაიგეს წრეზე და ოვალზე.
- დაასახელონ, რაც შეიძლება მეტი საგანი, რომელსაც წრის ან ოვალის ფორმა აქვს (მიეხმარეთ მინიშ-

ნებებით).

- დაავალეთ, გზად სახლისკენ ქუჩაში მოძებნონ და დაიმახსოვრონ საგნები, რომელსაც წრის ან ოვალის ფორმა ექნება.

2. მართკუთხედი და კვადრატი

დილის წრე

- ისაუბრეთ მართკუთხედის ფორმაზე. აჩვენეთ ისეთი ფორმის მართკუთხედი, რომელსაც შესამჩნევად განსხვავებული გვერდები აქვს. აუხსენით რომ მართკუთხედი არის ფორმა, რომელსაც ოთხი კუთხე და ოთხი გვერდი აქვს. ტოლია ყველა გვერდი? რომელი გვერდებია ტოლი?
- ასევე არსებობს ოთხკუთხა ფორმა, რომელსაც ოთხივე გვერდი ტოლი აქვს. ეს კვადრატია.
- აიღეთ დიდი ზომის ფერადი მუყაოს კვადრატი. შუაზე გადაკეცეთ. რა ფორმა მიიღეთ – მართკუთხედი? ახლა მართკუთხედი გადაკეცეთ და მიიღებთ ისევ კვადრატს.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ კვადრატის და მართკუთხედის ფორმის ტრაფარეტები და წაახალისეთ ბავშვები, მათი გამოყენებით შექმნან კომპოზიცია.
- სხვადასხვა ფორმისა და ზომის კვადრატებით რობოტის ფიგურის აწყობა; ვერცხლისფერი ქაღალდისგან წინასწარ გამოჭერით ან ბავშვებს გამოაჭრევინეთ სხვადასხვა ზომის კვადრატები. სთხოვეთ ბავშვებს, კვადრატები გაანაწილონ და დააწებონ ფურცელზე ისე, რომ მიიღონ რობოტის ფიგურა. დეტალები დაუხატონ ფანქრით ან გამოიყენონ სხვადასხვა მასალა გასაფორმებლად (ღილი, ზამბარა და სხვა).



- *სურათის ჩარჩოების დამზადება და სხვადასხვა ფორმების დაწებება.* A4 ზომის ფორმატზე გადაიტანეთ ნახაზი ნიმუშის მიხედვით, სთხოვეთ ბავშვებს, ამოჭრან და გადაკეცონ ნახაზი მონიშნულ ხაზებზე. მიღებული ჩარჩოს ფორმა ბავშვებს შეუძლიათ გააფორმონ აპლიკაციით ან ნახატებით (დანართი 2.11.6.).



- *სხვადასხვა ფორმის სავიზიტო ბარათების დამზადება.* სთხოვეთ ბავშვებს, სხვადასხვა ფერის ქაღალდისაგან გამოჭრან შესწავლილი ფორმები.ნიმუშის მიხედვით გადაწერონ ფორმებზე საკუთარი სახელები და გააფორმონ ნახატებით.

სამაგიდო



- „ქაღალდის ხალიჩა“ სთხოვეთ ბავშვებს, ორი ფერის ქაღალდი დაჭრან სიგრძეზე ზოლებად, შემდეგ ნიმუშის მიხედვით ხალიჩა დაწნან.



- ამოჭრილი ფორმების დაწყობა სიდიდის მიხედვით. წინასწარ ამოჭერით სხვადასხვა ზომის ფორმები, სთხოვეთ ბავშვებს, ფურცელზე ზრდის მიხედვით დააწებონ ერთი სახეობის ფორმები.

წიგნიერება

- წაუკითხეთ „კვადრატი და მართკუთხედი“ (წიგნიერების დანართიდან). დახატონ, როგორი იყო გაჭრამდე ცარიელი ბისკვიტი და გვერდზე დაუხატონ ორი გაჭრილი, რომლებსაც ტორტივით მოხატავენ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა გაიგეს მართკუთხედისა და ოთხკუთხედის შესახებ.
- ჩამოათვლევინეთ, ამ ფორმის რა საგნები ხვდებათ.

3. მრავალკუთხედები
(სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ხუთკუთხედი, ექვსკუთხედი, რვაკუთხედი)

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ არსებობს ფორმები, რომელთაც სხვადასხვა რაოდენობის კუთხე აქვს.
- ისევ ახსენით რა არის კუთხე. აჩვენეთ თავიანთი სხეულით როგორ შექმნან კუთხე. ჰკითხეთ, ადამიანში სიმრგვალე მეტია თუ კუთხე? რას დაემსგავსებოდა ადამიანი, სიმრგვალე რომ არ ჰქონდეს? რობოტს.
- აჩვენეთ ბავშვებს ეს ფორმები და დაათვლევინეთ კუთხეები.
- უთხარით, რომ დღის თემა მრავალკუთხედებია.
- მოიმარაგეთ ფორმები: წრე, ოვალი, კვადრატი, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ხუთკუთხედი, ექვსკუთხედი. ბავშვებს მინიშნებებით აუწერეთ ფორმა და სთხოვეთ, გამოიცნონ რა ფორმა გიჭირავთ. მაგ. მრგვალია, კუთხე არა აქვს. სამი კუთხე აქვს. წრეს ჰგავს, მაგრამ წრე არ არის, უფრო გაწელილია. ხუთი კუთხე და გვერდი აქვს. ყველა გვერდი ერთი ზომის აქვს და ოთხი კუთხე აქვს. ეს თამაში სახალისოდ უნდა წარმართოთ. არ შეაფასოთ ბავშვები თუ ვერ გამოიცნობენ, გამოცნობის შემთხვევაში – წაახალისეთ. ვისაც უჭირს გამოცნობა, ეცადეთ ის ფორმა გამოაცნობინოთ, რომელსაც, თქვენი აზრით, დაძლევს.

ხელოვნება



- *აპლიკაცია: „სახლი“ ოთხკუთხედების გამოყენებით.* წინასწარ გამოჭერით ან ბავშვებს გამოაჭრევინეთ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ოთხკუთხები, დაურიგეთ ბავშვებს, სთხოვეთ, ააწყონ და დააწებონ ფურცელზე აპლიკაცია „სახლი.“
- *სხვადასხვა ფორმებით გვირგვინების დამზადება.* მუყაოსგან წინასწარ გამოჭერით ბავშვების თავის გარშემოწერილობის ზომის ზოლები. სთხოვეთ ბავშვებს, შეაერთონ ზოლები, გამოჭრან სხვადასხვა ფორმები: წრეები,სამკუთხედები რომბები ან სხვა და დააწებონ ლენტებს სხვადასხვა ფორმის გვირგვინის მისაღებად. გვირგვინები მოირგონ თავზე.
- *სხვადასხვა ფორმების გამოყენებით ქაღალდის ფრანის დამზადება.* მოიმარაგეთ ხის ბრტყელი ჩხირები, „კრეპის“ ან „ჟატის“ ქაღალდი ან თხელი ქსოვილი, წებო „ემულსია“. სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ ჩხირები ერთმანეთს ისე, რომ მიიღონ რომელიმე ფორმის ჩარჩო: რომბი, სამკუთხედი ან ოთხკუთხედი. მოაბით ფორმას გრძელი თოკი. დაეხმარეთ ბავშვებს გამოჭრან „კრეპის“ ან „ჟატის“ ქაღალდის, ან თხელი ნაჭრისაგან დიდი ფორმები და დააწებონ ჩხირებით შეკრულ ჩარჩოებს.
- თეთრ ფორმატზე დაასხით გუაშის საღებავი და სთხოვეთ ბავშვებს, რომ საწრუპით შეუბერონ სხვადასხვა მიმართულებით.

მოძრაობა



- *მრავალკუთხედები. „რამდენკუთხედა ბოსტანი მაქვს?“ მოიმარაგეთ* ტოტები და გრძელი, ფერადი კანაფის, თოკის ან გადაბმული ნაჭრების კოჭი. დაურიგეთ ბავშვებს თითო ტოტი, სულ იმდენი, რამდენი კუთხეც გინდათ რომ გამოვიდეს და სთხოვეთ, მყარად ჩაარჭონ რბილ მიწაში. შემდეგ მიეცით ერთ ბავშვს კოჭი და სთხოვეთ, შემოურბინოს ჩარჭობილ ტოტებს და თან გამოუშვას კანაფი – შემოღობოს ბოსტანი. რამდენიმე შემორბენით ნათლად გამოჩნდება რა ფორმა გამოვიდა. დაასახელეთ ფიგურა, დათვალეთ კუთხეები, დაადებინეთ თითი კუთხეებს. გაიმეორეთ თამაში სხვადასხვა რაოდენობის ტოტებით (ეზოს თამაში).

სამაგიდო



- გამოიყენეთ სამუშაო ფურცლები – სხვადასხვა ზომის სამკუთხედების მორგება, შესაბამისი ზომის ოთხკუთხედებზე, ხუთკუთხედებზე, ექვსკუთხედებზე, რვაკუთხედებზე (დანართი 2.11.7.).
- გამოიყენეთ სამუშაო ფურცლები – არეული ფორმების კონტურებში ფორმის პოვნა და გაფერადება (დანართი 72.11.8.).
- ნიმუშის მიხედვით რომბების, ტრაპეციისა და სამკუთხედებისგან კუს, პეპელას გაკეთება.





წიგნიერება

- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ: „წუნას სოროს ამბავი“. ადამიანის საცხოვრებელი სახლის ოთახები ძირითადად ოთხკუთხედია. დახატონ ექვსკუთხედი ოთახი, ასწავლეთ, რომ ერთ კედელში გაუკეთონ ნიშა. რაში გამოიყენებდნენ? მოაწყობდნენ სათამაშო კუთხეს, დაიდგმებოდა უზარმაზარი კარადა, რომელიც მშვენიერი იქნებოდა დახუჭობანას სათამაშოდ.

საღამოს წრე

- რა გაიგეს მრავალკუთხედების შესახებ?
- როგორი ფორმის მაგიდა მოსწონთ, მრგვალი თუ ოთხკუთხედი?

4. სამკუთხედი, რომბი და ტრაპეცია

დილის წრე

- აჩვენეთ ბავშვებს რომბი და უთხარით, რა ჰქვია ამ ფორმას. ჰკითხეთ, როგორ შეიძლება რომბიდან მივიღოთ სამკუთხედი? გადაკეცეთ რომბი და აჩვენეთ სამკუთხედი. მაკრატლით მოაჭერით სამკუთხედს ერთი წვერო. უთხარით რომ ამ ოთხკუთხედს ტრაპეცია ჰქვია.

ხელოვნება

- *სხვადასხვა მარტივი ორნამენტების გადახატვა და დაფერვა.* აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვანაირი მარტივი ორნამენტის ნიმუში და სთხოვეთ მათ, შეძლებისდაგვარად გადაიხატონ ან შექმნან საკუთარი ორნამენტი (დანართი 2.11.9.).
- *ჩამოსაკიდი მოძრავი ფორმების დამზადება.* დაურიგეთ ბავშვებს თხელი მუყაო,

სთხოვეთ, შემოხაზონ სასურველი ფორმა, ამოჭრან და შეღებონ სხვადასხვა ფერის გუაშებით. გააფორმონ ბრჭყვიალა წებოთი ან საღებავით. მაკრატლით ამოუჭერით დასაკიდებლები, ბავშვებმა უნდა გაუყარონ თასმები და დაკიდონ გადაჯვარედინებულ ჯოხებზე.

- *სხვადასხვა ფორმის შტამპის დამზადება.* მოიმარაგეთ მასალა, რომლის გამოყენებითაც გინდათ დაამზადოთ შტამპები, ეს შეიძლება იყოს მუყაო, ღრუბელი, ქსოვილი, საშლელი, პენოპლასტი ან სხვა. სთხოვეთ ბავშვებს, შემოხაზონ სასურველ მასალაზე ფორმები, დაეხმარეთ მათ ამ ფორმების გამოჭრაში. თუ კი მასალა თხელია, მაგალითად, ნაჭერი, დააწებეთ მუყაოს რამდენიმე ფენა ერთმანეთს და შემდეგ დააწებეთ ნაჭერი.
- *კოლაჟი: „ჭრელი ფიგურები“.* სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ თეთრი ფურცლები სხვადასხვა ფერის გამოყენებით, გაშრობის შემდეგ დაადონ ფურცელს სხვადასხვა ფორმის ყალიბები და შემოხაზონ, შემდეგ გამოჭრან. ყველა ჭრელი ფორმა დააწებონ ერთ დიდ ფორმატზე.

მოძრაობა:



- მოიმარაგეთ ფერადი ცარცები. დახატეთ ცარცით ეზოში ბევრი გეომეტრიული ფიგურა, მათ შორის დატოვეთ პატარა სივრცე. გააფერადებინეთ ბავშვებს ფორმები თავისი სურვილისამებრ. შემდეგ აარჩევინეთ ის ფორმა, რომელიც ყველაზე ძალიან მოსწონთ და სთხოვეთ, იხტუნაონ არჩეულ ფორმებზე.
- მეორე ვარიანტი – ყველა თავის ფორმაზე დგას, თქვენ კი სთხოვთ:
  ახტნენ სამკუთხედები;
  ჩაიკუზონ ოთხკუთხედები;
  ცალ ფეხზე დადგნენ წრეები
  და ა.შ.

სამაგიდო



- დაურიგეთ წინასწარ გამოჭრილი ტოლგვერდა სამკუთხედები, სთხოვეთ ბავშვებს მოაჭრან ერთი წვერო, რომ მიიღონ ტრაპეცია; ჩააწებონ ტრაპეცია თავიანთ „ფორმების წიგნში“
- ათამაშეთ ფორმების „ლოტო“ სამკუთხედის, ტრაპეციის, რომბის, ოვალის, წრის, ხუთკუთხედის, რვაკუთხედის, კვადრატის, მართკუთხედის გამოყენებით და დაასახელებინეთ (დანართი 2.11.10.).
- გააზომინეთ ფორმები სხვადასხვა საშუალებებით, მაგ. თოკით, ქაღალდის ზონრით, პატარა კუბებით.
- აპოვნინეთ და გამოაჭრევინეთ ერთნაირი ფორმები სამუშაო ფურცლებისგან (დანართი 2.11.11.).
- ნახატის დახატვა მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. ბავშვებმა გააკეთონ არჩევანი, რომელი ფორმით უნდათ ხატვა.
- გამოიყენეთ სამუშაო ფურცლები – კანონზომიერების გაგრძელება (დანართი 2.11.12.).

საღამოს წრე

- შეაჯამეთ დღეს ნასწავლი ფორმები: რომბი, ტრაპეცია, სამკუთხედი.
- ჩამოათვლევინეთ ამ ფორმის საგნები (მიეხმარეთ მინიშნებებით). ჩამოწერეთ.
- ჩამოწერილი სიტყვები წაუკითხეთ და თითოეულ მათგანზე შეეკითხეთ, ის ბუნებაში თავისთავად გაჩნდა თუ ადამიანის შექმნილია. შეადარეთ, რომელი მეტი გამოგვივიდათ.

შეგრძნებები

1. თვალი და მხედველობა
2. ყური და სმენა
3. ცხვირი და ყნოსვა
4. პირი და გემო
5. კანი და შეხება

წინასწარ მოიმარაგეთ ყურის, თვალის, ცხვირის, ენის, ხელის ლამინირებული სურათი ან დიაგრამა (დანართი 2.12.1.).

1. თვალი და მხედველობა

დილის წრე



- ჰკითხეთ ბავშვებს, რისთვის ვიყენებთ თვალებს?
- აღწერეთ წინასწარ შერჩეული საგანი, მაგ. წიგნი ან თოჯინა, რომელიც ზურგს უკან გექნებათ დამალული. გამოიცნობენ თუ არა ბავშვები აღწერილ საგანს დანახვის გარეშე? განიხილეთ, რამდენად რთულია საგნის ამოცნობა დანახვის გარეშე, ამის შემდეგ აჩვენეთ დამალული საგანი.
- შესთავაზეთ ბავშვებს, ცოტა ხანი თვალდახუჭულებმა ითამაშონ.
- ისაუბრეთ თვალების მოვლის შესახებ, როგორ უნდა დავიბანოთ? რა მოხდება თუ მზეს პირდაპირ შევხედავთ? როგორ ეხმარება სათვალეები ჩვენს თვალებს? რატომაა აუცილებელი კარგი განათება?
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა თვალი და მხედველობაა.

ხელოვნება

- დაახატვინეთ ბავშვებს სახე.
- მოიმარაგეთ ფერადი ქსოვილები და პასტელი. აუხვიეთ ბავშვებს თვალები და სთხოვეთ რამე დახატონ.

მოძრაობა



- მიზანში სროლა. წინასწარ მოიმარაგეთ ღრუბლის ნაჭრები, დაასველეთ და ჩადეთ ჯამში. ფორმატზე დახატეთ სამიზნე ილუსტრაციის მიხედვით. სთხოვეთ, სველი ღრუბელი მიზანში მოარტყან. მიაქცევინეთ ყურადღება ღრუბლის ანაბეჭდზე.



- პირველი გათამაშებისას მასწავლებელი, შემდეგ კი რომელიმე ბავშვი თვალებზე იხვევს ნაჭერს. ერთი ბავშვი უკრავს ტაშს, მასწავლებელი მიდის იქით, საიდანაც ისმის ტაშის ხმა და ცდილობს ხელი მოკიდოს ტაშის დამკვრელს. შემდეგ იცვლებიან.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ე.წ. სათამაშოს „მოძრავი თვალები“ (იყიდება სათამაშოების მაღაზიაში) და სათამაშო ცომი ან პლასტელინი. დაამზადებინეთ სახე.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ლექსი „თვალი“ (წიგნიერების დანართი).

მეცნიერება

- ბავშვებს სხვადასხვა საგნები გამადიდებელი შუშით დაათვალიერებინეთ;
- ჩაახედეთ სარკეში, იმისთვის, რომ საკუთარი თვალის ფერი გაარკვიონ. დაუმზადეთ თვალების გამოსახულებები. შეაღებვინეთ ზოგი მათგანი ყავისფრად, ზოგი – ლურჯად, ნაცრისფრად ან მწვანედ. ჰკითხეთ, რა ფერის თვალები უნახავთ ან მოსწონთ? (დანართი 2.12.2.)

საღამოს წრე

- რომელი თამაში მოგეწონათ ყველაზე მეტად?

2. ყური და სმენა

დილის წრე



- ჩამოათვლევინეთ ბავშვებს, რისთვის იყენებენ ისინი ყურებს.
- როგორ უნდა მოვუაროთ ყურებს? ნუ მოუსმენენ ძალიან ხმამაღალ მუსიკას, შესაძლოა ყურები დაუზიანდეთ.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა ყურები და სმენაა.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ და გააფერადონ სხვადასხვა რიტმის მუსიკის თანხლებით.
- დაფდაფების დამზადება. მოიმარაგეთ პლასტმასის ერთჯერადი თეფშები და ნებისმიერი სახის მარცვლეული. სთხოვეთ ბავშვებს, დაყარონ მარცვლეული თეფშზე, ზემოდან სტეპლერით მეორე თეფში დაამაგრეთ, ასევე შეგიძლიათ სტეპლერით დაამაგროთ სხვადასხვა ფერის ლენტები. დაფდაფები წებოვანი ქაღალდით გააფორმეთ.

მუსიკა და მოძრაობა

- დამალეთ მუსიკალური სათამაშო ბავშვების მხედველობის არედან. სთხოვეთ ბავშვებს, ხმით იპოვონ დამალული სათამაშო.
- ჩართეთ მუსიკა, სანამ მუსიკის ხმა ისმის, ყველა ცეკვავს (ბავშვები და მასწავლებლები). როგორც კი მუსიკის ხმა წყდება და მასწავლებელი ხმამაღლა ამბობს – ,,გაშეშდი” – ყველა შეშდება იმ პოზაში, რა პოზაშიც იყო ცეკვის დროს. შემდეგ ისევ გრძელდება მუსიკა ან სიმღერა და ყველანი აგრძელებენ ცეკვას. ამის გამეორება შეიძლება 5-6-ჯერ. თუ ოთახში ან დარბაზში ხართ და იქვე ხალიჩაა, შეგიძლიათ ბოლო გაშეშების შემდეგ ყველანი ნელ-ნელა დაეშვათ, წამოწვეთ ხალიჩაზე და რამდენიმე წუთი დაისვენოთ.
- სხვადასხვა ხმაურების იმიტაცია; სთხოვეთ ბავშვებს გამოსცენ სხვადასხვა ხმები. დაუსვით დამხმარე შეკითხვები: როგორ ყეფს ძაღლი, როგორ ხმაურობს მანქანა, როგორ შრიალებს ხის ფოთლები, მოიმარაგეთ სხვადასხვა ნივთები, ქვაბების სახურავები, პოლიეთილენის პარკები, სხვადასხვა მასალის ჯოხები, სხვადასხვანაირი ქილები და სთხოვეთ ბავშვებს, აახმაურონ.
- მოასმენინეთ ბავშვებს სხვადასხვა ხასიათისა და ჟანრის მუსიკა.

სამაგიდო



- წინასწარ მოამზადეთ ხუთი მუსიკალური საკრავი. თითოეული მათგანის დასამზადებლად დაგჭირდებათ 2 ცალი ქაღალდის ან პენოპლასტის ერთჯერადი თეფში და პატარა ზარები. პირველი მათგანის დასამზადებლად 2 თეფშს შორის მოათავსეთ მხოლოდ ერთი ზანზალაკი და თეფშები დაასტეპლერეთ, მეორის დასამზადებლად გამოიყენეთ 2 ზანზალაკი, მესამის დასამზადებლად – სამი და ა. შ. დაალაგებინეთ ისინი ბავშვებს თანმიმდევრობით: ყველაზე სუსტი ხმის გამომცემი საკრავიდან – ძლიერი ხმის გამომცემისკენ.

სენსორული:

- ჩაამწკრივეთ შუშის ჭურჭელი, შეავსეთ სხვადასხვა ოდენობის წყლით. დაურიგეთ ბავშვებს ფანქრები. დააკვირდნენ რა ხმებს გამოსცემს ჭურჭელი.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ლექსი „ყური“ (წიგნიერების დანართი).
- მოასმენინეთ ბავშვებს რაიმე მოთხრობის აუდიო ჩანაწერი, ეს ჩანაწერი შესაძლებელია ბაღის თანამშრომლის მონაწილეობით იყოს გაკეთებული.

მეცნიერება

- ჟურნალებში მოაძებნინეთ ბავშვებს ის საგნები და არსებები, რომლებიც ხმებს გამოსცემენ. როგორ ხმებს გამოსცემენ?
- აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვა სახის მუსიკალური სათამაშოები, რომ შეისწავლონ ისინი.

საღამოს წრე

- რა გაიგეთ დღეს ხმების შესახებ?
- რა იყო საუკეთესო, რაც მოისმინეთ დღეს?

3. ცხვირი და ყნოსვა

დილის წრე



- ჩამოათვლევინეთ ბავშვებს ყველაფერი, რასაც კარგი სურნელი აქვს.
- განიხილეთ, როგორ უნდა მოვუაროთ ცხვირს. როგორ უნდა მოვიწმინდოთ იგი.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი აქტივობები ცხვირს და ყნოსვას შეეხება. შესთავაზეთ ბავშვებს, რომ დღეს ყურადღება ყნოსვასა და სუნებზე გაამახვილონ.

ხელოვნება



- დაამზადეთ სურნელოვანი ჟელატინი, როგორც მითითებულია ეტიკეტზე, მხოლოდ წყლის ნახევარი დოზის გამოყენებით. ეს მასა შეგიძლიათ საღებავად გამოიყენოთ. გაშრობის შემდეგ კი ბავშვები შეიგრძნობენ სურნელს და შეძლებენ ზედაპირის მოფხეკას.
- მოიმარაგეთ სურნელოვანი კალმები, სთხოვეთ, დახატონ მათი გამოყენებით.
- გამოაძერწვინეთ სურნელოვანი პლასტელინით.

მოძრაობა



- იატაკზე დააკარით იზოლენტა, ეს სასტარტო ხაზი იქნება. მეორე ასეთივე ხაზი გადაზომეთ დაახლოებით 6 მეტრში (ფინიშისთვის). ბავშვები სტარტს იწყებენ დიდი ბურთის გადაგორებით, მაგრამ ერთი პირობით, ბურთს მხოლოდ ცხვირით ეხებიან.

სამაგიდო



- დაამზადეთ მარილიანი ცომი და შეურიეთ სხვადასხვა საკვები ესენცია, გამოაძერწვინეთ სურნელოვანი ცომით.
- სუნების დახარისხება სასიამოვნო და უსიამოვნო სუნებად. მოიმარაგეთ სხვადასხვა სუნის მქონე პროდუქტი, მაგ. ძმარი, ვანილი, ხახვი, ლიმონი, ესენციები, სუნელები, ვალერიანი. სთხოვეთ ბავშვებს, დაახარისხონ ისინი სასიამოვნო და უსიამოვნო სუნებად. გააკეთეთ მცირე ჯგუფებში, რათა ყველამ შეძლოს დამოუკიდებლად დახარისხება.

დრამატული



- პარფიუმერიის მაღაზიაში. მოაწყვეთ ჯგუფში პარფიუმერიის მაღაზია, მოიმარაგეთ ცარიელი სუნამოს ბოთლები, სასინჯი ჩხირები, მოაწყვეთ დახლები, სალარო. ერთი ბავშვი იქნება მოლარე, ერთი ბავშვი კონსულტანტი, დანარჩენები მყიდველები. წაახალისეთ ბავშვები, რომ განასახიერონ ეს როლები.

სენსორული

- აიღეთ ექვსი სხვადასხვა არომატის შემცველი სითხე (ზეთი). დანამეთ ბამბის ბურთულები სხვადასხვა არომატულ ზეთში, მოათავსეთ ისინი ცალ-ცალკე ცარიელ პოლიეთილენის ყუთებში, რომლებსაც დახვრეტილი თავსახური ექნება. დარწმუნდით, რომ თავსახურები მჭიდროდაა ყუთებზე დაწებებული, ასეთი არომატული ზეთების შეძენა შესაძლებელია სანთლების მაღაზიებში, სუპერმარკეტებში: მაგ. ფორთოხლის, მარწყვის და ვანილის. სთხოვეთ ბავშვებს, ამოიცნონ რისი სურნელია ცალკეულ ყუთში.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ლექსი „ცხვირი“ (წიგნიერების დანართიდან).

მეცნიერება

- თუ ამინდი ხელს გიწყობთ, გაისეირნეთ ბუნებაში და შეაგროვეთ სხვადასხვა არომატების ნაკრები (არ დაგავიწყდეთ, რომ ბავშვს შეიძლება ალერგია ჰქონდეს რომელიმე მათგანზე).

საღამოს წრე

- რომელ სურნელს და არომატს შეხვდით დღეს?
- რომელი მათგანი მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- რომელი აქტივობა იყო სახალისო?

4. პირი და გემო

დილის წრე



- ჩამოთვალეთ რისთვის გვჭირდება პირი? დაარიგეთ სასუსნავი. თუნდაც თევზის ფორმის კრეკერი. ეს შეგიძლიათ რომელიმე სიმღერის თანხლებით გააკეთოთ.
- ჩამოთვალეთ, რა ნაწილებისგან შედგება ჩვენი პირის ღრუ.
- ბავშვებთან ერთად რომელიმე ენის გასატეხი წარმოთქვით. აუხსენით ბავშვებს, რომ სწორედ ენა გვეხმარება სხვადასხვა სახის ბგერების წარმოთქმაში.
- ისაუბრეთ პირის ღრუს მოვლაზე, როგორ და რა სიხშირით უნდა ვიხეხოთ კბილები?
- წინასწარ უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი აქტივობები პირის შესახებ იქნება.

ხელოვნება



- წინასწარ მოადუღეთ სიროფი, გაურიეთ საკვები საღებავები და ფუნჯით დაახატინეთ ბავშვებს „ტკბილი“ ნახატი.
- ჯოხიანი კანფეტების დამზადება: გამოაძერწვინეთ ბავშვებს პლასტელინის ბურთები, დაამაგრონ ხის ჩხირებზე და გაახვიონ ფოლგაში.

მუსიკა/მოძრაობა:

- დაურიგეთ ბავშვებს საყვირი, სალამური, ჰარმონიკა. სთხოვეთ ჩაბერონ.
- დიდი ზომის ყუთის გვერდზე ამოჭერით გაღიმებული პირის ფორმა. დაახატეთ გარშემო წითელი ტუჩები. დაარიგეთ ლობიოს მარცვლებიანი ტომრები. წაახალისეთ ბავშვები, პირის ფორმის ამოჭრილ ფანჯარაში რაც შეიძლება მეტი მარცვალი ჩააგდონ.

სენსორული

- სხვადასხვა გემოს კარამელის დაგემოვნება და გამოცნობა, რისი გემო აქვს. გამოცნობა რომ გაუადვილდეთ გამოიყენეთ ბარათები.

წიგნიერება/მეტყველება

- წაუკითხეთ ბავშვებს ლექსი „ენა“ (წიგნიერების დანართიდან).
- წაუკითხეთ: „მსუნაგთა სამეფო“ (წიგნიერების დანართიდან).

დრამატული:



- მოაწყონ რესტორანი. გაინაწილონ როლები. შეუკვეთონ სასურველი კერძები.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს კუბურებით ააგონ მსუნაგთა სამეფო (ჯანი როდარის „მსუნაგთა სამეფოს“ მიხედვით).

საღამოს წრე

- რა გაიგეთ ახალი პირის შესახებ?

კანი და შეხება

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, შეხებით რას იგებენ. სთხოვეთ ბავშვს, თვალახვეულმა გამოიცნოს საგანი, მისი ზომა, ფაქტურა, მშრალია თუ სველი, ცივია თუ თბილი, მაგარია თუ რბილი.
- უთხარით, რომ შეხებით ჩვენ სამყაროს „შევიგრძნობთ“.
- ჰკითხეთ, რაში გვეხმარება ეს შეგრძნება (შეხება). ჩვენ თავს ვიცავთ, როცა ხელს ვკიდებთ ცხელ, წვეტიან ან ბასრ საგანს. გვსიამოვნებს, როცა ძაღლს ვეფერებით ან ვინმე გვეხუტება.

ხელოვნება



- დაახატვინეთ ბავშვებს საბავშვო ან ჩვეულებრივი საპარსი ქაფით (იყიდება საბავშვო სათამაშოების მაღაზიებში). ქაფს დაუმატეთ საღებავი, ფურცლის ქვეშ დაუფინეთ შესაფუთი ბუშტუკებიანი პოლიეთილენის პარკი.
- სხვადასხვა ფაქტურის მასალის კოლაჟი. დაურიგეთ ბავშვებს წინასწარ მომარა-

გებული სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილები, ბამბა, ზუმფარის ქაღალდი, თექა, პაპიროსის ქაღალდი, ხელოვნური ბეწვი, ბუმბული, ჟატის ქაღალდი, მუყაო და ა.შ.

- დაამზადებინეთ სენსორული წიგნები სხვადასხვა მასალის გამოყენებით. სქელ ქაღალდებზე დააწებებინეთ სხვადასხვა ფაქტურის მასალა. აკინძეთ წიგნად.
- გააკეთებინეთ ბავშვებს კოლაჟი: „ზღვის სანაპირო“ (სქლად წაუსვით მუყაოს ზედაპირზე ემულსია, სთხოვეთ ბავშვებს, დააყარონ ქვიშა იქ, სადაც სანაპირო იქნება, ხოლო ზღვის ფაქტურისთვის გამოიყენეთ ლურჯი ცელოფანი, რომელსაც ასევე დააწებებთ.

სამაგიდო



- თვალახვეულმა ბავშვმა უნდა გადაითვალოს 5 საგანი.

სენსორული

- დაწყვილება: წინასწარ მოიმარაგეთ საკანცელარიო პატარა ქაღალდები. წაუსვით წებო და თითოეულს სხვადასხვა მასალა დააყარეთ: ქვიშა, მარილი, შაქარი, ფქვილი, სხვადასხვა მარცვლეული. ბარათები სხვადასხვა ყუთებში ჩაყარეთ. სხვადასხვა ფაქტურის თითო ბარათი მაგიდაზე გაშალეთ. სთხოვეთ ბავშვებს, ყუთში ხელი ჩაყონ და ისე გამოიცნონ, რას კიდებენ ხელს და მაგიდაზე გაშლილ ბარათებთან დააწყვილონ.
- მოამზადეთ ცივი, ოთახის ტემპერატურის და თბილი წყლით სავსე ჯამები. სთხოვეთ ბავშვებს, მორიგეობით ჩაყონ ხელები ჯამში და აღწერონ, რას გრძნობენ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ლექსი „კანი“ (წიგნიერების დანართი).
- დაასრულებინეთ წინადადებები:
  თვალებით ვხედავთ.....,
  ყურებით გვესმის.....,
  ცხვირით ვყნოსავთ.....,
  პირით ვაგემოვნებთ.....,
  კანით შევიგრძნობთ.....

კონსტრუქციული



- ქვიშაში კუბურებით და სხვადასხვა მასალით ააწყობინეთ კონსტრუქციები.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს კანის შესახებ?
- სად უფრო მგრძნობიარე კანი აქვთ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ?
- შეაჯამეთ შეგრძნებები, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, რომელი უფრო მნიშვნელოვანია.

გზები და ტრანსპორტი

1. გზები-მაგისტრალები
2. ტრანსპორტი

1. გზები-მაგისტრალები

დილის წრე:

- დაათვალიერებინეთ ბავშვებს გზების, მაგისტრალების, მშენებლობაზე მომუშავე ტრაქტორების და მანქანების ილუსტრაციები.
- წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ ილუსტრაციებზე.
- მოუყევით ბავშვებს, რისგან და როგორ აშენებენ გზებს, რისთვის არის საჭირო გზები და მაგისტრალები.
- ისაუბრეთ სიჩქარეებზე: რა სიჩქარით შეიძლება გზებსა და მაგისტრალებზე მოძრაობა. ანახვეთ ბავშვებს სიჩქარის ამსახველი დაფები (მინიმალურიდან მაქსიმალურამდე). წაახალისეთ, დახატონ ასეთი დაფები და დააწერონ სხვადასხვა სიჩქარე. მაგისტრალებზე სიჩქარე შეზღუდულია?

ხელოვნება:

- ერთჯერად თეფშებზე დაასხით სხვადასხვა ფერის საღებავები. აიღეთ სხვადასხვა ზომის სატრანსპორტო სათამაშოები: მანქანა, მოტოციკლეტი, ტრაქტორი და ა.შ. ჩააწებეთ მათი საბურავები საღებავში და ქაღალდზე გაატარეთ. ქაღალდზე დარჩება მანქანის საბურავის კვალი. ეცადეთ, შექმნათ სხვადასხვა კომპოზიციები მაგ: ცისარტყელა. წაახალისეთ ბავშვები, მოუხმონ ფანტაზიას. ნახატის დასრულების შემდეგ აღწერეთ ნამუშევრები.
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ გზები და მაგისტრალები რუხი, ყვითელი და თეთრი ფერით. კარგი იქნება თუ ბავშვებს საღებავებით და ფუნჯებით ხატვას შესთავაზებთ. ბავშვების ნამუშევრებისგან ააწყვეთ იატაკზე ერთი დიდი გზა და მაგისტრალი. ნახატები სკოჩით დაამაგრეთ იატაკზე. ითამაშეთ თქვენ მიერ დახატულ გზებსა და მაგისტრალებზე.

მუსიკა და მოძრაობა:

- ეზოში ცარცით დახატეთ გზები და მაგისტრალები. იმოძრავეთ მანქანებივით. წაახალისეთ ბავშვები, გადაადგილდნენ ხტუნვა-ხტუნვით: ორი ფეხით, ასკინკილათი, უკუსვლით, უკუხტუნვით და ა.შ.
- დაბალი გრძელი სავარჯიშო სკამი დადგით, ვითომ გზა და მაგისტრალია. წაახალისეთ ბავშვები, სკამებზე დამოუკიდებლად გაიარონ. თამაშის გასართულებლად შეგიძლიათ სკამზე ალაგ-ალაგ დააწყოთ იმ ზომის ყუთები, რომ ბავშვებს არ გაუჭირდეთ გადაბიჯება. შესაძლოა, ორი სკამისგან გაკეთდეს გზაჯვარედინი და ბავშვები ორ ჯგუფად გაიყონ და ერთდროულად დაიწყონ სვლა. ვინ ვის უთმობს გზაჯვარედინზე გზას?

სამაგიდო:



- გააფერადეთ (დანართი 2.13.1.).
- გაატარე მანქანა ლაბირინთში (დანართი 2.13.2.).
- გაამზადეთ თამაში: რიცხვების მოგზაურობა. თქვენ დაგჭირდებათ მუყაოს მართ-

კუთხედი. წაახალისეთ ბავშვები, ფურცლებზე მოხაზონ წრეები, შეგიძლიათ პლასტმასის ბოთლის თავსახურები მისცეთ, წრის მოხაზვა რომ გაუადვილდეთ. წრეებში ჩაწერეთ ციფრები 1 – დან 50-ის ჩათვლით და ბავშვებმა გააფერადონ. შემდეგ წრეები დააკრან მუყაოს ნაჭერზე და დაამატონ სტარტი და ფინიში. ასევე დაგჭირდებათ ფიგურები ან საგნები, რომლითაც თამაშისას გზაზე იმოძრავებთ. დააყენეთ ფიგურა სტარტზე, გააგორეთ კამათელი და გადაითვალეთ იმდენი წრე, რამდენი ციფრიც კამათელზე ამოგივიდათ. ვინც პირველი მივა ფინიშამდე, გამარჯვებულიც ის იქნება.



- მუყაოს ყუთის თავსახურში გააკეთეთ გზა, რომელზეც შეგიძლიათ პატარა მინის ბურთი ან რკინის ფული დააგოროთ. ამისათვის დაგჭირდებათ ნაყინის ჯოხები. ჯოხები დააწებეთ ყუთზე. დააკვირდით ფოტოს: მნიშვნელოვანია, პირველი გზის ბოლოს დატოვოთ პატარა ადგილი ბურთი ან მონეტა რომ გაეტიოს და ქვედა გზაზე ჩავარდეს. ასევე უნდა იყოს მეორე გზის ბოლოს ადგილი დატოვებული. ნაყინის ჯოხების ერთი ფენის დაწებებას რომ დაასრულებთ, გააშრეთ და კიდევ ერთი ფენა მიაწებეთ. გზას უნდა ჰქონდეს სისქე ბურთი ან მონეტა რომ დაიტიოს. მესამე ფენა ნაყინების ჯოხების საშუალებით კეთდება იმასათვის, რომ გზას კიდე გაუკეთოთ. კიდე საჭიროა ბურთი ან მონეტა რომ არ ამოვარდეს გზიდან. გზის გასაფორმებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ნივთები, მძივები, თოკები, ჟურნალიდან ამოჭრილი ილუსტრაციები, ბუნების მასალები და ა.შ.



დრამატული:



- ბავშვებს გზების მშენებლების ფორმები დაახვედრეთ, ასევე გზებზე დასადები ნიშნები, კუბიკები და ა.შ. მიეცით დრო საკუთარი სურვილისამებრ ითამაშონ ამ ნივთებით.

სენსორული:

- მოაწყვეთ ბუნებრივი მასალებისგან (მაგ: კენჭები, ტოტები, წიწვები, რკოები და ა.შ.) სხვადასხვანაირი გზები.

წიგნიერება:

- ისაუბრეთ გზების საშენ მასალებსა და ტექნოლოგიებზე. მოუყევით ბავშვებს ისტორიული ფაქტები. როგორ აშენებდნენ ადრე გზებს? როგორ მიმდინარეობდა მშენებლობები მანამ, სანამ ახალ ტექნოლოგიებს და საშენ მანქანებს გამოიგონებდნენ?

კონსტრუქციული:



- ააგეთ გზებისა და მაგისტრალების კონსტრუქციები.
- ბავშვებთან ერთად კუბურებით დარბაზში ააგეთ დიდი ლაბირინთი და სთხოვეთ, იმ ლაბირინთში იაროს.



მეცნიერება

- ჩაატარებინეთ ბავშვებს ექსპერიმენტი, თუ როგორ მოძრაობს მანქანა სხვადასხვა ზედაპირზე. (სად უფრო სწრაფად მოძრაობს – ნოხზე თუ იატაკზე).
- დახარეთ დაფა (ან სქელი მუყაო) სწორ ზედაპირზე, სადაც ნახევარი დაფარული იქნება ქვიშით. ჰკითხეთ ბავშვებს, რომელ ზედაპირზე გაჩერდება და რომელზე გააგრძელებს სვლას დაგორებული მანქანა. ამსჯელეთ ბავშვები. შემდეგ სთხოვეთ, დააგორონ მანქანები ამ ზედაპირზე.
- უთხარით ბავშვებს, რომ მოძრავ საგანს რაღაც აჩერებს და უძრავი საგანი სულ გაჩერებული იქნება თუ რამემ არ აამოძრავა. მოიმარაგეთ მანქანები, კუბები და პატარა ფიგურები რომელსაც მანქანაზე დადებთ. დადეთ მანქანაზე კუბი ან პატარა ფიგურა. აჩვენეთ ბავშვებს, თუ მარტო მანქანას უბიძგებთ და აამოძრავებთ, კუბი ან ფიგურა ისევ გაჩერებული იქნება და მანქანიდან ჩამოვარდება. იგივე აჩვენეთ მოძრავ საგანზეც. ამისათვის კუბურით ბარიერი გაუკეთეთ მანქანას. შემდეგ ფიგურასთან ერთად გააგორეთ მანქანა. როცა მანქანა კუბს შეეჯახება და გაჩერდება, ფიგურა გააგრძელებს მოძრაობას და წინ გადავარდება.

კულინარია:



• ვინაიდან გზებსა და მაგისტრალებზე სადილების მომზადება შეუძლებელია, უმჯობესია საგზლად ბუტერბროდი გაკეთდეს. თქვენ დაგჭირდებათ პურის ფუნთუშა, სალათის ფოთლები, ძეხვი ან ყველი, კიტრი, მჟავე კიტრი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა ან მწვანე ხახვი. ფუნთუშა გაჭერით შუაზე, წაუსვით ცოტა კარაქი, დააფინეთ სალათის ფოთოლი და დაადეთ ყველის ან ძეხვის ნაჭერი. მრგვლად დაჭრილი პომიდორი ყველთან, საყელოს მსგავსად დაადეთ. მრგვლად დაჭრილი კიტრი ყურების ადგილას ჩაჭრილ ღიობში ჩაარჭვეთ. ცხვირი და თვალები მჟავე კიტრისგან კეთდება, ხოლო წარბები ბულგარული წიწაკის წვრილი ნაჭერია. შეგიძლიათ მწვანილი და მწვანე ხახვიც გაურიოთ.



საღამოს წრე:

- რა შეიტყვეს ბავშვებმა გზებსა და მაგისტრალებზე?
- რა დაამახსოვრდათ?

2. ტრანსპორტი

დილის წრე



- დააწყვეთ სხვადასხვა სათამაშო ტრანსპორტის საშუალებები დილის წრეში (მანქანები, ავტობუსები, თვითმფრინავები, მატარებლები და ა.შ.).
- ჩამოატარეთ სათამაშოები, რათა ბავშვები დააკვირდნენ. ისაუბრეთ იმ ნაწილებზე, რომლებიც შესაძლებელს ხდის მათ გადაადგილებას. მაგალითად, ავტობუსები, მანქანები და მატარებლები საჭიროებენ ბორბლებს. თვითმფრინავი – ფრთებს, ადამიანები და ცხენები კი – ფეხებს.
- რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები აქვთ ტრანსპორტის სხვადასხვა საშუალებებს?

ხელოვნება

- წინასწარ გამოჭერით დიდი ავტობუსი (მუყაოსგან). სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ და გააფორმონ, როგორც უნდათ. ცალკე ფურცლებზე დახატონ თავიანთი პორტრეტები, გამოჭრან და ავტობუსის ფანჯრებში ჩააწებონ.
- გაშალეთ დიდი ფორმატი იატაკზე. სთხოვეთ ბავშვებს, თითების საღებავით სრულად დაფარონ ფორმატი ლურჯად, ვითომ წყალია. გააშრეთ. ბავშვებმა ამოჭრან ნავები (დანართი 2.13.3.) და დააწებონ ფორმატზე.
- *მუყაოს მანქანები.* დაგჭირდებათ დიდი ზომის რამდენიმე მუყაოს ყუთი, ერთჯერადი თეფშები, ფოლგის ქაღალდი, ქაღალდის რულონები, წაახალისეთ ბავშვები, დაუმატონ ყუთს მანქანის ელემენტები, ამ ან სხვა რესურსების გამოყენებით. წაახალისეთ, ითამაშონ ამ მანქანებით დრამატულ ცენტრში.



- დაახატვინეთ ბავშვებს პატარა სახლები, ხეები, შადრევნები და სხვა. აიღეთ დიდი ზომის ფერადი ფორმატი და გაანაწილეთ სახლები მასზე. გაიყვანეთ გზები სახლებს შორის და გააფერადებინეთ ბავშვებს გუაშით. გამოიყენეთ პატარა მანქანების სატარებლად.



- *ორთქლმავალი.* მოიმარაგეთ პატარა ზომის მუყაოს ყუთები, ბოთლების თავსახურები და ქაღალდის ცარიელი რულონები. წაახალისეთ ბავშვები, დააწებონ დეტალები და ააწყონ მატარებლის ვაგონები.



მოძრაობა



- *წითელი შუქი! მწვანე შუქი!* ერთი ბავშვი „შუქნიშანია“. დანარჩენი ბავშვები „შუქნიშნიდან“ 9 მეტრის დაშორებით ერთ ხაზზე დადგნენ. „შუქნიშანი“ ზურგს აქცევს მათ და ამბობს „მწვანე შუქი“, ამ დროს ბავშვები მირბიან „შუქნიშნისკენ“. როდესაც „შუქნიშანი“ შემოტრიალდება და იტყვის „წითელი შუქი“, ყველა უნდა გაშეშდეს. პირველი, ვინც „შუქნიშნამდე“ მიაღწევს, ხდება მომდევნო „შუქნიშანი“.
- *გვირაბები და ხიდები.* სკამებისგან და მაგიდებისგან გააკეთეთ ისეთი ბარიერები, რომ ბავშვები ქვეშ გაძვრნენ, ანდა ზევიდან გადავიდნენ.
- *აფრინდა, აფრინდა.* დაასახელეთ სხვადასხვა ტრანსპორტი, ფრინველი, მწერი ან ცხოველი. ბავშვებმა უნდა გაშალონ ხელები და „იფრინონ“, როდესაც ისეთ რამეს დაასახელებთ, რაც დაფრინავს. სხვა შემთხვევაში უნდა ფრთხილად „მიწაზე დაეშვნენ“.

სამაგიდო



- წინასწარ მოამზადეთ დიდი ფორმატი, სადაც დახატულია ცა, წყალი და მიწა. დაურიგეთ ბავშვებს ტრანსპორტის ნახატები: თვითმფრინავი, ვერტმფრენი, ავტობუსი, მანქანა, მატარებლის ვაგონები ცალ-ცალკე, ნავი, გემი, კატერი, ველოსიპედი, მოტოციკლეტი. სთხოვეთ, ამოჭრან და დიდ ფორმატზე დააწებონ შესაბამის ადგილზე (დანართი 2.13.4).

- წინასწარ მოამზადეთ ამოჭრილი სხვადასხვა ფერის ნავები და იალქნები. სთხოვეთ ბავშვებს, მოუძებნონ ნავებს შესაბამისი იალქნები. უფრო გართულებული ვარიანტი: ნავებზე და იალქნებზე სხვადასხვა რაოდენობის წერტილებია გამოსახული და ამ რაოდენობით ახდენ დაწყვილებას (დანართი 2.13.5.).
- გამოჭრილი ნავები გამოიყენეთ შემდეგი აქტივობისთვის „გააგრძელე კანონზომიერება“: დაულაგეთ გემები სხვადასხვა კანონზომიერებით და სთხოვეთ გააგრძელონ. (მაგ. წითელი ნავი, წითელი ნავი, ლურჯი ნავი ...).
- სამუშაო ფურცელი – მიიყვანე ავტობუსი გაჩერებაზე (დანართი 2.13.6.).
- სამუშაო ფურცელი გაანაწილე მგზავრები ავტობუსში (დანართი 2.13.7.).
- სამუშაო ფურცელი – გააფერადე ყველაზე დიდი თვითმფრინავი (დანართი 2.13.8.).

სენსორული

- სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ კაკლის ნაჭუჭის გემი (გაასუფთავეთ კაკლის ნაჭუჭის ნახევარი, ჩაამაგრეთ პლასტელინი. ფურცლისგან სამკუთხა ფორმა გამოჭერით და ჯოხს მიაწებეთ. ჯოხი პლასტელინში ჩაამაგრეთ). მათი წყალში გაშვება და ამოძრავება თავიდან, სულის შებერვით, აფრის გარეშე სცადონ, შემდეგ კი აფრით. გემს აფრა იმისთვის სჭირდება, რომ იტივტივოს? იმისთვის, რომ უფრო სწრაფად იმოძრაოს?
- სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტით დატოვეთ ქვიშაში ნაკვალევი.

დრამატული



- *თვითმფრინავში.* გაანაწილეთ როლები: მგზავრები, ბორტგამყოლი, პილოტი. აუხსენით, რას აკეთებს თითოეული მათგანი.
- დაურიგეთ ბავშვებს ფერადი ფურცლები და უთხარით, გამოჭრან მატარებლის ბილეთები. დააწერეთ ბილეთებს ბავშვების სახელები. თქვენ მატარებლის მემანქანე იყავით. გამოაცხადეთ – „წითელი მატარებელი ემზადება გასასვლელად“. ყველა ვისაც წითელი ბილეთი აქვს, უნდა ჩაებას მატარებელში. ერთი წრის შემდეგ აცხადებთ –„წითელი მატარებელის მარშრუტი დასრულდა. მოემზადეთ ჩასასვლელად. ყვითელ მატარებელში ჩასხდომა იწყება“ და ა.შ. სანამ ყველა ფერს არ გამოაცხადებთ.

წიგნიერება

- კითხვები დაყავით ჯგუფებად: მიწაზე, წყალში, ჰაერში, მიწის ქვეშ. ადრე რითი დადიოდნენ ადამიანები? რომელი ტრანსპორტი უყვართ, რომელში მსხდარან, რომელში – არა?
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

კონსტრუქციული



- დაამზადეთ ავტოფარეხები (ცარიელი ყუთების ერთ-ერთ მხარეს შესასვლელი გამოჭერით და გადააკარით ქაღალდი) და თითოეულ მათგანს დააწერეთ თითოეული ბავშვის სახელი. მოიმარაგეთ პატარა მანქანები და მათაც დააწერეთ ბავშვების სახელები. წაახალისეთ ბავშვები, მანქანა „საკუთარ“ ავტოფარეხში შეაყენონ.

მეცნიერება

- დაეხმარეთ ბავშვებს, ფიცრის გამოყენებით დახრილი გზა ააგონ. დაღმართზე დაუშვან სხვადასხვა სათამაშო სატრანსპორტო საშუალება. რომელი მათგანი ეშვება უფრო სწრაფად? რატომ?
- წინასწარ მოამზადეთ წყლით სავსე ჯამი და სხვადასხვა საგნები: კოვზი, ღრუბლის ნაჭერი, ქვა, ხის ნაჭერი, ერთჯერადი თეფში ან ჭიქა, ჩვეულებრივი ჭიქა, პატარა ბურთი და ა.შ. სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ, რომელი საგანი იტივტივებს წყლის ზედაპირზე და რომელი ჩაიძირება? მიეცით ცდის საშუალება, დაადონ ერთ-ერთ თეფშს სხვადასხვა სიმძიმეები, სადამდე გაუძლებს ?

საღამოს წრე

- რომელია შენი საყვარელი ტრანსპორტი? რატომ?
- რა გაიგეთ ახალი ტრანსპორტის მოძრაობის შესახებ?

წყლის სამყარო

1. წყლები
2. ნიშარები, ქვიშა და ჩიტები
3. თევზები
4. კიბორჩხალები და მედუზები
5. ვეშაპები, დელფინები და ზვიგენები
6. რეპტილიები, სელაპები, კუები.

1. წყლები

დილის წრე

- აჩვენეთ სანაპიროების სურათები.
- თუ გაქვთ, აჩვენეთ ბავშვებს გლობუსი, სთხოვეთ, ამოიცნონ წყალი. როგორ გამოარჩიეს? ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ დედამიწის ზედაპირის უდიდესი ნაწილი დაფარულია წყლით – ზღვებითა და ოკეანეებით.
- სთხოვეთ ბავშვებს, აღწერონ ზღვა და მისი ნაპირი. გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი გამოცდილება.

ხელოვნება

- აურიეთ საღებავში მარილი და მიეცით საშუალება ბავშვებს, დახატონ. რა მოუვა ნახატს, როდესაც საღებავი გაშრება?
- დააწვეთეთ ლურჯი ხელის საღებავი თეთრ ფურცელზე და აჩვენეთ, როგორ გაშალონ საღებავი თითებით და როგორ დახატონ ტალღები. შეგიძლიათ ბავშვების დამზადებული სხვა წყლის არსებებიც მიამაგროთ ნახატს.

მუსიკა და მოძრაობა

- მოიმარაგეთ წყლის ბურთი (მსუბუქი) და დიდი ქსოვილი (მაგ. ზეწარი). სთხოვეთ ბავშვებს, ქსოვილის ბოლოებს ხელები მოჰკიდონ და აფრიალონ, ვითომ ტალღები ახტუნავებენ ბურთს.
- მოასმენინეთ ზღვის ხმა და უთხარით, ხელებით ტალღების მოძრაობა გააკეთონ.

სამაგიდო



- დაყარეთ ქვიშა სინზე და წაახალისეთ ბავშვები, ხატონ და წერონ თითებით.

დრამატული



- მოიმარაგეთ შემდეგი საგნები: ქოლგა, ცარიელი მზის დამცავი კრემის ყუთები, ზაფხულის ჩანთები, სათვალეები, პირსახოცები და სხვა. ბავშვებმა წარმოიდგინონ, რომ ზღვის სანაპიროზე არიან.

წიგნიერება

- მოიმარაგეთ წიგნები წყლის სამყაროს შესახებ, რომ ბავშვებმა ათვალიერონ.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „თევზები და წყალი“. ჰკითხეთ, რატომ ვერ ხვდებოდნენ თევზები, რა არის წყალი? თვითონ ხვდებიან, რა არის ჰაერი? შესთავაზეთ, ცოტა ხნით სუნთქვა შეიკავონ. (არ გადააჭარბოთ) იმსჯელეთ, რომ თევზებისთვის ისეთივე ბუნებრივი გარემოა წყალი, როგორც ჩვენთვის ჰაერი.

კონსტრუქციული



- დააფინეთ ლურჯი ქსოვილი ან ფურცელი, ვითომ ზღვაა. სთხოვეთ ბავშვებს, სანაპიროზე კუბურებით ააშენონ სახლები.

მეცნიერება

- პლასტმასის ბოთლში ჩაასხით 2/3 წყალი, შეაფერადეთ ლურჯი საკონდიტრო საღებავით და ჩაუმატეთ ზეთი (საკვები ან ბავშვის), გაავსეთ დარჩენილი ცარიელი ადგილის ერთი მეორედი. შეგიძლიათ ჩაყაროთ ზღვასთან ასოცირებული საგნები, მაგალითად, პატარა ნიჟარები და ყვითელი ბრჭყვიალები, ვითომ ქვიშაა. კარგად დაახურეთ და დააწებეთ თავსახური ბოთლს. ამოძრავეთ ისე, რომ ზღვის ტალღები მიიღოთ.
- უთხარით ბავშვებს, რომ ზღვები და ოკეანეები მარილიანია. მოიმარაგეთ ორი წყლით სავსე კონტეინერი და მათ თვალწინ ჩაყარეთ ერთ-ერთში საკმაოდ დიდი რაოდენობის მარილი. სთხოვეთ ბავშვებს, ურიონ, სანამ მარილი არ გაიხსნება. წაახალისეთ, უსუნონ და გემო გაუსინჯონ. ერთნაირი გემო აქვთ? რატომ? რომელ კონტეინერში მოთავსებულ წყალს აქვს ზღვის გემო? შემდეგ ჩადეთ მოუხარშავი კვერცხი თითოეულ კონტეინერში. მარილიან კონტეინერში კვერცხი იტივტივებს, უმარილოში კი ჩაიძირება. ჰკითხეთ ბავშვებს, რამ ამოატივტივა კვერცხი?.
- ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რა იწვევს ზღვაში ტალღებს? განიხილეთ მათი პასუხები. ექსპერიმენტისთვის მოიმარაგეთ განიერი და დაბალი კონტეინერი, ჩაასხით წყალი და სთხოვეთ ბავშვებს, რაც შეიძლება ძლიერად შეუბერონ. რას ამჩნევენ? ისაუბრეთ ქარისა და ტალღების ურთიერთკავშირზე.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ზღვებისა და ოკეანეების შესახებ?
- მოაყოლეთ, ვინ არის ნამყოფი ზღვაზე?
- ესაუბრეთ წყალთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებზე. (რომ უნდა წაისვან მზისგან დამცავი კრემი, დაიხურონ ქუდი, უფროსის გარეშე არ შევიდნენ წყალში).

2. ნიჟარები, ქვიშა და ჩიტები

დილის წრე

- ჩამოატარეთ დიდი ნიჟარა. სთხოვეთ ბავშვებს, მოუსმინონ. რა ესმით?
- აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვანაირი ქვიშა. მიეცით საშუალება, შეეხონ, იგრძნონ განსხვავება. სთხოვეთ, აღწერონ რა განსხვავებაა.
- ჰკითხეთ, საიდან მოდის ქვიშა. აუხსენით ბავშვებს, რომ ქვიშას მთებისა და კლდეების დაშლით ვიღებთ.
- ჰკითხეთ, რაში ვიყენებთ და რაში გვჭირდება ქვიშა.
- ჩამოატარეთ სხვადასხვანაირი ნიჟარებით სავსე ყუთი და სთხოვეთ ბავშვებს, ამოარჩიონ რომელიც ყველაზე მეტად მოსწონთ.
- აჩვენეთ სხვადასხვა ზღვის ჩიტის სურათები.
- რითი იკვებებიან (თევზებით, პატარა კუებით, კრევეტებით)?
- აუხსენით, რა ხდება, როცა ადამიანები ზღვაში ნაგავს ყრიან. ჩიტებს ზოგჯერ ნაგავი საკვები ჰგონიათ, იწამლებიან ან მასში იხლართებიან.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ნებისმიერი რამ თეთრი წებოთი და სამარილეში წინასწარ ჩაყრილი წმინდა ქვიშა მოაყარონ.
- მოიმარაგეთ ნიჟარის ფორმის მაკარონი, საღებავები და ფუნჯები. სთხოვეთ ბავშვებს „ნიჟარების“ შეღებვა.
- დაურიგეთ ბავშვებს ბუმბულები და სთხოვეთ დახატონ (აუხსენით, რომ ადრე ასე წერდნენ.).
- სთხოვეთ ბავშვებს, სათამაშო ცომისგან ზღვის ჩიტები გამოძერწონ და მათ გასაფორმებლად ბუმბულები ჩაარჭონ.

მუსიკა და მოძრაობა

- წერო – სთხოვეთ ბავშვებს, დადგნენ ცალ ფეხზე, რაც შეიძლება დიდხანს. გაიმეორეთ მეორე ფეხზეც. შეიძლება სთხოვოთ ბავშვებს, რომ ცალ ფეხზე დგომისას არ გაინძრნენ ან პირიქით, იმოძრაონ (იხტუნონ, შეასწორონ ტერფის პოზა), თუ ესე უფრო დიდხანს შეძლებენ ცალ ფეხზე ყოფნას.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ სამი ნიჟარა და ერთი მძივის მარცვალი ან ბურთულა. მოათავსეთ ბურთულა ერთ-ერთი ნიჟარის ქვეშ და სწრაფად გადააადგილეთ ნიჟარები. სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ, რომელი ნიჟარის ქვეშ იმალება ბურთულა.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩახატონ მარგალიტების მითითებული რაოდენობა ნიჟარებში (დანართი 2.14.1.).

- წინასწარ ამობეჭდეთ (დანართში 2.14.2.) მოცემული ნიჟარები, გააფერადეთ სხვადასხვაფრად და გამოჭერით. დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, დაალაგონ სიდიდის მიხედვით, დაახარისხონ კატეგორიებად ფერის ან ფორმის მიხედვით.
- ქვიშაში აურიეთ მარცვლეული და ბავშვებს სთხოვეთ, თავიანთი „ნისკარტით“ (პინცეტით) მარცვლეული ამოარჩიონ.

სენსორული

- სთხოვეთ ბავშვებს, სხვადასხვანაირი ნიჟარებით პლასტელინში ან თიხაში ანაბეჭდი დატოვონ.
- მოიმარაგეთ სხვადასხვა ტიპის ზუმფარას ქაღალდი. თითოეული ორ ნაწილად გაჭერით და სთხოვეთ ბავშვებს, შეხებით იპოვნონ ერთნაირი ზუმფარის ქაღალდი.

- მოიმარაგეთ ნიჩბები და ვედროები, რომ ბავშვებმა ქვიშის კოშკები ააგონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „წყლისკაცი და მარგალიტი.“ აუხსენით ანდაზა: „ზღვა კოვზით დაილიაო.“ ჰკითხეთ, რად უნდოდა კაცს მარგალიტი? სად იზრდება მარგალიტი? რატომ ამოუღო წყლისკაცმა მარგალიტი, ვითომ მართლა დაცლიდა ზღვას?

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, ააწყონ რაიმე ნიჟარებით.

მეცნიერება

- სთხოვეთ ბავშვებს, გამადიდებელი შუშით სხვადასხვანაირ ნიჟარებს დააკვირდნენ.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ზღვის ქვიშასა და ნიჟარებზე?
- რა გაიგეს ახალი წყლის ჩიტების შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ დღეს?

3. თევზები

დილის წრე

- თუ ოთახში თევზიანი აკვარიუმი არ გაქვთ, ითხოვეთ ამ დღისთვის, თუ არ არის შესაძლებელი, მოიმარაგეთ თევზების სურათები.
- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რას ჭამს და როგორ მოძრაობს თევზი.

- ისაუბრეთ ფარფლებზე, ლაყუჩებზე, კუდზე (რომელიც მოძრაობს გვერდულად და არა ზევით-ქვევით, როგორც ვეშაპისა), ზომაზე და თვალებზე (არ აქვთ ქუთუთოები).
- გაუმასპინძლდით ბავშვებს თევზის ფორმის კრეკერებით.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა თევზები იქნება.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ერთჯერადი ღრუბლისგან წინასწარ გამოჭრილი თევზის ფორმები. ჩააწონ საღებავში და გადაიტანონ ფურცელზე.
- კარტოფილისგან წინასწარ გამოჭრილი თევზის ფორმები (გადაჭერით კარტოფილი შუაში, გადაჭრილ მხარეს დაახატეთ ფიგურა და 1 სმ. სიღრმეზე, ამ ფიგურის გარშემო, ზედმეტი ნაწილი ამოჭერით) ჩააწონ საღებავში და გადაიტანონ ფურცელზე.
- სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ ფურცელი სხვადასხვა ტონის ლურჯი და მწვანე საღებავით, ვითომ ზღვაა. ჯერ კიდევ სველ საღებავზე ალაგ-ალაგ მოაყარეთ მარილი. სანამ გაშრება, დაურიგეთ ბავშვებს სქელი ქაღალდისგან გამოჭრილი თევზის ფორმები. სთხოვეთ, დაუხატონ თავი, თვალები, პირი. ფარფლებად გამოიყენეთ ფოლგისგან წინასწარ გამოჭრილი პატარა წრეები. წაუსვან თევზს წებო და ფარფლების განლაგება დაიწყონ კუდიდან. (ყოველი მომდევნო რიგი განალაგონ ისე, რომ ოდნავ ფარავდეს წინა რიგს). ბოლოს თავიანთი თევზი „ზღვაში“ ჩააწებონ.
- ქაღალდის თეფშებს ამოაჭრან სამკუთხედი და მიამაგრონ „თევზს“ კუდი. სთხოვეთ, შეღებონ თევზი. სანამ შრება, თხელი ქაღალდისგან გამოჭრან „ფარფლები.“ ფარფლები და მოძრავი თვალი თევზს მიაწებონ ან მარკერით მიახატონ.



- დაეხმარეთ ბავშვებს, გააკეთონ „მბრუნავი თევზი.“ გამოჭერით ფურცლისგან 2,5 სმ. სიგანის, 30 სმ. სიგრძის ლენტები. დააწყვეთ ვერტიკალურად და ჩაჭერით ერთი სანტიმეტრის სიგრძის ჭრილი ზევით მარჯვენა მხარეს და ქვევით მარცხენა მხარეს. ერთმანეთში ჭრილები ისე ჩაარჭვეთ, რომ თევზის ფორმა მიიღოთ. დაურიგეთ ბავშვებს. როდესაც ხელს გაუშვებთ, ვარდნისას საკუთარი ცენტრის გარშემო დაბზრიალდებიან. წაახალისეთ ბავშვები, „თევზების“ შეჯიბრი მოაწყონ.

მუსიკა და მოძრაობა

- სთხოვეთ ბავშვებს, ცვალებადი ტემპის მუსიკის ფონზე, „იცურაონ“ მხიარული, შეშინებული, დაღლილი, ჭირვეული თევზებივით.
- მოიმარაგეთ დიდი ზომის თევზის ფარფლების მაგვარი ბრტყელი, მრგვალი ფორმის მძივები, ჩამჩა, ძაბრი. „ფარფლები“ დაყარონ განსხვავებული ფაქტურის ზედაპირზე, მაგალითად, ლითონზე, თექაზე, პლასტმასზე და მუყაოზე. რამდენად განსხვავებულ ხმებს გამოსცემენ?

სამაგიდო



- მოიმარაგეთ პინცეტები და ღილები, ვითომ თევზის ფარფლებია. დაინიშნეთ ერთი წუთი და დაითვალონ რამდენი „ფარფლების“ აღებას მოახერხებენ ამ დროის განმავლობაში.

- თევზის თავსატეხი (დანართი 2.14.3.). ამობეჭდეთ ფაზელი, დაჭერით და ააწყობინეთ ბავშვებს.
- წინასწარ დაამზადეთ ორ-ორი ერთნაირი თევზი. წაახალისეთ ბავშვები, იპოვონ ერთნაირები და დააწყვილონ. (დანართი 2.14.4.)
- სქელი ქაღალდისგან წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ზომის თევზები. თითოეულ თევზს პირის ადგილას სკრეპი გაუკეთეთ. დაამზადეთ ანკესები ჯოხის, ძაფის და მაგნიტის გამოყენებით. დაამაგრეთ ძაფის ერთი ბოლო ჯოხზე და მეორეზე გამოაბით მაგნიტი. სთხოვეთ ბავშვებს, აიღონ „სათევზაო ანკესები“ და თევზები დაიჭირონ. დაჭერილი თევზები სიდიდის მიხედვით დააწყონ, დიდიდან პატარამდე.
- დაურიგეთ ბავშვებს ბარათები (დანართი 2.14.5.). წაახალისეთ, გააფერადონ იმდენი ბურთულა, რამდენი თევზიცაა ბარათზე.
- შეაერთეთ წერტილები და გააფერადეთ თევზი (დანართი 2.14.6.).
- თევზის ლაბირინთი (დანართი 2.14.7.).
- წყვეტილი ხაზის მიხედვით მოხაზეთ თევზი და გააფერადეთ (დანართი 2.14.8.).

სენსორული

- ღრუბლისგან წინასწარ გამოჭერით თევზის ფორმები. წაახალისეთ ბავშვები, ღრუბლის თევზებით წყალში ითამაშონ.

წიგნიერება

- მოიმარაგეთ წიგნები თევზების შესახებ. დაათვალიერებინეთ. წაუკითხეთ მათი სახელები. რომელი გაუგიათ?
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან ნაწყვეტი ლექსიდან „სარფელი მეთევზე ბავშვები“

მეცნიერება

- აიღეთ ორლიტრიანი პლასტმასის ბოთლი, ჩაასხით წყალი, დაამატეთ 1/4 ჭიქა თეთრი ძმარი და ერთი ჩაის კოვზი სოდა. ჩაყარეთ პატარა ყურძნის მარცვლები (ვითომ თევზებია) ბოთლში და დააკვირდით. მარცვლები ჩაიძირება, ქიმიური რეაქციის გამო კი მათ გარშემო ბუშტუკები გაჩნდება, რის გამოც ისევ ამოტივტივდება. შემდეგ ეს რეაქცია ჩაწყნარდება და ისევ „ჩაყვინთავენ“. ასე გაგრძელდება დაახლოებით ნახევარი საათი.
- აჩვენეთ ბავშვებს ნამდვილი თევზი ან თევზის სურათი და სთხოვეთ, გამადიდებელი შუშით დააკვირდნენ. როგორი შეგრძნებაა იყო ოქროს თევზი და მთელი დღე პატარა სივრცეში ცურავდე?

საღამოს წრე

- რითი ჰგვანან თევზები ვეშაპებს? რითი განსხვავდებიან?
- რა დასჭირდებოდა თევზს, ხმელეთზე რომ ეცხოვრა?
- რითი განსხვავდებიან თევზები ჩიტებისგან? რა აქვთ საერთო?

4. კიბორჩხალები და მედუზები

დილის წრე

- აჩვენეთ კიბორჩხალების და მედუზების სურათები. აღწერეთ სხვადასხვანაირი კიბორჩხალები (ქვიშის კიბორჩხალა და ა.შ.).
- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ დადიან კიბორჩხალები, რას ჭამენ, როგორ ხედავენ და სუნთქავენ.
- უთხარით ბავშვებს, რომ მედუზის სხეულის ძალიან დიდი ნაწილი წყლისგან შედგება. ჰკითხეთ, უნახავთ თუ არა მედუზა ზღვაზე ან აკვარიუმში.
- მედუზა მოძრაობისას თავის სხეულს წყლით ავსებს, შემდეგ კი ამ წყალს უკან გამოისვრის და ამის შედეგად მოძრაობს.

ხელოვნება



- ბავშვებმა ხელისგული (ცერა თითის გამოკლებით) ღია ლურჯი საღებავით შეიღებონ და ფურცელზე ანაბეჭდი დატოვონ. როდესაც საღებავი გაშრება, თავიანთ „მედუზას“ მუქი ლურჯი ფლომასტრით სახე მიახატონ და სახელი დაარქვან.
- ლურჯი ფურცლისგან თითოეული ბავშვისთვის წინასწარ გამოჭერით ნახევარწრე, მოიმარაგეთ იმავე ფერის ლენტები. სთხოვეთ ბავშვებს, მიაწებონ ლენტები ნახევარწრეს და ასწავლეთ, როგორ დაახვიონ ლენტები მაკრატლის ან ფანქრის საშუალებით.
- სქელი ქაღალდისგან წინასწარ გამოჭერით კიბორჩხალას ფორმები თითოეული ბავშვისათვის (დანართი 2.1.11.9). სთხოვეთ ბავშვებს, სიმინდის ფქვილგარეული საღებავით შეღებონ.

მუსიკა და მოძრაობა

- ასწავლეთ ბავშვებს „კიბორჩხალას სიარული“, ფეხები და ხელები იატაკზე, მუცელი ჭერისკენ. იმოძრაონ ოთახში უკუსვლით.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ პომპონები და ორ-ორი პინცეტი თითოეული ბავშვისთვის. სთხოვეთ მათ, ორივე ხელში დაიჭირონ პინცეტები და სცადონ პომპონის დაჭერა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „კიბორჩხალა“.

კონსტუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, ჩაიცვან ხელთათმანი (რომელსაც მხოლოდ ცერა თითზე ჩამოსაცმელი აქვს) და ისე ითამაშონ კუბურებით.

საღამოს წრე

- გაამეორებინეთ, რა გაიგეს კიბორჩხალებისა და მედუზების შესახებ?
- რომელი აქტივობა გაუჭირდათ, რომელი მოეწონათ, რომელი იყო ადვილი, სახალისო?

5. ვეშაპები, დელფინები და ზვიგენები

დილის წრე

- აჩვენეთ ბავშვებს სურათები. უთხარით, რომ ვეშაპები ყველაზე დიდი არსებები არიან. დელფინები კი პატარა ზომის ვეშაპები არიან.
- ეზოში ჩაიყვანეთ ბავშვები და სთხოვეთ, გაშალონ 30 მეტრი სიგრძის ძაფი. უთხარით, რომ ცისფერი ვეშაპები ამ სიგრძისანი არიან.
- უთხარით, რომ ვეშაპები გონიერი არსებები არიან. მათ ცუდი მხედველობა აქვთ და არ აქვთ გემოსა და სუნის შეგრძნებები. ისინი ჰაერის ჩასასუნთქად წყლის ზედაპირზე ამოდიან.

ხელოვნება

- დაურიგეთ ბავშვებს თეთრი ფურცლები და პასტელები. სთხოვეთ, მაგრად დააწვნენ პასტელებს და ისე დახატონ წყალქვეშა სამყარო (თევზები, ნიჟარები, წყალმცენარეები და სხვა). როდესაც დაასრულებენ, ნახატს ლურჯი გუაშის საღებავის თხელი ფენა გადაუსვან.

- სთხოვეთ ბავშვებს, სხვადასხვა ფერის თხელი ფურცლები წვრილად დაანაკუწონ და კონტეინერში ჩაყარონ. დაურიგეთ სქელი ქაღალდისგან გამოჭრილი სხვადასხვა წყლის არსება, წაუსვან თეთრი წებო, ჩააგდონ კონტეინერში, აჯანჯღარონ და ამოიღონ.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ ბავშვებს ვეშაპის ხმის ჩანაწერი.
- ცარცით შემოხაზეთ დიდი წრე, ვითომ ზღვაა. აირჩიეთ „ზვიგენი“, რომელიც წრეში ჩადგება. დანარჩენი ბავშვები წრის გარეთ რჩებიან, სანამ „ზვიგენი“ დაიძახებს: „შემოცურეთ ზღვაში“. თითოეული ბავშვი უნდა შევიდეს წრეში და უცბად გამოვიდეს. „ზვიგენი“ კი რაც შეიძლება მეტ ბავშვს უნდა შეეხოს და ისინიც „ზვიგენებად“ გადაიქცევიან. ითამაშეთ, სანამ ყველა „ზვიგენი“ არ გახდება.
- ითამაშეთ „თევზი, თევზი, ზვიგენი“, ისე როგორც თამაშობთ „იხვი, იხვი, ბატს“.
- ერთი ბავშვი არის ზვიგენი, დანარჩენები თევზები, რომლებმაც ზღვა უსაფრთხო ადგილამდე უნდა გადაცურონ (დათქვით, სად არის უსაფრთხო ადგილი) ისე, რომ ზვიგენმა არ „შეჭამოს“. თუ ზვიგენი თევზს დაიჭერს, ისიც ზვიგენი გახდება და თევზების დაჭერას იწყებს. ითამაშეთ, სანამ ყველა ზვიგენი არ გახდება.

სამაგიდო



- წინასწარ გამოჭერით თექის სხვადასხვა ზომის ვეშაპი და სთხოვეთ ბავშვებს, სიდიდის მიხედვით დააწყონ.
- ყუთის თავსახურზე წინასწარ დააწებეთ ვეშაპის სურათი და პირის ადგილას ნახვრეტი გაუკეთეთ. მოიმარაგეთ თევზის ფორმის კრეკერები და პინცეტები. სთხოვეთ ბავშვებს, პინცეტების გამოყენებით ვეშაპი თევზებით გამოკვებონ.
- წინასწარ დახატეთ ყუთის ძირში, „რიფებს“ შორის, მარტივი ლაბირინთი. გამოჭერით სქელი ქაღალდისგან ვეშაპი და მიამაგრეთ მაგნიტი. სთხოვეთ ბავშვებს, მეორე მაგნიტის ყუთის ქვემოდან ამოძრავებით, ვეშაპი რიფებს შორის გაიყვანონ.

დრამატული



- გაითამაშეთ წყლისქვეშ ყვინთვა, ამისთვის, თუ საშუალებაა მოიმარაგეთ ლასტები (ან ბავშვებმა წარმოიდგინონ, რომ ლასტები აცვიათ), სათვალეები და ჰაერის რეზერვუარები (ზურგზე მოკიდებული ცარიელი პლასტმასის ორი ბოთლი).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ზვიგენი“. აუხსენით სიტყვები: „არტილერისტი“, „ზარბაზანი“, „გემბანი“.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ სამი განსხვავებული ზვიგენის სურათი და სთხოვეთ ბავშვებს, სამი განსხვავება და სამი მსგავსება დაასახელონ (ამ აქტივობის გაკეთება სხვა წყლის ბინადრებზეც შეგიძლიათ).
- აუხსენით ბავშვებს, რომ ყველა არსება, რომელიც წყალში ცხოვრობს, თევზი არ არის. თევზები წყალში ლაყუჩებით სუნთქავენ და კვერცხებს დებენ, ხოლო წყლის ძუძუმწოვრები წყლის ზედაპირზე ამოდიან ჰაერის ჩასასუნთქად და ცოცხალ არსებებს აჩენენ.

საღამოს წრე

- გაახსენეთ „პეპი გრძელიწინდას“ თავგადასავალი ზვიგენებთან დაკავშირებით. (წიგნიერების დანართიდან; 4-5 წლიანები, ზამთარი და შობა-ახალი წელი)
- ესაუბრეთ ბათუმის დელფინარიუმზე, იკითხეთ და თუ ვინმე ყოფილა, მოაყოლეთ.
- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი დღის მანძილზე?

6. რვაფეხები, სელაპები, კუები, ზღვის ვარსკვლავები და ზღვის ზღარბები

დილის წრე



- აჩვენეთ რვაფეხას სურათები. სთხოვეთ, დაითვალონ რამდენი ფეხი აქვს.
  - * აუხსენით, რომ რვაფეხას მისაწოვრებით დაფარული კიდურები აქვს, მათ მსხვერპლის დასაჭერად და გადასაადგილებლად იყენებს.
  - * რვაფეხების უმრავლესობა ზომით თევზის ხელაა, მაგრამ ზოგიერთი სახეობა შეიძლება 9 მეტრიც გაიზარდოს (გრძელი თოკის ან რაიმე სხვა საშუალებით აჩვენეთ, რამხელაა 9 მეტრი).
- აჩვენეთ სელაპების სურათები. გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა სელაპების შესახებ. უნახავთ სადმე ცოცხალი სელაპი, თუნდაც ტელევიზორში?
  - * უთხარით, რომ სელაპები ადვილი მოსათვინიერებლები არიან.
  - * ისინი ძირითადად ჯგუფებად ცხოვრობენ. ზოგიერთი მათგანი ორმოცი წელიც ცხოვრობს.
- აჩვენეთ წყლის კუების სურათები.
- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ იჩეკებიან კვერცხებიდან და მიცოცავენ ზღვისკენ. მოუყევით რამდენ ხიფათს ხვდებიან გზაზე: კიბორჩხალების, ჩიტების, ადამიანების სახით.
- აუხსენით, რომ ზღვის კუები გადაშენების პირას მყოფი ცხოველები არიან.
- აჩვენეთ ბავშვებს ზღვის ვარსკვლავებისა და ზღვის ზღარბების სურათები.
- მოიძიეთ ინფორმაცია და ისაუბრეთ მათ შესახებ.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ზღვის ვარსკვლავის სურათები, საღებავები, ბუშტუკებიანი შესაფუთი პოლიეთილენის პარკი და თეთრი ქაღალდისგან გამოჭრილი ზღვის ვარსკვლავის ფორმები. სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ ბუშტუკებიანი შესაფუთი. წაახალისეთ, გამოიყენონ სხვადასხვა ფერის საღებავები და დაადონ ვარსკვლავის ფორმას. ბავშვების გაკეთებული ზღვის ვარსკვლავები ერთ დიდ ლურჯ ფორმატზე გაფინეთ.
- დაამზადეთ პაპიე-მაშეს წყლის ბინადარი.
- მოიმარაგეთ მომრგვალებული ფორმის ერთჯერადი კონტეინერები (მაგალითად, ხაჭოს ყუთები) და სთხოვეთ, გააფორმონ როგორც კუს ჯავშანი. სქელი ფურცლისგან კუს თავი და ფეხები გამოჭრან და ჯავშანს მიაწებონ.
- აჩვენეთ ბავშვებს ზღვის ზღარბების სურათები. სთხოვეთ, დაამრგვალონ პლასტელინი, ჩაურჭონ ჩხირები და საღებავით შეღებონ, რომ ზღვის ზღარბს დაამსგავსონ.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ სელაპის ხმის ჩანაწერი.
- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ კუების გასწრობანა. მიიმაგრონ ყუთები ზურგზე და იმოძრაონ კუებივით.
- დაასახელეთ სხვადასხვა ცხოველები და თევზები, სთხოვეთ ბავშვებს, ხმელეთზე მცხოვრები არსების დასახელებისას, ადგილზე იარონ და როდესაც გაიგონებენ ისეთი არსების სახელს, რომელიც წყალში ცხოვრობს, ხელები აამოძრაონ, ვითომ ცურავენ.

სამაგიდო



- თითოეული ბავშვისთვის ამობეჭდეთ სელაპის კონტური, დაურიგეთ კალკის ფურცელი და ფლომასტერი. სთხოვეთ, გადაიხატონ (დანართი 2.14.9.).
- წინასწარ დაამზადეთ „თასმის“ ბარათები. ამობეჭდეთ, გამოჭერით და ლამინირება გაუკეთეთ(დანართში 2.14.10.) მოცემულ ბარათებს. შემდეგ სპეციალური ხელსაწყოთი ნახვრეტები გაუკეთეთ. მოიმარაგეთ თასმები ან სქელი ძაფები და სთხოვეთ ბავშვებს, ნახვრეტებში გაუყარონ.

სენსორული

- მოიმარაგეთ პლასტმასის პატარა კვერცხები, რომ ბავშვებმა ჩაფლან ქვიშაში ისე, როგორც ამას დედა კუ აკეთებს.

დრამატული



- ისაუბრეთ მეკობრეებზე. ბავშვებს ცალი თვალი აუკარით და უთხარით, რომ ოქროს მაძებარი მეკობრეები არიან. დაძებნონ ქვიშაში წინასწარ ჩაფლული განძი.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ზღვის ვარსკვლავი“.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „რვაფეხა“.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ სხვადასხვა მსუბუქი საგანი, რომ ბავშვებმა სცადონ მათი ცხვირზე გაჩერება.
- მოიმარაგეთ ზღვის და ხმელეთის კუს სურათები. სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ და აღწერონ მათი მსგავსებები და განსხვავებები.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, წყლის სამყაროს რომელი ბინადარი მოეწონათ ყველაზე მეტად.

დედის დღე

შენიშვნა: გაითვალისწინეთ და იყავით ფრთხილად, ზოგიერთ ბავშვს დედა არ ჰყავს ან მონაწილეობას არ იღებს მათ აღზრდაში. წაახალისეთ ისინი, იფიქრონ ქალზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ ცხოვრებაში.

დილის წრე

- სთხოვეთ ბავშვებს, მოიტანონ დედის ან მათთვის ძვირფასი ადამიანის სურათი. საკუთარი სურათი აჩვენონ სურათზე გამოსახული ადამიანი და თქვან, რაიმე განსაკუთრებული მათზე.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რისი კეთება უყვართ დედასთან ერთად.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა დედის დღეა.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ფურცლები, პასტელები, საღებავები, თასმები/მაქმანი და წებო. სთხოვეთ ბავშვებს, დაამზადონ დედის დღის ბარათი. გაატანეთ სახლში რომ აჩუქონ დედას.
- მოიმარაგეთ ჟურნალები, მაკრატლები, წებო და ფურცელი. სთხოვეთ ბავშვებს, გადაათვალიერონ ჟურნალები და ამოჭრან იმ საგნის ფოტო, რისი საჩუქრად მიღებაც მათ დედებს გაუხარდებოდათ. სთხოვეთ, დაამზადონ კოლაჟი.
- მოიმარაგეთ საღებავები და ფურცლები და სთხოვეთ ბავშვებს, დედის პორტრეტები დახატონ.
- ყელსაბამი დედისთვის. მოიმარაგეთ გრძელ სამკუთხედებად დაჭრილი ფერადი ქაღალდი ან ჟურნალებიდან ამოჭრილი ჭრელაჭრულა გვერდები. სთხოვეთ ბავშვებს, დაახვიონ სამკუთხედები ფანქარზე დიდი გვერდიდან წვერისკენ. წვერზე წაუსვან წებო და დაამაგრონ. გამოაცალონ ფანქარი და მის ნაცვლად გაუყარონ ფერადი თოკი.
- მოიმარაგეთ სხვადასხვა ზომის ფერადი ღილები, წინასწარ ამოჭერით დანართში 1.15.1. მოცემული ყვავილები, სთხოვეთ ბავშვებს, გააფერადონ, დააწებონ ფერად ფურცელზე, გულის მაგივრად ღილი დააწებონ.
- თაიგული დედისთვის. მოიმარაგეთ ოთხკუთხად დაჭრილი კრეპის ქაღალდი ან თხელი ფერადი ქაღალდი, ან ფერადი შიფონი, სთხოვეთ ბავშვებს, დაკეცონ წვრილი მარაოსავით და შუაში მწვანე მავთულის ღერო შემოაჭდონ ისე, რომ მიიღონ ფუმფულა ყვავილის ფორმა.
- მოიმარაგეთ მცირე ზომის ყუთები და სხვადასხვა სახის მეორეული მასალა (ქსოვილის ნაჭრები, ღილები, ბაფთები და ა.შ.) და სთხოვეთ ბავშვებს, გააფორმონ ყუთები დედისთვის სამკაულის ჩასალაგებლად.

მუსიკა და მოძრაობა

- ითამაშეთ „დედა, შეიძლება?“ ბავშვები სათითაოდ გამოიყვანეთ და სთხოვეთ კონკრეტულ ცხოველს მიბაძოს, მაგალითად, განასახიეროს კატის ნახტომი, ცხენის ჭენება, ლეკვის კუნტრუში და სხვა. წაახალისეთ, შესაბამისი ხმებიც გამოსცენ. თამაშის წესების მიხედვით ბავშვი არ უნდა გაინძრეს, სანამ არ იკითხავს: „დედა, შეიძლება?“ და მასწავლებელი უპასუხებს: „კი, შეიძლება.“

სამაგიდო



- სთხოვეთ ბავშვებს, დაახარისხონ „რისი კეთება მიყვარს“ აქტივობის ბარათები (დანართი 1.15.2.) ორ კატეგორიად „რისი კეთება მიყვარს დედასთან ერთად“ და „რისი კეთება მიყვარს მარტო.“

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „დედა“, „ჩემო კარგო დედილო“, „ციალას წერილი“.
- ჩემი დედის დედა. ისაუბრეთ ბავშვებთან იმის შესახებ, რომ დედებსაც ჰყავთ დედა. დაეხმარეთ, გაიაზრონ, რომ მათი ბებიები და ბაბუები მათი მშობლების დედები და მამები არიან. ბავშვებს, რომლებსაც დიდი ბებიაც ჰყავთ, აუხსენით რომ ის მათი ბებიას (ან ბაბუას) დედაა.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ნუღარ დამიბერდები“.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის შიფონი, ბრჭყვიალა ქსოვილები და სხვა აქსესუარები და სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებითა და ამ ნივთების გამოყენებით დედებისთვის სასახლეების აშენება.

კულინარია

- დაამზადებინეთ ბავშვებს მარტივი ნამცხვარი დედის დღის აღსანიშნავად.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, როგორ და ვის მიულოცავენ დედის დღეს?
- ჰკითხეთ, რომელი აქტივობა მოეწონათ დღის მანძილზე, რატომ?

ჰიგიენა

1. ბანაობა
2. ბაქტერიები
3. სუფთა ხელები
4. კბილების მოვლა

1. ბანაობა

დილის წრე

- წინასწარ მოიმარაგეთ საპონი, კბილის და თმის ჯაგრისი, კბილის პასტა, ღრუბელა, პირსახოცი. ჰკითხეთ ბავშვებს, რისთვის გვჭირდება ეს ნივთები.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რატომ ვბანაობთ? რატომ არის აუცილებელი ხშირი ბანაობა, დღეში რამდენიმეჯერ არის საჭირო ხელების დაბანა? რატომ ვიყენებთ საპონს, წყალს, ღრუბელს.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რას აკეთებენ იმისათვის, რომ ბანაობა უფრო სახალისო იყოს (მაგ. წყალში სათამაშოებით თამაში, წარმოიდგინონ, რომ ნავით ცურავენ ან ზღვის სანაპიროზე არიან, ან ვეშაპთან, დელფინთან ერთად ცურავენ).

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ჭუჭყიანი და სუფთა ბავშვი.
- აპლიკაცია: „მხიარული საპონი“. წინასწარ გამოჭერით დანართში მოცემული საპნის ნიმუში, გააფერადებინეთ ბავშვებს და დააწებებინეთ ფერად ქაღალდზე; (დანართი 2.16.1.)
- მოიმარაგეთ ხელის მშრალი საპნები და ახატვინეთ ბავშვებს მუქი ფერის ქაღალდზე;
- „ქაფი-ქუფი“ ნახატი. მოამზადეთ საშუალო სიღრმის პლასტმასის ჯამი, ჩაასხით ერთი ჭიქა თხევადი საპონი, სამი ჭიქა წყალი და ერთი ქილა თხელი გუაში ფერის მისაცემად. მოურიეთ სითხეს ისე, რომ ზედაპირზე მიიღოთ ბევრი ბუშტუკა. სთხოვეთ თითოეულ ბავშვს, რომ ფრთხილად დააფაროს ფურცელი საპნის ბუშტებს და შემდეგ ისევ აიღოს.

მოძრაობა



- სთხოვეთ ბავშვებს, ბანაობის იმიტაცია გააკეთონ შემდეგი თანმიმდევრობით: ვიბანთ თავს, შემდეგ სახეს, შემდეგ ყურებს, კისერს, ზურგს, გულმკერდს, მუცელს, ფეხებს (ეს აქტივობა სხეულის ნაწილების დასწავლაშიც შეგიძლიათ გამოიყენოთ).

სამაგიდო



- დაალაგებინეთ სურათები თანმიმდევრობით და აღაწერინეთ (დანართი 2.16.2.).

დრამატული

- წინასწარ მოიმარაგეთ ცარიელი შამპუნის, თხევადი საპნის და სხვადასხვა სარეცხი თუ საბანაო საშუალებების ცარიელი კონტეინერები (შეიძლება ბავშვებს ჰქონდეთ ალერგიული რეაქცია სარეცხ საშუალებებზე. ამიტომ სასურველია კონტეინერები კარგად გამოსუფთავებული იყოს.). მოათავსეთ ეს მასალა დრამატული თამაშისთვის ერთ ადგილას, რომ ბავშვებმა საკუთარი ფანტაზიით ითამაშონ შესაბამისი თამაში.
- მოაწყვეთ თოჯინის აბაზანა და ბავშვებს დააბანინეთ თოჯინები (წყლის გარეშეც შეუძლიათ ბავშვებს წარმოიდგინონ ბანაობის პროცესი). ჰკითხეთ, როგორ მოსწონს თოჯინას ბანაობა, რა ახალისებს, რა არ მოსწონს.

წიგნიერება

- დახატეთ ფორმატზე კაცუნა. სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ სხეულის ნაწილები იმ თანმიმდევრობით, როგორც იბანენ. მიაწერეთ მათი დასახელებული სხეულის ნაწილები კაცუნას შესაბამის ადგილზე და ასევე დაწერეთ თითოეული სიტყვა პატარა ფურცელზე.

- წაუკითხეთ „მზე პირს იბანს“, „მონადირე ფისო“, „ანაო“, „ჭუპა-ჭუპა“. ჰკითხეთ, რომელი ცხოველია უფრო ჭუჭყიანი, კატა თუ ღორი? ჩვენ თუ გვეყოფა ისევე გასუფთავება, როგორც კატას? ამიტომ უნდა დავიბანოთ ხელი ცხოველთან კონტაქტის დროს, ის არასდროს არ არის საკმარისად სუფთა.

მეცნიერება

- საძაგელი მიკრობები. წინასწარ მოიმარაგეთ კარტოფილი, დანა (მხოლოდ მასწავლებლისთვის), პოლიეთილენის 2 პარკი ჩამკეტით, ფლომასტერი, ქაღალდის სკოჩი, კარტოფილის სურათი. გაფცქვენით დიდი კარტოფილი და გაჭერით შუაზე. მანამ, სანამ ბავშვები ხელებს დაიბანენ (ჭუჭყიანი ხელებით), მიაწოდეთ ერთი ნახევარი და სთხოვეთ, ხელები კარგად წაუსვან კარტოფილს და გადააწოდონ შემდეგ ბავშვს, ისიც კარგად წაუსვამს ხელებს კარტოფილს და გადააწოდებს და ა.შ. ბოლოს ჩადეთ კარტოფილი პოლიეთილენის პარკში, ჩაკეტეთ და დააწერეთ „ჭუჭყიანი ხელები“ ან დააკარით ჭუჭყიანი ხელის ნახატი. მას შემდეგ, რაც ყველა ბავშვი ხელებს კარგად დაიბანს, ჩამოატარეთ კარტოფილის მეორე ნახევარი და იგივე სთხოვეთ ბავშვებს, ახლა უკვე სუფთა ხელებით. შეინახეთ კარტოფილი მეორე პოლიეთილენის პარკში, ჩაკეტეთ და დააწერეთ „სუფთა ხელები“ ან დააკარით სუფთა ხელის ნახატი. წაახალისეთ ბავშვები, ისევ დაიბანონ ხელები. მოათავსეთ პარკები ისეთ ადგილას, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში დააკვირდეთ, რა მოხდება პარკებში. გააკეთეთ შესაბამისი დასკვნა ჭუჭყიანი ხელების შესახებ. აქტივობისთვის შეარჩიეთ ისეთი დრო, როდესაც ბავშვებს რეალურად ჭუჭყიანი ხელები ექნებათ. მაგ. ეზოში ყოფნის შემდეგ. **ყურადღება: არავითარ შემთხვევაში არ გახსნათ პარკები, ისინი ბოლოს პირდაპირ პარკიანად უნდა გადააგდოთ, რადგან მასში საშიში ბაქტერიები გაჩნდება**. გააკარით კარტოფილის სურათი პირსაბანთან, რომ ბავშვებს გაახსენდეთ ხელების დაბანის მნიშვნელობა.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს სისუფთავის მნიშვნელობის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ?
- რას ფიქრობენ, სხეულის რომელი ნაწილების სისუფთავეა ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელი ნაწილები ისვრება ყველაზე ხშირად?

2. ბაქტერიები

ეცადეთ ბაქტერიებზე საუბრისას ზომიერება დაიცვათ, რომ ბავშვებს შფოთი არ გაუჩნდეთ.

დილის წრე



- დააკვირდით, წინა დღით პარკებში შენახულ კარტოფილებს. რამე ცვლილებას ამჩნევენ ბავშვები?
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ წარმოუდგენიათ ბაქტერიები და მიკრობები. უთხარით, რომ ზოგიერთი ჭუჭყი თვალით ადვილი შესამჩნევია, ბაქტერიები და მიკრობები კი ისეთი ციცქნა ორგანიზმებია, რომ თვალით შეუმჩნეველია.

- ჰკითხეთ, მათი აზრით, როგორ ხედავს ადამიანი ბაქტერიებს?
- ესაუბრეთ მიკროსკოპის შესახებ, როგორ აკვირდებიან თვალით შეუმჩნეველ რაღაცებს მიკროსკოპში.
- იმსჯელეთ, რა გზით ვრცელდება ბაქტერიები ერთი ადამიანიდან მეორეზე. რითი ვაჩერებთ ბაქტერიების გავრცელებას.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, ბაქტერიები და მიკრობები დახატონ.
- „უხილავი ბაქტერიები“. მოიმარაგეთ თეთრი ქაღალდი, თეთრი ზეთოვანი პასტელი და აკვარელის საღებავი. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ პასტელით თეთრ ფურცელზე

ბაქტერიები და შემდეგ გადაუსვან ფუნჯით საღებავები. ბავშვები დაინახავენ, რომ თეთრი კონტური გამოიკვეთება. უთხარით ბავშვებს, რომ სწორედ ასეთი უხილავები არიან ბაქტერიები.

- მოიმარაგეთ ფერადი პლასტელინი და სთხოვეთ ბავშვებს, გამოძერწონ ბაქტერიები (როგორც წარმოუდგენიათ. თუ სურთ პატარ-პატარა ნაკუწებად დაკუწონ. ბავშვების ყველანაირი იდეა და ძალისხმევა წაახალისეთ).

მუსიკა და მოძრაობა



- *საბანაო სიმღერა.* სიმღერის დროს წაახალისეთ ბავშვები, განასახიერონ სიმღერაში აღწერილი სიუჟეტი (პანტომიმა)

  – ჭუპა-ჭუპა წყალი მალე
  თავი უკვე დავიბანე,
  უფ, რამდენი ქაფი დადგა
  სულ ყელამდე დავიმალე ....

- *საბავშვო ბაღის ნივთების გასუფთავება.* წინასწარ მოიმარაგეთ ტაშტი, თხევადი საპონი, პატარა ღრუბლები, სარეცხი ჩვარი, პირსახოცი, სათამაშოები, რომელთა გარეცხვაც შეიძლება. თბილ ამინდში დადგით ტაშტი ბავშვებისთვის კომფორტულ სიმაღლეზე, ჩაასხით წყალი და საპონი. დაურიგეთ ბავშვებს ღრუბლები და სარეცხი ჩვარი. აარჩევინეთ ბავშვებს ის სათამაშოები, რომელიც ბავშვს სურს რომ გარეცხოს (ისეთი, რომ შეიძლებოდეს ამ სათამაშოს წყალში ჩადება). წაახალისეთ, გარეცხონ და გაამშრალონ სათამაშოები.
  ყურადღება: არ დატოვოთ ბავშვები წყალთან მეთვალყურეობის გარეშე.

სამაგიდო



- ათამაშეთ ლოტო „ჭუპა–ჭუპა“ (დანართი 2.16.3.).

დრამატული

- *სუფთა ტანსაცმელი.* წინასწარ მოიმარაგეთ დიდი მუყაოს ყუთი (სარეცხი მანქანის, ან ტელევიზორის), ფლომასტერი, სარეცხი ფხვნილის ცარიელი კოლოფი და ტანსაცმელი. გააკეთეთ მუყაოს ყუთისგან სარეცხი მანქანა, გამოჭერით კარი, დაახატეთ ჩასართავ-გამოსართავი ღილაკი. აუხსენით ბავშვებს, რამდენად მნიშვნელოვანია სუფთა ტანზე სუფთა ტანსაცმლის ჩაცმა; ჭუჭყიანი ტანსაცმლის რეცხვა. მიეცით საშუალება ბავშვებს ითამაშონ დრამატული თამაში ერთად შექმნილი სარეცხი მანქანით და ტანსაცმლით. ბავშვებმა სარეცხი მათ სიმაღლეზე გაჭიმულ თოკზე გაფინონ, გამოიყენონ სარეცხის სარჭები.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ბაქტერიები“ ესაუბრეთ იმაზე, რომ ენაში ზოგი სიტყვა მარტივია, ზოგი – რთული. უთხარით, რომ სიტყვები, რომელსაც უფრო ხშირად ვხმარობთ, უფრო იოლად გვეჩვენება. უთხარით, რომ ბაქტერიები და მიკრობები მეცნიერების გამოგონილი სიტყვებია. მათ ხშირად არ ვხმარობთ და ამიტომ ცოტა გვიძნელდება დამახსოვრება. სთხოვეთ, ჩამოთვალონ, მათი აზრით, მარტივი სიტყვები, შემდეგ – რთული.
- გაამეორებინეთ, რა არის მიკროსკოპი, რა არის გამადიდებელი შუშა. რატომ ჩანს მასში ჩვენი თვალით უხილავი რაღაცები? ჰკითხეთ, თუ უგრძვნიათ სიმსუბუქე დაბანის შემდეგ? არის თუ არა უკეთეს ხასიათზე ახალდაბანილი ადამიანი? სთხოვეთ, სახის მიმიკებით და სიტყვებით აღწერონ, რა შეგრძნებაა: როცა ხარ სუფთა და როცა ხარ ჭუჭყიანი?

მეცნიერება

- წინასწარ მოიმარაგეთ ბრჭყვიალა წებო (სპეციალური ბლანტი წებოვანი სითხე, რომელშიც შერეულია ბრჭყვიალა ფხვნილი) ბავშვებს სათითაოდ დააწვეთეთ ხელისგულზე. სთხოვეთ, გაუსვან ხელისგულები ერთმანეთს. უთხარით ბავშვებს, წარმოიდგინონ, რომ ეს ბრჭყვიალები ბაქტერიებია და დააკვირდნენ, როგორ გავრცელდება ეს ბრჭყვიალები სხვადასხვა საგნებზე. შემდეგ უთხარით ბავშვებს, მიადონ ოთახში ხელი სხვადასხვა საგნებს და დააკ-

ვირდნენ ბაქტერიების გადასვლას. შემდეგ უთხარით, ხელები საპნით ისე დაიბანონ, რომ ბრჭყვიალა წებო მთლიანად გაეცალოთ. დააკვირდნენ, რას ნიშნავს ხელის კარგად დაბანა.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა მოეწონათ დღეს ყველზე მეტად?
- რა გაიგეს ბაქტერიების და მიკრობების შესახებ?
- როგორ ვრცელდება ჭუჭყი?

3. სუფთა ხელები

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რას აკეთებენ მეგობართან თამაშისას იმისათვის, რომ ბაქტერიები ერთმანეთს არ გადასდონ? (ხელის საპნით და წყლით დაბანა, სადეზინფექციო სითხის გამოყენება, ხელის დაბანა ჭამამდე და ჭამის შემდეგ, ტუალეტის შემდეგ, დახველების და დაცემინების შემდეგ, ცხოველებთან შეხების შემდეგ, ხელის დასვრის შემდეგ).
- გაითამაშეთ მინი პიესა ხელის თითებისთვის (იხ. წიგნიერების დანართი.)

ხელოვნება



- დახატეთ ორი ხელის მტევნის კონტური ფურცელზე (შეგიძლიათ შემოხაზოთ თქვენი ხელები). მიამაგრეთ ფურცელი დაფაზე. განიხილეთ სხვადასხვა სახის ჭუჭყი, რაც შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვების ხელებზე: საღებავი, ტალახი, წებოვანი საკვები, და ა.შ. წაახალისეთ ბავშვები, რომ ერთ ხელზე დახატონ ჭუჭყი, ხოლო მეორე ხელი დატოვონ სუფთა.
- „სუფთა ხელები“. მოიმარაგეთ საბავშვო თიხა და ემულსია. თიხიან ზედაპირზე ბავშვებს დაატოვებინეთ ორივე ხელის ანაბეჭდი. შემდეგ გააშრეთ. სთხოვეთ ბავშვებს, მშრალ ზედაპირზე გადაუსვან ფუნჯით წებო (მხოლოდ ერთი ხელის ანაბეჭდზე) და ისევ გააშრეთ. ემულსია გადასმული ხელის ანაბეჭდი იქნება სრიალა. გაამახვილებინეთ ბავშვებს ყურადღება, რომ სუფთა ხელიც ასეთი სრიალა უნდა იყოს.

მუსიკა და მოძრაობა

- თქვენი დახმარებით ჩართეთ მთელი ჯგუფი წარმოსახვით ხელების დაბანის სრული პროცესის განსახიერებაში (პანტომიმა). მიყევით შემდეგ საფეხურებს: ონკანის მოშვება, ხელების დასველება, ონკანის დაკეტვა, საპნის დაწვეთება ერთ ხელზე, საპნის წასმა ხელების ორივე ზედაპირზე, ხელების ერთმანეთზე წასმა საპნის ასაქაფებლად, საპნის კარგად წასმა ხელებზე, თითებზე, თითებს შორის ადგილებზე, ერთი ხელის ფრჩხილების მეორე ხელის გულზე კარგად წასმა, ხელების ერთმანეთზე წასმა სულ მცირე 30 წმ-ის განმავლობაში (იმღერეთ საყვარელი სიმღერა, რომ დრო მხიარულად გავიდეს), ხელების შეშვერა სუფთა წყლის ქვეშ, გამშრალება პირსახოცით.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ჰიგიენა“. ააღწერინეთ აბაზანა. რა ნივთებს ვინახავთ აბაზანაში?

მეცნიერება

- *რატომ ვიყენებთ საპონს?*

წინასწარ მოიმარაგეთ გუაშით დასვრილი ნაჭრები, ტაშტი სუფთა წყლით, წამზომი, თხევადი სარეცხი საშუალება, რეზინის ხელთათმანები. ბავშვების მცირე ჯგუფს ჩამოურიგეთ ჩვრები. დაათვალიერონ, რამდენად დასვრილია. წაახალისეთ, რომ ბავშვების პატარა ჯგუფმა ერთი ტაშტი გაიზიაროს. სთხოვეთ, 1 წთ-ის განმავლობაში ეცადონ და როგორც შეუძლიათ, გარეცხონ, შემდეგ გაწურონ, გაშალონ და დააკვირდნენ. განიხილეთ მათი დაკვირვების შედეგები. დააწვეთეთ დიდი წვეთი თხევადი სარეცხი საშუალებისა თითოეულის ჩვარზე და სთხოვეთ, ისევ

გააგრძელონ 1 წთ-ის განმავლობაში რეცხვა. ისევ გაწურონ და გაშალონ ჩვარი და დაათვალიერონ. განიხილეთ შედეგები. ჰკითხეთ ბავშვებს, რა გამოვიდა დაკვირვების შედეგად, უმჯობესია საპნის გამოყენება. თუ – არა?

კულინარია



- *პირველ რიგში ვიბანთ ხელებს!* გაამახვილეთ ყურადღება, რატომ ვიბანთ ხელებს ჭამის წინ და ჭამის შემდეგ, ასევე საჭმლის მომზადების წინ და შემდეგ. შემდეგ გამოაცხვეთ ხელის ანაბეჭდიანი მჭადები.

საღამოს წრე

- რომელი აქტივობა მოეწონათ?
- სთხოვეთ, აუხსნან თოჯინას, რატომ არის აუცილებელი ხელების ხშირი დაბანა?

4. კბილების მოვლა

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რისთვის გვჭირდება მათი აზრით კბილები?
- როგორ ვუვლით კბილებს?
- ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი (აუცილებელი) კბილების გამოხეხვა?
- საუზმისას სთხოვეთ ბავშვებს, ჭამის დროს ყურადღება მიაქციონ რამდენად მნიშვნელოვანია კბილები კვების პროცესში. შეგიძლიათ ამისათვის კრეკერები დაურიგოთ. განასხვავებინეთ წინა და უკანა კბილები. შესთავაზეთ, რომ კრეკერი ჯერ წინა კბილების მეშვეობით დაღეჭონ, შემდეგ კი უკანა კბილებით. რა განსხვავებას ხედავენ?

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ კბილები გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ.
- წინასწარ მოიმარაგეთ ნაცრისფერ მუყაოზე დახატული კბილები. თეთრი საღებავი და კბილის ჯაგრისები. სთხოვეთ ბავშვებს, კბილები გააფერადონ „გაათეთრონ“ კბილის ჯაგრსით და თეთრი საღებავით.
- „ღიმილი“: მოიმარაგეთ შუაზე გაჭრილი საღეჭი რეზინის თეთრი ბალიშები, ნახევარწრედ გამოჭრილი მუყაო და ამავე ზომაზე გამოჭრილი წითელი ფერის ქაღალდი, გუაში, ემულსია. სთხოვეთ ბავშვებს, გააფერადონ ორივე მუყაო ვარდისფრად, ხოლო ერთ-ერთ მუყაოზე გაშრობის შემდეგ დააწებებინეთ წითელი ქაღალდი. დაეხმარეთ ბავშვებს, დააწებონ შუაზე გადაჭრილი საღეჭი ბალიშები ნახევარწრეზე. კარგად გააშრეთ. ერთ-ერთ მუყაოს ზემოდან დააწებეთ თვალები (საღეჭი რეზინის ნაცვლად შეგიძლიათ იხმაროთ სხვა მასალაც. მაგ. თეთრი თიხა, პლასტელინი).



- *აპლიკაცია:* „კბილის ჯაგრისი“: წინასწარ გამოჭერით მუყაოსგან საჭირო ნაწილები: ერთი ჯაგრისისთვის დაგჭირდებათ ერთი წაგრძელებული მართკუთხედი ტარისთვის, ერთი ოთხკუთხედი ჯაგრის ადგილისთვის და წვრილ ზოლებად დაჭრილი ქაღალდი ჯაგრისთვის. დააწებებინეთ ფერად ქაღალდზე ეს მასალა ნიმუშის მიხედვით.
- დაახატვინეთ ბავშვებს გაღიმებული პორტრეტები, შემდეგ თეთრი პლასტელინის ან თიხის გამოყე-

ნებით გამოაძერწვინეთ ბავშვებს კბილები და დააწებებინეთ პორტრეტს გაღიმებულ პირზე.

- პაპიე-მაშეს ტექნიკის გამოყენებით დაამზადებინეთ ბავშვებს ერთი დიდი კბილი და შეაღებინეთ თეთრად.

სამაგიდო



- დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა საკვების ბარათები. სთხოვეთ, დაახარისხონ საკვები იმის მიხედვით, თუ რომლის შესაჭმელად გვჭირდება კბილები და რომლის – არა (დანართი 2.16.4.).
- სთხოვეთ ბავშვებს, სურათები დაალაგონ თანმიმდევრულად (დანართი.2.16.5.).

დრამატული



- ათამაშეთ ბავშვები „სტუმრად კბილის ექიმთან“

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს „ტოპო-ტიპი კბილებს არ იხეხავს.“[1]
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „დღეგრძელობის წამალი“ და „უკბილო მგელი“.
- ჰკითხეთ, თუ გაუგიათ სიტყვა: „კარიესი“. ეს სიტყვა ტელევიზორში რეკლამებისას ისმის. აუხსენით მნიშვნელობა. ჰკითხეთ, ეს სიტყვა, მათი აზრით, ძნელია თუ ადვილი. სთხოვეთ, თავად მოიფიქრონ კბილის მოვლის საშუალებების რეკლამა. საჭიროების შემთხვევაში მიეხმარეთ. შემდეგ სთხოვეთ, მოიფიქრონ საერთოდ კბილის მოვლის რაიმე მოკლე, მარტივი, სლოგანი. ვთქვათ: არ დაგავიწყდეთ კბილების გამოხეხვა და არ შეგაწუხებთ ტკივილი – ან რაიმე ამის მსგავსი.შეეცადეთ, ბევრი ვარიანტი ათქმევინოთ. ჩამოწერეთ დაფაზე.
- ისაუბრეთ კბილების მნიშვნელობაზე მეტყველების დროს. დაასახელებინეთ ბავშვებს ასოები და სთხოვეთ, ხელები ასწიონ, როდესაც ენა კბილებს შეეხება. (ქართულში კბილისმიერი ბგერებია: დ, თ, ტ)
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „ნილოსის სკოლა.“

მეცნიერება

- წინასწარ მოიმარაგეთ მოხარშული კვერცხი და კოკა-კოლა. წარმოიდგინეთ, რომ ეს მოხარშული კვერცხები თქვენი კბილებია, ლამაზი და თეთრი. ხოლო მუქი გაზიანი სასმელი (მაგ. „კოკა-კოლა“) ის ნივთიერება, რომელიც მავნეა თქვენი კბილებისთვის. ბავშვები მცირე ჯგუფებად დაყავით. დაურიგეთ თითოეულ ჯგუფს ჭიქით „კოკა-კოლა“. შემდეგ ბავშვებმა ჩადონ კვერცხი სასმელიან ჭიქაში. ჰკითხეთ, როგორ ფიქრობენ, რა დაემართება თეთრი ფერის კვერცხს თუ მეორე დილამდე დავტოვებთ ასეთ ჭიქაში? მეორე დღეს შეამოწმეთ, რა მოუვიდა კვერცხს? შემდეგ კი დაურიგეთ თითოეულ ჯგუფს კბილის ჯაგრისი და ფრთხილად გააწმენდინეთ კვერცხი (ანუ კბილი). როგორ გამოიყურება კვერცხი (კბილი) გაწმენდის შემდეგ?

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს კბილების მოვლის შესახებ?
- გაამეორებინეთ, რამდენჯერ და როგორ უნდა გაიხეხონ კბილები.

1 კასალისი ა. 2007. ტოპო-ტიპი კბილებს არ იხეხავს. ქართ. ტექსტი: თ. მამულაშვილი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

პირველი აპრილი

დილის წრე

- დაიწყეთ დღე რაიმე ტყუილით (მაგალითად, ვითომ ხმა გაქვთ ჩახლეჩილი და ლაპარაკი გიჭირთ) და სიცილით გამოუცხადეთ ბავშვებს: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია!“

- ისაუბრეთ პირველი აპრილის „დღესასწაულზე“:
  - ის არ არის ნაციონალური დღესასწაული. მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ ამ დღეს.
  - ინგლისურენოვან ქვეყნებში მას „ხუმარების დღეს“ ეძახიან.
  - ამ დღეს ადამიანები ერთმანეთს ატყუებენ და სასაცილო რაღაცებს უკეთებენ ან აკეთებინებენ. საფრანგეთში კი ერთმანეთს ზურგზე თევზს აწებებენ და ამას „აპრილის თევზს“ ეძახიან.
  - ეს არის მხიარულების და იუმორის დღესასწაული.
  - მისი სათავეები არ არის ცნობილი, მაგრამ ძალიან ძველი დღესასწაულია, საუკუნეების წინათაც „ასულელებდნენ“ ერთმანეთს.
- გამოიყენეთ ეს დღე იმაზე სასაუბროდ, თუ რა არის სასაცილო და რა – საწყენი. სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ სასაცილო ოინები, რომელიც შეუძლიათ თავიან ოჯახის წევრებს მოუწყონ. მაგალითად, მიაწოდონ ტელეფონი დედას, ვითომ ბებო ურეკავს, ტელეფონზე კი არავინაა.

ხელოვნება



- წინასწარ გამოჭერით ცხოველების სურათები, გაჭერით შუაზე და დააწებეთ თეთრ ფურცელზე. დაურიგეთ თითოეულ ბავშვს და სთხოვეთ, დაასრულონ ცხოველის ხატვა. ეცადონ სასაცილო გამოვიდეს. როდესაც დაასრულებენ, დაარქვან სახელი.
- წინასწარ თითოეული ბავშვისთვის თეთრ ფურცელზე, თეთრი პასტელით დახატეთ. დაურიგეთ ბავშვებს ფუნჯებთან და საღებავებთან (წყალში გახსნილი, წყლის 1/3 საღებავი) ერთად. გააფერადონ ფურცელი და აღმოაჩინონ ნახატი. ვარიაცია: შეგიძლიათ ბავშვებს დაახატინოთ თეთრი პასტელებით და ერთმანეთში გაცვალონ ნახატები.

- გააკეთეთ სასაცილო კოლაჟი. ბავშვებმა ამოჭრან ჟურნალებიდან სხვადასხვა საგნები და უცნაურად დააწებონ. მაგალითად, ტელევიზორზე ამოსული ყვავილები; ადამიანი, რომელსაც თავზე ფეხსაცმელები აწყვია და შარვლის მაგივრად პიჯაკი აცვია და ა.შ.

წიგნიერება

- თითოეულმა ბავშვმა სასაცილო და დაუჯერებელი წინადადება მოიფიქროს. მაგალითად, ვნახე თევზი ხეში დაცურავდა; ზაფხული იმიტომ მიყვარს, რომ შეგვიძლია თოვლში ვიგუნდაოთ; მამაჩემი მანქანას აბაზანაში რეცხავს და სხვა.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წლიანები, პირველი აპრილი): „ტყუილი თუ მართალი“, „ტყუილების წვიმა“, „სამი ტყუილი“, „სანთლის გუთანი“.

მეცნიერება

- უთხარით ბავშვებს, რომ ახლა ეტყვით სხვადასხვა წინადადებებს, ზოგიერთი მათგანი მართალია, ზოგი კი ტყუილი. მათ უნდა გამოიცნონ, რომელია მართალი და რომელი – ტყუილი. მათი პასუხის სისწორეში დასარწმუნებლად, ცდები ჩაატარებინეთ. მაგალითად, „ბუმბული უფრო მალე დავარდება ვიდრე ბურთი“; „ჩვენს კლასში მხოლოდ სამ ბავშვს აცვია ჟაკეტი“; „გარეთ წვიმს“; „დარბაზის კედლები წითლად გადაღებეს“ და სხვა.

საღამოს წრე

- შეახსენეთ, რომ როდესაც ვინმეს გაეხუმრებიან (მოატყუებენ), არ დაავიწყდეთ: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“-ს თქმა.

პროფესიები

1. დალაქი
2. მშენებელი (დურგალი, მღებავი და სხვა)
3. კბილის ექიმი
4. მასწავლებელი
5. მზარეული

1. დალაქი

დილის წრე

- თუ შესაძლებელია, განსხვავებული ვარცხნილობა გაიკეთეთ.
- აჩვენეთ ბავშვებს თმის მოვლის საშუალებები (შამპუნი, სხვადასხვანაირი სავარცხელი, თმის დასახვევი, თმის ლაქი და ჟელე).
- ისაუბრეთ დალაქზე, წაახალისეთ, გიამბონ თავიანთი გამოცდილების შესახებ.
- აჩვენეთ დალაქის სურათები მუშაობის პროცესში.

ხელოვნება



- ერთჯერადი თეფშებისგან დაამზადებინეთ თავები, თმისთვის გამოიყენეთ ძაფები და ლენტები. ასწავლეთ ბავშვებს, როგორ დაუხვიონ თმა ლენტის ფანქარზე დახვევით.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ სქელი ძაფები ნაწნავის გასაკეთებლად.
- მოიმარაგეთ თმის სამაგრები და აქსესუარები. წაახალისეთ ბავშვები, აქსესუარები წკაპებით აიღონ.
- მოიმარაგეთ ძაფისგან გაკეთებული „ცხენის კუდები“ და მაკრატლები. წაახალისეთ ბავშვები, დაწყვილდნენ და თავიანთ მეწყვილეს შეეჯიბრონ, ვინ უფრო მალე მოაჭრის კუდს. ოღონდ სათითაოდ უნდა მოაჭრან თითოეული ძაფი.

დრამატული



- მოიმარაგეთ სათამაშო თმის საშრობი (ფენი) ან რაიმე მიმსგავსებულ საგანს დაარქვით „ფენი“, თმის სამაგრები, სავარცხლები, სარკეები და ცარიელი შამპუნის ბოთლები. წაახალისეთ ბავშვები, მოაწყონ სილამაზის სალონი.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ხოტორა“ და „სილამაზის სალონი“.

მეცნიერება

- ერთჯერად ჭიქებზე სახე მოახატინეთ, ჩაყარეთ მიწა და დათესეთ ხორბალი. დააკვირდით, როგორ ამოუვა თქვენს კლიენტს „თმა“ და როცა დრო მოვა, შეაჭერით.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად.

2. მშენებელი (დურგალი, მღებავი და სხვა)

დილის წრე

- აჩვენეთ ბავშვებს ხისგან გაკეთებული რაიმე ნივთი (სათამაშო). კარგი იქნება, თუ ჩიტის სახლს აჩვენებთ.
- აჩვენეთ დურგლის და მღებავის სამუშაო იარაღები (წინსაფარი, ფანქარი, მეტრიანი, ჩაქუჩი, ლურსმნები, ჭანჭიკები, სახრახნისი, ხერხი, ფუნჯები და ა.შ.).
- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ თითოეულ ნივთს მშენებლები.
- აჩვენეთ დურგლებისა და მღებავების სურათები.

ხელოვნება



- სხვადასხვანაირი ფუნჯებითა და საღებავებით ბავშვებს კედელზე გაკრული დიდი ქაღალდი შეაღებინეთ ან სქელი ფუნჯებით დიდი მუყაოს ყუთები, ხის ნაჭრები შეღებონ.
- მოიმარაგეთ სხვადასხვანაირი შპალერი და წაახალისეთ ბავშვები, კოლაჟი გააკეთონ.

მუსიკა და მოძრაობა

- სთხოვეთ ბავშვებს, რომ ოთახში გაიფანტონ და ძირს მოკალათდნენ. წარმოიდგინონ, რომ ისინი პატარა, ყუთისხელა სახლში სხედან და თან აქვთ ჯადოსნური საღებავი და ფუნჯი, რომელიც იმ ფერს იღებს, რომელსაც მოისურვებენ. ჩართეთ კლასიკური მუსიკა. სთხოვეთ, სახლიდან გამოვიდნენ და სახლი „შეღებონ“. როცა დაასრულებენ, „გიჩვენონ“ და აღწერონ თავიანთი სახლი.

დრამატული



- მოიმარაგეთ დიდი ყუთი (მაგალითად, სარეცხი მანქანის), რომ ბავშვებმა სახლი ააგონ. შიგნიდან შპალერი გააკრან, გარედან კი „აგურები“ (წითელი მართკუთხა ფურცლები) მიაწებონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ „კასტორი დურგლობს“, „კასტორი ღებავს“ (კლიტინგი. ქართული ტექსტი: დ. გაბუნია, თ კუხიანიძე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).
- წაუკითხეთ: „ხურო“ წიგნიერების დანართიდან.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ განსხვავებული შენობების სურათები და წაახალისეთ ბავშვები, სცადონ ამ შენობების ანალოგების კუბურებით აგება.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ სახლების და შენობების ნახაზები. აუხსენით ბავშვებს, თუ რას ნიშნავს ნახაზზე გამოყენებული ზოგიერთი სიმბოლო. მიეცით საშუალება, დააკვირდნენ ნახაზებს.
- მოუყევით სამი გოჭის ამბავი. მოიმარაგეთ თივა, ფიჩხი და აგური. სთხოვეთ ბავშვებს, ჩაატარონ ცდები იმის დასადგენად, მართლა უფრო გამძლეა თუ არა აგურის სახლი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა მოეწონათ ყველაზე მეტად დღეს.

3. კბილის ექიმი

დილის წრე



- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ჯანმრთელი კბილები გვქონდეს:
  * კბილები დღეში ორჯერ მაინც უნდა გავიხეხოთ.
  * გავიხეხოთ კბილები ტკბილი საკვების მიღების შემდეგ.
  * ვჭამოთ კალციუმის შემცველი საკვები, როგორიცაა ყველი, ხაჭო, იოგურტი და რძე...
  * მივირთვათ ხრაშუნა საკვები, მაგალითად, სტაფილო, ვაშლი და ნიახური, რომლებიც ბუნებრივად ასუფთავებენ კბილებს.
  * რეგულარულად მოვინახულოთ კბილის ექიმი.
- სთხოვეთ, გაგიზიარონ თავიანთი გამოცდილება, არიან თუ არა ნამყოფი კბილის ექიმთან.
- მოუყევით კბილის ექიმის საქმიანობის შესახებ.
- წრეზე ჩამოატარებინეთ პატარა სარკე, რომ დააკვირდნენ თავიანთ კბილებს.
- ისაუბრეთ სარძევე კბილებზე. რომელიმემ უკვე მოიცვალა კბილები? აუხსენით, რომ სარძევე კბილები ახალი კბილების ადგილს იკავებენ. როდესაც ახალი კბილი მზად არის, სარძევე კბილი მოძვრება და მის ადგილას ახალი კბილი ამოვა.
- უთხარით, რომ სიტყვა – კბილი – იწყება ასო-ბგერა კ-ზე. სთხოვეთ, გაიხსენონ სხვა ნივთები, რომლის დასახელებებიც იწყება კ-ზე. წინასწარ მოამზადეთ ნივთების სურათები.

ხელოვნება

- ამობეჭდეთ ნაცრისფერი კბილი (დანართი 2.18.1.). დაურიგეთ ბავშვებს კბილის ჯაგრისები და ცოტა თეთრ წებოში და უარომატო კბილის პასტაში არეული თეთრი საღებავები. წაახალისეთ ბავშვები, „გახეხონ“ და გაათეთრონ კბილი. სთხოვეთ, ყურადღებით იყვნენ „კბილის პასტა“ პირის ღრუში არ მოხვდეს.

სამაგიდო



- ამობეჭდეთ დანართი, გამოჭერით და დაურიგეთ ბავშვებს. სთხოვეთ, დაითვალონ კბილების რაოდენობა და გააფერადონ იმდენი ბურთულა, რამდენი კბილიც არის მოცემული (დანართი 2.18.2.).
- გააკეთეთ გრაფიკები კითხვებზე:
  * ვინ გამოიხეხა დღეს დილით კბილები?
  * ვინ არის ნამყოფი კბილის ექიმთან?

სენსორული

- ამოარჩევინეთ ბავშვებს (დანართში 2.18.3.) მოცემული სახეები და ამოუბეჭდეთ. მიეცით თეთრი ფერის სათამაშო ცომი. სთხოვეთ, გააბრტყელონ, გამოჭრან კბილები და პირში ჩაულაგონ.

წიგნიერება/მეტყველება

- წაუკითხეთ: „უკბილო მგელი“.
- აუხსენით ბავშვებს სიტყვების – სტომატოლოგი, კარიესი, კბილის ძაფი – მნიშვნელობა.
- წაუკითხეთ: მოთხრობა „სტუმრად კბილის ექიმთან“.

მეცნიერება

- დიდ ფორმატზე დახატეთ ორი დიდი კბილი, ერთი მხიარული, მეორე კი – მოწყენილი. წაახალისეთ ბავშვები, ჟურნალებში დაძებნონ და ამოჭრან საკვების სურათები (ან წინასწარ მოიმარაგეთ), შემდეგ ჩააკრან მხიარულ კბილში – თუ საკვები სასარგებლოა, თუ არ არის სასარგებლო – მოწყენილ კბილში.



- სინზე მოათავსეთ საგნები, რომლებიც ხელს უწყობენ პირის ღრუს ჯანმრთელობას: კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა, წყლის პატარა ბოთლი, პატარა სარკე, ვაშლი და სტაფილო. ისაუბრეთ თითოეული საგნის მნიშვნელობაზე. შემდეგ სათითაოდ სთხოვეთ ბავშვებს, დახუჭონ თვალები, დამალეთ ერთი ნივთი, თვალების გახელის შემდეგ გამოიცნონ, რომელი ნივთი აკლია.
- მოიმარაგეთ კბილის ჯაგრისი, პასტა და ხურდა ფული. ხურდა ფული კბილის პასტით გაწმინდონ და შემდეგ გარეცხონ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი კბილის ექიმის შესახებ?

4. მასწავლებელი

დილის წრე

- აჩვენეთ საგნები, რომელსაც მასწავლებელი ხშირად იყენებს: წიგნები, ფურცლები, ფანქარი, წითელი ფერის კალამი, ცხრილი და სხვა.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვალონ საგნები, რომლებიც მასწავლებელთან და საკლასო ოთახთან არის დაკავშირებული. გაარკვიეთ, რა იციან უფროსი და-ძმის სასკოლო გამოცდილების შესახებ.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ დაფა და ცარცი, ბავშვებმა ხატონ ან წერაში ივარჯიშონ.

მუსიკა და მოძრაობა

- მოიმარაგეთ ბურთები და ზარები. წაახალისეთ ბავშვები, ბურთი ზარს მოახვედრონ.
- წრეზე დადექით, აირჩიეთ „მასწავლებელი“, რომელიც ცენტრში ბურთით ხელში დადგება. ის თითოეულ ბავშვს სახელით მიმართავს და ბურთს უგდებს. ბავშვი იჭერს ბურთს და უკან უბრუნებს „მასწავლებელს“. როდესაც ყველა ბავშვს დაასახელებს, შეცვალეთ „მასწავლებელი“.

სამაგიდო



- დაეხმარეთ ბავშვებს მაგნიტიანი ანბანით საკუთარი სახელები და გვარები ააწყონ დაფაზე. შემდეგ ფურცელზე გადაიხატონ.

დრამატული

- საკლასო ოთახის მოსაწყობად მოიმარაგეთ დაფა, ცარცი, წიგნები, ფურცლები, ფანქრები და სკამები. ბავშვებმა მასწავლებლობანა ითამაშონ.

მეტყველება/წიგნიერება

- თითოეულმა ბავშვმა დანარჩენებს ისეთი რამ აუხსნას, რისი დამოუკიდებლად კეთებაც ცოტა ხნის წინ ისწავლა, მაგალითად, კბილების გამოხეხვა, ხელების დაბანა, თმის დავარცხნა, ფეხსაცმლის ჩაცმა და სხვა.
- წაუკითხეთ: „ნუცას სკოლა“.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რომელიმეს თუ სურს, მასწავლებელი გამოვიდეს?
- რომელიმეს ოჯახში თუ არის ვინმე მასწავლებელი?
- როგორი მასწავლებელი სურთ, რომ ჰყავდეთ?

5. მზარეული

დილის წრე



- გაუმასპინძლდით ბავშვებს რაიმე გემრიელით, მაგალითად, ფუნთუშებით.
- ჰკითხეთ, ვინ გამოაცხო ისინი?
- აჩვენეთ მზარეულების სურათები. ისაუბრეთ მათ ჩაცმულობაზე. რატომ ხმარობენ ქუდებსა და წინსაფრებს?
- აჩვენეთ სამზარეულოს ნივთები და ისაუბრეთ მათ დანიშნულებაზე (ქვაბები, ტაფები, ნამცხვრის ფორმები, ცომის გასაბრტყელებელი, თასები, მიქსერი, ქურა, კოვზები, წინსაფარი, ქუდი და სხვა).

ხელოვნება

- ფურცლები ოვალურად ან მრგვალად გამოჭერით, ვითომ მაგიდის გადასაფარებლებია, მიეცით ბავშვებს საშუალება, ისინი თავიანთი გემოვნების მიხედვით გააფორმონ.
- თეთრ, მყარ ფურცელზე წინასწარ დახაზეთ სამი წრე, ერთი კვადრატი და ერთი გრძელი მართკუთხედი. გამოაჭრევინეთ ბავშვებს. მიეცით წებო, რომ მზარეულის ქუდი ააწყონ. დაეხმარეთ თავზე მოირგონ.



სამაგიდო



- მოიმარაგეთ სინები ან გამოჭერით მუყაოსგან (დანართი 2.18.4.) და დაახატეთ სხვადასხვა რაოდენობის წრეები. ქაღალდისგან გამოჭერით ნამცხვრები ან დღის განმავლობაში ბავშვების გაკეთებული „ნამცხვარი“ გამოიყენეთ. სთხოვეთ, თითოეულ სინზე მითითებული რაოდენობის „ნამცხვარი“ დადონ.

სენსორული

- ათამაშეთ ბავშვები სხვადასხვა არომატის სათამაშო ცომით. კაკაოს პუდრი შეურიეთ ერთ გუნდაში, დარიჩინი – მეორეში, ვანილი კი – მესამეში.
- პურის ფქვილისაგან წინასწარ მოამზადეთ ცომი. შემდეგ ბავშვებმა მოზილონ, გააბრტყელონ და ორცხობილების საჭრელი ფორმებით დაჭრან.

დრამატული



- მოიმარაგეთ წინსაფრები, ქუდები და სათამაშო ცომი ბავშვებისათვის.
- მოაწყვეთ რესტორანი. დაამზადეთ მენიუ, მოიმარაგეთ საჭირო ნივთები. შეახსენეთ ბავშვებს, რომ ჯანმრთელი საკვები შეუკვეთონ.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები კუბურებით სამზარეულო ააშენონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ციცა და პიცა.“

მეცნიერება

- იმის გასაგებად, თუ როგორ ფუვდება პური, ექსპერიმენტი ჩაატარეთ. ერთ ჭიქა თბილ წყალში გახსენით ერთი სუფრის კოვზი შაქარი. ჩაამატეთ ერთი შეკვრა საფუარი.

ექსკურსია



- წაიყვანეთ რესტორანში სამზარეულოს დასათვალიერებლად.
- წაიყვანეთ საცხობში.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რომელი აქტივობა მოეწონათ. მოყვნენ გამოუცხვიათ თუ არა ოჯახის წევრებთან ერთად რამე.

აღდგომა

დილის წრე



- აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე ბამბიან თეფშზე ჯეჯილი გაახარეთ და შემდეგ მასში წითელი კვერცხები ჩაალაგეთ.
- ოთახში დამალეთ ქაღალდის წითელი კვერცხები და დილის წრეზე სთხოვეთ, დაძებნონ ისინი.
- ისაუბრეთ კვერცხის სიმბოლოზე და რატომ გახდა ის აღდგომის განუყრელი ნაწილი.
- ასწავლეთ ბავშვებს მისალმება „ქრისტე აღდგა“ – „ჭეშმარიტად!“ აუხსენით, რომ აღდგომას ყველა ქრისტიანი ასე ესალმება ერთმანეთს.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ წითელი ფერის გუაშის საღებავი და ჩაუმატეთ სიმინდის ფქვილი. დაურიგეთ ბავშვებს წინასწარ გამოჭრილი კვერცხის ფორმის ფურცლები და სთხოვეთ მათი შეღებვა. როდესაც საღებავი გაშრება, კვერცხს ფაიფურის ეფექტი ექნება. სთხოვეთ ბავშვებს, რომ კვერცხები ერთჯერად თეფშებზე დააწებონ ან მათგან ჩამოსაკიდებელი სათამაშოები დაამზადეთ.
- იმისთვის, რომ მოხატული კვერცხები შეინახოთ, საჭიროა მისი შიგთავსისგან დაცლა. ამისთვის მოიმარაგეთ კვერცხები, კონტეინერები და წვეტიანი ნივთი (მაგალითად, ჭიკარტი). დაეხმარეთ ბავშვებს, კვერცხი ორივე ბოლოში გახვრიტონ, დაიჭირონ კონტეინერის თავზე და ჩაბერონ ერთი ბოლოდან. სთხოვეთ, გამოსუფთავებულ კვერცხს ფრთხილად მოექცნენ, რომ არ გატყდეს. მოიმარაგეთ რეზინები და მწვანილი (ნიახურისა და ოხრახუშის ფოთლები). სთხოვეთ ბავშვებს, შემოარტყან რეზინები და შექმნან კომპოზიციები მწვანილის გამოყენებით. შემდეგ შეღებონ კვერცხი წითელი საღებავით. როდესაც გაშრება, მოაცალონ ფოთლები და რეზინა.
- ბამბის ბატკნები. სთხოვეთ ბავშვებს ბამბის ბურთულები მცირე ზომის ერთჯერად თეფშს მიაწებონ, შემდეგ სქელი ქაღალდისგან გამოჭრილი ფეხები, თავი და კუდი მიამაგრონ, თვალების გაკეთება არ დაგავიწყდეთ.
- ვარიაცია: მოკუჭეთ ძველი გაზეთი, გადააკარით ქაღალდის სკოჩი ისე, რომ ბურთივით დამრგვალდეს. საწრუპები (უმჯობესია შავი ფერის იყოს) დაჭერით პატარა ნაწილებად და სკოჩის ბურთს ოთხი ცალი შეურჭეთ, ვითომ ბატკნის ფეხებია. დასკოჩილ ქაღალდს მთელ ზედაპირზე დააწებეთ ბამბის ბურთები. სქელი ქაღალდისგან გამოჭერით თავები. არ დაგავიწყდეთ თვალების გაკეთებაც. ამისთვის გამოჭერით თეთრი სქელი ქაღალდისგან წრე და შავი სქელი ქაღალდისგან შედარებით პატარა ზომის წრე. ისე მიაწებეთ, რომ სასაცილო და საყვარელი ბატკნები გამოგივიდეთ.



მუსიკა და მოძრაობა

- მოიმარაგეთ სუფრის კოვზები და მოხარშული ან პლასტმასის კვერცხები. წაახალისეთ ბავშვები, გაიარონ რაიმე მანძილი ისე, რომ კვერცხი კოვზიდან არ გადმოუვარდეთ.
- ბავშვები წრიულად დასხით და სათამაშო კვერცხი მიეცით. სანამ მუსიკა ჩართულია, კვერცხი წრეზე გადააწოდონ. მუსიკის გამორთვისას ვისაც კვერცხი ხელში შერჩება, „კალათაში“ გადაინაცვლებს (თამაშიდან გავარდება).

- მოიმარაგეთ პლასტმასის კვერცხები („ქინდერსურპრიზის კვერცხები“), მოშორებით დადგით კალათი და სთხოვეთ ბავშვებს, კალათში ჩაყარონ.

სამაგიდო



- გამოჭერით სხვადასხვა ზომის სააღდგომო კვერცხები და სთხოვეთ ბავშვებს, ზომის მიხედვით დააწყონ.
- წინასწარ გამოჭერით ორ-ორი წითელი კვერცხი სხვადასხვა მასალისაგან (მაგალითად, თექისგან, სხვადასხვანაირი ქაღალდისგან, ზუმფარისაგან და სხვა). სთხოვეთ ბავშვებს, ერთნაირი კვერცხების დაწყვილება.
- სთხოვეთ ბავშვებს, დათვალონ კვერცხების რაოდენობა. (დანართი 1.19.1.).
- გააგრძელე ქათამზე დახატული სიმბოლოების ხატვა (დანართი 1.19.2.).
- ამობეჭდეთ დანართი (1.19.3.) და სთხოვეთ ბავშვებს წერტილების შეერთება ისე, რომ ხაზი კვერცხებს ზევით და ქვევით გადაატარონ.
- ამობეჭდეთ დანართი (1.19.4.) და სთხოვეთ ბავშვებს, კვერცხების მითითებული რაოდენობა გააფერადონ.
- ამობეჭდეთ დანართი (1.19.5.) და სთხოვეთ ბავშვებს, გააგრძელონ ზარის ორნამენტი.

სენსორული

- მიეცით თიხა კვერცხების გამოსაძერწად. შემდეგ სხვადასხვა ტექნიკით წითლად შეღებონ.
- მოიმარაგეთ წითელი ფერის პლასტელინი და წითელი ფერის მძივები და ღილები. სთხოვეთ ბავშვებს, გამოძერწონ კვერცხები და გააფორმონ მძივებითა და ღილებით.
- დამალეთ ეზოში კვერცხები. შეგიძლიათ ნიჩბებიც დაურიგოთ. ათამაშეთ ქვიშაში, „პასკა, პასკა, გამოცხვი.“

  შეგიძლიათ ბავშვების ორ გუნდად დაყოფაც, რომ ერთმანეთს შეეჯიბრონ, ვინ უფრო მეტ კვერცხს იპოვის. მათ დასახმარებლად შეგიძლიათ შექმნათ იოლად წასაკითხი/ამოსაცნობი მინიშნებების რუკაც.

წიგნიერება

- მოუყევით ბავშვებს ქრიტეს ცხოვრებაზე, რომ ის მამა ღმერთმა გამოუგზავნა ადამიანებს, მისმა თანამედროვეებმა კი არ ირწმუნეს. ერთ-ერთმა მოწაფემ ოცდაათ ვერცხლად გაყიდა და ის ჯვარზე გააკრეს (ჯვარზე გაკვრის სცენას ნუ აღუწერთ დაწვრილებით, რომ ბავშვებში შფოთი არ გამოიწვიოთ), მაგრამ ქრისტემ დაამარცხა სიკვდილი, მესამე დღეს გადაწია საფლავის ლოდი და ზევით, თავის მამასთან წავიდა. რომ აღდგომას ჩვენ, ყველანი, ვდღესასწაულობთ ქრისტეს მიერ სიკვდილის დამარცხებას. შეგიძლიათ მოუყვეთ რამდენიმე სასწაულიც.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წლიანები, აღდგომა): „ნაზარეთში.“

მეცნიერება

- კვერცხის ნაჭუჭის ქოთნები. კვერცხს ისე მოაცალეთ ერთი ბოლო, რომ მისი დიდ ნაწილი მთელი დარჩეს. კარგად გამოასუფთავეთ და გააშრეთ. ჩადეთ ნაჭუჭში ბამბა და ხორბლის თესლი. მორწყეთ ყოველ დღე და დადგით განათებულ ადგილას. დააკვირდით, როგორ ამოვა ჯეჯილი კვერცხის ნაჭუჭიდან.
- მოიმარაგეთ მოხარშული კვერცხი, წყლით სავსე კონტეინერი და მარილი. ჩადეთ კვერცხი წყალში. რა მოსდის? ჩაიძირება. უთხარით ბავშვებს, რომ ახლა თქვენ წყალში მარილს ჩაამატებთ. მათი აზრით, რა შეიცვლება? გახსენით საკმარისი რაოდენობის მარილი წყალში და კვერცხი წყალზე იტივტივებს.
- მოიმარაგეთ პლასტმასის კვერცხები („ქინდერსიურპრიზი“) და შიგნით სხვადასხვა ნივთები მოათავსეთ. სცადონ, გამოიცნონ რა დევს კვერცხში. ან კვერცხები სიმძიმის მიხედვით დააწყონ.
- ისაუბრეთ იმაზე, რომ კვერცხიდან იჩეკება წიწილა.

გაზაფხული

1. გაზაფხული
2. გაზაფხულის ჩიტები
3. გაზაფხულის ყვავილები

1. გაზაფხული

დილის წრე



- ყავისფერი ფურცლისგან წინასწარ გამოჭერით შიშველი, დიდი ხე და დილის წრესთან ახლოს გააკარით. ბაღში მოსვლისთანავე ბავშვებს მწვანე ფურცლისგან გამოჭრილი ფოთლები დაურიგეთ და დაეხმარეთ, მიაწებონ ხის ტოტებს. იმღერეთ ან ლექსი თქვით გაზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვალონ ყველა აქტივობა, თამაში, საკვები და დღესასწაული, რომელიც გაზაფხულს უკავშირდება. ჩაიწერეთ მათი პასუხები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა გაზაფხულია.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის შედარებით სქელი ქაღალდის ლენტები, წებო და სარჭები. ბავშვებმა თვითონ შეარჩიონ ყვავილის გულის, ფურცლების, ღეროსა და ფოთლების ფერები. ყვავილის გულის და ფურცლების გასაკეთებლად გამოიყენეთ წებო და ლენტებს ცილინდრის ფორმა მიეცით (წებოს გაშრობამდე სარჭებით დაამაგრეთ). ფოთლის მისაღებად კი ლენტი შუაზე გადაკეცეთ და ბოლოები მიაწებეთ. ააწყვეთ ყვავილი.
- გაისეირნეთ პარკში და სთხოვეთ ბავშვებს, ხეების ჩანახატები გააკეთონ.
- გაზაფხულის ყვავილების მობილე. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ გაზაფხულის ყვავილები, შემდეგ გამოჭრან და მუყაოზე დააწებონ. თითოეულ ყვავილს გაუკეთონ ფერადი ლენტების საკიდი და ჩამოკიდონ გამხმარ ტოტზე.
- მოიმარაგეთ თეთრი ფერის ცელოფანი, მწვანე ქაღალდი და წებო. სთხოვეთ ბავშვებს, გამოჭრან თეთრი ცელოფნისგან ყვავილები, დააწებონ ფერად ფურცელზე, ასევე მწვანე ქაღალდისგან გამოჭრან ფოთლები და დააწებონ.
- „მარადიული გაზაფხული“. მოვიმარაგეთ მცირე ზომის სახურავიანი ქილები და ფერადი პლასტელინი, ან თიხა და გუაში. გამოაძერწინეთ ბავშვებს პატარა ზომის გაზაფხულის ყვავილები პლასტელინით, ან თიხით და შეაღებვინეთ გუაშით. დააწებებინეთ ქილის სახურავზე შიდა მხრიდან და ზემოდან, წებოს გაშრობის შემდეგ, დაახურეთ ქილას სახურავი. გადმოაბრუნეთ ქილა და დადგით სახურავის მხრიდან.

მუსიკა და მოძრაობა.

- მოასმენინეთ გაზაფხულის ხმები, მაგალითად, ჩიტების ჭიკჭიკი და შხაპუნა წვიმის ხმა, სთხოვეთ, იცეკვონ ამ ხმებზე.
- დაუხატეთ ბავშვებს იატაკზე ბილიკები. ბილიკის დასაწყისში დადეთ ოდნავ ჩაფუშული ბურთი და სთხოვეთ ბავშვებს, მორიგეობით ფეხით წაიღონ ბურთი – ბილიკის დასაწყისიდან მის დასასრულამდე. შეგიძლიათ გააკეთოთ რამდენიმე ბილიკი, რათა რამდენიმე ბავშვმა ერთად მიიღოს მონაწილეობა თამაშში.

სამაგიდო



- წინასწარ დაამზადეთ ჩიტებისა და ბუდეების თამაში და ათამაშეთ ბავშვები. დანართში 2.20.1. მოცემული ბუდისა და ჩიტის რამდენიმე ქსეროასლი გადაიღეთ, გააფერადეთ და გამოჭერით. ჩიტები და ბუდეები დანომრეთ ან ფერადი წერტილებით დანიშნეთ. გაუკეთეთ ლამინირება. სთხოვეთ ბავშვებს, ჩიტები თავიანთ ბუდეებთან დააწყვილონ. ჰკითხეთ, როგორ ფიქრობენ, რატომ იკეთებენ ჩიტები ბუდეებს გაზაფხულზე?

სენსორული

- გადააფარეთ მაგიდას ლურჯი ფერის პრიალა ქაღალდი ან მუშამბა. სთხოვეთ ბავშვებს, ქაფის გამოყენებით შექმნან ღრუბლები გაზაფხულის ცაზე.

დრამატული



- წაახალისეთ ბავშვები, გაითამაშონ გასეირნება ბუნებაში, „შეიგრძნონ“ ყვავილების სურნელი, მოაწყონ „პიკნიკი“, ჩამოასხან „ჩაი“ ფინჯნებში და ა.შ.

წიგნიერება/მეტყველება

- წაუკითხეთ აკაკის, ილიას და ვაჟას „გაზაფხული“. განუმარტეთ რას ნიშნავს: „მამულის აყვავება“, „ფიანდაზი“, „არაგვი აყვირდა“.
- წაუკითხეთ: „გაზაფხული“ (გ. ქუჩიშვილი).

კონსტრუქციული



- გამოჭერით დანართში მოცემული ყვავილების ნახატები (დანართი 2.20.2.). წაახალისეთ ბავშვები, ააშენონ მთელი სამეზობლო და ჩაუმატონ გაზაფხულის მიმანიშნებელი საგნები.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ ორი პიპეტი, პრიალა ქაღალდი და წყალი. წაახალისეთ ბავშვები, დახრილ ქაღალდზე წყვილში დააწვეთონ „წვიმის წვეთი“ და ნახონ, რომელი წვეთი უფრო სწრაფად ჩასრიალდება.
- მოიმარაგეთ ქოთნები, მიწა, პატარა ნიჩაბი, ყვავილების თესლი და სარწყავი. ჩარგეთ ყვავილები ბავშვებთან ერთად.

ექსკურსია



- გაზაფხულის ნიშნების აღმოსაჩენად პარკში გაისეირნეთ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ რა მოგწონთ ყველაზე მეტად?

2. გაზაფხულის ჩიტები

დილის წრე

- ესაუბრეთ გაზაფხულის ჩიტებზე, მერცხალზე.
- ისაუბრეთ, რომელი ჩიტია მგალობელი? რომელი ჩიტი ჭიკჭიკებს? რომელი იძახის „გუ-გუ“-ს?

ხელოვნება



- მოიმარაგეთ წვენის ან რძის ცარიელი კოლოფები, გამოჭერით წრე და მის ქვემოთ გახვრიტეთ. სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ, მოხატონ ან გააფორმონ აპლიკაციით ჩიტების სახლები. დაეხმარეთ ბავშვებს ჩაყარონ ხორბალი სახლში და გაუყარონ ხის ტოტი ღიობში, ჩიტების ჩამოსაჯდომად. გაუყარეთ თოკი და ბავშვებთან ერთად დაკიდეთ ხეებზე.



- ეზოში სეირნობისას შეაგროვეთ გამხმარი ბალახი, წვრილი ჯოხები, მოიმარაგეთ დაჭრილი საქსოვი ძაფი ან თხელი მუყაოს ქაღალდი. პატარა თასი ან ღრმა თეფში გადმოაბრუნეთ და შემოახვიეთ ცელოფანის პარკი, წაუსვით წებო ემულსია და სთხოვეთ ბავშვებს, დააკრან წინასწარ მომზადებული მასალა რამდენიმე ფენად. გაშრობის შემდეგ მოხსენით ბუდე თასს და შიგნიდანაც დააწებეთ დარჩენილი მასალა. ბუდეში შეგიძლიათ ჩააწყოთ პლასტელინის ან თიხისაგან დამზადებული კვერცხები.
- მოიმარაგეთ თეთრი საქსოვი ძაფი. სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ გუაშის საღებავებით. გაშრობის შემდეგ დააწებონ მუყაოზე ისე, რომ მიიღონ ჩიტის ბუდე.
- მოიმარაგეთ ქაღალდის ერთჯერადი თეფშები და საღებავები. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ჩიტები. გამოჭრან ერთჯერადი თეფშები, გადაჭრან შუაზე ისე, რომ მიიღონ ჩიტის ბუდე. შეღებონ და დააწებონ ზედ წინასწარ დახატული ჩიტები. მზა ნაკეთობა დააწებონ მუყაოზე.
- გამოაჭრევინეთ ბავშვებს ფერადი ქაღალდი სხვადასხვა ზომის ზოლებად. დაახვევინეთ ფანქარზე და დააწებებინეთ ისე, რომ მიიღონ ფერადი ჩიტები.



- პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით (იხ. განმარტებები დანართიდან) დაამზადებინეთ ბავშვებს ჩიტის ფიგურა, გააფორმეთ ბუმბულით.

მუსიკა და მოძრაობა

- მოათავსეთ პატარა ხალიჩები იატაკზე ვითომ ჩიტის ბუდეებია გარკვეული დისტანციით. სთხოვეთ ბავშვებს, დოლის ხმის თანხლებით იმოძრაონ ოთახში ისე, რომ ხალიჩებს ფეხი არ დაადგან. როგორც კი დოლის ხმა შეწყდება, ბავშვები უნდა დადგნენ მათთან ყველაზე ახლო ხალიჩაზე და გაშეშდნენ მანამ, სანამ ისევ არ გაიგებენ დოლის ხმას. წაახალისეთ ბავშვები, გაუზიარონ ხალიჩა ერთმანეთს.

სამაგიდო



- წინასწარ მოიმარაგეთ პლასტმასის კვერცხები (შეგიძლიათ ქინდერის კვერცხი გამოიყენოთ, ან სულაც კუბურები) და პლასტმასის ჯამები (ან ერთჯერადი თეფშები). ჯამებში ჩააწყვეთ ფურცლები, რომელზედაც სხვადასხვა რაოდენობის წერტილები იქნება

აღნიშნული. სთხოვეთ ბავშვებს, „ბუდეში“ წერტილების შესაბამისი რაოდენობის კვერცხები ჩააწყონ (უფრო რთული ვარიანტია, თუ წერტილების ნაცვლად რიცხვებს დაწერთ).

- სთხოვეთ ბავშვებს, სურათები თანმიმდევრულად დაალაგონ და მოგითხრონ ამბავი (დანართი 2.20.3.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „მერცხალი“.
- წაუკითხეთ ლექსები ფრინველების დანართიდან (ზოოპარკისა და ტყის ბინადრები; 3-4 წლიანები).

მეცნიერება

- თუ შეძლებთ და იპოვით ჩიტის ძველ ბუდეს, მიეცით ბავშვებს საშუალება დაათვალიერონ. შეისწავლონ, როგორი მშენებლები არიან ჩიტები.
- დაათვალიერეთ ენციკლოპედია და საბავშვო წიგნები ჩიტებზე. აღწერეთ, ისაუბრეთ მათ მსგავსებებსა და განსხვავებებზე.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ჩიტების შესახებ?
- რომელი ჩიტების სახელები იციან?

3. გაზაფხულის ყვავილები

დილის წრე

- ესაუბრეთ გაზაფხულის ყვავილებზე. ჩამოთვალეთ ყვავილები, რომელიც გაზაფხულზე პირველი ამოდის.

ხელოვნება



- ყვავილების გვირგვინი. წინასწარ მოიმარაგეთ ერთჯერადი თეფშები. შეაღებვინეთ ბავშვებს მწვანედ. როცა გაშრება, გამოჭერით ნიმუშის მიხედვით. ფერადი ქაღალდებისგან ბავშვებს გამოაჭრევინეთ ყვავილები. მიაწებებინეთ გვირგვინზე.



- სამგანზომილებიანი ბარათები. წინასწარ გაამზადეთ ბარათები ან დაეხმარეთ ბავშვებს ნიმუშის მიხედვით ჩაჭრან შუაზე გადაკეცილი სქელი ქაღალდი. გამოაჭრევინეთ ყვავილები და ღეროები და ნიმუშის მიხედვით დააწებებინეთ ბარათზე.



- მოიმარაგეთ ბრინჯის მარცვალი, გუაში, წებო. გამოჭერით (დანართში 2.20.4.) მოცემული ყვავილების ნიმუშები. სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ ფერად ქაღალდზე ყვავილი, ზედ დააწებონ ბრინჯის მარცვლები და გაშრობის შემდეგ გადაუსვან გუაში.
- მოიმარაგეთ აყვავებული ალუჩის ან ალუბლის რტო და სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ნატურმორტი.
- მოიმარაგეთ წრეებად დაჭრილი თეთრი ქსოვილი და მოახატინეთ ბავშვებს აკვარელის ან გუაშის საღებავით. გაშრობის შემდეგ მისცენ ყვავილის ფორმა და დააწებონ მუყაოს ღეროებზე, ღეროები შეღებონ თავისი სურვილისამებრ.

მუსიკა და მოძრაობა

- სათამაშო ვაშლები ან გირჩები მოათავსეთ ძირს დადებულ ჰულაჰუპის ცენტრში. ოთახის მეორე ბოლოში კი დადგით კალათა („სორო“), სადაც ზღარბი სანოვაგეს ინახავს. თითოეული ბავშვი იღებს ვაშლს ან გირჩას და მიაქვს სოროში, გზაში კი სხვადასხვა ბარიერი ხვდება. სხვადასხვა ნიშნულით შექმენით „მდინარე“ (რომელსაც უნდა გადაახტნენ), „ნაფეხურები“ (რომელზეც დიდი ნაბიჯები უნდა გადაადგან), პატარა „მოლი“ (რომელზეც უნდა გადაკოტრიალდნენ), „ხიდი“ და ა.შ. შემდეგ, შეგიძლიათ გაართულოთ თამაში და სთხოვოთ ბავშვებს, გზაში იხტუნონ ცალ ფეხზე, იარონ უკუსვლით, გახოხდნენ, იარონ თითის წვერებზე. თამაშის გასამრავალფეროვნებლად შეგიძლიათ დააწეროთ ვაშლებს ციფრები (1, 2, 3) და სოროშიც დადგათ სამი კალათა, რომელსაც ასევე აწერია ციფრები, ბავშვებმა ვაშლები შესაბამის კალათაში უნდა ჩააგდონ.

სამაგიდო



- დათესე ყვავილები ქოთანში (დანართი 2.20.5.).
- დანართის მიხედვით წინასწარ გამოჭერით, გააფერადეთ და ლამინირება გაუკეთეთ ცალკე ყვავილებს და ცალკე ღეროებს (რომელზეც სხვადასხვა რაოდენობის ბურთულებია გამოსახული). სთხოვეთ ბავშვებს, ყვავილები (ფურცლების რაოდენობის მიხედვით) ღეროებზე მოცემული ბურთულების რაოდენობას შეუსაბამონ (დანართი 2.20.6.).

სენსორული

- ქვიშაში ათამაშეთ ბავშვები, ვითომ ყვავილებს თესავენ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ოთხი დაია და გაზაფხული“.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ წინასწარ დიდი ღრუბლები, წყლიანი თასი და ბალახის თესლი. სთხოვეთ ბავშვებს, დაასველონ წყალში ღრუბლები, შემდეგ გაწურონ და ზედ მოაყარონ ბალახის თესლი. დააკვირდნენ, როგორ გაიზრდება ბალახი რამდენიმე დღეში.

საღამოს წრე

- გაიმეორეთ გაზაფხულის ყვავილები.
- ჰკითხეთ, რომელი აქტივობა მოეწონათ დღეს?

საქართველო

1. საქართველო
2. საქართველო
3. დედაქალაქი თბილისი
4. დამოუკიდებლობის დღე

1. საქართველო

დილის წრე



- თუ შესაძლებელია, ქართულ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოეწყვეთ ან ერთი რაიმე დეტალი გამოიყენეთ.
- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა საქართველოს შესახებ.
  * ესაუბრეთ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის შესახებ. სხვა რომელი ქალაქები იციან?
- აჩვენეთ ქართული ნაციონალური ტანსაცმლის ფოტოები.
- უთხარით, რომ ადრე ქვეყანას მეფეები მართავდნენ, დღეს კი მას პრეზიდენტი მართავს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ირჩევს.
- საქართველო ცხოველთა და მცენარეთა თვალსაზრისით ძალიან მრავალფეროვანია. აქ უამრავი ცხოველი ბინადრობს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ საქართველოში ან კავკასიაში გვხვდება, მაგალითად, ჯიხვი. აჩვენეთ ჯიხვის სურათები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა საქართველოა.

ხელოვნება

- აჩვენეთ ბავშვებს ფიროსმანის „მეეზოვე“. დაურიგეთ გასაფერადებლად ფიროსმანის მეეზოვის შავ-თეთრი ვერსია (დანართი 1.21.1.).
- მოიმარაგეთ ორი ტონის ყავისფერი ხელის საღებავები. სთხოვეთ ბავშვებს, ჯიხვის დასახატად ხელისგული შეიღებონ და ისე დატოვონ ორი ანაბეჭდი, რომ ჯიხვის ტანს დაემსგავსოს. ოთხი ფეხით (თითო ფეხი შეტყუპებული ორი თითია) და კუდით (ცერა თითი). შემდეგ თავის მისახატად ხელისგულის პატარა ნაწილით დატოვონ ანაბეჭდი. თითით მიახატონ დრუნჩი და დაგრეხილი რქები. გამოიყენონ შედარებით ღია ფერის საღებავი. როდესაც გაშრება, შავი მარკერით მიუხატეთ თვალები და ნესტოები.



- მარილიანი ცომით, თიხით ან პლასტელინით გამოაძერწვინეთ ბავშვებს თონე, შოთის პურები, ქვევრები და დოქები. მოახატინეთ დოქები დანართი 1.21.2-ში მოცემული ნიმუშების მიხედვით.
- აჩვენეთ ბავშვებს ხალხური ორნამენტის ნიმუშები, სთხოვეთ, გადაიხატონ ან თვითონ შექმნან და გააფერადონ ორნამენტი (დანართი 1.21.2.).
- „ლურჯი სუფრები“ მოიმარაგეთ ლურჯი ფერის ქსოვილი, დანართის მიხედვით მუყაოსგან წინასწარ გამოჭერით ორნამენტები. გააკეთებინეთ ბავშვებს თეთრი გუაშის ანაბეჭდები ლურჯ ქსოვილზე (დანართი 1.21.3.).

მუსიკა და მოძრაობა

- ათამაშეთ „ხაჭაპურო, ხაჭაპურო გამოცხვი.“
- იმღერეთ სიმღერები საქართველოზე.
- ძველებური თამაში „კაკლობანა“: მოიმარაგეთ რამდენიმე კაკალი. ჩაამწკრივეთ რამდენიმე ბავშვი და ერთი კაკალი დადეთ მათგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით. ბავშვები რიგრიგობით უნდა ეცადონ იმ კაკალს ადგილიდან სხვა კაკალი მოახვედრონ. სანამ ვინმე სამიზნე კაკლისათვის სხვა კაკლის მორტყმას მოახერხებს, მიმოფანტული კაკლები იატაკზე რჩება. საბოლოოდ ყველა კაკალი იმისია, ვინც სამიზნე კაკალს თავის კაკალს მოახვედრებს.

სამაგიდო



- დაურიგეთ დანართში მოცემული საქართველოს რუკა (დანართი 1.21.4.) და ფლომასტერი. სთხოვეთ ბავშვებს, შემოხაზონ კონტური.
- დაამზადეთ საქართველოს რუკის ფაზელი. სთხოვეთ ბავშვებს, ააწყონ ნიმუშის მიხედვით (დანართი 1.21.5.).
- ათამაშეთ ბავშვებს „მემო“ საქართველო (დანართი 1.21.6.) ის ადგილები, სადაც ფერადი უნდა იყოს შავის მაგივრად ღია ნაცრისფერი იყოს, რომ თვითონ გააფერადონ. მაგ. საქართველოს დროშის ჯვრები ღია ნაცრისფერი იყოს.
- სთხოვეთ, შემოხაზონ ის ადამიანები, რომლებსაც ქართული ნაციონალური ტანსაცმელი აცვიათ (დანართი 1.21.7.).

სენსორული

- მოიმარაგეთ სათამაშო ცომი, ნაწილი თეთრი ფერის (ვითომ ცომია), ნაწილი კი წითელი (ვითომ ხორცია) და სთხოვეთ, „ხინკლები“ მოახვიონ. ჯერ გააბრტყელონ ცომი, გამოჭრან მრგვალი ფორმები (მაგ. სათამაშო ფინჯნებით), ისევ გააბრტყელონ, მოათავსონ ცოტაოდენი „ხორცი“ და შეკრან.
- უთხარით ბავშვებს, რომ საქართველოში ნაპოვნია დინოზავრების ნაკვალევი. აჩვენეთ სათაფლიაში ნაპოვნი ნაკვალევის სურათები. მოიმარაგეთ ყავისფერი პლასტელინი და სათამაშო დინოზავრები. სთხოვეთ ბავშვებს, სათამაშო დინოზავრებს „მიწაში“ ნაკვალევი დაატოვებინონ.

წიგნიერება

- მოუყევით ქართველი გმირი მეფეების შესახებ, წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წლიანები; საქართველო): „ვახტანგ მეფე“, „ჩვენი ბატონი ერეკლე“.

კონსტრუქციული



- წინასწარ დიდი ქაღალდისგან (მაგ. შპალერისგან) გამოჭერით საქართველოს რუკა. ფურცლებზე დახატეთ ან მოიმარაგეთ საქართველოს ღირსშესანიშნაობების (მაგალითად, ვარძია, სვეტიცხოველი და სხვა), კავკასიონის მთების, ტყის, ზოგიერთი ცხოველის სურათები. სთხოვეთ ბავშვებს, ნახატები გააფერადონ, ამოჭრან და რუკაზე დააწებონ. დაეხმარეთ ადგილების სწორად შერჩევაში.
- აჩვენეთ სვანური კოშკების და გალავნიანი ქალაქების (სიღნაღი) ან კომპლექსების (ანანური, ნარიყალა) სურათები. სთხოვეთ, ააშენონ მსგავსი ნაგებობები კუბურების გამოყენებით.
- ცენტრში შეიტანეთ სხვადასხვა ზომის ჯოხები. აჩვენეთ ბავშვებს ქართული დარბაზული სახლის ფოტო ან ნახატი და წაახალისეთ, ააწყონ „გვირგვინი“ ჯოხების ან ხის მოგრძო კუბურების დახმარებით.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ეთნოგრაფიულ მუზეუმში. წასვლამდე ისაუბრეთ არქიტექტურაზე, როგორი აივნიანი სახლებია ძველ თბილისში. აჩვენეთ ელენე ახვლედიანის ნამუშევრები. უთხარით, რომ საქართველოს ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი არქიტექტურა აქვს.

კულინარია



- უთხარით, რომ საქართველო მდიდარია მინერალური მჟავე წყლების წყაროებით. წყალს აგროვებენ და შემდეგ მაღაზიებში ყიდიან. გაასინჯეთ ბორჯომი, ლიკანი და ნაბეღლავი. სთხოვეთ, კარგად გაუსინჯონ გემო. რომელი წყალი მოსწონთ ყველაზე მეტად?

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი საქართველოს შესახებ?
- „მშობლები“, „სამშობლო“ – ასაუბრეთ, რატომ აქვს ამ ორ სიტყვას საერთო ძირი.

2. საქართველო

დილის წრე



- უთხარით, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობთ და ის ჩვენ, ყველას გვეკუთვნის, მიუხედავად ეროვნებისა, რადგან ჩვენ, ყველანი საქართველოს მოქალაქეები ვართ.
- აუხსენით, რას ნიშნავს – მოქალაქე. ჰკითხეთ, მუშაობენ თუ არა მათი ოჯახის წევრები? აუხსენით, რომ ქვეყანას აქვს საერთო საფულე, (სალარო) რომ ყველანი ვაგროვებთ ამ საფულეში ფულს ქვეყნის ასაშენებლად. ეს უფროსების მოვალეობაა.
- უთხარით, რომ მათი მოვალეობაა საკუთარი თავის მოფრთხილება, კარგად მოქცევა, სწავლა.
- აუხსენით, რომ ძველად მთავარი ვალი იყო ქვეყნის დაცვა მტრებისგან, რადგან ხშირი იყო ომები. ახლა მშვიდობაა, მთავარია: სწავლა, შრომა, შენება.

ხელოვნება



- აჩვენეთ საქართველოს დროშა. რამდენ ჯვარს ხედავ? მოიმარაგეთ წითელი და თეთრი თხელი ქაღალდისგან გამოჭრილი, პატარა ზომის ოთხკუთხედები, სახატავი ფურცელი (რომელზეც წინასწარ დაახატავთ საქართველოს დროშის ჯვრებს) და თეთრი წებო. სთხოვეთ ბავშვებს, წაუსვან ფურცელს წებო. აიღონ თითო-თითო წითელი ქაღალდის ოთხკუთხედები, დაკუჭონ და დააწებონ დახატულ ჯვრებზე. დარჩენილი ადგილებში დააწებონ თეთრი დაკუჭული ფურცლები.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ საქართველოს ჰიმნი.
- ჩაურთეთ ხალხური საცეკვაო მუსიკა და ბავშვები აცეკვეთ.

სამაგიდო



- აუხსენით, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი გერბი და დროშა. წაახალისეთ. შემოხაზონ საქართველოს გერბი და დროშა (დანართი 1.21.8.).
- მათემატიკა. მიეცით ფურცლები მაღალსართულიანი სახლების გამოსახულებით და სხვადასხვა ზომის საქართველოს დროშებით. სთხოვეთ ბავშვებს გამოჭრან დროშები და დააწებონ ყველაზე მაღალს ყველაზე – დიდი, საშუალოს – საშუალო, მომცროს – პატარა (დანართი 1.21.9.).

დრამატული



- ითამაშონ: „სახლობანა“. ახსენით, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ოჯახი ქვეყნისთვის.
- ითამაშონ: „პოლიციელობანა“, „ხანძრობანა“, „ექიმობანა“, „სკოლობანა“. აირჩიონ თვითონ და თვითონვე ახსნან, რითი არის მნიშვნელოვანი ესა თუ ის საქმიანობა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წლიანები, საქართველო): „მხედართა ძველი სიმღერა“, „სიმღერა სამშობლოზე“, „სიმღერა საქართველოზე“, „საქართველოს დავხატავ“ და „ყველა სიტყვა“.

კონსტრუქციული



- კუბურებითა და სხვადასხვა საშენი მასალებით ააგონ ძველებური ციხე-სიმაგრე, ჩააყენონ ჯარისკაცები, ითამაშონ ომობანა.
- იმავე მასალებით ააგონ რაიმე შენობა, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია ქვეყნის შენებისთვის მშვიდობიანობის დროს. (სკოლა, ბაღი, მაღაზია, საავადმყოფო) წაახალისეთ მათი ნებისმიერი არჩევანი, ახსენით, რატომ არის ეს შენობა მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, როგორ აპირებენ ემსახურონ ქვეყანას, ვის რა პროფესიის უნდა, რომ გამოვიდეს?
- რა მოეწონათ დღის მანძილზე, რა – არა, რატომ?

3. დედაქალაქი თბილისი

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია.
- მოუყევით თბილისის დაარსების ლეგენდა.
- მოუყევით გოგირდის აბანოების შესახებ.
- ესაუბრეთ თბილისის ღირსშესანიშნაობებზე და ჰკითხეთ, სად მოსწონთ ყველაზე მეტად გასეირნება.
- უთხარით, რომ თბილისი ყოველთვის ტოლერანტული ქალაქი იყო (აუხსენით ბავშვებს ამ სიტყვის მნიშვნელობა) და რომ ამის ნიშანი, თბილისის ძველ უბანში გვერდიგვერდ მყოფი სინაგოგა, მეჩეთი, სომხური სამოციქულო ეკლესიის ტაძარი და მართლმადიდებლური ტაძრებია.
- ჰკითხეთ, როგორ სახლებში ცხოვრობენ თვითონ, რა ჩანს მათი სახლის ფანჯრებიდან; ისაუბრეთ იმაზე, რომ ქალაქში ზოგი სახლი მრავალსართულიანია, ზოგი კი – არა.

ხელოვნება



- კოლაჟი „ჩემი ქალაქი“. სთხოვეთ ბავშვებს, საკუთარი სახლები დახატონ შემდეგ გამოჭერით და დიდ ფორმატზე დააწებებინეთ.
- ხატვა საღებავით: ჩემი ქალაქის ხიდი.

სამაგიდო



- დაამთავრე სახლების ორნამენტი და გააფერადე (დანართი 1.21.10.).
- დახატე ქუჩაში მანქანები (დანართი 1.21.11.).
- შემოხაზე სიტყვა თბილისი (დანართი 1.21.12.).
- გაიმეორე ნახატი (დანართი 1.21.13.).

დრამატული



- გაანაწილეთ როლები და სთხოვეთ ბავშვებს ვახტანგ გორგასლის ნადირობის ამბის ინსცენირება, ზოგი ვეზირი იქნება, ზოგი მონადირე, ზოგი შიკრიკი და ა.შ.

წიგნიერება

- ჰკითხეთ, თუ იციან, რომელ უბანში ცხოვრობენ? თუ გაუგიათ სხვადასხვა უბნების სახელები? წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წლიანები, საქართველო): „ავტობიოგრაფია.“ აუხსენით, რომ ვერა თბილისის ერთ-ერთი უბანია. ჰკითხეთ, როგორ ფიქრობენ, სახელით, გვარითა და უბნით შესაძლებელია ადამიანის მოძებნა? კიდევ საჭიროა, ქუჩის სახელი, სახლის ნომერი, თუ სახლს რამდენიმე სადარბაზო აქვს, სადარბაზოს, ბინის, სართულის ცოდნა. შესთავაზეთ, მოიფიქრონ მისამართები ნიმუშის მიხედვით (ასათიანის ქუჩა, ნომერი 8, მე-4 სადარბაზო, მე-5 სართული, ბინა ნომერი 6).

კონსტრუქციული



- დაეხმარეთ ბავშვებს, დაამზადონ ქალაქის მაკეტი მუყაოს ყუთების გამოყენებით.
- ააშენეთ კუბურებით ქალაქი.
- დაამზადეთ მუყაოსგან ხიდი.
- დაეხმარეთ ბავშვებს, მუყაოს ყუთებისგან ყვითელი ავტობუსები დაამზადონ.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ექსკურსიაზე ძველ თბილისში. აჩვენეთ, გაატარეთ რუსთაველსა და თავისუფლების მოედანზე, აუხსენით, სად რა შენობა დგას და რომელს რა ფუნქცია აქვს.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, იციან თუ არა საკუთარი სახლის მისამართი? (მასწავლებელი წინასწარ არის მომზადებული და ყველა ბავშვის მისამართი აქვს მონიშნული, თუ ბავშვმა არ იცის მისამართი, თვითონ ეუბნება და სთხოვს რომ დაისწავლოს).

4. დამოუკიდებლობის დღე

დილის წრე



- უთხარით, რომ 26 მაისი საქართველოს თავისუფლების დღეა.
- უთხარით, როგორი მნიშვნელოვანია თითოეული მათგანი ქვეყნისთვის, რომ როცა გაიზრდებიან, ეს ქვეყანა მათ უნდა აშენონ.
- ჰკითხეთ, თუ იციან, რა არის თავისუფლება?
- სთხოვეთ მოხალისეს მოგცეთ უფლება გაკოჭოთ. ახსენით, რომ ახლა მისი თავისუფლება შეზღუდულია. აჭამეთ რაიმე საყვარელი ტკბილეული. როგორ ფიქრობენ, საყვარელი საჭმლის ჭამა ისევე სასიამოვნო იყო, როგორც ჩვეულებრივ მდგომარეობაში იქნებოდა?
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „მახეში გაბმული ჩიტი.“ იმსჯელეთ, რომ პატარა ჩიტმაც კი იცის, თავისუფლება ყველაზე საჭირო და ძვირფასი რომაა. აუხსენით, რომ ამ დღეს გათავისუფლდა ქვეყანა და ამიტომ ვდღესასწაულობთ 26 მაისს.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ მუქი ლურჯი სქელი ფურცელი და წყალში გაზავებული სხვადასხვა ღია ფერის გუაშის საღებავი. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დააწვეთონ ცოტაოდენი ღია ფერის საღებავი ქაღალდზე და ფეიერვერკის დასახატად, საღებავის თავზე მოთავსებულ საწრუპში ჩაბერონ.

- მოიმარაგეთ თეთრი ქაღალდი, წითელი ფურცლისგან გამოჭრილი ლენტები და წებო. სთხოვეთ ბავშვებს, ააწყონ საქართველოს დროშა.
- მოიმარაგეთ მასალა და წაახალისეთ ბავშვები, დაამზადონ დასარტყამი ინსტრუმენტები, ცარიელი კონტეინერებისგან.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ მარში. გამოიყენონ თავიანთი დამზადებული ალმები და დასარტყამი ინსტრუმენტები. მოაწყვეთ მარშირება.

სამაგიდო



- წინასწარ გამოჭერით თეთრი ალმები და მყარი მუყაოს ტარები. ალამზე წერტილებით მონიშნეთ ჯვრების კონტურები. დაურიგეთ ბავშვებს წითელი ფერის პასტელები და წებო. სთხოვეთ, წერტილები შეაერთონ, შემდეგ ალამს ტარი მიაწებონ.
- დაურიგეთ გასაფერადებლები „მე მიყვარს საქართველო“, გააფერადონ და ჩახატონ საქართველოს დროშა (დანართი 1.21.14.).

დრამატული



- ბავშვებმა გაითამაშონ აღლუმი. ჩართეთ მუსიკა და ზოგმა ჩაიბაროს აღლუმი, ზოგიც ჯარისკაცი იყოს, ზოგი თვითმფრინავი. ბოლოს გაუშვან ფეიერვერკები (აყარონ ლენტები და ქაღალდის პატარა ნაკუწები).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წლიანები, საქართველო): „კიდევაც დაიზრდებიან“, „ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს“, „სამშობლო ხევსურისა“, „პატარა ქართველი“, „სიმღერა“.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, კუბურებით (თეთრი და წითელი) ააწყონ საქართველოს დროშა.

მეცნიერება

- აუხსენით, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა ავითარებს, აშენებს ქვეყანას.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ძალა ერთობისა“. დაამტკიცეთ ცდის საშუალებით.

საღამოს წრე

- რა მოეწონათ საქართველოს თემაში?
- რა გაიგეს თავისუფლების შესახებ?

ცოცხალი ტრანსპორტი

1. ცხენი
2. ვირი
3. ძაღლი
4. სპილო
5. აქლემი

1. ცხენი

დილის წრე:

- დაახვედრეთ ბავშვებს ეტლში შებმული ცხენის, მხედრის და ა.შ. სურათები, ნახატები და ილუსტრაციები.
- წაახალისეთ ბავშვები, გიამბონ ცხენებზე. თქვენც ჩაერთეთ საუბარში, აუხსენით, რომ ცხენს, როგორც მანქანას, გადაადგილებისათვის იყენებენ.
- ერთად გაიხსენეთ სად ცხოვრობს, რა აღჭურვილობა და როგორი მოვლა სჭირდება ცხენს.
- რა არის თავლა, საჯინიბო?
- უთხარით ბავშვებს, რომ ცხენებს განსაკუთრებით კარგად აქვთ განვითარებული სმენის, ყნოსვის და ხედვის შეგრძნებები. სხვა ცხოველებისგან განსხვავებით მათ შეუძლიათ ფერების გარჩევა.

ხელოვნება:

- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ცხენები, გააფერადონ და გამოჭრან.
- გამოძერწონ ცხენები თიხისგან ან პლასტელინისგან.
- ნიმუშის მიხედვით დაამზადებინეთ ქაღალდის ცხენი.



- ბავშვებთან ერთად დაამზაადეთ თითზე ჩამოსაცმელი ცხენის ფიგურა. დანართიდან გამოჭერით ცხენის სახე, სთხოვეთ, ბავშვებს გამოჭრან პატარა ზომის ფურცელი და დაახვიონ ისე, რომ ბავშვის თითის ზომის მილი გამოვიდეს. ქაღალდის მილის ბოლო დააწებეთ, არ უნდა გაიშალოს. სთხოვეთ ბავშვებს, მიაკრან მილს ცხენის სახე (დანართ 2.22.1.).



- გააფერადეთ მანდალა ცხენი (დანართ 2.22.2).
- გააფერადეთ (დანართ 2.22.3.).

მუსიკა და მოძრაობა:

- სიმღერა – თამაში „აჩუ-აჩუ ცხენო.“ ბავშვები მორიგეობით იყვნენ მხედრები და ცხენები.
- სთხოვეთ ერთ ბავშვს, განასახიეროს ცხენის მოძრაობები, დანარჩენებმა კი გაიმეორონ.
- ოქროს ტახტი გააკეთეთ და თითო-თითო ბავშვი ატარეთ.

სამაგიდო:



- სამი ღერი ძაფი ან ლენტი გაკვანძეთ თავში და წაახალისეთ ბავშვები, დაწნან ნაწნავები (ვითომ ცხენის კუდია).
- გააკეთეთ ცხენის ფაფარი. მოჭერით დაახლოებით 5-7 სმ. სიგანის სქელი ქაღალდი ან მუყაოს ნაჭერი. უნდა იყოს დაახლოებით ფაფარის სიგრძე. მიეცით ბავშვებს ბევრი სარეცხის სამაგრი, გაუკეთონ გამოჭრილ ქაღალდს მხოლოდ ერთი მხრიდან.



- ძაფებით გააკეთეთ ცხენის ფაფარი. მოჭერით დაახლოებით 5-7 სმ. სიგანის მუყაოს ნაჭერი, ჰქონდეს დაახლოებით ფაფარის სიგრძე. მუყაოს ერთ მხარეს გაუკეთეთ მრავალი ნახვრეტი. მიეცით ბავშვებს ფერად-ფერადი საქსოვი ძაფები. წაახალისეთ ბავშვები, დაჭრან ფერადი ძაფები დაახლოებით 20 სმ. სიგრძეზე. ჭრას რომ მორჩებიან, გადაკეცონ თითო-თითო ძაფი შუაზე. შემდეგ გადაკეცილი ძაფი გაუყარონ ნახვრეტში. მეორე მხარეს რომ გამოაძვრენენ, რომელიც რკალის ფორმისაა, ამ ნახვრეტში უნდა გააძვრინონ ძაფის ბოლო, რომელიც ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ძაფია. ეს ბოლო ფრთხილად ჩამოწიონ ბოლომდე და გაჩნდება კვანძი. ფაფარს რომ დაამზადებთ, შეგიძლიათ დაიმაგროთ თავზე ან ზურგზე (მაგ: სარეცხის სამაგრით) და ითამაშოთ ცხენობანა, რაინდობანა და ა.შ.

- ბავშვებმა პლასტმასის ცხენებით ითამაშონ.
- ხაზებით დააკავშირეთ რიცხვები და გააფერადეთ (დანართი 2.22.4.).

დრამატული:



- გაითამაშეთ საჯინიბოს სცენა. წაახალისეთ ბავშვები, იყვნენ ცხენები და მათი მომვლელები.

სენსორული:

- ქვიშაში ცხენებით ითამაშონ.

წიგნიერება:

- წაუკითხეთ: „აჩუ-აჩუ.“
- განიხილეთ სიტყვა ცხენოსანი, რაინდი, ცხენზე ამხედრებული, ფაფარაშლილი და ა.შ.
- წაუკითხეთ: „კვიცი“ (იხ. დანართი).

მეცნიერება:

- დაათვალიერონ საბავშო ენციკლოპედია ცხენებზე. ისაუბრონ ცხენების მსგავსებებსა და განსხვავებებზე.

კონსტრუქციული:



- კუბურებისგან ააგეთ საჯინიბო და თავლა.

კულინარია:



- უთხარით ბავშვებს, რომ ცხენებს ძალიან უყვართ სტაფილო. დაურიგეთ ბავშვებს სტაფილოს სათლელი და სახეხები. წაახალისეთ, გათალონ სტაფილო და გახეხონ. შეკაზმეთ გახეხილი სტაფილო და მიირთვით.
- შეგიძლიათ დაამზადოთ ხილის სალათი. გარეცხონ ის ხილი, რაზეც ხელი მიგიწვდებათ, გათალონ, გახეხონ ან დაჭრან პატარ-პატარა ნაჭრებად.

ფუნთუშის ცომით დაწენით ნაწნავი და გამოაცხვეთ.

ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები იპოდრომზე.

საღამოს წრე:

- რა გაიგეს ახალი ცხენების შესახებ?
- რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?

2. ვირი

დილის წრე

- დაურიგეთ ბავშვებს წიგნები, ჟურნალები და ილუსტრაციები ცხოველებზე, სთხოვეთ, ამ ცხოველებში მოძებნონ ვირი.
- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ სად უნახავთ ვირი, გიამბონ ამ ცხოველის შესახებ. მოიფიქრონ, რისი გაკეთება შეუძლია ვირს, როგორი მოვლა სჭირდება მას და ა.შ.

ხელოვნება:



- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ ვირის ნიღაბი (დანართ 2.22.5).
- ბავშვებთან ერთად დაამზადეთ თითზე ჩამოსაცმელი ვირის ფიგურა. დანართიდან გამოჭერით ვირის სახე, სთხოვეთ, ბავშვებს გამოჭრან პატარა ზომის ფურცელი და დაახვიონ ისე, რომ ბავშვის თითის ზომის მილი გამოვიდეს. ქაღალდის მილის ბოლო დააწებეთ, არ უნდა გაიშალოს. სთხოვეთ ბავშვებს, მიაკრან მილს ვირის სახე (დანართ 2.22.6).
- გააფერადეთ მანდალა (დანართ 2.22.7).
- გამოჭერით დანართი, დააწებეთ ვირის ორივე მხარე ერთმანეთზე (დანართ 2.22.8).

მუსიკა/მოძრაობა:

- იმღერეთ სიმღერები ვირზე. მაგალითად, მაია ოთიაშვილის სიმღერა „თეთრი ჩოჩორი“ წიგნიდან „ია გოგოს სიმღერები“, გამომცემლობა „წყაროსთვალი“ 2010 წელი (დანართი).
- ვირობანას თამაში აღმზრდელის და აღმზრდელის თანაშემწის დახმარებით ისე, რომ ბავშვების უსაფრთხოება დაცული იყოს. თუ ერთმანეთს ვერ გადაახტებიან, ითამაშონ ბურთით. ბურთი ესროლონ კედელს და სანამ ბურთი მიწაზე დავარდება, უნდა გადაახტნენ. ბურთმა ფეხებს შორის უნდა გაიაროს.

სამაგიდო:



- წაახალისეთ ბავშვები, ბრტყელზედაპირიან სათამაშოზე ჩხირები დაალაგონ.



დრამატული:



- იხილეთ მულტიპლიკაციური ფილმი „ბრემენელი მუსიკოსები“ და გაითამაშეთ ბრემენელი მუსიკოსები.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ ხელოვნების ცენტრში გაკეთებული თითზე ჩამოსაცმელი ვირები.

სენსორული:

- მიეცით ბავშვებს სხვადასხვანაირი ზედაპირის მქონე ნივთები მაგ: ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი, ქვაბის სახეხი რკინა, ზღვის ღრუბელი, ჯაგრისი, ხავერდის და ატლასის პატარა ნაჭრები და ა.შ. ბავშვები შეეხონ ამ ნივთებს და აღწერონ თითოეული. როგორ ჰგონიათ, რომელი ნივთის მსგავსი კანი ექნება ვირს?

წიგნიერება:

- რას ნიშნავს ფრაზა: ვირივით ჯიუტი (გავირდა, ვირზე შეჯდა, ვირობს, ვირივით დადგა).
- წაუკითხეთ ბერძნულ-რომაული მითი „მიდასის ყურები“ (იხ. დანართი).

კონსტრუქციული:



- კუბურებისგან ააგეთ ბოსელი, თავლა.

კულინარია:



- მოამზადეთ მწვანე ფოთლების სალათი. მიირთვით მწვანილი ცოცხლად.

საღამოს წრე:

- რა ისწავლეთ დღეს ცოცხალი ტრანსპორტის და ვირის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? რატომ?

3. ძაღლი

დილის წრე

დაახვედრეთ ბავშვებს ძაღლების სურათები, ნახატები, ილუსტრაციები და წიგნები. მიეცით ბავშვებს დრო მოგიყვნენ ძაღლების შესახებ, გაგიზიარონ თავისი ისტორიები.

- ჰკითხეთ ბავშვებს, ვის და სად უნახავს ძაღლი?
- ჰყავს თუ არა რომელიმე ბავშვს ძაღლი?
- რა ჯიშის არის მისი ძაღლი?
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ და დაახასიათონ ძაღლი.
- შეეკითხეთ ბავშვებს, თუ უნახავთ მარხილში ჩაბმული ძაღლები, უამბეთ, რომ მარხილში შებმული ძაღლების დახმარებით გადაადგილდებიან. აჩვენეთ შესაბამისი სურათები. (არქტიკაზე ადამიანები ჰასკის, ლაიკას და სხვა ჯიშის ძაღლებით გადაადგილდებიან. სახლებს, სადაც ადამიანები ცხოვრობენ იგლუს ეძახიან. იგლუ ყინულისგან და თოვლისგან შენდება).
- როგორ ხმას გამოსცემს ძაღლი?
- რას ვეძახით ამ ხმას (წკმუტუნი, ყეფა, წკავილი)?
- რა სჭირდება ძაღლს (მოძრაობა, სირბილი, საკვები, მოვლა, აცრა, გაკრეჭა, და ა.შ.)?
- რას და როგორ ჭამენ ძაღლები?
- სად ცხოვრობენ ძაღლები?
- რა ჰქვია ძაღლის შვილს?
- ძაღლის თმას რა ჰქვია?
- შინაური თუ გარეული ცხოველია?
- რა ჯიშის, ფერის და ზომის ძაღლები არსებობს?

ხელოვნება:



- გააკეთეთ თითზე ჩამოსაცმელი ძაღლი (დანართ 2.22.9.).
- დახატეთ ძაღლები.
- თიხისგან ან პლასტელინისგან გამოძერწეთ ძაღლები
- გამოჭერთი დანართი, გააფერადეთ და დაამზადეთ ძაღლის ფიგურა (დანართ 2.22.10.).
- გააფერადეთ (დანართ 2.22.11.).
- წაახალისეთ ბავშვები, მუყაოს ყუთისგან გააკეთონ მარხილი და გამოძერწილი ძაღლები შეაბან.
- გააფერადე მხოლოდ მარხილში შებმული ძაღლები (დანართ 2.22.12.).

მოძრაობა:



- აიღეთ ერთი მოძველებული პლედი, რომელიც არ დაგენანებათ. პლედზე დაჯდეს ერთი ბავშვი, ხოლო პლედის ორი კუთხე უნდა დაიჭიროს იმდენმა ბავშვმა, რამდენი ძაღლიც მარხილში აბია ხოლმე. სთხოვეთ ბავშვებს, ფრთხილად დაიძრან ადგილიდან და ატარონ მარხილი მორიგეობით.

სამაგიდო:



- წაახალისეთ ბავშვები, მოზაიკისგან ძაღლი ააწყონ.

დრამატული:



- შესთავაზეთ ბავშვებს გაითამაშონ, ვითომ ძაღლებით არქტიკაზე სამოგზაუროდ მიდიან.

წიგნიერება:

- რატომ ეძახიან ძაღლს ადამიანის ერთგულ მეგობარს?
- წაიკითხეთ აკაკი წერეთლის ლექსი „პატარა მურია“ (იხ. დანართი).

კონსტრუქციული:



- ააწყვეთ ძაღლის საცხოვრებელი ქოხი.

კულინარია:



- პეჩენიის ცომით დაამზადეთ პატარა რგოლები და გამოაცხვეთ. გაგრილებულ ცომს წაუსვით გვერდებში შოკოლადის მინანქარი. ჩხირი ჩააწებეთ მინანქარში და დაადეთ პეჩენიას თვალების და ცხვირის ადგილას.

საღამოს წრე:

- რა ისწავლეთ ცოცხალი ტრანსპორტის და ძაღლის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? რატომ?

4. სპილო

დილის წრე:

დილის წრის კედელზე ჩამოკიდეთ სპილოს ილუსტრაციები. ისაუბრეთ უსაფრთხოებაზე. უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა სპილოა.

- ჰკითხეთ ბავშვებს, ვის და სად უნახავს სპილო?

- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ სპილო, როგორია ის?
- რატომ აქვს სპილოს ხორთუმი? სპილოს იმდენად მოკლე ყელი აქვს, რომ ფეხზე მდგომი საჭმელს ვერ შეჭამდა, რომ არა მისი გრძელი ხორთუმი. ხორთუმით შეუძლია მისწვდეს ხეზე ჩამოკიდებულ საკვებს, ტოტებს. ხორთუმით სპილო შეიგრძნობს სუნს, იჭერს სხვადასხვა ნივთებს და შვილსაც ხორთუმით ეფერება. წყლის დასალევად სპილო ხორთუმით იწოვს წყალს და ისხამს პირში.
- რა ჰქვია სპილოს შვილს?
- რატომ აქვს სპილოს დიდი ყურები? სპილო თავისი უზარმაზარი ყურების ფრიალით სიცხეში გრილდება.
- მჯდარა ვინმე სპილოზე?
- როგორ უნდა შემოაჯდე სპილოს ისე, რომ არ გადმოვარდე?
- როგორ ხმებს გამოსცემს სპილო?
- რას ჭამს სპილო? (სპილო ჭამს ბალახს, ხის ქერქს, ტოტებს, ფოთლებს, მცენარეებს, სხვადასხვა ნაყოფებს და ხილს.)
- სად ცხოვრობენ სპილოები?
- რამხელა ეშვები აქვს სპილოს? სპილოს ეშვები სულ ეზრდება. ყველაზე დიდი ეშვი ყველაზე ასაკოვან, მოხუც სპილოს აქვს.
- როგორი კანი აქვს სპილოს? ნაცრისფერ სპილოს აქვს 4 სანტიმეტრი სისქის კანი და კანზე აქვს პატარა ბუსუსები.
- არის თუ არა სპილო ძუძუმწოვარა – რას ნიშნავს ეს?
- რა ფერის არის სპილო?
- სითბო უყვარს თუ სიცივე?
- ეშინია სპილოს რაიმესი ან ვინმესი?
- იატაკიდან ორი მეტრის სიმაღლეზე კედელი ცარცით მონიშნეთ.
  მიუთითეთ ბავშვებს მონიშნულ ადგილზე და აუხსენით, რომ ის სპილოს სიმაღლეს გვიჩვენებს.
- უთხარით ბავშვებს, რომ გამომწყვდეული სპილოების ფეხის ფრჩხილები ორ კვირაში ერთხელ უნდა გაიქლიბოს, ხოლო ბუნებაში მცხოვრებ სპილოებს ეს არ სჭირდებათ, რადგან მათი ფრჩხილების წესრიგში მოყვანა ბუნებრივად ხდება.
- უთხარით ბავშვებს, რომ კახეთში ძალიან დიდი ხნის წინანდელი სპილოს ჩონჩხი აღმოაჩინეს.

ხელოვნება:

- ქაღალდის ნაჭრები დაჭერით პატარა ტრაპეციის, რომბის ფორმებად. შემდეგ წვეტიდან დააგორგოლავეთ და დაახვიეთ ბოლომდე. ბოლოები დააწებეთ. დაამზადეთ ქაღალდის მძივები და ააცვით ძაფზე.
- შეაერთეთ რიცხვები თანმიმდევრულად და შემდეგ გააფერადეთ (დანართ 2.22.13.).
- გააფერადეთ მანდალა (დანართ 2.22.14.).
- დაურიგეთ ბავშვებს სპილოს კონტურული გამოსახულება, ფერადი ნაჭრები, ბისერები და წებო. სთხოვეთ, სპილოს გამოსახულება ამ დეტალებით მორთონ (დანართ 2.22.15.).
- პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით ბავშვებთან ერთად სპილო გააკეთეთ.
- წაახალისეთ ბავშვები, სპილო დახატონ. ბავშვებს ნაცრისფერი ქაღალდის ლენტი აკორდეონივით დააკეცინეთ (3სმ × 45 სმ) და ხორთუმის ადგილას მიაწებეთ.

მუსიკა – მოძრაობა:

- ქაღალდისგან გამოჭერით სპილოს ნაბიჯები. დააკარით იატაკზე ან მიწაზე. ნაბიჯებს შორის მანძილი უნდა იყოს იმხელა, რომ ბავშვებს ძალისხმევა დასჭირდეთ ერთი ნაბიჯიდან მეორეზე გადახტომისას.
- კლასობანას მსგავსად, ბავშვებმა ჯერ რაიმე ნივთი ისროლონ წრეში და შემდეგ გადახტნენ.
- ეზოში გასვლისას გააკეთეთ ქარავანი, ერთმანეთს სპილოებივით ჩაეჭიდეთ და ისე გადაადგილდით.
- ანახეთ მოკლე მულტიპლიკაციური ფილმი „სპილო ობობის ქსელზე“. წაახალისეთ ბავშვები, იცეკვონ სპილოს მსგავსად. http://vimeo.com/3643411

სამაგიდო:



- წინასწარ გამოჭერით სპილოს სურათი და ყუთს მიაწებეთ. პირის ადგილი ამოჭერით. ბავშვებმა კამათელი გააგორონ და ამოსული ციფრის რაოდენობის მიწის თხილით (ან მსგავსი საგნით, მაგ მოზაიკით) სპილო „გამოკვებონ“.

დრამატული:



- განასახიერეთ სპილოები. მოიკიდეთ ცხვირზე ხელი. თავისუფალი ხელი გაუყარეთ იმ ხელში, რომელიც ცხვირზე გიკიდიათ. გაშვერილი მკლავი თქვენი ხორთუმია. შეეცადეთ ხორთუმით აიღოთ სხვადასხვა ნივთები და მეგობრებს გადააწოდოთ. შეგიძლიათ ბურთითაც ითამაშოთ, გადაუგდეთ ერთმანეთს ბურთი და დაიჭირეთ ხორთუმით.

სენსორული:

- საწრუპებით შეისრუტეთ წყალი და მიწას ან ყვავილებს შეაპკურეთ.
- ბავშვები დაწყვილდნენ. ერთ-ერთი მათგანი მუცლით დაწვეს იატაკზე. უთხარით ბავშვებს, წარმოიდგინონ, ვითომ მათ ზურგზე სპილო მიაბიჯებს. სპილო დადის დინჯად და მძიმე ნაბიჯები აქვს. ამ ნაბიჯების განსასახიერებლად მეორე ბავშვი ხელის გულებით ფრთხილად უნდა დააწვეს იატაკზე მწოლიარეს, რომ არაფერი ატკინოს. გააკეთებინეთ დაახლოებით 10 „ნაბიჯი“. შემდეგ უთხარით ბავშვებს, რომ თაგვმა გაირბინა და ამ მოძრაობას ხელის თითების ჩქარი მოძრაობით ვაკეთებთ, თითქოს ფორტეპიანოზე ვუკრავდეთ. გაიმეორეთ რამდენჯერმე და შეცვალეთ ბავშვები. ვინც იატაკზე იწვა, ახლა ის შეასრულებს ამ თამაშს.
- ჯადოსნური ტომარა: აიღეთ გაუმჭვირვალე ნაჭრის ტომარა, რომელსაც თავი ეკვრება. სამზარეულოდან გამოიტანეთ სხვადასხვა ბოსტნეული და ხილი. ჩაყარეთ ტომარაში და მოაკარით თავი. წაახალისეთ ბავშვები, მორიგეობით მოკიდონ ტომარას ხელი, ამოირჩიონ თითო-თითო ნივთი, აღწერონ და გამოიცნონ რა უჭირავთ.

წიგნიერება:

- უთხარით ბავშვებს, გიორგი წერეთლის გამოცანა სპილოზე, აბა თუ გამოიცნობენ (იხ. დანართი)
- გივი ჭიჭინაძის ლექსი „ფეხშიშველა“ (იხ. დანართი).

მეცნიერება:



- „სპილოს კბილის პასტა“. წინასწარ მოიმარაგეთ ლანგარი. შუაში დადეთ პლასტმასის ცარიელი ბოთლი. ბოთლში ჩაასხით ნახევარი ჭიქა წყალბადის ზეჟანგი 6%-იანი, 4-5 წვეთი საკვები საღებავი და ჭურჭლის სარეცხი ჟელე. ცალკე შეურიეთ ერთმანეთში 2 სადილის კოვზი თბილი წყალი და 1 ჩაის კოვზი სოდა, შემდეგ ჩაასხით ბოთლში. ბავშვები დააკვირდნენ, როგორ გადმოდის ქაფი ბოთლიდან. მიეცით საშუალება ქაფით ითამაშონ.

კულინარია:



- დაამზადეთ ბოსტნეულის ან ხილის სალათი.
- გააკეთეთ ვაშლისგან ან ფორთოხლისგან სპილოს თავი.



ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები ზოოპარკში. მოინახულეთ ცხოველები. დააკვირდით და დაიხსომეთ, როგორ გამოიყურებიან, რას ჭამენ და ა.შ.

საღამოს წრე:

- რა გაიგეთ ახალი ცოცხალი ტრანსპორტის და სპილოს შესახებ?
- რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? რატომ?

5. აქლემი

დილის წრე:



- დაათვალიერებინეთ ბავშვებს აქლემების, უდაბნოში მიმავალი ქარავნის სურათები. წაახალისეთ, მოგიყვნენ რაიმე აქლემების შესახებ.
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ აქლემი.
- რამდენი კუზი აქვს აქლემს?
- რატომ აქვს აქლემს კუზი? აქლემი კუზში ინახავს ცხიმს და სითხეს. მას შეუძლია უდაბნოში 14 დღე უწყლოდ გაძლოს.
- რა ჰქვია აქლემის შვილს?
- მჯდარა ვინმე აქლემზე?
- როგორ უნდა შემოაჯდე აქლემს?
- რას ჭამს აქლემი?
- რამდენს ჭამს აქლემი?
- როგორ ჭამს აქლემი?
- სად ცხოვრობს აქლემი? რომელ ქვეყნებში?
- რა არის უდაბნო? უდაბნო არ არის მხოლოდ ქვიშის, არსებობს ასევე ქვის და ყინულის უდაბნოები.
- რა არის საჰარა?
- რამხელა იზრდება აქლემი?
- არის თუ არა აქლემი ძუძუმწოვარა?
- რა ფერის არის აქლემი?
- სითბო უყვარს აქლემს თუ სიცივე?
- თუ გაბრაზდა აქლემი რა ახასიათებს?

ხელოვნება:

- ბავშვებმა ეზოში ცარცით აქლემი დახატონ.
- ყველა ბავშვმა დახატოს აქლემი, შემდეგ ამოჭრან აქლემები და გადააბან ერთმანეთს ისე, რომ ქარავანი გამოვიდეს. შეიძლება ბავშვების ნახატები არ ამოიჭრას და ისე გადააბათ ერთმანეთს, თუნდაც თოკის, ძაფის ან რაიმე ლენტის საშუალებით.
- გააფერადეთ (დანართ 2.22.16.).
- გამოჭერით აქლემი (დანართ 2.22.17.).
- მუყაოსგან, მაგ, ძველი ყუთისგან, გამოჭერით დიდი აქლემი და დააწებეთ ზედ ჭრელი ნარჩენი ნაჭრები ან ფერად-ფერადი ქაღალდები, შეგიძლიათ ბავშვებს დაახევინოთ ან წვრილად დააჭრევინოთ ჟურნალის გვერდები და შემდეგ დააკარით აქლემის ფორმას.
- „უდაბნოს ქალაქი“. წინასწარ მოიმარაგეთ ფერადი ცარცი, მარილი, ერთჯერადი თეფშები და ცარიელი შუშის ქილები, შავი მარკერები. დაურიგეთ ბავშვებს ერთჯერად თეფშებზე დაყრილი მარილი და ერთი ფერის ცარცი. სთხოვეთ ბავშვებს, ცარცით ძლიერად ხატონ მარილიან თეფშზე. ცარცი თანდათან დაიფშხვნება და მარილს შეერევა. გაფერადებული მარილი ზოლებად ჩაყარეთ ძაბრით ქილებში და თავზე დაახურეთ. სთხოვეთ ბავშვებს, შავი მარკერით ქილაზე სახლები მიახატონ. წინასწარ აჩვენეთ იერუსალიმის ფოტოები, რომ გუმბათოვანი სახურავები დახატონ.

მოძრაობა:



- განასახიერეთ ქარავანი. აიღეთ გრძელი თოკი ან სახტუნაო. ჩაიბით ბავშვები თოკში და ისე იარეთ. შეგიძლიათ ბავშვებს თვალი აუხვიოთ და ისე ატაროთ, შეგიძლიათ ეზოშიც გაიყვანოთ. კარგი იქნება თუ გზადაგზა დადებთ სხვადახვა ნივთებს და თვალახვეული ბავშვები შეეხებიან ამ ნივთებს და გამოიცნობენ რას ეხებიან.

სამაგიდო:



- ააწყვეთ მოზაიკით აქლემი.
- ასანთის ღერებისგან ან პატარა ჩხირებისგან ააშენეთ პირამიდები.

მეცნიერება:

- დაათვალიერებინეთ ბავშვებს საბავშვო მსოფლიო ატლასი, წიგნები აფრიკასა და ეგვიპტეზე, მსოფლიოს შვიდ საოცრებაზე და ა.შ.

კონსტრუქციული:



- სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებისგან ააშენონ პირამიდები.

კულინარია:

- დაამზადეთ ბოსტნეულის ან ხილის სალათი.

საღამოს წრე:

- რა გაიგეთ ახალი ცოცხალი ტრანსპორტისა და აქლემის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად? რატომ?

ზაფხული

1. ზაფხული
2. ზაფხული და მოგზაურობა
3. ზაფხული და ზღვა
4. ზაფხული და სოფელი

1. ზაფხული

დილის წრე



- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ, რისი კეთება უყვართ ზაფხულის თბილ დღეებში.
- ისაუბრეთ ზაფხულზე:
  - როგორი ამინდებია?
  - როგორ ტანსაცმელს ვიცვამთ?
  - საჭმელი, რომელსაც მხოლოდ ზაფხულში მივირთმევთ?
  - რა დღესასწაულებია?
- ჰკითხეთ, სად მიდიან და რას აკეთებენ ხოლმე ოჯახთან ერთად?
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ზაფხულია.

ხელოვნება



- წინასწარ, რამდენიმე დღით ადრე, შეაგროვეთ ბავშვებთან ერთად ფოთლები და ყვავილები, ჩადეთ მცენარეები გაზეთებში ან სხვა ძველ ქაღალდებში. დააწყვეთ მათზე მძიმე წიგნები. დაპრესილი მცენარეებით ააწყობინეთ ბავშვებს კომპოზიციები, დააწებებინეთ მცენარეები ფერად ფურცლებზე წებო ემულსიას საშუალებით და გადაატარეთ წებოს თხელი ფენა ზემოდანაც. გაშრობის შემდეგ შეგიძლიათ გაუკეთოთ საკიდები.
- წაახალისეთ ბავშვები, ბუნებრივი მასალით ეზოში, მიწაზე შექმნან კომპოზიციები.

მუსიკა და მოძრაობა

- სასეირნოდ ტყეში (დარბაზში ან ეზოში). წინასწარ მოიმარაგეთ სახტუნაო, თოკის ნაჭრები, ლენტები ან ქაღალდის ზოლები (სასურველია ლურჯი ან ცისფერი), რასაც შეიძლება გადაახტეს ბავშვი. რაოდენობა: თითო ბავშვზე – თითო. განალაგეთ აღნიშნული მასალა ძირს, ერთმანეთისაგან მოშორებით. სთხოვეთ ბავშვებს, წარმოიდგინონ, რომ მიდიან სასეირნოდ ტყეში. გზაში მათ პატარა წყაროები (თოკი, ქაღალდის ზოლი) შეხვდებათ, რომელსაც ისე უნდა გადაახტნენ, რომ ფეხები არ დაისველონ. სთხოვეთ ბავშვებს, ისეირნონ და როგორც კი მიადგებიან „წყაროს“ (თოკს, ჯოხს) გადაახტნენ მას. გააფრთხილეთ ბავშვები, რომ ნახტომის გაკეთებამდე გაიხედ-გამოიხედონ, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. 3-5 წთ-ის შემდეგ შეასვენეთ ბავშვები ნახევარი ან ერთი წუთით და შემდეგ ისევ განაგრძეთ ტყეში მოგზაურობა.

სამაგიდო



- მათემატიკა. რამდენი ფურცელი აქვს გვირილას. წინასწარ მოიმარაგეთ მწვანე, თეთრი, და ყვითელი ქაღალდებისგან გამოჭრილი გვირილის ღერო, გული და ფურცლები. დაურიგეთ ბავშვებს ცისფერი ქაღალდები. გულზე ყველას სხვადასხვა რიცხვი დაუწერეთ (რიცხვის ქვეშ დასვით მისი შესაბამისი წერტილიც). სთხოვეთ ბავშვებს, გვირილა ააწყონ და იმდენი ფურცელი დააწებონ ყვავილს, რიცხვიც აწერია.

დრამატული



- ბავშვებთან ერთად გააკეთეთ სანაყინე. აიღეთ მუყაოს ყუთი და ძირზე წრეები ამოჭერით (უფროსმა!). გადმოატრიალეთ ყუთი, ვითომ ნაყინების ჩასადებია. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დაახვიონ ყავისფერი ფურცლები, რომ ნაყინის კონუსები მიიღონ. ჩააწყვეთ

ისინი ნაყინის ჩასადებში. მოიმარაგეთ ძაფის ბურთები, ვითომ ნაყინის ბურთებია და სხვა მასალა, რომელიც შეიძლება გამოადგეთ, მაგალითად, საფულეები, ნაყინის კოვზები, სუფთა ნაყინის კონტეინერები, სახატავი ფურცლები და ფანქრები. დაეხმარეთ შექმნან მენიუ, ფული და სხვა.

წიგნიერება

- მოიმარაგეთ საგნები, რომლებსაც ზაფხულში ვიყენებთ (ქვიშაში სათამაშო ნიჩაბი და ფოცხი, ცურვის სათვალე, მარაო), რომლებსაც ზამთარში ვიყენებთ (თოვლის ნიჩაბი, ხელთათმანები, პალტო) და რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში ვიყენებთ (საშაქრე, პირსახოცი, სათამაშო დათუნია). შეგიძლიათ ნამდვილი საგნების ნაცვლად ბარათები გამოიყენოთ. სთხოვეთ ბავშვებს, ზამთართან და ზაფხულთან დაკავშირებული საგნები დაახარისხონ. ისაუბრეთ საგნებზე, რომლებიც ორივე კატეგორიას მიეკუთვნება. თითოეულ ბავშვს სთხოვეთ, აირჩიოს ორი საგანი და დაასახელოს ერთი მსგავსება და ერთიც განსხვავება.

კულინარია



- დაურიგეთ ბავშვებს ფოლგის ქაღალდი. სთხოვეთ, ფოლგაზე დადონ ერთი პატარა ორცხობილა, ზემოდან მოაყარონ შოკოლადის პატარა ნატეხები და დაადონ ზეფირი, შეფუთონ ფოლგაში და დააწყონ მზეზე. 10-15 წუთში მიირთვით გამთბარი და დარბილებული დესერტი.

საღამოს წრე

- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ თავიანთი საზაფხულო თავგადასავლების შესახებ.
- შეაჯამეთ, რა გაიგეს ახალი?

2. ზაფხული და მოგზაურობა

დილის წრე



- დილას ბავშვებს შეხვდით მოგზაურის ფორმაში გამოწყობილი. სთხოვეთ ბავშვებს, მოირგონ წინასწარ მომარაგებული ზურგჩანთები, საწვიმრები და ბოტები.
- უთხარით ბავშვებს, რომ მოგზაურები ძალიან ბევრ საინტერესო რამეს ნახულობენ და იგებენ სხვადასხვა ქვეყნებისა და დედამიწის სხვადასხვა ადგილების შესახებ.
- ახლა ბევრი რამის გაგება და ნახვა ტელევიზორის, კომპიუტერის და ფოტოების საშუალებით არის შესაძლებელი. ადრე კი მოგზაურები ყველაფერს, რასაც ნახულობდნენ, დღიურებში, რვეულებში იწერდნენ და იხატავდნენ.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ პატარა კენჭები, ჯოხები და ცოტა მიწა. წინასწარ გამოჭერით მუყაოსგან წრეები, დაასხით წებო ემულსია. დააწებებინეთ ბავშვებს გარშემო კენჭები. შუაში დააყარეთ ცოტა მიწა და დააწყვეთ პატარა ტოტები, ვითომ კოცონი ანთია, ტოტებზე დააწებეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი ქაღალდის ნაკუწები.



დრამატული



- დრამატულ ცენტრში მოაწყვეთ კარავი, შეგიძლიათ გამოიყენოთ ქსოვილის დიდი ნაჭრები, შეგიძლიათ კედლებზე გააკრათ ხეების, მთების ან ზღვის ფოტოები ან ნახატები (შპალერის ქაღალდზე წინასწარ დახატული ტყე). ერთ კუთხეში შეგიძლიათ დააფინოთ ლურჯი ნაჭერი (წყლის აღსანიშნავად). მოიმარაგეთ ზურგჩანთები, ჭოგრიტი, რკინის ჭურჭელი, ფანარი, მათარა. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ მოგზაურობანა.
- იმავე კარვის აგება შეგიძლიათ ბავშვებთან ერთად ეზოში. შემოსაზღვრეთ დიდი ქვებით კოცონის ადგილი, აანთეთ პატარა კოცონი და დასვით ბავშვები გარშემო, წაახალისეთ მოყვნენ საინტერესო ისტორიები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღეს სამოგზაუროდ მიდიხართ. გაიყვანეთ ბაღის ეზოში. ეზოში წინასწარ მოაწყვეთ რამდენიმე ადგილი: თოკი გაჭიმული მიწაზე. ბეწვის ხიდი გადასასვლელი უფსკრულზე, ორი გასაძრომი გვირაბი, გამოქვაბულები, მიწაზე დადებული სპორტული რგოლები – ჭაობებში გადასახტომი, ხეებიანი ადგილი. ტყე, ფიჩხების შეგროვება, დამალული ვაშლების პოვნა და მოგროვება კალათში, დიდი დაშლილი მუყაოს ყუთები – ღამის გასათევი სახლის მოწყობა. შეგიძლიათ, დაამატოთ თქვენი მოფიქრებული დავალებები მოგზაურობასთან დაკავშირებით. უთხარით ბავშვებს, რომ უნდა გაიყონ ორ ჯგუფად, ნაწილი მიყვება აღმზრდელს, ნაწილი თანაშემწეს. წაახალისეთ ბავშვები, რომ წარმოიდგინონ ის ადგილები, სადაც მიდიან, უთხარით: „აი, ახლა უღრან ტყეში შევდივართ;“ „აი, ხედავთ უფსკრულს?“; „ეს ჭაობებია, არ ჩავარდეთ!“ გადახტით მშრალ ადგილებზე!“ ჯგუფები გაივლიან სამ წინაღობას და შეხვდებიან კუნძულზე, სადაც მოაწყობენ პიკნიკს კოცონის გარშემო.

სამაგიდო



- ჩაალაგე ჩემოდანი სამოგზაუროდ (დანართი 2.23.1.). სთხოვეთ ბავშვებს, გამოჭრან სხვადასხვა ნივთები და ჩემოდანში ჩააწებონ ის, რაც სამოგზაუროდ გამოადგებათ. ისაუბრეთ თითოეულ ამ ნივთზე – რაში გამოიყენებენ და რატომ არის კარგი თან რომ იქონიო?

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „პატარა მოგზაურები:“ რატომ ჩაეშალათ პატარებს ლაშქრობა? ისაუბრეთ მოგზაურობის დაგეგმვაზე. დასვით კითხვები.

კონსტრუქციული



- წინასწარ მოიმარაგეთ მასალა, (მაგ. დიდი მუყაოს ყუთები, დიდი ზეწარი, თოკები, სარეცხის სარჭები, სკოჩი) რომლის საშუალებითაც კარავს გაჭიმავთ. უთხარით ბავშვებს, რომ ტყეში ხართ და აუცილებლად სადღაც უნდა დაიძინოთ. რა დასჭირდებათ კარვის ასაგებად (იმსჯელონ). შემდეგ მიეცით თქვენ მიერ მომზადებული მასალები და კარავი ერთად ააშენეთ.

საღამოს წრე

- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?
- რა გაიგეს ახალი მოგზაურებსა და მოგზაურობაზე?

3. ზაფხული და ზღვა

დილის წრე



- დახვდით ბავშვებს რაიმე ზღვასთან დაკავშირებული ატრიბუტით. მაგ. გასაბერი მაშველი რგოლით, ქოლგით, წყლის სათვალით... რის საშუალებასაც გამონახავთ.უთხარით, რომ დღევანდელი თემა თავად უნდა გამოიცნონ, მიეცით მინიშნებები. მაგ. ის ლურჯია და უკიდეგანო, ან ზაფხულში სულ მას ვნატრობთ გასაგრილებლად... როდესაც გამოიცნობენ, უთხარით, რომ მხოლოდ ზღვა არ არის დღევანდელი დღის თემა. ის ერთ-ერთ წელიწადის დროსთან უნდა დააწყვილონ. გამოიცნონ რომელთან?

- ისაუბრეთ, რა არის ბანაობის სეზონი. უთხარით, რომ რაც უფრო თბილია ქვეყანა, მით უფრო ხანგრძლივია ბანაობის სეზონი.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, სქელ ფურცელზე თეთრი წებოთი (ემულსია) დახატონ და გააფერადონ „ქვიშის“ სასახლე. შემდეგ წებოზე მოაყარონ ქვიშა. ნიჟარები წებოში ამოავლონ და სასახლეზე სასურველ ადგილას დააწყონ. დროშის გასაკეთებლად ამოარჩიონ სასურველი ფერის პატარა ფურცელი და დააწერონ თავიანთი სახელი, ჯოხთან ერთად სასახლის ყველაზე მაღალი კოშკის თავზე დააწებონ. როდესაც წებო კარგად შეშრება, ფრთხილად გადმოფერთხეთ ზედმეტი ქვიშა.



- ქვიშის მედალიონი. მოიმარაგეთ ქვიშა, ნიჟარები და ჯოხები, წებო ემულსია გახსენით ცოტაოდენ წყალში და ოდნავ გაათხელეთ. ქვიშა ჩაყარეთ თასში ან ღრმა თეფშში, დაახლოებით ერთ სანტიმეტრზე, სთხოვეთ ბავშვებს, გააფორმონ ქვიშა ნიჟარებითა და ხის წვრილი ტოტებით. დაასხით კომპოზიციას გათხელებული წებო ემულსია ან თაბაშირი და გააშრეთ. გაშრობის შემდეგ ამოიღეთ თეფშიდან და გამოიყენეთ ზღვის სანაპიროს სამახსოვროდ.

- მოახატვინეთ ბავშვებს პატარა მოგრძო ფორმის ქვები, თევზების მსგავსად.

მუსიკა და მოძრაობა



- მოასმენინეთ ზღვის ტალღების ხმები. სთხოვეთ ბავშვებს, ტალღების მოძრაობა გააკეთონ ან ჩაკიდონ ხელები, დადგნენ წრიულად და ხელებით ტალღების მოძრაობა გააკეთონ.

სამაგიდო



- წინასწარ გამოჭერით ყავისფერი სქელი ქაღალდისგან ნაყინის ხუთი კონუსი, დააწერეთ თითოეულს ციფრები 1-დან 5-მდე. გამოჭერით სხვადასხვა ფერის ფურცლებისგან ნაყინის ბურთები. სთხოვეთ ბავშვებს, იმდენი ნაყინის ბურთი „ჩადონ“ კონუსში, რამდენიც ზედ აწერია.

სენსორული

- ჩაფალით ქვიშაში ნიჟარები, დაურიგეთ ბავშვებს სათამაშო ფოცხები და ნიჩბები. წაახალისეთ, ითამაშონ ქვიშაში.

დრამატული



- ბავშვებმა გაითამაშონ, ვითომ ზღვაზე მიდიან. მოიმარაგეთ ჩემოდნები, შესაბამისი ტანსაცმელი და სხვა საგნები.

წიგნიერება/მეტყველება

- მოიმარაგეთ საგნები (ან მათი სურათები), რომლებსაც ვიყენებთ ზაფხულის და ზამთრის სპორტში (ზაფხულის: ფეხბურთის ბურთი საცურაო კოსტუმი, გორგოლაჭები; ზამთრის: ჰოკეის ქუდი, ბუტები, თხილამურები). ისაუბრეთ ამ საგნებზე და მათთან დაკავშირებულ სპორტზე. განიხილეთ მიზეზები, რატომ არის ზოგიერთი სპორტი სეზონური? ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებენ, თავი აარიდონ ამ უხერხულობას. მაგალითად, ფიგურული სრიალი, სპეციალურად მომზადებულ დარბაზში ზაფხულშიც არის შესაძლებელი, ცურვაც – დახურულ აუზებში ზამთარშიც შესაძლებელია.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „დემეტრეს ფიქრები“. ალაპარაკეთ, თვითონ რას ფიქრობენ ზღვაზე: უხარია ზღვას ზაფხული და ბავშვები, რა სწყინს, როგორ ვასიამოვნოთ და ა. შ.

მეცნიერება

- პენოპლასტის თეფშებისგან გამოჭერით თევზები, გველები და სხვა წყლის ცხოველები, ისინი წყალზე იტივტივებენ. მოიმარაგეთ საგნები, რომლებიც წყალში იძირება და წყლის მაგიდის გვერდით მოაგროვეთ. მიეცით ბავშვებს საშუალება ცდები ჩაატარონ. ყურადღება გაამახვილეთ ბავშვების აღმოჩენებზე. შემდეგი დღისთვის მოიმარაგეთ სათევზაო ბადეები და აბრები „ტივტივებს“, „არ ტივტივებს“. წაახალისეთ ბავშვები, ითევზაონ და ამოღებული საგნები შესაბამისი აბრის ქვეშ დააწყონ.

კულინარია



- მოიმარაგეთ ერთჯერადი ჭიქები და თითოეულს თითოეული ბავშვის სახელი დააწერეთ. მიეცით ბავშვებს ფორთოხლის ან ყურძნის წვენი და სთხოვეთ, ჩაასხან საკუთარ ჭიქაში, ან გაუმასპინძლდნენ ერთმანეთს. შეგიძლიათ კოქტეილივით გააფორმოთ ხილით და საწრუპებით.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ზღვისა და წყლის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

4. ზაფხული და სოფელი

დილის წრე

- წინასწარ გააფრთხილეთ ბავშვები და მშობლები მოიტანონ მათი სოფელში ყოფნის ამსახველი ფოტოები. მოაწყვეთ გამოფენა.
- მოაყოლეთ ბავშვებს საკუთარი ისტორიები სოფელთან დაკავშირებით.

- იმსჯელეთ, რა სხვაობაა სოფელს და ქალაქს შორის.
- შეეკითხეთ, მათი აზრით, რა უპირატესობა აქვთ სოფელში მცხოვრებ ბავშვებს, ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს? (ჰაერი, გართობა, ცხოველები, თავისუფალი მოძრაობა, ცოტა მანქანა...) შეთანხმდით, რომ ორივეს თავისი განსაკუთრებული მხარეები აქვს და ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ.
- ჰკითხეთ, ვის ჰყავს ბებია, დიდი ბებია ან ნათესავები სოფლად? მოაყოლეთ მათ შესახებ.
- შეეკითხეთ, ვის უნახავს ბოსტანი, ვენახი, ხეხილის ბაღი, ყანა. რა იზრდება თითოეულ მათგანში?
- შეეკითხეთ, ვის უნახავს წისქვილი, გუთანი, ხარები, ძროხები, ცხვრის ფარა, ძროხის მოწველა, ვის გაუგონია, როგორ კაკანებს ქათამი, კვერცხს რომ დადებს?
- უთხარით, რომ დღევანდელი თემაა სოფელი და ზაფხული.

ხელოვნება



- წინასწარ შეაგროვეთ ბუნებრივი მასალები ბავშვებთან ერთად, სხვადასხვა ზომის კენჭები და გირჩები, ხის ქერქები, ხავსი, რკო, ხის ტოტები, ფოთლები. ბავშვებთან ერთად შექმენით საზაფხულო სახლისა და ეზოს მაკეტი.
- ორი ჯოხი დაამაგრეთ ერთმანეთზე ჯვარედინად მაგარი ძაფით ან თოკით. დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ფერის საქსოვი ძაფი და სთხოვეთ, დაახვიონ ჯოხებს ნიმუშის მიხედვით. შესრულებულ ნამუშევრებში შეიძლება ჩამაგრდეს ბუმბული, ნიჟარა, ყვავილები და პატარა ფოტოები ზაფხულის მოსაგონრად.



მოძრაობა/ეზოს აქტივობა



- დაყავით ბავშვები ორ გუნდად, თითოეული გუნდის ბავშვები ჩაამწკრივეთ და დააჭერინეთ ჭიქები. თითოეული გუნდის მწკრივის დასაწყისში დადგით წყლით სავსე სათლი, ხოლო ბოლოში – ცარიელი სათლი. პირველმა ბავშვმა ამოიღოს ჭიქა წყალი და ჩაუსხას მის გვერდით მდგომს ჭიქაში, იმან კი – შემდეგს, სანამ ცარიელ სათლში არ ჩაასხამს ბოლოში მდგომი. ათამაშეთ, სანამ წყლით სავსე სათლი არ დაცარიელდება ან განსაზღვრეთ დრო. გამარჯვებულია გუნდი, რომელიც მეტ წყალს მოაქცევს ცარიელ სათლში.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ თერთმეტი პლასტმასის ქოთანი და პერმანენტული მარკერით დანომრეთ 0-დან 5-მდე. ჩაყარეთ ქოთნებში ფლორისტის ღრუბლები. მიეცით ბავშვებს სხვადასხვა ხელოვნური ყვავილები, ზოგი ერთი კვირტით და ზოგიც რამდენიმეთი. სთხოვეთ ბავშვებს, დათვალონ ყვავილებზე კვირტების რაოდენობა და შესაბამის ქოთანში „ჩარგონ“. აირჩიონ მეგობარი, რომელიც მათ ნამუშევარს გადაამოწმებს. შემდეგ ქოთნები კვირტების რაოდენობის მიხედვით დაალაგონ.

სენსორული

- მოიმარაგეთ ფოლგის ქაღალდი. ეზოში, მინდორზე ან ქვიშაზე გაშალეთ გრძლად და აუკეცეთ გვერდები, გააკეთეთ მდინარის კალაპოტი. სთხოვეთ ბავშვებს, ჩაასხან წყალი მდინარეში ან შექმენით წყლის

ნაკადი წყლის მილით. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ ქაღალდის ან სათამაშო ნავებით, კაცუნებით და სხვა სათამაშოებით.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „მიმიხარია სოფლისკენ“. ისაუბრეთ იმ გამოცდილებაზე, რომელსაც იღებენ სოფელში.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი სოფლის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ დღეს?

მეგობრობა

1. თამაშის წესები
2. გაზიარება-თხოვება
3. დახმარება

1. თამაშის წესები

დილის წრე:



- დილის წრის დაფაზე დაახვედრეთ ბავშვებს მეგობრობის ამსახველი ილუსტრაციები.
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ დაფაზე გამოკრული ილუსტრაციები. რას ასახავს ისინი? რა არის საერთო ამ ილუსტრაციებს შორის. უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა მეგობრობა და თამაშის წესია.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან თავიანთი აზრები მეგობრობასთან დაკავშირებით.
- იმსჯელეთ, რატომ ვარქმევთ კონკრეტულ ადამიანებს მეგობარს?
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ თავიანთი მეგობრები.
- უთხარით ბავშვებს, რომ მეგობარს გაფრთხილება სჭირდება.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ შეიძლება გავუფრთხილდეთ მეგობარს?
- თამაშის დროს უახლოეს მეგობართანაც კი შეიძლება მოგვივიდეს უთანხმოება, თუ არ დავიცავთ თამაშის წესს.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან აზრები თამაშის წესთან დაკავშირებით.
- თამაშის წესი რომ არ არსებობდეს, რა მოხდებოდა?
- რას თამაშობენ ხოლმე მეგობრებთან ერთად?
- სთხოვეთ ბავშვებს, ყველამ ერთდროულად თქვას საკუთარი სახელი. ახლა კი იმსჯელეთ, რა მოხდა?

ხელოვნება:

- მეგობრობის სამაჯურები. წინასწარ მოიმარაგეთ პლასტმასის ბოთლები, ფერადი ხელსახოცები და გამჭვირვალე წებო. დაჭერით პლასტმასის ბოთლი პატარა ზომის სამაჯურებად, ისე როგორც ნიმუშზეა. სთხოვეთ ბავშვებს, ფერადი ხელსახოცებისგან ლენტები გამოჭრან და სამაჯურებზე შემოახვიონ. ზევიდან წაუსვით გამჭვირვალე წებო და გააშრეთ. წებოთი იგივე გაიმეორეთ მანამ, სანამ სამაჯურის ზედაპირი გლუვი არ გახდება.



- გააფერადეთ მანდალა (დანართ 3.1.1.).

- დახატეთ მეგობარი.
- დაუხატეთ მეგობარს საჩუქარი.
- თიხისგან ან პლასტელინისგან გამოძერწეთ მეგობარი.
- გააფერადეთ (დანართ 3.1.2.).

მუსიკა – მოძრაობა:

- ბავშვები დააწყვილეთ. მიეცით ერთი ბუშტი. ბავშვები დადგნენ ერთმანეთის პირისპირ, გულმკერდს შორის მოიქციონ ბუშტი და ისე იცეკვონ, რომ ბუშტი არ დაუვარდეთ.
- ბავშვები დააწყვილეთ. ერთმანეთთან ზურგით დადგნენ ისე, რომ ერთმანეთს არ შეეხონ. ზურგებს შორის ჩაუდეთ ბუშტი და სთხოვეთ, ოთახის კუთხეში მივიდნენ ისე, რომ ბუშტი არ დაუვარდეთ. ეს თამაში ეზოშიც შეგიძლიათ ითამაშოთ.
- შეუძლიათ ბუშტი ცხვირით, ლოყით, მხრით, თეძოთი და სხეულის სხვა ნაწილებით მიიტანონ დანიშნულების ადგილას.
- თამაში: დაბზრიალდა წისქვილი. ორმა ბავშვმა ჩასჭიდოს ერთმანეთს ხელები, ფეხის წვერები ერთმანეთს მიადგან. დაიწყონ ბზრიალი და თან იძახონ: დატრიალდა წისქვილი, დავბზრიალდით ჩვენც. ამ ფრაზაზე ბავშვებმა სწრაფად უნდა იბზრიალონ. შემდეგ თქვან ახალი ფრაზა: ჩაიკუზა წისქვილი, ჩავიკუზეთ ჩვენც. ბავშვები ფრთხილად უნდა ჩაიკუზონ. წამოდგნენ და გააგრძელონ ბზრიალი. ბოლო ფრაზაა: გაჩერდა წისქვილი, გავჩერდით ჩვენც. ამ ფრაზით ნელა უნდა დაამთავრონ ბზრიალი.

სამაგიდო:



- სახელების ცხრილი. წინასწარ ჩამოწერეთ დიდ ფორმატზე დიდი ასოებით ბავშვების სახელები. ბავშვებთან ერთად ხმამაღლა წაიკითხეთ, თითოეულ სახელზე ჰკითხეთ ბავშვებს, რამდენს ჰქვია ეს სახელი და მის გასწვრივ მიუხატეთ იმდენივე ჯოხი და რიცხვი. ბავშვებმა იმსჯელონ, რომელი სახელი სჭარბობს, რომელი სახელი ჰქვია მხოლოდ ერთ ბავშვს.

- დაურიგეთ ბავშვებს ფურცელზე დაბეჭდილი ანბანი. წაახალისეთ, ამოჭრან ასოები და დააკარით მუყაოზე. შემდეგ ააწყვეთ მარტივი სახელები მაგ: ანა, ლია, გია, ია, მზია, ნია, გუგა, გაგა, ეკა, იკა, ირა და ა.შ. შესაძლებელია, ეს სიტყვები ააწყონ მოძრავი ან მაგნიტური ანბანითაც.
- დაყავით ბავშვები 4-5 კაციან ჯგუფებად. თითო ჯგუფისთვის გჭირდებათ ერთი ფლომასტერი, რომელზეც გამოაბამთ დაახლოებით 80 სმ. სიგრძის საქსოვ ძაფს ან თოკს. თოკის ბოლოები ბავშვებმა უნდა დაიჭირონ ხელში. დაუდეთ ბავშვებს ქაღალდის ფორმატი და მიეცით დავალება დაწერონ რომელიმე ციფრი, ისე, რომ ხელით არ შეეხონ არც ფლომასტერს და არც ქაღალდს. მათ ძაფი/თოკი ისე უნდა ჰქონდეთ დაჭიმული, რომ შეძლონ ფლომასტრის მართვა. შეგიძლიათ გეომეტრიული ფიგურებიც დახატოთ.



დრამატული:



- დასხედით წრეში. მოიფიქრეთ თქვენს გვერდზე მჯდომს რაზე შეიძლება მადლობა გადაუხადოთ. თამაში აღმზრდელმა ან აღმზრდელის თანაშემწემ დაიწყოს, მაგ: მადლობა, რომ მომესალმე; მადლობა, რომ გამიღიმე; მადლობა, მანქანა რომ მათხოვე; მადლობა, პური რომ მომაწოდე და ა.შ. ამ ფრაზას დაამატეთ რაიმე მოძრაობა მაგ: რევერანსი შეიძლება გააკეთოთ; ვითომ ყვავილი მოწყვიტოთ და აჩუქოთ იმ მეგობარს, რომელსაც მადლობას ეუბნებით; ხელი გაუწოდოთ და ჩამოართვათ და ა.შ.

სენსორული:

- ჯადოსნურ ტომარაში ჩაყარეთ სხვადასხვა ნივთები და თამაშის წესის დაცვით, ხელის მოკიდებით აღწერონ და გამოიცნონ ბავშვებმა თუ რა ნივთი უჭირავთ ხელში. შეგიძლიათ სცადოთ, არ დაიცვათ თამაშის წესი და ყველაფერს ერთად მოკიდონ ბავშვებმა ხელი. გამოიცნობენ რა უჭირავთ?

კონსტრუქციული:



- მუყაოს ყუთებისგან ან კუბურებისგან ააწყვეთ დიდი სახლი, სადაც ყველა მეგობარი ერთად იცხოვრებს.

კულინარია:



გამოაცხვეთ ღილი-პეჩენიები. დაახლოებით 60 ცალი ღილისთვის დაგჭირდებათ: 150 გრ. ცივი კარაქი, 75 გრ. შაქრის პუდრა, 1 პაკეტი შაქრიანი ვანილი, საშუალო ზომის 1ც. კვერცხი, ოდნავ მარილი, 275 გრ. ფქვილი, 2 სუფრის კოვზი კაკაო.

ჯამში მოათავსეთ პატარა ნაჭრებად დაჭრილი კარაქი, დაუმატეთ შაქრის პუდრა, შაქრიანი ვანილი, კვერცხი, მარილი, ფქვილი და ცომის საზელი მიქსერით მოზილეთ. შეგიძლიათ ხელითაც მოზილოთ. ცომი გაყავით შუაზე და ერთ ნახევარში კაკაო შეაზილეთ. ორივე ცომი დაამრგვალეთ, თხელ ფოლიოში გაახვიეთ და 1 საათით მაცივარში შედგით.

ღუმელი 175 გრადუსზე გაახურეთ. დაგჭირდებათ სამი „ჟარონი“, რომელზეც უნდა დააფინოთ საცხობი ქაღალდი (ფოლგა). ცომისგან გააკეთეთ პატარა ბურთები, გააბრტყელეთ და „ჟარონზე“ ერთმანეთის მოშორებით დააწყვეთ. შემდეგ ბოთლის თავსახურით გაუკეთეთ შიდა რკალი. ჩხირით ან ასანთის ღერით გაუკეთეთ სამი ნახვრეტი. ნამცხვარი საშუალო ტემპერატურაზე 10-12 წუთი ცხვება. ღუმელიდან გამოიღეთ და გააგრილეთ.



საღამოს წრე:

- შეაჯამეთ დღის თემა.
- წაახალისეთ ბავშვები, თქვან თავიანთი აზრები დღის თემასთან დაკავშირებით
- რა გაიგეს ახალი?
- რა მოეწონათ დღეს?

2. გაზიარება-თხრობა

დილის წრე:



- დაახვედრეთ ბავშვებს დილის წრის დაფაზე გაკრული სხვადასხვა ილუსტრაციები.
- ისაუბრეთ ყველაზე ძვირფას ადამიანებზე, მეგობრებზე და ყველაზე საყვარელ ნივთებზე.
- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ ის ადამიანები, ნივთები, სათამაშოები, ადგილები, კერძები, რაც ყველაზე მეტად უყვართ.
- შეეკითხეთ, როგორ მოიქცევიან თუ მათი მეგობარი სთხოვს ცოტა ხნით მის საყვარელ ნივთს, სათამაშოს, წიგნს, ტანსაცმელს, საჭმელს?
- როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?
- როგორ მოვიქცევით, თუ მეგობარს ვათხოვებთ საყვარელ ნივთს და მას გაუფუჭდება? წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან თავიანთი აზრები.

ხელოვნება:



- „მეგობრობის ნახატი." წინასწარ მოიმარაგეთ რამდენიმე მუყაოს ყუთის თავსახური, მარმარილოს ბურთები და საღებავები (თითის). ჯერ თქვენ აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დახატონ მეგობრობის ნახატი წყვილში. ამისათვის ქაღალდზე დაწერეთ თქვენი და თქვენი ასისტენტის სახელები, ჩააფინეთ ყუთში, ჩადეთ თითო კოვზი ორი ფერის საღებავი და ორი მარმარილოს ბურთი. ასისტენტთან ერთად ამოძრავეთ ეს ყუთი ისე, რომ მარმარილოს ბურთებმა იგოროს და საღებავებიდან აბსტრაქტული ნახატი შეიქმნას. იმავეს გაკეთება შესთავაზეთ ბავშვებს, დააწყვილეთ ისინი და დაურიგეთ შესაბამისი მასალა.
- გააფერადეთ (დანართ 3.1.3.).
- მიეცით ბავშვებს ცარცი და მოხატონ ეზო ბევრი ბავშვით და სათამაშოთი.
- *„ფანქრების ჩასაწყობი":* წვენის პატარა ცარიელი ყუთები გადაჭერით. დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, შემოაკრან წებოვანი ქაღალდი ან დააწებონ ფერადი ქაღალდი. გააფორმონ დეკორატიული სტიკერების მეშვეობით. გამოიყენონ ფანქრებისა და კალმების ჩასალაგებლად. გაატანეთ სახლში, რომ აჩუქონ ძმას, დას ან მეგობარს.

მოძრაობა:



- წონასწორობის შენარჩუნება. აქტივობა შეიძლება ჩატარდეს დარბაზში გრძელ სავარჯიშო სკამზე ან ეზოში ტროტუარის კიდეზე. ბავშვები ერთ მწკრივად დადგნენ სავარჯიშო სკამზე ან ტროტუარის კიდეზე. აღმზრდელის ან აღმზრდელის თანაშემწის

მითითების შემდეგ უნდა დალაგდნენ ასაკის მიხედვით, მაგ: ექვსწლიანები ერთად ისე, რომ არცერთი ბავშვი არ ჩამოვიდეს არც სკამიდან და არც ტროტუარიდან. მათ ერთმანეთის დახმარებით უნდა შეძლონ ისე გადაადგილება, რომ არ გადმოვარდნენ მიწაზე. შემდეგ დალაგდნენ თმის ფერის მიხედვით, მაგ: მუქთმიანები ერთად და ქერები ერთად. შემდეგ ბიჭები ერთად გოგოები ერთად და ა.შ.

- თამაში: „ რა კარგია“. ერთი ადამიანი უნდა იყოს იდეის მიმწოდებელი და დანარჩენები შემსრულებლები. იდეები უნდა იყოს ადვილად შესასრულებელი და არავის არ უნდა აყენებდეს ზიანს. ყველა ბავშვმა უნდა მიაწოდოს ჯგუფს იდეა. თამაში დაიწყოს აღმზრდელმა ან აღმზრდელის თანაშემწემ. თქვით რაიმე ფრაზა, მაგალითად: მე გავფრინდები. რაზეც ბავშვებმა უნდა გიპასუხონ: რა კარგია და თქვენთან ერთად აფრიალონ ხელები, ვითომ მიფრინავენ. მერე სხვამ თქვას: მე ვიმღერებ „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“. ამაზე ყველამ უნდა უპასუხოს: რა კარგია და ყველამ ერთად უნდა იმღეროთ „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“.
- წაახალისეთ ბავშვები, განასახიერონ სხვადასხვა ციფრები. თამაშის გასაიოლებლად შეუძლიათ დაწვნენ იატაკზე და მიიღონ კონკრეტული ციფრის ფორმა. თამაში საჭიროებს ურთიერთდახმარებას, ზოგ ციფრს ორი ან სამი ბავშვი შეიძლება დასჭირდეს.
- ირჩევთ მეგობარს და აყენებთ ზურგით ბავშვებისკენ, მათგან დაშორებით. ბავშვები ეკითხებიან ერთხმად: მეგობარო, რამდენი (3-4 ნაბიჯი) ნაბიჯი გადმოვდგათ შენამდე? მეგობარი პასუხობს; ასე გრძელდება მანამ, სანამ მეგობარი ბავშვების ხმების მიხედვით არ მიხვდება, რამდენად ახლოს მოვიდნენ ისინი მასთან და არ იტყვის: არცერთი ნაბიჯი; ამ სიტყვებზე ბავშვები გარბიან უკან, მეგობარი კი გამოეკიდება მათ და ვისაც დაიჭერს, ახლა ის იქნება მეგობარი.

- წაახალისეთ ბავშვები სახტუნაოთი ან რეზინობანას რეზინით მოხაზონ იატაკზე სხვადასხვა ციფრები და შემდეგ გაიარონ მასზე ისე, რომ ფეხი არ წაუცდეთ. ეს თამაში ეზოშიც შეგიძლიათ შეასრულოთ. ბავშვებმა ცარცით მოხაზონ ციფრები და შემდეგ გაიარონ მათზე. დავალება გართულდება, თუ ასკინკილათი ან ხტუნვა-ხტუნვით გაივლიან მოხაზულ ციფრებზე.

სამაგიდო:



- ბავშვებს ფერადი ქაღალდისგან გამოაჭრევინეთ ბევრი სხვადასხვა ზომის წრე, ყვავილები და სხვა ფორმები. წაახალისეთ ბავშვები, შექმნან სხვადასხვაგვარი კოლაჟები.
- გამოჭერით ბავშვებთან ერთად წვრილი, დაახლოებით 1 სმ. სიგანის და მაქსიმუმ 10 სმ. სიგრძის, ჩხირები. ბავშვებმა გაინაწილონ გამოჭრილი ქაღალდები და მოაწყვეთ ფეირვერკი. სთხოვეთ ბავშვებს, მორიგეობით ააფრიალონ ქაღალდები ჰაერში და დააკვირდნენ მათ ფრიალს. ეს აქტივობა შესაძლებელია დილის წრეზეც შეასრულოთ.

დრამატული:

- დაახვედრეთ ბავშვებს ისეთი ნივთები, რაც მათ დააინტერესებს და წაახალისეთ, თითოეული ნივთი აღწერონ, ათხოვონ, გაუზიარონ და დაათვალიერებინონ ერთმანეთს.

- ითამაშეთ თამაში „არ გამეცინება“: ერთ-ერთი ბავშვი უნდა შეეცადოს, გააცინოს თავისი მოძრაობით, საქციელით, ფრაზებით, სახის გამომეტყველებით და ა.შ. დანარჩენი ბავშვები. ხოლო მაყურებელი ბავშვები კი უნდა შეეცადონ, არ გაიცინონ. ვისაც გაეცინება, ის იქნება შემდეგი, ვინც უნდა გააცინოს ბავშვები.

კონსტრუქციული:



- წაახალისეთ ბავშვები, ააგონ ფანქრებისგან კოშკი.
  ასეთი კოშკი კუბურებისგან ან ნაყინის ჯოხებისგანაც შეიძლება აშენდეს.



მეცნიერება/სენსორული

- წინასწარ დაამზადეთ ჟელატინისგან კუბურები. ამისათვის ერთი პაკეტი ჟელატინი შეურიეთ ნახევარ ჭიქა ცივ და ნახევარ ჭიქა მდუღარე წყალში. ეს ნარევი გადაანაწილეთ ჭიქებში და სხვადასხვა ფერის საკვები საღებავი შეურიეთ. ჩაასხით ჟელატინი ყინულის ფორმებში და გაყინეთ. მიეცით ბავშვებს საშუალება გაციებული ჟელატინის ფორმები ამოიღონ, შესაძლებელია, ზოგიერთი დაიშალოს, არა უშავს. მიეცით ბავშვებს საშუალება ამ ჟელატინის კუბებით ითამაშონ და მაგიდაზე სხვადასხვა კონსტრუქცია ააწყონ. შემდეგ მიეცით ჯამი ცივი წყლით, სთხოვეთ, ჩაყარონ კუბურები წყალში და დააკვირდნენ, თუ შეიცვლის წყალი ფერს. მიეცით საშუალება წყალში ჟელატინებით ითამაშონ. შემდეგ გამოუტანეთ ცხელი წყალი და ჟელატინები ჩაყარეთ, ბავშვებმა მხოლოდ გიყურონ. დააკვირდნენ, რა მოუვა წყალს და ჟელატინის კუბურებს. როცა გაგრილდება, წაახალისეთ, ითამაშონ წყალში.

კულინარია:



- გააკეთეთ პიტნის და ლიმონის ლიმონათი. გარეცხილი პიტნა მიეცით ბავშვებს და სთხოვეთ, დააქუცმაცონ. ლიმონი ბავშვებმა თვითონ გარეცხონ და კანიანად დაჭრან საშუალო ზომის ნაჭრებად. პიტნა და ლიმონი ჩაყარეთ წყლის სურაში, დაასხით ცხელი წყალი. დაამატეთ ცოტა თაფლი ან შაქარი (ძალიან არ დაატკბოთ) და დადგით გასაგრილებლად. შეგიძლიათ წვრილად დამტვრეული ყინულიც ჩაყაროთ.

წიგნიერება:

- წაუკითხეთ ბავშვებს: „ჩხუბს თავლაფიანობა მოსდევს“ (იხ. დანართი) და იმსჯელეთ.
- წაუკითხეთ ბავშვებს სონია ელიაშვილის წიგნი „აი, ია“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

საღამოს წრე:

- შეაჯამეთ დღის თემა.
- წაახალისეთ ბავშვები, თქვან თავიანთი აზრები დღის თემასთან დაკავშირებით.
- რა გაიგეს ახალი?
- რა მოეწონათ დღეს?

3. დახმარება

დილის წრე:

- დილის წრის დაფაზე დაახვედრეთ ბავშვებს დახმარების ამსახველი ილუსტრაციები. წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ ილუსტრაციები და გამოთქვან თავიანთი აზრები.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რა არის მათი აზრით დახმარება?
- ვის შეიძლება დავეხმაროთ ხოლმე?
- როგორ შეგვიძლია დახმარების გაწევა?
- უთხარით ბავშვებს, რომ დახმარება თბილი გამოხედვა, გაღიმება, მოფერება და კეთილი განწყობის სიტყვებიც შეიძლება იყოს.

ხელოვნება:



- წაახალისეთ ბავშვები, შექმნათ ერთობლივი ნახატები შემდეგნაირად. ერთი ბავშვი ხატავს მეგობრის თავს. მეგობარი შეიძლება იყოს გოგონა, ბიჭი, ძაღლი, ცხენი, და რასაც ბავშვები მოისურვებენ. თითო ბავშვი ხატავს თავს და კისერს, შემდეგ უნდა გადაკეცოს ნახატი ისე, რომ მხოლოდ კისერი ჩანდეს და გადააწოდოს გვერდზე მჯდომ მეგობარს ნახატი, რომელმაც უნდა განაგრძოს ნახატის ხატვა. მან უნდა დახატოს ტანი და ისევ გადაკეცოს. მესამე ბავშვი ხატავს ფეხებს, კიდურებს გადაკეცავს და მეოთხეს აწვდის, რომელიც ფეხის ტერფებს და ფეხსაცმელს დახატავს. ნახეთ რა გამოვიდა!
- დაამზადეთ წიგნის სანიშნი მეგობრის ფოტოსურათით, თუ ფოტოსურათი არ გექნებათ, შეგიძლიათ ნახატი დააკრათ მუყაოსგან გამოჭრილ სანიშნს. ერთ ბოლოში გახვრიტეთ სანიშნი და გაუყარეთ ფერად-ფერადი საქსოვი ძაფი ან ლენტები. სანიშნის გაკეთება შესაძლოა გამხმარი ყვავილებით და ჟურნალიდან ამოჭრილი ნახატების საშუალებით. თუ მოისურვებენ მიეცით საშუალება სანიშნი მეგობარს აჩუქონ.



მოძრაობა:



- ბავშვები დასხდნენ იატაკზე ერთმანეთის პირისპირ. ფეხები მუხლებში ოდნავ მოხარონ და ფეხის ტერფები ერთმანეთს მიადონ. ხელები ერთმანეთს ჩასჭიდონ. ახლა კი შეეცადონ ერთდროულად წამოდგნენ ფეხზე. თუ ერთდროულად წამოდგებიან, ადგომასაც მოახერხებენ. თუ წყვილი თავს გაართმევს ადგომას, მაშინ შეგიძლიათ ჯგუფის გაზრდა. ახლა სამმა ბავშვმა სცადოს ერთდროულად წამოდგომა. თუ გამოგივათ, შეგიძლიათ გუნდის რაოდენობა ჯგუფის რაოდენობამდეც გაზარდოთ.
- ბაშვები დაწყვილდნენ, დადგნენ წრეში და ერთმანეთს მიესალმონ ხელით, ფეხებით, თავებით.
- „ვისაც შეგიძლია, დამეხმარე„. ბავშვები უნდა დაიყონ 5 კაციან ჯგუფებად. თითო ჯგუფს შეურჩიონ სახელი, შეიძლება ნომერიც იყოს. ჩართეთ მუსიკა და იმოძრავეთ ბავშვებთან ერთად. როდესაც აღმზრდელი ან აღმზრდელის თანაშემწე იტყვის ერთ-ერთი ჯგუფის სახელს, იმ ჯგუფის წევრებს ნელ-ნელა

უნდა „წაუვიდეთ გული“ და ნელ-ნელა უნდა დაეშვან მიწისკენ, ხოლო დანარჩენმა ჯგუფის წევრებმა უნდა მოასწრონ „გულწასულების” დაჭერა მანამ, სანამ ისინი დაწვებიან მიწაზე. დაჭერილი გულწასულები უნდა დააწვინონ ბავშვებმა გვერდულ მდგომარეობაში (პირველადი დახმარება).

სამაგიდო



- მაგიდაზე დააწყვეთ ბავშვების საყვარელი ნივთები, სათამაშოები მცირე რაოდენობით. გადააფარეთ ნაჭერი, ბავშვებმა რომ ვერ დაინახონ ნივთები. რამდენიმე ბავშვი უნდა იყოს დამთვლელი, ხოლო ერთი ბავშვი დამმახსოვრებელი. დამთვლელებმა უნდა დაითვალონ 20-მდე, ხოლო დამმახსოვრებელმა ამ დროის განმავლობაში ერთი შეხედვით უნდა დაითვალოს, რამდენი და რა ნივთია ნაჭრის ქვეშ მოთავსებული. 20-ის გაგონებაზე ნივთებს გადააფარეთ ნაჭერი და დამმახსოვრებელმა ჩამოთვალოს, რა დაინახა.
- „მეგობრისთვის ხელის გაწოდება“: დააწყვილეთ ბავშვები და დააყენეთ მაგიდის მოპირდაპირე მხარეს. მაგიდაზე დაუფინეთ გრძელი ქაღალდის ფურცელი (დაახლოებით 15 სმ/50 სმ). წინასწარ მოამზადეთ ხელის საღებავები. თითო ფერის ხელის საღებავი თითო სინზე დადეთ. სთხოვეთ წყვილებს, ხელი სხვადასხვა საღებავში ჩადონ და ქაღალდზე მორიგეობით ხელის ანაბეჭდი გადაიტანონ. შემდეგ საღებავიანი ხელები ერთმანეთს მიადონ და შერეული საღებავით დახატონ ანაბეჭდი. როცა გაშრება, თავიანთი სახელები დაახატონ, საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ.

წიგნიერება:

- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ: „გულითადი მეგობრობა“ და „რწყილი და ჭიანჭველა.“
- სოფო კირთაძის წიგნი: „ლაშას და ლუკას თავგადასავალი“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).
- მოთხრობა: „გულკეთილი ბიჭუნა“ (იხ. დანართი).

დრამატული:



- აღმზრდელი ან აღმზრდელის თანაშემწე იყოს ავტობუსის მძღოლი. დაჯექით ბავშვების წინ, საჭესთან. ბავშვები თქვენ უკან ორ-ორად დასხდნენ, რამდენიმე ბავშვს სთხოვეთ გაჩერებაზე დაგელოდონ. ავტობუსის შუაში არ დაგავიწყდეთ პატარა გასასვლელის დატოვება, ამომსვლელები, რომ დადგნენ. ერთ-ერთ გაჩერებაზე მდგომ ბავშვს სთხოვეთ, განასახიეროს მოხუცი ადამიანი, ჯოხით ხელში, რომელსაც უჭირს სიარული და ავიდეს ავტობუსში. რას იზამენ ავტობუსში მჯდომი მგზავრები? ასევე შეიძლება ამოვიდეს ბარგით დატვირთული ადამიანი, ხელ ან ფეხ მოტეხილი ასკინკილით, პატარა ბავშვიანი ადამიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და ა.შ.

სენსორული:

- ბავშვებმა მყარ ძაფზე ააცვან ფერად-ფერადი ღილები. გააკეთონ ღილების სამკაული.

კონსტრუქციული:



- ბავშვებს აუკარით თვალები და შეეცადონ თვალახვეულებმა ააწყონ სახლები.

მეცნიერება

- წინასწარ გაამზადეთ ერთჯერად ჭიქებში ჩასხმული ძმარი სხვადასხვა საკვები საღებავებით, სოდა, ერთჯერადი კოვზები და ნემსები (მხოლოდ სინჯარები ნემსის გარეშე). დაუდეთ ბავშვებს სქელი ფურცლები ან ერთჯერადი თეფშები. კოვზით გადაიღონ სოდა და სინჯარების საშუალებით დააწვეთონ საკვებ საღებავებში არეული ძმარი. დააკვირდნენ ფერად შუშხუნა ბუშტებს.

კულინარია:



ბავშვებთან ერთად მოამზადეთ მაკარონის სალათი. მოხარშეთ მაკარონი. დაამატეთ წვრილად დაჭრილი სოსისი. მოთუშული ხახვი და ნიორი. სურვილის მიხედვით შეგიძლიათ დაუმატოთ მჟავე კიტრი, გახეხილი სტაფილო, წვრილად დაჭრილი ვაშლი, მწვანილი. მოასხით ცოტა ზეითუნის ზეთი, შეურიეთ არაჟანი და მოაყარეთ გახეხილი ყველი. წაახალისეთ ბავშვები, ერთმანეთს გაუმასპინძლდნენ.

საღამოს წრე:

- შეაჯამეთ განვლილი თემა.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რა მოეწონათ, რომელი აქტივობა იყო მათთვის სახალისო?
- რას გაიმეორებდნენ?
- წაახალისეთ ბავშვები, გაიხსენონ წაკითხული მხატვრული ტექსტები. თუ ბავშვები წაკითხვის სურვილს გამოთქვამენ, კიდევ ერთხელ წაუკითხეთ და დაათვალიერებინეთ წიგნი.

ადგილი სადაც ვცხოვრობ

1. ქალაქი-სოფელი
2. შბანი-ქუჩა
3. სახლი-კორპუსი
4. ბინის ნომერი ტელეფონის ნომერი

1. ქალაქი-სოფელი

დილის წრე:

დილის წრის კედელზე გამოფინეთ ქალაქების ხედების ფოტოები. უთხარით ბავშვებს, რომ ქვეყანა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, საქართველოა. საქართველო შედგება ბევრი სხვადასხვა ადგილის, რაიონის, დაბის, ქალაქისა და სოფლისგან. დღევანდელი დღის თემა სწორედ ის ადგილია, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

ჰკითხეთ ბავშვებს, სად შეიძლება ცხოვრობდეს ადამიანი? (სახლში, ქუჩაში, გამოქვაბულში, ქოხში, კარავში) პასუხების მიხედვით ისაუბრეთ დასახელებული ადგილების მნიშვნელობა-დანიშნულებაზე. მაგ. გამოქვაბულში ცხოვრობდნენ ადრე, როდესაც სახლები არ არსებობდა და ა.შ.

- ჰკითხეთ ბავშვებს, რომელ ქალაქებში ყოფილან?
- რატომ ეძახიან ზოგიერთ ქალაქს დედაქალაქს?
- ჰკითხეთ, თუ იციან, რატომ ჰქვია საქართველოს დედაქალაქს თბილისი?
- რა განსხვავებაა ქალაქს და სოფელს შორის?
- ჰკითხეთ ბავშვებს, აქვთ თუ არა სოფელი, თუ აქვთ – სად?
- ესაუბრეთ ბავშვებს ქალაქისა და სოფლის მოფრთხილებაზე, სად უნდა მოვათავსოთ ნაგავი და ა.შ.
- აუხსენით ბავშვებს „ნაქალაქარის“ მნიშვნელობა. ანახეთ ნაქალაქარის ილუსტრაციები.
- აჩვენეთ ბავშვებს საინტერესო ქალაქების სურათები: საქართველოს ტერიტორიაზე კლდეში ნაკვეთი უძველესი ქალაქების, ქვაბულ-ნაგებობების სურათები. სტამბულის სურათი, რომელიც ორ კონტინენტზე მდებარეობს, ვენეციის სურათი, რომელიც წყალზე დგას და ა.შ.

ხელოვნება:



- ბავშვებმა დახატონ ქალაქი, სადაც ცხოვრობენ.
- დახატონ ქალაქი, რომლის მონახულებაც ძალიან უნდათ.
- დახატონ სოფელი, სოფლის ცხოვრება.
- დახატონ სხვადასხვა ზომის და ფორმის სახლები. გამოჭრან, ააცვან ძაფზე და ჩამოკიდონ ხის პატარა ტოტზე.

- გააფერადონ მანდალა (დანართ 3.2.1.).
- დაყავით ბავშვები ჯგუფებად, თითო ჯგუფს დაურიგეთ დიდი მყარი ფორმატი. სთხოვეთ, დახატონ სახლები. დახატული სახლები გამოჭერით ისე, რომ მაგიდაზე დადგმა შეძლოთ. სახლებს ამოუჭერით ფანჯრები და კარები. შეგიძლიათ ქალაქის უკან პატარა სანთლები დადგათ და ცოტა ხნით შუქი ჩააქროთ.



მუსიკა/მოძრაობა

- მოასმენინეთ ბავშვებს სიმღერები, სადაც ქალაქსა და სოფელს ახსენებენ მაგ. „ჯადოსნურ ქალაქში მივდივარ,“ ვისაც სურვილი ექნება იცეკვოს ამ სიმღერების თანხლებით.
- თამაში: არქიტექტორი და მშენებელი. ყველა ქალაქში არსებობს არქიტექტორი და მშენებელი. ჯგუფიდან ერთი მსურველი ბავშვი აარჩიეთ. მან დეტექტივის როლი უნდა შეასრულოს. დეტექტივი ცოტა ხნით გავიდეს ჯგუფიდან, რათა დანარჩენმა ბავშვებმა ჯგუფის არქიტექტორი და მშენებელი შეარჩიონ. დეტექტივმა არ უნდა იცოდეს, თუ ვინ არიან ისინი. არქიტექტორს და მშენებელს რომ აირჩევთ, დაუძახეთ დეტექტივს, ჯგუფში შემოვიდეს. დადექით წრეში, წრის შუაში კი დეტექტივი ჩააყენეთ. დეტექტივმა უნდა გამოიცნოს, რომელია ბავშვებს შორის მშენებელი და არქიტექტორი. მშენებელმა და არქიტექტორმა ფრთხილად, ისე რომ დეტექტივმა არ დაინახოს, გააკეთონ რაიმე მოძრაობა (ერთი ვითომ ხაზავს, მეორე ვითომ ამ ნახაზის მიხედვით აშენებს), რომელსაც წრეში მდგომი ბავშვები გაიმეორებენ. როდესაც დეტექტივი დირიჟორს ამოიცნობს, თამაში თავიდან დაიწყეთ.
- მეტროს განსასახიერებლად ბავშვებმა გააკეთონ ესკალატორი: 1. წაახალისეთ ბავშვები, დადგნენ მწკრივში ერთმანეთის ზურგს უკან. ხელები ერთმანეთს მხრებზე დაადონ და ყველამ ერთდროულად დაიწყოს მარჯვენა ფეხით სვლა. 2. მეტროს ესკალატორის განსასახიერებლად წაახალისეთ ბავშვები, ერთი კუთხიდან მეორემდე დაწოლილები კოტრიალით მიგორდნენ. 3. წაახალისეთ ბავშვები, დასხდნენ მიწაზე, ფეხები გაშალონ და დადონ მიწაზე. მენჯ-ბარძაყის გადაადგილებით წავიდნენ წინ ისე, რომ ფეხები არ ასწიონ. შემდეგ კი უკან სვლით დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებზე.

სამაგიდო



- სთხოვეთ ბავშვებს, ასანთის ღერებით, სხვა რაიმე ჩხირებით ან მსხვილი სპაგეტით ააწყონ ქალაქი ან სოფელი.

დრამატული



- წიგნიერების კუთხე მუზეუმად ან ბიბლიოთეკად „აქციეთ,“ სადაც ბავშვები სხვადასხვა წიგნებს დაათვალიერებენ.
- წაახალისეთ ბავშვები, მაგიდებისგან, სკამებისგან, ნაჭრებისა და გადასაფარებლებისგან მოაწყონ ჯგუფი ქალაქად. შეახსენეთ ბავშვებს, რომ ყველა ქალაქს აქვს თავისი ღირსშესანიშნაობები, მუზეუმები, თეატრი, ოპერა, ტრანსპორტი, მაღაზიები და ა.შ. ასევე ყველა ქალაქს აქვს თავისი სახელი. გაითამაშეთ ქალაქის ცხოვრება.

წიგნიერება:

- დაათვალიერეთ ქალაქებზე წიგნები.
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან (ადგილი სადაც ვცხოვრობ), იმსჯელეთ.
- დაათვალიერეთ და წაიკითხეთ პიტერ კენტის წიგნი „ქალაქი, მოგზაურობა დროში“ (2011, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).
- ხმოვანი წიგნი „სოფელში“ (2011, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

კონსტრუქციული:



- კუბურებით ააშენეთ ქალაქი და სოფელი.
- წაახალისეთ ბავშვები, თუნუქის ყუთებით (მაგ: ყავის, პომიდვრის ტომატის და ა.შ.) ააშენონ სახლი ან პირამიდა. ბურთის გაგორებით დაშალონ ნაგებობები.

საღამოს წრე:

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა გაიგეს ახალი ქალაქის და სოფლის შესახებ?
- რა დაამახსოვრდათ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ?
- რას გააკეთებდნენ ქალაქში და რას გააკეთებდნენ სოფელში

2. უბანი-ქუჩა

დილის წრე:



დილის წრის დაფაზე გააკარით თბილისის რუკა. ანახვეთ ბავშვებს, რომ ქალაქი დაყოფილია უბნებად. ამ უბნებში არის ბევრი ქუჩა, რომლებზეც ჩვენ გადავადგილდებით. უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა უბანი და ქუჩაა. შეგიძლიათ გააკრათ თბილისის ქუჩებისა და უბნის ფოტოები. თუ ილუსტრაციები არ გექნებათ, წიგნები დაათვალიერებინეთ.

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა გაუგიათ უბნის შესახებ?
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ თავიანთი უბნები, რა მოსწონთ იქ?
- რა იციან ძველი თბილისის შესახებ?
- რა არის ქუჩა?
- რომელ ქუჩაზე ცხოვრობენ?
- როგორია ქუჩა, რომელზეც ისინი ცხოვრობენ?
- რამხელა შეიძლება იყოს ქუჩა?
- რა განსხვავებაა გამზირს და ქუჩას შორის?
- ვის ან რის სახელს და გვარს არქმევენ ხოლმე ქუჩებს?
- ჰკითხეთ ბავშვებს, თუ იციან, ვინ იყო ის პიროვნება, რომლის ქუჩაზეც ისინი ცხოვრობენ?

ხელოვნება:

- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ უბანი, სადაც ცხოვრობენ. შეგიძლიათ ბავშვების ნახატებით ააწყოთ რუკა.
- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ქუჩა. ნამუშევრები გადააბით ერთმანეთს, შეგიძლიათ ლაბირინთად ააწყოთ ან წრე შეკრათ. წაახალისეთ ბავშვები, სათამაშოები დახატულ ქუჩებზე ატარონ.
- გააფერადეთ მანდალა (დანართ 3.2.2.).

მოძრაობა:



- ბავშვებთან ერთად ეზოში ცარცით დახატეთ ქუჩები. წაახალისეთ ბავშვები, იმოძრაონ ქუჩებზე სხვადასხვა ტემპით: ნელა და ზანტად, ჭიანჭველას ნაბიჯებით, დიდი ნაბიჯებით, ხტუნვა-ხტუნვით, გადახტომით, ასკინკილათი. სკამებით გააკეთეთ გზები და ლაბირინთები. ზოგიერთი სკამი შესაძლოა, წააქციოთ, ეს დაბრკოლება იქნება, რომელზეც ბავშვებმა უნდა გადააბიჯონ, ზედ აძვრენ ან ქვეშ გაძვრნენ.

სამაგიდო:



- წინასწარ გაამზადეთ დანართის მიხედვით დანომრილი სახლები. სთხოვეთ ბავშვებს, გამოჭრან და გააფერადონ სახლები. გრძელ ფურცელზე ქუჩა დახატონ და სახლები ნომრების მიხედვით განალაგონ, ერთ მხარეს კენტრიცხვებიანი სახლები, მეორეზე ლუწრიცხვებიანი; შემდეგ დააწებონ (დანართ 3.2.3.).
- ბავშვებმა დახატონ ქუჩა. სახლების დასახატად გამოიყენონ კუბურები. სხვადასხვა ფორმის კუბურები დადონ ფურცელზე, ფანქარი ან ფლომასტერი შემოავლონ, კუბურა აიღონ და ნახატი დაასრულონ, მიუხატონ ფანჯრები ან გააფერადონ.

დრამატული:



- წაახალისეთ ბავშვები, უსიტყვოდ განასახიერონ ქუჩაში შეხვედრის სცენა, მაგალითად, ქუჩაში ხვდებიან დიდი ხნის უნახავი მეგობრები ან ერთ-ერთს საათი აინტერესებს, ან ერთი ელოდება მეორეს, რომელმაც ძალიან დაიგვიანა, ან ერთმანეთს ხვდებიან ნაჩხუბარი მეგობრები. რამდენიმე ბავშვი იყოს წარმდგენი, დანარჩენები კი – მაყურებელი. შესაძლოა, მაყურებლები მოყვნენ, თუ რას გადმოგვცემენ შემსრულებლები. საინტერესოა, თუ დაემთხვევა შემსრულებლის და მაყურებლის აზრები?
- თამაში „გზაზე მიდის ერთი კაცი – რათა ერთი? – მაშ რამდენი? – ორი, – რათა ორი? – მაშ რამდენი? – სამი.....“

სენსორული:

- პატარ-პატარა ქვებით, კენჭებით, მაკარონებით, ლობიოებით და ა.შ. ბავშვებმა ააწყონ უბნები, ქუჩები, ლაბირინთები.

ექსკურსია:



- გაასეირნეთ ბავშვები ბაღის ახლომდებარე ქუჩებზე. დააკვირდნენ, რა ხდება ქუჩებზე, რა იზრდება, რითი ნათდება, როგორია ქუჩა. ბაღში დაბრუნებისას აღწერეთ ნანახი ქუჩები და იმსჯელეთ ქუჩის მახასიათებლებზე. ყურადღება გაამახვილებინეთ აბრებზე, სადაც ქუჩის დასახელება წერია, წაუკითხეთ. აუხსენით რას აღნიშნავს აბრაზე ციფრი.

კონსტრუქციული:



- სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებით ააშენონ გზები. შეგიძლიათ ლაბირინთებიც ააწყოთ.

კულინარია:



- ბავშვებთან ერთად პეჩენიის და შოკოლადის კარაქის ნამცხვარი „შოკოლადის კორპუსი“ გააკეთეთ. ფორმაში ჩააფინეთ ფოლგა და ზედ ერთ რიგად დაალაგეთ პეჩენიები. შოკოლადის კარაქი შეათბეთ და თხლად წაუსვით პეჩენიის ფენას. ახლა მეორე რიგი პეჩენიები დააწყვეთ და წაუსვით ზედ შოკოლადის კარაქი. რამდენიმე რიგი გამოვა. გამზადებული ნამცხვარი 2-3 სააათით საყინულეში შედგით. შემდეგ გადმოიღეთ ფორმიდან და დააგემოვნეთ.



საღამოს წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ იმის შესახებ, თუ რა გაიგეს ახალი.
- გაიმეორეთ საცხოვრებელი მისამართები, უბნის და ქუჩის სახელწოდებები.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი აქტივობა მოეწონათ?

3. სახლი-კორპუსი

დილის წრე:

- იმისათვის, რომ შემეძლოს ვთქვა, თუ სად ვცხოვრობ, რა უბანში, რომელ ქუჩაზე, რომელ სახლში და რომელ ბინაში, საჭიროა, ვიცოდე ჩემი მისამართი. პირველ რიგში უნდა ვიცოდე, ქვეყანა და ქალაქი, შემდეგ კი უბანი, ქუჩა, სახლის ნომერი, ბინის ნომერი (შეიძლება ბინას ნომერი არც კი ჰქონდეს) და ტელეფონის ნომერი.
- დილის წრის დაფაზე დაახვედრეთ ბავშვებს სხვადასხვა ფორმისა და ზომის სახლები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა სახლი და კორპუსია.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რა არის სახლი?
- წაახალისეთ, აღწერონ სახლები.
- მოუყევით ბავშვებს, რომ სახლები მრავალი ფორმის და ზომის არსებობს.
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ ის სახლები, რომლებიც მათ მოსწონთ.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რამხელა სახლში ცხოვრობენ?
- აღწერონ თავიანთი სახლები.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რა განსხვავებაა სახლსა და კორპუსს შორის. ისაუბრეთ განსხვავებებზე.
- ჰკითხეთ, როგორ ჰგონიათ, რატომ აშენებენ კორპუსებს?
- რისგან აშენებენ სახლებს და კორპუსებს?

ხელოვნება

- ბავშვებმა დახატონ სახლები. შემდეგ ნახატები გაჭრან ოთხ ნაწილად. ნახატები აურიონ ერთმანეთში და ააწყონ ფაზლივით ერთი დიდი კორპუსი.
- გააფერადეთ (დანართ 3.2.4.).

მოძრაობა:



- წაახალისეთ ბავშვები, განასახიერონ სახლები, ზოგი დადგეს, ჩაიკუზოს, ხელები ასწიოს, ოთხზე დადგეს და კიბე გააკეთოს. ყველა ერთმანეთს გადაებას. შემდეგ პირველი ბავშვი მოშორდეს ბავშვების მწკრივს და გაიაროს სახლებს შორის. ზოგან ჩვეულებრივად გაივლის, ზოგან გაძრომა მოუწევს, ზოგან გადაფოფხება. ბოლოში მისული, ბავშვების ბოლოს, მწკრივში ჩაებმება. შემდეგ მეორე ბავშვი იწყებს მსვლელობას და ა.შ.

სამაგიდო:



- ასწავლეთ ბავშვებს ქაღალდისგან სახლის კეთება.



- დაითვალეთ კორპუსების სართულები, ფანჯრები, კარები, აივნები და ა.შ. (დანართი 3.2.5.).
- შესთავაზეთ ბავშვებს, დახატონ გარკვეული რაოდენობის ფანჯრების მქონე სახლები. ბავშვებმა თავად აირჩიონ, რამდენ ფანჯრიან სახლს ან კორპუსს დახატავენ, შემდეგ დაითვალონ ფანჯრები და დააწერონ შესაბამისი რიცხვი. საჭიროების შემთხვევაში დაეხმარეთ.
- შეავსებინეთ ბავშვებს ცხრილი: რამდენი წევრია ჩემს ოჯახში.

დრამატული:



- ითამაშეთ „სახლობანა“.
- ითამაშეთ „სტუმარ-მასპინძლობანა,“ გაუმასპინძლდით ერთმანეთს.

სენსორული

- ჩხირებისაგან ააგეთ ოთხკუთხა სახლები.
- აფრიკაში სახლებს ტოტებისგან აგებენ და ნაკელით და ტალახით ლესავენ, გადახურვას თივის ან პალმის ფოთლებისგან უკეთებენ. სთხოვეთ ბავშვებს, ტალახის და ჯოხების გამოყენებით ააგონ სახლები.
- უთხარით ბავშვებს, რომ არქტიკაზე ყინულისა და თოვლისგან აწყობენ სახლებს. ამ სახლებს იგლუს უწოდებენ. სთხოვეთ ყინულის კუბურებისგან ააგონ იგლუ.

წიგნიერება

- დაათვალიერეთ წიგნები სახლებსა და არქიტექტურაზე.

კონსტრუქციული



- კუბურებით ააგეთ მაღალი სახლები.

კულინარია



- ვაფლებით ააწყვეთ სახლები.
- ბავშვებთან ერთად პეჩენიის ცომით გამოაცხვეთ პატარა ზომის სახლები. გასაფორმებლად ბავშვებმა წაუსვან შაქრის მინანქარი და მორთონ M&M-სის კანფეტებით (ფანჯრები, სახურავი და ა.შ.).

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ეთნოგრაფიულ მუზეუმში და დაათვალიერებინეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სახლები.

საღამოს წრე:

- რა გაიგეს ახალი სახლების შესახებ?
- როგორი სახლები არსებობს?
- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

4. ბინის ნომერი ტელეფონის ნომერი

დილის წრე

- მნიშვნელოვანია, ბავშვებმა იცოდნენ თავიანთი მისამართი და ტელეფონის ნომერი. მათ ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოთ სახლში დარეკვა, ოჯახის წევრთან დაკავშირება. ამისათვის საჭიროა იცოდნენ სახლის ან მშობლების ტელეფონის ნომერი.
- დახატეთ დაფაზე კარი და დააწერეთ რაიმე რიცხვი. გააკარით დილის წრის დაფაზე ტელეფონის ფოტო და სხვადასხვა რიცხვები. დაახვედრეთ ბავშვებს ნამდვილი ტელეფონი.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ბინის და ტელეფონის ნომერია.
- ბავშვებმა თავიანთი ბინები აღწერონ: რამდენი ოთახი აქვთ? რამდენი აივანი აქვთ? რამდენი ფანჯარა და კარი აქვთ?
- რითი კეტავენ და აღებენ ბინას?
- ჰკითხეთ, აქვთ თუ არა მათ ბინებს ნომერი? უთხარით, რომ არსებობს ბინები, რომლებსაც ნომერი არ აქვთ.
- რა აწერია ხოლმე ბინაში შესასვლელ კარს? წარწერა მიგვანიშნებს თუ ვისი ბინაა.
- ყველა ბინაში არის ისეთი დანადგარი, რომელიც ზარს რეკავს? აბა, გამოიცანით, რა რეკავს ბინაში ზარს?
- რამდენი ციფრისგან შედგება სახლის ტელეფონის ნომერი?
- რამდენი ციფრისგან შედგება დედას და მამას მობილური ტელეფონის ნომერი?

ხელოვნება

- სთხოვეთ ბავშვებს ამოჭრან და გააფერადონ ციფრები. დაალაგონ სახლის და მშობლების ტელეფონის ნომრები ფერად ფურცელზე და დააწებონ (დანართი 3.2.6.).

მოძრაობა



- ეზოში ცარცით დახაზეთ ცხრილი ტელეფონის კლავიატურის მსგავსად. წაახალისეთ ბავშვები, ეზოში ქაღალდზე დაწერილი საკუთარი სახლის ტელეფონის ნომრები ჩამოიტანონ და თანმიმდევრულად იხტუნაონ ტელეფონის ნომრის შესაბამის ციფრებზე.

დრამატული



- დრამატული კუთხე მოაწყვეთ სატელეფონო ჯიხურად. დადგით რამდენიმე ტელეფონი და წაახალისეთ ბავშვები, აკრიფონ სახლის და მშობლის ნომრები. გაახმოვანონ ტელეფონზე თავაზიანი საუბრის წესები: მისალმება, თავის წარდგენა, ვისთან სურთ საუბარი და ა.შ.

სენსორული

- ლობიოთი, წაბლით, მაკარონით, მზესუმზირით, და ა.შ. ბავშვებმა დაწერონ ციფრები, დაწერეთ ბინის და ტელეფონის ნომრები. დასახმარებლად წინასწარ შეგიძლიათ დაუწეროთ თითოეულ ბავშვს სახლის ნომერი ფურცელზე და ის გამოიყენოს შაბლონად.
- ნაჭრის გაუმჭვირვალე ტომარაში ჩაყარეთ პლასტმასის ციფრები და მოუკარით ტომარას თავი. ბავშვებმა ხელის მოსმით გამოიცნონ, თუ რა ციფრი უკავიათ ხელში.

სამაგიდო



- გააფერადეთ ცისარტყელას სპექტრის ფერების თანმიმდევრობით საკუთარი სახლის ნომერი: პირველი – წითელი, მეორე – ნარინჯისფერი და ა.შ. (ბავშვებს შაბლონი დაუდეთ) (დანართი 3.2.7.).
- წრეში ჩაწერეთ ციფრები ნულიდან ცხრის ჩათვლით, გააფერადეთ და გამოჭერით. ქაღალდი ჩამოაცვით პატარა ჯოხზე, ჯოხი კი პლასტელინში ჩაარჭეთ, რომ ერთ ადგილზე გააჩეროთ. ახლა კი ივარჯიშეთ ციფრების აკრეფაში.
- დანართის მიხედვით დაურიგეთ ბავშვებს შაბლონი ღია წერილისთვის, რომელსაც გააფორმებენ და დააწერენ საკუთარ მისამართს, ტელეფონს და ჯგუფში გამოფენენ. შემდეგ გააკეთებენ ტელეფონის წიგნაკებს და იქ გადახატავენ იმის მისამართს და ტელეფონის ნომერს, ვისთანაც მეგობრობა სურთ: გაუგზავნიან წერილებს და დაურეკავენ (დანართი 3.2.8.).
- აღმზრდელმა ან აღმზრდელის თანაშემწემ დახატოს მკრთალად ტელეფონის აპარატი. შემდეგ კონტურზე, დაახლოებით ყოველ სამ სანტიმეტრში, დააწეროს თანმიმდევრულად ციფრები. ციფრებით ტელეფონის ფორმა რომ შეიკვრება, წაშალეთ კონტური. დაურიგეთ ბავშვებს, რომ შეაერთონ ციფრები სწორი ხაზებით და ნახატი გააფერადონ.
- დაურიგეთ ბავშვებს ფურცლები თავიანთი სახლის ტელეფონებით (დიდად დაწერილი). სთხოვეთ, ნომრის ქვევით ციფრების შესაბამისი რაოდენობის წერტილები დასვან. მაგალითად, თუ ტელეფონის ნომერია 2 30 14. ორიანის ქვეშ უნდა დასვან ორი წერტილი, სამის ქვეშ – სამი წერტილი და ასე შემდეგ.

მეცნიერება

- ფურცლები დაასველეთ სველი ღრუბლით. სველ ფურცელზე აკვარელის საღებავით დაწერეთ სახლის ტელეფონის ნომერი. დააკვირდით ციფრებს, რა დაემართებათ?

კონსტრუქციული



- კუბურებისგან ააწყვეთ ტელეფონი და ციფრები.

კულინარია



- მარილიანი ცომისგან (იხ. განმარტებები დანართიდან) ციფრები გამოაცხვეთ.

საღამოს წრე:

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა გაიგეს ახალი?
- რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო?
- რომელი აქტივობა მოეწონათ და სურვილი აქვთ გაიმეორონ?

შემოდგომა და რთველი

1. შემოდგომა
2. რთველი

1. შემოდგომა

დილის წრე

- ისაუბრეთ შემოდგომაზე. პირველი, რასაც ვამჩნევთ, ფოთლებია, რომლებიც ფერს იცვლიან. შეგიძლიათ გაიხსენოთ სხვა ნიშნები? წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ, რაც შემოდგომის შესახებ იციან.
- როგორი ამინდებია?
- რა ტანსაცმელი გვაცვია?
- რა ხილი და ბოსტნეულია ამ დროს?
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა შემოდგომაა.
- დაათვალიერებინეთ შემოდგომის ამსახველი პეიზაჟები.

ხელოვნება



- სხვადასხვა ფერის ქაღალდის ხელსახოცებისა და ხის ჩხირებისგან დაამზადებინეთ ბავშვებს ქოლგების კოლაჟი.



- „შემოდგომის ფანჯრები.“ მოათავსეთ შემოდგომის ფოთლები წებოვან გამჭვირვალე ქაღალდზე (გამოიყენება წიგნების გადასაკრავად) და დააწებეთ ფანჯრის მინაზე.
- მოიმარაგეთ გამხმარი ხის ტოტები და სხვადასხვა ფერის „კრეპის“ ქაღალდი. წაახალისეთ ბავშვები, გამოჭრან ფოთლები „კრეპის“ ქაღალდისაგან და დააწებონ ტოტებს. დამზადებული ტოტები ჩაამაგრეთ ქოთანში ან სხვა ჭურჭელში.
- წელიწადის ოთხი სეზონის შესაბამისად დაამზადეთ ოთხი ქვეყანა. მაკეტი დაამზადეთ დიდი ზომის მუყაოზე. შემოდგომისათვის გამოიყენეთ გამხმარი ტოტები, შემოდგომის ფოთლები, ქსოვილები, ფერადი ქაღალდები და პლასტელინი.

მოძრაობა



- მოიმარაგეთ კალათა, სიმინდის ტარო ან ნაგულა. წაახალისეთ ბავშვები, სიმინდის ტაროები კალათში ჩაყარონ. მათ შორის მანძილი ნელ-ნელა გაზარდეთ.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ ერთი ყუთი შემოდგომის ფოთლები, რომ ბავშვებმა კატეგორიებად დაახარისხონ ფაქტურის მიხედვით.
- მათემატიკა. მოიმარაგეთ ექვსი ან რვა კონტეინერი და დანომრეთ წერტილებით. წაახალისეთ ბავშვები, თითოეულ კონტეინერში წერტილების შესაბამისი რაოდენობის რკო ჩაყარონ.

სენსორული

- მოიმარაგეთ ნახევარლიტრიანი ბოთლები. ერთი ბოთლი გაავსონ ქაღალდის პატარა ფერადი ნაჭრებით და წყლით (ბოთლი შეუძლიათ გამოიყენონ სადღესასწაულო წვეულებებზე), მეორე – შემოდგომის ფოთლებით და მესამე – შემოდგომის არომატული საგნებით (გირჩა, ფოთლები და სხვა). სამივე ბოთლს თავსახური მიაწებეთ, მესამე ბოთლის თავსახურს გაუკეთეთ პატარა ნახვრეტები, რომ ბავშვებმა სუნი შეიგრძნონ.

წიგნიერება

- შემოდგომას სიხარულთან ერთად სევდაც ახლავს თან. გადამფრენი ფრინველები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ. ხეები შიშვლდებიან, ზამთრის ძილისთვის ემზადებიან. წაუკითხეთ „შემოდგომა“ (იხ. წიგნიერების დანართი). რა ანაღვლებთ ცხოველ-ფრინველებს? რატომ არის მათთან შედარებით ადამიანი დაცული. მას აქვს სახლი, შემოდგომაზე იკეთებს ზამთრის მარაგს და რაც მთავარია, ადამიანს აქვს ცეცხლი და შემოდგომის შემდეგ მომავალი ზამთარი ყველაზე ნაკლებად ანაღვლებს.

საღამოს წრე

ჰკითხეთ:

- რა გაიგეთ დღეს შემოდგომის შესახებ?
- შემოდგომის ფოთლის რომელი ფერი მოგწონს ყველაზე მეტად?
- რით განსხვავდება შემოდგომა ზაფხულისგან?

2. რთველი

დილის წრე

- ისაუბრეთ ყურძენზე. რა ისხამს ყურძენს, რა ჰქვია ადგილს, სადაც ბევრი ვაზია. რა არის რთველი, რატომ არის სახალისო ერთად მუშაობა. რა მზადდება ყურძნის წვენით, რა არის ტკბილი, თათარა, ფელამუში, მაჭარი, თუ ყოფილან სოფლად მოსავლის აღების დროს? უთხარით, რომ დღის თემაა: რთველი.

ხელოვნება



- თიხის ქვევრები. დაურიგეთ ბავშვებს თიხა, აჩვენეთ მათ უკვე გამოძერწილი ქვევრის ფორმა და სთხოვეთ, ჯერ დაამრგვალონ თიხის გუნდა, შემდეგ კი მისცენ ქვევრის ფორმა.

ექსკურსია



- *ნიკო ფიროსმანის ნახატები „რთველი“.* წაიყვანეთ ბავშვები მუზეუმში და წაახალისეთ იპოვონ 3 ტილო, რომელზეც რთველია გამოსახული (ან აჩვენეთ ნახატების რეპროდუქციები). დააკვირდით რთველთან დაკავშირებულ საგნებს (ყურძენი, გოდორი, ქეიფი, ღვინო, ვენახი, ქვევრი, ჩურჩხელა).

მოძრაობა



- გამოიყენეთ მუსიკა La Pigiatura, ფილმიდან „ჭირვეულის მორჯულება.“ ოთახში სხვადასხვა ადგილას მიამაგრეთ „ყურძნის მტევნები“ (ნაჭრები, ღრუბელი, პატარა ბალიშები ან სხვა რბილი მასალა). ამ „მტევნებს“ ბავშვები „დაკრეფენ“ და ჩაყრიან ჯამებში (ან შეგროვებულ „მტევნებს“ უბრალოდ ძირს დაყრიან). ჯამები ან გროვები წრიულად განალაგეთ. ზოგი ბავშვი ჩადგება ნაჭრებით – „მტევნებით“ სავსე ჯამში და დაიწყებს ყურძნის „დაწურვას.“ ზოგიც იატაკზე დაყრილ „მტევნებს“ „წურავს.“ სასურველია, ნაჭრების გროვა უსწორმასწორო იყოს, რომ ბავშვებს მოუწიოთ წონასწორობის დაცვა და ძალის გადანაწილება. მას შემდეგ, რაც ბავშვები კარგად იხტუნავებენ, ივლიან და იბაკუნებენ ნაჭრების გროვებზე, აიღებენ „დაწურული“ „ყურძნით“ სავსე ჯამებს და გადაიტანენ ერთ ან ორ დიდ „ქვევრში“ – დიდი ზომის ჯამში. შეიძლება ამ ჯამებიდან ისევ ამოიღონ ნაჭრები და „ჩურჩხელები“ გააკეთონ – მოურიონ, ამოიღონ ცოტა, დადონ მაგიდაზე და დააწებონ ჩურჩხელის ფორმის მსგავსად, შეღებონ და ა.შ.

სამაგიდო



- ყურძნის ძერწვა; დაურიგეთ ბავშვებს პლასტელინი და სთხოვეთ დაყონ ის რამდენიმე პატარა ნაწილად. დაამრგვალონ ნაწილები, ან მისცენ ოვალური ფორმა. შემდეგ მიამაგრონ მარცვლები ერთმანეთზე ან დააბრტყელონ მუყაოზე და მისცენ მტევნის ფორმა.
- იმუშავეთ სამუშაო ფურცლით – „დააბინავე მოსავალი“ (დანართი 2.3.1.).
- *დაწენი საწრუპები.* აიღეთ მუყაო ან ყუთი და თითოეულ გვერდზე სიმეტრიულად 4 ნახვრეტი გაუკეთეთ. ასევე, აიღეთ 8 საწრუპი. საწრუპებს ძაფები გაუყარეთ. 4 საწრუპი, ძაფის საშუალებით, მუყაოს (ყუთს) მიამაგრეთ ჰორიზონტალურად. დანარჩენი საწრუპები ვერტიკალურად მხოლოდ ერთ მხარეს დაამაგრეთ. სთხოვეთ ბავშვებს, გაუყარონ ერთმანეთში და დაწნან. ბოლოს, მეორე მხარესაც გაკვანძონ.





წიგნიერება

- წაუკითხეთ: „რთველი“ და „შემოდგომა ჰქვია“ (იხ. წიგნიერების დანართი). აუხსენით, რომ არსებობს ყურძნის სხვადასხვა ჯიში, გაახსენეთ, რამდენნაირი ვაშლი იყიდება ბაზარში, ასევე განსხვავებულია ყურძნის ჯიშებიც.

მეცნიერება

- დაკვირვება ყურძნის მარცვალზე, კანზე, გულზე, წიპწებზე; დაურიგეთ ბავშვებს ყურძნის მარცვლები. სთხოვეთ, შეისწავლონ მისი აგებულება, მოაცალონ კანი, ნახონ რა აქვს შიგნით, როგორია კურკის ფორმა, რამდენი კურკა აქვს, ვისაც სურვილი ექნებათ, ჩაიხატონ.

კულინარია



- მომზადებულ თათარაში ბავშვებმა უნდა ამოავლონ (მასწავლებლის დახმარებით) სხვადასხვა ზომის ჩურჩხელები და დაკიდონ ჯოხზე ზომის მიხედვით.
- სთხოვეთ ბავშვებს, მომზადებულ თათარაში სხვადასხვა ზომის ჩურჩხელები ამოავლონ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს რთველზე?
- გაამეორებინეთ რთველთან დაკავშირებული სიტყვათა მარაგი.
- ჰკითხეთ, რა მოეწონათ ყველაზე მეტად?

ჯანსაღი კვება

1. ჯანსაღი კვების პირამიდა
2. პური და ბურღულეული
3. ხილი და ბოსტნეული
4. რძე და რძის ნაწარმი
5. ხორცი და ხორცის შემცვლელი პროდუქტები
6. არაჯანსაღი საკვები

1. ჯანსაღი კვების პირამიდა

დილის წრე:

- ჰკითხეთ ბავშვებს, რატომ გვჭირდება ჯანსაღი კვება?
- დიდ „პლაკატზე“ დააჯგუფეთ პროდუქტები (ხილი, ბოსტნეული, ხორცის პროდუქტები, რძის ნაწარმი, ბურღულეული). აუხსენით ბავშვებს, რომ დაჯგუფება უნდა მოხდეს იმ კონკრეტული სარგებლობის მიხედვით, რომელიც მოცემულ საკვებს მოაქვს. ესაუბრეთ ბავშვებს, რომ ყოველი საკვები რაღაც განსაზღვრული მოთხოვნილებისთვისაა საჭირო.

- *მე ცისარტყელას ვჭამ* (დანართი 2.4.1.; იხ. 4-5-წლიანების დანართი. თემა „ჯანსაღი კვება“). დაჯგუფებული საკვები შეუსაბამეთ ცისარტყელას ფერებს. პირველი რკალი ცისარტყელაზე ყვითელია. ეს ფერი მარცვლეულ პროდუქტს და ფქვილისგან დამზადებულ საკვებს შეესაბამება. ჩამოათვლევინეთ ბავშვებს ის საკვები, რომელიც ფქვილისგან მზადდება (პური, ხაჭაპური, კექსი, ღვეზელი, ფუნთუშა და ა. შ.). ცისარტყელას შემდეგი ფერი მწვანეა, ეს ფერი ხილსა და ბოსტნეულს შეესაბამება. ჩამოათვლევინეთ მწვანე შეფერილობის საკვები. მესამე ფერი ცისარტყელაზე არის ლურჯი. იგი რძესა და რძის პროდუქტს შეესაბამება. ჩამოათვლევინეთ ბავშვებს რძის პროდუქტები. ცისარტყელას მეოთხე ფერია წითელი. ეს ფერი ხორცის ნაწარმს და მის შემცველ პროდუქტებს შეესაბამება, როგორიცაა: კვერცხი, ლობიო, კაკალი, კარაქი. ჩამოათვლევინეთ წითელი ფერის შესაბამისი საკვები პროდუქტი.
- სთხოვეთ ბავშვებს, დახუჭონ თვალები, წარმოიდგინონ საკვების ცისარტყელა, მისი ფერები და დაასახელონ რამდენიმე საკვები პროდუქტი თითოეული ფერის ჯგუფიდან.
- ჰკითხეთ, რომელია მათი საყვარელი პროდუქტი და ცისარტყელას რომელ ფერს შეესაბამება იგი.
- თამაში: დაურიგეთ ბავშვებს ოთხი სახის საკვების ბარათები (დანართი 2.4.2.; იხ. 4-5-წლიანების დანართი. თემა „ჯანსაღი კვება“). (რძის პროდუქტი, ხორცი, ხილ-ბოსტნეული და ბურღულეული). სთხოვეთ, დაახარისხონ ჩანთებში.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ მათი საყვარელი კერძი. დააწერეთ სახელი. შემდეგ სთხოვეთ, მოიფიქრონ და დახატონ რისგან კეთდება ეს კერძი.
- გააკეთებინეთ ბავშვებს კოლაჟი ლობიოს მარცვლების, შეღებილი მაკარონების, დამტვრეული კვერცხის ნაჭუჭების მეშვეობით.
- *სიმინდის მარცვლებით ხატვა.* ფართეთავიან პლასტმასის ქილაში (მაგ. არაჟნის) ჩადეთ თეთრი ქაღალდი (დახვეული, რომელიც შემდეგ გაიშლება). ჩააყრევინეთ ბავშვებს სიმინდის მარცვლები, ჩადეთ ცოტაოდენი ყვითელი ან სტაფილოსფერი თითის საღებავი, დაახურეთ და შეანჯღრევინეთ. ბოლოს ამოიღეთ ფურცელი და გააშრეთ. როგორი ნაკვალევი დატოვა სიმინდმა?

- *მე ვჭამ ცისარტყელას.* დაურიგეთ ბავშვებს თეთრი ერთჯერადი ქაღალდის თეფშები და სხვადასხვა შუაზე გაჭრილი ხილი და ბოსტნეული. ბავშვებმა ბოსტნეული უნდა ამოავლონ შესაბამისი ფერის საღებავში და ანაბეჭდები დატოვონ თეფშებზე.

მოძრაობა



- წინასწარ, სხვადასხვა ადგილას, ჯგუფში გაანაწილეთ სხვადასხვა სახის საკვები ან ბარათები საკვების გამოსახულებით, ბავშვები აგროვებენ ამ საკვებს, მასწავლებლის ნიშანზე წყვეტენ შეგროვებას და ითვლიან, ვინ რა შეაგროვა.
- ეზოში ფერადი ცარცით დახატეთ ჯანსაღი კვების პირამიდა, სთხოვეთ ბავშვებს, დახტნენ იმ ფერზე, რომლის შესაბამის საკვებსაც დაასახელებთ.
- *თევზაობა.* ხის კოვზს მიაბით დაახლოებით 0,5 მეტრი სიგრძის ძაფი/თოკი, ძაფის ბოლოზე მაგნიტი დაამაგრეთ. მუყაოსგან 6 პატარა რგოლი გამოჭერით. დანომრეთ ისინი 1-დან 6-მდე. თითოეულ მათგანზე მიამაგრეთ რკინის მცირე ზომის „სკრეპი." დაალაგეთ რგოლები იატაკზე, არეულად. ბავშვებმა „ანკესით" უნდა შეძლონ რგოლების დაჭერა. სასურველია რომელიმე კონკრეტული ფერის ან ციფრის მიხედვით.

სამაგიდო



- წინასწარ მოიმარაგეთ სხვადასხვა პროდუქტის კონტეინერები, ყუთები და იარლიყები. სთხოვეთ ბავშვებს, გამოიცნონ, რომელ ყუთში რომელი პროდუქტი უნდა იდოს (ყუთები გამოიყენეთ დრამატული თამაშისთვის „პროდუქტების მაღაზია")
- *საკვების დამახსოვრება*: დაალაგეთ 4 ან 5 სხვადასხვა დასახელების საკვები პროდუქტი ლანგარზე. ბავშვი უყურებს ლანგარს 10 წამის განმავლობაში. შემდეგ ლანგარზე გადააფარებთ ფურცელს და ბავშვებს სთხოვეთ, გაიხსენონ და დაასახელონ, რომელი პროდუქტი იყო დაწყობილი? ყოველ დასახელებულ პროდუქტს თქვენ გამოაცურებთ ფურცლის ქვეშიდან და აჩვენებთ ჯგუფს.
- სამუშაო ფურცელი: შეაერთე ხაზებით, რა საიდან მოდის (დანართი 3.4.1.).
- სამუშაო ფურცელი: მიაწებე საგნებს სახელები (დანართი 3.4.2.).
- სთხოვეთ ბავშვებს, სათამაშო ცომის ხაჭაპური დაჭრან სამ, ოთხ, ხუთ ნაჭრად.
- სთხოვეთ ბავშვებს, სათამაშო ტორტში გარკვეული რაოდენობის სანთლები ჩაარჭონ.
- სამუშაო ფურცლები – იპოვე განსხვავებები (დანართი 3.4.3.).
- დაყავით ერთჯერადი თეფში 5 ნაწილად, ბავშვებმა უნდა დააწებონ ცალკეულ დანაყოფზე ცალკეული ჯგუფის საკვების სურათი (ეს სურათები შეგიძლიათ წინასწარ ამოჭრათ ჟურნალებიდან).
- *ნაყინი.* მცირე ზომის ჯამში, ან რაიმე პატარა კონტეინერში საღებავი მოათავსეთ. ბავშვებს წინასწარ აჩვენეთ, თუ როგორ უნდა დაისველონ თითები იმისთვის, რომ ფურცელზე ანაბეჭდები გააკეთონ. მას შემდეგ, რაც ანაბეჭდი გაშრება, ქვეშ სამკუთხედი მიახატონ, ან წინასწარ გამოჭრილი ყავისფერი სამკუთხედები დააწებონ. შეგიძლიათ უფრო გაართულოთ. სთხოვოთ ნაყინს გაუკეთონ 1,2 ან 3 ბურთულა. ბურთულები განალაგონ სხვადასხვანაირად.
- *სიმინდის კოლაჟი.* დაგჭირდებათ სიმინდის მარცვლები. ფურცელზე დახატეთ სიმინდის კონტური. სთხოვეთ ბავშვებს წაუსვან წებო კონტურის შიგნით და ბავშვებს დააკვრევინეთ მასში სიმინდის მარცვლები.
- *მათემატიკა – ნაყინის ცხრილი.* ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი ნაყინი (მაგ: ვანილის შოკოლადის, მარწყვის...) უყვართ ყველაზე მეტად? პასუხები წინასწარ შედგენილ ცხრილში ჩაწერეთ.
- *მათემატიკა* – ყვითელი საქსოვი ძაფი წინასწარ დაჭერით სხვადასხვა სიგრძის „სპაგეტებად" 5 სმ-დან 20 სმ-მდე. სთხოვეთ ბავშვებს, დაალაგონ ზრდის მიხედვით.
- *მათემატიკა* – უნდა დავთვალოთ ლობიოს მარცვლები: ამისთვის დაგჭირდებათ (პატარა კექსის ფორმა ან კვერცხის კონტეინერების ბუდეები, ან რაიმე სახის პატარა ჭურჭელი). ასევე: პატარა საკანცელარიო ფურცლები, სკოჩი, კალამი. დანომრეთ ფურცლები 1-დან 6-მდე (მარტივი ვარიანტი: სხვადასხვა რაოდენობის წერტილები). ჩადეთ დანომრილი ფურცლები აღნიშნული ფორმის ცალკეულ დანაყოფში. სთხოვეთ ბავშვს, რომ ყოველ დანაყოფში შესაბამისი რაოდენობის ლობიოს მარცვალი მოათავსოს.
- *მათემატიკა – რამდენია ერთი მუჭა?* მუჭით შეაგროვებინეთ ბავშვს სიმინდის ან ბატიბუტის მარცვლები. დაითვალეთ, რამდენი მარცვალი ჩაეტია 1 მუჭში. ფურცელზე შემოხაზეთ ბავშვის ხელის კონტური. დააწერეთ მისი სახელი და შიგ ჩაწერეთ დათვლილი მარცვლების რაოდენობა. ბოლოს ბავშვი თავად აწებებს მარცვლებს ხელის კონტურზე.

სენსორული

- პატარა პაკეტებში წინასწარ მოამზადეთ სუნელები, ყავა, ჩაი.
- წაახალისეთ ბავშვები, შეადარონ და აღწერონ განსხვავება.
- დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ხილის და ბოსტნეულის ნაჭრები. სთხოვეთ მათ, რიგრიგობით დაღეჭონ ნაჭერი, სხვებმა კი მოუსმინონ და შეადარონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ „გაუგონარი წვიმა“. ჰკითხეთ, მათი აზრით, კანფეტები სასარგებლოა თუ ნაკლებად? (არ არის სასარგებლო ბევრი კანფეტის ჭამა, ტკბილის ჭამის შემდეგ აუცილებლად კბილები უნდა გავიხეხოთ) მათ თუ უგრძნიათ სიგრილე პიტნის კანფეტისგან, კევისგან? კანფეტების გარდა რა არის ტკბილი? თაფლი, ხილი. აუხსენით, რომ რაც ბუნებრივად ტკბილია, სასარგებლოა, რასაც შაქრით ატკბობენ – არა.
- წაუკითხეთ: „მოდი, ვნახო ვენახი“ (წიგნიერების დანართიდან). გაარკვიეთ, რამ რა შეჭამა. „თოფმა–მგელი“ და „მიწამ ჟანგი“ მართლა შეჭამა, პირდაპირი მნიშვნელობით?
- ესაუბრეთ, რომ ბუნებამ ასე დააწესა: ირემი ჭამს ბალახს და მისი ჯანმრთელობისთვის მავნეა ხორცი, არც სჭირდება და არც ჭამს. მგელი ხორცს ჭამს. ბალახი მისთვის საჭირო არაა. ჩიტები მწერებით და მარცვლეულით იკვებებიან, თევზები წყალმცენარეებით და ერთგვაროვანი საკვები მათთვის სრულიად საკმარისია. ადამიანს კი ჯანმრთელობისთვის სჭირდება მრავალნაირი საკვები. მან ზომიერად ხილიც უნდა მიიღოს, ბოსტნეულიც, ხორცისა და რძის ნაწარმიც და მარცვლეულიც.
- ესაუბრეთ, რომ ყველაზე სასარგებლო საკვებიც კი შეიძლება გახდეს მავნე, თუ უზომო რაოდენობით შევჭამთ. წაუკითხეთ: „შეჯიბრება საღორიის ტყეში“ (წიგნიერების დანართიდან). განუმარტეთ სიტყვები: გობი, კასრი, ჭური, ფალავანი, ხეჭეჭური. რამ გახადა ცუდად ცხოველები? იმან, რომ რამე მავნე ჭამეს, თუ ძალიან ბევრმა ჭამამ? რას იწვევს ძალიან ცოტა ჭამა? როგორ ვიყოთ ზომიერები?

მეცნიერება

- დააკვირდით ცვლილებებს. აჩვენეთ ბავშვებს, რა მოსდის სოდას, როცა ძმარს ვასხამთ.
- სასწორზე რაიმე ერთი ზომის ჭურჭლით აწონეთ სხვადასხვა სახის ბურღულეული და შეადარეთ, მოცულობით რომელი უფრო მეტია, (ერთი კილო მაკარონი თუ ერთი კილო ფქვილი).

ექსკურსია



- გაისეირნეთ ახლომდებარე სასურსათო მაღაზიაში და დაათვალიერეთ, რა იყიდება.

დრამატული



- ითამაშეთ „მაღაზიობანა“. გამოგადგებათ წინასწარ მომარაგებული სათამაშო პროდუქტები.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ჯანსაღი კვების შესახებ?
- რა საკვები უყვართ ყველაზე მეტად?

2. პური და ბურღულეული

დილის წრე

- ისევ გაიმეორეთ და აჩვენეთ საკვების პირამიდა.
- ისაუბრეთ ბავშვებთან პურის და ბურღულეულის შესახებ. აბა, ამ ჯგუფიდან რამდენ საკვებს ჩამოთვლით?

- ჩაყარეთ სხვადასხვა ტიპის ბურღული ჯამებში და ჩამოარიგეთ წრეზე. აუხსენით ბავშვებს, რომ ამ ჯგუფის საკვები ყოველდღე უნდა მიიღონ. ჩამოთვალონ მშრალი ბურღულეული.
- უთხარით, რომ დღის თემა პური და ბურღულეულია.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, სიმინდის ტარო ჩააწონ საღებავში (გუაშის ან ხელის) და ფურცელზე დატოვონ მისი ნაკვალევი.
- აჩვენეთ ბავშვებს ხორბლის თავთავი. სთხოვეთ, ჩაიხატონ თავთავი.
- მოიმარაგეთ ხორბლის თავთავები. ბავშვებს სთხოვეთ, დაფერონ დიდი ფორმატი ცის და მიწის ფერებში, შემდეგ კი ემულსიის საშუალებით დააწებონ თავთავები მიწაზე და გააკეთონ ყანა. ჩაატარეთ მცირე ჯგუფებში.

მოძრაობა



- *წარმოიდგინონ, როგორ გადაიქცევიან სიმინდის მარცვლებისგან ბატიბუტად.* უხელმძღვანელეთ ბავშვებს, მიეცით შემდეგი მითითებები: ჯერ უნდა მოიკუნტონ, შემდეგ ეუბნებით, რომ ისინი თანდათან ცხელდებიან, ჯერ იწყებენ ხელების, შედეგ თავის და ბოლოს კი მთელი ტანით ვიბრაციას. ბოლოს წამოხტებიან და წამოიძახებენ „ტკაც“. (სასურველია, ჯერ მეცნიერული აქტივობა ჩაატარონ).
- *სათამაშო ცომის ნამცხვრების ჩაყრა ჯამში.* გამოჭერით მუყაოსგან ან სათამაშო ცომისგან „მრგვალი ნამცხვრები“. უთხარით ბავშვებს, მაღლა ააგდონ და ისე ჩაყარონ დიდ ქილაში.

სამაგიდო



- წინასწარ მოიმარაგეთ ჟურნალები პურისა და ბურღულეულის ფოტოებით. სთხოვეთ ბავშვებს, იპოვონ და ამოჭრან ბურღულეულის ფოტოები, ნახატები და ქაღალდზე დააწებონ.
- მოიმარაგეთ მექანიკური ყავის საფქვავი და დააფქვევინეთ ბავშვებს ხორბალი. აუხსენით, როგორ ფქვავენ წისქვილში მარცვლეულს.
- ბურღულეულის ყუთიდან გამოჭერით ნახატი და დაჭერით 5 ნაწილად. სთხოვეთ ბავშვებს, ნახატი აღადგინონ.
- *რამდენი ჩაეტევა 1 მუჭში?* ბავშვები მუჭში აგროვებენ სიმინდის მარცვლებს (ან სხვა ბურღულეულს), ითვლიან მათ რაოდენობას, შემდეგ კიდევ ერთხელ ცდიან, იგივე რაოდენობა გამოვიდა თუ მეტი?
- *ქრონოლოგიური ბარათები:* დაამზადეთ მარტივი ბარათები, სადაც ნაჩვენები იქნება თანმიმდევრულად სიმინდის მარცვლის (ან პურის თავთავის) გაღივება, ჯერ ამოდის დაბალი ჯეჯილი. იზრდება (ხდება უფრო მაღალი) ბოლოს იკეთებს თავთავს. სამუშაო ფურცლები: სთხოვეთ ბავშვებს, ამოჭრან და ქრონოლოგიურად დააწყონ (დანართი 3.4.4.).

დრამატული



- *საცხობი – საკონდიტრო.* მოიმარაგეთ ფქვილი, წყალი, ჯამი, გასაბრტყელებელი, წინსაფრები. წინასწარ მოიმარაგეთ ნამცხვრის სხვადასხვა ფორმები. სთხოვეთ, ბავშვებს გააბრტყელონ ცომი, ამოჭრან ეს ფორმები.

წიგნიერება

- წაუკითხეთ (წიგნიერების დანართიდან) „ჯეჯილი“. აუხსენით რა არის „ჯეჯილი“, „ყანა“, „იკურთხოს“. უთხარით, რომ მწყერი ყანაში ცხოვრობს.
- იმსჯელეთ ყანაში მოყვანილი მოსავლის შესახებ, სთხოვეთ, ჩამოთვალონ.
- წაუკითხეთ წიგნი „კასტორი აცხობს“.[1]

1 კლინტინგი ლ. 2005. კასტორი აცხობს. ქართ. ტექსტი: დ. გაბუნია, თ. კუხიანიძე. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

კულინარია



- გამოაცხვეთ ბავშვებთან ერთად „კასტორის ნამცხვარი“.

მეცნიერება

- აჩვენეთ ბავშვებს, როგორ მზადდება ბატიბუტი (სანამ ამ პროცესს შეუდგებით, ბავშვებთან უსაფრთხოების წესებზე ისაუბრეთ). უთხარით, კარგად დააკვირდნენ მარცვლებს, გაახმოვანეთ, როგორ ცხელდება მარცვლები თანდათან და როგორ სკდება. სანამ გაგრილებულ მარცვლებს შეჭამენ, უთხარით დააკვირდნენ ბატიბუტის ფორმებს.

საღამოს წრე

- რომელია ბურღულეულისგან დამზადებული მათი საყვარელი საკვები? პური, მჭადი, მაკარონი, ბრინჯი, წიწიბურა?
- რა აქტივობა მოეწონათ დღეს?

3. ხილი და ბოსტნეული

დილის წრე

- ისევ გაიმეორეთ და აჩვენეთ საკვების პირამიდა.
- ისაუბრეთ ბავშვებთან ხილის და ბოსტნეულის შესახებ. სთხოვეთ, ჩამოთვალონ ამ ჯგუფის საკვები.
- აუხსენით მათ, რომ ამ ჯგუფის საკვები ყოველდღე უნდა მიიღონ.
- რა იზრდება ხეზე და რა მიწაზე?

- უთხარით, რომ დღის თემა ხილი და ბოსტნეულია.
- *ათი წითელი ვაშლი* (თითებით თამაში).
  ათი წითელი ვაშლი ხეზე იზრდება (ხელები გაშლილი).
  ხუთი შენთვის, ხუთი ჩემთვის.
  დავფერთხოთ ხე (ხელებს ვამოძრავებთ).
  ვაშლი ჩამოცვივდა, დავითვალოთ (თითებს ვდებთ მაგიდაზე და ვითვლით).

ხელოვნება

- *ყურძენი.* დაურიგეთ ბავშვებს მწვანე და იასამნისფერი თითების საღებავები. აჩვენეთ, როგორ უნდა გააკეთონ ფურცელზე ანაბეჭდები ერთი თითის გამოყენებით ისე, რომ ყურძნის მტევანი მიიღონ. ბოლოს კი მუქი მარკერით ყუნწი მიახატონ.
- დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა ფერის პლასტელინი და სთხოვეთ, მისცენ სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის ფორმები: ვაშლი, ბანანი, ბალი, კარტოფილი, სტაფილო.

- გამოჭერით სიმინდის პატარა ფორმები მუყაოსგან, დაურიგეთ ბავშვებს ნაყინის ჩხირებთან ერთად და სთხოვეთ, დააწებონ ფორმა ჩხირზე. მუყაოზე კი დააწებონ ბატიბუტები.
- გოგრის ყუნწის ადგილი ფრთხილად ამოჭერით და სთხოვეთ, რიგრიგობით ამოაცალონ თესლი კოვზის მეშვეობით. ბავშვებმა მოხაზონ თვალების, ცხვირისა და პირის კონტურები საწერი კალმით. ამოაჭერით მოხაზული ადგილები. ბავშვებმა გააფორმონ გოგრის კაცუნა ქუდითა და სხვა აქსესუარებით.
- დაურიგეთ ბავშვებს თიხა, პლასტელინი და სთხოვეთ, გამოძერწონ სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული: ვაშლი, ბანანი, ბალი, კარტოფილი, სტაფილო. გაშრობის შემდეგ შეაღებვინეთ შესაბამისი ფერის გუაშებით და ჩააწყობინეთ ორ სხვადასხვა კალათში.
- დაუდეთ ბავშვებს თითო ხილის ან ბოსტნეულის ნატურმორტი და სთხოვეთ, შეძლებისდაგვარად გადაიხატონ. დახმარების სახით შეგიძლიათ შესთავაზოთ ბავშვებს, აიღონ ნივთი, დადონ ფურცელზე და კონტური ისე შემოატარონ.

- წვრილად დაანაკუწონ შავი ქაღალდი, თითქოს საზამთროს კურკებია და დააწებონ წითელ ქაღალდზე.

მოძრაობა:



- *ხილზე ხტუნვა.* იატაკზე მუყაოსგან გამოჭრილი ხილის ფორმები დაალაგეთ და დაამაგრეთ სკოჩით. ბავშვებს შეუძლიათ იხტუნონ ერთი ხილიდან მეორეზე და დაიძახონ ხილის სახელი.
- დაასახელეთ რაიმე ხილი, მაგ მსხალი; თქვით „მმმ, გემრიელი მსხალია“ (მუცელზე მოისვით ხელი); „ფორთოხალი იზრდება მაღლა, ხეზე“ (აიწიეთ ფეხის წვერებზე, უნდა მისწვდეთ ფორთოხალს. კიტრი იმალება – დახრა და ხელით მოძებნა). იგივე გააკეთეთ სხვა ხილსა და ბოსტნეულზე.

სენსორული

- მიეცით ბავშვებს საშუალება გემო გაუსინჯონ და იპოვონ განსხვავებები ჩვეულებრივ (უმ), მოხარშულ (კომპოტი) და ღუმელში გამომცხვარ(მოთუშულ) ვაშლს შორის.
- *რომელი ხილის კურკაა:* მოიმარაგეთ 5 ან მეტი სახეობის ხილის კურკა. აიღეთ ერთერთი მათგანი ხელში და აღწერეთ იგი: მაგ: მრგვალია, თეთრი ფერის და ა. შ. შემდეგ ჰკითხეთ ბავშვებს: თუ გამოიცნობენ, რომელი კურკა იყო აღწერილი? ამ აქტივობის შესრულება შესაძლებელია ჯგუფურად და წყვილებშიც. ყველა ბავშვი აღწერს თითო სახეობის კურკას. მიეცით ბავშვებს საშუალება, ყველა კურკა მოსინჯონ.
- აჩვენეთ ბავშვებს ატმის და ბლის კურკები, შემდეგ ჩაყარეთ სხვადასხვა ქილაში და ააჩხარუნეთ. სთხოვეთ გამოიცნონ, რომელი ქილაში რომელი კურკაა.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი: ჭიაყელას გზა (დანართი 3.4.5.).
- სამუშაო ფურცელი: დააჯგუფე გოგრები ზომის მიხედვით (დიდი, პატარა, საშუალო) (დანართი 3.4.6.).
- სამუშაო ფურცელი: რისგან მზადდება წვნიანი (დანართი 3.4.7.).
- მოიმარაგეთ ჟურნალები ხილის და ბოსტნეულის სურათებით. ბავშვებმა ამოჭრან და ცალ-ცალკე ფურცლებზე დააწებონ ხილი და ბოსტნეული.
- *ყურძენი.* დაურიგეთ ბავშვებს მწვანე და მუქი მელნისფერი პატარა ზომის რგოლები (ან თავად ბავშვებს გამოაჭრევინეთ) იმისთვის, რომ ყურძნის მტევნები ააწყონ. მუქი ფერის მარკერით კი ყუნწი შეუძლიათ მიახატონ.
- წინასწარ ამობეჭდეთ და გამოჭერით ბარათები (დანართი 3.4.8.). სთხოვეთ ბავშვებს, ითამაშონ „მემო“.
- *სხვადასხვა რაოდენობის ნაკბეჩები ვაშლზე.* დაალაგე ნახატები თანმიმდევრობით (დანართი 3.4.9.).
- ხილის ლაბირინთი (დანართი 3.4.10.).
- გამოჭრან ხილის და ბოსტნეულის ბარათები და დააწყვილონ (დანართი 3.4.11.).
- ბარათებზე დაწერეთ ციფრები 0-დან-10-ის ჩათვლით და შესაბამისი რაოდენობის წერტილები (დაგჭირდებათ გამოჭრილი 60 ცალი ვაშლი). სთხოვეთ ბავშვებს, თითოეულ ფურცელზე იმდენი ვაშლი დადონ, რა ციფრიც აწერია (დანართი 3.4.12.).
- სთხოვეთ ბავშვებს, ივარაუდონ რამდენი კურკაა ვაშლში. აღმზრდელმა უნდა გაჭრას და ერთად დაითვალონ.

დრამატული



- მოიმარაგეთ: მზის ქუდები, ყვავილის ქოთნები, ყვავილის ბოლქვები ან ნერგები, სარწყავი, იმისთვის რომ ითამაშოთ „მებაღეობა“.
- შეიძლება ითამაშოთ ბაზრობანაც.

წიგნიერება

- წაუკითხეთ „ჩიპოლინო“. სად ცხოვრობდა ხახვების ოჯახი? რატომ აეწვა თვალები პამიდორას, ვინ იყვნენ ბოროტები? თუ უყვართ გოგრა? ააშენონ კუბებით იმხელა სახლი, რამხელაც, მათი აზრით, გოგრას ჰქონდა. რომელი პერსონაჟი მოეწონათ ყველაზე მეტად, რომელი – არა, რატომ? ამ ზღაპრის ხილ-ბოსტნულიდან ყველაზე მეტად

რომელი უყვართ? სად იზრდება ხილი?– ხეხილის ბაღში. ბოსტნეული–ბოსტანში. რა ისხამს ყურძენს?– ვაზი. სად იზრდება ვაზი?– ვენახში.

- წაუკითხეთ „ჯადოსნური მაგიდა“ წიგნიერების დანართიდან განუმარტეთ სიტყვები. ესაუბრეთ განსხვავებული ჯიშების შესახებ. შავი და თეთრი ყურძენი. თუ უნახავთ ბაზარში რამდენნაირი ვაშლი აწყვია?
- წაუკითხეთ „კურდღლის მენიუ“.ჩამოათვლევინეთ ხილ-ბოსტნეული ფერების მიხედვით. რომელი ბოსტნეული არ იჭმევა უმი? რომელი ბოსტნეულის ძირებს ვჭამთ, რა უნდა გაითალოს, გაიფრცქვნას, რისი კურკა იჭმევა? რად უნდა ხილს კურკა? რას ნიშნავს: მკვახე, მწიფე, გადამწიფებული? რას აკეთებენ ბოსტნეულისგან ზამთრისათვის? რას აკეთებენ ხილისგან? რა არის: ჯემი, ხილფაფა, მურაბა, კონსერვი?

მეცნიერება

- დაუჭერით ბავშვებს ბოსტნული და ხილი და მიეცით საშუალება კარგად გამოიკვლიონ და დაათვალიერონ (შიგნიდან და გარედან). შეგიძლიათ გამადიდებელი შუშაც გამოიყენოთ.
- დიდ ჯამებში ჩაასხით წყალი. სთხოვეთ ბავშვებს, გარეცხონ ბოსტნეული: სტაფილო ან კარტოფილი და შემდეგ დააკვირდნენ წყალს, ისევ სუფთაა, თუ ფერი შეიცვალა.
- ბუნებრივი საღებავი. დააწვეთებინეთ ბავშვებს პიპეტით ბროწეულის, ალუბლის ან სხვა ხილის წვენი ხელსახოცზე, დააკვირდნენ რა მოხდება.
- თუ შესაძლებელია, დარგეთ ეზოში ბავშვებთან ერთად რაიმე ხილის ხე, მწვანილი ან ბოსტნეული, ერთად მოუარეთ და დააკვირდით მის ზრდას მთელი წლის განმავლობაში.
- ხილის კურკების რაოდენობის ცხრილი. მოიმარაგეთ სხვადასხვა ცხრილი. შეადგინეთ ცხრილი, იმისთვის, რომ ჩამოწეროთ სხვადასხვა სახეობის ხილში არსებული კურკების რაოდენობა. სანამ დათვლას დაიწყებთ, ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რომელ ხილს ექნება ყველაზე მეტი კურკა? ყველაზე ნაკლები?

კულინარია



- მოიმარაგეთ სალათის დასამზადებელი პროდუქტები, ბოსტნეული წინასწარ მოხარშეთ. დაურიგეთ ბავშვებს საჭრელი დაფები და ბლაგვი დანები. სთხოვეთ ბავშვებს, დაჭრან ბოსტნეული და აურიონ ერთმანეთში. შეაზავეთ და გაუმასპინძლდით.
- გააკეთებინეთ ხილის სალათა. ბავშვებს ბლაგვი დანით დააჭრევინეთ ხილი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ბოსტნეულის შესახებ?
- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ხილის შესახებ?
- რომელი საქმიანობა მოეწონათ?

მოძრაობა:



- აფრინდა- აფრინდას პრინციპით ათამაშეთ ხილი და ბოსტნეული.

4. რძე და რძის ნაწარმი

დილის წრე



- ისაუბრეთ რძეზე, ხაჭოზე, მაწონზე, ყველზე. სთხოვეთ, რძის პროდუქტები ჩამოთვალონ.
- აუხსენით, რომ ბავშვი ამ ჯგუფის საკვებს აუცილებლად ყოველდღე უნდა ჭამდეს.
- რისი ჭამა უყვართ რძესთან ერთად?
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა რძე და რძის პროდუქტებია.

ხელოვნება



- წინასწარ გაამზადეთ მრგვალი მუყაოები და მოართვევინეთ ბავშვებს, ვითომ ტორტია. გამოიყენეთ აკვარელი ან ხელის საღებავები.
- *ბუშტებისგან „დაბეჭდილი“ ნაყინი.* მცირე ზომის ჯამში მოათავსეთ სხვადასხვა ფერის საღებავი: 3-5 ჩაის კოვზის ოდენობით. გაანაწილეთ თანაბრად. ფერადი ბუშტები ისეთ ზომამდე გაბერეთ, რომ ბავშვებმა მისი ხელში (მტევანში) დაკავება ადვილად შეძლონ. აჩვენეთ ბავშვს, როგორ უნდა დაასველოს ბუშტი საღებავში, მას შეუძლია სხვადასხვა ფერის საღებავების ერთმანეთში შერევა ან მხოლოდ ცალკეული ფერის გამოყენება. თუ ამ ფერად ბურთებს ბავშვები ქვეშ ყავისფერ სამკუთხედებს მიუხატავენ, ნაყინიც მზად იქნება.

მოძრაობა



- ცარიელ ბოთლებში ჩაყარეთ პატარა ზარები ან შუშის ბურთები, ან კენჭები. თავსახურები სკოჩით მიამაგრეთ. სთხოვეთ ბავშვებს, რიტმულ მუსიკაზე იცეკვონ, ვითომ რძის „შეიკერები“ არიან.

სამაგიდო



- *ნაყინის ცხრილი:* გამოაჭრევინეთ ბავშვებს ყავისფერი, ვარდისფერი და თეთრი ფერის წრეები. ჰკითხეთ თითოეულს, რომელია მისი საყვარელი ნაყინი: ვანილის, შოკოლადის თუ მარწყვის? შესაბამისი ფერის წრეს (თეთრი, ყავისფერი, ვარდისფერი) შესაბამისი ბავშვის სახელი დააწერეთ. წინასწარ დამზადებულ ცხრილში. მაგ. ფერების, ან გემოს (არომატის) მიხედვით თავად ბავშვს ჩაასმევინეთ საკუთარი ნაყინის რგოლი.



- წინასწარ გამოჭერით ნაყინის კონუსები და ნაყინები (ციფრებით); სთხოვეთ ბავშვებს, ციფრების მიხედვით შეუსაბამონ კონუსები ნაყინებს (დანართი 3.4.13.).
- წინასწარ მოიმარაგეთ ჟურნალები რძის ნაწარმის ფოტოებით. სთხოვეთ ბავშვებს, იპოვონ და ამოჭრან ეს ფოტოები და დიდ ფორმატზე დააწებონ.

დრამატული

- „ნაყინის მაღაზიაში“. ამ აქტივობისთვის დაგჭირდებათ: ნაყინის ყუთი, „მაცივარი“, ნაყინის ამოსაღები კოვზი, ნაყინის კონუსები (სათამაშო ან ბავშვების მიერ დამზადებული), ნაყინის რგოლები, ჭიქები, მენიუს ფურცლები, ჩეკები, სათამაშო ფული.

წიგნიერება

- წაუკითხეთ „შეჯიბრება საღორიის ტყეში“ (წიგნიერების დანართი). იმსჯელეთ ზომიერებასა და ჭამის კულტურაზე.
- წაუკითხეთ „კარაქის კაცუნები“ წიგნიერების დანართიდან. ჰკითხეთ: რატომ ჰქონდათ მაცივრის სახლები? იმსჯელეთ, კიდევ რა იცხოვრებდა სიამოვნებით მაცივრის

სახლში, საყინულეში? მოაფიქრებინეთ „ყველის სამეფო“: მიეხმარეთ, რომ ყველს სახლებად მარილიანი აუზები დასჭირდება.

კონსტრუქციული



- დაამატეთ კუბურების ცენტრში სამშენებლო მასალად მაწვნის, არაჟნის, იოგურტის ცარიელი ქილები. წაახალისეთ, რომ გამოიყენონ შენებისას.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი რძის პროდუქტების შესახებ?
- რის რძეს იყენებს ადამიანი საკვებად?
- რძის რომელი ნაწარმი უყვართ ყველაზე მეტად?

5. ხორცი და ხორცის შემცვლელი პროდუქტები

დილის წრე

- გაიმეორეთ და აჩვენეთ ბავშვებს საკვების პირამიდა.
- ისაუბრეთ ბავშვებთან ხორცის და მისი შემცვლელი პროდუქტების შესახებ. სთხოვეთ, ამ ჯგუფიდან რამდენიმე საკვები ჩამოთვალონ.
- აუხსენით, რომ ამ ჯგუფის საკვები ყოველდღე უნდა მიიღონ.

სამაგიდო



- ჯამში ჩაყარეთ თხილი, ნუში, კაკალი, მიწის თხილი. სთხოვეთ ბავშვებს, პინცეტის დახმარებით დაახარისხონ სხვადასხვა ჯამებში (პატარა კექსის ფორმებში).
- გამოიყენეთ მაგიდის აქანდაზი და ჯაგრისი. სთხოვეთ ბავშვებს, მაგიდაზე მიმოფანტული ლობიო დაყარონ აქანდაზზე და ჩაყარონ ჯამში.
- სთხოვეთ ბავშვებს, ნიმუშის მიხედვით დაალაგონ თევზები (დანართი 3.4.14.).

მოძრაობა



- უთხარით ბავშვებს, იკოტრიალონ, ვითომ კვერცხები არიან.
- მოაწყვეთ ესტაფეტა: გადაეცი კვერცხი. დაგჭირდებათ ორი ცალი მოხარშული კვერცხი და სუფრის კოვზები. ბავშვებმა ისე უნდა მიიტანონ შემდეგ მოთამაშემდე კოვზზე დადებული კვერცხი, რომ არ გადმოუვარდეთ.

მეცნიერება

- ერთმანეთში შეურიეთ მარილი და ლობიო. მიეცით ბავშვებს საწური ან ქაფქირი და სთხოვეთ, მისი დახმარებით დაახარისხონ ლობიო და მარილი.

წიგნიერება

- ჩამოთვალეთ ხორცისგან დამზადებული საჭმელები. გააკეთეთ აქცენტი: მოხარშული ქათმის ხორცი; შემწვარი ქათმის ხორცი... ჰკითხეთ, თუ იციან, რა განსხვავებაა მოხარშულსა და შემწვარს შორის? კარგად განუმარტეთ. ხარშვის შედეგად მიღებული წვენი – ბულიონი. პროდუქტი აუცილებლად ქვაბში იხარშება. შემწვარი: ან ტაფაზე, ან პირდაპირ ცეცხლზე. ახსენით: მაყალი, შამფური.. ბავშვების დახმარებით ჩამოთვალეთ რისი ხორცი იჭმევა.
- წაუკითხეთ „სოსისი და მდოგვი“ წიგნიერების დანართიდან . სთხოვეთ, ჩამოთვალონ ძეხვეული. როგორ ფიქრობენ: რომელი უფრო სასარგებლოა, მოხარშული ხორცი თუ მოხარშული სოსისი? აუხსენით რატომ.

დრამატული



- „თევზაობა“: გამოჭერით მუყაოს ქაღალდისგან მსხვილი და წვრილი თევზები. თევზის პირზე დაამაგრეთ „სკრეპი“: ჯოხს ანკესისთვის მოაბით თოკი (სქელი ძაფი), ძაფის ბოლოში მოაბით მაგნიტი. ვინ რამდენ თევზს დაიჭერს?

კულინარია



- პიცა. წინასწარ მოიმარაგეთ პიცის ინგრედიენტები და ცომი. დაიხმარეთ ბავშვები მორთონ და დააწყონ ინგრედიენტები ცომზე.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რომელი ხორცეული უყვართ?
- რომელი ძეხვეული უყვართ?
- რა გაიგეს ახალი?

6. ტკბილეული

დილის წრე



- ჰკითხეთ, რომელი ტკბილეული უყვართ, ან უყვართ თუ არა საერთოდ. ესაუბრეთ რისთვისაა ტკბილეული სასარგებლო (გვაძლევს ენერგიას, ეხმარება მეხსიერებას), თუმცა უთხარით ისიც, რომ ბევრი ტკბილეულის ჭამა კბილებს აზიანებს.
- ისაუბრეთ წვენებსა და გამაგრილებელ სასმელებზე, აუხსენით წყლის უპირატესობა.
- შეახსენეთ, რომ ტკბილეულის ჭამის შემდეგ კბილები უნდა გამოიხეხონ.

ხელოვნება

- ფერადი ფანქრებით „ტკბილეულის ქვეყნის“ ხატვა.
- ფერადი ქაღალდებისგან გააკეთებინეთ კანფეტები.
- სთხოვეთ ბავშვებს, შეასრულონ ნამუშევარი „ჩემი საყვარელი საჭმელი“ ნამუშევრისთვის გამოიყენონ გუაშები, ფერადი ქაღალდების აპლიკაცია, ნაჭრები, ბურღულეული და სხვა სასურველი მასალა. დასრულებული ნამუშევრები აკინძეთ წიგნად. შესაძლოა, ნამუშევრებს თან დაურთოთ ბავშვების დახატული რეცეპტებიც.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცლები: გააფერადე ერთნაირი კანფეტები (დანართი 3.4.15.).
- სამუშაო ფურცლები: დახატე ჯოხიანი კანფეტი ნიმუშის მიხედვით (დანართი 3.4.16.).
- მოიმარაგეთ წვენების ან ტკბილეულის ეტიკეტები. გაამახვილებინეთ ყურადღება, რა აწერია, ვინ დაამზადა, შენახვის ვადა, წონა, შემადგენლობა. სთხოვეთ განასხვაონ ციფრები და ასოები. ვარიაციისთვის შეუძლიათ იპოვონ რომელიმე ერთი ასო ან ციფრი და შემოხაზონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ „ნაყინის სახლი“ წიგნიერების დანართიდან. ჰკითხეთ, ნაყინი რითია სასარგებლო, რითი – არა? რას ნიშნავს: „ექიმებს აეკრძალათ: მუცლის ბუყბუყი და ყურყური არ იყოსო“? სინამდვილეში რა მოსდის მუცელს, როცა ადამიანი ზედმეტ ტკბილს ჭამს?ასეთი სახლი კანფეტების ან ფუნთუშების რომ აეგოთ, როგორი იქნებოდა?

დრამატული:

- წაახალისეთ „ააგონ“ სანაყინე საამქრო ან ტკბილეულის ქარხანა, დაარქვან სახელი და ითამაშონ.

მოძრაობა:



- მოუმზადეთ თუნუქის ქილების პირამიდა და წაახალისეთ, რბილი შეხებით დაანგრიონ.

კონსტრუქციული:



- წაახალისეთ ააგონ რაიმე კონსტრუქცია წყლის ან წვენის პლასტმასის ბოთლებისგან, ან ყუთებისგან.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, თუ გაიგეს რატომ არ უნდა მიირთვან ბევრი ტკბილეული?
- როგორ მოიქცევიან ტკბილეულის ჭამის შემდეგ?

დედამიწა და კოსმოსი

1. დედამიწის დღე 22 აპრილი
2. მზე და მთვარე
3. კოსმოსი (ასტრონავტი, პლანეტები, უცხოპლანეტელი და კოსმოსური ხომალდი)
4. ვარსკვლავები

1. დედამიწის დღე 22 აპრილი

დილის წრე



- წინასწარ მოამზადეთ პოსტერი წარწერით: „22 აპრილი დედამიწის დღეა.“
- ისაუბრეთ დედამიწის შესახებ:
  - პლანეტა, რომელზეც ვცხოვრობთ.
  - მრგვალია და ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვგრძნობთ.
  - ის მზის სისტემის ნაწილია. მზის გარშემო ტრიალებს.
  - შედგება მიწისგან, წყლისგან და ჰაერისგან.
- ისაუბრეთ 22 აპრილის – დედამიწის დღის შესახებ, ეს არის დღე, როდესაც ჩვენს პლანეტას – დედამიწას განსაკუთრებით უნდა მოვუაროთ. შეადარეთ სახლის მოვლას. საკუთარ სახლს ვუვლით, ვალაგებთ და სისუფთავეს ვიცავთ.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ შეიძლება ვიზრუნოთ დედამიწაზე?
- მოკლედ ისაუბრეთ საგნების ხელმეორედ გამოყენებაზე (გადამუშავებაზე).
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა დედამიწაა.

ხელოვნება



- ეს დედამიწაა. მაგიდას სკოჩით მიამაგრეთ ბუშტუკებიანი პოლიეთილენის პარკი, რომელსაც ჭურჭლისა და ავეჯის შესაფუთად იყენებენ. ბავშვებს ფუნჯები, ღრუბლები და საღებავები დაურიგეთ – ყავისფერი, ორი განსხვავებული ტონის ლურჯი და ორიც განსხვავებული – მწვანე. სთხოვეთ ბავშვებს, ცელოფანი ისე გააფერადონ, რომ ფერები ერთმანეთს არ შეურიონ. წინასწარ მოამზადეთ 18 სმ. დიამეტრის თეთრი ქაღალდის წრეები. ბავშვებმა სათითაოდ დაადონ წრეები შელებილ ცელოფანს, დააწვნენ და უცბად აიღონ, რომ საღებავი არ გაითხაპნოს. როდესაც წრეები გაშრება, სთხოვეთ ბავშვებს შავ, მყარ ფურცელს მიაწებონ. მივიღებთ დედამიწას კოსმოსში.
- განმეორებითი გამოყენება. მოიმარაგეთ პლასტმასის ცარიელი ქილა, მუყაოს ყუთები, კონსერვები, მუყაოს რულონები, ფურცლის ნაგლეჯები, ძველი ჟურნალ-გაზეთები, საჩუქრის შესაფუთი ქაღალდები და სხვა. ასევე მოიმარაგეთ წებო, სკოჩი და იზოლენტა, საღებავები და ფუნჯები. მიეცით ბავშვებს საშუალება, ეს საგნები ახალ საგნებად აქციონ (მაგალითად, ჩაის ყუთისგან ფანქრების ჩასადები გააკეთონ) ან დეკორატიული ნივთები დაამზადონ.
- ბავშვებს კოსმოსიდან გადაღებული დედამიწის სურათი აჩვენეთ და ჰკითხეთ, რა ფერებს ხედავენ (ლურჯი, მწვანე, შეიძლება ცოტა ყავისფერიც). აუხსენით, რომ ჩვენი პლანეტის ზედაპირი ძირითადად წყლით (ლურჯი) და მიწით (მწვანე და ყავისფერი) არის დაფარული. სქელ ფურცელზე წინასწარ დახაზეთ დიდი წრე. მოიმარაგეთ მწვანე და ლურჯი საღებავები (უმჯობესია ხელის) და სთხოვეთ ბავშვებს, ხელები საღებავით შეიღებონ ან საღებავში ფუნჯები ჩააწონ და წრეში ანაბეჭდი დატოვონ. რომ გაშრება, გამოჭერით წრე და ოთახში ჩამოკიდეთ.
- დედამიწის დღის აღმნიშვნელი სამაჯური ან ყელსაბამი. მოიმარაგეთ თითოეული ბავშვისთვის პლასტმასის ბოთლის სახურავი, ძაფი, ფლომასტერები, მსხვილი მწვანე და ლურჯი მძივები და წებო. წინასწარ გახვრიტეთ თითოეული ბოთლის სახურავი ორ ადგილას. ამობეჭდეთ და გამოჭერით დანართში მოცემული „დედამიწები.“ დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ თავიანთი „დედამიწა“ გააფერადონ, შემდეგ თავსახურს მიაწებონ და ბოლოს თავსახური და მძივები ძაფზე აცვან (დანართი 3.5.1.).

მოძრაობა



- *ჩემს სივრცეში მოძრაობა.* ბავშვები დგებიან მათთვის განკუთვნილ სივცრეში, (დაურიგეთ ბავშვებს ცარცი და სთხოვეთ საკუთარი თავის გარშემო ადგილი შემოხაზონ). აღმზრდელი იწყებს სხვადასხვა მოძრაობის განსახიერებას: მარშით სიარულს, ფეხების ბაკუნს, ტაშის დაკვრას, მკლავების გაშლას და ა.შ. ბავშვები კი იმეორებენ. თავიდან ყველა მოძრაობას ნელა ასრულებთ, შემდეგ ტემპს უმატებთ. როდესაც ბავშვები ადვილად გაიმეორებენ მოძრაობას, აღმზრდელი ოდნავ იცვლის ადგილს, ოღონდ ისე რომ თავისი სივრცე არ დატოვოს: ტრიალებს თავის სივრცეში, ხტუნავს. ყურადღება ექცევა იმას, რომ ყველა თავის სივრცეში მოძრაობს და არ ეხება დანარჩენებს. მას შემდეგ, რაც ბავშვები ადვილად იმეორებენ აღმზრდელის მოქმედებებს, აღმზრდელი სთავაზობს მათ, რომ რომელიმე მათგანი იყოს წამყვანი და სხვებმა გაიმეორონ მისი მოძრაობები.

სამაგიდო



- ამობეჭდეთ და გამოჭერით დანართში მოცემული ბარათები. წაახალისეთ ბავშვები, დათვალონ ნაგვის რაოდენობა და შესაბამისი რაოდენობის ბურთულები გააფერადონ (დანართი 3.5.2.).
- ლაბირინთი. აპოვნინეთ ბავშვებს სახლი (დანართი 3.5.3.).
- დღეების თვლა. ბავშვებთან ერთად, კალენდარზე დღევანდელი დღე მოძებნეთ, შემდეგ 22 აპრილი. დაითვალეთ რამდენი დღე დარჩა დედამიწის დღემდე. მიეცით ბავშვებს პატარა კვადრატებად დაჭრილი ფურცლები და სთხოვეთ, დათვლილი დღეების შესაბამისი რაოდენობა აიღონ. აჩვენეთ, როგორ დააწყონ ფურცლები ერთად და დაეხმარეთ დასტეპლერებაში. ერთად დაითვალეთ გვერდების რაოდენობა. სთხოვეთ რომელიმე ბავშვს, საკლასო ოთახისთვის ერთი დასტით მეტი გააკეთოს. ყოველდღე მოაჭერით თითო ფურცელი. როდესაც არცერთი ფურცელი აღარ დარჩება, დედამიწის დღე იქნება. ბავშვებს შეუძლიათ საკუთარი „კალენდრის“ შინ წაღება, რომ დღეები ოჯახის წევრებთან ერთად ითვალონ. შეახსენეთ, რომ ყოველ დილით, ადგომისთანავე ერთი გვერდი მოჭრან.
- სათამაშო ცომის დედამიწა. დაურიგეთ ბავშვებს ლურჯი, ყვითელი, თეთრი ცომი (შეგიძლიათ პლასტელინით შეცვალოთ), ფურცლები და შავი ფანქარი. დაუდეთ ბავშვებს დედამიწის სურათი. სთხოვეთ, დამოუკიდებლად გააკეთონ დედამიწა, ფურცელზე შემოავლონ წრე და ცომებით შეავსონ. მიეცით მინიშნება ცომები ერთმანეთში შეურიონ.

დრამატული

- მიეცით საშუალება განასახიერონ, როგორ ალაგებენ სკვერს ან ერთმა ითამაშოს პერსონაჟი, რომელიც ანაგვიანებს, დანარჩენებმა აუხსნან, რომ ნაგვისთვის არსებობს ნაგვის ყუთი.
- მოხალისე ბავშვს სარეცხის სარჭებით დაკიდეთ სხვადასხვა ნაგავი: დაკუჭული ქაღალდები, პოლიეთილენის პარკები. ის მოიკუნტება, ვითომ დედამიწაა და ავადაა. ბავშვები მას „მოარჩენენ“.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „დედამიწა ბრუნავს“. ჰკითხეთ, რამ გააოცა მთელი ტყე?
- იმსჯელეთ, რატომ ჰქვია ქართულად ჩვენს პლანეტას „დედამიწა“? გაახსენეთ სხვა სიტყვათშეთანხმებები, რომლებშიც პირველი კომპონენტი დედაა (დედა ენა, დედა სამშობლო...).

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ კუბურები, პატარა სათამაშოები (კაცუნები, ცხოველები, ხეები და სხვა), სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ დედამიწასთან დაკავშირებული კონსტრუქციები (მაგალითად: ქალაქი, ფერმა, ტყე და სხვა).

მეცნიერება

- დაბინძურებული წყალი. მოიმარაგეთ ისეთი საგნები, რომლითაც მდინარის ან ტბის დაბინძურებაა შესაძლებელი. მაგალითად, ქაღალდი, კონსერვი, ფორთოხლის და ბანანის ნაფცქვენი, კვერცხის ნაჭუჭი, ყავის ნალექი, ცარიელი პლასტმასის ბოთლები და სხვა. ჩაასხით აკვარიუმში ან თასში წყალი და სთხოვეთ ბავშვებს, მასში „ნაგავი“ ჩაყარონ. სთხოვეთ მოურიონ და წყალს დააკვირდნენ. დალევდნენ ამ წყალს ან იცურავებდნენ მასში? რატომ? შეახსენეთ, რომ დაუდევარი ადამიანები მდინარეებსა და ტბებს აბინძურებენ.
- ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ცხოველებზე დაბინძურებული წყალი, რომლებიც წყალს მდინარეებიდან და ტბებიდან სვამენ.
- ყურადღება მიაქციეთ, რომ ბავშვებმა, წყალში თამაშის შემდეგ, კარგად დაიბანონ ხელები.

კულინარია



- დედამიწის პროდუქტი. გაუმასპინძლდით ბავშვებს ცოცხალი ხილითა და ბოსტნეულით და შეახსენეთ, რომ ეს დედამიწის პროდუქტებია.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ჩვენი პლანეტის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ?

2. მზე და მთვარე

დილის წრე



- წინასწარ შექმენით „მთვარის“ გარემო. დაყარეთ იატაკზე ბალიშები და გადააფარეთ ყვითელი ან თეთრი ზეწარი. ერთ კედელზე ჩამოკიდეთ დედამიწის სურათი, მეორეზე – მზის. მოსვლისთანავე ბავშვებს „მთვარეზე“ დაჯდომა შესთავაზეთ.
- ისაუბრეთ იმის შესახებ, რომ:
  - ერთი სრული დღე 24 საათია და მოიცავს დღესაც და ღამესაც.
  - დღეა, როდესაც საბავშო ბაღში ვართ ან გარეთ ვთამაშობთ.
  - ღამეა, როდესაც დროს ოჯახის წევრებთან ერთად ვატარებთ, ვისვენებთ და ვიძინებთ.
  - ღამით უფრო ბნელა და ცივა, ვიდრე – დღისით.
  - ღამით და დღისით სხვადასხვა ტანსაცმელი გვაცვია (მაგალითად, ღამის პერანგი).
- წაახალისეთ ბავშვები, გითხრან, რა იციან მზის შესახებ, გაამრავალფეროვნეთ მათი ცოდნა:
  - გვამარაგებს სინათლითა და სითბოთი;
  - შეუძლია დაგვიწვას კანი;
  - ის ვარსკვლავია;
  - ზოგჯერ ღრუბლები მალავენ;

    * როცა რაიმე საგანი მის სინათლეს ეფარება, შეუძლია ჩრდილი წარმოქმნას;
- ისაუბრეთ მთვარეზე
    * ანათებს ღამღამობით;
    * მთვარეს მზე ანათებს, ის აირეკლავს მზის შუქს;
    * ღრუბლებს შეუძლია მისი სრულად დამალვა;
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა მზე და მთვარეა.

ხელოვნება



- დღე და ღამე. აიღეთ ორი ერთჯერადი ქაღალდის თეფში და ერთმანეთს მიაწებეთ. წაახალისეთ ბავშვები, შექმნან დედამიწა: ერთ მხარეს შეღებონ შავად და გაშრობამდე ოქროსფერი ბრჭყვიალები მოაყარონ, ვითომ ვარსკვლავებია. გაშრობა აცადეთ. მეორე მხარეს ყვითლად შეღებონ, ვითომ მზის სინათლეა.
- მოიმარაგეთ ერთჯერადი თეფშები. წაახალისეთ ბავშვები, შეღებონ ყვითლად. თუ მოინდომებენ, შეუძლიათ მზეს სახეც მიახატონ. სხივებად შეგიძლიათ ყვითელი ძაფები მიაწებოთ ან ბავშვებს აჩვენოთ, როგორ გამოჭრან სხივების მისაღებად თეფში.
- მთვარის ზედაპირი. მოიმარაგეთ კვადრატის ფორმის მუყაო, ლობიოს მარცვლები ან პატარა კენჭები, წებო და ფოლგა. დაურიგეთ ბავშვებს მუყაო და სთხოვეთ, ლობიო ან კენჭები დააწებონ. აცადეთ გაშრობა. ნამუშევარს ფოლგა გადააკრან და ლობიოებსა და კენჭებს ირგვლივ ფრთხილად დააწვნენ.
- აიღეთ ბავშვების სურათები, ამობეჭდეთ დანართი. წაახალისეთ ბავშვები, საკუთარი სახე ჩასვან ასტრონავტის სახის ადგილას და ითამაშონ (დანართი 3.5.4.).

მოძრაობა



- კოსმოსური ტელეფონი. მოიმარაგეთ რეზინის მილი, სთხოვეთ ბავშვს, ერთი ბოლო ყურთან მიიდოს, მეორე ბოლო თქვენ დაიჭირეთ და იქიდან მიეცით განკარგულებები, მაგალითად, აიღე ქვა, იხტუნავე ასკინკილა, შეაკეთე კოსმოსური ხომალდი. შემდეგ შეცვალეთ როლები, ბავშვმა მოგცეთ განკარგულებები და თქვენ შეასრულეთ.
- მთვარე დედამიწის გარშემო მოძრაობს, ის ერთი წრის შემორტყმას ერთ დღე-ღამეს ანდომებს. დადექით ოთახის ცენტრში და წაახალისეთ ბავშვები, გახდნენ თქვენი მთვარეები და სხვადასხვა სიჩქარით თქვენ გარშემო იტრიალონ.
- აუხსენით ბავშვებს, რომ დედამიწისგან განსხვავებით, მთვარეზე მიზიდულობა არ არის და წაახალისეთ ბავშვები, რომ „მთვარის ზედაპირზე“ იარონ, „თავიანთი კოსმონავტის ჩექმებით“. შეგიძლიათ ფონად შესაბამისი მუსიკა ჩართოთ.

სამაგიდო



- დადეთ სინზე მუქი ლურჯი ფურცელი. ამ ფურცელზე დააწყვეთ სხვადასხვა ფორმის საგნები, მაგალითად, გასაღები, სავარცხელი, მაკრატელი, პლასტმასის დანა და სარეცხი სარჭი. სინი მზეზე რამდენიმე საათით დადეთ. როდესაც ქაღალდი გახუნდება, მოათავსეთ საგნები ცალკე და სთხოვეთ ბავშვებს, თითოეულ საგანს თავისი ჩრდილი უპოვონ.
- „მთვარის“ ქვები. წინასწარ დაძებნეთ ქვები დაახლოებით 2,5 და 5 სანტიმეტრის დიამეტრის. აიღეთ მუყაოს ყუთი და თავსახურზე გამოჭერით ორი ნახვრეტი (ერთი 2.5 სმ. და მეორე 5 სმ. დიამეტრის). სთხოვეთ ბავშვებს, აირჩიონ ნახვრეტი და ქვები ყუთში ჩაყარონ.

სენსორული

- მთვარის კრატერები. მოიმარაგეთ ყვითელი სათამაშო ცომი. წაახალისეთ ბავშვები, ხელით გააბრტყელონ ან გასაბრტყელებელი ჯოხი დაიხმარონ. დაურიგეთ სქელი მარკერის თავსახურები და სთხოვეთ, დახურული მხრიდან ცომში ჩაარჭონ, ანუ შექმნან კრატერები. კრატერები შეუძლიათ თითებითაც დაამჩნიონ „მთვარეს“.
- მთვარის ტალახი. წინასწარ აურიეთ ერთი ჭიქა სიმინდის ფქვილი იმავე რაოდენობის წყალში და კონტეინერში მოათავსეთ. შეგიძლიათ საკონდიტრო საღებავიც ჩაამატოთ. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ მიღებული მასით და ყურადღება გაამახვილონ უცნაურ ტექსტურაზე.

დრამატული



- დათუნია მზიან დღეს. მოიმარაგეთ დიდი ზომის დათუნია ან სხვა რბილი სათამაშო და ყუთი, რომელშიც მოთავსებული იქნება ამ დათუნიას ზომის ტანსაცმელი და აქსესუარები მზიანი დღისთვის (მაგალითად, სათვალე, საცურაო კოსტიუმი, კეპი, სანდლები) და ცივი დღისთვის (მაგალითად, ხელთათმანები, ჟაკეტი, თბილი ქუდი). სთხოვეთ ბავშვებს, დათუნია მზიანი დღისთვის გამოაწყონ.

წიგნიერება

- გაიხსენეთ ლექსი: „მზე დედაა ჩემი.“
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „მზე ჩიტის ბუდეში.“
- თუ საშუალება გაქვთ, აჩვენეთ მულტფილმი „სიზმარა,“ თუ – არა, თავად მოუყევით. იმსჯელეთ, რატომ შეშურდა დედინაცვალს და მეფეს სიზმარას სიზმრის.
- გაიხსენეთ ქართული სახელები, რომლებშიც მზე და მთვარეა: იამზე, მზექალა, მზია, მთვარისა, პირიმზისა, პირმთვარისა...
- თექის დაფაზე წინასწარ გამოჭრილი მთვარე და რაკეტა დაამაგრეთ. შეუცვალეთ ხოლმე ადგილი რაკეტას და სთხოვეთ ბავშვებს, რაკეტის მდებარეობა დაასახელონ. მაგალითად, რაკეტა მთვარის ქვეშაა, მთვარეზეა, მთვარის გვერდითაა, მთვარის ზემოთაა, მთვარის უკანაა.

მეცნიერება

- მთვარის ფაზები. მთვარე ყოველთვის ერთნაირი არ არის. აუხსენით ბავშვებს რომ სინამდვილეში მთვარე ფორმას არ იცვლის და ის ყოველთვის მრგვალია. მაგრამ მთვარეს თავისი შუქი არ აქვს და ამიტომ მისი დანახვა მხოლოდ მზის შუქის დახმარებით შეგვიძლია.
- მზის შუქი მთვარეს ყოველთვის მთლიანად ვერ ანათებს და ამიტომ მხოლოდ მის განათებულ ნაწილს ვხედავთ.
- ზოგჯერ მთვარე წრის ფორმისაა, ზოგჯერ ნახევარწრის და ზოგჯერ კი მხოლოდ რკალის ფორმის. დაურიგეთ ბავშვებს კარგი ხარისხის მთვარის ფაზების სურათები და გამადიდებელი შუშა, სთხოვეთ დააკვირდნენ.
- ქვებზე დაკვირვება. უამბეთ, რომ ასტრონავტებმა მთვარიდან ქვები ჩამოიტანეს. მოიმარაგეთ სხვადასხვა ზომისა და წონის ქვები და წარმოიდგინონ, რომ ეს ქვები მთვარიდანაა. ბავშვებმა დაკვირვებები ჩაატარონ. სასწორის დახმარებით ქვები აწონონ და სახაზავის დახმარებით გაზომონ. სიზუსტე, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი არ არის. მთავარია მსგავსი გამოცდილების შეძენა.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი მზისა და მთვარის შესახებ?
- სთხოვეთ, მოიფიქრონ ზღაპარი მზეზე ან მთვარეზე. თუ საჭიროა, დაეხმარეთ თხრობის დაწყებაში: ვთქვათ, მზემ ერთი სხივი დაკარგა ან მთვარე და მზე წაიჩხუბნენ და მზემ მთვარე აღარ გაანათა, ან ვინ ცხოვრობდა მთვარეზე... (როგორც კი ბავშვი თხრობას დაიწყებს, მიეცით სრული თავისუფლება). ყოველი მოხალისე შეაქებთ.

3. კოსმოსი

(ასტრონავტი, პლანეტები, უცხოპლანეტელი და კოსმოსური ხომალდი)

დილის წრე

- ოთახში წინასწარ ძუით ჩამოკიდეთ სხვადასხვა საგნები, რომ აჩვენოთ, როგორია უწონადობა კოსმოსში.
- მოიმარაგეთ და დაათვალიერებინეთ ბავშვებს კარგად ილუსტრირებული წიგნები კოსმოსის შესახებ. წაახალისეთ, დასვან მათთვის საინტერესო კითხვები:

* რა არის კოსმოსი? ყველაფერი რაც კი არსებობს, ყველა საგანი და ენერგია, მათ შორის პლანეტები, ვარსკვლავები, გალაქტიკები. მზის სისტემაც კოსმოსის ნაწილია. მზის სისტემა შედგება მზისგან და მის ირგვლივ მბრუნავი რვა პლანეტისგან. მათ შორისაა ჩვენი დედამიწაც.
* რას აკეთებენ ასტრონავტები? ასტრონავტები მოგზაურობენ კოსმოსში და აგროვებენ ინფორმაციას მეცნიერებისთვის, რომლებიც შემდეგ ამ ინფორმაციას შეისწავლიან. ასტრონავტები ზოგჯერ კოსმოსში გაგზავნილ კოსმოსურ ხომალდებსაც შეაკეთებენ ხოლმე.
* რა არის საჭირო კოსმოსში სამოგზაუროდ? კოსმოსში სამოგზაუროდ გვჭირდება სპეციალური კოსტიუმი – სკაფანდრი. კოსმოსში არაფერს აქვს წონა და ამიტომ გარეთ გასასვლელად სკაფანდრი გვჭირდება. ასევე საჭიროა ჰაერით სავსე ბაკები, რადგან კოსმოსში ჰაერი არ არის. იქ მოსახვედრად კი კოსმოსურ ხომალდებს ვიყენებთ.
* როგორია ცხოვრება კოსმოსში? ძალიან განსხვავდება დედამიწაზე ცხოვრებისგან. ასტრონავტებს სძინავთ სპეციალურ საძილე ტომრებში, რომ არ იტივტივონ ძილში. ჭამა და სმაც რთულია. ჩვეულებრივად ვერ დალევ წყალს ჭიქიდან, რადგან წყალი ზემოთ ამოტივტივდება. ამიტომ ასტრონავტები სპეციალურ პლასტმასის შეკვრაში ჩასხმულ წყალს საწრუპით სვამენ და მიირთმევენ წებოვან საჭმელს, რომელიც თეფშებს ეწებება და აღარ დაფრინავს.
* ვინ არიან უცხოპლანეტელები? ზოგი ადამიანი ვარაუდობს, რომ სხვა პლანეტებზეც შეიძლება ცხოვრობდნენ ცოცხალი არსებები, მათ უცხოპლანეტელებს ვუწოდებთ.

- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა კოსმოსია.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ტიპის მასალა და სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ კოსმოსი. როდესაც დაასრულებენ, კოსმოსური ხომალდი ამოჭრან და დააწებონ (დანართი 3.5.5.). წაახალისეთ ისინი, თავიანთი ნახატის შესახებ ჯგუფში ისაუბრონ.
- წინასწარ ჩაასხით პატარა დასანამ (სპრეი) ბოთლებში წყალში გახსნილი თეთრი ან ყვითელი საღებავები. წაახალისეთ ბავშვები, შეასხან საღებავი შავ, სქელ ფურცელს და დახატონ კოსმოსი.

მუსიკა და მოძრაობა

- ჩართეთ მუსიკა და შესთავაზეთ პატარა „ასტრონავტებს“ იფარფატონ კოსმოსში, ამისთვის ძალიან ნელი ტემპით ამოძრაონ კიდურები.
- წინასწარ ამობეჭდეთ ან დახატეთ ვარსკვლავების, მთვარის და პლანეტების დიდი სურათები და დააფინეთ იატაკზე. სანამ მუსიკა ჩართულია, ბავშვებმა ოთახში იმოძრაონ და როდესაც მუსიკა შეწყდება, რომელიმე ნახატზე დადგნენ.

- სთხოვეთ ბავშვებს, გაინაწილონ როლები. ერთი იყოს მზე, რომელიც ცენტრში დგას, დანარჩენები კი პლანეტები, რომლებიც მზის ირგვლივ ტრიალებენ ისე, რომ არასდროს ეხებიან ერთმანეთს.

სამაგიდო



- წინასწარ დაამზადეთ თამაში თითოეული ბავშვისთვის. დანართში მოცემული ფიგურები და დანომრილი კოსმოსური ხომალდი ამობეჭდეთ, გამოჭერით და ლამინირება გაუკეთეთ. დაურიგეთ ბავშვებს კამათელთან ერთად. სთხოვეთ, კამათლის გაგორება ყველამ ერთად დაიწყოს. გაგორებული ციფრის შესაბამის რაკეტის ნაწილს ფიგურა დაადონ (დანართი 3.5.6.).

- ლაბირინთი. დასვი კოსმოსური ხომალდი მთვარეზე (დანართი 3.5.7.).
- იპოვე ერთნაირი უცხოპლანეტელები (დანართი 3.5.8.).
- დაუბრუნე უცხოპლანეტელს თავისი ჩრდილი (დანართი 3.5.9.).

სენსორული

- პლასტელინის პლანეტები. სთხოვეთ ბავშვებს, აურიონ ორი სხვადასხვა ფერის პლასტელინი, აზილონ ერთმანეთში, რომ ჭრელი ფერი მიიღონ. დაამრგვალონ და ზედაპირი სპეციალური თიხის ჯოხით, პლასტმასის ჩანგლით ან ფანქრით დაჩხვლიტონ, ან დაკაწრონ.

დრამატული



- „ასტრონავტის ჩექმებისთვის“ მოიმარაგეთ ღრუბელი, რომელსაც ბავშვს სკოჩით ფეხებზე შემოაკრავთ; ასტრონავტის ჩაფხუტი – გამოჭერით სახის ფორმა ქაღალდის პაკეტებზე ან ნაყინის დიდი პლასტმასის კონტეინერებზე; მოიმარაგეთ რეზინის მილი – რომლსაც ტანზე მიამაგრებთ, ანუ „თავს გამოიბამენ“ კოსმოსში გასასვლელად და თან კოსმოსურ ტელეფონად გამოიყენებენ; ჰაერის ბალონები – მიამაგრეთ ორი დიდი ზომის ცარიელი წყლის ბოთლი ერთმანეთს სკოჩით და თოკით გაუკეთეთ სახელურები, რომ ბავშვებმა ზურგზე მოიკიდონ; კოსმოსური ხომალდი – დიდი ცარიელი ყუთი; დამატებითი რეკვიზიტები – ხელში დასაჭერი დაფა და ფანქრები. წაახალისეთ, საკუთარი ფანტაზიით ითამაშონ ამ მასალით.
- ასტრონავტის სკაფანდრებმორგებული ბავშვები ჩაიკუზონ და ყველამ ერთად უკუღმა დაითვალეთ „10 - 9 - 8 - 7 - 6 - 5 - 4 - 3 - 2 - 1 - წავიდა!“ ყველამ ხელები მაღლა ასწიოს და რაც შეიძლება მაღლა ახტეს, ვითომ მათი კოსმოსური ხომალდი აფრინდა.

წიგნიერება

- გაამეორებინეთ სიტყვები: ასტრონავტი, კოსმოსი, კოსმოსური ხომალდი, სკაფანდრი, რაკეტა... ეთამაშეთ კოსმოსური სიტყვების თამაში. დაფაზე დაუწერეთ ჩაფიქრებული სიტყვის პირველი და ბოლო ასო. (გაახმოვანეთ, რა ასოები დაწერეთ) შუაში ტირეები იმ რაოდენობით, რამდენი ასოც რჩება ამ სიტყვაში. მიეცით მინიშნება და შესთავაზეთ გამოიცნონ. (მაგ. ს- - - - - - - ი – აქ წერია სიტყვა, რომელიც აღნიშნავს კოსმონავტის სპეციალურ ტანსაცმელს). როდესაც გამოიცნობენ, ერთად დაითვალეთ, რამდენი ასოა ამ სიტყვაში, ჩაეტევა თუ არა თქვენ მიერ დაწერილი ტირეების ადგილას? ბოლოს ბავშვების მიერ ასო-ასო კარნახით შეავსეთ ცარიელი ადგილები.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ჭირვეული ლომის ბოკვერის დაბადების დღე“.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „მფრინავი“.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ კუბურები და სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ კოსმოსური ხომალდები.

მეცნიერება

- აჩვენეთ ბავშვებს მზის სისტემა (მზე და მისი 8 პლანეტა). დაასახელეთ პლანეტები და შემდეგ ბავშვებთან ერთად დათვალეთ ისინი (მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი).
- ჩამოკიდეთ ჭერში მზის ფორმის ყვითელი ფურცელი. დაამზადებინეთ ბავშვებს პლანეტები – დაკუჭონ ძველი ჟურნალის ფურცელი ბურთად და გადააკრან ფოლგა. დაკიდეთ პლანეტები მზის ირგვლივ და კიდევ ერთხელ დათვალეთ ისინი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა მოეწონათ დღის მანძილზე ყველაზე მეტად?
- ჰკითხეთ, ვინმე ხომ არ ოცნებობს გახდეს კოსმონავტი?
- ისაუბრეთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ კოსმონავტი გამოხვიდე?

4. ვარსკვლავები

დილის წრე

- ისაუბრეთ ვარსკვლავებზე:
  * ისინი ღამღამობით ციმციმებენ.
  * დედამიწიდან ძალიან შორს მდებარეობენ და ამიტომაც ჩანან ასეთი პატარები
  * მზეც ვარსკვლავია, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს დედამიწასთან. ის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი პლანეტისთვის, რადგან სითბოსა და შუქს გვაძლევს.
  * კოსმოსში ძალიან ბევრი ვარსკვლავია. იმდენი, რომ ვერც დაითვლი.
  * აჩვენეთ და ისაუბრეთ მარტივ თანავარსკვლავედებზე, მაგალითად, დიდი დათვის თანავარსკვლავედზე.
- წინასწარ მთელ ოთახში დააწყვეთ ვარსკვლავის ფორმის სქელი ფურცლები. წაახალისეთ ბავშვები, დაძებნონ ისინი.
- ამ დღის განმავლობაში, ბავშვები ვარსკვლავის ფორმის მედლებით დააჯილდოვეთ.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ვარსკვლავებია.

ხელოვნება



- ციმციმა ვარსკვლავები. თხელი ღრუბელისგან წინასწარ გამოჭერით ვარსკვლავის ფორმები. დაურიგეთ ბავშვებს თეთრ და ყვითელ საღებავებთან და შავ ფურცლებთან ერთად. ჩააწონ ღრუბელი საღებავში და ფურცელზე ვარსკვლავის ფორმები გამოსახონ. შეგიძლიათ ჯერ კიდევ სველ საღებავზე მოაყრევინოთ მარილი ან ბრჭყვიალები.
- დაურიგეთ ბავშვებს სქელი ქაღალდისგან წინასწარ გამოჭრილი ვარსკვლავის ფორმები. სთხოვეთ, შესაფუთი ქაღალდები და ჟურნალები დაანაკუწონ და დააწებონ ვარსკვლავის გასალამაზებლად. ბოლოს გადაუსვით თეთრი წებო და მოაყარეთ მარილი ან ბრჭყვიალები. რომ გაშრება, გაუკეთეთ ნახვრეტი და მიამაგრეთ ძაფი ან ლენტი.
- წინასწარ მუყაოსგან საშუალო ზომის ვარსკვლავის ფორმები გამოჭერით. ბავშვებს დაურიგეთ, სთხოვეთ, ვარსკვლავს ერთი მხრიდან წებო წაუსვან, ყუთში ან რაიმე ჭურჭელში ჩადონ, ისე, რომ წებოვანი მხარე ზემოდან მოექცეს. ბრჭყვიალები მოაყარონ, ფრთხილად ამოიღონ და ვარსკვლავები ჭურჭელშივე დაფერთხონ და გასაშრობად გადადონ. როდესაც წებო შეშრება, ვარსკვლავს უკნიდან ჯოხი მიამაგრეთ. ყველამ გამოიყენოს თავისი ვარსკვლავის ჯოხი ლექსების თქმის ან ვარსკვლავური ცეკვის შესრულების დროს.
- მაგიდას წინასწარ მიამაგრეთ (სკოჩით ან დროებითი წებოთი) სქელი ფურცლისგან გამოჭრილი სხვადასხვა ზომის ვარსკვლავები და დააფარეთ თეთრი სახატავი ფურცელი ისე, რომ ბავშვებმა არ იცოდნენ, რა იმალება ფურცლის ქვეშ. მიეცით ფანქარი და სთხოვეთ ფურცლის გაფერადება. ვარსკვლავები ფურცელზე გამოისახება. სთხოვეთ, დაითვალონ იმ ვარსკვლავების რაოდენობა, რომელიც მათ ფურცელზე გამოჩნდა.
- დაბალ კონტეინერში თხელი ღრუბელი ჩადეთ და თეთრი საღებავი დაასხით, ბავშვებს შავი ან მუქი ლურჯი ქაღალდები და ვარსკვლავის ფორმის ორცხობილას საჭრელები დაურიგეთ. სთხოვეთ ბავშვებს, ჩააწონ ისინი საღებავიან ღრუბელში და ვარსკვლავები ფურცელზე გადაიტანონ.

მუსიკა და მოძრაობა

- ხუთ-ხუთი ბავშვი დასვით წრეზე, ფეხები გაშალონ ისე, რომ ვარსკვლავი დაიხატოს. ზედხედიდან სურათი გადაუღეთ.
- ჩართეთ მუსიკა და წაახალისეთ ბავშვები, ხელოვნების ცენტრში დამზადებული ჯოხიანი ვარსკვლავებით იცეკვონ.

სამაგიდო



- გადახატეთ თანავარსკვლავედები (დანართი 3.5.10.).
- გამოჭერით სხვადასხვა რაოდენობის სხივიანი ვარსკვლავები, წაახალისეთ ბავშვები, დათვალონ სხივების რაოდენობა და ამის მიხედვით კატეგორიებად დაახარისხონ.
- დაურიგეთ ბავშვებს ვარსკვლავის ფორმის მუყაოები, თეთრი ფურცლები და ფანქ-

რები. სცადონ, ვარსკვლავები შაბლონებად გამოიყენონ და შემოხაზონ კონტურები.

- დაჭერით ვარსკვლავი ხუთ ნაწილად და სთხოვეთ ბავშვებს თავსატეხის აწყობა (დანართი 3.5.11.).
- წინასწარ გამოჭერით ოთხი სხვადასხვა ზომის და სამი განსხვავებული ფერის ვარსკვლავი. სთხოვეთ ბავშვებს, დაალაგონ ისინი ჯერ ზომის და შემდეგ ფერების მიხედვით.
- წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ზომის ვარსკვლავები. წაახალისეთ ბავშვები, დაალაგონ ისინი სიდიდის მიხედვით, პატარიდან – დიდამდე ან დიდიდან – პატარამდე.
- გამოჭერით ვარსკვლავები ლურჯი, წითელი და ყვითელი ქაღალდისგან, აურიეთ და მოათავსეთ ერთად. სთხოვეთ ბავშვებს, ფერების მიხედვით დაახარისხონ.
- გამოჭერით ვარსკვლავები თეთრი ან ყვითელი ფურცლისგან. დაამზადეთ წყვილები, ერთზე დააწერეთ ციფრი, მეორეზე – ამ ციფრის შესაბამისი რაოდენობის წერტილები დასვით. აურიეთ, სთხოვეთ ბავშვებს იპოვონ წყვილები.
- მოიმარაგეთ მსხვილი მარილი, შავი თექის ნაჭერი და პინცეტები. წაახალისეთ ბავშვები, პინცეტის გამოყენებით გადმოაწყონ „ვარსკვლავები“ (მარილი) და განალაგონ „ცაში“ (თექა).

წიგნიერება და მეტყველება

- დაურიგეთ ბავშვებს ვარსკვლავი სტიკერები, დაიკრან თითების ბალიშებზე, აამოძრაონ თითები და თან თქვან რაიმე ლექსი. მაგალითად:

„ვარსკვლავები ციმციმებენ,
ციმციმებენ ცაში,
მათკენ მიმაქროლებს,
ფრთებიანი რაში.
თუ მივწვდები რომელიმეს,
დამიკარით ტაში.“

ე. სკოფილდი

ან თავიანთი ვარსკვლავების შესახებ ზღაპრები გამოიგონონ და ერთმანეთს უამბონ.

- თექისგან გამოჭერით მთვარე და ვარსკვლავები. თექის დაფაზე მთვარე შუაში დაკიდეთ და ბავშვები სათითაოდ მოიწვიეთ დაფასთან. მიეცით ვარსკვლავი და სთხოვეთ, დაკიდოს, მაგალითად, მთვარის ზემოთ, მთვარის ქვეშ, მთვარის გვერდით ან მთვარესა და კონკრეტულ ვარსკვლავს შორის (შეგიძლიათ აქტივობა მაგნიტურ დაფაზეც გააკეთოთ).
- ოთხი პატარა ზღვის ვარსკვლავი. თექიდან წინასწარ გამოჭერით ოთხი სტაფილოსფერი ზღვის ვარსკვლავი, რამდენიმე ნაცრიფერი ქვის ფორმა და თექის დაფაზე დაამაგრეთ. სთხოვეთ ბავშვებს, მოხსნან ზღვის ვარსკვლავები ლექსის ტექსტის მიხედვით. ყველამ ერთად თქვით ლექსი:

წყლის პირას იყო ოთხი პატარა ზღვის ვარსკვლავი,
შეაშრათ ნამი,
ერთმა გაცურა, გამოვიდა, რომ დარჩნენ სამნი.

სამი პატარა ზღვის ვარსკვლავი ისვენებდა დიდ ლოდებს შორის,
ერთმა გაცურა, გამოვიდა, რომ დარჩნენ ორნი.

ორმა პატარა ზღვის ვარსკვლავმა იცვალა გვერდი,
ერთმა გაცურა, გამოვიდა, რომ დარჩა ერთი.

იმ ერთ პატარა ზღვის ვარსკვლავსაც მოუნდა სახლში,
გადაწყვიტა და გაცურა ზღვაში,

და არ ზის ახლა აღარცერთი ზღვის ვარსკვლავი,
ნაპირი დარდობს,
ახლა ვარსკვლავებს ზღვის ტალღები არწევს და ართობს.

ე. სკოფილდი

მეცნიერება

- თანავარსკვლავედები. შავ ფურცელზე წინასწარ დააწებეთ ვარსკვლავის ფორმის სტიკერები. დაურიგეთ ბავშვებს თეთრ ფანქართან ერთად და სთხოვეთ, შეაერთონ ვარსკვლავები ისე, რომ შექმნან თავიანთი თანავარსკვლავედი. რას წააგავს? დაარქვან სახელი თავიანთ თანავარსკვლავედს.
- ჭოგრიტი. რულონის ერთ ბოლოს რეზინით მიამაგრეთ შავი ფურცელი. შავი ფურცელი დაჩხვლიტეთ და „ვარსკვლავების“ დასანახად „ჭოგრიტი“ სინათლისკენ მიმართეთ.

კონსტრუქციული



- ყვითელი მყარი ფურცლისგან გამოჭერით ვარსკვლავის ფორმები და სთხოვეთ ბავშვებს, დააკრან კუბურებს. ძირს ლურჯი ან შავი დიდი ნაჭერი დააფინეთ. წაახალისეთ ბავშვები, კუბურების გამოყენებით თანავარსკვლავედები ააგონ.
- წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა ზომის ვარსკვლავები მყარი ფურცლისგან და თითოეულს შუაში ნახვრეტი გაუკეთეთ. ბავშვებს დაურიგეთ საწრუპები, რომ ვარსკვლავები ჩამოაცვან.

კულინარია



- წაახალისეთ ბავშვები. ვარსკვლავის ფორმის საჭრელით გამოჭრან ყველი, დაამზადონ ბუტერბროდები და ერთმანეთს გაუმასპინძლდნენ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი ვარსკვლავების შესახებ?
- შეაჯამეთ კვირის თემა. გაიმეორეთ განვლილი მასალა.

მოგზაურობა და თავგადასავალი

1. სამოგზაურო ადგილები
2. მოგზაურობისთვის საჭირო ნივთები
3. მოგზაურობა ტრანსპორტით
4. მოგზაურობა ფეხით
5. თავგადასავალი

1. სამოგზაურო ადგილები

დილის წრე:

- დაახვედრეთ ბავშვებს გამოფენა: მოგზაურების სურათები – ადამიანები ჩემოდნებით და ზურგჩანთებით, სადგურსა და აეროპორტში, ასევე სხვადასხვა ადგილების ხედები: მთა, ზღვა, ტბა, მდინარე, ჩანჩქერი, ცნობილი ქალაქები, სოფელი-ფერმა, ისტორიული ქალაქები, სხვადასხვა მონუმენტები და ა.შ.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან თავიანთი აზრები ილუსტრაციებთან დაკავშირებით, ისაუბრონ მოგზაურობის შესახებ.
- ჰკითხეთ, როგორ ადგილებში უყვართ მოგზაურობა, მოუყევით თქვენი მოგზაურობების შესახებ, წაახალისეთ, ერთმანეთს მოუყვნენ თავიანთი ისტორიები.
- წაახალისეთ ბავშვები, მოიფიქრონ როგორ მოგზაურობდნენ ადრე ადამიანები, როდესაც თვითმფრინავი და მატარებელი არ არსებობდა.

მოძრაობა:



ერთჯერადი ჭიქები აავსეთ წყლით და დადგით ერთმანეთისგან დაახლოებით ერთი მეტრის მოშორებით. ბავშვებმა უნდა გაირბინონ ჭიქებს შორის ისე, რომ არ გაედონ ჭიქებს და წყალი არ დაღვარონ. ამ აქტივობის გართულებაც შესაძლებელია: აუხვიეთ ბავშვებს თვალები და წაახალისეთ, გაიარონ ჭიქებს შორის.

სენსორული:

- ფეხშიშველა ბავშვები გაატარეთ ბალახიან, ქვიან ზედაპირზე, მიწასა და წყალში.

ხელოვნება:



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ადგილი, სადაც სამოგზაუროდ წავიდოდნენ. ნახატის უკანა მხარეს მიაკარით ფაზლის ნახაზი. ნახატი დაჭერით ფაზლის ნაჭრებად. სთხოვეთ ბავშვებს, გაცვალონ ფაზლები და თავიდან ააწყონ (დანართი 3.6.1.).
- დაურიგეთ ბავშვებს გასაფერადებლები (დანართი 3.6.2.).
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ის ადგილები, სადაც მოგზაურობა სურთ.
- დახატონ ის ადამიანები, ვისთან ერთადაც იმოგზაურებდნენ.

დრამატული:



- ითამაშეთ მოგზაურობანა. იმოგზაურეთ სხვადასხვა ქვეყნებსა და ადგილებში. ისაუბრეთ თქვენი მიზნების შესახებ, რისი ნახვა და გაკეთება გსურთ იქ. მოყევით შთაბეჭდილებები, რა მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?

სამაგიდო:



- წაახალისეთ ბავშვები, პლასტენილისგან ან თიხისგან გამოძერწონ მთები, ტყეები, მდინარეები, ტყის და წყლის ბინადრები, ფერმის ცხოველები და ა.შ.
- გამოჭერით ნაჭრისგან პატარა ჯიბაკები. ფერადი ნაჭრის ნარჩენებისგან გამოჭერით ციფრები და დააწებეთ ჯიბაკებს. ციფრები სხვადასხვა ფერის შეიძლება იყოს. მიეცით ბავშვებს ფერადი ღილები ან ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი წრეები. წაახალისეთ, დაალაგონ ღილები რაოდენობის, ფერების მიხედვით. მაგ: ერთიანი – თუ წითელია, მაშინ ერთიანს ერთი წითელი ღილი მიუდონ და ა.შ.



წიგნიერება:

- ჯიმ პაიპის წიგნი „დიდი მოგზაურები“ („ ქარჩხაძის" გამომცემლობა).
- აუხსენით ბავშვებს სიტყვა საგზლის მნიშვნელობა.
- აუხსენით ბავშვებს სიტყვა მგზავრის მნიშვნელობა.

მეცნიერება:

- მიეცით ბავშვებს გლობუსი და გამადიდებელი შუშა. წაახალისეთ, დააკვირდნენ სხვადასხვა ქვეყნებს, კონტინენტებს და ა.შ.

კონსტრუქციული:



- კუბურებისგან ააწყვეთ სხვადასხვა სამოგზაურო ადგილები.

ექსკურსია:



- მოაწყვეთ ექსკურსია, ვითომ მოგზაურობთ. წინასწარ ისაუბრეთ მის მიზანზე. ბოლოს შეაჯამეთ, რა ნახეთ, რამდენად აისრულეთ სურვილები?

კულინარია:



- კიტრისგან სხვადასხვა ზომის და ფორმის გემები დაამზადეთ. კიტრი გარეცხეთ და შუაში გაჭერით სიგრძეზე. ჩაარჭვეთ ჩხირი რამდენიმე ადგილას და ჩამოაცვით ყველის თხელი ნაჭერი ან ბულგარული წიწაკის ნაჭერი. მცირე ზომის გემები მოხარშული კარტოფილისგანაც დამზადდება. მოხარშული კარტოფილები დაურიგეთ ბავშვებს და წაახალისეთ, რომ თვითონ გაფრცქვნან. კარტოფილი გაჭრან შუაზე და იალქანი, რა პროდუქტიც გექნებათ, იმისგან გაუკეთეთ. გამოიყენეთ სალათის ფოთოლი, კვერცხი და ა.შ.



საღამოს წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ ის ადგილები, სადაც მოგზაურობა შეიძლება.
- რისი კეთება შეიძლება ამ ადგილებში?
- რა იყო მათთვის ახალი და საინტერესო?

2. მოგზაურობისთვის საჭირო ნივთები

დილის წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ იმ ნივთებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მოგზაურობისას, დაკიდეთ კედელზე ამ ნივთებს ამსახველი ფოტოსურათები.
- რატომ არის ეს ნივთები ასეთი მნიშვნელოვანი? (პასპორტი, ვიზა, საბუთები, ფული, სამგზავრო ჩანთა, პირადი ნივთები და ა.შ.)
- რა მოხდება, უპასპორტოდ ან უვიზოდ თუ წავალთ სამოგზაუროდ?
- ზოგიერთი ნივთის საჭიროება დამოკიდებულია იმაზე, თუ საით მივემგზავრებით. მაგ: თუ ზღვაზე მივდივართ, საზღვაო ნივთები დაგვჭირდება, თუ მთაში მივემგზავრებით, უფრო თბილი და წყალგაუმტარი ნივთები დაგვჭირდება და ა.შ.
- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ რა გვჭირდება ზღვაზე?
- რა გვჭირდება მთაში?
- რა არის პარალონი?
- რა არის კარავი?
- რა არის საძილე ტომარა?

- რა არის კომპასი?
- რა არის ჭოგრიტი?
- რაში გვჭირდება ფანარი?

ხელოვნება:



- დაეხმარეთ ბავშვებს პასპორტების დამზადებაში.
- გასაფერადებელი (დანართი 3.6.3.).
- დაამზადებინეთ მზის სათვალეები. წინასწარ მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის გამჭვირვალე პოლიეთილენი. მუყაოსგან წინასწარ გამოჭერით სათვალის შაბლონი. დაამაგრებინეთ ბავშვებს ფერადი პოლიეთილენი მუყაოზე სტეპლერის გამოყენებით (იყავით ყურადღებით) (დანართი 3.6.4.).
- რულონისგან გააკეთეთ ჭოგრიტი. რულონები მოახატვინეთ და ერთმანეთზე დააწებებინეთ. გარე კიდეები გახვრიტეთ ორივე მხარეს და გაუყარეთ ლენტი.



მოძრაობა:



- თამაში: მე ვალაგებ სამგზავრო ჩანთას. ერთი ბავშვი იწყებს თამაშს და ამბობს: მე ვალაგებ სამგზავრო ჩანთას. მეორე ბავშვი იმეორებს ამ ფრაზას და ამატებს თავის ფრაზას. მაგ: მე ვალაგებ სამგზავრო ჩანთას და მიმაქვს მაისური. მესამე იმეორებს ამ ფრაზებს და ამატებს „და მიმაქვს დათუნია“ და ასე გრძელდება თამაში. წაახალისეთ ბავშვები, ეს ფრაზები წარმოთქვან მოძრაობის თანხლებით. მოძრაობით განასახიერონ სამგზავრო ჩანთის ჩალაგება და ნივთები.

სამაგიდო:



- ჩემოდნის ჩალაგება. დაურიგეთ ბავშვებს სამუშაო ფურცელი (დანართი 3.6.5.) და ყუთით ნებისმიერი პატარა საგნები (კენჭები, ჩხირები, ნიჟარები, პატარა ჭურჭელი და ა.შ.). სთხოვეთ ბავშვებს, ჩემოდნებზე შესაბამისი რაოდენობის ნივთი დაალაგონ.
- თამაში „სამგზავრო ჩანთის ჩალაგება“. ასანთის ყუთში ჩაალაგეთ ძალიან პატარა ნივთები მაგ: კამათელი, ნარჩენი ფანქარი, ასანთის ღერი, მაგნიტი, მაკარონი და რაც ხელთ ჩაგივარდებათ. მეორე მოთამაშემ უნდა გამოიცნოს რამდენი და რა ნივთი დევს ასანთის ყუთში (სამგზავრო ჩანთაში).



დრამატული:



- ითამაშეთ თამაში „ტანსაცმლის მთა“. დაახვედრეთ ბავშვებს სხვადასხვა ნივთები: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქუდები, ხელთათმანები, მზის და სათხილამურო სათვალეები და ა.შ. უთხარით ბავშვებს, რომ გაითამაშონ სცენა, თითქოს არიან უკაცრიელ კუნძულზე და მხოლოდ ეს ტანსაცმელი აქვთ, რომელსაც ძალიან უნდა გაუფრთხილდნენ. კუნძულზე გადასაადგილებლად ნივთები თან უნდა ატარონ, მაგრამ მათ არ აქვთ ჩანთა. როგორ

შეიძლება წაიღონ ამდენი ტანსაცმელი? წაახალისეთ ბავშვები, რომ მორიგეობით ჩაიცვან და გაიკეთონ ეს ნივთები ისე, რომ არაფერი დარჩეთ მიწაზე დადებული. ბავშვებს სამახსოვროდ სურათები გადაუღეთ.

სენსორული – მათემატიკა:

- ბავშვებმა ერთმანეთს ზურგზე თითით ვითომ-ვითომ დაახატონ სხვადასხვა ნივთები, რომელიც სამოგზაუროდ უნდა წაიღონ. ვისაც ზურგზე ახატავენ, უნდა გამოიცნოს, რა ნივთი დაახატეს. შემდეგ მხატვარმა დაახატოს რიცხვი, რომელიც ასევე უნდა გამოიცნოს. მაგ: დაახატე ქუდი და დააწერე ერთი, დაახატე სათვალე და დააწერე ორი და ა.შ.

მეცნიერება:

- მოგზაურობისას დაგჭირდებათ ჭოგრიტი. დააკვირდით ჭოგრიტით სხვადასხვა ნივთებს, მოვლენებს, რა იცვლება ჭოგრიტში გახედვით? გამოიყენეთ ფანარიც.

კონსტრუქციული:



- ააწყვეთ კარავი. სამი გრძელი ჯოხი (ბამბუკი) დაამაგრეთ თოკით ერთმანეთს. უმჯობესია ჯოხები შუაშიც დაამაგროთ თოკით, ძაფები რომ არ გაიშალოს. ქვედა ნაწილები გაშალონ და სამფეხად დადგან. გარშემო შემოაკრან რაიმე ნაჭერი, ზეწარი ან პლედი, რომელიც სარეცხის სამაგრებით შეიძლება მიამაგრონ. ახლა კი შეძვერით კარავში.

კულინარია:



- გამოაცხვეთ პიკოლინი პიცა. თითო ბავშს მიეცით თითო პატარა ცომის გუნდა. წაახალისეთ, გააბრტყელონ ძალიან თხლად. თითო ბავშვი გაბრტყელებულ ცომს უსვამს ერთ ჩაის კოვზ ტომატპასტას. ბავშვებს მიეცით 2 ნაჭერი ძეხვი ან 2 ნაჭერი ლორი ან 1 სოსისი. დაჭრან პატარა ნაჭრებად და დაალაგონ ცომზე. მიეცით ბავშვებს თითო ნაჭერი ყველი და წაახალისეთ, რომ წვრილად დაფხვნან. შესაძლოა, ყველი გახეხონ კიდეც. შედეთ პიცა ღუმელში და გამოაცხვეთ.

საღამოს წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ ნივთები, რომლებიც მოგზაურობისას შეიძლება დასჭირდეთ.
- რა არ უნდა დაგვავიწყდეს, როდესაც სამოგზაუროდ მივდივართ?
- რომელი აქტივობა მოგეწონათ ყველაზე მეტად?

3. ლაშქრობა

დილის წრე:

დაურიგეთ ილუსტრაციები, სურათები ან ფოტოები, რომლებზეც კარავი, საძილე ტომარა, ზურგჩანთა და ლაშქრობისთვის საჭირო სხვა ნივთებია გამოსახული. მიეცით დრო დააკვირდნენ ამ სურათებს და წაახალისეთ, ისაუბრონ მათზე. ჩაერთეთ საუბარში და უთხარით, რომ ზოგჯერ ადამიანები ფეხით მოგზაურობენ, ზურგზე კი დიდი ჩანთა აქვთ მოკიდებული. ამ ჩანთში პატარა „სახლი“ უდევთ. რომელი ადგილიც მოეწონებათ, იქ ჩერდებიან, ამოაქვთ ჩანთიდან „დასაკეცი სახლი“, აწყობენ და ცოტა ხნით ამ „პატარა სახლში“ ცხოვრობენ. ჰკითხეთ, რა ჰქვია ამ „პატარა სახლს“? (კარავი). წაახალისეთ, მოყვნენ თვითონაც ხომ არ ყოფილან ლაშქრობაში და როგორ ცხოვრობდნენ ბანაკში. როგორ აკეთებდნენ საჭმელს და როგორ ეძინათ.

ხელოვნება:

- გააფერადეთ (დანართი 3.6.6.).
- გააფერადეთ პირველადი დახმარების ჩანთა (დანართი 3.6.7.).
- გააფერადეთ ფანარი (დანართი 3.6.8.).
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ლაშქრობის სცენები. სად წავიდოდნენ ლაშქრობაზე და რას ნახავდნენ?

მოძრაობა-ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები ბაგა-ბაღთან ახლოს მდებარე პარკში ან მთაზე. დაარქვით თქვენს გასეირნებას ლაშქრობა. კარგი იქნება, თუ მინდორზე წაიხემსებთ.
- ითამაშეთ თამაში ფოტოგრაფობანა. წაახალისეთ ბავშვები, დაწყვილდნენ. ერთი ბავშვი არის ფოტოგრაფი, მეორე კი ფოტოაპარატი. ფოტოაპარატს აქვს თვალები დახუჭული და ფოტოგრაფს დაჰყავს აქეთ-იქით. როდესაც ფოტოგრაფი ფოტოაპარატს მხრებზე ხელს დაადებს, ფოტოაპარატმა თვალები უნდა გაახილოს და დაიხსომოს ის კადრი, რასაც თვალს მოკრავს. მაქსიმუმ 5 კადრის შემდეგ ბავშვებმა გაცვალონ როლები. შემდეგ ორივე ბავშვმა უნდა დახატოს ნანახი და დამახსოვრებული კადრები. აჩვენეთ ჯგუფის წევრებს ნახატი და მოუყევით ნანახის შესახებ.
- იატაკზე, შესაბამის ადგილას, დააფინეთ დიდად დაწერილი მხარეები: ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. სთხოვეთ ბავშვებს, ერთი მიმართულებიდან მეორეზე სხვადასხვა მოძრაობით გადაადგილდნენ, მაგ. გადაინაცვლეთ სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ასკინკილათი ან აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ფეხის წვერებით.

დრამატული



- მოიმარაგეთ ლაშქრობისთვის საჭირო ნივთები: კარავი, ზურგჩანთა, ფანარი, ჭოგრიტი, ჭიქა, თეფში, საძილე ტომარა, ქურთუკი და ა.შ. მიეცით ბავშვებს თავისუფლება, სურვილისამებრ ითამაშონ ამ ნივთებით.
- გაითამაშეთ ლაშქრობის სცენები. ლაშქრობის დროს ფუნქციებიც ნაწილდება, ზოგი შეშას აგროვებს კოცონის დასანთებად, ზოგი საჭმელს ამზადებს, ზოგი კარავს შლის და ა.შ.

სამაგიდო



- კოცონის დანთება დამოკიდებულია შეშის დალაგებაზე. მიეცით ბავშვებს ასანთის ღერები ან კბილის ჩხირები და წაახალისეთ დააწყონ შეშა, თითქოს კოცონის დანთება სურდეთ. გააფერადებინეთ კოცონის ნიმუში (დანართი 3.6.9.).

სენსორული

- თიხისგან გამოძერწეთ ციფრები. თვალახვეულებმა ხელის მოსმით გამოიცანით რა ციფრს ეხებით.

წიგნიერება:

- ისაუბრეთ შეშაზე, ფიჩხზე, კოცონზე, ნაკვერჩხალზე, ნახშირსა და სხვა თემებზე.

კონსტრუქციული:



- სკამებითა და მაგიდებით მოაწყვეთ გამოქვაბული. შეგიძლიათ გამოიყენოთ პლედები და ბალიშები, რომ გამოქვაბულში სიმყუდროვე იყოს.

მეცნიერება

- აჩვენეთ ბავშვებს კომპასი და აუხსენით, რომ ამ საგნით ადამიანები სივრცეში ორიენტირებენ. აუხსენით და აჩვენეთ ბავშვებს რუკაზე ოთხი ძირითადი მიმართულება: ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. აჩვენეთ ეს სიმბოლოები კომპასზე, უთხარით, რომ ეს მიმართულებები ერთი ასოთი აღინიშნება. უთხარით, რომ კომპასი მაგნიტის საშუალებით მოძრაობს. მიეცით ბავშვებს კომპასთან ერთად მაგნიტი, დააკვირდნენ, როგორ მოძრაობს ისარი მაგნიტის მოძრაობის შესაბამისად.

კულინარია-სენსორული:



- დაურიგეთ ბავშვებს სათლელები, წაახალისეთ, გათალონ კიტრები, ვაშლები. შეგიძლიათ მოხარშოთ კვერცხი და მისცეთ ბავშვებს გასაფრცქვნელად. გამზადებული პროდუქტი წაიღეთ ლაშქრობაზე.

საღამოს წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ ლაშქრობაზე.
- რა გაიგეს ახალი?
- რა მოეწონათ?
- რითი დაინტერესდნენ?
- გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ფეხით მოგზაურობასთან დაკავშირებით.

4. მოგზაურობა ტრანსპორტით

დილის წრე:



- დაკიდეთ სხვადასხვა ტრანსპორტის სურათები, რომლითაც შეიძლება მოგზაურობა: ველოსიპედი, მოტოციკლეტი, მანქანა, საცხოვრებელი მიკროავტობუსი, ავტობუსი, მატარებელი, მინიავტობუსი, საჰაერო ბუშტი, თვითმფრინავი, გემი, ნავი და ა.შ.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან თავიანთი აზრები ილუსტრაციებთან დაკავშირებით.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რა საშუალებებით შეგვიძლია ვიმოგზაუროთ?
- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ ტრანსპორტის ნაირსახეობები.
- მიაწოდეთ მოკლე ინფორმაცია თითოეული ტრანსპორტის შესახებ.
- ჰკითხეთ, თუ უმოგზაურიათ რომელიმე ჩამოთვლილი ტრანსპორტით, სთხოვეთ, გაგიზიარონ თავიანთი გამოცდილება.
- რომელია ყველაზე პატარა სატრანსპორტო საშუალება? რამდენი ადამიანი გადაადგილდება ამ ტრანსპორტით?
- რომელია ყველაზე დიდი სატრანსპორტო საშუალება და რამდენი ადამიანი გადაადგილდება მისი საშუალებით?
- უამბეთ იმ ტრანსპორტზე, რომლითაც ძველად მოგზაურობდნენ.
- ჰკითხეთ, ვის რომელ ქვეყანაში სურს მოგზაურობა?
- რა ტრანსპორტით სურთ მოგზაურობა?
- რას მოინახულებდნენ ან გააკეთებდნენ იმ ქვეყანაში ან ადგილას, სადაც მოგზაურობა სურთ?
- ტრანსპორტისთვის ბილეთებია საჭირო. ჰკითხეთ რა არის ბილეთი?
- ისაუბრეთ მძღოლის, მეზღვაურის, კაპიტნის, პილოტის, შტურმანის და სხვა მნიშვნელობებზე.

ხელოვნება:



- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ის ტრანსპორტი, რომლითაც მოგზაურობა სურთ.
- დახატონ ის სატრანსპორტო საშუალებები, რომელიც სურთ, რომ ჰქონდეთ როცა გაიზრდებიან.

მუსიკა:

- „ქინდერ სიურპრიზის“ პლასტმასის კვერცხში, ასანთის ცარიელ ყუთში, იოგურტის ცარიელ ქილაში, რომელსაც შემდეგ თავსახურს დააწებებთ, ჩაყარეთ წიწიბურა, ბრინჯი, კენჭები, ხორბალი ან რაიმე სხვა და ამ ინსტრუმენტის შრიალით დაუკარით (აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე ან მუსიკის მასწავლებელი) ცნობილი სიმღერის მელოდია ისე, რომ არ წაიმღეროთ. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ რომელ სიმღერას უკრავთ. გამოცნობის შემთხვევაში ყველამ ერთად, გუნდურად იმღერეთ ეს სიმღერა.

მოძრაობა:



- მოგზაურის აღმოჩენა (დამალობანას მსგავსია). ეს თამაში შეგიძლიათ ეზოში ან პარკში ითამაშოთ. ერთ-ერთი ბავშვი უნდა გამოაწყოთ მოგზაურად, რომელიც უნდა დაემალოს მის მადევრებს. დანარჩენმა ბავშვებმა 30 წამში უნდა იპოვონ მოგზაური. თუ ამ დროში ვერ იპოვეს, მაშინ მოგზაური კიდევ ერთხელ იმალება. მოგზაურის აღმომჩენელი არის შემდეგი მოგზაური და მისი დამალვის ჯერი დგება.

დრამატული



- ითამაშეთ ტრანსპორტობანა. წაახალისეთ ბავშვები, მოუხმონ ფანტაზიას და დამოუკიდებლად ითამაშონ ტრანსპორტობანა. ზოგი იყოს სხვადასხვა ტრანსპორტის მძღოლი, შტურმანი და ა.შ. წაახალისეთ, ითამაშონ ეს თამაში მოძრაობის თანხლებით. ზოგიერთი იყოს მგზავრი, თავისი სამგზავრო ჩანთებითა და აუცილებელი ნივთებით.

სენსორული

- ჩაყარეთ ტომარაში სხვადასხვა სატრანსპორტო სათამაშოები. მოუკარით ტომარას თავი და მოკიდეთ გარედან ხელი. აბა, თუ გამოიცნობთ რა გიჭირავთ ხელში?

სამაგიდო

- ითამაშეთ სხვადასხვა მანქანით, მატარებლით, გააკეთეთ ქაღალდისგან გემი და იმოგზაურეთ მსოფლიოს გარშემო.
- დახატეთ სათამაშო ბილეთები და ფული.
- დაურიგეთ ბავშვებს სამუშაო ფურცელი „ნაყინები“ და წყვილი კამათელი. გააგორონ წყვილი კამათელი, დაითვალონ წერტილები ორივე მათგანზე და შესაბამისი რიცხვის ნაყინი გააფერადონ (დანართი 3.6.10.).

მეცნიერება – წიგნიერება:

- ესაუბრეთ ბავშვებს ტრანსპორტის იმ მნიშვნელოვან ნაწილებზე, რაც მათ ამოძრავებს. რა არის საჭირო იმისათვის, რომ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალება დაიქოქოს და დაიძრას?
- გაეცანით წიგნებს, სადაც სატრანსპორტო მექანიზმზეა მოთხრობილი.
- შეგიძლიათ დაშალოთ მაგ: სათამაშო მანქანა და აჩვენოთ ბავშვებს, რა ნაწილებისგან შედგება.
- გამოიგონეთ მატარებელი. ამისათვის დაგჭირდებათ მაგნიტური ბურთები. წინ დიდი მაგნიტი დადეთ, ბავშვებმა მიამაგრონ ბურთები ვაგონებივით.

მიეცით ბავშვებს ექსპერიმენტის საშუალება. დაურიგეთ სხვადასხვა რკინის და მაგნიტის ნივთები (სკრეპები, ქაღალდის რკინის სარჭები, სხვადასხვა ფორმის მაგნიტები, რკინის ბურთი, რკინის მანქანა და ა.შ.) და სთხოვეთ, პატარა საგნები ერთმანეთს ვაგონებივით ჩააბან. ამისთვის მათ უნდა მოიფიქრონ, რა თანმიმდევრობით განალაგონ მაგნიტი და რკინა.

კონსტრუქციული



- ააგეთ კუბურებით სხვადასხვა სახის ტრანსპორტი.

კულინარია:



- გაამზადეთ საგზალი (ბუტერბროდები, დაჭერით ხილი, ბოსტნეული). არ დაგავიწყდეთ სასმელი.
- პროდუქტი დაჭერით პატარ-პატარა ლუკმებად. ერთ-ერთ ბავშვს აუხვიეთ თვალები, ჩაუდეთ მას ლუკმა და წაახალისეთ, გამოიცნოს რას მიირთმევს. შეგიძლიათ წყალი, მინერალური წყალი, წვენი, ლიმონათი, ჩაი და სხვა სითხეებიც დაალევინოთ. დანარჩენმა ბავშვებმა უნდა დააბნიონ გამომცნობელი: რა გემრიელია! – დაიძახონ ისეთ საკვებზე, რაც მათ არ უყვართ ან პირიქით თქვან: უგემურია, ისეთ საკვებზე რაც ძალიან გემრიელია.

საღამოს წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ, რა გაიგეს სატრანსპორტო საშუალებების შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ?
- რომელ აქტივობას გაიმეორებდნენ?

5. თავგადასავალი

დილის წრე:

- გააკარით თავგადასავლის ამსახველი ილუსტრაციები.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან თავიანთი აზრები თავგადასავლის შესახებ. რა არის თავგადასავალი?
- ვის თავგადასავლებზე სმენიათ ზღაპრებში?
- წაახალისეთ, მოყვნენ გაგონილი თავგადასავლების შესახებ.
- ჰკითხეთ, თუ სმენიათ უკაცრიელ კუნძულზე?
- რა არის უკაცრიელი კუნძული?
- რა არის განძი?
- ვინ არის მეკობრე?

მოძრაობა:



- საიდუმლო კუნძულის რუკის მიხედვით ითამაშეთ მეკობრეობანა და შეეცადეთ, აღმოაჩინოთ საიდუმლო კუნძულზე დამალული განძი. ეს აქტივობა უმჯობესია ეზოში შეასრულოთ.
- ბავშვების ნაწილი იყოს საიდუმლო კუნძულის ბინადარი. აუხვიეთ მათ თვალები და წაახალისეთ, ძალიან ნელა იმოძრაონ წრეში. დანარჩენი ბავშვები კი მეკობრეები იქნებიან. მათ კუნძულის ბინადრებს ტანსაცმელზე შეუმჩნევლად უნდა მიამაგრონ სარეცხის სამაგრები ისე, რომ კუნძულის ბინადრებმა ვერ გამოიჭირონ. თამაში მთავრდება, როდესაც ყველა სარეცხის სამაგრი ტანსაცმელს არის მიმაგრებული.

ხელოვნება:

- გააკეთეთ სანაპიროს განძი. მუყაოს თხელი ყუთი გაავსეთ დაჭმუჭნული ქაღალდით, დაახურეთ ყუთს თავსახური და გვერდები დააწებეთ. ყუთს დააკარით ცისფერი, ლურჯი ან მწვანე ქაღალდი, არ დაგავიწყდეთ გვერდები. ყუთზე გაანაწილეთ ლამაზი ქვები და ნიჟარები. თითოეული საგნის გარშემო ფანქრით მონიშნეთ ოთხი წერტილი. საგნები გადმოალაგეთ და მონიშნულ წერტილებზე ჩაჭერით პატარა ჯვრები. (შესაძლოა, აღმზრდელმა ან აღმზრდელის თანაშემწემ ითავოს ჯვრების ჩაჭრა). ჩაარჭეთ ჭრილში ასანთის ღერი ისე, რომ ზედაპირზე მხოლოდ 1 სმ. დარჩეს. ახლა კი დააწყვეთ ნიჟარები და ქვები თავიანთ ადგილას. ასანთის ღერები მათ დაამაგრებს და დაიჭერს.
- დაამზადეთ წერილის დასაწერი ფურცელი სპეციალურად მეკობრეებისთვის. მიეცით ბავშვებს სახაზავები და წაახალისეთ, დახაზონ ფურცელი სქელ ზოლებად. ფურცელი გააფორმონ ნახატებით მაგ: განძის სკივრი, გემი, მეკობრის ხმალი და ა.შ.



- მოათავსეთ წერილი ბოთლში.
- დაამზადეთ ერთი დიდი ფორმატის საიდუმლო კუნძულის რუკა. წაახალისეთ ყველა ბავშვი, მიიღოს მონაწილეობა რუკის შექმნაში. შეგიძლიათ, აპლიკაციაც გააკეთოთ. არ დაგავიწყდეთ, რუკაზე განძის სამალავის მონიშვნა.
- მუყაოს ყუთისგან გააკეთეთ განძის სკივრი. მუყაოს ყუთს გადააკარით ქაღალდი. ბავშვებმა დახატონ სკივრისთვის სხვადასხვა განძი და ამოჭრან. განძი სკივრის მოსართავად და შესავსებად დაგჭირდებათ. სკივრის მოსართავად ფაფუკი ღეროები, ნიჟარები, მძივები და სხვადასხვა ფორმის მაკარონები შეგიძლიათ გამოიყენოთ. სკივრში არ დაგავიწყდეთ განძის: მონეტების, სამკაულების და ძვირფასი ნივთების ჩალაგება.
- შავი ნაჭრისგან გამოჭერით თვალზე ასაკრავი წრე და გაუყარეთ რეზინი.

დრამატული:



- ნახეთ მულტიპლიკაციური ფილმი „პიტერ პენის თავგადასავალი“.
- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ საიდუმლო კუნძულობანა. მიეცით თავსაფრები, თვალის ასაკრავები.

სამაგიდო:



- გააფერადეთ, გამოჭერით და გააკეთეთ საათი (დანართი 3.6.11.).
- გააკეთეთ ქუდები: გააფერადეთ, გამოჭერით და გაუყარეთ რეზინი (დანართი 3.6.12.).

სენსორული:

- კაკლის ნაჭუჭის ნახევრისგან დაამზადეთ გემები. კაკალი ისე გატეხეთ, რომ ნაჭუჭი არ ჩაიმსხვრეს. შეგიძლიათ, ნაჭუჭში ჩააწვეთოთ პარაფინი, დამდნარი სანთელი. ჩაარჭვეთ ჩხირი და ჩამოაცვით ფოთოლი ან სხვადასხვა ფერის გამოჭრილი იალქნები. ასეთი გემები წაბლისგანაც შეგიძლიათ დაამზადოთ. წაბლი გაჭერით შუაზე და იალქანი სურვილისამებრ გაუკეთეთ.
- დაუდგით ჯამით ბავშვებს წაბლი ან კაკალი. წაახალისეთ, ხელები ჩაყონ და ითამაშონ.

წიგნიერება:

- კარლო კოლოდის წიგნი „პინოქიოს თავგადასავალი“ (საქართველოს მაცნე).
- მოთხრობა „ყინულის დედოფალი“ (ანდერსენი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2011 წ.).
- „პიტერ პენის თავგადასავალი“ (ჯეიმს მეთიუ ბარი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

მეცნიერება:

- უხილავი მელანი. გაჭერით ლიმონი და გაწურეთ. ლიმონის წვენში ჩააწეთ ფუნჯი და დაწერეთ ან დახატეთ საიდუმლო ინფორმაცია. ახლა კი დააკვირდით: რა მოხდება? ნაწერი აღარ გამოჩნდება. ნაწერის წასაკითხად დაიჭირეთ ფურცელი ანთებული ნათურის ან სანთლის შუქზე და ნაწერი მკრთალ ყავისფრად გამოჩნდება. ასევე შეგიძლიათ ფურცელი გააუთაოთ და ნაწერი ყავისფერს მიიღებს.

კონსტრუქციული:



- კუბურებით ააწყვეთ გემი.

კულინარია:



- პატარა კატლეტი ან პურის ნაჭერი ვითომ გემია. ჩაარჭვეთ ჩხირი და ჩამოაცვით იალქანივით ყველის თხელი ნაჭერი ან ლორის თხელი ნაჭერი. სიმინდის მარცვლებისგან ააწყვეთ მზე. კიტრი და პომიდორი დაჭერით მრგვალ ნაჭრებად და დაალაგეთ თეფშზე.



საღამოს წრე:

- შეაჯამეთ მოგზაურობის და თავგადასავლების თემა.
- რა გაიგეს მოგზაურობის და თავგადასავლების შესახებ?
- რა იყო ყველაზე უფრო საინტერესო?
- რომელი აქტივობა, თამაში მოეწონათ ყველაზე მეტად?
- რა გავიმეოროთ?

ტოლერანტობა

1. ყველანი განსაკუთრებულები ვართ
2. თანასწორება
3. განსხვავებები საქართველოში
4. მსოფლიოს გარშემო

1. ყველანი განსაკუთრებულები ვართ

დილის წრე



- ჰკითხეთ ბავშვებს, რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს? რითი განსხვავდებიან?
- მოიფიქრეთ კითხვები, რომლებსაც ერთმანეთს დაუსვამენ, რომ მეტი გაიგონ ერთმანეთის შესახებ.
  * როგორ მიმართავ დედას, მამას, ბებიას, პაპას?

  როდის რთავთ ნაძვის ხეს?
  * გაქვს თუ არა სოფელი?
  * სად ისვენებ ზაფხულობით?
  * ბებია და პაპა შენთან ერთად ცხოვრობენ?
- სთხოვეთ ბავშვებს, უპასუხონ ამ კითხვებს და გააკეთეთ თითოეული კითხვის ცხრილი.
- წინასწარ მოიმარაგეთ ქვემოთ ჩამოთვლილი პერსონაჟების შესაბამისი სათამაშოები ან შექმენით მარიონეტები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დელფინი ქეთა და ზვიგენი ლაშა ცხოველების სკოლაში სწავლობენ. დასხით თოჯინები მაგიდაზე. მათ უნდათ, რომ ახალი მეგობრები გაგაცნონ. სათითაოდ ჩამოსვით მაგიდაზე და წარადგინეთ თოჯინები:
  * ბაყაყი კატი, რომელსაც მხოლოდ ერთი თვალი აქვს, მაგრამ კარგად ხედავს მეორე თვალიდან, შეუძლია მაღლა და კარგად ხტუნვა და ყოჩაღია ბუზების ჭერაში.
  * ჟირაფი ლევანი, რომელსაც სხვა ჟირაფებთან შედარებით უფრო მოკლე კისერი აქვს, სამაგიეროდ, სწრაფად დარბის და შეუძლია დაბალი ტოტებიდან ფოთლების მოწყვეტა.
  * ვეფხვი რატი, რომელიც ზომით პატარაა და ძალიან წვრილი ხმა აქვს. ძალიან უჭირს ხმამაღლა ღრიალი, მაგრამ კარგად გამოსდის დამალვა და მცირე ზომის ნადირის დაჭერა.
  * ლომი ნიკა, რომელიც ყრუა და კარგად გამოსდის ღრიალი (ძალიან ხმამაღლა დაიღრიალეთ) და სიმღერა. ძალიან კეთილი და მზრუნველია მეგობრების მიმართ.
  * კურდღელი ნატა, რომელიც ბევრს არ ლაპარაკობს და როდესაც ლაპარაკობს, ძალიან რთულია მისი ნათქვამის გაგება. ის ძალიან სწრაფად დახტის, ადვილად პოულობს ყველაზე ლამაზ ყვავილებს და შეუძლია ცხვირის ამოძრავება.
  * ისინი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან.
  * ზვიგენი ლაშა ამბობს, რომ მას არ შეუძლია იმეგობროს ამ ცხოველებთან, რადგან ისინი ძალიან განსხვავებულები არიან.
  * მაგრამ, მოდით, სათითაოდ გავიხსენოთ სათამაშო ცხოველები და ბავშვებთან ერთად მოიფიქრეთ, რისი გაკეთება შეუძლია ლაშას მათთან ერთად. მალე ლაშა აღმოაჩენს, რომ მათგან შეუძლია ისწავლოს ხტუნვა, ღრიალი, ცხვირის ამოძრავება ა.შ.

მოძრაობა



- ყველა განსხავებულია. ყველას აქვს თავისი ინტერესები და შიშები. ამ თამაშით გაიგებთ მეტს ერთმანეთის შესახებ. დაგჭირდებათ მსუბუქი გასაბერი ბურთი. წინასწარ გაბერეთ ბურთი და დაახატეთ პერმანენტული მარკერით კითხვებთან ასოცირებული სიმბოლოები (შეგიძლიათ გამოაკლოთ ან ჩაუმატოთ თქვენივე მოფიქრებული კითხვები):
  * ფანქრები – „რომელია შენი საყვარელი ფერი?“

* ტელევიზორი – „რომელია შენი საყვარელი სატელევიზიო გადაცემა ან ფილმი?“
* სხვადასხვანაირი ბურთები – „რომელი სპორტი მოგწონს ყველაზე მეტად?“
* დანა-ჩანგალი და თეფში – „რომელი საჭმელი გიყვარს ყველაზე მეტად?“
* ვაშლი – „რომელი ხილი გიყვარს ყველაზე მეტად?“
* ფურცელი და ფანქარი – „გიყვარს თუ არა ხატვა? თუ კი, რისი?“
* სათამაშო – „რისი თამაში გიყვარს ყველაზე მეტად?“
* ცხოველი – „რომელი ცხოველი გიყვარს ყველაზე მეტად?“

აუხსენით ბავშვებს, რომ თითოეულ სიმბოლოს კითხვა შეესაბამება. დადექით წრეზე და ერთმანეთს ბურთი გადაუგდეთ. როდესაც ბურთს დაიჭერენ, დახედონ, რომელიმე ხელის ქვეშ რა ნახატია და შესაბამის კითხვას უპასუხონ, შემდეგ გადაუგდონ ბურთი სხვას. თქვენც მიიღეთ მონაწილეობა თამაშში. ყურადღება მიაქციეთ, რომ ბურთი ყველას გადაუგდონ.

სამაგიდო



- დაუკავშირე ზღაპრის გმირები თავიანთ ჩრდილებს (დანართი 3.7.1.).

დრამატული



- ბავშვებს სთხოვეთ, გაითამაშონ ჟურნალისტობანა, ჩამოართვან ერთმანეთს ინტერვიუ. მოიმარაგეთ ბლოკნოტები და კალმები, დიქტოფონი და სხვა შესაბამისი საგნები.

წიგნიერება

- მიეცით ბავშვებს საშინაო დავალება – მშობლებს თავიანთი ბავშვობის რაიმე მხიარული ან მნიშვნელოვანი ამბავი მოაყოლინონ, შემდეგ კი ეს ამბავი დახატონ. როდესაც დავალებას მოიტანენ, სთხოვეთ, აჩვენონ ნახატი მეგობრებს და მასზე აღბეჭდილი ამბავი მოყვნენ.
- წაუკითხეთ ბავშვებს „მსგავსებები და განსხვავებები“ (წიგნიდან „ათი განსაკუთრებული გაკვეთილი“).
- აუხსენით ბავშვებს, რომ ყველა ადამიანი განსაკუთრებულია, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. ყველანი ერთნაირები რომ ვყოფილიყავით, სამყარო ძალიან მოსაწყენი ადგილი იქნებოდა. ჰკითხეთ ბავშვებს, რისი კეთება გამოსდით კარგად და რაში სჭირდებათ დახმარება?
- თუ ჯგუფში გყავთ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი, წაიკითხეთ და გააკეთეთ წიგნში – ათი განსაკუთრებული გაკვეთილი – მოცემული შესაბამისი აქტივობები.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რითი იხალისეს დღის მანძილზე ყველაზე მეტად?
- რა გაიგეს, რატომ არის განსხვავებულობა საჭირო და აუცილებელი?

2. თანაცხოვრება

დილის წრე

- მოიმარაგეთ წინა დღის დილის წრეზე მოყოლილი მოთხრობის თოჯინები. გაიხსენეთ თითოეული თოჯინა და შემდეგ ბავშვებს უთხარით, რომ ზოგჯერ ყველას სჭირდება დახმარება, იმის მიხედვით, თუ რაში არიან ძლიერები და რა არის მათთვის რთული. თქვენი აზრით, რაში შეიძლიბა დასჭირდეს ლაშას დახმარება? ნატას? და ა.შ. ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი აზრი გამოითქვას. ხაზი გაუსვით ყველაზე მნიშვნელოვან აზრებს. მაგალითად, ნიკა – ლომი ყოველთვის ვერ ხვდება, რამდენად ხმამაღლა ღრიალებს, რადგან არ ესმის. შეგვიძლია ვანიშნოთ, რომ ძალიან ხმამაღლა ღრიალებს, მივახვედროთ და ხმას დაუწიოს. კურდღელ – ნატას ზოგჯერ სჭირდება რომ ვუთხრათ, რომ ვერ გავიგეთ მისი ნათქვამი. შეგვიძლია ზრდილობიანად ვთხოვოთ, გაიმეოროს და ვიყოთ მომთმენი. ნატას ვერ დავეხმარებით დაცინვით ან მისი იმიტირებით.

მას დახმარება სჭირდება, რომ გაიგოს, თუ როგორ უნდა გასაგებად და გამოთქმით ლაპარაკი. ასევე ჩამოთვალეთ, რაში არიან ძლიერები და რაში არ დასჭირდებათ დახმარება.

ხელოვნება



- ისაუბრეთ ბავშვებთან მათ სამეზობლოზე/უბანზე. როგორ სახლში ცხოვრობენ (კორპუსში, იტალიურ ეზოში, საკუთარ სახლში, ახალაშენებულში და ა.შ.)? როგორია მათ სახლთან უახლოესი მაღაზია? არის თუ არა ახლოს პარკი? არის თუ არა გამწვანებული?
- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ თავიანთი სახლი.
- მოიმარაგეთ ჟურნალები და მაკრატლები, ამოჭრან ისეთი რაღაცები, რაც სამეზობლოში ხვდებათ (მაგ. ხეები, ყვავილები, სუპერმარკეტი და სხვა). სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ ნახატებს, ყველა ერთნაირ გარემოში ცხოვრობს?

სამაგიდო



- იპოვე სამი განსხვავება (დანართი 3.7.2.).
- რამდენი ადამიანი ცხოვრობს სახლში? სწორ პასუხზე სარეცხის სარჭი მიამაგრეთ (დანართი 3.7.3.).

წიგნიერება

- დაურიგეთ ბავშვებს ორი სახატავი ფურცელი და ფანქრები. სთხოვეთ, ამოარჩიონ ერთი ფერის ფანქარი და მხოლოდ ამ ფერის გამოყენებით ხატონ პირველ ფურცელზე. მეორე ფურცელზე კი რამდენი ფერიც უნდათ, იმდენი გამოიყენონ. როდესაც დაასრულებენ, სთხოვეთ, შეხედონ ნახატებს და დაფიქრდნენ, რომელი უფრო მოსწონთ. უთხარით ბავშვებს, თუ რა მოსაწყენი იქნებოდა სამყარო, ყველანი ერთნაირები რომ ვყოფილიყავით – როგორც პირველი ნახატი, სადაც ყველაფერი ერთი ფერისაა. მრავალფეროვნება სამყაროში აურაცხელი რაოდენობის ფერის ფანქრების ყუთივით არის.
- წაუკითხეთ ბავშვებს ლექსი „ფანქრების ყუთში“ წიგნიერების დანართიდან.
- თითოეულ ბავშვს ამოუბეჭდეთ (დანართი 3.7.4.) მოცემული „ფანქარი“, სთხოვეთ, ჩახატოს თავისი თავი და გააფერადოს. გამოჭრას ფანქარი და ჩააწებოს სქელი ფურცლისგან წინასწარ მომზადებულ „ფანქრების ყუთში“.
- აქტივობის ბოლოს ჰკითხეთ ბავშვებს, რა იქნებოდა, მხოლოდ ერთი ფერი რომ გვქონდეს? ყველაფერი იასამნისფერი, მწვანე, ლურჯი ან ყვითელი რომ იყოს? რა იქნებოდა მხოლოდ ერთი ფერის დანახვა რომ შეგვეძლოს?

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის ფურცლისგან გამოჭრილი პატარა წრეები. წაახალისეთ ბავშვები, დაახატონ სახეები. ყელსაბამის დასამზადებლად გახვრიტეთ ისინი ორ ადგილას და სთხოვეთ ბავშვებს ძაფზე აგება.

საღამოს წრე

- რითაა კარგი მრავალფეროვნება?
- სამი ფერის არჩევის უფლება რომ ჰქონდეთ, რომელს აირჩევდნენ?

3. განსხვავებები საქართველოში

დილის წრე

- ჩამოკიდეთ საქართველოს რუკა (უმჯობესია, აარჩიოთ საბავშვო რუკა, რომელზეც კუთხეების მიხედვით მნიშვნელოვანი სიმბოლოებია აღნიშნული: საკვები, საქმიანობა, ჩაცმულობა).

ხელოვნება



- მოიმარაგეთ და დაათვალიერებინეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლების ნაციონალური ტანსაცმელი. აირჩიონ და სურვილის მიხედვით დახატონ.
- უთხარით, რომ საქართველოში ქართველების გარდა ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანლები, იეზიდები, ბერძნები, გერმანელები და სხვა. მათ თავიანთი მშობლიური ენები აქვთ და დღესასწაულებსაც სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ, თუმცა ყველა ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვუვლიდეთ და ვზრუნავდეთ ჩვენს ქვეყანაზე. თუ ჯგუფში ეთნიკურად არაქართველი ბავშვი გყავთ, სთხოვეთ მას მოიტანოს თავისი ნაციონალური ტანსაცმლის ფოტოები, ბავშვებთან ერთად დაათვალიერეთ, წინასწარ მოემზადეთ და უამბეთ ბავშვებს რაიმე მათი ტრადიციებიდან.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ან საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის სიმღერები და თუ შესაძლებელია, აჩვენეთ სხვადასხვა ცეკვები. სთხოვეთ, მიბაძონ.

სენსორული

- აჩვენეთ ბავშვებს თექისგან დამზადებული ნივთები. მოიმარაგეთ თექის სხვადასხვა ფერის ნაჭრები და სთხოვეთ ბავშვებს ფერის მიხედვით დახარისხება.

წიგნიერება

- თუ შესაძლებელია, მოიწვიეთ სტუმარი, რომელიც სხვა ქალაქში ან სოფელში ცხოვრობს. ბავშვებთან ერთად წინასწარ მოამზადეთ კითხვები იმის გასარკვევად, თუ რითი განსხვავდება მისი ქალაქი ან სოფელი თქვენი ქალაქისაგან და რა აქვთ საერთო. სთხოვეთ სტუმარს, რომ მოიტანოს თავისი დასახლების რუკა, სურათები და სხვა.
- უთხარით ბავშვებს, რომ მათაც უნდა გააცნონ სტუმარს თავიანთი დასახლება. ამიტომ წინასწარ მოემზადეთ. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ღირსშესანიშნაობები. სტუმარს დაათვალიერებინონ და მოუყვნენ მათ შესახებ.

კულინარია



- უთხარით, რომ საქართველოს ყველა კუთხეს თავისი ტრადიციული კერძი აქვს. თუ შესაძლებელია, სადილად და ვახშმად რაიმე ქართული კერძი შესთავაზეთ.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი საქართველოს შესახებ?
- რომელი აქტივობა მოგეწონათ დღეს?

4. მსოფლიოს გარშემო

დილის წრე

- მოიმარაგეთ სხვადასხვა კულტურის ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილი თოჯინები ან აჩვენეთ სურათები.
- აჩვენეთ გლობუსი, იმსჯელეთ, რომ ამოდენა განსხვავებულ დედამიწაზე ერთნაირი ხალხი ვერ იცხოვრებს.
- ჰქონიათ თუ არა ურთიერთობა უცხოელებთან, ასაუბრეთ თავიანთ გამოცდილებაზე.
- მოუყევით სხვადასხვა რასის შესახებ.

ხელოვნება



- დაამზადეთ პასპორტები. აჩვენეთ ბავშვებს ნამდვილი პასპორტი. თეთრი ფურცლისგან დაამზადებინეთ ბავშვებს პატარა წიგნაკი. პირველ გვერდზე ჩააწებონ საქართველოს გერბი. მეორე გვერდზე, სთხოვეთ ბავშვებს, პატარა კვადრატში თავიანთი თავი ჩახატონ. გვერდით მიუწერეთ მათი სახელი და გვარი. შემდეგ გვერდებზე კი ჩააწებეთ ან ჩახატეთ იმ ქვეყნების სიმბოლოები (დროშა, ღირსშესანიშნაობა, ტრადიციული საკვები, სიმბოლო და სხვა...) სადაც ისურვებდნენ მოგზაურობას. თუ ჯგუფში მყოფ რომელიმე ბავშვს აქვს სხვა ქვეყანაში ყოფნის გამოცდილება, სთხოვეთ მოყვეს ამის შესახებ.

მუსიკა და მოძრაობა

- აცეკვეთ ბავშვები ჯერ აფრიკულ ჰანგებზე, შემდეგ კი ინდურზე.

სამაგიდო



- უთხარით ბავშვებს, სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და სხვადასხვა დამწერლობას იყენებენ. აჩვენეთ ანბანები, ქართული, ლათინური, ჩინური და სხვა. წინასწარ გამოჭერით (დანართი 3.7.5.) მოცემული ანბანის ასოები, აურიეთ და ბავშვებს სთხოვეთ, სცადონ ამ ასოებიდან ქართული ასოების გამოყოფა.
- აუხსენით ბავშვებს, რომ ქვეყნების ადგილმდებარეობის გამო ზოგან უფრო ცხელა, ზოგან კი უფრო ცივა, არსებობს ქვეყნები, სადაც სულ ზამთარია (მაგ. გრელანდია) და ქვეყნები სადაც სულ ზაფხულია (მაგ. ბრაზილია). ამის გამო მათი ტრადიციული ტანსაცმელი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. აჩვენეთ სურათები. დაურიგეთ ბავშვებს გოგონას და ბიჭის სურათები (დანართი 3.7.6.) და წინასწარ გამოჭრილი სამოსი. სთხოვეთ, წებოს გამოყენებით „ჩააცვან“ შესაბამისი ტანსაცმელი და შემდეგ გააფერადონ.

სენსორული

- მოიმარაგეთ სხვადასხვა ქსოვილის ორ-ორი ეგზემპლარი (თხელი ნაჭრები, თექა, ბეწვის შემცვლელი და სხვა). სთხოვეთ ბავშვებს დაწყვილება.
- უთხარით ბავშვებს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანები სხვადასხვანაირად ჭამენ. ზოგიერთ ქვეყანაში ხელით ჭამენ (მხოლოდ სამი თითის გამოყენებით), ზოგან ჩანგლით, ზოგან კი ჯოხებით. აჩვენეთ სურათები, როგორ მიირთმევენ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები საკვებს. მოიმარაგეთ ერთი უმი ბრინჯით სავსე კონტეინერი და მეორე ცარიელი კონტეინერი, სთხოვეთ ბავშვებს, მხოლოდ სამი თითის გამოყენებით (ცერა, საჩვენებელი და შუათითი) გადაყარონ ბრინჯი ცარიელ ჯამში.

დრამატული



- მოაწყვეთ ტურისტული სააგენტო (მოიმარაგეთ ბილეთები, რუკები, ბროშურები, პოსტერები და სხვა) და სთხოვეთ ბავშვებს, შეიძინონ ბილეთები და ინფორმაცია მოიპოვონ იმ ქვეყნის შესახებ, საითაც აპირებენ გამგზავრებას.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ფრინველთა მეფე“. აუხსენით, რომ ძველ საბერძნეთში სამყაროს შემქმნელად მეხთამტყორცნელი ღმერთი, ზევსი მიაჩნდათ. ისაუბრეთ ჭკას საქციელზე. მიეხმარეთ, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანი არა მხოლოდ სხვების მიმართ, საკუთარი თავის მიმართაც უნდა იყოს შემგუებელი. მიიღოს საკუთარი თავი ისეთი, როგორიც არის.

კონსტრუქციული



- დაათვალიერებინეთ ბავშვებს ენციკლოპედია სხვადასხვა ქვეყნის კოშკებით და ციხესიმაგრეებით. აირჩიონ და ააშენონ რომელიმე (მაგ. ეიფელის კოშკი, ჩინეთის კედელი).

კულინარია



- ჰკითხეთ, თუ გაუსინჯავთ ჩინური, იტალიური, თურქული და ა.შ. კერძები. თუ შესაძლებელია, კვების დროს შესთავაზეთ სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი სამზარეულო. ისაუბრეთ საკვების მნიშვნელობაზე სხვადასხვა კულტურებში. შეადარეთ ქართულ ტრადიციულ საკვებთან და ისაუბრეთ განსხვავებებზე.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს დღეს ახალი და რა მოეწონათ ყველაზე მეტად?

ემოციები

1. სიხარული
2. წყენა. მოწყენა
3. გაბრაზება. ბრაზის მართვა
4. შიში. როგორ დავძლიოთ შიში
5. ემოციების ამოცნობა

დილის წრე **(საერთო, შეუსაბამეთ დღის ემოციას)**



- ჩვენ გვაქვს ემოციები – ხან ვბრაზობთ, ხან გვიხარია, ხან გვწყინს. ეს ჩვეულებრივია, ყველა განვიცდით წყენას, ბრაზს, სიხარულს.
- აუხსენით ბავშვებს, რომ საკუთარი უარყოფითი ემოციების (უკმაყოფილების) გამოხატვა სხვადასხვანაირად შეიძლება. ასწავლეთ ბავშვს სიტყვებით გადმოსცეს ემოციები (მაგ. მე მეწყინა, გამიხარდა, გავოცდი და ა.შ).

- წინასწარ მოიმარაგეთ ფურცლები, რომლებზეც გახარებული, მოწყენილი, გაბრაზებული და შეშინებული სახე იქნება გამოსახული (დანართი 2.8.1.).
- ჰკითხეთ ბავშვებს, რა არის სიხარული, მოწყენა, გაბრაზება, შიში.
- რა ფერები ასოცირდება სიხარულთან, მოწყენასთან, გაბრაზებასთან, შიშთან მაგ. „რა ფერია ბედნიერება,..“
- ჰკითხეთ სათითაოდ, თავს როგორ გრძნობენ იმ დღეს?
- მათი აზრით, სიხარულს, მოწყენას, გაბრაზებას, შიშს: როგორი სუნი აქვს? როგორი გემო აქვს? როგორი ხმა აქვს? შეხებით როგორია? რას ჰგავს?
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა ემოციები, კერძოდ კი, სიხარული, მოწყენა, გაბრაზება ან შიშია.

საერთო აქტივობები (მიუსადაგეთ დღის ემოციას)

- ყოველ დილით ბავშვებს შეუძლიათ, აირჩიონ მისი ემოციური მდგომარეობის გამომხატველი სურათი/სახე და მიამაგრონ თავისი სახელის გვერდით. ბავშვები უნდა წახალისდნენ, რომ დღის განმავლობაში ეს სურათები ემოციების შესაბამისად შეცვალონ.
- ემოციების ჟურნალი. ყოველდღიურად დაურიგეთ ბავშვებს ფურცელი,რომელზეც იქნება შემდეგი წინადადება: დღეს მე თავს ვგრძნობდი----------როდესაც ----------. წინადადება უნდა შეავსონ შემდეგი სახით:

- დახატეთ დაფაზე ჯერ სწორი, შემდეგ კი მომრგვალებული ტალღისებრი და ტეხილი ხაზები. ჰკითხეთ ბავშვებს, რას აგონებთ ეს ხაზი? როგორი ხასიათი აქვს? რომელი ხაზია მშვიდი, რომელი აღელვებული და რომელი გაბრაზებული. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ აბსტრაქტული ნახატი სწორი, ტალღოვანი ან ტეხილი ხაზებით და დაარქვან მათ სახელები.

ხელოვნება



- ემოციების წიგნი. სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ როდის არიან გახარებულები, როდის მოწყენილები, რისი ეშინიათ და რა აბრაზებთ? ააკინძინეთ თავიანთი ნახატები და სთხოვეთ, დაასათაურონ, გააფორმონ ყდა საკუთარი პორტრეტით ან სურათით.
- პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით დაამზადეთ ნიღბის ფორმები. გაშრობის შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, დაუხატონ ნიღბებს სხვადასხვა ემოციის მიმიკები. გააფერადონ გუაშით, ამოჭრან თვალები და დაუმაგრონ რეზინის თასმა სტეპლერის მეშვეობით.

- დამზადებული ნიღბებით შეგიძლიათ გამართოთ წარმოდგენები.

- ყვავილების გასაფერადებელი. ბავშვებს გააფერადებინეთ საკუთარი არჩევანის მიხედვით – ცივ ან თბილ ფერებში. გამოფინეთ ნახატები და იმსჯელეთ, რა ემოციებს იწვევს განსხვავებული ფერების კომპოზიციები მათში (დანართი 2.8.2.).
- ბავშვებს დაურიგეთ ფურცლები და სთხოვეთ, დახატონ სხვადასხვა სახეები, რომელთაც განსხვავებული გამომეტყველება ექნებათ.
- გამოიყენეთ ქაღალდის თეფშები და მათზე დააწებეთ სხვადასხვა ემოციის გამომხატველი სახეები, დაუმატეთ სხვადასხვა დეტალი (თმა), რომ თოჯინა გამოვიდეს.
- დახატე, რაც (შეუსაბამეთ დღის ემოციას) გახარებს.
- გახარებული (შეუსაბამეთ დღის ემოციას) სახეების კოლაჟი: ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭერით ადამიანები, რომელთაც ბედნიერი (ან სხვა ემოციის) გამომეტყველება აქვთ. ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ ფიქრობენ, რატომ არიან ეს ადმიანები ასეთ გუნებაზე? რის გამო შეიძლება იგრძნოს ადამიანმა თავი ასე?

მუსიკა

- ბავშვებს სხვადასხვა ჟანრის მუსიკა მოასმენინეთ. ჰკითხეთ თითოეულს, რომელმა მუსიკამ როგორ ხასიათზე დააყენა. გაითვალისწინეთ, რომ ყველა ბავშვს ერთნაირი ემოცია არ ექნება, ბავშვებს უნდა აუხსნათ, რომ ეს ასეც უნდა იყოს.

მეცნიერება

- სარკეში დაანახეთ ბავშვებს საკუთარი გამოსახულება, როგორ გამოიყურებიან ისინი, როდესაც გახარებულები (შეუსაბამე დღის ემოციას) არიან.

1. სიხარული

ხელოვნება



- ასფალტზე ცარცით დახატეთ მხიარული სახეები.
- დანართის მიხედვით გამოაჭერევინეთ და დაამზადებინეთ ბავშვებს ჩარჩოები. გააფორმეთ ჩარჩოები ბავშვების მიერ წინასწარ დახატული და გამოჭრილი მიმიკებით, სასაცილო და მოწყენილი კაცუნების აპლიკაციებით (დანართი 2.8.3.).

მუსიკა და მოძრაობა

- ნიღბები ხალისიანი გამომეტყველებით: გამოიყენეთ ქაღალდის მრგვალი თეფშები, დაახატინეთ ხალისიანი სახე, ამოაჭრევინეთ თვალები, ქვედა ნაწილზე დააწებებინეთ ნაყინის ჯოხი ხელის მოსაკიდებლად, ნიღაბიც მზადაა. ბავშვებს შეუძლიათ ჩაატარონ მხიარული ნიღბების ,,აღლუმი“ ოთახის გარშემო.
- ჩაურთეთ ბავშვებს მხიარული მუსიკის ჩანაწერი, სთხოვეთ, მოუსმინონ მუსიკას და იცეკვონ თავისუფლად. გააკეთონ ის მოძრაობები, რომელიც მოსწონთ.
- როგორ იქცევა გახარებული ადამიანი? გააკეთონ იმიტაცია.

სამაგიდო



- დაითვალეთ გაღიმებული სახეები (დანართი 2.8.4.).

დრამატული

- მოიმარაგეთ მასხარების ფორმები, მისაწებებელი ცხვირები და გრიმი, დაეხმარეთ ბავშვებს, რიგრიგობით ჩაატარონ სასაცილო წარმოდგენა, ილაპარაკონ სასაცილო ხმით, იხუმრონ და გააცინონ პუბლიკა.

კონსტრუქციული



- შეიტანეთ კუბურების ცენტრში ფერად-ფერადი და ბრჭყვიალა ნაჭრები, სთხოვეთ ბავშვებს, გამოიყენონ ისინი მხიარულების ქალაქის ასაშენებლად.

კულინარია



- *ნამცხვრები.* მიეცით ბავშვებს ფხვიერი ცომი და სთხოვეთ, მისცენ ოვალური ფორმა. თითით დაახატონ ღიმილები და გამოაცხვეთ.
- დაურიგეთ ბავშვებს ვაშლი ან კიტრი და სთხოვეთ, სცადონ უკბიჩონ და მიამსგავსონ ღიმილს.

წიგნიერება

- ბავშვებმა მოიტანონ რაიმე, რაც მათ ხალისიან გუნებაზე აყენებს, სთხოვეთ აგიხსნან და გაუზიარონ თავიანთ თანატოლებს, თუ რატომაა ესა თუ ის ნივთი მათთვის ბედნიერების მიმნიჭებელი?
- „გამახარეთ ყველამ“: ბავშვები დასვით წრეზე და ჰკითხეთ: ვის უნდა, რომ გავახაროთ? მსურველი ბავშვი იძახის: მე მინდა, რომ გამახაროთ, ყველა უკრავს ტაშს, შემდეგ სხვა მსურველი და ა.შ.
- წაუკითხეთ ნაწყვეტი წიგნიდან: „დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა.“ ალაპარაკეთ ბავშვები, რითი არიან პერსონაჟები ბედნიერი და გახარებული (წიგნიერების დანართი, 4-5-წლიანები; ემოციები).

საღამოს წრე

- რა გაიგეს ემოციების შესახებ?
- ამ წუთას რა სახელს დაარქმევდნენ თავიანთ ემოციურ მდგომარეობას?

2. წყენა-მოწყენა

დილის წრე



- როგორ ვიქცევით, როცა მოწყენილები ვართ, როგორ ვებრძოლოთ მოწყენილობას.
- სთხოვეთ ბავშვებს, ჯერ სახის მოწყენილი გამომეტყველება მიიღონ, შემდეგ კი შეცვალონ ის მხიარული მიმიკით. აუხსენით, რომ ასევე შეგვიძლია თავად შევცვალოთ უსიამოვნო ემოციები სასიამოვნოთი.
- დაურიგეთ ბავშვებს წითელი და მწვანე ქაღალდის წრეები. სთხოვეთ, გაჩვენონ როგორია გახარებული და მოწყენილი სახე. შემდეგ შავი მარკერით (ფლომასტრით) მარტივად დახატინეთ გაღიმებული და დაღონებული სახეები. სთხოვეთ, ნაყინის ჯოხზე მიაწებონ ერთი მხრიდან გახარებული, ხოლო მეორე მხრიდან – დაღონებული სახე. ჩამოუთვალეთ ბავშვებს სხვადასხვა სიტუაციები და სთხოვეთ, გაჩვენონ რა ემოციას განიცდიან ასეთ დროს:

ძაღლი დაკარგე;
დაბადების დღე გაქვს;
ახალი თამაში ისწავლე;
დაეცი და ვიღაცამ დაგცინა;
ვიღაცამ შენი საყვარელი სათამაშო წაიღო;
მეგობარი შენთან სათამაშოდ მოვიდა.

ხელოვნება

- ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რა ფერია მოწყენილობა? წაახალისეთ ნებისმიერი პასუხი. ბავშვებმა უნდა შეურიონ ფერები და მხოლოდ ფერებით შეასრულონ აბსტრაქტული ნახატი.
- ბავშვებს სუფთა თეთრ ფურცელზე თეთრი ფანქრით (პასტელით) დაახატინეთ მოწყენილი სახე. შემდეგ კი ნებისმიერი ფერის აკვარელის საღებავი გადაუსვან მთელ ფურცელს. მიიღებთ მოწყენილ გამომეტყველებას.

- სევდიანი იო-იო. პაპიე-მაშეს ტექნიკით (იხ. განმარტებები) დაამზადეთ ორი მოგრძო ფორმა და დაამაგრეთ ერთმანეთს, ერთი თავია, მეორე ტანი, სქელი ნაჭრისგან ან მუყაოსაგან გამოჭერით გრძელი ყურები და დაამაგრეთ თავს, ასევე ნაჭრისგან გამოაჭრევინეთ და დაამაგრებინეთ ტანზე კუდი და სევდიანი თვალები. დაამაგრებინეთ კუდზე ბაფთა. შეაღებინეთ ბავშვებს იო-იო გუაშის საღებავით.
- *თოჯინა – ჭიქა, რომელიც იცვლის სახის გამომეტყველებას*. ერთჯერად ჭიქას ერთ გვერდზე ქვევით წინასწარ ამოუჭერით 5 სმ-მდე დიამეტრის მქონე წრე. დაურიგეთ ბავშვებს თითო ამოჭრილი და თითო მთელი ჭიქა. მთელ ჭიქას ქვედა ნაწილში დააკარით სკოჩი და ჩადეთ ის ამოჭრილ, რგოლიან ჭიქაში. ამოჭრილ რგოლში სკოჩზე ბავშვებს მარკერით დაახატინეთ გაღიმებული სახე, შემდეგ შიგნითა ჭიქა დაატრიალეთ ისე, რომ გაღიმებული სახე დაიმალოს და ახლა მოწყენილი სახე დაახატინეთ.

მოძრაობა



- ითამაშეთ „ცხელი კარტოფილი“ რისთვისაც ბურთი ან რომელიმე სხვა მრგვალი საგანი დაგჭირდებათ მასზე დახატული მოწყენილი სახით. ბურთი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაუგდონ ერთმანეთს. მიაქციეთ ყურადღება ყველა იყოს ჩართული.
- როგორ დადის მოწყენილი ადამიანი? სთხოვეთ ბავშვებს, განასახიერონ.

სამაგიდო



- *მათემატიკა. გააკეთეთ ცხრილი*: ვინ როდის, რატომ არის მოწყენილი.
- წინასწარ ამობეჭდეთ ფურცელი მოწყენილი სახის გამომეტყველებით. დააწებეთ იმავე ზომის მუყაოს ქაღალდზე, გამოჭერით ფაზლის ფორმის დეტალები. დაურიგეთ ბავშვებს, რომ ააწყონ ფაზელი და გამოიცნონ, რომელი ემოციაა მასზე გამოსახული.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ნაწყვეტი „ვინი პუჰიდან“ (თავი მეექვსე „იო-იოს დაბადების დღე“ დასაწყისი. წიგნიერების დანართი, 4-5 წლიანები) ჰკითხეთ ბავშვებს, რატომ იყო იო-იო მოწყენილი? როდის არიან ხოლმე ისინი მოწყენილები და როგორ იქცევიან?
- რას აკეთებენ ხოლმე, რომ გამხიარულდნენ?

კონსტრუქციული



- უთხარით ბავშვებს, რომ სევდიან ვირს, იო-იოს, არ აქვს სახლი და ამიტომ მოწყენილია. სთხოვეთ, აუშენონ სახლი კუბებით და ჩასვან შიგნით მათი დამზადებული ფიგურა და ამით გაახარონ.

მეცნიერება

- აჩვენეთ ბავშვებს ქოთნის მცენარე, რომელსაც მორწყვა აკლია. სთხოვეთ, დაასხან წყალი და დააკვირდნენ, როგორ შეიცვლება.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, მოიწყინეს თუ არა დღის განმავლობაში?
- ჩამოათვლევინეთ, როგორ ამარცხებენ მოწყენილობას?

3. გაბრაზება. ბრაზის მართვა

- ყველა ემოციებს შორის გაბრაზება ყველაზე ძლიერი და ბავშვებისთვის ყველაზე რთულად სამართავია. ჰკითხეთ, რა იწვევს მათ გაბრაზებას. უთხარით, რომ ზოგჯერ უფროსებიც ბრაზდებიან ხოლმე. აუხსენით, რომ არსებობს ჩვენი ემოციების (ამ შემთხვევაში გაბრაზების) გადმოცემის სხვაგვარი ფორმებიც და ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი ვინმე, ან საკუთარი თავი დააზიანო. ასწავლეთ ბავშვს გამოიყენოს შემდეგი სიტყვები: ,,მე იმიტომ ვარ გაბრაზებული, რომ ----------“. შეაქეთ ბავშვი, როდესაც დაინახავთ, რომ ის ცდილობს ემოციების გაკონტროლებას და თავს იკავებს აგრესიული

ფორმით თავისი ბრაზის გამოხატვისგან. თუ ბავშვი ვერ ახერხებს ემოციის მართვას, მაშინ ეცადეთ რაიმე სხვა აქტივობაზე გადართოთ მისი ყურადღება. მაგ. სათამაშო ცომის ზელვა, დოლზე დარტყმა, ფეხბურთი, ან ცეკვა, რომელიც ფეხების ბაკუნით სრულდება.

დილის წრე

- აჩვენეთ ბავშვებს, თუ როგორ შეიძლება ემოციების შეკავებამ უარყოფითად იმოქმედოს მათზე და რა მნიშვნელობა აქვს ემოციების მისაღები (კონსტრუქციული) ფორმით გამოხატვას. მაგრად გაბერეთ თეთრი ბუშტი. შეკარით და ფრთხილად მოექეციოთ, რატომ? რომ არ გასკდეს. გაბერეთ წითელი ბუშტი ისე, რომ გასკდეს. აღწერეთ, რა მოხდა და რატომ? გაბერეთ ყვითელი ბუშტი და არ შეკრათ. ხელი გაუშვით ბუშტს. უთხარით რომ ვერ აკონტროლებთ მის მოძრაობას. რატომ? გაბერეთ ლურჯი ბუშტი და შეკარით. აათამაშეთ, აისროლეთ მაღლა და თავისუფლად მოექეციოთ. ბუშტს არაფერი მოუვა ასეთი მოპყრობით. რატომ?
- იმსჯელეთ: თეთრ ბუშტს ფრთხილად უნდა მოექცე, რადგან „ემოციით“ სავსეა და ოდნავ მეტ გაბერვასაც ვერ აიტანს.
- წითელი ბუშტი: ძალიან ბევრი ემოცია იყო, იმდენი, რომ გასკდა და ვერ ვისიამოვნეთ, ვერ ვითამაშეთ.
- ყვითელ ბუშტს ვერ ვაკონტროლებთ. არ იყო შეკრული და გარეთ გამოვარდა ემოცია. ადამიანიც როცა ასე სწრაფად (დაუფიქრებლად) უშვებს ემოციებს უძნელდება მისი მართვა.
- ლურჯ ბუშტს შეუძლია დამატებითი ემოციის მიღება, კონტროლს ექვემდებარება და ბედნიერია.

ბრაზის მართვა

- გამოიყენეთ ცომი აგრესიისგან „დასაცლელად“ . აჩვენეთ, თუ როგორ ეხმარება ეს აქტივობები მათ დამშვიდებაში.
- „ჯერ დაფიქრდი და შემდეგ იმოქმედე.“ ბავშვები შეჭმუხნულ, გაბრაზებულ სახეებს იღებენ. შემდეგ სთხოვთ, მოადუნონ ყველა კუნთი, ღრმად ჩაისუნთქონ, დაითვალონ ათამდე. საკუთარი სიტყვებით ახსნან, რა ემოციები დაეუფლათ ამის შემდეგ?

ხელოვნება

- გაბრაზებული/ მხიარული. გამოიყენეთ ვაშლი, ფორთოხალი ან ატამი. დაახატინეთ ბავშვებს ხილის ერთ მხარეს მხიარული, ხოლო მეორე მხარეს ბრაზიანი სახე.
- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ გაბრაზებული ნახატი, სასურველი ფერებით. რა ფერია გაბრაზება (ფერების შერევა).
- გააკეთებინეთ ბავშვებს ბრაზისმზომი (ისეთივე „ხელსაწყო,“ როგორც თერმომეტრი სიცხის საზომად). დაურიგეთ ბავშვებს წინასწარ დამზადებული თერმომეტრის თარგი და წითელი საღებავის სხვადასხვა ტონალობები მუქი წითლიდან ღია ვარდისფრამდე (რომელიც თეთრში გადადის). თერმომეტრის ქვედა ნაწილი თეთრად შეაღებინეთ (მშვიდი განწყობა), შუა ნაწილი – ვარდისფრად, ხოლო ზედა – წითლად. აუხსენით, რომ ფერების ასეთი შეცვლა სიმშვიდიდან გაბრაზებისკენ გადასვლას შეესაბამება, ისაუბრეთ, როგორ უნდა ეცადონ, რომ საკუთარი თავი წითელი ფერიდან კვლავ თეთრ ფერში დააბრუნონ (დანართი 2.8.5.).

მუსიკა/მოძრაობა

- დაურიგეთ ბავშვებს მუსიკალური ინსტრუმენტები, სთხოვეთ, რიგრიგობით შეეცადონ თავისი ინსტრუმენტი „გააბრაზონ,“ ბრაზიანი ხმა გამოსცენ. შემდეგ ერთად დაუკრან „ბრაზიანი“ მელოდია.
- ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ იქცევა ადამიანი როცა გაბრაზებულია? ცხოველი? ფრინველი? მწერი? რიგრიგობით განასახიერონ სასურველი არსება.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ნაწყვეტი „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონიდან“. თავი: „კარლსონი აღარაა მოჩვენება,“ მეორე ნაწილი (წიგნიერების დანართი, 4-5 წ. ემოციები).

მეცნიერება

- სარკის დახმარებით აჩვენეთ ბავშვს, როგორ გამოიყურება მისი სახე გაბრაზების დროს (მიაღებინეთ გაბრაზებული სახის გამომეტყველება).

კულინარია



- მოამზადეთ მინანქრიანი ნამცხვარი („პეჩენია“: გაბრაზებული გამომეტყველების მქონე სახეებით. ამისთვის M&M კანფეტები გამოგადგებათ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, გაბრაზდნენ თუ არა დღეს, გუშინ?
- რა ისწავლეს, როგორ უნდა მოერიონ ბრაზს?

4. შიში. როგორ დავძლიოთ შიშები

- ბავშვებმა იციან, როგორია შიშის განცდა, მაგრამ არ იციან, როგორ მართონ შიშის ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ემოციური რეაქციები. შიშის დროს: გულისცემა ხშირდება, სუნთქვა უფრო ღრმა და ხშირი ხდება, ხელები ოფლიანდება, მუცელი „ბუყბუყებს“ და ირთვება ,,თავდაცვის“ რეაქცია. აუცილებლად უნდა აუხსნათ ბავშვებს, რომ შიშის განცდა ყველასთვის დამახასიათებელი და ნორმალური მოვლენაა, თუმცა ჩვენ ყველას სხვადასხვა რამის შეიძლება გვეშინოდეს. აუხსენით ბავშვებს, რისთვის გვჭირდება შიში, რა მნიშვნელობა აქვს შიშის განცდას. შიში ზოგჯერ გვიცავს ამა თუ იმ დაზიანებისგან, მაგრამ გვაფერხებს კიდევაც, არ გვაძლევს რაიმე სიახლის მიღების საშუალებას და უკან გვახევინებს გარკვეულ სიტუაციებში. ასწავლეთ ბავშვებს, უფროსებს უამბონ საკუთარი შიშის შესახებ: რისი ეშინიათ, რატომ ეშინიათ და როგორ გრძნობენ თავს შიშის დროს.

დილის წრე



- წაუკითხეთ ნაწყვეტი: „კარლსონი მოჩვენებაა“ (წიგნიერების დანართი, 4-5 წელი ემოციები). დანართის მიხედვით გამოჭერით პატარა თეთრი მოჩვენება და დაამაგრეთ ნაყინის ჯოხზე.
- გამოჭერით დანართის მიხედვით პატარა მოჩვენება და დააწებეთ ნაყინის ჯოხზე (დანართი 2.8.6.). წაიკითხეთ ლექსი დანართიდან და სთხოვეთ ბავშვებს, ერთად დაიძახონ „უუუუ“ (იმდენჯერ წაიკითხეთ, რამდენჯერაც მოისურვებენ). სთხოვეთ ბავშვებს, ჯგუფში მოყვნენ თავიანთი შიშების შესახებ და ერთად მოიფიქრონ შიშის დაძლევის ხერხები.

ხელოვნება



- ძველი ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათების გამოყენებით გააკეთეთ „საშიში კოლაჟი“, სადაც ყველაფერი ის იქნება წარმოდგენილი, რაც შიშის გრძნობას იწვევს.
- შავ ფურცელზე თეთრი მოჩვენების დახატვა თეთრი საღებავით. წინასწარ მოიმარაგეთ მოჩვენების თეთრი თარგი. დაეხმარეთ ბავშვს, შავ ფურცელზე თარგს ნაცრისფერი მარკერი შემოავლოს. ფუნჯის ნაცვლად გამოიყენეთ სარეცხის სარჭზე დამაგრებული ღრუბლის პატარა ნაჭერი. სთხოვეთ ბავშვს, „ფუნჯი“ თეთრ საღებავში დაასველოს და მოჩვენება კი არ გააფერადოს, არამედ წერტილებით დაფაროს. როცა სულ დაფარავს თეთრი საღებავით, შავი მარკერით თვალები და გაღიმებული პირი დაახატოს.
- ჩუპა-ჩუპსის მოჩვენება. სთხოვეთ ბავშვებს, შემოხაზონ თეთრ ნაჭერზე წრეები, რაიმე მრგვალი შაბლონის დახმარებით, გამოჭრან ნაჭერი და ჩამოაცვან ჯოხიან კანფეტებს (ჩუპა-ჩუპს) ან თეთრი ხელსახოცი შემოახვიონ. გაუნასკვონ ლენტით და დაუხატონ სახე შავი ფლომასტერით. გამოიყენონ სათამაშოდ (წაუკითხეთ დანართიდან (4-5 წ. ემოციები) ლექსი „მოჩვენებად გადაცმული ჩუპა-ჩუპსის სიმღერა. მოგვიანებით კი შეუძლიათ გახსნან და შეჭამონ.

- დაახატინეთ ბავშვებს სურათი, რომელიც მათში შიშის გრძნობას იწვევს, შემდეგ კი სურათი, რომელშიც ამ შიშს დაძლევენ.
- დაამზადეთ სიმამაცის მედალი. გამოჭერით მუყაოს ქაღალდისგან მედალი, შეაბით ბაფთა, დაფარეთ ოქროსფერი ფოლგით ან შეღებეთ ოქროსფრად. დააწერეთ წინა მხარეს ან მისაბმელ ბაფთაზე „------ის სიმამაცის მედალი". განუმარტეთ, რომ მამაცი არის ის, ვინც შიშებს ერევა.

მოძრაობა



- როგორ ფრთხიალებს შეშინებული ქათამი? როგორ ყეფს შეშინებული ძაღლი? მიბაძეთ შეშინებულ ცხოველს და ფრინველს.
- მოძრავი თამაში „ქორი და წიწილები": ერთი ბავშვი არის ქორი, ერთი კრუხი და დანარჩენები წიწილები, ქორი ცდილობს დაიჭიროს წიწილა, წიწილები დარბიან, ქორი კრუხთან მისულ წიწილას ვერ იჭერს.

სამაგიდო/მათემატიკა



- ცხრილი: ვის რისი ეშინია?
- ათამაშეთ ემოციების ლოტო (იხ. დანართი).

დრამატული



- მიეცით ბავშვს სცენარი, სადაც მას რაღაცის ეშინია. ჰკითხეთ: ეს შიში საფუძვლიანია თუ უსაფუძვლო? როგორია ეს შიში: რაიმე საფრთხისგან გვიცავს, თუ ხელს გვიშლის გართობაში?
- (სცენარის ვარიანტი) მეგობრები სთხოვენ ბავშვს, ველოსიპედით გაისეირნოს დატვირთულ ავტომაგისტრალზე, ბავშვს კი ამის ეშინია. ეს სრულიად გამართლებული შიშია, რომელიც სიცოცხლეს გვინარჩუნებს.
- (სცენარი მეორე) ბავშვს საწოლის ქვეშ დამალული „ბუას" ეშინია, ასეთი შიში სრულიად უსაფუძვლოა და ხელს უშლის ბავშვს მშვიდ ძილში. შიშის დაძლევის სხვადასხვა ხერხი მოიფიქრეთ: სინათლის დატოვება, მუსიკის მოსმენა, საწოლის ქვეშ სივრცის დათვალიერება და დარწმუნება, რომ იქ არაფერია.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, ააგონ „საშიში არსებების კოშკი". მოიფიქრონ, რა შეიძლება გამოიყენონ კუბებთან ერთად.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (4-5 წ. ემოციები) „პატარა წითელი ავტობუსი, სიბნელის რომ ეშინოდა" და მუყაოს ყუთის გამოყენებით „მშიშარა ავტობუსი" დაამზადეთ.
- სთხოვეთ ბავშვებს, მუყაოს ყუთს დაახატონ ფანჯრები და გამოჭრან თქვენი დახმარებით. გამოაჭრევინეთ მუყაოს პატარა წრეები და დააწებეთ ბორბლების ადგილას. სთხოვეთ ბავშვებს, შეღებონ ავტობუსი წითელი გუაშით.
- უყურეთ ფილმს: ,,ჯადოქარი ზურმუხტის ქალაქიდან" და ისაუბრეთ, როგორ დაძლია ამ ფილმში ლომმა საკუთარი შიში.

საღამოს წრე

- რა იყო მათთვის დღის მანძილზე ყველაზე საინტერესო?
- შეძლებენ მიეხმარონ სხვას (უმცროს და-ძმას, მეგობარს) შიშის დაძლევაში?

5. ემოციების ამოცნობა

დილის წრე

- ბავშვებს ყურადღება უნდა გაუმახვილოთ ფიზიკურ მინიშნებებზე, რომლებიც სხვადასხვა ემოციურ მდგომარეობას გამოხატავს. გამოიცანით ბავშვების ემოციები და ყურადღება გაუმახვილეთ მათ სახის გამომეტყველებაზე – წარბებზე, თვალებზე, პირზე. ეს თამაში წინასწარი დაგეგმვის გარეშე, დღის განმავლობაში სხვადასხვა აქტივობის ან საქმიანობის დროს შეგიძლიათ ითამაშოთ.

- აღმზრდელი ხუჭავს თვალებს და თოჯინა, ან სხვა უფროსი ამბობს „ოოოჰჰჰ, ვერ შევიკარი თასმები“ აღმზრდელი ასახელებს ემოციას, იგი ამბობს: „თოჯინას ეწყინა, თასმები რომ ვერ შეიკრა.“ შემდეგ ბავშვებიც ხუჭავენ თვალებს და უსმენენ მასწავლებლის სხვადასხვა ინტონაციით გამოთქმულ ფრაზებს; ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რა ემოციას გამოხატავს აღმზრდელი.
- ბავშვებმა სახის გამომეტყველებითა და სხეულის ენის საშუალებით უნდა გამოიცნონ რა ემოციას გამოხატავს სხვა ბავშვი ან უფროსი.

ხელოვნება



- ემოციების კოლაჟი. დაურიგეთ თითოეულ ბავშვს რამდენიმე ფერადი ქაღალდი. სთხოვეთ, დაახატონ სხვადასხვა ემოციები: სიხარული, გაბრაზება, გაოცება, მოწყენა და ა.შ. შემდეგ დააწებებინეთ ეს ემოციები ერთად ფურცელზე.

მოძრაობა



- *ქუდის გადაცემა.* ჟურნალებიდან ამოჭრილი სხვადასხვა ემოციების გამომხატველი სახეები ჩაყარეთ ქუდში ან დიდ კონვერტში. მუსიკის ფონზე ქუდი გადასცენ გვერდით მჯდომს. ვისზეც მუსიკა გაჩერდება, ის ბავშვი იღებს სურათს, ასახელებს ემოციას და გამოსახავს. ასევე, აღწერს სიტუაციას, როდესაც ასეთ ემოციას განიცდის.
- *ემოციებზე ნადირობა „მეძებარი ძაღლი“.* ოთახში მიმოაბნიეთ (ან დამალეთ) „ემოციების სახეები.“ ბავშვები ეძებენ სხვადასხვა ემოციებს. ვინც რას იპოვის, იმას ასახელებს. მრავალფეროვნებისთვის ბავშვებს შეუძლიათ ნაპოვნი სახეები გადახატონ.

- მოძრაობა და ემოციები. სთხოვეთ ბავშვებს, იმოძრაონ და თან შეცვალონ მოძრაობის **ფორმა**, მაგ. „ფართოდ და ვიწროდ სიარული“; „მაღლა და დაბლა“; „ძლიერად და ნაზად“; ხელების, ფეხების მოძრაობით, ფეხის წვერებით, ტანის მოხრით, გამართვით. სთხოვეთ ბავშვებს, შეცვალონ სიარულის **ტემპი** – სწრაფი ან ნელი. ასევე სთხოვეთ, შეცვალონ მოძრაობის **სიმძიმე**. სთხოვეთ, შეცვალონ მოძრაობის **მიმართულება**. მიზანმიმართული სიარული ან უმიზნოდ ხეტიალი. ასევე შეცვალონ მოძრაობისას კუნთის **დაძაბულობა**. კუნთები შეიძლება იყოს მოშვებული, მოდუნებული ან დაძაბული, დაჭიმული.

სამაგიდო



- *ემოციების დაჯგუფება.* ამობეჭდეთ გარკვეული რაოდენობით ემოციის სახეები (დანართი 2.8.4.) და ამოჭერით. სთხოვეთ ბავშვებს, დააჯგუფონ ემოციები.
- *სახის ცვლილებები.* მუყაოს ფურცელზე ხატავენ სახეს. პირი და წარბები დრეკადი მასალისგან (მაგ. ცომი, პლასტელინი, ჩიბუხის საწმენდი, თასმა) კეთდება და უმაგრდება სახეს. ბავშვებს შეუძლიათ, პირისა და წარბების მოხაზულობის შეცვლით შეცვალონ ემოციის გამოხატულება. ბავშვები აქაც ასახელებენ ემოციას. აფერადებენ დანარჩენ სახეს.

- *ემოციების ფაზლი.* პიქტოგრამის სახით ერთი ზომის ორ ფურცელზე დახატულია ორი ძირითადი ემოცია, მაგ. სიხარული და ბრაზი ან გაოცება და მოწყენილობა (სასურველია, ყველა ბავშვს დაურიგდეს ეს ორი ფურცელი). ფურცლები იჭრება შუაზე და ერთმანეთში ირევა. „სიხარულმა და გაბრაზებამ ერთად გადაიღეს სურათი. მოვიდა ერთი აბეზარი, დაჭრა სურათები და გაიქცა. რა ვქნათ? მათ მოსვლამდე ეს სურათები უნდა დავაწებოთ.“ ბავშვებმა უნდა ააწყონ სახეები (დანართი 2.8.1.).

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ სარკისებურზედაპირიანი პრიალა ქაღალდები. სთხოვეთ ბავშვებს, გამოჭრან და დააწებონ კუბებს პრიალა ქაღალდები მშრალი წებოს მეშვეობით, შემდეგ კი „ჯადოსნური ქალაქი“ ამ კუბებით ააშენონ.

დრამატული



- მოიმარაგეთ ილუზიონისტის ატრიბუტები: შავი შლაპა, ფერადი ცხვირსახოცები, კარტები, ჯოხი, სხვადასხვა ზომის ყუთები. აჩვენეთ ბავშვებს ილუზიონისტის ვიდეო ჩანაწერი, წაახალისეთ, გააოცონ ერთმანეთი.

მეცნიერება

- დაათვალიერებინეთ წინასწარ მომზადებული, გაოცებული ადამიანების ფოტოები. ერთად შეეცადეთ მიბაძოთ გაოცებულ ადამიანს მიმიკით.
- მოიწვიეთ ადამიანი, რომელიც შეძლებს მარტივი ფოკუსების ჩატარებას ბავშვებისათვის. სასურველია, გამოწყობილიც იყოს შესაბამისად.

წიგნიერება

- გამოიყენეთ საბავშვო ლიტერატურა. წაიკითხეთ მოთხრობა. ამოირჩიეთ ერთი სიტუაცია და სთხოვეთ ბავშვებს გამოიცნონ გმირის რეაქციები და განცდები (იხ. დანართი. „პეპი საყიდლებზე მიდის“. 4-5 წ. ემოციები).
- *სარკეები.* წრეში ყოფნისას ბავშვებს ურიგდებათ პატარა სარკეები. აღმზრდელი კითხულობს მოთხრობას, სადაც ბევრი ემოციაა დასახელებული. ბავშვები ნახსენებ ემოციას მიმიკებით გამოსახავენ და აკვირდებიან საკუთარ სახეს სარკეში. იხ. დანართი. „პეპიმ ორი ბიჭუნა გადაარჩინა“. 4-5 წ. ემოციები).

- *ემოციების კამათელი.* გააკეთეთ ემოციების კამათელი. დიდი ყუთის გვერდებზე მიაწებეთ სხვადასხვა ემოციების გამომსახველი სახეები (დანართი 2.8.1.). კამათლის გაგორების შემდეგ რომელი სახეც დაჯდება, ბავშვებმა უნდა დაასახელონ და მოყვნენ როდის გრძნობდნენ თავს ასე.



საღამოს წრე

- რა ისწავლეს ახალი?
- როგორ შეძლებენ ნასწავლის გამოყენებას?

დინოზავრები

1. დინოზავრები
2. დინოზავრები
3. დინოზავრები

1. დინოზავრები

დილის წრე

- გამოჭერით დინოზავრის ნაკვალევი დიდი (დაახ. 1,2 მ/0,9მ), სქელი ფურცლისგან. დადეთ დილის წრის შუაში. უთხარით ბავშვებს, რომ ეს ფურცელი ბრონტოზავრის ფეხის ზომის ტოლია. სთხოვეთ ნაკვალევში ჩადგომა, რამდენი ბავშვი ჩაეტია?
- წაახალისეთ ბავშვები, თავიანთი ტერფის ზომა დინოზავრისას შეადარონ. აუხსენით, რომ ბრონტოზავრების სიმაღლე 24,4 მეტრს აღწევდა. ეს სიდიდე ოთახის სიგრძის საშუალებით გახადეთ თვალსაჩინო. დემონსტრირებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ 24,4 მეტრი სიგრძის ძაფი.

- უამბეთ, რომ ბრონტოზავრი ბალახისმჭამელი იყო (ის მხოლოდ მცენარეებით იკვებებოდა). ზოგიერთი სხვა დინოზავრი, მაგალითად, ტირანოზავრი, კი – ყველაფრის მჭამელი (ანუ ხორცითაც იკვებებოდა).
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა დინოზავრები იქნება.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ თიხა. წაახალისეთ ბავშვები, გამოძერწონ დინოზავრები და დინოზავრის კვერცხები. სცადონ დინოზავრების ახალი ტიპი შექმნან და დაარქვან სახელი.
- დაამზადებინეთ ბავშვებს დინოზავრი პლასტელინის შეზელვის ტექნოლოგიით: დაურიგეთ მუყაო და პლასტელინი. ჯერ უნდა მოხაზონ დინოზავრის ფორმა, შემდეგ კი შეაზილონ პლასტელინი მოხაზული ფორმის შიგნით, ფონი გააკეთონ განსხვავებული ფერის პლასტელინით (დანართი 3.9.1.).

- გამოიყენეთ კვერცხის ჩასაწყობი მუყაოს ყუთი დინოზავრების დასამზადებლად. ყუთს დაუმაგრეთ ერთი ზედმეტი ბუდე თავის ადგილას და ერთი კუდის ადგილას. დაუხატეთ სახე და შეღებეთ. გააკეთონ მცირე ჯგუფებში.



მოძრაობა



- დინოზავრის ნაკვალევი იზოლენტით იატაკზე დაამაგრეთ. იზოლენტითვე მონიშნეთ სასტარტო ხაზი. ბავშვებმა სასტარტო ხაზიდან ნაკვალევში ჩახტომა სცადონ. შემდეგ კი სასტარტო ხაზიდან ნაკვალევზე გადახტომა სცადონ.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი: დაუხატე დინოზავრს კბილანები (დანართი 3.9.2.).
- მოიმარაგეთ გასაფერადებელი დინოზავრების სურათები, ფანქრები და კალკა. წაახალისეთ ბავშვები, კალკის ფურცელი ნახატს დაადონ და დინოზავრი გადაიხატონ (დანართი 3.9.1.).

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, ყუთებისგან დინოზავრი ააწყონ.

სენსორული:

- მყარი ქაღალდისაგან უკუდო დინოზავრი და კუდები გამოჭერით. სცადონ, თვალებახვეულებმა დინოზავრს კუდი მიამაგრონ.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ დინოზავრების და ხვლიკების სურათები. სთხოვეთ ბავშვებს შეადარონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსი „დინოზავრი“ (წიგნიერების დანართი. თ. ბექიშვილი).
- მოიმარაგეთ წიგნები დინოზავრებზე და წაახალისეთ ბავშვები, დაათვალიერონ ისინი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს: რა ისწავლეს დინოზავრების შესახებ? არსებობენ თუ არა დღესდღეობით დინოზავრებივით დიდი ზომის ცხოველები?

2. დინოზავრები

დილის წრე



- მოიმარაგეთ 2.5 მეტრის სიგრძის ძაფი, სთხოვეთ ბავშვებს, გაშალონ ძაფი და აუხსენით, რომ ის საშუალო ბრონტოზავრის სიგრძის ტოლია.
- სთხოვეთ ბავშვებს, დაწვნენ ამ ძაფის გვერდით.
- სთხოვეთ, დინოზავრების გადაშენების მიზეზებზე იფიქრონ.

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს დინოზავრების პატარა ფიგურები, დაასხით საღებავი თეფშებზე. სთხოვეთ ბავშვებს, დატოვონ დინოზავრის ნაკვალევი ფურცელზე.
- დაურიგეთ ბავშვებს ფერად ფურცელზე დახატული გეომეტრიული ფორმები, სთხოვეთ, გამოჭრან და დამოუკიდებლად ააწყონ დინოზავრის ფიგურა. დააწებონ ქაღალდზე.



მოძრაობა



- წინასწარ მოხაზეთ დინოზავრის კონტური გრძელი თოკის, ცარცის ან იზოლენტის საშუალებით. წაახალისეთ ბავშვები, ამ კონტურზე იხტუნონ, იხოხონ და იარონ.
- *მათემატიკა.* მოხაზეთ დინოზავრის ნაფეხური (90სმ. X 120სმ.). სთხოვეთ ბავშვებს, გაიარონ ნაფეხური ისე, რომ ტერფები ერთმანეთს მიაბჯინონ (ქუსლი ფეხის თითებთან) და დათვალონ, რამდენ მათ ნაფეხურს იტევს დინოზავრის ნაკვალევი.

სამაგიდო



- წინასწარ დაამზადეთ ჩრდილები (სილუეტი გადაიღეთ და გაამუქეთ) და დინოზავრების ნახატები (დანართი 3.9.3.). დაურიგეთ ბავშვებს და წაახალისეთ, დინოზავრები თავიანთ ჩრდილებთან დააწყვილონ.
- მოიმარაგეთ სხვადასხვა ნივთებით გამოტენილი რამდენიმე პლასტმასის კვერცხი და სთხოვეთ ბავშვებს, დაალაგონ წონის მიხედვით, მსუბუქიდან მძიმემდე.

მეცნიერება

- წინასწარ ჩამარხეთ სუფთა ძვლები ქვიშაში. მოიმარაგეთ საცერები, კოვზები, პატარა ფუნჯები და ჯაგრისები. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ არქეოლოგობანა. აღმოაჩინონ და გაასუფთაონ ძვლები.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსი: „დინოზავრი“ (წიგნიერების დანართი. ვ. გულეური)

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რამ დააინტერესათ ყველაზე მეტად დინოზავრებთან დაკავშირებით?
- შესთავაზეთ, აღწერონ, რა მოხდება, უცებ რომ დინოზავრები ისევ გაჩნდნენ? (აუხსენით, რომ ეს შეუძლებელია, უბრალოდ, წარმოიდგინონ.)

3. დინოზავრები

დილის წრე



- სთხოვეთ ბავშვებს, წარმოიდგინონ, რა მოხდებოდა სახლში რომ დინოზავრი ჰყოლოდათ.
- მოუყევით საქართველოში ნაპოვნი ნაკვალევის შესახებ.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ქაღალდის რულონი და წაახალისეთ ბავშვები, დახატონ დინოზავრი.
- მიეცით ბავშვებს დინოზავრის შემოხაზული კონტური (დანართი 3.9.1.), ან თვითონ შემოახაზინეთ დიდ ფორმატზე. გააფერადებინეთ ხელების ანაბეჭდებით.
- ცალკე ფურცელზე დაატოვებინეთ ხელების ანაბეჭდები და გამოაჭრევინეთ. დააწებებინეთ ხელები დინოზავრის ზურგზე.



- დაგჭირდებათ წაგრძელებული ფორმის ბრტყელი ყუთი, გადაჭერით შუაზე ნაწილობრივ, რომ ცალი მხარით დარჩეს მიმაგრებული ერთმანეთზე და გადაკეცეთ. დაამაგრებინეთ ბავშვებს კვერცხის ჩასადების ბუდეები, თვალების მაგივრად და ძაფის ცარიელი კოჭი, ცხვირის ადგილზე. შეაღებინეთ დინოზავრის თავი. გადახსენით თავი. შიდა მხარე შეაღებინეთ წითლად, გამოაჭრევინეთ და დააწებებინეთ ენა და კბილები ბამბის ხვეულებისგან.



მოძრაობა



- კატა-თაგვობანას პრინციპით ითამაშეთ „ბრონტოზავრი-ტირანოზავრი.“

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, ააგონ სახლი შინაური დინოზავრისთვის.
- მოიმარაგეთ ძველი წინდები, ღილები, თექა და სხვა მასალა. სთხოვეთ ბავშვებს, წინდისგან დინოზავრის მარიონეტი შექმნან.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „სათაფლიას გამოქვაბულში“ (დანართი).

დრამატული



- მოიმარაგეთ პლასტმასის დიდი კვერცხები. წაახალისეთ ბავშვები, სათითაოდ დამალონ კვერცხები ოთახში და წარმოიდგინონ, ვითომ ტირანოზავრები არიან და კვერცხებს ეძებენ შესაჭმელად.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რომელი საქმიანობა თუ თამაში მოეწონათ ყველაზე მეტად?
- გაიმეორეთ, რატომ გადაშენდნენ დინოზავრები?
- გაიმეორეთ, საიდან ვიცით, რომ ისინი ნამდვილად არსებობდნენ?

ზამთარი და შობა-ახალი წელი

1. ზამთარი
2. იფიქრე თბილად
3. შობა-ახალი წელი
4. საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოები
5. თოვლის ბაბუა და საჩუქრები
6. საახალწლო დეკორაციები

1. ზამთარი

დილის წრე



- წაუკითხეთ, „ზამთარი“ (შ. აკობია. წიგნიერების დანართი. 4-5 წ. ზამთარი და შობა-ახალი წელი). ჰკითხეთ ბავშვებს, წელიწადის რა დროზეა ლექსი?
- ჰკითხეთ ბავშვებს, რას აკეთებენ ზამთარსა და ზაფხულში. დაფაზე ჩამოწერეთ ზამთრის და ზაფხულის აქტივობები და შესაბამისი სურათები მიაკარით (დანართი 2.10.1. თბილად ჩაცმული ბავშვი, გრილად ჩაცმული ბავშვი, თოვლით დაფარული ხის ტოტები, აყვავებული და მწვანე ხე, გუნდაობა, ზღვაში ცურვა, თხილამურებზე სრიალი, წყლის თხილამურები; ნაძვის ხის მორთვა ან თევზაობა).
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ზამთარია.

ხელოვნება



- წაახალისეთ ბავშვები, ლურჯ ფურცელზე თეთრი ფანქრით ან ზეთის პასტელებით ზამთარი დახატონ. ბოლოს ნახატს თეთრი ზღვის მარილი (აბაზანის მარილი) გადაუსვან. როდესაც გაშრება, ნახატს ბრჭყვიალა ელფერს შესძენს.
- *ზამთარი.* წელიწადის ოთხი სეზონის შესაბამისად დაამზადეთ ოთხი ქვეყანა. მაკეტი დაამზადეთ დიდი ზომის მუყაოზე. ზამთრისთვის გამოიყენეთ გამხმარი ტოტები, პენოპლასტი ან ბამბა, ქსოვილები, ფერადი ქაღალდები და პლასტელინი. წაახალისეთ ბავშვები, მოიფიქრონ და დაამზადონ სახლები, ტყე, ტრანსპორტი, ადამიანები.
- ასანთის კოლოფისა და ხის ჩხირებისაგან დაამზადებინეთ ბავშვებს ციგები. ჩასვან ციგებში პლასტელინისაგან დამზადებული ფიგურები.
- ფიჭვის ტოტის ფუნჯი. დაურიგეთ ბავშვებს ფიჭვის ტოტები. მიეცით საშუალება, ჩააწონ ეს ტოტები საღებავში და ისე დახატონ.

მუსიკა და მოძრაობა

- სთხოვეთ ბავშვებს, ფეხსაცმელები გაიხადონ და სცადონ იატაკზე გასრიალება (ფიგურული სრიალი წინდებში ან გამოიყენეთ ქეჩები). (უსაფრთხოებისათვის! ეს აქტივობა გააკეთეთ ისეთ ოთახში, სადაც პრიალა, უსაფრთხო იატაკია!)
- მუსიკა და მოძრაობა. ჩართეთ პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნადან“ „ფიფქების ცეკვა“. უთხარით ბავშვებს, წარმოიდგინონ ვითომ ფიფქები არიან და ისე იტრიალონ, იფრიალონ და დაეშვან ძირს.

სამაგიდო



- ზამთრის და ზაფხულის ტანსაცმელი. დაახარისხებინეთ ბავშვებს ზამთრის და ზაფხულის ტანსაცმელი, თან დაასახელონ (დანართი 1.13.2.; იხ. 3-4 წლიანების დანართი, თემა „კატეგორიები“).
- *მათემატიკა.* გამოჭერით სხვადასხვა ზომის ფიფქები. თუ ლამინირებას გაუკეთებთ, ბევრჯერ გამოიყენებთ. დაახარისხებინეთ ბავშვებს გამოჭრილი ფიფქები სხვადასხვა ზომის ჯგუფებად.

დრამატული



- მოიმარაგეთ სეზონური ტანსაცმელი და სხვადასხვა ქსოვილი, წაახალისეთ ბავშვები, შექმნან ზამთრის ტანსაცმლის კოლექცია და მოაწყონ ჩვენება.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ წებო და თეთრი, ავეჯის ყუთებში ჩაგებული, შესაფუთი ბურბუშელები და შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მოაქციეთ. ბავშვებმა ჩრდილოეთ პოლუსის სოფელი ააგონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსები (იხ. დანართი: 4-5 წ. ზამთარი და შობა-ახალი წელი).

სენსორული

- მოიმარაგეთ ნახევარლიტრიანი ბოთლები. ერთი გაავსებინეთ წყლით და თეთრი ფანქრის ან პასტელის ნათალით, ვითომ თოვლია. მეორე გაავსებინეთ ხავსით, კენკრით, ხორბლეულით, რკოთი და ხის ქერქით. მესამე კი – წიწვებითა და დარიჩინის ჯოხებით. სამივე ბოთლს მიაწებეთ თავსახური, მესამე ბოთლის თავსახურს გაუკეთეთ პატარა ნახვრეტები (უფროსმა!), რომ ბავშვებმა სურნელი შეიგრძნონ.
- აავსეთ სენსორული მაგიდა მარილით. დაუმატეთ ბრჭყვიალები (თეთრი და ლურჯი). ჩააწყვეთ პატარა ფიგურები. ათამაშეთ ბავშვები „თოვლში“.
- გააკეთეთ დიდი ყინულები (ვითომ აისბერგია); დიდ ჯამში ან სენსორულ მაგიდაში ჩაასხით წყალი და ჩადეთ აისბერგები, დაასვან ზედ პატარა პლასტმასის სათამაშოები: თეთრი დათვი, პინგვინი.

საღამოს წრე

ჰკითხეთ ბავშვებს:

- რა მოსწონთ ზამთარში? რატომ?
- რა ისწავლეს ახალი ზამთრის შესახებ?
- რითი განსხვავდება ზამთარი შემოდგომისგან?

2. იფიქრე თბილად

დილის წრე

- გაათბეთ ზამთრის დღეები თბილი აქტივობებით.
- სთხოვეთ ბავშვებს, წარმოიდგინონ, თითქოს თბილი ამინდებია. წაახალისეთ ისინი. გაიხსენონ, რისი კეთება უყვართ ზაფხულის თბილ დღეებში. ჰკითხეთ, სად მიდიან და რას აკეთებენ ხოლმე ოჯახთან ერთად ზაფხულში.
- წაუკითხეთ ნაწყვეტი „პეპი გრძელიწინდადან“ წიგნიერების დანართიდან. (4-5 წ. ზამთარი და შობა-ახალი წელი).

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს სახატავი ფურცლები და სთხოვეთ, შუაზე გადაკეცონ. გადაკეცილი ფურცლის გარეთა მხარეს დახატონ ღრუბელი. წაახალისეთ, შექმნან თავიანთი, ორიგინალური ღრუბელი. შემდეგ გამოჭრან ეს ღრუბელი და მიღებულ ორ ერთნაირ ღრუბელს (რადგან ფურცელი გადაკეცილი იყო) საკუთარი სახელი დააწერონ (ან წაუწერეთ).შეაგროვეთ ბავშვების ღრუბლები და აურიეთ. სთხოვეთ ბავშვებს, მოძებნონ წყვილები. ზოგი ამას ღრუბლის ფორმის მიხედვით მოახერხებს, ზოგიც – სახელების დაძებნით. შეახსენეთ, რომ ზოგჯერ იმის გასაგებად, მისი წყვილია თუ არა, ღრუბლების ერთმანეთზე მიდებაა საჭირო.
- სთხოვეთ ბავშვებს, გუაშებით დახატონ ქვეყანა, სადაც სულ თბილა. გამოიყენონ თბილი ფერები.
- აპლიკაციის საშუალებით, დიდ ფორმატზე გააკეთებინეთ ბავშვებს ზღვის სანაპიროს პანო. გამოიყენეთ ფერადი ქაღალდი, ქსოვილი, პოლიეთილენის პარკები და სხვა მასალა.
- მოიმარაგეთ ნიჟარები და კენჭები. დააწებებინეთ მუყაოზე და გააკეთებინეთ სხვადასხვა კომპოზიცია.

დრამატული



- ბავშვებთან ერთად გააკეთეთ სანაყინე „ზაფხულის მომხმარებლებისთვის“. აიღეთ მუყაოს ყუთი და ძირზე წრეები ამოჭერით (უფროსმა!). გადმოატრიალეთ ყუთი, ვითომ ნაყინების ჩასადებია. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დაახვიონ ყავისფერი ფურცლები, რომ ნაყინის კონუსები მიიღონ. ჩააწყვეთ ისინი ნაყინის ჩასადებში. მოიმარაგეთ ძაფის ბურთები (პომპონები), ვითომ ნაყინის ბურთებია და სხვა მასალა, რომელიც შეიძლება გამოადგეთ, მაგალითად, საფულეები, ნაყინის კოვზები, სუფთა ნაყინის კონტეინერები, სახატავი ფურცლები და ფანქრები. დაეხმარეთ შექმნან მენიუ, აბრა, ფული და სხვა.

წიგნიერება

- მოიმარაგეთ საგნები (ან ამ საგნების ფოტოები), რომლებსაც ზაფხულში ვიყენებთ (ქვიშაში სათამაშო ნიჩაბი და ფოცხი, წყლის სათვალე, მარაო), რომლებსაც ზამთარში ვიყენებთ (თოვლის ნიჩაბი, ხელთათმანები, პალტო) და რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში ვიყენებთ (საშაქრე, პირსახოცი, სათამაშო დათუნია). სთხოვეთ ბავშვებს, ზამთართან და ზაფხულთან დაკავშირებული საგნები გადაახარისხონ. ისაუბრეთ საგნებზე, რომლებიც საჭიროა სეზონის მიუხედავად. თითოეულ ბავშვს სთხოვეთ, აირჩიოს ორი საგანი და დაასახელოს ერთი მსგავსება და ერთიც განსხვავება.
- მოიმარაგეთ საგნები (ან მათი სურათები), რომლებსაც ვიყენებთ ზაფხულის და ზამთრის სპორტში (ზაფხულის: ფეხბურთის ბურთი, საცურაო კოსტიუმი, გორგოლაჭები; ზამთრის: ჰოკეის ქუდი, ბუტები, თხილამურები). ისაუბრეთ ამ საგნებზე და მათთან დაკავშირებულ სპორტზე. განიხილეთ მიზეზები, რატომ არის ზოგიერთი სპორტი სეზონური? ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებენ თავი აარიდონ ამ უხერხულობას. მაგალითად, ფიგურული სრიალი, სპეციალურად მომზადებულ დარბაზში, ზაფხულშიც არის შესაძლებელი, ცურვა, დახურულ აუზებში, ზამთარშიც შესაძლებელია.

სამაგიდო:



- მოიმარაგეთ თერთმეტი პლასტმასის ქოთანი და პერმანენტული მარკერით დანომრეთ 0-დან 11-მდე. ჩადეთ ქოთნებში მყარი ღრუბლები, პლასტელინები ან პენოპლასტი. მიეცით ბავშვებს სხვადასხვა ხელოვნური ყვავილი, ზოგი ერთი კვირტით და ზოგიც რამდენიმეთი. სთხოვეთ ბავშვებს, დათვალონ ყვავილებზე კვირტების რაოდენობა და შესაბამის ქოთანში „ჩარგონ“. აირჩიონ მეგობარი, რომელიც მათ ნამუშევარს გადაამოწმებს. შემდეგ ქოთნები კვირტების რაოდენობის მიხედვით დაალაგონ.

ეზოს აქტივობები

- დაეხმარეთ ბავშვებს პიკნიკისათვის თბილად ჩაიცვან. ჩაალაგეთ კალათში სასუსნავი და ხელსახოცები. ეზოში შეარჩიეთ შესაფერისი ადგილი და ძირს წყალგაუმტარი ნაჭერი დააფინეთ. ზემოდან თბილი გადასაფარებელი გადააფარეთ. თუ ძალიან ცივა, მაშინ პიკნიკი შეგიძლიათ საკლასო ოთახის იატაკზე მოაწყოთ.

მეცნიერება

- პენოპლასტის სინებიდან გამოჭერით თევზები, გველები და სხვა წყლის ცხოველები, ისინი წყალზე იტივტივებენ. მოიმარაგეთ საგნები, რომლებიც წყალში იძირება. მიეცით ბავშვებს საშუალება, ცდები ჩაატარონ. ყურადღება გაამახვილეთ ბავშვების აღმოჩენებზე. მოიმარაგეთ სათევზაო ბადეები და აბრები „ტივტივებს“, „არ ტივტივებს“. წაახალისეთ ბავშვები, ითევზაონ და ამოღებული საგნები შესაბამისი აბრის ქვეშ დააწყონ.

კულინარია



- მოიმარაგეთ ერთჯერადი ჭიქები და თითოეულს თითოეული ბავშვის სახელი დააწერეთ. მიეცით ბავშვებს ფორთოხლის ან ყურძნის წვენი და სთხოვეთ, ჩაასხან საკუთარ ჭიქაში.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, იხალისეს თუ არა შემოთავაზებული თემით?
- რა მოეწონათ ყველაზე მეტად?

3. შობა-ახალი წელი

დილის წრე

- იმღერეთ საშობაო სიმღერა.
- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა შობის შესახებ. წაახალისეთ ისინი. გიამბონ თავიანთი პირადი გამოცდილების შესახებ.
- ისაუბრეთ შობის და ახალი წლის შესახებ.
- სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ, რას ელიან შემდეგი წლისგან. ბავშვებმა თავიანთი სურვილები დაასახელონ. ჩამოწერეთ სურვილების სია და შეინახეთ კონვერტში.

- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა შობაა.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ნაძვის ხის ტოტები (15-30სმ.). სკოჩით ერთმანეთზე დაამაგრეთ. დაურიგეთ ბავშვებს, ასევე მიეცით სახატავი ფურცლები და თეფშზე დასხმული საღებავი. სთხოვეთ, ტოტები ფუნჯად გამოიყენონ და დახატონ ნახატი.
- დაამზადეთ საახალწლო ნახატების შაბლონები (დანართი 2.10.2). დაეხმარეთ ბავშვებს შაბლონები ფანჯარას მიადონ, უძრავად გააჩერონ და „თოვლი“ მიასხურონ.

მუსიკა და მოძრაობა

- თუ იატაკის ზედაპირი საშუალებას გვაძლევს, სთხოვეთ ბავშვებს, გაიხადონ ფეხსაცმელები, ჩართეთ მუსიკა და წარმოიდგინონ, რომ ციგურებით სრიალებენ. შემდეგ სთხოვეთ გასრიალდნენ ხალიჩაზე და გამოიტანონ დასკვნები.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ პატარა ქისები ზანზალაკების ჩასაწყობად. ჩანთებს 1-დან 5-მდე ციფრები დააწებეთ. ქისებში სხვადასხვა ზომისა და ჟღერადობის ზანზალაკები ჩააწყვეთ. სთხოვეთ, დააწყონ ისინი წონის მიხედვით, ყველაზე მსუბუქიდან – ყველაზე მძიმემდე, ასევე ჟღერადობის მიხედვით, ყველაზე მაღალი ხმის ზანზალაკიდან – დაბალი ხმის ზანზალაკამდე ან ციფრების მიხედვით.

- *საახალწლო ბინგო.* დანართის მიხედვით დაამზადეთ ბინგოს ბარათები, ასევე გამოჭერით წითელი წრეები და დაამზადეთ „ირმის ცხვირები“. სთხოვეთ ბავშვებს, დააწყონ „ირმის ცხვირები“ იმ ბარათებზე, რომლის ნახატსაც დაასახელებთ (დანართ 2.10.3.).

დრამატული



- მოიმარაგეთ პრიალა ქაღალდები, ფერადი ლენტები და ცარიელი ყუთები. მოაწყვეთ „საჩუქრების შემფუთველი პუნქტი“ და სთხოვეთ ბავშვებს, საჩუქრები შეფუთონ.

წიგნიერება

- წაახალისეთ ბავშვები, თოვლის ბაბუასთვის გასაგზავნი წერილი გიკარნახონ. მოამზადეთ წერილები ჩრდილოეთ პოლუსზე გასაგზავნად (ბავშვებმა წერილები გააფორმონ).
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.
- წაუკითხეთ „ტოპო-ტიპი ახალ წელს ელოდება“. ესაუბრეთ სიკეთისა და სხვების დახმარების მნიშვნელობაზე.[1]

1 კასალისი ა. 2007. ტოპო-ტიპი ახალ წელს ხვდება. ქართ. ტექსტი: თ. მამულაშვილი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი.

- ესაუბრეთ საახალწლო ლექსიკაზე, ათამაშეთ სიტყვებით. ერთი ბავშვი ჩაიფიქრებს ახალ წელთან დაკავშირებულ სიტყვას. ეტყვის მეორე გუნდის წევრს. მეორე ცდილობს ერთი მინიშნებით აუხსნას თავის გუნდელს. მაგ. ჩაფიქრებულია: „ნაძვის ხის სათამაშო“. მინიშნება – „მას ნაძვის ხეზე კიდებენ“.

მეცნიერება

- გამოიცანი, რა უფრო მალე დაადნობს ყინულს (მარილი, შაქარი, თბილი წყალი, მარილიანი წყალი თუ არაფერი)? დადეთ პატარა ყინულის კუბები და ჩაატარეთ ცდა. გააკეთეთ შედეგების გრაფიკი.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, თუ აქვთ ოჯახში რამე საშობაო ტრადიცია?
- რა გაიგეს ახალი შობა-ახალი წლის შესახებ?

4. საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოები

დილის წრე

- იმღერეთ და ამღერეთ რომელიმე სიმღერა ნაძვის ხეზე.
- ალაპარაკეთ, რა ხდება ახალ წელს, რა უხარიათ ყველაზე მეტად?
- ჰკითხეთ, თუ იციან, ვინ არის მეკვლე, რატომ არის მნიშვნელოვანი კარგი ადამიანის შემოსვლა ოჯახში. უთხარით, როგორ უნდა დაილოცონ, თუ ოჯახმა მეკვლეობის ფუნქცია დააკისრათ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი – ჩემი, კვალი – ანგელოზისა“. კეთილი ადამიანის შემოსვლა და დალოცვა რა კვალს ტოვებს, ის ხომ არ ჩანს? მათ თუ სჯერათ ამ ტრადიციის? გაახსენეთ, როგორ ხასიათზე დგებიან, როდესაც ოჯახში სასურველი სტუმრებია.
- ესაუბრეთ: ნაძვის ხე, რისი სიმბოლოა ის? როგორი ნაძვი მოსწონთ? (ვერცხლისფერი, მწვანე, ხელოვნური, ბუნებრივი) ისაუბრეთ თითოეულის უპირატესობაზე, ისაუბრეთ იმაზეც, რომ ორი კვირის გამო ნაძვი, ცოცხალი არსება, ცოდოა მოსაჭრელად. შესთავაზეთ ალტერნატიული ვარიანტი: ნაძვი შეიძლება იყოს ქოთანში და მერე დაირგოს ან შეიძლება მოირთოს ხელოვნური ნაძვი და კედელზე სიმბოლურად ერთი პატარა ტოტი გააფორმონ.
- რა არის ჩიჩილაკი? უთხარით, რომ ის ქართული ტრადიციაა, ნაძვი – საერთაშორისოა.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა საახალწლო ნაძვის ხე და სათამაშოებია.

ხელოვნება

- *საახალწლო ნაძვის ხის დამზადება დიდი ზომის მწვანე მაუდის ან ხავერდის ქსოვილისაგან.* დიდი ზომის მუყაო დაახვიეთ კონუსისებურად. დაამაგრეთ დიდი სტეპლერით. ზედ შემოახვიეთ დიდი მწვანე ხავერდის ან მაუდის ნაჭერი. ნაძვის ხე გამოიყენეთ ბავშვების მიერ დამზადებული სათამაშოების დასამაგრებლად.
- პატარა ზომის ბუშტების გამოყენებით, პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით დაამზადეთ ბავშვებთან ერთად ნაძვის ხის სათამაშოების ზომის ბურთები. გამოიყენეთ სხვადასხვა ტექნოლოგიები ბურთების გასაფორმებლად.
- წინასწარ დაახატვინეთ ბავშვებს ნახატები საახალწლო თემებზე, შემდეგ გამოაჭრევინეთ პატარა დეტალები და დააწებებინეთ ბურთებზე. დარჩენილი ადგილები გააფერადონ.
- მაუდის ნაჭრისგან გამოაჭრევინეთ ბავშვებს წინდები შაბლონის მიხედვით. გააფორმებინეთ მაუდის ნაჭრის აპლიკაციებით.

მოძრაობა



- ჩართეთ მხიარული მუსიკა, დაკუჭული ქაღალდებისგან გააკეთეთ გუნდები და „იგუნდავეთ“.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი – იპოვე 3 წყვილი ერთნაირი სათამაშო (დანართი 2.10.4.).
- სამუშაო ფურცელი – დაითვალე რამდენია და ცარიელ უჯრაში იმდენი წერტილი ჩასვი (დანართი 2.10.5.).
- გამოჭერი საახალწლო ორნამენტები და გააფერადეთ. (დანართი 2.10.6.)

წიგნიერება

- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან (4-5 წ. ზამთარი და შობა-ახალი წელი).
- ნაძვის ხის სათამაშოები. ვედროში ჩადგით ტოტი, მიწა დააყარეთ, რომ გამყარდეს. სთხოვეთ ბავშვებს, თავიანთი (ხელოვნება) გაკეთებული სათამაშოები ხეზე სკრეპების გამოყენებით ჩამოკიდონ. წაახალისეთ ბავშვები, ზღაპარი მოიფიქრონ ამ ხის შესახებ. ყველამ თითო წინადადებით მაინც შეიტანოს წვლილი. ზღაპარი ჩაიწერეთ.

მეცნიერება

- ბავშვების თვალწინ ძველი ნაქსოვი ხელთათმანი დაარღვიეთ. ბავშვებმა ნახონ, რომ ის ერთი გრძელი ძაფისგან შედგება. მიეცით თითოეულ ბავშვს 20 სანტიმეტრის სიგრძის ძაფი და სთხოვეთ, დაშალონ. ისინი აღმოაჩენენ, რომ ძაფი შედგება უფრო წვრილი, მჭიდროდ დაგრეხილი ძაფებისგან. რაც უფრო მეტი ფენა ძაფია, მით უფრო თბილი გამოვა ამ ძაფისგან ნაქსოვი ხელთათმანი.
- სთხოვეთ ბავშვებს, შინიდან თავიანთი ხელთათმანები მოიტანონ (ყოველი შემთხვევისთვის იქონიეთ მეტობით). ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რაში ვიყენებთ მათ. ხელებს სიცივისგან ვიცავთ. აჩვენეთ ბავშვებს გაზქურის ხელთათმანი, ისაუბრეთ მათ დანიშნულებაზე – ხელებს ცხელი საგნებისგან ვიცავთ. ჰკითხეთ ბავშვებს, შეუძლიათ მათ ხელების სიცივისგან დაცვა? მიეცით თითოეულ ბავშვს გაზქურის ხელთათმანი, ყინული და ხელსახოცი. სთხოვეთ, ერთ ხელზე ხელთათმანი ჩამოიცვან და სცადონ, იმდენ ხანს დაიჭირონ ყინული თითოეული ხელით, რამდენ ხანსაც კომფორტული იქნება, შემდეგ ხელსახოცზე დადონ. რა დაკვირვება გააკეთეს? შეუძლია გაზქურის ხელთათმანს სიცივისგან დაცვა?

კულინარია



- ფხვიერი ნამცხვრებისაგან ააშენებინეთ ბავშვებს სახლების კონსტრუქცია და გააფორმებინეთ თეთრი მინანქრით.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა ისწავლეს სასარგებლო? გამოიყენებენ თუ არა ბაღში ნასწავლს შინ საახალწლო სამზადისისას?

5. თოვლის ბაბუა და საჩუქრები

დილის წრე



- გააფორმეთ მუყაოს დიდი ყუთი, როგორც საჩუქარი, შიგ იდოს სათამაშო თოვლის პაპა. შეფუთეთ და გაბანტეთ ისე, რომ ძირი ადვილად გაუხსნათ. დილის წრეში ბავშვებს ამ ყუთთან ერთად დახვდით.
- ათამაშეთ „რა საჩუქარი გსურს“: ბავშვი გამოდის და მხოლოდ თქვენ განდობთ, რა საახალწლო საჩუქარი ჩაიფიქრა. თქვენ ამას მის სახელთან ერთად წერთ საკანცელარიო პატარა ფერად ბარათზე. ბავშვები ცდილობენ გამოიცნონ, რა ჩაიფიქრა მეგობარმა. ასე გამოგყავთ თითოეული და ამოცნობილ სურვილებს ყუთს აწებებთ.
- უთხარით, რომ ყუთში ვიღაც ზის. გამოიცნონ, ვინ შეიძლება იჯდეს საახალწლო საჩუქრების სურვილების ყუთში. ამოიღეთ სათამაშო თოვლის პაპა და უთხარით, რომ დღის თემაა: თოვლის პაპა და საჩუქრები.

ხელოვნება



- ჩაიწერეთ ბავშვების სურვილები ქაღალდზე და სთხოვეთ, გააფორმონ შესაბამისი ნახატებით. დაამზადებინეთ ბავშვებს ქაღალდის კონვერტები. დააწერეთ მისამართები ბავშვების კარნახით.
- თიხის ქოთნის თოვლის ბაბუა. შეიძლება გამოიყენოთ წაგრძელებული ან მომრგვალებული ფორმის ქოთანი. გადმოაბრუნეთ, შეაღებინეთ ბავშვებს თეთრად, შემდეგ წაუსვან წებო ემულსია და მოაყარონ მანანის ბურღული ისე, რომ დაიფაროს ზედაპირი, დაუმაგრონ მარცვლის თვალები, ცხვირ-პირი და ხელები ფერადი ქაღალდისაგან.
- მოიმარაგეთ დიდი ზომის გირჩები, ბამბა, წებო ემულსია და პლასტელინი. დაუმაგრეთ გირჩს თვალები და ცხვირი პლასტელინისგან და წვერები ბამბისგან. გაუკეთეთ ფეხები პატარა ტოტებით.
- დაგჭირდებათ ცარიელი მინის ქილები, ქვამარილი და ფერადი წვიმები. სთხოვეთ ბავშვებს, შეურიონ ქვამარილს წვიმები და ჩაყარონ ქილაში. დაახურეთ თავსახური მჭიდროდ და გადმოატრიალეთ. დაამაგრებინეთ ქილაზე მოძრავი თვალები, ქაღალდისგან გამოჭრილი სტაფილოს ფორმის ცხვირი, პირი, ღილები და ხელები.
- მოიმარაგეთ ფერადი სქელი ქაღალდი და მაუდი. დაამზადებინეთ ბავშვებს მისალოცი ბარათები. აპლიკაციების საშუალებით გააფორმეთ მისალოცები საახალწლო თემებზე: ნაძვის ხე, სათამაშო, საჩუქარი, თოვლის ბაბუა და ა.შ.

დრამატული



- მაღაზიობანა. ბავშვებმა მაღაზიაში უნდა შეარჩიონ საახალწლო საჩუქრები ახლობლებისთვის, ზოგი გამყიდველია, ზოგიც – მყიდველი. გამოიყენეთ მუყაოს ყუთები და შესაფუთი ქაღალდი. შეაფუთინეთ და გააფორმებინეთ მუყაოს ყუთები საახალწლო საჩუქრების ჩასაწყობად;

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი – რომელი ყუთი რომელი საჩუქრისაა (დანართი 2.1„0.7.).
- სამუშაო ფურცელი – აჩვენე სანტას გზა სახლამდე (დანართი 2.10.8.).

წიგნიერება

- ისაუბრეთ, რატომ ზეიმობენ ახალ წელს? რა არის იმედი. აღწერონ როგორი უნდა იყოს კეთილი წელიწადი? თავად რას მოელიან ახალი წლისგან? როგორი საჩუქარი უნდათ? იქნებ დიდებისთვის თვითონაც გაეკეთებინათ საჩუქარი (ნახატი, მისალოცი).
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.
- წაახალისეთ ბავშვები, თოვლის ბაბუისთვის გასაგზავნი წერილი გიკარნახონ. მოამზადეთ წერილები ჩრდილოეთ პოლუსზე გასაგზავნად (ბავშვებმა გააფორმონ).
- იქონიეთ ქართველი თოვლის ბაბუის და სანტა კლაუსის სურათები. აჩვენეთ ბავშვებს. სთხოვეთ და მიეხმარეთ, აღწერონ მათი გარეგნობა. რა აქვთ საერთო და რა განსხვავებული? ყურადღება გაამახვილეთ სიტყვებზე: „ჩოხა,“ „ქურქი,“ „ხურჯინი,“ „გუდა,“ „მარხილი,“ „ტომარა.“

მეცნიერება

- ჰკითხეთ ბავშვებს, სად უფრო მალე დადნება ყინული, შიშველ ხელზე თუ ხელთათმანზე. შემდეგ ჩაატარეთ ცდა.

კულინარია



- წინასწარ მოიმარაგეთ დანაწევრებული თხილი, შოკოლადი, კარამელი. სთხოვეთ ბავშვებს, აურიონ ყველაფერი ერთმანეთში და გააკეთონ პატარა გუნდები. ჩააწყონ სპეციალურ ქაღალდის ფორმებში ან ამოავლონ ფერად ქოქოსში.

საღამოს წრე

- მიეცით საშუალება, ისაუბრონ თოვლის პაპაზე. მოყვნენ ისტორიები თოვლის პაპასთან დაკავშირებით.
- რა ფილმები, მულტფილმები უნახავთ?

6. საახალწლო დეკორაციები

დილის წრე

- დილის წრესთან ჩამოკიდეთ საახალწლო გირლანდა.
- აჩვენეთ საახალწლოდ გაფორმებული სახლების, მაღაზიების, ქუჩების სურათები. ჰკითხეთ, ნაძვის ხის გარდა რა მორთულობები მიანიშნებს იმაზე, რომ ახალი წელია.
- ალაპარაკეთ, როგორ ისურვებდნენ მოერთოთ საკუთარი სახლი.
- უთხარით დღის თემა.

ხელოვნება



- წინასწარ დაამაგრეთ ხის ჩხირები ერთმანეთზე ისე, რომ მიიღოთ ფიფქის ფორმა: წებოს, ძაფის ან მავთულის მეშვეობით. სთხოვეთ ბავშვებს, წაუსვან ვერცხლისფერი აკრილის საღებავი და ამოავლონ დაქუცმაცებულ პენოპლასტში.
- დაურიგეთ ბავშვებს პატარა ზომის გაშლილი გირჩები და ოქროსფერი აკრილის საღებავი ან ბრჭყვიალა წებო და პატარა ზომის ბრჭყვიალა ფორმები და ბისერები. სთხოვეთ, გირჩების ბოლოები შეღებონ საღებავით და გააფორმონ დარიგებული დეკორატიული ელემენტებით. გამშრალი გირჩები შეგიძლიათ შემოუწყოთ ფართო დეკორატიულ სანთელს ან უბრალოდ დააწყოთ ფართო თეფშზე.
- მოიმარაგეთ ფორთოხალი და მანდარინი, მიხაკის ღეროები. სთხოვეთ ბავშვებს, ჩაარჭონ მიხაკის ღეროები ციტრუსებს, დააყარონ ბრჭყვიალები, დაეხმარეთ ბავშვებს, შემოახვიონ ლენტები და ჩამოკიდონ სურნელოვანი ბურთები.
- მოიმარაგეთ კაკლები, შეაღებინეთ ბავშვებს ოქროსფერი საღებავით, შემდეგ კი წვრილი თოკით გამონასკვეთ თითოეული და გადააბით ერთმანეთს.

წიგნიერება

- ისაუბრეთ საახალწლო სუფრაზე. რა უყვართ ყველაზე მეტად? თუ უჭამიათ გოზინაყი სხვა დროს? რით შეიძლება დაეხმარონ უფროსებს საახალწლო სამზადისის დროს?
- ისაუბრეთ, რა წესების დაცვაა საჭირო ფეიერვერკების და მაშხალების გაშვების დროს.
- ისაუბრეთ კალენდარზე, რომ წლებს ქრისტეს დაბადებიდან ვითვლით.
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან (4-5 წ. ზამთარი და შობა-ახალი წელი).

სამაგიდო



- დანართიდან ამოჭერით ნამცხვრები. სთხოვეთ ბავშვებს, იმდენი ნამცხვარი ჩადოს დახატულ ქილაში, რამდენი რიცხვიც აწერია (დანართი 2.10.9).
- წინასწარ ამოჭერით სხვადასხვა ფორმის ნაძვის ხის სათამაშოები და ბავშვებს დააწებებინეთ შესაბამის ადგილას (დანართი 2.10.10.).

კულინარია



- მოიმარაგეთ პატარა კექსები, პლასტმასის დანები, შაქრის ჭიქურა, ნამცხვრის მოსართავი ფერადი ჩხირები, დაბადების დღის სანთლები. დაურიგეთ ბავშვებს და მიეცით საშუალება, თითომ თითო პატარა კექსი მორთოს, შემდეგ ჩაარჭონ სანთლები და ყველამ ერთად ჩააქროს.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა ისწავლეს ყველაზე საინტერესო შობა-ახალ წელთან დაკავშირებით?
- რა უხარიათ ახალ წელს ყველაზე მეტად?

სამგანზომილებიანი ფორმები

1. სფერო
2. ცილინდრი
3. კუბი
4. კონუსი
5. პირამიდა, პრიზმა

1. სფერო

დილის წრე

- გაბერეთ საპნის ბუშტი. ჰკითხეთ, რა ფორმა აქვს ბუშტს, ბურთს?
- აჩვენეთ ბავშვებს სფეროს ფორმის საგნები. სთხოვეთ, დახუჭონ თვალები, ხელით მოსინჯონ და დაიმახსოვრონ როგორი ფორმაა.
- მოაძებნინეთ ოთახში ან ჩამოათვლევინეთ, რა საგნები იციან, რასაც სფეროს ფორმა აქვს?

ხელოვნება



- პაპიე-მაშეს ფეხბურთის, ჩოგბურთისა და რაგბის ბურთების დამზადება. სხვადასხვა ზომაზე გაბერილი საჰაერო ბუშტებითა და პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით ბავშვებთან ერთად დაამზადეთ სხვადასხვა ფორმის ბურთები, გაშრობის შემდეგ შეაღებვინეთ ფეხბურთის, რაგბისა და ჩოგბურთის ბურთების ფერებში.
- გაბერილი ბუშტის გამოყენებით თევზების დამზადება. პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით დაამზადეთ მრგვალი ფორმის თევზის ფიგურა. პრიალა მყარი ნაჭრისგან გამოაჭრევინეთ ბავშვებს ფარფლები და კუდი. სთხოვეთ ბავშვებს, დააწებონ ფარფლები ფორმას და დაუმაგრონ თვალები.
- პაპიე-მაშეს ბუს დამზადება; პაპიე-მაშეს ტექნოლოგიით დაამზადეთ მრგვალი ფორმის ბუს ფიგურები, დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, შეღებონ და მოხატონ. ფერადი მუყაოსგან ან ბუმბულისგან დაუმზადეთ ფრთები, კუდები და ფეხები, დააწებონ ტანზე. დაამაგრონ თვალები.

მოძრაობა



- გააბით ოთახში თოკი, ჩამოკიდეთ ბუშტები, წაახალისეთ ბავშვები ახტნენ მაღლა და შეეხონ ბუშტებს.
- კეგლი. აჩვენეთ ბავშვებს, როგორია კეგლის განლაგების წესი. გაახმოვანეთ ბავშვებთან ერთად: პირველ რიგში 1 კეგლი, მეორე რიგში 2 კეგლი, მესამე რიგში 3 კეგლი, მეოთხე რიგში 4 კეგლი. ბოლოს, ერთად დათვალეთ ყველა კეგლი, იმის შესამოწმებლად, რომ სულ 10 კეგლი ჩამწკრივდა. თუ იატაკზე პატარა მისაწებებელი წრეებით მონიშნავთ კეგლის განლაგების წესს, მცირე ასაკის ბავშვებსაც გაუადვილდებათ კეგლის სწორად განთავსება. იმისთვის, რომ მეტი ბავშვი იყოს ჩართული თამაშში, უმჯობესია, კეგლი ოთახის ცენტრში იყოს განლაგებული, ხოლო მის გარშემო რამდენიმე სასროლი ბანაკი (კალათა, ჯამი ან ყუთი) მოამარაგოთ ბურთებით. შემდეგ, შეგიძლიათ ბავშვებს სთხოვოთ, თავისი ფანტაზიით განალაგონ კეგლი და ნახონ, რამდენად ადვილად წაიქცევა.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, ცომისგან სხვადასხვა ზომის ბურთულები გააკეთონ. შემდეგ სიდიდის მიხედვით ერთმანეთს მიაწებონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „თხილბურთელები“.
- სთხოვეთ, ჩამოთვალონ რომელი ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული არის სფეროს ფორმის?

საღამოს წრე

- რომელი აქტივობა მოეწონათ?
- ჩამოათვლევინეთ სფეროს ფორმის საგნები.

2. ცილინდრი

დილის წრე

- წინასწარ მოიმარაგეთ მუყაოსგან გაკეთებული ცილინდრის ფორმები; აჩვენეთ ბავშვებს დილის წრეზე ან დაკიდეთ გამოსაჩენ ადგილას.
- აჩვენეთ ბავშვს ცილინდრის ფორმის საგანი. სთხოვეთ, დახუჭოს თვალები და ხელით მოსინჯოს და დაიმახსოვროს როგორი ფორმაა. ასე გაიმეორეთ ყველასთან.

ხელოვნება



- ცილინდრებისგან ქუდების დამზადება. წინასწარ მოიმარაგეთ ქაღალდის მუყაოს ცილინდრები, დაურიგეთ ბავშვებს. სთხოვეთ, შემოხაზონ ფურცელზე წრე ცილინდრის ზომის მიხედვით, ამ წრის გარშემო კიდევ შემოხაზონ უფრო დიდი წრე. დიდი წრე და გული გამოჭრან, მიამაგრონ სკოჩით ცილინდრს. შეუძლიათ გააფორმონ ქუდები ფერადი ქაღალდის აპლიკაციით, ზონრებით და ბუმბულებით.



- ქაღალდის ცილინდრებისგან დურბინდების დამზადება. მოიმარაგეთ ქაღალდის ცილინდრები და საშუალო სისქის თოკები. დადეთ ორი ცილინდრი ერთმანეთის გვერდით, სთხოვეთ ბავშვებს, გაუყარონ თოკი ორივე ცილინდრში ისე, რომ თოკის საშუალებით დამაგრდეს ცილინდრები ერთმანეთის პარალელურად. გააფორმონ დურბინდი ფერადი ქაღალდის აპლიკაციით ან სტიკერებით, შეგიძლიათ ცილინდრზე დაამაგროთ კიდევ ერთი თოკი კისერზე ჩამოსაკიდად.



მოძრაობა



- სთხოვეთ ბავშვებს დადგნენ წრეზე, წრის შუაგულში დადგით ცილინდრის ფორმის ბოძი, რომელზეც გაბმულია გრძელი თოკი. თოკის მეორე ბოლო დაიჭირეთ და დაატრიალეთ თოკი წრეზე ისე, რომ ბავშვებმა გადახტომა შეძლონ.

სამაგიდო



- სხვადასხვა ფორმის მძივები. დაურიგეთ ბავშვებს ცილინდრისა და სფეროს ფორმის ხის მძივები და ნიმუშები, სადაც ნაჩვენებია მძივების თანმიმდევრობა. სთხოვეთ ბავშვებს, აასხან მძივები ზონარზე, ნიმუშის მიხედვით (დანართი 3.11.1.)

წიგნიერება

- წაუკითხეთ „ცილინდრი“ წიგნიერების დანართიდან.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, მხოლოდ ცილინდრებისგან ააშენონ კოშკი.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ წრიული ფორმის საგნები, მაგალითად, ცილინდრის ფორმის ჩიფსის ყუთი, თასის თავსახურები, ბურთი და ქაღალდის თეფში. ასევე – საგნები, რომლებსაც მრგვალი ფორმა არ აქვს, მაგალითად, წიგნი, კუბი და ფაზლის ნაწილი. წაახალისეთ ბავშვები, გამოიცნონ, რომელი საგანი გაგორდება, შემდეგ კი სთხოვეთ, სცადონ თითოეული მათგანის გაგორება. საგნები დაახარისხონ „მგორავ“ და „არამგორავ“ საგნებად. რა აქვთ საერთო საგნებს, რომელთა გაგორებაც შესაძლებელია?

საღამოს წრე

- რა გაიგეს ცილინდრზე?
- რა გვხვდება ცილინდრის ფორმის?

3. კუბი

დილის წრე

- წინასწარ მოიმარაგეთ კუბის ფორმის ყუთები. ჰკითხეთ ბავშვებს, რა ფორმისაა ყუთის გვერდები. უთხარით, რომ ამ ფორმას კუბი ჰქვია.
- აჩვენეთ ბავშვს კუბის ფორმის საგანი. სთხოვეთ, დახუჭოს თვალები, ხელით მოსინჯოს და დაიმახსოვროს, როგორი ფორმაა. ასე გაიმეორეთ ყველასთან.

ხელოვნება



- „მინის სახლი“ წინასწარ მოიმარაგეთ დისკების ცარიელი ყუთები და სკოჩი. სთხოვეთ ბავშვებს, ცარიელი დისკების ყუთები გახსნან და მოხატონ შიგნიდან, გაშრობის შემდეგ დახურეთ და დაეხმარეთ ბავშვებს გამჭვირვალე სკოჩის მეშვეობით გადააწებონ ყუთები ერთმანეთს ისე, რომ ააწყონ სახლის ფორმის კონსტრუქცია.

მოძრაობა



- *„ფორმების ამოცნობა“.* კუბის ფორმის ყუთისგან გააკეთეთ დიდი კამათელი. გვერდებზე დააწებეთ ფურცლები, რომლებზეც სხვადასხვა ფორმებია გამოსახული (მაგ. წრე, სამკუთხედი, კვადრატი, რომბი, მართკუთხედი, ოვალი); ბავშვებს სათითაოდ გააგორებინეთ კამათელი. რა ფორმაც დაჯდება, იმ ფორმის საგანი უნდა იპოვოს და დაასახელოს „მე ვიპოვე…

სამაგიდო



- ნატიფი მოტორიკა. ბავშვებს პლასტელინის, ცომის ან თიხისაგან ნიმუშის მიხედვით დაამზადებინეთ სამგანზომილებიანი ფორმები.
- მათემატიკა. გამოიყენეთ (დანართი 3.11.2.) „ფორმები და პოზიცია“, სადაც სხვადასხვა ფორმები სხვადასხვა პოზიციაშია გამოსახული. ჰკითხეთ ბავშვს, რომელი ფორმაა შუაში? რომელია შუა ფორმის ზევით/ქვევით?

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან: „მათემატიკოსი კურდღელი“.

კონსტრუქციული



- კუბებისგან შენობის აშენება.

საღამოს წრე

- გაიმეორეთ: სფერო, ცილინდრი.
- ჩამოთვალეთ კუბის ფორმის საგნები.

4. კონუსი

დილის წრე



- წინასწარ მოიმარაგეთ კონუსის ფორმის სადღესასწაულო ქუდები. უთხარით ბავშვებს, რომ ამ ფორმას კონუსი ჰქვია და რომ დღევანდელი დღის თემა კონუსია.

ხელოვნება



- „პომპონების ნაყინი“ მუყაოსაგან დაამზადებინეთ კონუსები და შეკარით სტეპლერის დახმარებით. დაამზადებინეთ სხვადასხვა ზომის პომპონები და სთხოვეთ, კონუსებში ჩაალაგონ.
- დაამზადებინეთ ბავშვებს სანაყინესთვის სარეკლამო აბრა, მენიუ.

მოძრაობა



- **მოხტუნავე ცხოველები** – ჩართეთ მუსიკა და სთხოვეთ ბავშვებს, იხტუნონ ისე, როგორც სხვადასხვა ცხოველი ხტუნავს: კურდღელი, ბაყაყი, კენგურუ და ა.შ.

სამაგიდო



- ამობეჭდეთ დანართი 3.11.3. დაურიგეთ ბავშვებს. სთხოვეთ, დაასახელონ და დაითვალონ ფორმები.

დრამატული



- „მხიარული სანაყინე“ გამოიყენეთ ბავშვების მიერ ხელოვნების ცენტრში გაკეთებული ნაყინი. ერთად მოაწყვეთ ერთი კუთხე, როგორც სანაყინე, მაგიდა გამოიყენეთ დახლად, დაამაგრეთ დიდი ქოლგა ან გადააფარეთ რაიმე დიდი ზომის ქსოვილი, როგორც ტენტი. პატარა ზომის პლასტმასის კონტეინერებში ჩაყარეთ სხვადასხვა ფერის პონპონები და დადგით დახლზე. ასევე დაგჭირდებათ სათამაშო სალარო და ფული. გაუნაწილეთ ბავშვებს გამყიდველისა და მყიდველის როლები, თქვენც ჩაერთეთ თამაშში, რიგ-რიგობით შეიძინონ სასურველი ნაყინი.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ყვინჩილა“ (ზაფხულის დანართიდან 3-4 წ.).
- შესთავაზეთ, მოიფიქრონ, რა იცხოვრებდა კონუსის ფორმის სახლში? მიეცით საშუალება, იფანტაზიორონ.

საღამოს წრე

- გაიმეორეთ: სფერო, კუბი, ცილინდრი.
- ჩამოთვალეთ, რა გვხვდება ცილინდრის ფორმის.

5. პირამიდა. პრიზმა

დილის წრე



- აჩვენეთ და შემდეგ დახუჭული თვალებით „შეაგრძნობინეთ“ ბავშვებს პირამიდისა და პრიზმის ფორმის საგნები.
- უთხარით, რომ დღევანდელი თემაა – პირამიდა და პრიზმა.
- ჰკითხეთ, თუ უნახავთ ეს ფორმები? სად?

ხელოვნება



- სხვადასხვა ფორმის ცნობილი შენობების ფოტოების დათვალიერება და მაკეტების დამზადება.(პირამიდა, ცათამბჯენი და ა.შ.). აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვა დროის ცნობილი შენობების სურათები (პირამიდა, ცათამბჯენი, ტაძრები და სასახლეები). დაურიგეთ პირამიდის მაკეტის შაბლონი და სთხოვეთ, გამოჭრან და გადააწებონ მონიშნულ ადგილებზე. დამზადებული მაკეტი შეღებონ გუაშის საღებავით.
- ფორმების ძერწვა. დაურიგეთ ბავშვებს პლასტელინის ან თიხის ნაჭრები, სთხოვეთ, გამოძერწონ საკუთარი გამოგონილი, უცნაური ფორმები და დაარქვან მათ სახელები.

სამაგიდო



- მათემატიკა. სამგანზომილებიანი ფორმების რაოდენობის შედარება (დანართი 3.11.4.).

მეცნიერება

- მარილის კრისტალების დამზადება. ერთ წილ სუფრის მარილს დაასხით ორი წილი წყალი. მოურიეთ და დადგით ცეცხლზე, უნდა ურიოთ წყლის სრულ აორთქლებამდე და მარილის დაკრისტალებამდე. შემდეგ ეს კრისტალები აჩვენეთ ბავშვებს, მოუყევით, როგორ მზადდება ისინი და ისაუბრეთ მათ ფორმებზე.

სენსორული

- ტომარაში ჩაყარეთ სხვადასხვა ფორმის კუბები (ბირთვი, კუბი, კონუსი, ცილინდრი). ბავშვებმა ხელის მოკიდებით უნდა გამოიცნონ, რა ფორმაა. არ არის აუცილებელი დასახელება. მინიშნებისთვის დაიხმარეთ ფურცელზე გამოსახული სამგანზომილებიანი ფორმები. ბავშვებს სთხოვეთ, ნახატზე გაჩვენონ, რომელი ფორმა უჭირავთ, შემდეგ თქვენ გაახმოვანეთ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „პატარა პირამიდა“ წიგნიერების დანართიდან.
- შესთავაზეთ, გამოიგონონ და გიამბონ, რომელიმე შენობის თავგადასავალი. მიეხმარეთ, მიეცით მინიშნებები (ვთქვათ, კოშკს არ მოსწონდა, რომ ამსიმაღლე იყო და პატარა ჯიხურთან ვერ მეგობრობდა ან პატარა ფიცრულს პატრონები დაეკარგა, ან სტადიონს დაბადების დღე გადაუხადეს და ა. შ.).

საღამოს წრე

- შეაჯამეთ, რა ფორმებია პირამიდა, პრიზმა.
- გაიმეორეთ ყველა თქვენ მიერ შესწავლილი ფორმა.
- დაასახელეთ საგნები და სთხოვეთ, თქვან ან ნიმუშზე გაჩვენონ, რა ფორმისაა ესა თუ ის საგანი.

შეგრძნებები

1. თვალი და მხედველობა
2. ყური და სმენა
3. ცხვირი და ყნოსვა
4. პირი და გემო
5. კანი და შეხება

- წინასწარ მოიმარაგეთ ლამინირებული ნახატი ან დიაგრამა ყურის, თვალის, ცხვირის, ენის, ხელის (დანართი 2.12.1. იხ. 4-5 წლიანების დანართი. თემა „შეგრძნებები“).

1. თვალი და მხედველობა

დილის წრე:

- ჰკითხეთ ბავშვებს, რითი ვხედავთ. რისი დანახვა შეგვიძლია (როგორია საგანი ფერით, ფორმით, სიდიდით)?
- სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვალონ ის ნივთები, რომლებიც უკეთ დანახვის საშუალებას გვაძლევენ (სათვალე, დურბინდი, გამადიდებელი შუშა, მიკროსკოპი).
- ათამაშეთ „მოძებნე და იპოვე.“ ჩაიფიქრეთ ჯგუფიდან რაიმე საგანი, ისეთი რამ, რაც ბავშვების გარშემოა და უთხარით მათ: მე ვეძებ ყვითელ საგანს, ბავშვებმა უნდა მოძებნონ და გამოიცნონ რა არის. მაგ. ეს არის ლიმონი, თუ ვერ გამოიცნეს, თქვენ აძლევთ სხვა მინიშნებებს.

ხელოვნება



- ფერადი სათვალეები. სთხოვეთ ბავშვებს დახატონ მათთვის სასურველი ფორმის სათვალეები, გამოჭერით და სთხოვეთ, მოხატონ საღებავებით ან გააფორმონ სტიკერებით. მინის მაგივრად სტეპლერით დაამაგრებინეთ ფერადი ცელოფანი (დანართი 3.12.1.).

მოძრაობა



- პირველი გათამაშებისას მასწავლებელი, შემდეგ კი რომელიმე ბავშვი თვალებზე იხვევს ნაჭერს. ბავშვი უკრავს ტაშს, მასწავლებელი მიდის იქით, საიდანაც ისმის ტაში და ცდილობს ხელი მოჰკიდოს ტაშის დამკვრელს. შემდეგ იცვლებიან.

სამაგიდო



- მეხსიერება. „გამოიცანი, რა აკლია.“ აჩვენეთ ბავშვებს მათთვის ნაცნობი ნივთები (მაგ. მანქანა, წიგნი, ფანქარი, კოვზი, ჭიქა, სათამაშო ცხოველი). შემდეგ ამ ნივთებიდან რომელიმე მოათავსეთ ქსოვილის ქვეშ, დამალეთ. ბავშვებმა უნდა გამოიცნონ, რა აკლია (თუ ბავშვებს გაუჭირდებათ, შეამცირეთ ნივთების რაოდენობა).
- მეხსიერება. „დააბრუნე თავის ადგილას.“ დაალაგეთ პატარა ზომის საგნები უჯრედებიან (ჭადრაკულ) ზედაპირზე. დაახუჭინეთ ბავშვებს თვალები, შეუცვალეთ ნივთებს ადგილი, სთხოვეთ ბავშვებს, დააბრუნონ ეს ნივთები თავდაპირველ ადგილზე.
- ყურადღება. გამჭვირვალე პლასტმასის ბოთლში ჩაყარეთ პატარა საგნები (ფერადი ღილები, ფანქრები, გასაღები, ჭიკარტი, ბურთი, სხვადასხვა ფორმის მძივები). ჩაყარეთ მარილი, ისე რომ ბოლომდე არ აავსოთ და საგნებიც რომ კარგად დაიფაროს. საიმედოდ დაახურეთ ან დააწებეთ თავსახური. სთხოვეთ ბავშვებს, ბოთლის ტრიალით გამოაჩინონ ესა თუ ის დამალული საგანი (იქონიეთ საგნების სია, რომ გახსოვდეთ, რა ჩაყარეთ ბოთლში).
- შეავსეთ ცხრილი: ვის რა ფერის თვალები აქვს ჯგუფში.
- სამუშაო ფურცელი – დახატე, რისი დანახვაც შეგიძლია (დანართი 3.12.2.).

დრამატული



- გამოფენაზე. მოაწყვეთ ჯგუფში საგამოფენო დარბაზი. გამოფინეთ ბავშვების ნამუშევრები. წინასწარ დაამზადეთ გამოფენაზე შესასვლელი ბილეთები ან მოსაწვევები, აფიშა. გაანაწილეთ როლები, ზოგიერთი ბავშვი იქნება გიდი, ზოგი დამთვალიერებელი და ა.შ.

წიგნიერება

- მიეხმარეთ ბავშვებს შექმნან რთული სიტყვები, რომლის ნაწილიც არის „თვალი“. თქვენ ეუბნებით სიტყვას და ისინი ამატებენ „თვალს“, ზოგს წინ, ზოგს უკან. მაგალითად: ხარბი, ჟუჟუნა, ჩინი, ცისფერი, შავი, წარმტაცი, ლურჯი, მწვანე, ყური, ცრემლიანი და ა. შ. ესაუბრეთ გამოთქმაზე: „თვალის ჩინივით უფრთხილდება“ წაუკითხეთ: „სათვალე“ (იხ. დანართი) იმსჯელეთ, რატომ არ გამოადგა პატარა ბიჭს ბებოს სათვალე?

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ ფერადი ქსოვილი, აუკარით ბავშვებს თვალები და სთხოვეთ, ააშენონ კოშკი ახვეული თვალებით.

მეცნიერება

- მიეცით საშუალება პატარებს, გამოიყენონ რომელიმე ოპტიკური ხელსაწყო: იქნება ეს დურბინდი, სათვალე თუ გამადიდებელი შუშა. ესაუბრეთ ბავშვებს მათი დანიშნულების შესახებ.
- გამადიდებელი შუშით, სარკით, მზის, წყლის სათვალით, სხვადასხვა ფერის გამჭვირვალე ფირით მანიპულირება;

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა გაიგეს თვალების შესახებ?
- რას ნახავდნენ სიამოვნებით?

2. ყური და სმენა

დილის წრე:

- ჯგუფის ნახევარი იატაკზე წვება და ცალ ყურს იატაკზე დებს. დანარჩენები დახტიან და დარბიან. რა ვიბრაციას და ხმებს შეიგრძნობენ? შეცვალეთ ბავშვები.
- სთხოვეთ ბავშვებს, ხელი მოიკიდონ კისერზე. დააკვირდნენ ჩურჩულის, ლაპარაკის, ყვირილის, ბზუილის დროს.

ხელოვნება



- საყურის დამზადება სხვადასხვა მასალის გამოყენებით. გამოაძერწვინეთ ბავშვებს თიხისგან ბურთულები, გაშრობამდე გაახვრეტინეთ. მოხატონ გუაშის საღებავებით. ნახვრეტში გაუყარონ თასმა და ბავშვებმა ყურებზე ჩამოიკიდონ.
- „დავხატოთ მუსიკა“. მოასმენინეთ ბავშვებს მუსიკალური ნაწარმოები და თან დაახატვინეთ შთაბეჭდილებები.
- დაამზადებინეთ ბავშვებს სიმებიანი საკრავები მუყაოს ყუთისა და ძუის გამოყენებით. წინასწარ გახვრიტეთ მუყაოს ყუთის ორი, ერთმანეთის მოპირდაპირე მხარე და სთხოვეთ ბავშვებს, ძუა ნახვრეტებში ჯერ ყუთის ერთ მხარეს გაუყარონ, შემდეგ მეორე მხარეს, მერე ისევ პირველ გვერდზე და ასე მანამ, სანამ ყუთის ორ გვერდს შორის არ გაიბმება სიმები. მარტივი ვარიანტი: სთხოვეთ ბავშვებს შემოახვიონ კაპრონის წვრილი თოკი ყუთს ზემოთ აღწერილი პრინციპით. გააფორმეთ სიმებიანი საკრავი ფერადი ქაღალდებით ან ქსოვილებით.

- იოგურტის ქილებში ჩაყარეთ სხვადასხვა სახის მარცვლეული, თავები მჭიდროდ დახურეთ. 2-2 ქილა ერთმანეთს სკოჩით გადააბით, გააფორმებინეთ სტიკერებით. სთხოვეთ, ააჟღერონ მათ მიერ მომზადებული საკრავები და შეადარონ ხმები. გამოიყენეთ ბავშვების მიერ დამზადებული ინსტრუმენტები დრამატული თამაშის დროს.

მოძრაობა



- მუსიკალური ბოთლები. გაამზადეთ სხვადასხვა ზომის, ფორმისა და მასალის ბოთლები, სთხოვეთ, ჯერ ჩაბერონ ცარიელებს და შემდეგ წყლიანებს, შეადარებინეთ ხმები.
- მოასმენინეთ ბავშვებს სხვადასხვა ხმაურის აუდიოჩანაწერი.
- საიდან ისმის ზარის ხმა? მოიმარაგეთ ქსოვილები, აუხვიეთ ერთ ბავშვს თვალები, ერთს კი მიეცით ზარი და სთხოვეთ ააჟღეროს. თვალახვეული ბავშვი უნდა მიყვეს ზარის ხმას.
- მოასმენინეთ სხვადასხვა ჟანრის მუსიკა და სთხოვეთ ბავშვებს, სურვილის მიხედვით იმოძრაონ და იცეკვონ.
- ჩართეთ მუსიკა ან დაიწყეთ სიმღერა. მანამ სანამ მუსიკის ხმა ისმის, ყველა ცეკვავს (ბავშვები და მასაწავალებლები). როგორც კი მუსიკის ხმა წყდება და მასწავლებელი ხმამაღლა ამბობს – „გაშეშდი“ – ყველა შეშდება რამდენიმე წამით იმ პოზაში, რა პოზაშიც იყო ცეკვის დროს. შემდეგ ისევ გრძელდება მუსიკა ან სიმღერა და ყველანი აგრძელებენ ცეკვას. ამის გამეორება შეიძლება 5-6-ჯერ. თუ ოთახში ან დარბაზში ხართ და იქვე ხალიჩაა, შეგიძლიათ ბოლო გაშეშების შემდეგ ყველანი ნელ-ნელა დაეშვათ, წამოწვეთ ხალიჩაზე და რამდენიმე წუთი დაისვენოთ.

სამაგიდო



- გამოიყენეთ სამუშაო ფურცელი – დაუხატე ყურს საყურე (დანართი 3.12.3.).
- სამუშაო ფურცელი – დახატე, რისი მოსმენა შეგიძლია (დანართი 3.12.4.).

სენსორული

- „რისი ხმაა?“ მოიმარაგეთ სხვადასხვა საგნები, რომლითაც შეგიძლიათ ხმაური გამოიწვიონ. აუხვიეთ ბავშვებს თვალები, აახმაურეთ ეს საგნები რიგრიგობით, თვალახვეულმა ბავშვმა უნდა გამოიცნოს რისი ხმა ისმის.
- გამოიყენეთ ჩიფსების პატარა ყუთები (ან ნებისმიერი კონტეინერი, მაგ. ქინდერის კვერცხი, რომელშიც პატარა საგანი დაიმალება). წინასწარ მოიმარაგეთ სხვადასხვა ფაქტურისა და წონის პატარა საგნები: გასაღები, ლეგოს დეტალი, ზარი, ხურდა ფული, ბურთი. ჩაყარეთ კონტეინერებში. ბავშვებმა გამოიცნონ, რა დევს კონტეინერებში.

წიგნიერება

- ათამაშეთ „გაფუჭებული ტელეფონი“ შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ყურცქვიტა, ბგერა, ხმაური, გულისყური, სმენა, ექო, ყაყანი, ზუილი ბზუილი, ჭიკჭიკი და ა.შ.
- წაუკითხეთ: „რატომ აქვს სახედარს გრძელი ყურები“ (წიგნიერების დანართიდან).

დრამატული



- კონცერტზე. მოაწყვეთ ჯგუფში საკონცერტო დარბაზი, გაანაწილეთ როლები: მაყურებლების, მუსიკოსების. მუსიკოსებს დაურიგეთ ხელოვნების ცენტრში დამზადებული ინსტრუმენტები. სთხოვეთ ბავშვებს, ჩაატარონ კონცერტი.

მეცნიერება

- შუშის ჭურჭლის მუსიკა; მინის ჭიქებში სხვადასხვა დონეზე ჩაასხით წყალი, სთხოვეთ ბავშვებს მიუკაკუნონ კოვზები და გამოაცემინონ სხვადასხვა ხმა; როგორ ხმებს გამოსცემს ჭურჭელი?

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ყურის, სმენის შესახებ?
- რა უნდათ, რომ ესმოდეთ ყველაზე ხშირად?
- მჭიდროდ დახურეთ ფანჯრები და კარები, ბავშვებს სთხოვეთ, დაიცვან აბსოლუტური სიჩუმე, ერთი წუთის განმავლობაში მოასმენინეთ სიჩუმე. როგორი იქნებოდა სამყარო ხმების აღქმა რომ არ შეგვეძლოს?

3. ცხვირი და ყნოსვა

დილის წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რითი შევიგრძნობთ სხვადასხვა სუნებს.
- ჩამოთვალონ სასიამოვნო და უსიამოვნო სუნები.
- უთხარით, რომ ყნოსვის საშუალებითაც ვიგებთ ამა თუ იმ საგნის შესახებ. მაგ. როცა სამზარეულოდან გემრიელი სუნი მოდის, ვხვდებით, რომ იქ გემრიელი კერძები მზადდება. თუ რამეს ცუდი სუნი აქვს, იმის ჭამა არ გვინდება. თუ რამე იწვის, ცხვირი გვაფრთხილებს.
- უთხარით, რომ ზოგიერთ ცხოველს ძალიან აქვს განვითარებული ყნოსვის შეგრძნება. მაგ. ძაღლს. ჰკითხეთ, რისთვის იყენებს ძაღლი ყნოსვას.

ხელოვნება



- სურნელოვანი ყვავილების დამზადება. გამოაჭრევინეთ ბავშვებს წინასწარ დახატული დიდი ზომის ყვავილები. გულში დააწებებინეთ სხვადასხვა არომატის ბამბის ბურთები.
- წინასწარ მოიმარაგეთ ცარიელი სუნამოს ბოთლები, სთხოვეთ ბავშვებს, შეიგრძნონ ბოთლის სურნელი, შემდეგ დახატონ ასოციაციები ბოთლის ეტიკეტისთვის, მოიფიქრონ სუნამოსთვის სახელი, დაწერეთ ეს სახელი, გამოაჭრევინეთ ბავშვებს წარწერა და დააწებებინეთ დამზადებულ ეტიკეტზე, ეტიკეტი დააწებეთ ბოთლზე.

სამაგიდო



- ერთნაირი სუნების მოძებნა და დაჯგუფება. მოიმარაგეთ სხვადასხვა სუნის მქონე პროდუქტი, მაგ. ძმარი, ვანილი, ხახვი, ლიმონი, კვების ესენციები, სუნელები, ვალერიანი. სთხოვეთ ბავშვებს, დაახარისხონ ისინი სასიამოვნო და უსიამოვნო სუნებად;
- სამუშაო ფურცელი: მოძებნე და შემოხაზე ერთნაირი ცხვირები (დანართი 3.12.5.).
- სამუშაო ფურცელი: გამოჭერი ცხვირი და მოარგე სახეს (დანართი 3.12.6.).
- სამუშაო ფურცელი : დახატე, რისი დაყნოსვა შეგიძლია (დანართი 3.12.7.).

სენსორული

- გამოიცანით რისი სუნია. აუხვიეთ ბავშვს თვალები, აყნოსვინეთ და სუნის მიხედვით გამოიცნოს, რა საგანია.

დრამატული



- სუნამოების საწარმო. სუნამოების დამზადება ბუნებრივი მასალებით (ვარდის ფურცლები, პიტნის ფოთლები და ა.შ.). გამოიყენეთ ბავშვების მიერ დამზადებული სუნამოების ეტიკეტები, მოიმარაგეთ სინჯარები, კოლბები, ჯამები, ხის კოვზები. წაახალისეთ ბავშვები, რომ დაამზადონ სუნამოები სხვადასხვა მასალების გამოყენებით.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრებიდან“ ზღაპარი კაცზე, რომელსაც ცხვირი გაექცა და სთხოვეთ, დახატონ გაქცეული ცხვირი (წიგნიერების დანართიდან).

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ცხვირის შესახებ?
- როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ საზოგადოებაში დაგვაცემინებს?
- რისი თქმა შეუძლიათ ჩვენს ცხვირებს (მაგ. ყურადღებით, დედა შენს საყვარელ კერძს ამზადებს; ან ფრთხილად, დამწვრის სუნია! და ა. შ.)?

4. პირი და გემო

დილის წრე

- ჰკითხეთ, სხეულის რა ნაწილის საშუალებით ვიგებთ გემოს შესახებ.
- როგორი გემოები არსებობს (ტკბილი, მლაშე, მწარე, მჟავე).
- რა ნაწილებისგან შედგება პირის ღრუ?
- უთხარით, რომ ადამიანები განსხვავდებიან იმის მიხედვითაც, თუ ვინ რა გემოს ანიჭებს უპირატესობას, ზოგს ტკბილეული უყვარს, ზოგს უფრო მარილიანი და ა.შ.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ სხვადასხვა გემოს საკვები, ყველაზე გემრიელი ან ყველაზე უგემური.
- ცოტაოდენი საღებავი დააწვეთეთ ფურცელზე; დაურიგეთ ჩხირები და ჩააბერვინეთ საღებავის გარშემო; თავს თუ კარგად გაართმევენ, შეგიძლიათ მეორე ან მესამე ფერის საღებავებიც დაუმატოთ. შესაძლებელია, სხვადასხვა სახის (ტექსტურის) ქაღალდის გამოყენება უფრო მრავალფეროვანი შედეგის მისაღებად. ჰკითხეთ ბავშვებს: როგორ ფიქრობენ, საიდან ხვდება წკირში ჰაერი? აუცილებლად შეახსენეთ, რომ ჰაერი ***გარეთ*** გამოუშვან და არ შეისუნთქონ.

სამაგიდო



- გააკეთეთ საყვარელი გემოების ცხრილი.
- სამუშაო ფურცელი – დახატე, რისი გასინჯვა შეგიძლია (დანართი 3.12.8.).

დრამატული



- „კაფეში“. მოაწყვეთ დრამატულ ცენტრში კაფე, გაამზადეთ მაგიდები, დახლები, ჭურჭელი, საჭმელი. გაანაწილეთ როლები: მიმტანები, ბარმენები, კაფეში შესული ადამიანები.

სენსორული

- „გამოიცანი, რას ჭამ“. დააგემოვნებინეთ თვალახვეულ ბავშვს ნაჭრებად დაჭრილი საკვები: პური, ყველი, ვაშლი, ნიგოზი, მარმელადი, შოკოლადი, კომბოსტო, სტაფილო და ა.შ. უნდა გამოიცნოს რას ჭამს.
- დააგემოვნებინეთ ბავშვებს კიტრის მწნილი ან ლიმონი, ვინ უფრო სასაცილოდ დაიჯღანება.
- დააგემოვნებინეთ ბავშვებს სხვადასხვა გემოს პროდუქტი და დაახარისხონ გემოს მიხედვით: მარილიანი, ტკბილი, მჟავე, მწარე.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ზღაპარი „მსუნაგთა სამეფოზე,“ „გაუგონარი წვიმა“, „ნაყინის სახლი“ (წიგნიერების დანართი).
- ბავშვები ასახელებენ თავიანთ საყვარელ კერძს. შემდეგ კი გკარნახობენ ამ კერძის დამზადების რეცეპტს. დააზუსტეთ, თუ რატომაა ეს კერძი მათთვის ყველაზე საყვარელი. ეს შენიშვნაც შეიტანეთ წიგნში.

მეცნიერება

- ასწავლეთ ბავშვებს, თუ როგორ შეიძლება კბილის პასტის დამზადება სახლის პირობებში. შეურიეთ ერთი სუფრის კოვზი საჭმლის სოდას 2-3 წვეთი პიტნის ექსტრაქტი (ესენცია), გადაურიეთ ცოტაოდენ წყალში, რომ მივიღოთ პასტის კონსისტენცია.

კულინარია



- მოიმარაგეთ ინგრედიენტები და დაამზადებინეთ ბავშვებს ერთნაირი მასალით განსხვავებული გემოს კერძი, მაგ. მარილიანი და ტკბილი ხილის სალათა ან მარილიანი და ტკბილი მაჭკატები და ა. შ.
- დაამზადებინეთ ბავშვებს სხვადასხვა გემოს საკვები, მაგ. ტკბილი, მწარე. ტკბილი ბამბის ნაყინი: მოიმარაგეთ ფერადი ჩხირები ან ხის მსხვილი ჩხირები. ჩხირს წაუსვით მთელს სიგრძეზე ემულსია და შემოახვიეთ ფერადი ლენტი გასაფორმებლად, ჩხირის ერთ ბოლოს კი დააწებეთ ფერადი ბამბის ქულები.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა ორგანოთი შევიგრძნობთ გემოს?
- რომელი გემო უყვართ ყველაზე მეტად?
- მოაწყვეთ სახალისო გამოკითხვა: რა „გემოსია“ დედა, წიგნი, ბაღი, მასწავლებელი?

5. კანი და შეხება

დილის წრე



- შეხებისთვის სხეულის რომელ ნაწილს ვიყენებთ (კანს)? კანი მთელს სხეულზე შეხებისთვის გამოიყენება, მათ შორის ფრჩხილებიც. კანი გადასცემს ტვინს, თუ როგორია საგანი შეხებისას, ცივი, ცხელი, ბასრი .. ტვინი კი იღებს გადაწყვეტილებას დაიცვას თუ არა თავი.
- კანის ზოგიერთი ნაწილი სხვებთან შედარებით უფრო მგრძნობიარეა. ამის დემონსტრირებისთვის აიღეთ პინგ-პონგის ჩოგანი (ან ხაოიანი ზედაპირის მქონე სხვა საგანი); შეახეთ ბავშვის იდაყვს, მუხლს, ბოლოს ხელს. სთხოვეთ ბავშვს აღწეროს ზედაპირი. ბოლოს შეახეთ თითის ბალიშებს. თითის ბალიშები ყველაზე მგრძნობიარეა.
- უთხარით ბავშვებს რომ დღის თემა შეხებაა.

ხელოვნება

- მოამზადეთ სხვადასხვა ფაქტურის მქონე საძერწი მასალა: პლასტელინი, თიხა, მარილიანი ცომი, საფუარიანი ცომი. სთხოვეთ ბავშვებს, ამ მასალებით სხვადასხვა საგნები გამოძერწონ.
- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფაქტურის მქონე ქსოვილი, გამოჭერით სხვადასხვა ფორმები, გაანაწილეთ მუყაოზე და დააწებეთ.
- მოამზადეთ საღებავი შემდეგი წესით: ემულსიაში გაურიეთ ცოტაოდენი წყალი და საღებავი პიგმენტები, ასევე შეურიეთ ქვიშა. ზოგიერთ ფერში – ქვიშა, ზოგიერთ ფერში – მიწა, ქვამარილი, და ა.შ. დაახატვინეთ ბავშვებს ამ საღებავებით, გაშრობის შემდეგ ყურადღება მიაქცევინეთ ფაქტურაზე.

სამაგიდო



- სამუშაო ფურცელი: დაუხატე თითებს ანაბეჭდები (დანართი 3.12.9.).
- ამოჭერით დანართში მოცემული ნახატები. გაუკეთეთ ლამინირება. სთხოვეთ ბავშვებს, დააჯგუფონ საგნები იმის მიხედვით, რომელზე შეხებაა უსაფრთხო და რომელზე არა (დანართი 3.12.10.).

- განიხილეთ ცივი და ცხელი. (ნახატები: ასანთი, ცეცხლი ბუხარი, წყლით სავსე აბაზანა, ნაყინი, სანთებელა, ცხელი ყავა, ჩუსტები, ქუდი და ბურთი, გაზქურა, მაყალი, თოვლის კაცი, მაშხალა, ხე, ელვაშესაკრავი).
- თვალახვეულმა ბავშვებმა უნდა დაალაგონ საგნები სიდიდის მიხედვით.
- სამუშაო ფურცელი – დახატე, რასაც შეგიძლია შეეხო (დანართი 3.12.11.).

სენსორული

- მოათავსეთ ტომარაში სხვადასხვა ნივთი. სთხოვეთ ბავშვებს, ხელი ჩაყონ ტომარაში და გამოიცნონ ნივთი ფაქტურის მიხედვით.
- სხვადასხვა ფაქტურის მქონე ნივთების ხელის შეხებით დახარისხება შემდეგნაირად: რბილი, ხაოიანი, პრიალა, ფაფუკი, ეკლიანი (ღრუბელი, ჭურჭლის სახეხი მავთული, სხვადასხვა ფაქტურის ქაღალდი, სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილი).

- წინასწარ მოიმარაგეთ ისეთი საგნები, რომ ბავშვებმა შემდეგი შეგრძნებებით დააჯგუფონ: გლუვი/უხეში, ან რბილი/მაგარი ან თხელი/სქელი.

დრამატული



- მასაჟისტის კაბინეტში (ხელების „მასაჟი“ ბუმბულით, სხვადასხვა სახის ფუნჯით, კბილის ჯაგრისით, შეხების დროს შეგრძნებებზე საუბარი).

წიგნიერება

- ავარჯიშეთ წინადადების შედგენაზე კვირის თემის გამოყენებით. აჩვენეთ თვალსაჩინოება. მაგ. ყური. დაუსვით შეკითხვა ერთ ბავშვს: ყურით რას ვშვრებით? – გვესმის. მეორეს ჰკითხეთ: რა გვესმის ყურით? – მუსიკა. მესამე ბავშვს დაეხმარეთ გაამთლიანოს წინადადება: „ყურით მუსიკა გვესმის“. ასე ყველა თემაზე.
- მოუყევით ზღაპარი: „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“. გაამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ ფიფქიას უფლისწულის შეხება (კოცნა) აცოცხლებს.

კონსტრუქციული



- ჯადოსნური ქალაქის აშენება კუბებისა და სხვადასხვა ფაქტურის ქსოვილების გამოყენებით.

მეცნიერება

- გახსენით ორი ჭიქა შაქარი ერთ ჭიქა წყალში (მოარევინეთ ბავშვებს რიგ-რიგობით). შემდეგ ქურაზე წამოადუღეთ, ნელ-ნელა ურიეთ, რომ ერთგვაროვანი მასა იყოს. ოდნავ გააგრილეთ და ჩაასხით გამჭირვალე ქილაში. ბავშვებს ხელი შეახებინეთ თბილ ქილაზე. ბავშვების დახმარებით ფანქარს შუაში მოაბით ლენტა (ან თოკი). ფანქრის საშუალებით ლენტა ჩაუშვით ქილაში. როცა მასა გაგრილდება, კოვზით ამოიღეთ, რომ ბავშვებმა ნახონ, როგორი წებოვანია. შეადარეთ ეს მასა ჩვეულებრივ შაქარს. ქილაში ჩადებული ლენტა მეორე დღემდე გააჩერეთ. მეორე დღეს კრისტალიზებული თოკი დაგხვდებათ. მოსინჯონ შაქრის კრისტალები. შეადარონ ერთმანეთს, რომელი შაქარია წებოვანი.

საღამოს წრე

- რას გვეუბნება კანი ყველაზე ხშირად? (მცივა, მცხელა, მეხებიან, დავსველდი და ა. შ)
- რასთან შეხებას ვისურვებდით?

უსაფრთხოება

1. უსაფრთხოების წესები ცხოველებთან ურთიერთობისას
2. ქუჩაში ქცევის წესები
3. ცეცხლთან თამაში
4. მომწამლავი ნივთიერებები
5. უსაფრთხოების სხვადასხვა წესი

1. უსაფრთხოების წესები ცხოველებთან ურთიერთობისას

დილის წრე

- დილის წრეზე ბავშვებს რბილი, სათამაშო ძაღლით დახვდით. უთხარით, როგორ გიყვართ ცხოველები და როგორ გინდათ მოეფეროთ, როცა დაინახავათ. მაგრამ ამას არ აკეთებთ, რადგან არ იცნობთ უცხო ძაღლს და არ იცით, როგორ მოიქცევა.
- უთხარით ბავშვებს, რომ არსებობს ცხოველებთან მოპყრობის და უსაფრთხოების წესები, რომელიც აუცილებელია, რომ დაიცვათ. უთხარით, რომ დღეს იმაზე ისაუბრებთ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ უცხო ძაღლებთან და კატებთან.

- წინასწარ ამობეჭდეთ დანართში მოცემული უსაფრთხოების წესები და ლამინირება გაუკეთეთ (დანართი 3.13.1.). ამ წესებზე საუბრისას თან სურათიც აჩვენეთ:

როდის უნდა ვიყოთ ფრთხილად ძაღლებთან

* არ შეეხოთ და არ მოეფეროთ ძაღლებს, როდესაც ისინი ჭამენ, სათამაშოს ღეჭავენ, არც მაშინ, როცა მათ სძინავთ, ან უბრალოდ ავეჯის ქვეშ ისვენებენ!
* ნუ მოეხვევით და ნუ ეცდებით აკოცოთ სხვის ძაღლს, რაც არ უნდა უსაფრთხოდ გეჩვენებოდეთ იგი. ჯერ უფროსს ჰკითხეთ, სანამ უცხო ძაღლს მოეფერებით!
* თუ ძაღლი გაგირბით, არ ეცადოთ ძალით შეაჩეროთ იგი!
* თუ ძაღლი გიკბენთ ან გაგკაწრავთ, სასწრაფოდ უთხარით ამის შესახებ უფროსს!

როდის უნდა ვიყოთ ფრთხილად კატებთან

* ნუ შეეხებით კატას უხეშად და ნუ შეაშინებთ მას!
* მოფერება უმჯობესია მხოლოდ თავსა და კისერზე, ისიც თუ ამჩნევთ, რომ კატას ეს სიამოვნებს. ზურგზე და მუცელზე სჯობს, არ შეეხოთ!
* ხელში აყვანისას ნუ ეცდებით, იძულებით დაიჭიროთ იგი!
* იმ შემთხვევაში, თუ კატა გიკბენთ ან დაგკაწრავთ, აუცილებლად უთხარით უფროსს!

მოძრაობა



- *ლახტი.* გაუკეთეთ მოკლე თოკს (დაახ. 2 მ.) ხელის მოსაკიდები ან გამოიყენეთ სახტუნაო. ბავშვებს შეუძლიათ ამ თამაშით ისწავლონ მოძრაობები: თოკის მოქნევა, თავზე გადატარება და საჭირო დროს გადახტომა.

იმისათვის რომ ბავშვებმა ისწავლონ სახტუნაოთი თამაში, აღმზრდელი აძლევს შემდეგ ინსტრუქციებს:

1. მოკიდეთ ერთი ხელი სახტუნაოს ერთ ბოლოს, მეორე ხელი – მეორე ბოლოს. ისე მოკიდეთ ხელები, რომ ცერა თითები იყურებოდნენ ქვევით;
2. დაიჭირეთ სახტუნაო თქვენი ტანის გასწვრივ;
3. გადააბიჯეთ სახტუნაოს;
4. შეატყუპეთ მკლავები;
5. წამოიღეთ ხელები პირდაპირ და გადაიტარეთ თოკი თავზე;

6. დაიცადეთ, სანამ სახტუნაო შეეხება იატაკს;
7. გადაახტით სახტუნაოს, დახტით ორივე ფეხით.

კომენტარი: ზოგი ბავშვი არ იქნება მზად იმისთვის, რომ გადაახტეს სახტუნაოს, მაშინ უთხარით, რომ გადააბიჯოს. გადახტომას შემდეგ ისწავლიან. ამ სავარჯიშოს მთავარი მიზანია, ბავშვებმა ისწავლონ სახტუნაოს გადატარება თავზე.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები დაელოდონ სახტუნაოს იატაკთან შეხებას და შემდეგ გადაახტნენ. ბავშვები ხანდახან შეეცდებიან გადაახტნენ მას ჰაერში, დაკარგავენ წონასწორობას და დაეცემიან. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ სახტუნაო ჯერ მიწას ეხება და შემდეგ ვახტებით მას.

სამაგიდო



- ლაბირინთი. მიიყვანე კატა თავის კალათამდე (დანართი 3.13.2.).
- შემოხაზე წერტილები (დანართი 3.13.3.).

დრამატული

- ათამაშეთ ექიმობანა. აუხსენით ბავშვებს, რომ აუცილებელია მკურნალობა, როცა უცხო ცხოველი გაგკაწრავს ან გიკბენს. დაურიგეთ სათამაშო ნემსები და სინჯარები. წაახალისეთ, რბილ თოჯინებს აცრა გაუკეთონ.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები, კუბურებით ან ცარიელი მუყაოს ყუთებით მაწანწალა ძაღლებს თავშესაფარი აუშენონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს წიგნიერების დანართიდან „რატომ ატყდა საღამოს აურზაური“. განიხილეთ, რა შეიძლება მომხდარიყო, ნიკოს შემთხვევით რომ არ მოეყოლა ეს ამბავი?

მეცნიერება/მეტყველება

- დაათვალიერებინეთ ცხოველების ენციკლოპედია. იმსჯელეთ, რითი განსხვავდება კატა და ძაღლი ერთმანეთისგან (ისაუბრეთ გარეგნულ ნიშნებზე, ხასიათზე).

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი ცხოველებთან ურთიერთობის შესახებ?
- ჰკითხეთ, ვინმეს თუ დასჭირვებია ცოფის საწინააღმდეგო აცრა? (კიდევ ერთხელ გაუმახვილეთ ყურადღება, რა კარგია, რომ ასეთი წამალი არსებობს.)

2. ქუჩაში ქცევის წესები

დილის წრე



- ისაუბრეთ ქუჩაში უსაფრთხოების წესებზე ვიზუალური მასალის გამოყენებით. ან გაითამაშეთ ეს წესები თოჯინის საშუალებით.
- ისაუბრეთ შუქნიშანსა და მის დანიშნულებაზე

უსაფრთხოება ქუჩაში

* არასდროს გადაკვეთოთ ქუჩა მარტო, უფროსის გარეშე.
* ქუჩის გადაკვეთის დროს (უფროსთან ერთად), ჯერ ვჩერდებით, ვიხედებით მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ და ვუსმენთ.

* თუ ქუჩაზე შუქნიშანი დგას, ველოდებით, როდის აინთება მწვანე ფეხით მოსიარულეთათვის და შემდეგ გადავდივართ.
* არასდროს გადავრბივართ ქუჩაზე.
* არასდროს ვთამაშობთ სამანქანო გზაზე.
* არასდროს ვისვრით საგნებს ქუჩაში.

ხელოვნება



- წინასწარ ამობეჭდეთ (დანართი 3.13.4.) მოცემული წესები, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ავტომობილით მგზავრობისას. დაურიგეთ ბავშვებს, გააფორმებინეთ და გააფერადებინეთ. შემდეგ დრამატულ ცენტრში გამოიყენეთ. 1) ჩვენ ვლაპარაკობთ ხმადაბლა, არ ვხმაურობთ, არ ვყვირით, არ გამოვცემთ ხმამაღალ ხმებს. 2) ყოველთვის ვიკრავთ უსაფრთხოების ღვედებს. 3) არ ვთამაშობთ ფანჯრების და კარის ჩამკეტებით.
- დაათვალიერებინეთ ბავშვებს ქუჩის ამსახველ სურათები, სთხოვეთ იპოვონ ის ადგილი, სადაც გადასვლა შეიძლება. ასევე გააფერადებინეთ სიმბოლოები: მიწისქვეშა გადასასვლელი. თეთრ-შავი ზოლები (შუქნიშანი, ხიდები). დაახატვინეთ ბავშვებს შუქნიშანი.

მუსიკა და მოძრაობა

- მხიარული ბილიკები. წინასწარ მოიმარაგეთ ფერადი ქაღალდები და შაბლონები. დაჭერით ბავშვის ფეხის ზომის ფეხის ანაბეჭდები, ისრები, წრეები, ოთხკუთხედები და სხვა ფორმები. სასურველია, ეს ფორმები ლამინირებული იყოს. დააკარით ეს შაბლონები იატაკზე სხვადასხვა მიმართულებებით: ზიგზაგი, მოხვეული, სწორი გზა. ჩააბით ბავშვები მატარებელივით და სთხოვეთ, გამოგყვნენ ამ გზებზე სასეირნოდ. ასეთი ბილიკები შეგიძლიათ გამოიყენოთ ყველგან, როგორც დარბაზში, ასევე ოთახებში.
- ვარიაციები: როდესაც ბავშვები ისწავლიან ბილიკებზე სიარულს, მიეცით მათ შაბლონები, რომ თვითონ შექმნან ბილიკები.

სამაგიდო



- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ფურცლებზე ზიგზაგი, მოსახვევი და სწორი ბილიკები, გზები.
- შეაერთონ წერტილები ხაზებით (დანართი 3.13.5.).
- გააგრძელე კანონზომიერება (დანართი 3.13.6.).

სენსორული

- მიეცით ბავშვებს საშუალება ქვიშიან და კენჭებიან სინზე ატარონ მანქანები.

დრამატული



- გაითამაშეთ სცენა „მანქანაში“: როგორ ჯდებით, როგორ იკრავთ უსაფრთხოების ღვედებს, როგორ საუბრობთ ხმადაბლა. გაიმეორეთ ყველა ეს წესი.
- გაიმეორეთ გადასასვლელზე გადასვლის წესები, „ვჩერდები, ვიხედები და ვუსმენ“: ვჩერდებით, შემდეგ ვიხედებით ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ, და კვლავ მარცხნივ. რას ვუყურებთ? (მანქანებს, მოტოციკლეტს, და ა. შ).

წიგნიერება

- უამბეთ ბავშვებს შემდეგი სიტუაციები და იმსჯელეთ (მეტი ინტერესისთვის თოჯინები გაათამაშეთ):

1. ლექსო ტროტუარზე გარბის იმისთვის, რომ მოასწროს ლეკვის დანახვა, სანამ ის დაიმალება. სწორად მოიქცა თუ არა ლექსო? რატომ?
2. ეზოში თამაშის დროს ტასოს აბაზანაში წასვლა დასჭირდა. მას ამის შესახებ მასწავლებლისთვის

უნდა ეთქვა, მასწავლებელი კი ამ დროს უფროსთან საუბრობდა და ტასო ვერ შეამჩნია. ტასო საკმარისად მაღალი იყო და თავად შეძლო კარის დამოუკიდებლად გაღება. სწორად მოიქცა თუ არა ტასო? რატომ?

3. ერთ დღეს ანას დედამ ჯოხიანი (ესკიმო) ნაყინი უყიდა. როდესაც ანა ბაღში მივიდა, ის ჯერ კიდევ ნაყინს მიირთმევდა. ბავშვები კი ამ დროს ეზოში თამაშობდნენ. ანას უნდოდა, რომ სიმაღლეზე ამძვრალიყო ცალ ხელში კი ნაყინი სჭეროდა. მაგრამ მასწავლებელმა უთხრა, რომ ასე არ შეიძლება. რატომ?

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ქუჩაში“ და „ავტომანქანა:“

კონსტრუქციული



- კუბურების ცენტრში პატარა მანქანები და ადამიანის ფიგურები დაუმატეთ. სთხოვეთ, მოაწყონ ქუჩა.

საღამოს წრე

- რა გაიგეს ქუჩაში მოძრაობის შესახებ?
- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

3. ცეცხლთან თამაში

დილის წრე



- წინასწარ მოიმარაგეთ ასანთი და სანთებელა. ჰკითხეთ ბაშვებს, მათი აზრით, რატომაა ასანთი და სანთებელა საშიში.
- ჩამოათვლევინეთ ბავშვებს, რომელი ცხელი საგნები იციან, რომელითაც შეიძლება დავიწვათ?

ხელოვნება

- ცეცხლის დასახატად მოიმარაგეთ წითელი, სტაფილოსფერი და ყვითელი საღებავები. უფრო საინტერესო სურათის მისაღებად, სთხოვეთ, სველ საღებავზე პატარა ზომის ბურთები გააგორონ (მაგალითად კაუჩუკის).
- სახატავ ფურცლებზე დააწვეთონ ყვითელი და წითელი ფერის საღებავები. საღებავის გასაფანტად საწრუპს ჩაბერონ. დააკვირდნენ, როგორ იცვლის ფერს წითელი და ყვითელი საღებავები, როგორ სტაფილოსფრდება „ცეცხლი“, როცა ისინი ერთმანეთში ირევა.

- წინასწარ ამოუბეჭდეთ და შეავსეთ სერთიფიკატები (დანართი 3.13.7.). გააფერადებინეთ და თუ შესაძლებელია, ლამინირება გაუკეთეთ. გაატანეთ საჩუქრად სახლში.

მოძრაობა



- თუ შესაძლებელია, ბავშვები სპორტულ დარბაზში სავარჯიშო კიბეზე აძვრნენ და რბილი სათამაშოები „აალებული სახლის ფანჯრებიდან“ გამოიყვანონ.

სამაგიდო

- რით შეიძლება დავიწვათ? ძველ ჟურნალებში მოძებნეთ იმ საგნების სურათები, რომლითაც შესაძლებელია, რომ დავიწვათ ან სხეული დავიზიანოთ. ბავშვებმა თავად უნდა დაახარისხონ სურათები 2 ჯგუფად: ცხელი საგნები (უთო, ცხელი წვნიანი, ასანთი, გაზქურა, თმის ფენი) და ბასრი საგნები, დააწებეთ ეს სურათები დიდი ზომის ფურცელზე. ფურცელი კედელზე მოათავსეთ და კიდევ ერთხელ გადაავლეთ მას თვალი ბავშვებთან ერთად.
- ამობეჭდეთ, გამოჭერით და ლამინირება გაუკეთეთ დანართში მოცემულ სახანძროებს (დანართი 3.13.8.). სთხოვეთ ბავშვებს, სახანძროს ავტოფარეხში შესაყვანად სახანძრო მანქანები, მათი ნომრების მიხედვით დაალაგონ.

- ამობეჭდეთ, გამოჭერით და ლამინირება გაუკეთეთ დანართში მოცემულ მეხანძრეებს (დანართი 3.13.9.) ბავშვებმა მეხანძრეს შესაბამისი ფორმის ქუდი შეურჩიონ.
- ბავშვებს გასაფერადებელი სახანძრო მანქანა (დანართი 3.13.10.) და კამათელი დაურიგეთ. გააგორონ კამათელი და გააფერადონ მანქანის ის ნაწილი, რომელზეც კამათელზე ამოსული ბურთულების რაოდენობა დაემთხვევა.

დრამატული



- ათამაშეთ „მეხანძრეები“. გაანაწილეთ როლები. მოიმარაგეთ ძველი ტელეფონი, საიდანაც მეხანძრეებს დაურეკავენ ნომერზე 111 (აუხსენით რომ ამ ნომრით ნამდვილ ტელეფონზე თამაში არ შეიძლება). აუხსენით ბავშვებს, რომ ხანძრის დროს, როდესაც ირგვლივ კვამლია, უფრო სუფთა და გრილი ჰაერი იატაკთან ახლოს გროვდება. ბრძანებაზე „კვამლია“, ბავშვები უნდა დაწვნენ და გახოხდნენ. ბოლის იმიტაციისთვის ოთხ ბავშვს ზეწარი დააჭერინეთ, რომლის ქვეშაც ბავშვები შეძვრებიან. გაითამაშეთ შენობიდან ევაკუაცია.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „უთო, უთო“, „ხანძრობანა“.

მეცნიერება

- აჩვენეთ ბავშვებს, როგორ სჭირდება ცეცხლს ჟანგბადი (ჰაერი). ამისათვის აანთეთ სანთელი, შემდეგ დააფარეთ ქილა. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ ჩაქრება სანთელი. უთხარით, რომ ქილაში ჟანგბადი გათავდა. აუხსენით, რომ იგივე ხდება, როცა შემთხვევით ტანსაცმელზე ცეცხლი ეკიდება. გაქცევა არ შეიძლება, რადგან ცეცხლი მოიმატებს. ამ დროს უნდა დაწვე და გადატრიალდე, რომ წვა შეჩერდეს (შეგიძლიათ დარბაზში ეს მოძრაობები გააკეთებინოთ ბავშვებს).
- წინასწარ მოიმარაგეთ ცარიელი ბოთლი, სოდა, ძმარი და ბუშტი. ჩაყარეთ 1 კოვზი სოდა ბოთლში და ჩაასხით 1 კოვზი ძმარი, წამოაცვით ბუშტი ბოთლს. ამ ორი ნივთიერების შერევით წარმოქმნილი გაზი ბუშტს გაბერავს. რაც უფრო მეტ რაოდენობას შეურევთ, მით უფრო მეტად გაიბერება. მიეცით ბავშვებს საშუალება თვითონაც ჩაატარონ ექსპერიმენტი და ქაღალდის თეფშზე მონაცვლეობით დადონ სოდა და პიპეტით დააწვეთონ ძმარი.

საღამოს წრე

- გაამეორებინეთ ცხელ საგნებთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესები.

4. მომწამლავი ნივთიერებები

დილის წრე



- უთხარით ბავშვებს, რამდენი რამე შეიძლება მიმზიდველად გამოიყურებოდეს, კარგი სუნი ჰქონდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება პირში ჩადება. ჰკითხეთ, რა შეიძლება ასეთი იყოს, მიეცით მინიშნებები (საწმენდი საშუალებები, წამლები).
- აუხსენით ბავშვებს, რა არის მომწამლავი ნივთიერება – ნებისმიერი რამ, რაც თვალში, ცხვირში, პირში ან კანზე მოხვედრისას იწვევს მათ დაზიანებას.
- ზოგიერთი ნივთიერება თითქოს სულაც არ გამოიყურება საშიშად. მაგალითად, თმის შამპუნი, რომელსაც სასიამოვნო სურნელი აქვს, მომწამლავი შეიძლება იყოს, თუკი მას დანიშნულებისამებრ არ გამოვიყენებთ.
- აჩვენეთ ბავშვებს შამპუნის ლამაზი ბოთლი. მიეცით უფლება რომ დაყნოსონ იგი, რისთვის ვიყენებთ შამპუნს? როგორი სუნი აქვს მას? კარგია თუ არა იგი ჩვენი თმისთვის, როგორ სურნელს აძლევს ის ჩვენს თმას? შეიძლება მისი დალევა? ეს ერთი და იგივე ნივთიერება შესაძლებელია კარგი იყოს ჩვენი ერთი ნაწილისთვის, (თმები) მაგრამ საზიანო იყოს მეორისთვის. შამპუნის დალევა ყოვლად დაუშვებელია, რადგან ჩვენს ორგანიზმში მოხვედრისას იგი საწამლავი ხდება.
- აუხსენით, რომ ბავშვებმა წინასწარ უნდა იკითხონ, სანამ რაიმეს გემოს, სუნს გაუსინჯავენ, ან შეეხებიან.

- იგივე გაიმეორეთ წამალზე. თუ შესაძლებელია, აჩვენეთ ნაცნობი წამლის ლამაზი ბოთლი და იმსჯელეთ, რომ ის თუ რამდენი და როდის უნდა დალიოს უფროსმა და ექიმმა უნდა უთხრას ბავშვს.

ხელოვნება



- წინასწარ ამოჭერით სხვადასხვა ზომის წრეები ერთ ფურცელზე, სასურველია მუყაოზე (თუ შეგიძლიათ, უფრო რთული ფორმები ან გამოსახულებები ამოჭერით). ასევე მოამზადეთ თხევადი საღებავები სპრეიან ბოთლებში. დაურიგეთ ფურცლები. დაადონ ტრაფარეტი ფურცელს და ზევიდან დაასხურონ სხვადასხვა ფერის საღებავები. ფურცელზე ფერადი ბურთები გამოისახება.

მოძრაობა



- გაგორობანა. მოათავსეთ ოთახში სხვადასხვა სამიზნე (ცარიელი კოლოფები, პლასტმასის ბოთლები, 3 კუბურით აგებული კოშკი ან სხვა) და დაურიგეთ ბავშვებს ბურთები. ასწავლეთ, როგორ უნდა გააგორონ ბურთი – ჩაკუზული პოზიციიდან ხელის კვრისას თანდათან წამოდგნენ. სთხოვეთ, ეცადონ დაუმიზნონ სამიზნეს და წააქციონ ბურთით. წაახალისეთ ბავშვები, თავად წამოაყენონ სამიზნე საგნები.

სამაგიდო



- დაურიგეთ ბავშვებს სამუშაო ფურცლები (დანართი 3.13.11.). სთხოვეთ, გააფერადონ, შემოხაზონ ის ნივთიერებები, რომლის ჭამაც შეიძლება, და წითელი ფანქრით გადახაზონ ის საგნები და ნივთიერებები, რომლის ჭამაც სახიფათო და საშიშია. ასწავლეთ, რომ წითლად გადახაზული ნიშნავს, რომ „არ შეიძლება“.
- უსაფრთხო და საშიში საგნების კოლაჟი. ძველი ჟურნალებიდან ამოჭერით უსაფრთხო და საშიში საგნების (ნივთიერებების) სურათები. დაურიგეთ თითოეულ ბავშვს ფურცელი (ან ერთი დიდ ფორმატი), რომელიც 2 ნაწილად იქნება გაყოფილი. ერთ მხარეს დააწერეთ: „უსაფრთხოა გემოს გასინჯვა“ (შეგიძლია ჭამო), მეორე მხარეს კი – „მომწამლავია“. ბავშვებმა თავად უნდა დაახარისხონ და დააწებონ ჟურნალებიდან ამოჭრილი სურათები. აქტიურად ჩართეთ ბავშვები დისკუსიაში.

დრამატული



- მოაწყვეთ “ფარმაცევტული საწარმო“. მოიმარაგეთ ცარიელი პატარა ქილები, ყუთები, პლასტელინი, საღებავები. წინასწარ გახსენით კარტოფილის ფქვილი წყალში და წამოადუღეთ (თხელი კონსისტენციის რომ იყოს). გაუნაწილეთ ბავშვებს პატარა ჯამებში, უთხარით, შეურიონ საღებავები და დაამზადონ წამლები. მიღებული მასა კოვზით ქილებში ჩაასხან. პლასტელინისგან სხვადასხვა აბები დაამზადონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ძაღლ-ყურძენა“.

მეცნიერება

- აავსეთ გამჭვირვალე ბოთლები სხვადასხვა სითხით: ვაშლის წვენით, ჭურჭლის სარეცხი სითხით. ყურადღება მიაქციეთ ფაქტს, რომ უსაფრთხო (ვაშლის წვენი) და საშიში (ჭურჭლის სარეცხი სითხე) სითხეები ერთი შეხედვით შეიძლება ჰგავდეს კიდეც ერთმანეთს. როგორ შეიძლება ბავშვმა განასხვავოს ისინი? უნდა ჰკითხოს უფროსს. (შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ სხვა ნივთიერებები, წყალი და არაყი ან ნიშადურის სპირიტი, ნაფტალინი და ზეფირის ბურთულები).
- თუ შესაძლებელია, ბავშვებს აჩვენეთ სააფთიაქო პატარა სასწორი და გირები. ააწონინეთ პატარა საგნები, ფხვნილი.

საღამოს წრე

- გაიმეორეთ, რა ყოფილა მომწამლავი ნივთიერებები?
- ისაუბრეთ იმაზეც, რომ სასარგებლო ნივთიერებაც შეიძლება გაფუჭდეს და იქცეს მომწამლავად (ვადაგასული პროდუქტები). ამიტომ აუცილებელია, სანამ რამეს პირში ჩავიდებთ, ვკითხოთ უფროსს.

5. უსაფრთხოების სხვადასხვა წესი

დილის წრე



- უთხარით ბავშვებს, რომ არსებობს კიდევ მრავალი უსაფრთხოების წესი. ჰკითხეთ ბავშვებს, თვითონ რამეს თუ გაიხსენებენ. ისაუბრეთ, როგორ უნდა გაუფრთხილდნენ თავიანთ ჯანმრთელობას, როცა სახიფათო სპორტით არიან დაკავებულები. მაგ. თხილამურები, სკეიტბორდი, ველოსიპედი. მიეცით მინიშნება, როგორ უნდა დაიცვან თავი შემთხვევით დაცემისას. აჩვენეთ და ჩამოატარეთ წრეში სპეციალური ქუდი – ჩაფხუტი. ჰკითხეთ, კიდევ ვის ახურავს ჩაფხუტი (მოტოციკლეტისტს, მშენებელს, ჯარისკაცს, მეხანძრეს)?
- აჩვენეთ ბავშვებს საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონლის სურათები. ჰკითხეთ, იყენებენ თუ არა უფროსის გარეშე ამ მოწყობილობებს. იმსჯელეთ, რატომ არ შეიძლება ბავშვმა ამით ითამაშოს.
- ჰკითხეთ, რატომ არის აუცილებელი ბავშვმა იცოდეს სახლის ტელეფონი, მშობლების სახელი და გვარი და მისამართი. თუ არ იციან, დღის გარკვეული მონაკვეთი ამის სწავლას დაუთმეთ.

ხელოვნება



- დაახატვინეთ ბავშვებს ტელეფონი. დაეხმარეთ ციფრების დაწერაში. ასწავლეთ სახლის ნომრის აკრეფა.

მუსიკა და მოძრაობა

- თამაში „რომელი მეგობარი გვაკლია“: ბავშვები მოძრაობენ მუსიკის ფონზე. მუსიკის შეწყვეტისთანავე ბავშვები დგებიან ოთხზე და ხუჭავენ თვალებს. მასწავლებელი რომელიმე ბავშვს გადააფარებს ქსოვილს. ბავშვები ახელენ თვალებს და გამოიცნობენ, რომელი მეგობარი აკლიათ.

სამაგიდო



- დაითვალეთ საგნები ბავშვის ოთახში. რომელი საგანია 4, 5, 6, და 7 (დანართი 3.13.12.).
- დაეხმარე ბავშვს იპოვოს სახლი (დანართი 3.13.13.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „კრუხმა გაჰკრა წიწილას“, „ქეთინო“: იმსჯელეთ, რატომ უბარებენ ამდენ რამეს მანანას?

მეცნიერება

- წინასწარ მოიმარაგეთ ის ნივთიერებები, რომელიც წყალში იხსნება და არ იხსნება (მაგ. შაქარი, მარილი, ქვიშა, საღებავი, მძივი, კენჭი, ბრინჯი, სოდა, სარეცხის ფხვნილი, ჟელე ..). სთხოვეთ ბავშვებს, დააჯგუფონ ორად: ის, რაც იხსნება და არ იხსნება. შემდეგ ექსპერიმენტით დაადასტურონ თავიანთი ვარაუდი.

საღამოს წრე

- რომელი ახალი უსაფრთხოების წესები გაიგეს დღეს?
- რომელი აქტივობა მოეწონათ?

6. ბუნებრივი მოვლენები და უსაფრთხოება (მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი)[1]

დილის წრე

- დავხვდით ბავშვებს საგანგებო სიტუაციებისთვის მომზადებული ჩანთით, რომელშიც პირველადი დახმარების საგნებთან ერთად იქნება ორცხობილა, წყალი, ფანარი და თოკი. http://www.youtube.com/watch?v=zsO73sV-myo
- აუხსენით ბავშვებს, რა არის საგანგებო სიტუაცია.
- მიეცით ბავშვებს უფლება გადმოალაგონ, შეეხონ და დაათვალიერონ ჩანთაში არსებული ნივთები.
- ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რატომ დევს ეს ნივთები ჩანთაში? წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.
- აუხსენით ბავშვებს, რა და რატომ დევს საგანგებო სიტუაციების ჩანთაში.
- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ რა იგრძნეს მიწისძვრის დროს.
- მოაყოლეთ ბავშვებს, როგორ მოიქცნენ მიწისძვრის დროს.
- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ რა დაარიგეს ახლობლებმა? რისი გაკეთება ურჩიეს?
- ისაუბრეთ უსაფრთხოებაზე. აუცილებლად ასწავლეთ ბავშვებს, რომ არ უნდა დაიბნენ, არ შეშინდნენ, არ გაიქცნენ და არ განმარტოვდნენ! ასევე ასწავლეთ, რომ მიწისძვრის დროს უცბად შეძვრნენ მაგიდის ქვეშ, თავი და ზურგი დაცული რომ ჰქონდეთ. მაგიდის არ ქონის შემთხვევაში კუთხეში გვერდზე უნდა დაწვნენ, მოკეცილი ფეხები ტანთან ახლოს უნდა მიწიონ და თავზე ხელები დაიფარონ. მნიშვნელოვანია, ხერხემალი იყოს კედლის მხარეს.
- როგორ უნდა მოვიქცეთ ქარიშხლის დროს სახლში? უთხარით ბავშვებს, რომ ძლიერი ქარის დროს არ უნდა გაიქცნენ ეზოში. სახლში ყოფნისას დახურონ კარები და ფანჯრები. გამორთონ შუქი, ტელევიზორი და გაზქურა.
- როგორ უნდა მოვიქცეთ ქარიშხლის დროს გარეთ? უთხარით ბავშვებს, რომ ძლიერი ქარის დაწყების დროს, თუ ეზოში იმყოფებიან, აუცილებლად შეეცადონ შევიდნენ შენობაში.
- რას უნდა მოვერიდოთ ქარიშხლის დროს? ასწავლეთ ბავშვებს,რომ ქარიშხლის დროს მოერიდონ ხეებს. არ შეაფარონ თავი ხის ტოტებს. ეს საშიშია, რადგან ქარმა შესაძლოა ხე მოგლიჯოს.
- აუხსენით ბავშვებს, რა არის ქარსაცავი ზოლი და რა მცენარეები გამოიყენება ქარიშხლისგან ქალაქის დასაცავად. (ქარსაცავი ზოლი არის ძლიერი ქარისგან ქალაქის დასაცავად მცენარეებისგან შექმნილი ზოლი. ასეთი ზოლების შესაქმნელად ძირითადად გამოიყენება წიწვოვანი ხეები, როგორიცაა ფიჭვი და ნაძვი. თუმცა ხშირად ვხდებით მუხისა და თხმელისაგან გაშენებულ ქარსაცავ ზოლებსაც. ხეებს შეუძლიათ ქარის ძალის შესუსტება, რადგან ქალაქში შემოღწევამდე ქარი არხევს ხის ტოტებს და ძალას კარგავს.
- აჩვენეთ ბავშვებს ჩანთაში ჩადებული თოკი და უთხარით, რომ თუ ძლიერი წვიმის შემდეგ წყალი უფროსებს მუხლამდე წვდებათ, რთული იქნება მასში გადაადგილება და საჭიროა ოჯახის წევრების თოკში ჩაბმა. არ უნდა შეეცადოთ მუხლის ზემოთ მომდგარ წყალში გავლას. ოჯახის წევრებთან ერთად ადით რაც შეიძლება მაღალ სართულზე და დაელოდეთ მაშველებს!
- ჰკითხეთ ბავშვებს, რას ნიშნავს ევაკუაცია? წაახალისეთ, აღწერონ ევაკუაცია. ესაუბრეთ ბავშვებს უსაფრთხო ევაკუაციაზე. ასწავლეთ და მრავალჯერ გაამეორებინეთ 4 ძირითადი წესი: არ გაიქცე! არ იხმაურო! ხელი არ ჰკრა სხვებს! არ დაბრუნდე უკან!

1 ამ ქვეთემის მასალების მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ორგანიზაციას „გერმანელ სამარიტელთა კავშირი“

ხელოვნება



- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ საგანგებო სიტუაციის ჩანთა და მისი ნივთები.
- მიეცით ბავშვებს დიდი ფორმატი და წაახალისეთ ბავშვები, ჯგუფურად დახატონ დედამიწა.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოძერწონ მაგიდები და ბალიშები.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოძერწონ დედამიწა.
- დაურიგეთ თითოეულ ბავშვს შავი ან მუქი ლურჯი სახატავი ფურცელი და სთხოვეთ, რომ დააწებონ მასზე სხვადასხვა მცენარის გამხმარი ფოთლები.
- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ნაძვის ხეები, შემდეგ გააფერადონ და ამოჭრან.
- მიეხმარეთ ბავშვებს, წებოს გამოყენებით ფეხზე დამდგარი ნაძვის ხეები შექმნან ქაღალდისგან.
- თიხისგან ან პლასტელინისგან გამოძერწეთ სხვადასხვა სახის ხეები.

მუსიკა და მოძრაობა

- აუხსენით ბავშვებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავის და ხერხემლის დაცვა. შეგიძლიათ სხვადასხვა მაგალითები მოუყვეთ. მაგ: წვიმის დროს ქოლგას ვიჭერთ. რატომ? ველოსიპედის ტარებისას ჩაფხუტს ვიხურავთ. რატომ? მშენებლებს და მეხანძრეებსაც ახურავთ ჩაფხუტი. წაახალისეთ ბავშვები, გამოთქვან თავიანთი აზრები. შეასრულეთ აქტივობა: სასტვენის, საყვირის ან სხვა რაიმე სიგნალის ხმაზე შეძვრნენ ბავშვები მაგიდის ქვეშ. დაინიშნეთ დრო, 1-2 წთ. დროის გასვლის შემდეგ უთხარით ბავშვებს, ფრთხილად გამოძვრნენ და თავზე ბალიშები დაიფარონ.
- აუხსენით ბავშვების მწკრივში დგომის მნიშვნელობა (ჩოჩქოლის თავიდან აცილება, ბავშვების დათვლის სწრაფი და მარტივი საშუალება და ა.შ.) წაახალისეთ ბავშვები, დაეხმარონ ერთმანეთს და დადგნენ მწკრივში. პირველ რიგში გადიან ის ბავშვები, რომელთაც რაიმე სახის დახმარება სჭირდებათ. გაიყვანეთ ბავშვები ჯერ ოთახიდან, შემდეგ კი შენობიდან. განთავსდით წინასწარ დათქმულ უსაფრთხო ადგილას, ბაღის ეზოში.
- ისწავლეთ მიწისძვრის თემატიკაზე დაწერილი რიტმული სიმღერა. ტექსტში აღწერილი მოძრაობების თანხლებით (იხ.დანართი: პიესა – ლუკა და ლიკა). წაახალისეთ ყველა ბავშვი ჩაერთოს აქტივობაში. მოძრაობების გამეორება რისკის შემცირების გარანტიაა.
- I ეტაპზე ბავშვები დააყენეთ მწკრივში სიმაღლის მიხედვით, მიეცით თოკი და სთხოვეთ, ჩაებან ერთმანეთს. აუხსენით, როგორ უნდა ჩაებან. სთხოვეთ, რომ ჩაბმულნი გადაადგილდნენ. ჰკითხეთ, რა შეგრძნება აქვთ? მოსწონთ? (გააკეთეთ 5 ბავშვიანი მწკრივები (5 ბავშვზე მეტის თოკში ჩაბმა არ არის რეკომენდირებული). შემდეგ გადაანაწილეთ როლები, ვითომ ოჯახის წევრები არიან. აღმზრდელი უნდა მიეხმაროს ბავშვებს თოკის გადანაწილებაში და სწორად განასკვაში. თოკი გადადებული უნდა იყოს თითოეულის მარცხენა მხარზე და დაფიქსირებული უნდა იყოს ნასკვით წელზე. გადაადგილებისას კი ბავშვებმა ერთმანეთს მარჯვენა ხელი უნდა ჩასჭიდონ). შეაჯამებინეთ მოქმედებები ბავშვებს და სთხოვეთ ახსნან, რა მნიშვნელობა აქვს ჩაბმას წყალდიდობის შემთხვევაში.
- ამღერეთ ბავშვებს სიმღერა წვიმაზე „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“ და „წვიმა მოდის, წვიმა მოდის მთა და ბარი სველდება“.
- წაახალისეთ ბავშვები, ერთი ფეხიდან მეორეზე ირწიონ. ჰაერში აწეული ხელები ტოტებივით აქნიონ. გააკეთონ მოძრაობები ფრთხილად, რომ ერთმანეთს არაფერი ატკინონ.

სამაგიდო



- სთხოვეთ ბავშვებს, დიდი ძალით დააჯახონ ერთმანეთს ამ თამაშისთვის მომზადებული ქაღალდის ყუთები, რომელშიც პატარ-პატარა სათამაშოებია მოთავსებული. წაახალისეთ ბავშვები, დათვალონ რამდენი სათამაშო დარჩა ყუთში და რამდენი სათამაშო გადავარდა შეჯახების შედეგად ყუთიდან?

სენსორული

- გაიყვანეთ ბავშვები ეზოში და წაახალისეთ, ითამაშონ მიწით ან ქვიშით. მიწა დაყარონ ერთ ადგილას გორაკივით და შემდეგ შეაჯანჯღარონ. დააკვირდნენ მიწას, რა მოუვა? ქვიშით გამოაცხონ პასკები ან ააშენონ გვირაბები და ქალაქები. შეაჯანჯღარონ და დააკვირდნენ რა მოხდება?

- დაურიგეთ ბავშვებს ერთჯერადი ჭიქები. მიეცით ბავშვებს ბოთლით წყალი და წაახალისეთ, ჩაასხან ჭიქებში ისე, რომ წყალი გადმოვიდეს. გაავლეთ პარალელი წყალდიდობასთან.
- დაურიგეთ ბავშვებს ერთჯერადი ჭიქები. წაახალისეთ, გაავსონ წყლით და ჩაყარონ პლასტმასის წყალგამძლე სათამაშოები, დაჭმუჭნული ქაღალდები. როცა წყალი ჭიქიდან გადმოვა და მაგიდა წყლით გაიწუწება, ჰკითხეთ, უსიამოვნოა თუ არა. თუ გეთანხმებიან, აუხსენით, რომ იგივე ხდება თხრილებში, როცა წყალს ნაგვის გამო გასასვლელი არა აქვს და არე-მარეს ტბორავს.
- მოიმარაგეთ საცერი და დიდი ჯამი. რამდენიმე პლასტმასის ბოთლით მოიმარაგეთ წყალი. ეს აქტივობა ჩაატარეთ ეზოში. დაიჭირეთ საცერი და წაახალისეთ ბავშვები, დაასხან საცერზე წყალი. დააკვირდნენ. შემდეგ წინასწარ გამზადებული დაჭმუჭნული ქაღალდები, პოლიეთილინის პარკები და სხვა ნივთები დაყარეთ საცერზე. ახლა კი წყალი დაასხით. რა მოხდება? წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ თავიანთ დაკვირვებებსა და აღქმებზე.

დრამატული



- გააცანით ბავშვებს მაშველი ლუკა და ლიკა, ხელზე ჩამოსაცმელი თოჯინები. ისინი მაგიდის თოჯინების თეატრის სპექტაკლში მიიღებენ მონაწილეობას (იხ.დანართი. პიესა მიწისძვრის თემატიკაზე).
- სთხოვეთ ბავშვებს, გააკეთონ პანტომიმა ქარიშხალზე. მიეხმარეთ ბავშვებს როლების განაწილებაში (ხეები, ქარიშხალი, ბიჭუნა, გოგონა). სპექტაკლში აუცილებლად აღწერეთ ორი დამოუკიდებელი მოქმედება – „ბიჭუნა ეზოში“ და „გოგონა სახლში“).

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ (აუხსენით, რატომ იყო საშიში მეგობრის წყალში ჩატოვება, რაში დასჭირდა რწყილს ბაწარი. წიგნიერების დანართი. 5-6 წ. მეგობრობა).
- წაუკითხეთ ბავშვებს ეზოპეს იგავ-არაკი „მზე და ქარი“ (სულაკაურის გამომცემლობა. გამოცემის წელი 2007).

მეცნიერება

- შეახსენეთ ბავშვებს, რა კავშირშია მცენარეები და წყალდიდობა. სთხოვეთ ბავშვებს, რომ მორწყან ოთახში მყოფი წყალმცენარეები. წაახალისეთ, ისაუბრონ თავიანთ გრძნობებსა და დაკვირვებებზე: როგორ შეიწოვა წყალი მცენარემ, ზედმეტი წყალი როგორ გადმოვიდა ქოთნიდან თეფშზე. გაუღვივეთ ბავშვებს მცენარეების მიმართ ფრთხილი და მზრუნველი დამოკიდებულება. გაუფრთხილდნენ ხეებსა და მცენარეებს. ფრთხილად აუარონ გვერდი ბუჩქებსა და ყვავილებს; მოწყვეტილი ან მოჭრილი ყვავილები ჩააწყონ წყალში.
- სთხოვეთ ბავშვებს, რომ ხელოვნების წრეში შექმნილი ნაძვის ხეები ერთ მაგიდაზე დააწყონ და ყველა ბავშვმა ერთდროულად შეუბეროს სული. შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, ნაძვის ხეები მიჯრით განალაგონ მაგიდაზე და სკოჩით დაამაგრონ. სთხოვეთ ბავშვებს, შეუბერონ (შეიძლება ფენის გამოყენებაც). ესაუბრეთ ხის ფესვების მნიშვნელობაზე და როლზე. შემდეგ ნაძვის ხეები მწკრივში დააყენეთ და მიაწებეთ ქაღალდზე. როდესაც არც ერთი ნაძვის ხე არ დავარდება შებერვით, შეახსენეთ ბავშვებს ქარსაცავი ზოლის მნიშვნელობა.

საღამოს წრე

- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად და რატომ?
- რისი გამეორება სურთ?

გოლიათები და გიგანტები

1. ბუნების გიგანტები
2. გოლიათი ცხოველები
3. ადამიანის შექმნილი გიგანტი კონსტრუქციები
4. ზღაპრის გოლიათები

1. ბუნების გიგანტები

დილის წრე:

ოთახში სკოჩით დააკარით დიდი წრე, უთხარით ბავშვებს, რომ ოთახის მოცულობის ხეებიც არსებობენ. დასხედით წრეში და ნახეთ, რამდენ ადამიანს იტევს ხის მოცულობა. დაურიგეთ ბავშვებს ბუნების გიგანტების ილუსტრაციები. წაახალისეთ, რომ დაათვალიერონ, დათვალიერებისას უთხარით, რომ ბუნებაში ყველაფერს, რაც ძალიან, ძალიან, ძალიან დიდია გიგანტს ეძახიან. მაგალითად, გიგანტი ხე, გიგანტი მთა, გიგანტი ჩანჩქერი და ა.შ.

- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ მთები, ხეები, ჩანჩქერები, აისბერგი.
- ჰკითხეთ, რამხელა შეიძლება იყო მთა? ხე? ჩანჩქერი?მოუყევით საქართველოს გიგანტ მთებზე, ხეებზე, ჩანჩქერებზე.(ლაგოდეხის ნაკრძალი, მესტია, სტეფანწმინდა, გორი-გაყინული ჩანჩქერი და ა.შ.)
- მოუყევით ბავშვებს გიგანტ ხეებზე: გიგანტი ხე, ძალიან დიდი, ძალიან მაღალი და ძალიან განიერია.
- შეგიძლიათ აჩვენოთ თელავში ერეკლე მეორის სასახლესთან მდგომი უძველესი ხის ილუსტრაცია, რომელიც 900 წლისაა.
- მოუყევით ბავშვებს მსოფლიოს გიგანტ მთებზე, ხეებზე, აისბერგებსა და ჩანჩქერებზე.

ხელოვნება:



- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ გიგანტი მთები, ხეები, აისბერგები, ჩანჩქერები თავისი ფანტაზიით.
- დაურიგეთ ბავშვებს ჟურნალები, წაახალისეთ, იპოვონ მთის ხედები, გიგანტი ხეები, ჩანჩქერები, აისბერგები და ამოჭრან. გააკეთეთ ერთი დიდი კოლაჟი.
- გააფერადეთ (დანართი 3.14.1.).
- დაურიგეთ ბავშვებს ფურცლები და პასტელები. ფურცლები ხეს მიადონ და დაფარონ ფერით. ფურცელზე აღბეჭდილი ორნამენტები ხის ქერქის ორნამენტებია.
- გააკეთეთ ხეები. თქვენ დაგჭირდებათ ქაღალდის რულონის ცარიელი მუყაო, ხის ქერქები, ხავსი, გირჩი, საცობი, ასკილი, სიმინდის მარცვალი (შეგიძლიათ მძივებიც გამოიყენოთ) და ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი ხის ფორმა. იმისათვის, რომ ხე მყარად დადგეს, უკან მიაწებეთ ქაღალდის რულონი.



- დაურიგეთ ბავშვებს სახატავი ფურცლები და ხის სხვადასხვა ზომის ფოთლები. ფოთლები დადონ ქაღალდის ქვეშ და დაფარონ ფურცელი ფერით. ახლა კი ნახონ რა გამოვიდა?
- წაახალისეთ ბავშვები, შეაგროვონ ეზოში ფერად-ფერადი ფოთლები, ყველაფერი, რაც კი ხეს სცვივა. შემდეგ ააცვან ძაფზე და ჩამოკიდონ ოთახში.

- დაამზადეთ ფოთლებისგან დეკორატიული გვირგვინი. ქაღალდისგან გამოჭერით წრე, წაახალისეთ ბავშვები, წრეზე გაანაწილონ ფოთლები და შემდეგ დააკრან.

- ბავშვებმა შეაგროვონ სხვადასხვა ფორმის ფოთლები. დადეთ ქაღალდზე ერთი ფოთოლი. წყალში გახსნილი გუაში ან აკვარელი წაუსვან ჯაგრისს და თითი ჩამოუსვან ისე, რომ ქაღალდს შეესხუროს.



- სხვადასხვა საკმაზით და პროდუქტით გაფორმებული ხე. ქაღალდზე მოხაზეთ ხის ფორმები და დაურიგეთ ბავშვებს. სთხოვეთ, წაუსვან წებო. ზედ დააწყონ: შავი წიწაკის მარცვალი, მიწის თხილი, კაკლის ნაჭუჭი, გოგრის თესლი, მზესუმზირა, ასკილი, სიმინდის მარცვალი, დაფნის ფოთოლი, მიხაკ-დარიჩინი და ა.შ.



- დაამზადებინეთ ბავშვებს სახალისო ხეები. ამისათვის დაგჭირდებათ: სარეცხის სამაგრი, ნაყინის ჯოხი, მუყაო, ნაჭრის ფერადი ნაკუწები, ღილები, მძივები და წებო.



მუსიკა:

- „მთებს თოვლიან მთებს, ვუმღერებთ ლამაზ სიმღერებს“.
- მოასმენინეთ ბავშვებს სხვადასხვა ხმები და წაახალისეთ, გამოიცნონ რისი ხმებია.
- წყლის ხმა. http://www.youtube.com/watch?v=xlKOhDwjB4shttp://www.youtube.com/watch?v=DB58JC29K7g&feature=related
- ჩანჩქერის ხმა. http://www.youtube.com/watch?v=kjhOIiSKVyg&feature=relmfu

ისაუბრეთ წყლის და ჩანჩქერის ხმის განსხვავებაზე.

მოძრაობა:



- ითამაშეთ თამაში: მიწისძვრა, ცეცხლი, ქარი, წყალი. წაახალისეთ ბავშვები, იმოძრაონ ჯგუფში ან იარონ წრეში. მოულოდნელად დაიძახეთ მიწისძვრა. ამ სიტყვის გაგონებაზე ბავშვები მაგიდების ქვეშ უნდა შეძვრნენ. სიტყვა ცეცხლის გაგონებაზე ბავშვები მუხლებზე, ოთხზე უნდა დადგნენ. სიტყვა ქარის გაგონებაზე იატაკზე უნდა გაწვნენ, ხოლო წყლის გაგონებაზე სკამზე ან მაგიდაზე უნდა დასხდნენ და ფეხები ასწიონ. ეს თამაში შეასრულეთ ტემპში, ჩქარ-ჩქარა.

სამაგიდო:



- ასანთის ღერებისგან ან ჩხირებისგან ააწყვეთ ბუნების გიგანტები: მთები, ხეები და ა.შ. დაითვალეთ, რამდენი ასანთის ღერი დაგჭირდათ? მოიფიქრეთ ისეთი ფორმის ხე, რომ ასანთის ღერების რაოდენობა მინიმუმამდე დაიყვანოთ.



დრამატული:



- ითამაშეთ მთამსვლელობანა. რა არის საჭირო მთაში წასასვლელად?

სენსორული:

- წაახალისეთ ბავშვები, გამოძერწონ თიხისგან, პლასტელინისგან ან ცომისგან სხვადასხვა ფორმის გიგანტი მთები.
- მოიმარაგეთ დიდი რაოდენობის ყინულის პატარა ნატეხები. ააწყვეთ ყინულის მთები, შეგიძლიათ აისბერგი გააკეთოთ, ქაღალდის გემები დააჯახოთ და დააკვირდეთ, რა მოუვა ყინულს და გემებს?

წიგნიერება:

- მიეცით ბავშვებს წიგნები, ჟურნალები, სურათები გიგანტი მთების, ჩანჩქერების, ხეებისა და სხვ. გამოსახულებით. წაახალისეთ, დაათვალიერონ და დროში არ შეზღუდოთ.

მეცნიერება:

- წაახალისეთ ბავშვები, (ქვიშის ყუთში ან ეზოში) გააკეთონ ქვიშის მთები. სთხოვეთ, შეუბერონ სული და დააკვირდნენ, რა მოხდება. შემდეგ მიეცით წყალი, რომ ქვიშის გორას დაასხან. დააკვირდნენ რა მოხდება?
- ბავშვებს დაურიგეთ პლასტმასის ბოთლები ან სარწყავები და გაიყვანეთ ეზოში ხეების მოსარწყავად.
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ხის ზრდის პროცესი.
- ანახეთ ბავშვებს ხის ფესვები, თესლები, ხის ქერქი და ა.შ. მიეცით გამადიდებელი შუშა და დააკვირდნენ. ისაუბრეთ მათ შთაბეჭდილებებზე.
- ლიტრიან მუყაოს ყუთში ჩაასხით წყალი და გაყინეთ. წყალი კარგად რომ გაიყინება, შემოაჭერით ყუთი და ყინულის ნატეხი ჩადეთ წყლით სავსე ჯამში. შეეცადეთ გაარკვიოთ ყინულის რამხელა ნაწილია წყლის ზევით და რამხელაა წყლის ქვეშ. წყალში შეურიეთ მარილი და დააკვირდით, რაიმე თუ შეიცვლება. უთხარით ბავშვებს, რომ მარილიანი წყალი უფრო მძიმეა, ვიდრე ჩვეულებრივი წყალი.

კონსტრუქციული:



- კუბურებით ან დაჭმუჭნული მეორეული ქაღალდით ააგეთ მთები. შემდეგ შეაჯანჯღარეთ მიწა, რა მოხდება?
- მუყაოს რამდენიმე ყუთისგან დაამზადეთ ერთი დიდი ყუთი, რომელშიც ბავშვებიც შეძვრებიან. შესაძლებელია, მუყაოს რამდენიმე ყუთს მოაჭრათ ქვედა ნაწილი, დაადგათ ერთმანეთს და გადააბათ სკოჩით. გააფორმეთ ბავშვებთან ერთად. ხის ტოტებად შეღებილი და

დასკოჩილი სიგრძეზე დაჭმუჭნული გაზეთები გამოიყენეთ. გამოჭერით ფერად-ფერადი ფოთლები, ან შეგიძლიათ ეზოშიც შეაგროვოთ და სკოჩით მიამაგროთ ტოტებს.

ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები ბოტანიკურ ბაღში, დაათვალიერებინეთ სხვადასხვა ხეები, ჩანჩქერი, გადახედეთ თბილისის მთებს.

კულინარია:



- ტკბილი ცომისგან გააკეთეთ მთის ფუნთუშები.
- ფუნთუშის ტკბილი ცომის გუნდებისგან ააწყვეთ ხე და გამოაცხვეთ.



- სთხოვეთ ბავშვებს, მარილიანი ჩხირებისგან ააწყონ ხეები.

საღამოს წრე:

- რა გაიგეს ახალი?
- რა იყო მათთვის საინტერესო?
- რომელი აქტივობა მოეწონათ?

2. გოლიათი ცხოველები

დილის წრე:

- დილის წრის დაფაზე გააკარით გოლიათი ცხოველების: სპილო, ჟირაფი, გორილა, ვეშაპი და ა.შ. ფოტოები. უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა გოლიათი ცხოველებია.
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ ფოტოები და ისაუბრონ გოლიათ ცხოველებზე.
- რამხელა წარმოუდგენიათ ჟირაფი? სპილო? გორილა? ვეშაპი? მაგ. ჟირაფი ორ სართულიანი სახლისხელაა და ძალიან ბევრ აკაციის ფოთოლს ჭამს დღის განმავლობაში. ახალდაბადებული ჟირაფი ადამიანის ზომისაა. სთხოვეთ ახლა თვითონ ისაუბრონ სხვა დიდ ცხოველებზე, რამხელები წარმოუდგენიათ ისინი.
- გოლიათი ცხოველები რაიმე ხმებს გამოსცემენ? წაახალისეთ, განასახიერონ ეს ცხოველები.

მუსიკა:



- მოუსმინეთ სხვადასხვა ცხოველების ხმებს. მიხვდებიან ბავშვები, რომელი ცხოველი რა ხმას გამოსცემს?

ხელოვნება:



- ამობეჭდეთ დანართები, სთხოვეთ ბავშვებს, აირჩიონ მათთვის სასურველი დანართი, გააფერადონ, გამოჭრან, დააწებონ და ა.შ. ვისაც სურს, შეუძლია მხოლოდ დახატოს საყვარელი გოლიათივით დიდი ცხოველი (დანართი 3.14.2.).
- გააკეთეთ ფაზლი. ბავშვებმა დახატონ ფერში ჟირაფის კანის ორნამენტი. შემდეგ ნახატებით ააწყვეთ ჟირაფის ფაზლი. ნახატები დააწებეთ ერთმანეთზე, მიახატეთ თავი და დაასრულეთ ჟირაფი.
- გააკეთებინეთ გოლიათი ცხოველების ქაღალდის ან ნაჭრის აპლიკაციები (დანართი 3.14.3.).
- გაზეთი დაჭმუჭნეთ ბურთივით. გაზეთის ბურთი ჩადეთ ქაღალდის პარკში და თავი რეზინით მოუკარით. პარკი ლურჯად შეღებეთ. ლურჯი ქაღალდისგან გამოჭერით ვეშაპის ფარფლები. ფარფლები პარკს ქვევითა მხარეს, გვერდებზე მიაწებეთ. ლურჯი/ცისფერი ქაღალდი ქაღალდის შუამდე, ზოლებად ჩაჭერით. თითოეულ ზოლს ჩამოუსვით მაკრატელი ისე, რომ ზოლები დაიხვეს. შემდეგ დაახვიეთ ქაღალდი და ჩაარჭვეთ ვეშაპს ზურგში. თვალები პენოპლასტით შეგიძლიათ გაუკეთოთ და გუგები მიახატოთ. კბილები თეთრი ქაღალდისგან და შავი ფლომასტრით გააკეთეთ და დააწებეთ.

მოძრაობა:



- გაზეთი დახიეთ სიგრძეზე ზოლებად და დაალაგეთ იატაკზე. ზოლი გააკეთეთ 33, 5 მეტრი სიგრძის. ზუსტ სიგრძეს რომ მიხვდეთ, გაზომეთ მეტრიანით. დააწებეთ ზოლი იატაკზე სკოჩით და წაახალისეთ ბავშვები, დაწვნენ ზოლზე სიგრძეზე. რამდენი ბავშვი დაეტევა 33, 5 მეტრში? რამდენი ბავშვის სიგრძეა ვეშაპი. ეს თამაში ყველა გოლიათ ცხოველზე შეგიძლიათ გააკეთოთ.

სამაგიდო:



- სთხოვეთ ბავშვებს თიხისგან, პლასტენილისგან ან ცომისგან გამოძერწონ გოლიათი ცხოველები. თუ ცომისგან გამოძერწავენ, შეგიძლიათ საკუთარი სურვილისამებრ მოხატონ.
- ასანთის ღერებისგან და სხვადასხვა მარცვლებისგან ააწყვეთ გოლიათი ცხოველების ფიგურები.

- რიცხვები დააკავშირეთ ხაზებით და გააფერადეთ (დანართი 3.14.4.).

წიგნიერება:

- წაიკითხეთ და დაათვალიერეთ წიგნები გოლიათ ცხოველებზე.

ექსკურსია:



- ესტუმრეთ ზოოპარკს.

კულინარია:



- სტაფილო გათალონ, დაჭრან მრგვალ და წვრილ, გრძელ ნაჭრებად. სტაფილოს ნაჭრებით შეუძლიათ სხვადასხვა ცხოველები ააწყოთ.

საღამოს წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, ჩამოთვალონ და აღწერონ გოლიათი ცხოველები.
- რა გაიგეს მათ შესახებ ახალი?
- რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო?
- რომელი აქტივობა მოეწონათ?
- რას გაიმეორებდნენ ან გააკეთებდნენ კიდევ ერთხელ?

3. ადამიანის შექმნილი გიგანტი კონსტრუქციები

დილის წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ ილუსტრაციები: გემი, თვითმფრინავი, ხიდი, ცათამბრჯენი.
- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ თავიანთი შთაბეჭდილებების შესახებ. მოუყევით თითოეული მათგანის შესახებ, როგორი ხიდები, თვითმფრინავები, გემები თუ ცათამბრჯენები არსებობს.
- მოუყევით ბავშვებს გიგანტ ქალაქებზე, სადაც უამრავი ადამიანი ცხოვრობს.

ხელოვნება:



- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ფერად-ფერადი საღებავებით მათთვის ყველაზე საინტერესო გიგანტი კონსტრუქციები.
- პლასტელინით, თიხით ან ცომით გამოძერწონ.
- გააფერადეთ (დანართი 3.14.5.).
- ქაღალდის რულონი ჩაჭერით ერთ მხარეს, დაახლოებით 2 სმ. სიღრმეზე და 1 სმ. მანძილის გამოტოვებით. ჩაჭრილი ნაწილები გადაშალეთ მზესავით. წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ნახატი, რომელსაც დააკრავენ ხიდს. ხიდის საყრდენი იქნება ქაღალდის რულონი, რომელიც უნდა დააკრათ ნახატის შუაში, ზევიდან კი დააწებოთ ქაღალდის ზოლი, რომელიც ხიდის ფუნქციას შეასრულებს.



მოძრაობა:



- წაახალისეთ ბავშვები, გააკეთონ „ხიდები“: დაწვნენ იატაკზე პირაღმა. მკლავები გადაწიონ უკან და ხელის გულები იატაკს დააბჯინონ. ფეხები დადგან და ნელ-ნელა წამოწიონ სხეული. დაითვალეთ წამმზომით, რამდენ ხანს გაძლებენ ბავშვები „ხიდის” პოზიციაში.
- ბავშვები გადავიდნენ „ხიდზე“ აღმზრდელის და აღმზრდელის თანაშემწის დახმარებით.

- წაახალისეთ ბავშვები, კედელთან დადგნენ ზურგით. ხელის გულები მიადონ კედელს და ნელ-ნელა ჩაცურდნენ ისე, რომ „ხიდი“ შექმნან.

სამაგიდო:



- დამბალი მუხუდოს ან საძერწი ცომისა და ჩხირების საშუალებით, წაახალისეთ ბავშვები, გიგანტი შენობები, ხიდები და სხვადასხვა კონსტრუქციები ააგონ.



- გააკეთეთ ბეწვის ხიდი. დაგჭირდებათ ბევრი ერთი ზომის ტოტი, ძაფი ან თხელი ბაწარი. ტოტების თოკზე ასაცმელად გააკეთეთ კვანძი, რომელიც შეხსნილი იქნება. გაუყარეთ ტოტი თვალში, მოქაჩეთ ძაფი და გამოვა კვანძი. ერთ ტოტს რომ დაამაგრებთ, გააკეთეთ მეორე თვალი, გაუყარეთ ტოტი და გაკვანძეთ. გახსოვდეთ, ბეწვის ხიდს ფიცრებს შორის შუალედი არ აქვს. დამზადებული ხიდი დაკიდეთ ისეთ ადგილას, სადაც ბავშვები თამაშს შეძლებენ.



სენსორული:

- ქვიშისგან ააგეთ კოშკები და ერთმანეთთან ხიდებით დააკავშირეთ.
- პატარა კენჭებით და ქვებით შეგიძლიათ გააკეთოთ არხი და ხიდად ტოტები გადოთ.

დრამატული:



- გაითამაშეთ სხვადასხვა სიტუაციები. დაგჭირდებათ სალარო, ბილეთები, გამყიდველი, გამცილებელი, გემის შტურმანი, თვითმფრინავის პილოტი, მგზავრები და ა.შ. შეგიძლიათ ითამაშოთ გემობანა, თვითმფრინავობანა და გაფრინდეთ ყველაზე დიდი ხიდის, ცათამბრჯენის ან ქალაქის სანახავად.

წიგნიერება:

- გაეცანით წიგნებს, რომლებიც ადამიანის შექმნილ გიგანტ კონსტრუქციებს აღწერენ.

მეცნიერება:

- ჩაატარეთ ექსპერიმენტი. დადგით ორი ჭიქა, ზედ დააფინეთ ფურცელი და დაადეთ რაიმე ნივთი. ფურცელი ვერ გაუძლებს წონას და ნივთი (სათამაშო ან ჭიქა) ჩავარდება. შემდეგ ფურცელი მარაოსავით დაკეცეთ და დადეთ ჭიქებზე. დაკეცილ ფურცელს იგივე ნივთი დაადეთ და ნახავთ, რომ ფურცელი წონას გაუძლებს.



კონსტრუქციული:



- ფეხსაცმლის ან პროდუქტის ყუთებისგან ააწყვეთ ხიდი. ხიდის კონსტრუქციის შესაქმნელად გამოიყენეთ პაპიე-მაშეს ტექნიკა.
- კუბურებით ააწყვეთ შენობები და ხიდები.
- გააკეთეთ ხიდები მაგიდებს შორის. გამოიყენეთ სხვადასხვა ნივთები, წიგნები, სახაზავები და ა.შ.
- ააწყვეთ ლეონარდო და ვინჩის ხიდი, რომელსაც არც დაწებება სჭირდება და არც დაჭედება. ხიდი ფიცრების დაწვნით იწყობა. საცდელად შეგიძლიათ ნაყინის ჯოხები გამოიყენოთ. შემდეგ მოზრდილი ფიცრებისგანაც შეგიძლიათ ხიდის გაკეთება.



ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები ძველ თბილისში.

საღამოს წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ ადამიანების აგებულ გიგანტ კონსტრუქციებზე.
- რომელია, მათთვის, ყველაზე შთამბეჭდავი, რომელ კონსტრუქციას ნახავდნენ?
- რომელი აქტივობა იყო ყველაზე სახალისო?
- რომელ აქტივობას გაიმეორებდნენ?

4. ზღაპრის გოლიათები

დილის წრე:

- დილის წრის დაფაზე გააკარით გოლიათი ზღაპრის გმირების ილუსტრაციები. უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა გოლიათებია. გოლიათები ზღაპარში ხშირად გვხვდება. ისინი გვხვდება როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ზღაპრებში.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რა ჰქვიათ ქართულ ზღაპრებში გოლიათებს?
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ გოლიათები.
- მათი აზრით, არსებობენ გოლიათი ადამიანები, დევები, ბაყბაყდევები?
- უნახავთ სადმე დევი?
- სად ცხოვრობენ ზღაპრებში დევები?
- ვინ ამარცხებს დევს?
- დევთან და გოლიათთან შედარებით ჩვენ რამხელები ვართ?
- ზღაპრებში ხშირად გვხდება ჯინი, წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ ჯინი.
- რა საგანში ბინადრობს ჯინი?
- რისთვის არსებობს ჯინი?
- რამდენი წლის შეიძლება იყოს ჯინი?
- რისი კეთება შეუძლია დევს?
- რისი კეთება შეუძლია ჯინს?
- ვინ იყო გულივერი?
- რა შეემთხვა გულივერს?
- ვის ქვეყანაში მოხდა გულივერი?

ხელოვნება:



- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ გოლიათები და დევები იმ ზღაპრებიდან, რომელთაც ისინი იცნობენ.
- გააფერადეთ (დანართი 3.14.6.).
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ გოლიათები სხვა ადამიანებთან, შენობებსა და ნივთებთან შედარებით.
- დაამზადეთ პატარა კაცუნები რკოსა და ხის ბურთულის გამოყენებით. ქუდისთის და მოსასხამისთვის დაგჭირდებათ პატარა ქსოვილის ნაჭრები. დააწებეთ ნიმუშის მიხედვით.



- დაამზადეთ ჯინი ბოთლში. დაგჭირდებათ პლასტმასის ბოთლი, ერთი მსხვილი მძივი, მოძრავი თვალები, ბუმბული და წებო. ქაღალდისგან გამოჭერით სამკუთხედი, დაახატეთ პირი და თვალები, თუ მოძრავი თვალები არ გაქვთ, ქაღალდს შუაში დააკარით ბუმბული და გაუყარეთ ძაფი. ნახატი ჩააგდეთ ბოთლში, ძაფი კი გაუყარეთ გახვრეტილ თავსახურს. ძაფის ბოლოს დაამაგრეთ მსხვილი მძივი. მძივის საშუალებით ბავშვები ჯინს გაამოძრავებენ.



- გაუბერავ ბუშტს დაახატეთ თვალები, პირი და თმები. შეგიძლიათ ქაღალდზე დახატოთ, ამოჭრათ და ბუშტს დააწებოთ. გაუბერავი ბუშტი ჩამოაცვით პლასტმასის ბოთლს ისე, რომ ბოთლს ხელი არ მოუჭიროთ. შემდეგ კი მოუჭირეთ ბოთლს ხელი და მოჩვენებაც წამოიმართება.



მოძრაობა:



- ფერადი ცარცებით დახატეთ ასფალტზე ზღაპრის გოლიათები. თავიდანვე მიუთითეთ ბავშვებს, რომ ნახატებს შორის მანძილი დატოვონ. წაახალისეთ ბავშვები, ერთი გოლიათიდან მეორეზე ისე გადავიდნენ, გადახტნენ, რომ მიწას, სადაც არაფერი ხატია, ფეხი არ დაადგან. ვითომ დაუხატავი მიწა დიდი მდინარეა და თუ წყალში ჩავარდებიან, მაშინ მათ დინება წაიღებთ. წაახალისეთ ბავშვები, ერთმანეთს დახმარება გაუწიონ. შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა ნივთები ხიდების მოსაწყობად.
- იატაკზე სკოჩით მოხაზეთ გოლიათის ნაკვალევი. წაახალისეთ ბავშვები, ჩადგნენ გოლიათის ნაკვალევში. აბა, რამდენი ბავშვი დაეტევა? წაახალისეთ ბავშვები, დაითვალონ ერთმანეთი. რისი მოფიქრება შეიძლება, კიდევ უფრო მეტი ბავშვი რომ დაეტიოს ნაკვალევში?

სამაგიდო:



- მუყაოს ყუთისგან გამოჭერით გოლიათის პერანგი. შეგიძლიათ გოლიათის ფეხსაცმელიც გააკეთოთ და თასმები გაუყაროთ. პერანგს ღილების ადგილზე გაუკეთეთ ორ-ორი ნახვრეტი. აიღეთ სქელი ძაფი, თოკი და გაუყარეთ ნახვრეტებში.



დრამატული:



- ნახეთ მულტიპლიკაციური ფილმი „გულივერის მოგზაურობა.„
- ნახეთ მულტიპლიკაციური ფილმი „ალადინის ჯადოსნური ლამპარი.“
- განასახიერეთ გოლიათები, დევები და ჯინები. ჯინს მოასხით მოსასხამი და როდესაც ლამპარს ხელს გაუხახუნებთ, ის ამობრძანდება და გკითხავთ: რას ინატრებთ? ინატრეთ ისეთი რამ, რისი შესრულებაც შესაძლებელია. შეგიძლიათ ინატროთ გუნდური სიმღერა ან რაიმე თამაში და ა.შ.
- „გოლიათის გარდერობი.“ დაალაგეთ დრამატულ ცენტრში დიდი ზომის ტანსაცმელები, ფეხსაცმელები, ქუდები. წაახალისეთ ბავშვები, მოიზომონ გოლიათის ნივთები. მგონი, შეიძლება, გოლიათის ერთი მაისური ორ ან მეტ ბავშვსაც კი მოერგოს...

წიგნიერება:

- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ ის ზღაპრები, სადაც გოლიათები, დევები და ჯინები გვხვდებიან.
- წაუკითხეთ ბავშვებს ქართული ხალხური ზღაპარი „ფაშგუნდი.„
- წაუკითხეთ ბავშვებს „გულივერის მოგზაურობა.„
- გაიხსენეთ ზღაპარი „ნაცარქექია.„
- წაიკითხეთ ზღაპარი „ალადინის ჯადოსნური ლამპარი.„

კონსტრუქციული:



- ააგეთ გოლიათების სახლები.

ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები მთაწმინდის პარკში, მზიურის პარკში, ესტუმრეთ სამთავა დევის მონუმენტს.

მეცნიერება:

- დაგჭირდებათ: 1 კუბიკი საფუარი, 1 ჩაის კოვზი შაქარი, 4 ჩაის კოვზი ფქვილი, 100 მლ. თბილი წყალი, ჯამი, ბოთლი, ბუშტი. ბუშტს დაახატეთ სახე. ჭიქაში ჩაყარეთ ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი და ჩანგლით ათქვიფეთ ისე, რომ გამოვიდეს უკოლტებო სქელი მასა. ეს მასა ჩაასხით ბოთლში. ბოთლს ჩამოაცვით ბუშტი. შეგიძლიათ ბუშტი ძაფით

დაამაგროთ. ჯამში ჩაასხით თბილი წყალი და ჩადგით ბოთლი წყალში. დააცადეთ რამდენიმე წუთი და დააკვირდით რა მოხდება?



საღამოს წრე:

- წაახალისეთ ბავშვები, მოყვნენ გოლიათების შესახებ.
- რა შეიტყვეს ახალი?
- რა იყო ყველაზე საინტერესო მათთვის?
- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?
- რომელი ზღაპრის წაკითხვა სურთ ხელახლა?
- რომელი აქტივობის გამეორება სურთ?

დედის დღე

შენიშვნა: გაითვალისწინეთ და იყავით ფრთხილად, ზოგიერთ ბავშვს დედა არ ჰყავს ან მონაწილეობას არ იღებს მათ აღზრდაში. წაახალისეთ ისინი, იფიქრონ ქალზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ ცხოვრებაში.

დილის წრე



- სთხოვეთ ბავშვებს, მოიტანონ დედის ან მათთვის ძვირფასი ადამიანის სურათი. სათითაოდ აჩვენონ სურათზე გამოსახული ადამიანი და თქვან, რაიმე განსაკუთრებული მათზე.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რისი კეთება უყვართ დედასთან ერთად.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა დედის დღეა.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ფურცლები, პასტელები, საღებავები, თასმები/მაქმანი და წებო. სთხოვეთ ბავშვებს, დაამზადონ დედის დღის ბარათი. გაატანეთ სახლში რომ აჩუქონ დედას.
- მოიმარაგეთ ჟურნალები, მაკრატლები, წებო და ფურცელი. სთხოვეთ ბავშვებს, გადაათვალიერონ ჟურნალები და ამოჭრან იმ საგნის ფოტო, რისი საჩუქრად მიღებაც მათ დედებს გაუხარდებოდათ. სთხოვეთ, დაამზადონ კოლაჟი.
- მოიმარაგეთ საღებავები და ფურცლები და სთხოვეთ ბავშვებს, დედის პორტრეტები დახატონ.
- ყელსაბამი დედისთვის. მოიმარაგეთ გრძელ სამკუთხედებად დაჭრილი ფერადი ქაღალდი ან ჟურნალებიდან ამოჭრილი ჭრელაჭრულა გვერდები. სთხოვეთ ბავშვებს, დაახვიონ სამკუთხედები ფანქარზე დიდი გვერდიდან წვერისკენ. წვერზე წაუსვან წებო და დაამაგრონ. გამოაცალონ ფანქარი და მის ნაცვლად გაუყარონ ფერადი თოკი.
- მოიმარაგეთ სხვადასხვა ზომის ფერადი ღილები, წინასწარ ამოჭერით დანართში 1.15.1. მოცემული ყვავილები, სთხოვეთ ბავშვებს, გააფერადონ, დააწებონ ფერად ფურცელზე, გულის მაგივრად ღილი დააწებონ.
- თაიგული დედისთვის. მოიმარაგეთ ოთხკუთხად დაჭრილი კრეპის ქაღალდი ან თხელი ფერადი ქაღალდი, ან ფერადი შიფონი, სთხოვეთ ბავშვებს, დაკეცონ წვრილი მარაოსავით და შუაში მწვანე მავთულის ღერო შემოაჭდონ ისე, რომ მიიღონ ფუმფულა ყვავილის ფორმა.
- მოიმარაგეთ მცირე ზომის ყუთები და სხვადასხვა სახის მეორეული მასალა (ქსოვილის ნაჭრები, ღილები, ბაფთები და ა.შ.) და სთხოვეთ ბავშვებს, გააფორმონ ყუთები დედისთვის სამკაულის ჩასალაგებლად.

მუსიკა და მოძრაობა

- ითამაშეთ „დედა, შეიძლება?“ ბავშვები სათითაოდ გამოიყვანეთ და სთხოვეთ კონკრეტულ ცხოველს მიბაძოს, მაგალითად, განასახიეროს კატის ნახტომი, ცხენის ჭენება, ლეკვის კუნტრუში და სხვა. წაახალისეთ, შესაბამისი ხმებიც გამოსცენ. თამაშის წესების მიხედვით ბავშვი არ უნდა გაინძრეს, სანამ არ იკითხავს: „დედა, შეიძლება?“ და მასწავლებელი უპასუხებს: „კი, შეიძლება.“

სამაგიდო



- სთხოვეთ ბავშვებს, დაახარისხონ „რისი კეთება მიყვარს“ აქტივობის ბარათები (დანართი 1.15.2.) ორ კატეგორიად „რისი კეთება მიყვარს დედასთან ერთად“ და „რისი კეთება მიყვარს მარტო.“

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (დედის დღე. 4-5 წ.): „დედა“, „ჩემო კარგო დედილო“, „ციალას წერილი.“

- ჩემი დედის დედა. ისაუბრეთ ბავშვებთან იმის შესახებ, რომ დედებსაც ჰყავთ დედა. დაეხმარეთ, გაიაზრონ, რომ მათი ბებიები და ბაბუები მათი მშობლების დედები და მამები არიან. ბავშვებს, რომლებსაც დიდი ბებიაც ჰყავთ, აუხსენით რომ ის მათი ბებიას (ან ბაბუას) დედაა.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ სხვადასხვა ფერის შიფონი, ბრჭყვიალა ქსოვილები და სხვა აქსესუარები და სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებითა და ამ ნივთების გამოყენებით დედებისთვის სასახლეების აშენება.

კულინარია

- დაამზადებინეთ ბავშვებს მარტივი ნამცხვარი დედის დღის აღსანიშნავად.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, როგორ და ვის მიულოცავენ დედის დღეს?
- ჰკითხეთ, რომელი აქტივობა მოეწონათ დღის მანძილზე, რატომ?

დრო და კალენდარი

1. დრო
2. კალენდარი
3. საათი

1. დრო

დილის წრე

- წინასწარ გააბით თოკი, მოიმარაგეთ სარჭები და სურათები, რომლებზეც სხვადასხვა დროა გამოსახული; მაგალითად, ერთზე ახალი წელია, მეორეზე – ზამთრის არდადეგებზე თხილამურებით მოსრიალე ბავშვები, მესამეზე – თოვლი დნება, მეოთხეზე – უკვე გაზაფხულია და ბავშვები ბაღის ეზოში თამაშობენ და ა.შ.
- ბავშვებს სურათები ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით აჩვენეთ. სთხოვეთ, აღწერონ და ისაუბრონ იმ დროზე, რომელიც სურათზეა ნაჩვენები.
- სურათი სარჭით ჩამოკიდეთ თოკზე. ნელ-ნელა, ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით დაკიდეთ დანარჩენი სურათებიც. ბოლოს თოკზე მიუთითეთ და უთხარით, რომ ეს დროის ხაზია.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა დროა.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოიცნონ, როდის გავა ერთი წუთი. სთხოვეთ, დასხდნენ მოხერხებულად, დახუჭონ თვალები და ასწიონ ხელი, როცა მათი აზრით ერთი წუთი გავა. დაინიშნეთ დრო. იმ ბავშვებს, რომლებიც ადრე ასწევენ ხელს, უთხარით, რომ ჯერ ადრეა და ხელი ჩასწიონ. როცა წუთი გავა, შემოკარით ტაში და ექსპერიმენტი გაიმეორეთ.
- დღის განმავლობაში მაღვიძარა და ქრონომეტრი გამოიყენეთ. რა დროს ანდომებთ სხვადასხვა საქმიანობას? მაგალითად, ჭამას, ოთახის მილაგებას. ბავშვებთან ერთად დაამზადეთ გრაფიკი რომელ საქმიანობას სჭირდება ყველაზე მეტი დრო და ა.შ.
- თუ განსაზღვრულ დროში შემდეგ აქტივობაზე უნდა გადახვიდეთ, (მაგალითად, ეზოდან ამოხვიდეთ), მაღვიძარა დააყენეთ. უთხარით ბავშვებს, რომ ერთ საათში ოთახში უნდა დაბრუნდეთ და ერთი საათის გასვლის შემდეგ მაღვიძარა დარეკავს. როცა დარეკავს, აღნიშნეთ, რომ უკვე ერთი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ეზოში ჩახვედით.

ხელოვნება



- რა მოხდება შემდეგ? დაურიგეთ ბავშვებს ჟურნალები და სთხოვეთ, ამოჭრან სურათები, რომლებზეც ყოველდღიური საქმიანობებია გამოსახული. მაგალითად, ადამიანი რომელიც იცვამს, საუზმობს, სადილობს, ავტობუსით მგზავრობს, რაიმეს ყიდულობს, იძინებს, ა.შ. მოაგროვეთ ეს სურათები და ეცადეთ ქრონოლოგიურად დააწყოთ. ისაუბრეთ იმაზე, თუ რა დრო სჭირდება ამ საქმეების შესრულებას. „რას აკეთებთ დილით ჩაცმის შემდეგ? სადილის შემდეგ? რას აკეთებთ ბანაობის ან ძილის წინ?“ – ამ ტიპის კითხვები ბავშვებს საშუალებას აძლევს დროის მსვლელობა აღიქვან. ამოჭრილი სურათები დაუბრუნეთ ბავშვებს და წაახალისეთ, დიდ ფორმატზე კოლაჟი გააკეთონ.
- სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ სამი რამ, რისი კეთებაც ყოველდღიურად უწევთ. მაგალითად, კბილების გამოხეხვა, საბავშვო ბაღში თამაში, საყვარელი მულტფილმის ყურება, ა.შ. ჰკითხეთ, როდის აკეთებენ ხოლმე ამ აქტივობას, ნახატს შეგიძლიათ დრო მიუწეროთ და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით თოკზე ჩამოკიდეთ.
- ქვიშის საათის დამზადება. მოიმარაგეთ ორი პატარა ზომის პლასტმასის ცარიელი ბოთლი, საიზოლაციო ლენტი და ქვიშა. ერთი ბოთლი გაავსეთ ქვიშით. პატარა მუყაოსგან ან სქელი ქაღალდისგან გამოჭერით პატარა, ბოთლის თავის ზომაზე ოდნავ დიდი წრე, გახვრიტეთ ერთ ან რამდენიმე ადგილას ან გამოიყენეთ მოზრდილი ზომის ღილი, დააფარეთ ქვიშიან ბოთლს და დაამაგრეთ ზემოდან მეორე ბოთლიც, შემოახვიეთ საიზოლაციო ლენტი ან სკოჩი. წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ, თუ რა დრო დსაჭირდება ქვიშის საათის ჩამოცლას.



- დაამზადეთ დედამიწის, მთვარისა და მზის მოძრაობის მოდელი. დაგჭირდებათ ერთჯერადი თეფში და მუყაოსგან გამოჭრილი, გაფერადებული დედამიწა და მთვარე, ასევე ქაღალდის კლიპსი.



სამაგიდო



- ამობეჭდეთ და გამოჭერით (დანართში 3.16.1.) მოცემული სურათები, დაურიგეთ ბავშვებს ფურცელთან, ფლომასტერებთან (ან პასტელებთან) და წებოსთან ერთად. სთხოვეთ, სურათები ქრონოლოგიურად დააწყონ, დააწებონ და შემდეგ გააფერადონ.

სენსორული

- მოიმარაგეთ თიხა. სთხოვეთ ბავშვებს, რაიმე გამოძერწონ. დაეხმარეთ დაინიშნონ დრო – რა დრო დასჭირდება თიხის გამოშრობას. როგორ ატყობ, რომ გამოშრა? (გამაგრებულია, ფერს იცვლის) ყველა ფიგურა ერთდროულად გამოშრა? (უფრო პატარა და თხელი ფიგურების გამოშრობას უფრო ცოტა ხანი სჭირდება).

დრამატული



- მოიმარაგეთ თოჯინები, მათი ტანსაცმელი, პიჟამა, პამპერსი და სხვა საგნები. წაახალისეთ ბავშვები, გაითამაშონ ერთი სრული დღე, დილიდან საღამომდე.

წიგნიერება

- გაახსენეთ ლექსი: „წელიწადის ოთხი დრო“.
- დაუსვით ბავშვებს ისეთი კითხვები, რომ პასუხად წელიწადის დროები საჭირო ფორმაში ჩასვან. მაგ. როდის მიდიან საციგაოდ? – ზამთარში. როდის ცვივა ფერადი ფოთლები ხეებიდან? – შემოდგომაზე და ა.შ.
- ესაუბრეთ დღე-ღამის ცვლილებაზე. გამოიყენეთ სიტყვები: აისი, განთიადი, რიჟრაჟი, ცისკარი, შუადღე, საღამო, დაისი, ღამე, შუაღამე. აუხსენით მნიშვნელობები.
- წაუკითხეთ: „შეჯიბრი“, „ზამთარი“, „გაზაფხული“, „შემოდგომა“.
- წაუკითხეთ: „დროის ფასი“.

მეცნიერება

- ბავშვები ეზოში გაიყვანეთ და მათი ჩრდილები ცარცით შემოხაზეთ. შემდეგ შუადღისას ჩადით და სთხოვეთ, იმავე ადგილას დადგნენ და ისევ შემოხაზეთ ჩრდილები. საღამოს იგივე გაიმეორეთ. სთხოვეთ ბავშვებს, თავიანთი დაკვირვებები გაგიზიარონ.
- აიღეთ საშუალო სისქის ფერადი სანთელი, პასტით ან ფანქრით გაუკეთეთ ჰორიზონტალური ხაზები, გარკვეულ მონაკვეთებში, აანთეთ და სთხოვეთ ბავშვებს დააკვირდნენ, რამდენი დრო დასჭირდება სანთლის ნიშნულამდე ჩაწვას, შეგიძლიათ დაამზადოთ ძველებური მაღვიძარა. სანთელი დაამაგრეთ ლითონის, ან ფაიფურის ფართო სასანთლეზე ან პატარა ჯამზე. სანთელს შეარჭვეთ ლურსმანი, სანთელი რომ ჩაიწვება ამ ადგილას, ლურსმანი ჩამოვარდება და წკრიალი გააღვიძებს დაძინებულ ადამიანს.

საღამოს წრე

- ესაუბრეთ ბავშვებს, თუ რატომ იცვლება დღე – ღამით, ზაფხული – ზამთრით, როგორ მოძრაობს დედამიწა და იცვლება ცაზე ვარსკვლავების განლაგება, მაკეტის, თვალსაჩინოების ან ვიდეოს მეშვეობით.

2. კალენდარი

დილის წრე

- დიდ მუყაოზე დაამზადეთ ჯიბეებიანი კალენდარი, ზედა ნაწილში გააკეთეთ წლის, თვისა და დღის აღმნიშვნელი უჯრები, რომელსაც გამჭვირვალე ზედაპირი ექნება და სადაც ბავშვები ყოველდღიურად შეძლებენ შესაბამისი ბარათის ჩადებას. ქვედა ნაწილის ჩანთები 1-დან 31-მდე ციფრების ბარათებისათვის გამოიყენეთ. არ დაგავიწყდეთ სეზონის და ამინდის მიმანიშნებელი სიმბოლოების დამზადებაც. ჩამოკიდეთ კალენდარი თვალსაჩინო ადგილას, აუხსენით ბავშვებს როგორ უნდა ცვალონ უჯრები შესაბამისი ბარათებით და ეს აქტივობა ყოველ დილის წრეზე შეასრულეთ.



- ნიმუშის მიხედვით ისაუბრეთ კალენდარზე და თვეებზე. აჩვენეთ დღეები და კვირები. ისაუბრეთ წელიწადის დროებზე – სეზონებზე.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა კალენდარია.

ხელოვნება



- თითოეულ ბავშვს კალენდრის თითო გვერდი (დანართი 3.16.2.) მიეცით გასაფორმებლად. ისაუბრეთ თვეების შესახებ. სთხოვეთ, თავიანთი საყვარელი თვე ამოარჩიონ და ამ თვესთან დაკავშირებული რაიმე დახატონ. დაეხმარეთ, თარიღები კალენდარში ჩაწერონ.
- კვირის კალენდარი. დაამზადეთ კვირის კალენდარი. ერთმანეთის მიყოლებით ფერად ფურცელზე დააწებეთ კვირის დღეების სახელები. მოიშველიეთ კალენდარი და აუხსენით რას ნიშნავს: -მდე, მერე, ხვალ, გუშინ. კალენდარს ყოველდღიურად მიაკარით რაიმე, რაც იმდღევანდელ მოვლენას აღნიშნავს. მაგალითად, დღესასწაულის სიმბოლო (თუ დღესასწაულია) ან ჩანახატი. შაბათ-კვირას შეგიძლიათ სახლი ჩახატოთ. ასევე შეგიძლიათ კალენდარზე მონიშნოთ ბავშვების დაბადების დღეები.
- მოუყევით ბავშვებს, როგორი იყო თავდაპირველად კალენდარი, რომ ადამიანები დღეებს ხაზის ჩამოსმით აღნიშნავდნენ, ან ხის ტოტებზე ღარებს ტოვებდნენ ყოველი სავსე მთვარეობის დროს. შეეცადეთ აწარმოოთ ასეთი კალენდარი, გააკარით კედელზე ფურცელი და ყოველდღე ჩამოხაზეთ თითო ხაზი, კვირის ბოლოს დათვალეთ და შეაჯამეთ.
- მარტივად მოუყევით ბავშვებს თვეების სახელწოდებების წარმოშობის შესახებ.

მუსიკა და მოძრაობა

- წინასწარ დაამზადეთ „კალენდრის ბილიკი“. გააკეთეთ კალენდრის გვერდის ქსეროასლი. გაადიდეთ და გააკეთეთ „თვეების სიმბოლოების“ ასლებიც. თითოეულ კალენდრის ფურცელს შესაბამისი თვის სიმბოლო დააწებეთ და ლამინირება გაუკეთეთ (დანართის 3.16.3.). იატაკზე თანმიმდევრობით დააწყვეთ ფურცლები. დაამზადეთ თვეების სიმბოლოების მეორე ეგზემპლარი და თითოეულ ბავშვს თითო სიმბოლო მიეცით. სთხოვეთ სათითაოდ გაიარონ თვეების ბილიკის გვერდით და თითოეულ ფურცელთან შეჩერდნენ, დაასახელონ შესაბამისი თვე. სიმბოლო, რომელიც ხელში უჭირავთ, შესაბამის თვეზე დადონ.
- წინასწარ დაამზადეთ წელიწადის დროების დროშები (დანართი 3.16.4.). მოასმენინეთ სეზონებთან დაკავშირებული სიმღერები (მაგალითად, „ფუტკარი“, „ალილო“). სთხოვეთ, თითოეულ სიმღერაზე შესაბამისი დროშა აწიონ.

სამაგიდო



- დაამზადეთ „კალენდრის ციფრების თამაში“: მოიმარაგეთ ორი ცალი ძველი კალენდარი, ამოარჩიეთ ერთი და იგივე თვე. ერთი კალენდრიდან მთლიანი გვერდი ამოხიეთ. მეორედან კი თითოეული დღე გამოჭერით. მიეცით ბავშვებს გამოჭრილი რიცხვები და სთხოვეთ, კალენდარს შეუსაბამონ.
- აიღეთ სასწავლო წლის კალენდარი (ან თქვენით შეადგინეთ) და დაეხმარეთ თითოეულ ბავშვს დაძებნოს საკუთარი დაბადების დღე და შესაბამის უჯრაში მისი სახელი ჩაწერეთ. კალენდარი თვალსაჩინო ადგილას ჩამოკიდეთ.
- დაურიგეთ ბავშვებს კალკა და სქელ ფურცელზე დაწერილი სიტყვები „ორშაბათი“ „სამშაბათი“ და ა.შ. ფურცელს კალკა ზემოდან დაადონ და გადაიხატონ.
- დაურიგეთ ბავშვებს წელიწადის დროების ფოტოები (თითოეული სეზონის აღმნიშვნელი ერთი ფოტო. შეგიძლიათ ძველი კალენდრებიდან ამოჭრათ) და სთხოვეთ, თანმიმდევრულად დაალაგონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ მოთხრობა წიგნიერების დანართიდან „ოთხი სურვილი“.
- ასწავლეთ გამოცანა: ერთი ალვის ხეზედა თორმეტი ტოტი აბია, სცვივა და სცვივა ფურცლები, ისევ იმდენი ასხია.
- წაუკითხეთ ზღაპარი წიგნიერების დანართიდან „თორმეტი ძმა“.

მეცნიერება

- რაღაც პერიოდის განმავლობაში (წინასწარ დათქვით) კალენდარზე მონიშნეთ ყოველდღიური ამინდის მონაცემი. ამინდი პატარა სიმბოლური ნახატებით აღნიშნეთ. ხაზი გაუსვით დროის მსვლელობას. რამდენი დღის ამინდის მონაცემი მონიშნეთ და რამდენი დღე დარჩა პერიოდის გასვლამდე?
- თითოეული დღესასწაულის წინ, წაახალისეთ ბავშვები ეს თარიღი კალენდარზე მოძებნონ, ჩააკრან შესაბამისი ნახატი და დღესასწაულამდე დარჩენილი დღეების რაოდენობა დაითვალონ. შეგიძლიათ ეს აქტივობა მეორე დღესაც გაიმეოროთ და ხაზი გაუსვათ იმას, რომ ერთი დღით ნაკლები დარჩა, რადგან ერთი დღე უკვე გავიდა.
- კალენდარი შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა შესრულებული აქტივობის მოსანიშნად. მაგალითად, ყვავილების მორწყვის შემდეგ, შესაბამისი დღის გასწვრივ, რაიმე სიმბოლო ჩახატონ.

საღამოს წრე:

ჰკითხეთ ბავშვებს

- რომელი თვე უყვართ ყველაზე მეტად? რატომ?
- წელიწადის რა დრო მოსწონთ ყველაზე მეტად? რატომ?
- რა გაიგეს კალენდრის შესახებ?

3. საათი

დილის წრე

- კედელზე დიდი საათი ჩამოკიდეთ. ისეთი საათი აარჩიეთ, რომ ციფერბლატზე ყველა რიცხვი ეწეროს.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რამდენ ისარს ხედავენ. მიუთითეთ საათების აღმნიშვნელ ისარზე. აუხსენით, რომ თუ პატარა ისარი ერთი რიცხვიდან მეორეზე გადავა, ე.ი. ერთი საათი გავიდა. სთხოვეთ ბავშვებს, ჩამოთვალონ, რისი გაკეთება შეიძლება ერთ საათში.
- მიუთითეთ წუთების ისარზე. აუხსენით, რომ როდესაც ეს ისარი ერთი წერტილიდან მეორეზე გადადის, ესე იგი ერთი წუთი გავიდა. რისი გაკეთება შეიძლება ერთ წუთში? დაინიშნეთ ერთი წუთი და სთხოვეთ ბავშვებს, ამ დროის განმავლობაში, მაგალითად, ერთმანეთს ჩაკიდონ ხელები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა საათია.

ხელოვნება



- სთხოვეთ ბავშვებს, პატარა ფურცლებზე დახატონ ის აქტივობები, რითიც დღის განმავლობაში არიან დაკავებულები (მაგ. გაღვიძება, საუზმე, ბაღში წამოსვლა, ბაღის აქტივობები, სახლში დაბრუნება, ვახშამი, ძილი და ა.შ.) შემდეგ ფორმატზე დახატონ დიდი ზომის საათი და ციფრების ნაცვლად ნახატები დააწებონ საათის ისრის მიმართულებით.

- თითოეულ ბავშვს დაურიგეთ ქაღალდის თეფში, წინასწარ სქელი ფურცლისგან გამოჭრილი საათის ისრები, გამოჭრილი რიცხვები 1-დან 12-მდე და წებო. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ ააწყონ საათი. ქაღალდის თეფშზე წინასწარ აუცილებლად დააწერეთ ფანქრით ციფრები, რომ ბავშვებმა გამოჭრილი ნაბეჭდი ციფრები ფანქრით ნაწერს მოარგონ.
- აჩვენეთ ბავშვებს მსოფლიოს ცნობილი ძველი და ახალი საათების ფოტოები ან ვიდეოები, (ბიგ ბენი, პრაღის ასტრონომიული საათი, სტრასბურგის კათედრალის საათი, მექანიკური, ელექტრო, კედლის, დასადგამი საათები)
- ამოაჭრევინეთ ბავშვებს ფერადი მუყაოსგან პატარა წრის ფორმები და ისრები, დააწებეთ ბრტყელი მაგნიტიები ან ორმაგი სკოჩი. სთხოვეთ ბავშვებს, ლითონის ლანგარზე ან სხვა პრიალა ზედაპირზე შექმნან საათის გამოსახულება.



მუსიკა და მოძრაობა

- დაურიგეთ ბავშვებს დასარტყამი ინსტრუმენტები და სთხოვეთ, საათის წიკწიკს მიბაძონ.
- თითო ფურცელზე წინასწარ მსხვილად დააწერეთ 1-დან 12-მდე რიცხვები. ფურცლები ძირს, წრიულად დააწყვეთ. დაასახელეთ საათები და სთხოვეთ ბავშვებს, დადგნენ იმ რიცხვთან, რომელზეც პატარა, ანუ საათის აღმნიშვნელი ისარი მიუთითებს.

- მოიმარაგეთ საათი (ან ქრონომეტრი) და სასტვენი. სთხოვეთ ბავშვებს, სხვადასხვა იოლი აქტივობების შესრულება, მაგალითად, სათამაშოს მოტანა, ჩუმად ჯდომა, კუბურების ყუთში მოთავსება, ციფრების ჩამოწერა და ა.შ. ბავშვებთან დროზე შეთანხმდით. ცვალეთ დრო. ჰკითხეთ ბავშვებს, რა შემთხვევაში იყო ადვილი, რა შემთხვევაში – დამღლელი და რა შემთხვევაში ვერ მოახერხეს დავალების შესრულება?

სამაგიდო



- ამობეჭდეთ, გამოჭერით, ლამინირება გაუკეთეთ დანართში მოცემულ ფაზლებს (დანართი 3.16.5.).
- ამობეჭდეთ, ლამინირება გაუკეთეთ, გამოჭერით და ათამაშეთ ბავშვები დროის მემოს თამაში (დანართი 3.16.6.).

სენსორული

- აჩვენეთ ბავშვებს ქვიშის საათი, ჩაყარეთ ქვიშა ან მანანის ბურღული დიდ ჯამში, მიეცით საშუალება ითამაშონ: მუჭით აიღონ და ნელ-ნელა გამოუშვან, როგორც ქვიშის საათში.

დრამატული



- წინასწარ მოიმარაგეთ სხვადასხვა სახის ძველი, გაფუჭებული საათები. მოაწყვეთ ერთი კუთხე, როგორც მესაათის სახელოსნო. აღჭურვეთ ნამდვილი და სათამაშო, ასევე ხელნაკეთი საათებით, ლუპით და სათამაშო ხელსაწყოებით. წაახალისეთ ბავშვები, მიუტანონ გაფუჭებული საათები მესაათეს გასაკეთებლად.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „საათი“ წიგნიერების დანართიდან.

კონსტრუქციული



- კუბურებზე დააწებეთ რიცხვები 1-დან 12-მდე, აურიეთ და წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ საათის ციფერბლატს. სთხოვეთ, დანომრილი კუბურები ჯერ ერთ ხაზზე დააწყონ (პატარა რიცხვიდან დიდ რიცხვამდე). შემდეგ კი ხაზი რკალად გადააქციონ და წრიულად დააწყონ – საათს დაამსგავსონ.
- შესთავაზეთ ბავშვებს, ააშენონ ნანახი საათიანი შენობები. ნიმუშად მიეცით ნაგებობების სურათები, მშენებლობისას გამოიყენონ წინასწარ მუყაოსგან გამოჭრილი ციფერბლატი.

საღამოს წრე

- სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ ან თქვენ გაიხსენეთ და წაუკითხეთ ზღაპარი, სადაც საათია ნახსენები (მაგ. კონკია ან სხვა).

პირველი აპრილი

დილის წრე

- დაიწყეთ დღე რაიმე ტყუილით (მაგალითად, ვითომ ხმა გაქვთ ჩახლეჩილი და ლაპარაკი გიჭირთ) და სიცილით გამოუცხადეთ ბავშვებს: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია!“
- ისაუბრეთ პირველი აპრილის „დღესასწაულზე“:
  - ის არ არის ნაციონალური დღესასწაული. მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში აღნიშნავენ ამ დღეს.
  - ინგლისურენოვან ქვეყნებში მას „ხუმარების დღეს“ ეძახიან.
  - ამ დღეს ადამიანები ერთმანეთს ატყუებენ და სასაცილო რაღაცებს უკეთებენ ან აკეთებინებენ. საფრანგეთში კი ერთმანეთს ზურგზე თევზს აწებებენ და ამას „აპრილის თევზს“ ეძახიან.
  - ეს არის მხიარულების და იუმორის დღესასწაული.
  - მისი სათავეები არ არის ცნობილი, მაგრამ ძალიან ძველი დღესასწაულია, საუკუნეების წინათაც „ასულელებდნენ“ ერთმანეთს.
- გამოიყენეთ ეს დღე იმაზე სასაუბროდ, თუ რა არის სასაცილო და რა – საწყენი. სთხოვეთ ბავშვებს, მოიფიქრონ სასაცილო ოინები, რომელიც შეუძლიათ თავიან ოჯახის წევრებს მოუწყონ. მაგალითად, მიაწოდონ ტელეფონი დედას, ვითომ ბებო ურეკავს, ტელეფონზე კი არავინაა.

ხელოვნება



- წინასწარ გამოჭერით ცხოველების სურათები, გაჭერით შუაზე და დააწებეთ თეთრ ფურცელზე. დაურიგეთ თითოეულ ბავშვს და სთხოვეთ, დაასრულონ ცხოველის ხატვა. ეცადონ სასაცილო გამოვიდეს. როდესაც დაასრულებენ, დაარქვან სახელი.
- წინასწარ თითოეული ბავშვისთვის თეთრ ფურცელზე, თეთრი პასტელით დახატეთ. დაურიგეთ ბავშვებს ფუნჯებთან და საღებავებთან (წყალში გახსნილი, წყლის 1/3 საღებავი) ერთად. გააფერადონ ფურცელი და აღმოაჩინონ ნახატი. ვარიაცია: შეგიძლიათ ბავშვებს დაახატვინოთ თეთრი პასტელებით და ერთმანეთში გაცვალონ ნახატები.
- გააკეთეთ სასაცილო კოლაჟი. ბავშვებმა ამოჭრან ჟურნალებიდან სხვადასხვა საგნები და უცნაურად დააწებონ. მაგალითად, ტელევიზორზე ამოსული ყვავილები; ადამიანი, რომელსაც თავზე ფეხსაცმელები აწყვია და შარვლის მაგივრად პიჯაკი აცვია და ა.შ.

წიგნიერება

- თითოეულმა ბავშვმა სასაცილო და დაუჯერებელი წინადადება მოიფიქროს. მაგალითად, ვნახე თევზი ხეში დაცურავდა; ზაფხული იმიტომ მიყვარს, რომ შეგვიძლია თოვლში ვიგუნდაოთ; მამაჩემი მანქანას აბაზანაში რეცხავს და სხვა.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წ. პირველი აპრილი): „ტყუილი თუ მართალი“, „ტყუილების წვიმა“, „სამი ტყუილი“, „სანთლის გუთანი“.

მეცნიერება

- უთხარით ბავშვებს, რომ ახლა ეტყვით სხვადასხვა წინადადებებს, ზოგიერთი მათგანი მართალია, ზოგი კი ტყუილი. მათ უნდა გამოიცნონ, რომელია მართალი და რომელი – ტყუილი. მათი პასუხის სისწორეში დასარწმუნებლად, ცდები ჩაატარებინეთ. მაგალითად, „ბუმბული უფრო მალე დავარდება ვიდრე ბურთი“; „ჩვენს კლასში მხოლოდ სამ ბავშვს აცვია ჟაკეტი“; „გარეთ წვიმს“; „დარბაზის კედლები წითლად გადაღებეს“ და სხვა.

საღამოს წრე

- შეახსენეთ, რომ როდესაც ვინმეს გაეხუმრებიან (მოატყუებენ), არ დაავიწყდეთ: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“-ს თქმა.

გამოგონებები

1. ბორბალი
2. საფრენი მოწყობილობები
3. მანძილზე ურთიერთობა

1. ბორბალი

დილის წრე:

მოიმარაგეთ რაიმე მძიმე საგანი და ურიკა. ბავშვებს რაიმე შედარებით მძიმე და დიდი საგნით შეხვდით, რომლის გადაადგილებაც „გიჭირთ." ჰკითხეთ, როგორ იქნება უფრო მოსახერხებელი ამ ტვირთის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა, ზედმეტი ძალის დახარჯვის გარეშე?

თუ პასუხს თავად არ შემოგთავაზებენ, მიანიშნეთ ურიკაზე (შესაძლებელია, საბავშვო ეტლი ან ნებისმიერი ბორბლიანი საგანი გამოიყენოთ).

შესთავაზეთ ბავშვებს, საგნები ურიკის მეშვეობით ატარონ.

ჰკითხეთ, რა აქვს ურიკას ისეთი, რაც ტვირთის გადატანას აადვილებს.

ჰკითხეთ, კიდევ რას აქვს ბორბალი.

ტვირთის გადაზიდვის გარდა, კიდევ რისთვის იყენებენ ურიკას და სხვა ბორბლიან საგნებს?

აჩვენეთ ბავშვებს, როგორც ძველი, ასევე თანამედროვე მანქანებისა და მატარებლების ილუსტრაციები.

- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ ილუსტრაციები.
- ვის უნახავს მატარებელი? ვინ მჯდარა მატარებელში?
- ვინ მართავს მატარებელს? რისგან შედგება მატარებელი?
- რაზე გადაადგილდება მატარებელი? რა ჰქვია იმ ადგილს, სადაც მატარებელი ჩერდება? როგორ ხმას გამოსცემს მატარებელი?

ხელოვნება:

- წაახალისეთ ბავშვები გააფერადონ მანდალა (დანართი 3.18.1.).
- გააფერადეთ (დანართი 3.18.2.).
- წაახალისეთ ბავშვები, ძველი ყუთებისგან მატარებელი ააწყონ. ყუთები ერთმანეთს საქსოვი ძაფით გადააბან. რკინიგზა ცარცით ან სკოჩით გააკეთონ და მატარებელი ლიანდაგებზე ატარონ. შეიძლება რამდენიმე გაჩერებაც მოაწყონ სანაყინეებით და ქაღალდისგან დამზადებული ნაყინიც შესთავაზონ მგზავრებს.
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ თითო-თითო ვაგონი. დასრულებული ნახატები გადააბით ერთმანეთს და ააწყვეთ მატარებელი. ვაგონებს საკუთარი სახელები დააწერონ (ან აღმზრდელი დაეხმაროს).
- წაახალისეთ, ბავშვებმა დახატონ და გამოჭრან ქაღალდის მანქანები. მანქანები შეიძლება ბავშვებმა მოხატონ ან ზედ გააკეთონ კოლაჟები. დაურიგეთ ძველი ჟურნალები, იპოვონ მანქანები, ამოჭრან და შემდეგ თავიანთ მანქანებს დააკრან.
- წაახალისეთ ბავშვები, გამოჭრან ქაღალდისგან მანქანა. საბურავების ადგილი ამოჭრან. დაახვიონ ზოლად ჩამოჭრილი ქაღალდი და წებოთი დაამაგრონ ბოლოები. დახვეული ქაღალდის რულონი საბურავის ადგილას შეაცურონ (დანართი 3.18.3.).
- წაახალისეთ ბავშვები, ნარჩენი ფერად-ფერადი ნაჭრებისგან გააკეთონ მანქანების კოლაჟი და საბურავების ადგილას ღილები დააკერონ ან დააწებონ.
- წაახალისეთ ბავშვები, დახატონ სამანქანო გზები და დააწყონ იატაკზე. ნახატები იატაკს სკოჩით მიამაგრონ და ატარონ მანქანები მათ მიერ მომზადებულ გზებზე.
- წაახალისეთ ბავშვები, ასანთის ყუთისგან მანქანა გააკეთონ. დაგჭირდებათ სამი ასანთის ყუთი, 4 ც. თეთრიანი ან ღილი, სამი ერთი ზომის ქაღალდი, მაკრატელი და სკოჩი. ასანთის ყუთები მიაწებეთ ერთმანეთს. ორი ქაღალდი მჭიდროდ შემოახვიეთ და სკოჩით კარგად დაამაგრეთ ასანთი. დარჩენილ ყუთს გვერდები ჩამოაჭერით, როგორც მეოთხე გამოსახულებაზეა. შემოახვიეთ ქაღალდი და სკოჩით

მიამაგრეთ. სკოჩით მიამაგრეთ ორივე ნაწილი ერთმანეთს და დახვეული სკოჩის საშუალებით მიამაგრეთ თეთრიანები ან ღილები საბურავის ადგილას.



მუსიკა:

- სიმღერა პატარა მატარებელზე (იხ. დანართი).
- სიმღერა ბასტი-ბუბუს რეპერტუარიდან „მოდის ავტომობილი“.

მოძრაობა:



- დააწყვილეთ ბავშვები. დადგნენ ოთხზე. ხელები წინ მდგომს კოჭებზე მოკიდონ. ჩაებან ერთმანეთს ვაგონებივით. იმოძრაონ ოთახში. შეუძლიათ ვაგონები გაერთიანდნენ გრძელ მატარებლად და ისევ დაიშალონ.
- თამაში „სარკით გადაადგილება“. მიწაზე ცარცით დახატეთ გზა ან ჯგუფში სკოჩით მოხაზეთ გზა. მიეცით ბავშვებს სარკე და წაახალისეთ, ისე გადაადგილდნენ, რომ მხოლოდ სარკეში იყურონ. თამაშის გასართულებლად წაახალისეთ ბავშვები, იარონ უკუსვლით, ორიენტაციისათვის გამოიყენონ სარკე.

სამაგიდო:



- წაახალისეთ ბავშვები, მოზაიკისგან ან მშრალი საკვები პროდუქტისგან (მუხუდო, მაკარონი, ლობიო, გოგრის თესლი და ა.შ.) ააწყონ მატარებელი. მარცვლები წებო ემულსიაში ამოავლონ და დააწებონ. წინასწარ თქვან, ვინ რამდენ ვაგონიან მატარებელს გააკეთებს ან დაითვალონ, ვისი მატარებელი რამდენი ვაგონისგან შედგება.
- წაახალისეთ ბავშვები, პლასტელინისგან ან თიხისგან გამოძერწონ თითო-თითო მატარებლის ვაგონი და შემდეგ ეს ვაგონები ჩააბან ერთმანეთს.
- წაახალისეთ ბავშვები, ფერად-ფერადი ქაღალდებისგან გამოჭრან სხვადასხვა ზომის წრეები. ეს წრეები ვითომ ბორბლებია. დაურიგეთ ბავშვებს საწრუპები ან ტოტები და წაახალისეთ, ხან სხვადასხვა ზომის, ხან ერთნაირი ზომის ბორბლები წამოაცვან, გააგორონ და დააკვირდნენ, როგორ იმოძრავებს მოწყობილობა (სასურველია ბორბლები მუყაოსგან იყოს გამოჭრილი).
- წაახალისეთ ბავშვები, ააწყონ და გააფერადონ ფაზელი (დანართი 3.18.4.).
- რაც კი რამ მანქანა გაქვთ ჯგუფში, დაყარეთ ერთ გორად და შემდეგ ფერის და ზომის მიხედვით დაალაგეთ. დალაგებული ავტომობილები დაითვალეთ. რამდენი ყვითელი მანქანაა, რამდენი წითელი და ა.შ.

დრამატული:



წინასწარ მოამზადეთ დრამატული ცენტრი თემის შესაბამისი მასალით. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ მატარებლობანა. გაინაწილონ როლები: მემანქანე, გამცილებელი, ბილეთის შემმოწმებელი, ბაქნის მუშები, გამყიდველები.

სენსორული:

- მატარებლის ლიანდაგები ქვიშაში განალაგონ და მატარებელი ატარონ.
- აიღეთ ნაძვის ტოტები. დააცალეთ წიწვები და წიწვებისგან ააწყვეთ სამანქანო გზები.





წიგნიერება:

- გაეცანით წიგნებს, სადაც ნაჩვენებია და საუბარია მატარებლებსა და მანქანებზე.
- ლექსი „ჩუქუ, ჩუქუ“ (იხ. დანართი).
- გამოცანა მანქანაზე (იხ. დანართი).

წაუკითხეთ: „სხვადასხვა ზომის ბორბლები“ (იხ. დანართი) ჰკითხეთ და აუხსენით სიტყვების მნიშვნელობა: ოწინარი, ურემი, წისქვილი, ურიკა (სასურველია აჩვენოთ სურათები).

კონსტრუქციული:



- ბავშვებმა კუბურებისგან ააწყონ რკინიგზის სადგური. თუ გაქვთ მექანიკური რკინიგზა, გაუკეთონ ლაბირინთები, გვირაბები, ხიდები, ტყე.
- კუბურებით ააწყვეთ ავტომაგისტრალები, გზები, გვირაბები და ითამაშეთ სხვადასხვა ტრანსპორტის საშუალებით.

ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები სადგურზე, რკინიგზის და მატარებლის სანახავად. დაითვალეთ, რამდენი ვაგონისგან შედგება მატარებელი. თითო ვაგონს რამდენი ფანჯარა და კარი აქვს.

მეცნიერება:

- „ბუშტმავალი“: დაყავით ბავშვები 5 კაციან ჯგუფებად. დაურიგეთ თითოეულ ბავშვს მასალა. გააკეთეთ თითოეულ ჯგუფთან ერთად ბუშტმავალი: აჩვენეთ ყოველი ნაბიჯი და ბავშვები გაიმეორებენ იმავეს. მორთეთ მუყაოს ყუთი (ასანთის, ელექტრო ნათურის, წვენის) მატარებელივით. ყუთს ძირზე მიამაგრეთ ორი საწრუპი (სკოჩით, თმის რეზინებით, საკანცელარიო რეზინებით ან წებოთი). საწრუპებს ბოლოებში წამოაცვით შუაში გახვრეტილი პლასტმასის ბოთლის თავსახურები – ბორბლები. ბუშტში შეარჭვეთ კიდევ ერთი საწრუპი და თავი მჭიდროდ მოუკარით (ძაფით ან სკოჩით). გახვრიტეთ კოლოფის ერთი გვერდი ისე, რომ ბუშტიანი საწრუპი ნახვრეტში გაუყაროთ და საწრუპი ქვემოთ, კუთხით იყოს მიმართული. გაბერეთ ბუშტი საწრუპის დახმარებით. დასვით ბუშტმავალი სწორ ზედაპირზე და გაუშვით ხელი. ჰკითხეთ, რისი დახმარებით მოძრაობს მატარებელი?



- სათამაშო მატარებელი დააყენეთ წიგნების და დაფის გამოყენებით შექმნილ დაღმართზე. დაღმართის გაგრძელებაზე, სწორ ზედაპირზე დააფინეთ დიდი ზომის ფურცელი. დაურიგეთ ბავშვებს ფლომასტერები და სთხოვეთ ფურცელზე ხაზი გაუსვან და საკუთარი სახელი დაწერონ იმ ადგილის გასწვრივ, რამსიშორეზეც, მათი აზრით, მატარებელი მიგორდება. ჩაატარეთ ცდა და დააკვირდით შედეგებს. გაიმეორეთ იგივე სხვადასხვა დაქანების და სხვადასხვა რაოდენობის ვაგონების პირობებში.
- ბორბლის, თოკისა და პატარა ვედროების გამოყენებით, ჩაატარეთ ოქროს ბერკეტის ცდა.ბავშვები დააკვირდნენ სიმძიმის აწევა ამ მექანიზმის გამოყენებით საიდან უფრო იოლია, ახლოდან თუ – შორიდან.
- თეთრი მუყაოსგან გამოჭერით 10 სმ. სიგანის წრე. დაყავით წრე ექვს ნაწილად და გააფერადეთ სხვადასხვა ფერებად. გაფერადებული წრე დააწებეთ მუყაოს ნახევარ მაქოზე და ჩამოაცვით ფანქრის პატარა ნარჩენს. ახლა კი დააბზრიალეთ და დააკვირდით.

კულინარია:



- რამდენიმე კიტრისგან ააწყვეთ მანქანები. კიტრის მრგვალად მოჭრილი ნაჭრები საბურავებია, ხოლო მოგრძოდ ჩამოჭრილი წვრილი ნაჭრებით მანქანის კონსტრუქცია გააკეთეთ.
- დადეთ პურის ნაჭერი, საბურავის ადგილზე დაადეთ მრგვალად მოჭრილი კიტრის ნაჭერი. ფანჯრის ადგილზე დაადეთ 2 პატარა ოთხკუთხედი ნაჭერი ყველი და მიირთვით.

საღამოს წრე:

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა იყო მათთვის სიახლე?
- რა იყო მათთვის საინტერესო?
- რომელი აქტივობა მოეწონათ?

2. საფრენი მოწყობილობები

დილის წრე:

- ბავშვებს დილის წრეზე წაუკითხეთ რაიმე ზღაპარი, სადაც მფრინავი ხალიჩაცაა (მაგალითად, ალადინის ზღაპარი).
- ჰკითხეთ ბავშვებს, მათი აზრით, რატომ გამოიგონეს ადამიანებმა საფრენი აპარატები?
- რა საფრენი აპარატები იციან?
- აჩვენეთ ბავშვებს საფრენი აპარატების ილუსტრაციები.

- ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი მათგანი უნახავთ ან რომლით უმგზავრიათ?
- წაახალისეთ ბავშვები, აღწერონ თვითმფრინავები.
- ვინ მართავს თვითმფრინავს?

ხელოვნება:



- სთხოვეთ, ქაღალდისგან გააკეთონ თვითმფრინავები გააფორმონ და ითამაშონ.



- მუყაოს ყუთისგან გააკეთეთ თვითმფრინავი (იხ. დანართი). შეგიძლიათ მაცივრის ყუთისგან დიდი თვითმფრინავი დაამზადოთ, რომელშიც რამდენიმე ბავშვი ჩაჯდება. არ დაგავიწყდეთ კარის გამოჭრა.





- დაამზადეთ მარილიანი ცომი (2 ჭიქა ფქვილი, 1 ჭიქა მარილი,1 ჭიქა წყალი, 2 ჩაის კოვზი ზეთი) და მოზილეთ თვითმფრინავი. თვითმფრინავს რომ გამოაშრობთ, შეგიძლიათ მოხატოთ საღებავებით.
- რაკეტა. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ გააკეთონ ქაღალდისაგან რულონი წებოს დახმარებით ან დაურიგეთ სამზარეულოს ქაღალდის რულონის ცარიელი მუყაო. წაახალისეთ ბავშვები, სხვადასხვაფერი ქაღალდის, ფოლგის, საცობების და სხვა მასალის გამოყენებით შექმნან რაკეტა.





- წაახალისეთ ბავშვები, ერთჯერადი თეფშისგან დაამზადონ კოსმონავტი: დახატონ ფურცელზე თეფშის შიდა წრის ზომის სახე (მაგ. ავტოპორტრეტი). თეფშის შიდა წრე ამოჭრან ისე, რომ ცალ მხარეს 2-3 სანტიმეტრის ზოლი დარჩეს. შავი ქაღალდისგან გამოჭრან ორი ერთი ზომის წრე და მიაწებონ თეფშს ყურების ადგილას. დახატული პორტრეტები მიაწებონ თეფშს შიგნიდან.

მუსიკა/მოძრაობა

- თითო ბავშვს თითო ბუშტი მიეცით. ბავშვებს ბუშტების გარჩევა რომ გაუადვილდეთ, უმჯობესია, ბუშტები სხვადასხვა ფერის ან ფორმის იყოს, წაახალისეთ ბავშვები, გაბერონ ბუშტები, ოღონდ თავი არ შეუკრან, ხელით დაიჭირონ. ყველამ ერთად დაითვალეთ 5-დან ერთამდე. შემდეგ ბუშტებს ხელი გაუშვან. ბუშტები რაკეტებივით აფრინდება ოთახში.

- ბავშვებმა მოძრაობით განასახიერონ თვითმფრინავი. ხელგაშლილებმა იფრინონ ჯგუფში ან ეზოში.

სამაგიდო



- მოძებნეთ განსხვავებები (დანართი 3.18.5.).
- დაასრულეთ თვითმფრინავი და გააფერადეთ (დანართი 3.18.6.).
- დაასრულე რაკეტა და გააფერადე (დანართი 3.18.7.).
- ქაღალდისგან გააკეთეთ მფრინავი თევზი. ამისათვის დაგჭირდებათ მყარი ქაღალდი და მაკრატელი. ქაღალდისგან ჩამოჭერით გრძელი, 2 სმ.სიგანის ზოლი. ქაღალდის ზოლი თქვენ წინ გაშლილად დადეთ. მარჯვენა მხარეს ქვევით, ხოლო მარცხენა მხარეს ზევით ჩაჭერით ქაღალდი შუამდე. ჩამოაცვით ორივე მხარე ერთმანეთს და მფრინავი თევზი ჰაერში აისროლეთ. თევზი ბზრიალ-ბზრიალით დაეშვება მიწაზე.



- დაამზადეთ ქაღალდისგან ვერტმფრენი. ამისათვის დაგჭირდებათ 6 სმ. სიგანის და 12 სმ. სიგრძის ქაღალდი, მაკრატელი და საკანცელარიო სამაგრი „სკრეპი„. ქაღალდის ქვედა მხარეს ჩაჭერით 2 სმ. სიგრძის ზოლი. ზედა ოთხკუთხედი შუაში გაჭერით 4,5 სმ. სიგრძეზე. ზედა ორი ფრთა ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით გადაწიეთ და ჰორიზონტალურად დააფიქსირეთ. ვერტმფრენმა უკეთ რომ იფრინოს, საჭიროებს სიმძიმეს, ამისათვის ქვედა ზოლზე მიამაგრეთ საკანცელარიო სამაგრი „სკრეპი“. ბავშვები წაახალისეთ, სკამზე შედგნენ და ისე ააფრინონ ვერტმფრენი.



სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, დაითვალონ და დახატონ რიცხვები (1-5) საწინააღმდეგო თანმიმდევრობით, ისე როგორც რაკეტის აფრენის მოლოდინში ითვლიან.
- წაახალისეთ ბავშვები, დაასრულონ ნახატი.

დრამატული



- მოაწყვეთ ჯგუფი ისე, რომ ბავშვებმა გაინაწილონ ფუნქციები, ზოგი პილოტი, თვითმფრინავის კაპიტანი და მისი დამხმარე იყოს, ზოგი გამცილებელი, რომლებიც მგზავრების კეთილდღეობაზე ფიქრობენ. შეიძლება გასაყიდი პროდუქტიც ჩამოატაროთ. გაითამაშეთ სცენები საზღვრის გადაკვეთის დროს, თვითმფრინავში შესვლის წინ, თვითმფრინავში, აეროპორტში და ა.შ.

სენსორული

- წაახალისეთ ბავშვები, ქვიშით ან მანანის ბურღულით თვითმფრინავები დახატონ.

წიგნიერება

- გააცანით ბავშვებს წიგნები თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებზე.
- წაუკითხეთ ლეგენდა „საჰაერო ბურთზე"(იხ. დანართი).
- წაუკითხეთ: „ჯონის რაკეტა". (იხ. დანართი) ისაუბრეთ აფეთქების ძალაზე, რომელიც რაკეტას გაისვრის, სასურველია აჩვენოთ ვიდეომასალა.

კონსტრუქციული



- სთხოვეთ ბავშვებს, კუბურებისგან ააგონ კოსმოსური ხომალდი.

მეცნიერება:

- თოკზე ჩამოაცვით საწრუპი, მუყაოს რულონი ან პლასტმასის ძირწაჭრილი ბოთლი. თოკი გაჭიმეთ ორ კედელს შორის და დაამაგრეთ კედელზე (შეგიძლიათ სკამებს შორის გააბათ თოკი). გაბერეთ ბუშტი, ოღონდ თავი არ მოუკრათ და მიაწებეთ სკოჩით საწრუპს. გაუშვით ბუშტს ხელი და დააკვირდით, რა მოხდება?
- თვალსაჩინოდ აჩვენეთ ბავშვებს, როგორ ამცირებს მანძილს თვითმფრინავით მგზავრობა. მოაწყობინეთ ბავშვებს მიხვეულ-მოხვეული სამანქანო გზები, მთებით, წყლებით და სხვა წინაღობებით. გამოიყენეთ გრძელი თოკი ან სქელი ძაფი გზის სიგრძის გასაზომად. მეორე თოკი ჰაერში გაჭიმეთ იმავე პუნქტებს შორის. ბავშვებმა შეადარონ, რომელი განვლილი გზაა უფრო მოკლე.
- წინასწარ მოიმარაგეთ ჰელიუმით გაბერილი ბუშტი და სხვადასხვა პატარა საგანი – ფანქარი, პლასტმასის სახურავი, სათამაშო ბეჭედი, ქაღალდისგან გამოჭრილი კაცუნა, პლასტმასის პატარა სათამაშო. ჰკითხეთ ბავშვებს, რა სიმძიმის აწევაა შესაძლებელი ამ ბუშტით. ეს საგნები სათითაოდ გამოაბით ბუშტს და ჩაატარეთ ექსპერიმენტი.
- ესაუბრეთ ბავშვებს პროპელერის და თვითმფრინავის ძრავის შესახებ. რომელი ზღაპრის გმირს აქვს პროპელერი და შეუძლია ფრენა?

ექსკურსია:



- წაიყვანეთ ბავშვები აეროპორტში, დაათვალიერებინეთ აეროპორტი, საბაჟო განყოფილებები და თვითმფრინავები.

საღამოს წრე:

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა იყო მათთვის სიახლე?
- რა დაიმახსოვრეს?
- რა იყო ყველაზე საინტერესო?
- რომელი აქტივობა მოეწონათ და რას გაიმეორებდნენ?

3. ურთიერთობა მანძილზე

დილის წრე:

- წაუკითხეთ ბავშვებს რომელიმე ზღაპარი (მაგალითად, ურჩხული და ლამაზმანი), სადაც ჯადოსნური სარკეა და ადამიანებს ერთმანეთის მანძილზე დანახვა შეუძლიათ.
- ჰკითხეთ ბავშვებს, დღეს რა საშუალებები არსებობს იმისათვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთთან მანძილზე იურთიერთონ (ტელეფონი, სკაიპი, ტელევიზორი, რადიო.)
- მოაყოლეთ ბავშვებს, თუ უსაუბრიათ ვინმესთან კომპიუტერის მეშვეობით.
- ჰგავს ზღაპარში წაკითხული ამბები დღევანდელ მოწყობილობებს?
- დაახვედრეთ ბავშვებს დილის წრის დაფაზე ტელევიზორის, კომპიუტერის, ფოტოაპარატის, კამერის სურათები.
- ჰკითხეთ ბავშვებს, რაში გვადგება ეს აპარატურა, რისთვის გამოიგონა ადამიანმა.
- რა გადაცემებს უყურებენ?
- რომელია მათი ყველაზე საყვარელი გადაცემა?
- სთხოვეთ ბავშვებს ჩამოთვალონ, კიდევ რა გამოიგონა ადამიანმა.
- წაახალისეთ იოცნებონ, კიდევ რა დარჩა ადამიანს გამოსაგონებელი. გაუზიარონ ერთმანეთს იდეები.

ხელოვნება:

- ქაღალდისგან დაამზადეთ პატარა ტელევიზორები. ბავშვებმა დახატონ თავიანთი საყვარელი გადაცემები, მულტიპლიკაციური ფილმი, ზღაპრის გმირი. მიეცით ფერადი ქაღალდი. ქაღალდის შუაში მოხაზეთ ოთხკუთხედი. წაახალისეთ ბავშვები, ამოჭრან ოთხკუთხედი და ქაღალდს უკანა მხრიდან მიაწებონ თავიანთი ნახატი. შემდეგ შეგიძლიათ გვერდებში ფერადი ქაღალდისგან ამოჭრილი წრეები ან ღილები დააწებოთ.

- მუყაოს ყუთს მოაჭერით ერთი მხარე იმისათვის, რომ მსურველებმა უყურონ, თუ რას ხატავს შემოქმედი. ყუთის მეორე მხარეს ამოჭერით ორი ღიობი იმ ზომის, რომ შეეტიოს ბავშვის ხელი. ყუთის ქვეშ დადეთ ფურცელი და ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები. წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ნახატი სურვილის მიხედვით. ბავშვი ხატავს ისე, რომ ვერც კი ხედავს რა გამოსდის. დანარჩენი ბავშვები არიან მაყურებლები და შეუძლიათ იხალისონ.

- დაურიგეთ ბავშვებს ფერადი პლასტელინი ან სათამაშო ცომი. სთხოვეთ, ყველამ თავისთვის დაიმზადოს მობილური.
- დაურიგეთ ბავშვებს სხვადასხვა საღებავი, ფანქარი, ცომი და პლასტელინი. შესთავაზეთ ბავშვებს, აირჩიონ სასურველი მასალა და დახატონ ან გამოძერწონ საკუთარი გამოგონება.

მოძრაობა და მუსიკა

- ჩართეთ ტელევიზორი მუსიკალურ არხზე და წაახალისეთ ბავშვები, იცეკვონ და იხალისონ.
- წაახალისეთ ბავშვები იცეკვონ, თქვენ კი გადაიღეთ მათი ცეკვა კამერით. როდესაც ცეკვას მორჩებიან და იატაკზე დასასვენებლად დაეშვებიან, აჩვენეთ ჩაწერილი მასალა. თუ შესაძლებელია, კომპიუტერის და კამერის დახმარებით წაახალისეთ ბავშვი, რომელიც სხვების თვალთახედვის ველში არ არის და ფარდის უკან დგას სხვადასხვა მოძრაობა გააკეთოს (ახტეს, დატრიალდეს, ცალ ფეხზე იხტუნოს და ა.შ.), ჯგუფი კი მას კომპიუტერის ეკრანის მეშვეობით დააკვირდეს და აჰყვეს. ცვალეთ ბავშვები მათი სურვილის მიხედვით.

სამაგიდო



- დაურიგეთ ბავშვებს დაბეჭდილი ტელეფონის სიმბოლო (დანართი 3.18.8.). დახატონ პატარა ზომის ფერად-ფერადი ციფრები, ამოჭრან და დააწებონ ტელეფონის ღილაკებს.
- წაახალისეთ ბავშვები, გაყვნენ ტელეფონის ხაზს და გაარკვიონ ვინ ვის ესაუბრება (დანართი 3.18.9.).
- წაახალისეთ ბავშვები, ააწყონ დაჭრილი სიუჟეტური სურათი თანმიმდევრობით (დანართი 3.18.10.).
- წაახალისეთ ბავშვები, დააკავშირონ სხვადასხვა ფერის ფანქრებით ერთმანეთთან მოსაუბრე წყვილები (დანართი 3.18.11.).

დრამატული

- მოაწყვეთ ჯგუფი ისე, რომ ბავშვებმა გაითამაშონ მათი საყვარელი გადაცემები.
- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ თამაში „გაფუჭებული ტელეფონი“.
- წინასწარ დაამზადეთ დანართი 3.18.12-ის მიხედვით მეცნიერის სერთიფიკატი. ჩაწერეთ თითოეული ბავშვის გამონაგონი (რასაც ბავშვი დაარქმევს).

წაახალისეთ ბავშვები, წარუდგინონ თავიანთი ნამუშევრები დანარჩენებს. ჯგუფი წაახალისეთ, დაუსვან კითხვები გამომგონებელს.

პრეზენტაციის შემდეგ თითოეული მათგანი მეცნიერის სერთიფიკატით დააჯილდოვეთ.

წიგნიერება:

- ლექსი „ტელევიზორი“ (იხ. დანართი).
- წაუკითხეთ ნაწყვეტი ”კარლსონიდან’, სადაც კარლსონი პირველად ნახავს ტელევიზორს.

კონსტრუქციული:



- წაახალისეთ ბავშვები, კუბურებისგან ტელევიზორი ააწყონ.
- წინასწარ მოიმარაგეთ ნახმარი და ერთჯერადი ნივთები: კონტეინერის თავსახური, ძველი CD, მუყაოს რულონი (სამზარეულოს ქაღალდის), ფერადი სკოჩები, პლასტმასის ბოთლი, ერთჯერადი ჭიქა, კვერცხის კონტეინერი, გაფუჭებული ტექნიკის ნაწილები (დიდი ზომის და უსაფრთხო). აჩვენეთ ბავშვებს რომელიმე ერთი საგანი და ჰკითხეთ, რისი გაკეთება შეუძლიათ, მაგალითად, მუყაოს რულონისგან. ბავშვები ბევრ იდეას შემოგთავაზებენ – მეკობრის სათვალთვალო ჭოგრიტი, ჭოგრიტი, ბორბალი, გვირაბი, სადღესასწაულო ქუდი, რაკეტა. შემდეგ შესთავაზეთ თამაში „გამომგონებლობა„. დაულაგეთ წინასწარ მომარაგებული ნივთები მაგიდაზე და წაახალისეთ, რამე გამოიგონონ, უთხარით, რომ ფანტაზიით და წარმოსახვით ბევრი რამის გამოგონება შეუძლიათ. როცა საქმეს დაასრულებენ, სთხოვეთ, დახატონ რა გამოიგონეს, შემდეგ მოაყოლეთ და ნახატზე წააწერეთ.

ექსკურსია:



- ექსკურსია ტელევიზიაში: ტელემაუწყებლობის აპარატურის და სამუშაო გარემოს გაცნობა, დათვალიერება.

საღამოს წრე:

- რა შეიტყვეს ბავშვებმა ახალი?
- რა იყო მათთვის საინტერესო?
- რომელი აქტივობა მოეწონათ

აღდგომა

დილის წრე



- აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე ბამბიან თეფშზე ჯეჯილი გაახარეთ და შემდეგ მასში წითელი კვერცხები ჩაალაგეთ.
- ოთახში დამალეთ ქაღალდის წითელი კვერცხები და დილის წრეზე სთხოვეთ, დაძებნონ ისინი.
- ისაუბრეთ კვერცხის სიმბოლოზე და რატომ გახდა ის აღდგომის განუყრელი ნაწილი.
- ასწავლეთ ბავშვებს მისალმება „ქრისტე აღდგა“ – „ჭეშმარიტად!“ აუხსენით, რომ აღდგომას ყველა ქრისტიანი ასე ესალმება ერთმანეთს.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ წითელი ფერის გუაშის საღებავი და ჩაუმატეთ სიმინდის ფქვილი. დაურიგეთ ბავშვებს წინასწარ გამოჭრილი კვერცხის ფორმის ფურცლები და სთხოვეთ მათი შეღებვა. როდესაც საღებავი გაშრება, კვერცხს ფაიფურის ეფექტი ექნება. სთხოვეთ ბავშვებს, რომ კვერცხები ერთჯერად თეფშებზე დააწებონ ან მათგან ჩამოსაკიდებელი სათამაშოები დაამზადეთ.
- იმისთვის, რომ მოხატული კვერცხები შეინახოთ, საჭიროა მისი შიგთავსისგან დაცლა. ამისთვის მოიმარაგეთ კვერცხები, კონტეინერები და წვეტიანი ნივთი (მაგალითად, ჭიკარტი). დაეხმარეთ ბავშვებს, კვერცხი ორივე ბოლოში გახვრიტონ, დაიჭირონ კონტეინერის თავზე და ჩაბერონ ერთი ბოლოდან. სთხოვეთ, გამოსუფთავებულ კვერცხს ფრთხილად მოექცნენ, რომ არ გატყდეს. მოიმარაგეთ რეზინები და მწვანილი (ნიახურისა და ოხრახუშის ფოთლები). სთხოვეთ ბავშვებს, შემოარტყან რეზინები და შექმნან კომპოზიციები მწვანილის გამოყენებით. შემდეგ შეღებონ კვერცხი წითელი საღებავით. როდესაც გაშრება, მოაცალონ ფოთლები და რეზინა.
- ბამბის ბატკნები. სთხოვეთ ბავშვებს ბამბის ბურთულები მცირე ზომის ერთჯერად თეფშს მიაწებონ, შემდეგ სქელი ქაღალდისგან გამოჭრილი ფეხები, თავი და კუდი მიამაგრონ, თვალების გაკეთება არ დაგავიწყდეთ.
- ვარიაცია: მოკუჭეთ ძველი გაზეთი, გადააკარით ქაღალდის სკოჩი ისე, რომ ბურთივით დამრგვალდეს. საწრუპები (უმჯობესია შავი ფერის იყოს) დაჭერით პატარა ნაწილებად და სკოჩის ბურთს ოთხი ცალი შეურჭვეთ, ვითომ ბატკნის ფეხებია. დასკოჩილ ქაღალდს მთელ ზედაპირზე დააწებეთ ბამბის ბურთები. სქელი ქაღალდისგან გამოჭერით თავები. არ დაგავიწყდეთ თვალების გაკეთებაც. ამისთვის გამოჭერით თეთრი სქელი ქაღალდისგან წრე და შავი სქელი ქაღალდისგან შედარებით პატარა ზომის წრე. ისე მიაწებეთ, რომ სასაცილო და საყვარელი ბატკნები გამოგივიდეთ.



მუსიკა და მოძრაობა

- მოიმარაგეთ სუფრის კოვზები და მოხარშული ან პლასტმასის კვერცხები. წაახალისეთ ბავშვები, გაიარონ რაიმე მანძილი ისე, რომ კვერცხი კოვზიდან არ გადმოუვარდეთ.
- ბავშვები წრიულად დასხით და სათამაშო კვერცხი მიეცით. სანამ მუსიკა ჩართულია, კვერცხი წრეზე გადააწოდონ. მუსიკის გამორთვისას ვისაც კვერცხი ხელში შერჩება, „კალათაში“ გადაინაცვლებს (თამაშიდან გავარდება).

- მოიმარაგეთ პლასტმასის კვერცხები („ქინდერსურპრიზის კვერცხები“), მოშორებით დადგით კალათი და სთხოვეთ ბავშვებს, კალათში ჩაყარონ.

სამაგიდო



- გამოჭერით სხვადასხვა ზომის სააღდგომო კვერცხები და სთხოვეთ ბავშვებს, ზომის მიხედვით დააწყონ.
- წინასწარ გამოჭერით ორ-ორი წითელი კვერცხი სხვადასხვა მასალისაგან (მაგალითად, თექისგან, სხვადასხვანაირი ქაღალდისგან, ზუმფარისაგან და სხვა). სთხოვეთ ბავშვებს, ერთნაირი კვერცხების დაწყვილება.
- სთხოვეთ ბავშვებს, დათვალონ კვერცხების რაოდენობა (დანართი 1.19.1.).
- გააგრძელე ქათამზე დახატული სიმბოლოების ხატვა (დანართი 1.19.2.).
- ამობეჭდეთ დანართი (1.19.3.) და სთხოვეთ ბავშვებს წერტილების შეერთება ისე, რომ ხაზი კვერცხებს ზევით და ქვევით გადაატარონ.
- ამობეჭდეთ დანართი (1.19.4.) და სთხოვეთ ბავშვებს, კვერცხების მითითებული რაოდენობა გააფერადონ.
- ამობეჭდეთ დანართი (1.19.5.) და სთხოვეთ ბავშვებს, გააგრძელონ ზარის ორნამენტი.

სენსორული

- მიეცით თიხა კვერცხების გამოსაძერწად. შემდეგ სხვადასხვა ტექნიკით წითლად შეღებონ.
- მოიმარაგეთ წითელი ფერის პლასტელინი და წითელი ფერის მძივები და ღილები. სთხოვეთ ბავშვებს, გამოძერწონ კვერცხები და გააფორმონ მძივებითა და ღილებით.
- დამალეთ ეზოში კვერცხები. შეგიძლიათ ნიჩბებიც დაურიგოთ.
  ათამაშეთ ქვიშაში, „პასკა,პასკა, გამოცხვი“.
  შეგიძლიათ ბავშვების ორ გუნდად დაყოფაც, რომ ერთმანეთს შეეჯიბრონ, ვინ უფრო მეტ კვერცხს იპოვის.
  მათ დასახმარებლად შეგიძლიათ შექმნათ იოლად წასაკითხი/ამოსაცნობი მინიშნებების რუკაც.

წიგნიერება

- მოუყევით ბავშვებს ქრიტეს ცხოვრებაზე, რომ ის მამა ღმერთმა გამოუგზავნა ადამიანებს, მისმა თანამედროვეებმა კი არ ირწმუნეს. ერთ-ერთმა მოწაფემ ოცდაათ ვერცხლად გაყიდა და ის ჯვარზე გააკრეს. (ჯვარზე გაკვრის სცენას ნუ აღუწერთ დაწვრილებით, რომ ბავშვებში შფოთი არ გამოიწვიოთ.) მაგრამ ქრისტემ დაამარცხა სიკვდილი, მესამე დღეს გადაწია საფლავის ლოდი და ზევით, თავის მამასთან წავიდა. რომ აღდგომას ჩვენ, ყველანი, ვდღესასწაულობთ ქრისტეს მიერ სიკვდილის დამარცხებას. შეგიძლიათ მოუყვეთ რამდენიმე სასწაულიც.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (აღდგომა. 3-4 წ.) „ნაზარეთში“.

მეცნიერება

- კვერცხის ნაჭუჭის ქოთნები. კვერცხს ისე მოაცალეთ ერთი ბოლო, რომ მისი დიდი ნაწილი მთელი დარჩეს. კარგად გამოასუფთავეთ და გააშრეთ. ჩადეთ ნაჭუჭში ბამბა და ხორბლის თესლი. მორწყეთ ყოველ დღე და დადგით განათებულ ადგილას. დააკვირდით, როგორ ამოვა ჯეჯილი კვერცხის ნაჭუჭიდან.
- მოიმარაგეთ მოხარშული კვერცხი, წყლით სავსე კონტეინერი და მარილი. ჩადეთ კვერცხი წყალში. რა მოსდის? ჩაიძირება. უთხარით ბავშვებს, რომ ახლა თქვენ წყალში მარილს ჩაამატებთ. მათი აზრით, რა შეიცვლება? გახსენით საკმარისი რაოდენობის მარილი წყალში და კვერცხი წყალზე იტივტივებს.
- მოიმარაგეთ პლასტმასის კვერცხები („ქინდერსიურპრიზი“) და შიგნით სხვადასხვა ნივთები მოათავსეთ. სცადონ, გამოიცნონ რა დევს კვერცხში. ან კვერცხები სიმძიმის მიხედვით დააწყონ.
- ისაუბრეთ იმაზე, რომ კვერცხიდან იჩეკება წიწილა.

მწერები და ხოჭოები

1. მწერები
2. ჭიანჭველები
3. საქმიანი ფუტკრები
4. კალიები და ჭრიჭინები
5. ჭიამაიები
6. ბუზები და კოღოები
7. ცისცინათელები
8. მუხლუხოები და პეპლები
9. ობობები

1. მწერები

დილის წრე



- მოიმარაგეთ სხვადასხვა მწერებისა და ხოჭოების ფოტოები.
- ისაუბრეთ მწერებზე:
  - მწერები ყველგან ცხოვრობენ ზღვის სიღრმის გარდა.
  - ტიპურ მწერს ერთი წყვილი ანტენა (ულვაშები), ექვსი ფეხი და სხეულის სამი ნაწილი აქვს – თავი, მკერდი და მუცელი.
  - ზოგიერთ მწერს ფრთებიც აქვს.
  - მწერების ყველაზე დიდი ჯგუფი ხოჭოებია. ხოჭოები მრავალი ფორმის, ზომისა და ფერისა არიან, მაგრამ ერთი რამ ყველას საერთო აქვს: გასქელებული წინა ფრთები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა მწერებია.

მუსიკა და მოძრაობა

- ჩაატარეთ „ექვსფეხა გასწრობანას“ შეჯიბრი. სამმა ბავშვმა ჩასჭიდოს ერთმანეთს ხელები (დაითვალეთ ფეხების რაოდენობა) და შეეჯიბროს სხვა სამეულს, ვინ უფრო სწრაფად გაირბენს 9 მეტრს.
- სთხოვეთ ბავშვებს, იმოძრაონ სხვადასხვა მწერებივით და ხოჭოებივით (იხტუნონ, იცოცონ, იფრინონ, ირბინონ, ა.შ.).

სენსორული

- მოიმარაგეთ თიხა ან პლასტელინი, რომ ბავშვებმა მწერები გამოძერწონ.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ მწერებისა და ხოჭოების სურათები და სთხოვეთ ბავშვებს, დაახარისხონ იმის და მიხედვით, თუ როგორ მოძრაობენ (დაფრინავენ, დახოხავენ, დახტიან).
- დაამზადეთ მწერის საცხოვრებელი. სუფთა პლასტმასის ყუთში მოათავსეთ ფოთლები და ტოტები. ყუთს თავზე ბადე გადააკარით. შეგიძლიათ ბავშვების გამოძერწილი მწერები ჩასვათ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ნემსიყლაპია“ (წიგნიერების დანართიდან).
- წაუკითხეთ: „როდის ცეკვავს ხოჭო სახლში“(წიგნიერების დანართიდან).

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა გაიგეს ახალი მწერების შესახებ?
- რომელი მწერია უსაფრთხო, რომელი – საშიში?

2. ჭიანჭველები

დილის წრე



- მოაგროვეთ ჭიანჭველები (რომლებიც არ იკბინებიან) ქილაში და კარგად დაახურეთ თავსახური. ეცადეთ, დედა ჭიანჭველა დაიჭიროთ. ჩვეულებრივ, დედა ჭიანჭველას ოთხჯერ უფრო გრძელი მკერდი აქვს, ვიდრე – მუშა ჭიანჭველას.
- ბაღში მოსვლისთანავე სთხოვეთ ბავშვებს, ჩაებან ჯაჭვში, ვითომ ჭიანჭველები არიან. მივიდნენ დილის წრესთან. კარგი იქნება, თუ ტკბილეულს დაახვედრებთ. ჭიანჭვლები ხომ მუდმივად საკვებს დაეძებენ... განსაკუთრებით კი ტკბილეული უყვართ.
- გაარკვიეთ, რა იციან ჭიანჭველების შესახებ. აჩვენეთ ჭიანჭველები.
- უთხარით, რომ ჭიანჭველა მწერია. მისი სხეული სამი ნაწილისაგან შედგება (თავი, მკერდი, მუცელი). აქვს ექვსი ფეხი და ორი ანტენა.
    - ჭიანჭველები დიდ ჯგუფად ცხოვრობენ. ასეთ ჯგუფს კოლონია ეწოდება. ისინი სოციალური მწრები არიან. მთელ ცხოვრებას სახლის შენებაში (შეუძლიათ მიწის ქვეშ გვირაბების გაყვანა), საკვების მოგროვება-შენახვაში ატარებენ.
    - ჰკითხეთ, უნახავთ, როგორ ეზიდება ჭიანჭველა თავისზე ბევრად დიდი ზომის ტვირთს?
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ჭიანჭველებია.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ მელანი, ფანქრები და პასტელები. წაახალისეთ ბავშვები ცერა თითის სამი ანაბეჭდის მეშვეობით ჭიანჭველა დახატონ. შემდეგ ფანქრებით ან პასტელებით ფეხები და ანტენები მიუხატონ.



მუსიკა და მოძრაობა

- ჩართეთ სწრაფი მუსიკა და წაახალისეთ ბავშვები ჭიანჭველებივით იფუსფუსონ.
- დაურიგეთ ბავშვებს დოლები, წაახალისეთ შექმნან რითმი, რომელიც ჭიანჭველის სწრაფ მოძრაობას შეესაბამება.

სამაგიდო



- წინასწარ დაამზადეთ მაგნიტური ლაბირინთი. ყუთის ძირზე (25სმ. * 30სმ.) ლაბირინთი დახატეთ, მონიშნეთ საწყისი წერტილი და ლაბირინთის ბოლოში დახატეთ ნამცხვრები. მოიმარაგეთ მაგნიტი და პატარა სათამაშო ჭიანჭველა (შეგიძლიათ გამოჭრათ მუყაოსგანაც), ერთი მაგნიტი ჭიანჭველას ძირში მიამაგრეთ და ლაბირინთის დასაწყისში დასვით. წაახალისეთ ბავშვები, მეორე მაგნიტის გამოყენებით ჭიანჭველა ნამცხვრამდე მიიყვანონ.
- ითამაშეთ დანართში მოცემული მწერების მემოს თამაში (დანართი 3.20.1.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „სპილო და ჭიანჭველები“ (წიგნიერების დანართიდან).

საღამოს წრე

- რა ისწავლეთ ჭიანჭველების შესახებ?
- როგორ გადაადგილდებოდნენ ჭიანჭველები, დიდი ზომისანი რომ იყვნენ?
- რას ფიქრობენ, როგორები ვჩანვართ ჭიანჭველის თვალით?

3. საქმიანი ფუტკრები

დილის წრე

- გაიგეთ, რა იციან ბავშვებმა ფუტკრების შესახებ. აჩვენეთ ფუტკრების სურათები.

  - ფუტკრები სკებში ცხოვრობენ. ყოველ სკას ერთი დედა ფუტკარი, ათასობით მუშა ფუტკარი და რამდენიმე ასეული მამალი ფუტკარი ჰყავს.
  - მუშა ფუტკრები ყვავილებიდან ნექტარს აგროვებენ და თაფლს ამზადებენ. დედა ფუტკარი კი კვერცხებს დებს, საიდანაც ფუტკრები იჩეკებიან.
  - ფუტკრებს ყვავილის მტვერი ერთი ყვავილიდან მეორეზე გადააქვთ, რომ მეტი ახალი ყვავილი ამოვიდეს.
  - ფუტკრები ერთმანეთთან კომუნიკაციას მოძრაობით ამყარებენ, ფუტკრები ცეკვავენ, რომ ერთმანეთს შეატყობინონ, სად მოიპოვება ნექტარი. წრიული ცეკვა ნიშნავს, რომ ნექტარი ახლოსაა, ქანქარისებური ცეკვა კი იმის მაუწყებელია, რომ ნექტარი შორს არის.
  - უთხარით, რომ მხოლოდ მუშა ფუტკარს აქვს ნესტარი, რომელსაც თავის დასაცავად მტერს ასობს. თუ არ შეაწუხე ფუტკრები, იერიშზე არ გადმოდიან.
  - უთხარით, რომ სკაში ყოველთვის არიან ა. მზვერავი ფუტკრები, რომლებსაც ინფორმაცია მოაქვთ, სად და რამდენია საკვები. ბ. ძიძა ფუტკრები, რომლებიც კვერცხებს პატრონობენ და ყვავილების მტვრით კვებავენ. გ. მშენებელი ფუტკრები, რომლებიც ფიჭას აშენებენ. გ. გუშაგები, რომლებიც კარებს დარაჯობენ და თავიანთი სკის ფუტკარს სუნით ცნობენ, უცხო რომ არ შეეპაროთ. დ. ფუტკარი ვენტილატორები, რომლებიც ფრთებით სკას ანიავებენ, როცა ცხელა, ფიჭა რომ არ ჩამოდნეს. ე. თაფლზე მომუშავე ფუტკრები. ვ. მეომარი ფუტკრები და ყველამ თავისი საქმე იცის.
  - ზამთარში ფუტკრები ერთმანეთს ეხუტებიან და გუნდ-გუნდად გადადიან ფიჭიდან ფიჭაზე. გარეთ რაც არ უნდა ციოდეს, ამ გუნდის შუაში ძალიან თბილა. შეუძლიათ ერთმანეთს ჩაეხუტონ და ცოტა ხანში სითბოს მომატებას თავადაც იგრძნობენ.
- ჰკითხეთ ბავშვებს, ფუტკარს თუ უკბენია, რა იგრძნეს?
- უთხარით ბავშვებს, რომ ნებისმიერი მწერის კბენის შემთხვევაში უნდა უთხრან უფროსებს.
- ჰკითხეთ ბავშვებს, არის თუ არა ფუტკარი მწერი. დაითვალონ სხეულის ნაწილები, ფეხები და ანტენები. რა აქვს ფუტკარს, რაც ჭიანჭველების უმრავლესობას არ აქვს? (პასუხი: ფრთები).
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ფუტკრებია.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ ყვითელი და შავი საღებავები და წაახალისეთ ბავშვები, დახატონ ფუტკრები.
- მოიმარაგეთ ყვითელი თითის საღებავი, რომ ბავშვებმა ფურცელს ცერის ანაბეჭდები დაასვან. როდესაც გაშრება, შავი მარკერებით გაუკეთონ ზოლები.

მუსიკა და მოძრაობა

- ჩართეთ მუსიკა და დაურიგეთ ბავშვებს ორ-ორი ერთჯერადი თეფში, ვითომ ფრთებია. წაახალისეთ შეასრულონ ფუტკრების ცეკვა (ფუტკარი ჰაერში „რვიანებს“ ხაზავს.).
- ყველამ ერთად გაითამაშეთ:
  - აქ არის სკა (აჩვენეთ შეკრული მუჭა)
  - სად არიან ფუტკრები?
  - იმალებიან იქ, სადაც ვერავინ დაინახავს.
  - ახლა კი ყველანი გამოფრინდებიან.
  - აი, ეს მესმის!
  - ერთი! ორი! სამი! ოთხი! ხუთი (გამოშალეთ სათითაოდ თითები)!
- მოასმენინეთ ბავშვებს რიმსკი კორსაკოვის „ფუტკრების გადაფრენა“. რას გრძნობენ მუსიკის მოსმენისას? იცეკვონ მუსიკის თანხლებით.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ მწერების „მემოს“ თამაში (დანართი 3.20.1.).
- *მათემატიკა*. დანართის მიხედვით გამოჭერით ყვავილები და ფუტკრები. მიეცით სხვადასხვა რაოდენობის ყვავილები და ფუტკრები, იმის დასადგენად, თუ რომელია მეტი, სთხოვეთ ბავშვებს, ფუტკრები ყვავილებთან დააწყვილონ. ყველა ბავშვს სხვადასხვა რაოდენობის მიეცით (დანართი 3.20.2.).

სენსორული

- „ყვავილის მტვერი“ (ფხვიერი ყვითელი საღებავით შეღებილი ქვიშა ან მარილი) ბავშვებმა თავთავიანთ ფურცელზე გადაიტანონ და თითით სხვადასხვა ფიგურები დახატონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ჭიანჭველა და ფუტკარი“ (წიგნიერების დანართიდან).
- წაუკითხეთ: „ფუტკარი“ (წიგნიერების დანართიდან).

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ რამდენიმე (2.5სმ. x 20სმ.) ყვითელი და შავი ლენტი, რომ ბავშვებმა მონაცვლეობით დააფინონ, ფუტკრის ტანს დაამსგავსონ.
- მოიმარაგეთ სქელი ყვითელი ფურცლისგან წინასწარ გამოჭრილი ჰექსაგონის ფორმები, რომ ბავშვებმა ფიჭა ააგონ.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ ფიჭა და გამადიდებელი შუშები, რომ ბავშვები დააკვირდნენ. რა ფორმისაა ფიჭის თითოეული სექცია?

საღამოს წრე

- რა ისწავლე ახალი ფუტკრების შესახებ?
- რითი ჰგვანან ფუტკრები ჭიანჭველებს? რითი განსხვავდებიან?
- ვის შეუძლია ფუტკრების ცეკვის შესრულება?
- რა პროდუქტებს გვაძლევს ფუტკარი? (თაფლი, სანთელი, დინდგელი, ჭეო.)

4. კალიები და ჭრიჭინები

დილის წრე

- სთხოვეთ ბავშვებს, დილის წრემდე კალიებივით ხტუნვა-ხტუნვით მივიდნენ.
- გაარკვიეთ, რა იციან კალიების შესახებ. თუ შესაძლებელია, აჩვენეთ ცოცხალი კალია ან კალიას სურათი.
- უთხარით, რომ კალიები მწერები არიან. ჭრიჭინა კი კალიის ტიპია.
  - ისინი ძირითადად ბალახით და ფოთლებით იკვებებიან. მათ შეუძლიათ დიდი ზიანი მიაყენონ ყვავილებს და ყანებს, მაგალითად, ხორბალს, ლობიოს.
  - კალიები კვერცხებს ტენიან მიწაში დებენ და პატარა კალიებიც დაახლოებით სამ კვირაში იჩეკებიან.
  - ზრდის პერიოდში კალიები დაახლოებით ოთხ-ხუთჯერ იცვლიან კანს. ზრდასრული კალიას სიგრძე 8 სანტიმეტრს აღწევს.
  - კალიები კიდურებზე კბილებისმაგვარი გვერდების ფრთებზე ხახუნით ჭრიჭინა ბგერებს გამოსცემენ.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა კალიებია.

ხელოვნება



- მოიმარაგეთ ყავისფერი და მწვანე საღებავები, რომ ბავშვებმა კალიები და ჭრიჭინები დახატონ.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ ბავშვებს ჭრიჭინი.
- დაურიგეთ ბავშვებს დაკბილული სავარცხლები და ჯოხები. კალიის ჭრიჭინის მისამსგავსებლად, სავარცხლის კბილებს ჯოხი გაუსვან ან ორი სავარცხელი გაუხახუნონ ერთმანეთს.

- წინასწარ შეღებეთ 3-4 ცალი მაგიდის ჩოგბურთის ბურთი მწვანედ და შავი მარკერით თვალები დაახატეთ. შეგიძლიათ ფეხებიც მიუხატოთ. მოიმარაგეთ კალათი ან ყუთი და სთხოვეთ ბავშვებს „კალია“ ყუთში ისე ჩაახტუნონ, რომ ძირს მხოლოდ ერთხელ დახტეს.
- პატარა ყუთებისგან შექმენით ლაბირინთი და წაახალისეთ ბავშვები, ამ ლაბირინთში კალიებივით იმოძრაონ.
- იზოლენტის საშუალებით მონიშნეთ სასტარტო ხაზი, მოემზადეთ გადასახტომად და რაც შეიძლება შორს გადახტით.

სამაგიდო



- დაურიგეთ ბავშვებს კალიების ფაზელები (დანართი 3.20.3.).

წიგნიერება

- წაუკითხეთ ბავშვებს „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (წიგნიერების დანართიდან) და სთხოვეთ, იგავის ილუსტრაციები დახატონ.
- წაუკითხეთ: „მოცეკვავე კალია“ (წიგნიერების დანართიდან).

მეცნიერება

- მათემატიკა. შეახსენეთ ბავშვებს, რომ კალიები შეიძლება 8 სანტიმეტრი სიგრძის გაიზარდონ. დაურიგეთ თითოეულ ბავშვს 8 სანტიმეტრი სიგრძის ძაფი და სთხოვეთ, ოთახში 8 სანტიმეტრი სიგრძის საგნები დაძებნონ.

საღამოს წრე

- რა ისწავლე კალიების შესახებ?
- რა საერთო აქვთ კალიებს ფუტკრებთან და ჭიანჭველებთან?

5. ჭიამაიები

დილის წრე

- აჩვენეთ ბავშვებს ჭიამაიების სურათები ან, თუ შესაძლებელია, ცოცხალი ჭიამაიები.
- გაარკვიეთ, რა იციან მათ შესახებ.
- უთხარით, რომ ჭიამაია ხოჭოა.
    - ის ბაღლინჯოს ერთ-ერთი სახეობით – ბუგრებით იკვებება (მცენარის ტილი), რომლებიც მცენარეებს ანადგურებენ. ერთ ჭიამაიას დღეში ოცდახუთი ბუგრის შეჭმა შეუძლია. ბუგრები ჭამენ მცენარეებს და ანადგურებენ. ჭიამაიები კი ბუგრების შეჭმით იცავენ მცენარეებს. ამის გამო ისინი ძალიან უყვართ ფერმერებს.
    - ძირითადად წითლები არიან შავი წინწკლებით, მაგრამ ასაკთან ერთად ფერი ეკარგებათ და სტაფილოსფერი ხდებიან.
    - 1999 წელს ჭიამაიები გაგზავნეს კოსმოსური ხომალდით კოსმოსურ მისიაზე, რომ ენახათ როგორ გაართმევდნენ ისინი თავს კოსმოსში ცხოვრებას.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ჭიამაიებია.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ წითელი და შავი საღებავები, ფუნჯები და გლუვი ქვები. თითოეულ ბავშვს თითო ქვა დაურიგეთ და წაახალისეთ, ჭიამაიასავით შეღებონ.

მუსიკა და მოძრაობა

- დაურიგეთ ბავშვებს ორ-ორი წითელი ფერის ერთჯერადი თეფში და სთხოვეთ, კლასიკური მუსიკის თანხლებით ჭიამაიებივით „იფრინონ".
- ათამაშეთ ბავშვები „ჭიამაიამ თქვა". მიეცით ადვილი მითითებები (მაგალითად, ასწიე ხელები, ჩაიკუზე, დაბზრიალდი), რომლებიც უნდა შეასრულონ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინადადებას დაიწყებთ „ჭიამაიამ თქვა"-თი.

სამაგიდო



- წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ მწერების „მემო“ თამაში (დანართი 3.20.1.).
- წინასწარ ამობეჭდეთ დანართში მოცემული ჭიამაიები, გააფერადეთ, გაუკეთეთ ლამინირება და გამოჭერით. დაურიგეთ ბავშვებს და სთხოვეთ, სწორად შეაერთონ ჭიამაიების ნახევრები (დანართი 3.20.4.).

დრამატული



- ბავშვებმა მოიხვიონ წითელი შარფები და გაითამაშონ ის ზღაპარი ან ლექსი, რომელიც ჭიამაიებზე მოისმინეს.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ჭიამაია“ (წიგნიერების დანართიდან).

მეცნიერება

- თუ ცოცხალი ჭიამაიები გყავთ, მოიმარაგეთ გამადიდებელი შუშები და წაახალისეთ ბავშვები, დააკვირდნენ.

საღამოს წრე

- რა ისწავლე ახალი ჭიამაიების შესახებ?
- გაუხარდებოდათ ფერმერებს ჭიამაიების ფერმაში დანახვა? რატომ?

6. ბუზები და კოღოები

დილის წრე

- აჩვენეთ ბავშვებს ბუზებისა და კოღოების სურათები ან, თუ შესაძლებელია, ცოცხალი მწერები.
- გაარკვიეთ, რა იციან ამ მწერების შესახებ.
    - ბუზი გარემოს სრულიად განსხვავებულად ხედავს, მისი რთული თვალი ბევრ ბროლს შეიცავს, ამიტომ ერთ საგანს უამრავად აღიქვამს. შესაძლოა სამყაროს საკმაოდ ბუნდოვნად ხედავს, თუმცა მოძრაობას კარგად აღიქვამს. მას შეუძლია ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით ცქერა.
    - ყველა მწერი ერთნაირად არ იკვებება, ზოგიერთი მათგანი მყარ საკვებს ვერ ჭამს. კოღოები ადამიანებსა და ცხოველებს სისხლს სწოვენ ნემსივით წვრილი ხორთუმით.
- უთხარით, რომ ბუზიც და კოღოც, ორივე მწერია. დაითვალეთ მათი ფეხების, ანტენების და სხეულის სხვა ნაწილების რაოდენობა.
  უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ბუზები და კოღოებია.

ხელოვნება

- დაამზადეთ მწერის თვალები: კვერცხების ყუთს ჩამოაჭერით ორ-ორი კვერცხის ჩასადები, ჩაღრმავებული ადგილები გახვრიტეთ; გვერდებში რბილი მავთულები დაამაგრეთ. დაურიგეთ ბავშვებს, რომ საღებავებით ან მარკერებით გააფორმონ.





- გამოჭერით ბუზის ფრთები კალკის ფურცლისგან და სთხოვეთ ბავშვებს, დაახატონ შავი ხაზები. შემოქმედებითი პროცესი რომ გაუადვილოთ, აჩვენეთ სურათები.

სამაგიდო



- წინასწარ ამობეჭდეთ 15 ბუზის სურათი და გამოჭერით (დანართი 3.20.5.); მყარი ქაღალდისგან გამოჭერით 5 წრე და გააფორმეთ, ვითომ ნამცხვრებია. დააწერეთ ციფრები ერთიდან ხუთამდე. სთხოვეთ ბავშვებს, „ნამცხვრებზე“ შესაბამისი რაოდენობის ბუზი დასვან და თან ხმამაღლა დაითვალონ.

მეცნიერება

- მოიმარაგეთ პრიზმები. ბავშვებმა გაიხედონ პრიზმაში და ისე შეხედონ საგნებს. რას ხედავენ?

კულინარია



- მოიმარაგეთ პიპეტები, ჭიქები და დიდი კონტეინერით წვენი. წაახალისეთ ბავშვები, დაისხან ჭიქებში წვენი პიპეტის გამოყენებით.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „სახლიკაცი“, „კოღო ავტოხულიგანი“(წიგნიერების დანართიდან)..

საღამოს წრე

- რა ისწავლე ბუზებისა და კოღოების შესახებ?
- რითი გვანან კოღოები და ბუზები ჭიამაიებს?

7. ციცინათელები

დილის წრე

- მოიმარაგეთ ასანთი ან სხვა სინათლის წყარო. აანთეთ. უთხარით რომ არსებობს არსება, რომელიც სინათლის წყაროს თვითონ წარმოქმნის.
- აჩვენეთ ციცინათელას სურათები. დაითვალეთ მისი ფეხები, ანტენები და სხვა. მწერია?

ხელოვნება

- მოიმარაგეთ ფლურესცენციული საღებავი (რომელიც სიბნელეში ანათებს) და სთხოვეთ ბავშვებს ციცინათელების დახატვა.

მუსიკა და მოძრაობა

- ერთ-ერთ ბავშვს მიეცით ფარანი. ჩააბნელეთ ოთახი, რამდენადაც შესაძლებელია. ბავშვი დაიმალოს და უცბად აანთოს და ჩააქროს ფარანი. ვინც პირველი იპოვის მას, გახდება შემდეგი „ციცინათელა".
- დაურიგეთ ბავშვებს ფარნები. ხან მოკლე და ხანაც ხანგრძლივი დროით გაანათონ ბნელ ოთახში და იცეკვონ მუსიკის თანხლებით.

სამაგიდო



- ათამაშეთ მწერების „მემო“ თამაში (დანართი 3.20.1.).
- წინასწარ დახატეთ და გამოჭერით რამდენიმე ციცინათელა (დანართი 3.20.6.). მათი კუდები თეთრიდან – მუქ ყვითლამდე გააფერადეთ. სთხოვეთ ბავშვებს, ციცინათელები მათი კუდების ფერის სიმუქის მიხედვით დაალაგონ, ყველაზე ღია ფერიდან – ყველაზე მუქამდე.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „სალამურას თავგადასვალი“ (იხ. დანართი 3-4 წელი, კატეგორიები).
- შეახსენეთ, როგორ ნათებას ჰქვია ციმციმი?

კონსტრუქციული



- ბავშვებმა თიხისგან ციცინათელები გამოძერწონ და კუდთან ბრჭყვიალა ქვები მიამაგრონ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, რა ისწავლეს ციცინათელების შესახებ და რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად.

8. მუხლუხოები და პეპლები

დილის წრე

- მწვანე, მყარი ფურცლისგან წინასწარ გამოჭერით ფოთლები, გამოიყენეთ ისინი და შემოსასვლელი კარიდან დილის წრემდე ბილიკი გაკვალეთ. სთხოვეთ ბავშვებს, გაყვნენ ამ ბილიკს.
- წინასწარ დაამზადეთ მუხლუხო/პეპელას თოჯინა. ამისთვის დაგჭირდებათ ერთი ყავისფერი ან შავი ფერის წინდა, 4 მოძრავი თვალი და 2-3 ფერის თექა. თექისგან გამოჭერით პეპლის ფრთები და წინდას მიაკერეთ, მიაწებეთ ორი თვალი. როდესაც წებო შეშრება, გადმოატრიალეთ წინდა და მეორე მხარესაც ორი მოძრავი თვალი დააწებეთ (თუ მოძრავი თვალი არ გაქვთ, შეგიძლიათ თეთრი და შავი თექისგან გამოჭრათ და მიაკეროთ). თოჯინა მუხლუხოების თემის გაცნობისას გამოიყენეთ.



- გაარკვიეთ, რა იციან მუხლუხოების შესახებ. აჩვენეთ ბავშვებს ნამდვილი მუხლუხო ან ფოტოები.
- აუხსენით, რომ მუხლუხო არის ჭია, რომელიც პეპლად (მწერად) გადაიქცევა. დააკვირდით მუხლუხოს. მწერია? აქვს სხეულის სამი ნაწილი, ექვსი ფეხი და ორი ანტენა? ჯერ არა.
- აუხსენით, რომ პეპლები მწერები არიან. აჩვენეთ პეპლის სურათი და დაითვალეთ მათი სხეულის ნაწილები, ფეხები და ანტენები.
    - ესაუბრეთ ბავშვებს მეტამორფოზაზე. (მართალია, გრძელი სიტყვაა, მაგრამ ბავშვებს მისი წარმოთქმა ძალიან მოსწონთ).
    - პეპლის სიცოცხლის ციკლი ოთხ პერიოდად იყოფა, მუხლუხო მეორე საფეხურია, იქამდე ის კვერცხია. ესაუბრეთ ცხოვრების ციკლზე.
    - გაითამაშეთ ბავშვებთან ერთად ოთხივე საფეხური. თავიდან შეკარით მუშტი, ვითომ კვერცხია. შემდეგ კვერცხიდან მუხლუხო გამოიჩეკება, ეს საჩვენებელი თითით განასახიერეთ. მესამე საფეხურზე მუხლუხო იკეთებს ჭუპრს და მასში ეხვევა; მეორე ხელი შემოაკარით საჩვენებელ თითს. ბოლოს კი ჭუპრიდან პეპელა გამოძვრება, ამოძრავეთ ხელები ფრთებივით, ვითომ პეპლები ხართ.
    - მუხლუხო/პეპელას თოჯინა საფეხურების საჩვენებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ.

- სანამ მუხლუხო პეპლად გადაიქცევა, ჭამის მეტს არაფერს აკეთებს. ჭამს და ჭამს ფოთლებს. პეპელა კი ყვავილების ნექტრით იკვებება.

- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა მუხლუხოები და პეპლებია.

ხელოვნება



- წინასწარ გადაკეცეთ თეთრი სქელი ფურცლები შუაზე და დაახატეთ ნახევარი პეპელა. დაურიგეთ ბავშვებს მაკრატლებთან ერთად. სთხოვეთ, გამოჭრან და შემდეგ გაშალონ. შემდეგ აჩვენეთ, როგორ დაადონ ორი სხვადასხვა ფერის სქელი საღებავი პეპლის ერთ-ერთ ფრთას და ისევ გადაკეცონ. ორივე მხარეს ერთნაირ ნახატს მიიღებთ . მარიონეტების დასამზადებლად, პეპლებს ჯოხები მიამაგრეთ (საწრუპი).



- თეთრი ქაღალდისგან თითოეული ბავშვისთვის წინასწარ გამოჭერით 13 წრე (დიამეტრი 5 სანტიმეტრი). დაეხმარეთ დათვლაში. სთხოვეთ, ერთმანეთზე დააწებონ, ვითომ მუხლუხოა. შავი ქაღალდისგან ექვსი ფეხი გამოჭრან და მიაწებონ. გაშრობის შემდეგ ფანქრებითა და ფლომასტერებით გააფერადონ, დაკეცონ მარაოსავით და ბოლოებში ჯოხები (საწრუპი) მიამაგრონ. ჯოხების ერთმანეთთან მიახლოებით და დაშორებით შესაძლებელია მუხლუხო „ახოხონ.“



- მოიმარაგეთ წიგნები პეპლების ილუსტრაციებით. სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ პეპლებს და დახატონ.

- წაახალისეთ ბავშვები, გამოიყენონ პიპეტი და წყალში გახსნილი სხვადასხვა ფერის საკონდიტრო საღებავი პატარა ზომის შემწოვ ქაღალდზე დააწვეთონ ან აკვარელის საღებავებით სველ ხელსახოცებზე დახატონ. როდესაც ქაღალდი გაშრება, დაეხმარეთ ხის სარეცხი სარჭის გაკეთებაში. მიახატონ თვალები მარკერით.





მუსიკა და მოძრაობა

- სთხოვეთ ბავშვებს, გაითამაშონ სცენა: თავიდან პატარა კვერცხები არიან, რომლიდანაც გამოიჩეკებიან მუხლუხოები. მუხლუხო ჭამას იწყებს და ნელ-ნელა იზრდება, ჭუპრად იქცევა. იქიდან კი პეპელა გამოდის და ცაში ფარფატით აიჭრება.
- მოასმენინეთ ბავშვებს სხვადასხვა იავნანა. სთხოვეთ აარჩიონ ერთი, რომ მოასმენინონ „მუხლუხოს“, სანამ ის პარკშია გახვეული.
- მოიმარაგეთ ფერადი შარფები, ჩართეთ კლასიკური მუსიკა და სთხოვეთ ბავშვებს, პეპლებივით იცეკვონ.

სამაგიდო



- მოიმარაგეთ მწვანე ფურცლისგან გამოჭრილი ფოთლები, მწვანე ფერის სქელი ძაფები და პინცეტები. ფოთლები 1-დან 5-მდე დანომრეთ და სთხოვეთ ბავშვებს, პინცეტების საშუალებით „მუხლუხოების“ შესაბამისი რაოდენობა ფოთლებზე დააწყონ.
- დანართიდან ამოჭერით პეპლის ცხოვრების ოთხი პერიოდის ბარათები (დანართი 3.20.7.) სთხოვეთ, თანმიმდევრულად დააწყონ და თან აღწერონ თითოეული საფეხური.
- წინასწარ დახატეთ რამდენიმე პეპელა, გააფერადეთ სხვადასხვაფრად, ლამინირება გაუკეთეთ, გამოჭერით და გაჭერით შუაში. სთხოვეთ ბავშვებს, ფრთების ფერის მიხედვით იპოვონ ორი ერთნაირი ნაწილი და ააწყონ პეპელა.
- წინასწარ გამოჭერით მუყაოს პეპლის ფორმის შტამპი. დაურიგეთ ბავშვებს ფანქრებსა და ფურცლებთან ერთად და სთხოვეთ შტამპის შემოხაზვა.
- წინასწარ დაამზადეთ სხვადასხვა ზომის მუხლუხოები (პლასტელინისგან, თიხისგან ან თუნდაც ფურცლისგან). წაახალისეთ ბავშვები, მუხლუხოები ზომის მიხედვით დააწყონ – პატარიდან დიდამდე.

დრამატული



- მოიმარაგეთ ძველი, სუფთა ჩვრები, ზეწრები ან პირსახოცები. წაახალისეთ ბავშვები, ერთმანეთი „ჭუპრში“ გაახვიონ. როგორ გრძნობთ თავს ჭუპრის შიგნით (მუდმივად ყურადღებით იყავით!)?
- სთხოვეთ ბავშვებს, ხელოვნების წრეზე თავიანთი დამზადებული პეპლის და მუხლუხოს თოჯინით გამოგონილი ამბები გაითამაშონ.

წიგნიერება

- წაუკითხეთ: „ნეკისტოლა ბიჭის თავგადასავალი“ (წიგნიერების დანართიდან).
- წაუკითხეთ: „ყმაწვილი და პეპელა“ (წიგნიერების დანართიდან).

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ პლასტმასის სათამაშო ჭიები და ძაფი, სთხოვეთ ბავშვებს, შემოახვიონ „მუხლუხოებს“ ძაფი, ვითომ ჭუპრია.

მეცნიერება

- დაათვალიერებინეთ ენციკლოპედიაში პეპლები და მუხლუხოები.

ექსკურსია



- ბავშვები აბრეშუმის მუზეუმში წაიყვანეთ.
- ბაღში გაისეირნეთ და პეპლები დაძებნეთ.

საღამოს წრე

- რა ისწავლე მუხლუხოების შესახებ? მწერები არიან?
- რა ისწავლე ახალი პეპლების შესახებ?
- რომელი აქტივობა მოგეწონა ყველაზე მეტად?

9. ობობები

დილის წრე

- ანახეთ ბავშვებს ობობებისა და ობობის ქსელის სურათები.
- ისაუბრეთ მათზე. ობობა მწერი არ არის. ის ცხოველთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც არაქნიდების ჯგუფს ეძახიან.
    - მწერებისგან განსხვავებით, ობობებს რვა ფეხი აქვთ და სხეული ორ ნაწილად აქვთ დაყოფილი – თავ-მკერდი და მუცელი.
    - ისინი მცოცავ არსებებს მიეკუთვნებიან.
    - ობობები რთავენ აბლაბუდის წებოვან ქსელს, რომელსაც მსხვერპლის გამოსაჭერად იყენებენ. მსხვერპლს შხამიანი ნაკბენით კლავენ.
    - ისინი მონადირეები არიან. პატარა მწერებსა და სხვა არსებებს იჭერენ და ამით იკვებებიან.
    - ზოგი ობობა მიწაში ამოთხრილ ორმოში ან ხის ტანში ცხოვრობს.
    - სხვადასხვა ზომის ობობები არსებობენ. ჩიტის მჭამელი ობობის ფეხები 30 სანტიმეტრი სიგრძისაა. ზოგიერთი ობობა კი ისეთი პატარაა, რომ რთული დასანახია.
    - ობობა სხვადასხვა ფორმისა და სახის ქსელს ქსოვს. ყველაზე გავრცელებულია მრგვალი ფორმის ქსელი. როცა მწერი ქსელში შეფრინდება, ქსელს ეწებება და ვეღარ გამოდის. ობობა კბენს მსხვერპლს, შხამს აწვეთებს და კლავს.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა ობობებია.

ხელოვნება

- ობობის დასახატად ფურცელზე თხლად დაწვეთებულ გუაშის საღებავის წვეთს საწრუპით სული შეუბერონ.
- მოიმარაგეთ შავი ფერის თითის საღებავი და თეთრი ფურცლები, სთხოვეთ ბავშვებს, ხელის გული შავი საღებავით შეიღებონ (ცერა თითის გარდა) და ობობას დასახატად ფურცელზე ორი ანაბეჭდი (საპირისპირო მიმართულებით) დატოვონ.



- სთხოვეთ ბავშვებს, ააწყონ „ობობის ქუდი“. თითოეულ ბავშვს დაურიგეთ შავი მყარი ქაღალდის ლენტა, თავზე ჩამოსაცმელად და რვა ცალი 20 სანტიმეტრი სიგრძის შავი, მყარი ქაღალდის ლენტი. აჩვენეთ, როგორ დაკეცონ ლენტები მარაოსავით და შემდეგ მიამაგრონ თავზე შემოსაკრავ ლენტაზე (შეგიძლიათ თვალები მიაწებოთ).



მუსიკა და მოძრაობა

- ასწავლეთ ბავშვებს „ობობის სიარული": ოთხი ბავშვი წრიულად, ერთმანეთის მიმართ ზურგით დგება და ხელკავს გამოსდებს. ერთად რვაფეხა ობობას ქმნიან. წაახალისეთ, იარონ ოთახში. ჰკითხეთ, რთულია მოძრაობა? რატომ? რატომ არ უჭირს ობობას რვა ფეხით სიარული?
- წინასწარ ძაფის ლაბირინთი გააკეთეთ, ვითომ ობობის ქსელია. წაახალისეთ ბავშვები, ითამაშონ, ვითომ მწერები არიან და „ობობის ქსელში“ ისე იმოძრაონ, რომ ძაფს არ შეეხონ.

სამაგიდო



- მიეცით ბავშვებს სათამაშო ცომი, სთხოვეთ ჯერ ობობის სხეული გააკეთონ, შემდეგ კი ობობის 8 ფეხი.
- ერთ კონტეინერში მოათავსეთ პლასტმასის ობობები და სთხოვეთ ბავშვებს, პინცეტებით გადააწყონ მეორე კონტეინერში.
- ათამაშეთ ფაზელი ობობა (დანართი 3.20.8.).
- ამუშავეთ დანართზე 3.20.9.

კონსტრუქციული



- მოიმარაგეთ თეთრი წებო, ძაფი (სქელი) და მუქი ფერის ფურცელი. სთხოვეთ ბავშვებს ობობის ქსელის გაკეთება.

დრამატული



- მათი შექმნილი „ობობებით“ გაითამაშონ რაიმე დადგმა, ზღაპარი ან ლექსი, რომელიც წაუკითხეთ.

წიგნიერება

- წიგნიერების დანართიდან წაუკითხეთ ლექსები ობობებზე.
- თუ საშუალება გაქვთ, აჩვენეთ მულტფილმი: „ადამიანი ობობა“. იმსჯელეთ, ობობას რა თვისებები გადაედო მთავარ გმირს?

მეცნიერება

- სქელი წებო-საღებავით ერთი დღით ადრე ფურცელზე ობობის ქსელი დახატეთ. სთხოვეთ ამ სამგანზომილებიან ობობის ქსელის ნახატს ზემოდან თეთრი ფურცელი დაადონ და ფანქარი გადაუსვან.
- მოიმარაგეთ გამადიდებელი შუშები და წაახალისეთ ბავშვები, ნამდვილ ობობასა და მის ქსელს დააკვირდნენ.

ექსკურსია



- ობობების აღმოსაჩენად ბუნებაში გაისეირნეთ.

საღამოს წრე

- რა ისწავლე ახალი ობობებზე?
- რითი ჰგვანან ობობები და მწერები ერთმანეთს? რითი განსხვავდებიან?
- რატომ იყო რთული ერთი მიმართულებით მოძრაობა, როდესაც ობობას სიარულში ვბაძავდით?

საქართველო

1. საქართველო
2. საქართველო
3. დედაქალაქი თბილისი
4. დამოუკიდებლობის დღე

1. საქართველო

დილის წრე



- თუ შესაძლებელია, ქართულ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოეწყვეთ ან ერთი რაიმე დეტალი გამოიყენეთ.
- გაარკვიეთ, რა იციან ბავშვებმა საქართველოს შესახებ.

* ესაუბრეთ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის შესახებ. სხვა რომელი ქალაქები იციან?

- აჩვენეთ ქართული ნაციონალური ტანსაცმლის ფოტოები.
- უთხარით, რომ ადრე ქვეყანას მეფეები მართავდნენ, დღეს კი მას პრეზიდენტი მართავს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ირჩევს.
- საქართველო ცხოველთა და მცენარეთა თვალსაზრისით ძალიან მრავალფეროვანია. აქ უამრავი ცხოველი ბინადრობს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ საქართველოში ან კავკასიაში გვხვდება, მაგალითად, ჯიხვი. აჩვენეთ ჯიხვის სურათები.
- უთხარით ბავშვებს, რომ დღევანდელი დღის თემა საქართველოა.

ხელოვნება



- აჩვენეთ ბავშვებს ფიროსმანის „მეეზოვე“. დაურიგეთ გასაფერადებლად ფიროსმანის მეეზოვის შავ-თეთრი ვერსია (დანართი 1.21.1.).
- მოიმარაგეთ ორი ტონის ყავისფერი ხელის საღებავები. სთხოვეთ ბავშვებს, ჯიხვის დასახატად ხელისგული შეიღებონ და ისე დატოვონ ორი ანაბეჭდი, რომ ჯიხვის ტანს დაემსგავსოს. ოთხი ფეხით (თითო ფეხი შეტყუპებული ორი თითია) და კუდით (ცერა თითი). შემდეგ თავის მისახატად ხელისგულის პატარა ნაწილით დატოვონ ანაბეჭდი. თითით მიახატონ დრუნჩი და დაგრეხილი რქები. გამოიყენონ შედარებით ღია ფერის საღებავი. როდესაც გაშრება, შავი მარკერით მიუხატეთ თვალები და ნესტოები.



- მარილიანი ცომით, თიხით ან პლასტელინით გამოაძერწვინეთ ბავშვებს თონე, შოთის პურები, ქვევრები და დოქები. მოახატინეთ დოქები დანართი 1.21.2-ში მოცემული ნიმუშების მიხედვით.
- აჩვენეთ ბავშვებს ხალხური ორნამენტის ნიმუშები, სთხოვეთ, გადაიხატონ ან თვითონ შექმნან და გააფერადონ ორნამენტი (დანართი 1.21.2.).
- „ლურჯი სუფრები“ მოიმარაგეთ ლურჯი ფერის ქსოვილი, დანართის მიხედვით მუყაოსგან წინასწარ გამოჭერით ორნამენტები. გააკეთებინეთ ბავშვებს თეთრი გუაშის ანაბეჭდები ლურჯ ქსოვილზე (დანართი 1.21.3.).

მუსიკა და მოძრაობა

- ათამაშეთ „ხაჭაპურო, ხაჭაპურო გამოცხვი.“
- იმღერეთ სიმღერები საქართველოზე.
- ძველებური თამაში „კაკლობანა“: მოიმარაგეთ რამდენიმე კაკალი. ჩაამწკრივეთ რამდენიმე ბავშვი და ერთი კაკალი დადეთ მათგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით. ბავშვები რიგრიგობით უნდა ეცადონ იმ კაკალს ადგილიდან სხვა კაკალი მოახვედრონ. სანამ ვინმე სამიზნე კაკლისათვის სხვა კაკლის მორტყმას მოახერხებს, მიმოფანტული კაკლები იატაკზე რჩება. საბოლოოდ ყველა კაკალი იმისია, ვინც სამიზნე კაკალს თავის კაკალს მოახვედრებს.

სამაგიდო



- დაურიგეთ დანართში მოცემული საქართველოს რუკა (დანართი 1.21.4.) და ფლომასტერი. სთხოვეთ ბავშვებს, შემოხაზონ კონტური.
- დაამზადეთ საქართველოს რუკის ფაზელი. სთხოვეთ ბავშვებს, ააწყონ ნიმუშის მიხედვით (დანართი 1.21.5.).
- ათამაშეთ ბავშვებს „მემო“ საქართველო (დანართი 1.21.6.) ის ადგილები, სადაც ფერადი უნდა იყოს შავის მაგივრად ღია ნაცრისფერი იყოს, რომ თვითონ გააფერადონ. მაგ. საქართველოს დროშის ჯვრები ღია ნაცრისფერი იყოს.
- სთხოვეთ, შემოხაზონ ის ადამიანები, რომლებსაც ქართული ნაციონალური ტანსაცმელი აცვიათ (დანართი 1.21.7.).

სენსორული

- მოიმარაგეთ სათამაშო ცომი, ნაწილი თეთრი ფერის (ვითომ ცომია), ნაწილი კი წითელი (ვითომ ხორცია) და სთხოვეთ, „ხინკლები“ მოახვიონ. ჯერ გააბრტყელონ ცომი, გამოჭრან მრგვალი ფორმები (მაგ. სათამაშო ფინჯნებით), ისევ გააბრტყელონ, მოათავსონ ცოტაოდენი „ხორცი“ და შეკრან.
- უთხარით ბავშვებს, რომ საქართველოში ნაპოვნია დინოზავრების ნაკვალევი. აჩვენეთ სათაფლიაში ნაპოვნი ნაკვალევის სურათები. მოიმარაგეთ ყავისფერი პლასტელინი და სათამაშო დინოზავრები. სთხოვეთ ბავშვებს, სათამაშო დინოზავრებს „მიწაში“ ნაკვალევი დაატოვებინონ.

წიგნიერება

- მოუყევით ქართველი გმირი მეფეების შესახებ, წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წ. საქართველო) „ვახტანგ მეფე,“ „ჩვენი ბატონი ერეკლე.“

კონსტრუქციული



- წინასწარ დიდი ქაღალდისგან (მაგ. შპალერისგან) გამოჭერით საქართველოს რუკა. ფურცლებზე დახატეთ ან მოიმარაგეთ საქართველოს ღირსშესანიშნაობების (მაგალითად, ვარძია, სვეტიცხოველი და სხვა), კავკასიონის მთების, ტყის, ზოგიერთი ცხოველის სურათები. სთხოვეთ ბავშვებს, ნახატები გააფერადონ, ამოჭრან და რუკაზე დააწებონ. დაეხმარეთ ადგილების სწორად შერჩევაში.
- აჩვენეთ სვანური კოშკების და გალავნიანი ქალაქების (სიღნაღი) ან კომპლექსების (ანანური, ნარიყალა) სურათები. სთხოვეთ, ააშენონ მსგავსი ნაგებობები კუბურების გამოყენებით.
- ცენტრში შეიტანეთ სხვადასხვა ზომის ჯოხები. აჩვენეთ ბავშვებს ქართული დარბაზული სახლის ფოტო ან ნახატი და წაახალისეთ, ააწყონ „გვირგვინი“ ჯოხების ან ხის მოგრძო კუბურების დახმარებით.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ეთნოგრაფიულ მუზეუმში. წასვლამდე ისაუბრეთ არქიტექტურაზე, როგორი აივნიანი სახლებია ძველ თბილისში. აჩვენეთ ელენე ახვლედიანის ნამუშევრები. უთხარით, რომ საქართველოს ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი არქიტექტურა აქვს.

კულინარია



- უთხარით, რომ საქართველო მდიდარია მინერალური მჟავე წყლების წყაროებით. წყალს აგროვებენ და შემდეგ მაღაზიებში ყიდიან. გაასინჯეთ ბორჯომი, ლიკანი და ნაბეღლავი. სთხოვეთ, კარგად გაუსინჯონ გემო. რომელი წყალი მოსწონთ ყველაზე მეტად?

საღამოს წრე

- რა გაიგეს ახალი საქართველოს შესახებ?
- „მშობლები“, „სამშობლო“ – ასაუბრეთ, რატომ აქვს ამ ორ სიტყვას საერთო ძირი.

2. საქართველო

დილის წრე



- უთხარით, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობთ და ის ჩვენ, ყველას გვეკუთვნის, მიუხედავად ეროვნებისა, რადგან ჩვენ, ყველანი საქართველოს მოქალაქეები ვართ.
- აუხსენით, რას ნიშნავს – მოქალაქე. ჰკითხეთ, მუშაობენ თუ არა მათი ოჯახის წევრები? აუხსენით, რომ ქვეყანას აქვს საერთო საფულე, (სალარო) რომ ყველანი ვაგროვებთ ამ საფულეში ფულს ქვეყნის ასაშენებლად. ეს უფროსების მოვალეობაა.
- უთხარით, რომ მათი მოვალეობაა საკუთარი თავის მოფრთხილება, კარგად მოქცევა, სწავლა.
- აუხსენით, რომ ძველად მთავარი ვალი იყო ქვეყნის დაცვა მტრებისგან, რადგან ხშირი იყო ომები. ახლა მშვიდობაა, მთავარია: სწავლა, შრომა, შენება.

ხელოვნება



- აჩვენეთ საქართველოს დროშა. რამდენ ჯვარს ხედავ? მოიმარაგეთ წითელი და თეთრი თხელი ქაღალდისგან გამოჭრილი, პატარა ზომის ოთხკუთხედები, სახატავი ფურცელი (რომელზეც წინასწარ დაახატავთ საქართველოს დროშის ჯვრებს) და თეთრი წებო. სთხოვეთ ბავშვებს, წაუსვან ფურცელს წებო. აიღონ თითო-თითო წითელი ქაღალდის ოთხკუთხედები, დაკუჭონ და დააწებონ დახატულ ჯვრებზე. დარჩენილი ადგილებში დააწებონ თეთრი დაკუჭული ფურცლები.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ საქართველოს ჰიმნი.
- ჩაურთეთ ხალხური საცეკვაო მუსიკა და ბავშვები აცეკვეთ.

სამაგიდო



- აუხსენით, რომ ყველა ქვეყანას აქვს თავისი გერბი და დროშა. წაახალისეთ შემოხაზონ საქართველოს გერბი და დროშა (დანართი 1.21.8.).
- მათემატიკა. მიეცით ფურცლები მაღალსართულიანი სახლების გამოსახულებით და სხვადასხვა ზომის საქართველოს დროშებით. სთხოვეთ ბავშვებს გამოჭრან დროშები და დააწებონ ყველაზე მაღალს ყველაზე – დიდი, საშუალოს – საშუალო, მომცროს – პატარა (დანართი 1.21.9.).

დრამატული



- ითამაშონ: „სახლობანა“. ახსენით, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ოჯახი ქვეყნისთვის.
- ითამაშონ: „პოლიციელობანა“, „ხანძრობანა“, „ექიმობანა“, „სკოლობანა“. აირჩიონ თვითონ და თვითონვე ახსნან, რითი არის მნიშვნელოვანი ესა თუ ის საქმიანობა.

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წ. საქართველო) „მხედართა ძველი სიმღერა“, „სიმღერა სამშობლოზე“, „სიმღერა საქართველოზე“, „საქართველოს დავხატავ“ და „ყველა სიტყვა“.

კონსტრუქციული



- კუბურებითა და სხვადასხვა საშენი მასალებით ააგონ ძველებური ციხე-სიმაგრე, ჩააყენონ ჯარისკაცები, ითამაშონ ომობანა.
- იმავე მასალებით ააგონ რაიმე შენობა, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია ქვეყნის შენებისთვის მშვიდობიანობის დროს (სკოლა, ბაღი, მაღაზია, საავადმყოფო). წაახალისეთ მათი ნებისმიერი არჩევანი, ახსენით, რატომ არის ეს შენობა მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, როგორ აპირებენ ემსახურონ ქვეყანას, ვის რა პროფესიის უნდა, რომ გამოვიდეს?
- რა მოეწონათ დღის მანძილზე, რა – არა, რატომ?

3. დედაქალაქი თბილისი

დილის წრე



- უთხარით ბავშვებს, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია.
- მოუყევით თბილისის დაარსების ლეგენდა.
- მოუყევით გოგირდის აბანოების შესახებ.
- ესაუბრეთ თბილისის ღირსშესანიშნაობებზე და ჰკითხეთ, სად მოსწონთ ყველაზე მეტად გასეირნება.
- უთხარით, რომ თბილისი ყოველთვის ტოლერანტული ქალაქი იყო (აუხსენით ბავშვებს ამ სიტყვის მნიშვნელობა) და რომ ამის ნიშანი, თბილისის ძველ უბანში გვერდიგვერდ მყოფი სინაგოგა, მეჩეთი, სომხური სამოციქულო ეკლესიის ტაძარი და მართლმადიდებლური ტაძრებია.
- ჰკითხეთ, როგორ სახლებში ცხოვრობენ თვითონ, რა ჩანს მათი სახლის ფანჯრებიდან; ისაუბრეთ იმაზე, რომ ქალაქში ზოგი სახლი მრავალსართულიანია, ზოგი კი – არა.

ხელოვნება



- კოლაჟი ჩემი ქალაქი. სთხოვეთ ბავშვებს, საკუთარი სახლები დახატონ შემდეგ გამოჭერით და დიდ ფორმატზე დააწებებინეთ.
- ხატვა საღებავით: ჩემი ქალაქის ხიდი.

სამაგიდო



- დაამთავრე სახლების ორნამენტი და გააფერადე (დანართი 1.21.10.).
- დახატე ქუჩაში მანქანები (დანართი 1.21.11.).
- შემოხაზე სიტყვა თბილისი (დანართი 1.21.12.).
- გაიმეორე ნახატი (დანართი 1.21.13.).

დრამატული



- გაანაწილეთ როლები და სთხოვეთ ბავშვებს ვახტანგ გორგასლის ნადირობის ამბის ინსცენირება, ზოგი ვეზირი იქნება, ზოგი მონადირე, ზოგი შიკრიკი და ა.შ.

წიგნიერება

- ჰკითხეთ, თუ იციან, რომელ უბანში ცხოვრობენ? თუ გაუგიათ სხვადასხვა უბნების სახელები? წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ავტობიოგრაფია“. აუხსენით, რომ ვერა თბილისის ერთ-ერთი უბანია. ჰკითხეთ, როგორ ფიქრობენ, სახელით, გვარითა და უბნით შესაძლებელია ადამიანის მოძებნა? კიდევ საჭიროა, ქუჩის სახელი, სახლის ნომერი, თუ სახლს რამდენიმე სადარბაზო აქვს, სადარბაზოს, ბინის, სართულის ცოდნა. შესთავაზეთ, მოიფიქრონ მისამართები ნიმუშის მიხედვით (ასათიანის ქუჩა, ნომერი 8, მე-4 სადარბაზო, მე-5 სართული, ბინა ნომერი 6).

კონსტრუქციული



- დაეხმარეთ ბავშვებს, დაამზადონ ქალაქის მაკეტი მუყაოს ყუთების გამოყენებით.
- ააშენეთ კუბურებით ქალაქი.
- დაამზადეთ მუყაოსგან ხიდი.
- დაეხმარეთ ბავშვებს, მუყაოს ყუთებისგან ყვითელი ავტობუსები დაამზადონ.

ექსკურსია



- წაიყვანეთ ბავშვები ექსკურსიაზე ძველ თბილისში. აჩვენეთ, გაატარეთ რუსთაველსა და თავისუფლების მოედანზე, აუხსენით, სად რა შენობა დგას და რომელს რა ფუნქცია აქვს.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ ბავშვებს, იციან თუ არა საკუთარი სახლის მისამართი? (მასწავლებელი წინასწარ არის მომზადებული და ყველა ბავშვის მისამართი აქვს მონიშნული, თუ ბავშვმა არ იცის მისამართი, თვითონ ეუბნება და სთხოვს რომ დაისწავლოს).

4. დამოუკიდებლობის დღე

დილის წრე

- უთხარით, რომ 26 მაისი საქართველოს თავისუფლების დღეა.
- უთხარით, როგორი მნიშვნელოვანია თითოეული მათგანი ქვეყნისთვის, რომ როცა გაიზრდებიან, ეს ქვეყანა მათ უნდა აშენონ.
- ჰკითხეთ, თუ იციან, რა არის თავისუფლება?
- სთხოვეთ მოხალისეს მოგცეთ უფლება გაკოჭოთ. ახსენით, რომ ახლა მისი თავისუფლება შეზღუდულია. აჭამეთ რაიმე საყვარელი ტკბილეული. როგორ ფიქრობენ, საყვარელი საჭმლის ჭამა ისევე სასიამოვნო იყო, როგორც ჩვეულებრივ მდგომარეობაში იქნებოდა?
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „მახეში გაბმული ჩიტი“. იმსჯელეთ, რომ პატარა ჩიტმაც კი იცის, თავისუფლება ყველაზე საჭირო და ძვირფასი რომაა. აუხსენით, რომ ამ დღეს გათავისუფლდა ქვეყანა და ამიტომ ვდღესასწაულობთ 26 მაისს.

ხელოვნება

- მოიმარაგეთ მუქი ლურჯი სქელი ფურცელი და წყალში გაზავებული სხვადასხვა ღია ფერის გუაშის საღებავი. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ დააწვეთონ ცოტაოდენი ღია ფერის საღებავი ქაღალდზე და ფეიერვერკის დასახატად, საღებავის თავზე მოთავსებულ საწრუპში ჩაბერონ.
- მოიმარაგეთ თეთრი ქაღალდი, წითელი ფურცლისგან გამოჭრილი ლენტები და წებო. სთხოვეთ ბავშვებს, ააწყონ საქართველოს დროშა.

- მოიმარაგეთ მასალა და წაახალისეთ ბავშვები, დაამზადონ დასარტყამი ინსტრუმენტები, ცარიელი კონტეინერებისგან.

მუსიკა და მოძრაობა

- მოასმენინეთ მარში. გამოიყენონ თავიანთი დამზადებული ალმები და დასარტყამი ინსტრუმენტები. მოაწყვეთ მარშირება.

სამაგიდო



- წინასწარ გამოჭერით თეთრი ალმები და მყარი მუყაოს ტარები. ალამზე წერტილებით მონიშნეთ ჯვრების კონტურები. დაურიგეთ ბავშვებს წითელი ფერის პასტელები და წებო. სთხოვეთ, წერტილები შეაერთონ, შემდეგ ალამს ტარი მიაწებონ.
- დაურიგეთ გასაფერადებლები „მე მიყვარს საქართველო“, გააფერადონ და ჩახატონ საქართველოს დროშა (დანართი 1.21.14.).

დრამატული



- ბავშვებმა გაითამაშონ აღლუმი. ჩართეთ მუსიკა და ზოგმა ჩაიბაროს აღლუმი, ზოგიც ჯარისკაცი იყოს, ზოგი თვითმფრინავი. ბოლოს გაუშვან ფეიერვერკები (აყარონ ლენტები და ქაღალდის პატარა ნაკუწები).

წიგნიერება

- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან (3-4 წ. საქართველო) „კიდევაც დაიზრდებიან“, „ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს“, „სამშობლო ხევსურისა“, „პატარა ქართველი“, „სიმღერა“.

კონსტრუქციული



- წაახალისეთ ბავშვები კუბურებით (თეთრი და წითელი) ააწყონ საქართველოს დროშა.

მეცნიერება

- აუხსენით, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა ავითარებს, აშენებს ქვეყანას.
- წაუკითხეთ წიგნიერების დანართიდან „ძალა ერთობისა“. დაამტკიცეთ ცდის საშუალებით.

საღამოს წრე

- რა მოეწონათ საქართველოს თემაში?
- რა გაიგეს თავისუფლების შესახებ?

მცენარეები

1. ყვავილები
2. ხეები

1. ყვავილები

დილის წრე

- უთხარით ბავშვებს, რომ დღის თემა ყვავილებია. ჰკითხეთ ბავშვებს, რა ყვავილები იციან, ჩამოათვლევინეთ.
- ისაუბრეთ, რა ნაწილებისგან შედგება ყვავილი. ჰკითხეთ, ვის აქვს ქოთნის ყვავილი სახლში და ვინ უვლის მას? იციან თუ არა ამ ყვავილის ან მცენარის სახელწოდება?
- დაათვალიერებინეთ ბავშვებს ყვავილების ფოტოები.

ხელოვნება



- დაურიგეთ ბავშვებს ქაღალდის ერთჯერადი თეფშები. გვირგვინის მისაღებად ამოჭრან გული. შეღებეთ ღია მწვანედ. ბავშვებმა სქელ ფურცლებზე ფერადი ყვავილები დაახატონ და გამოჭრან. ყვავილები გვირგვინს მიაწებონ. მეტი სილამაზისთვის, შეგიძლიათ, ბრჭყვიალა წებოებითა და ლენტებით გააფორმოთ.
- მოიმარაგეთ ყვავილების თაიგული და სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ნატურიდან.
- მოიმარაგეთ პატარა ზომის პლასტმასის ქოთნები, ჩადეთ შიგნით პენოპლასტის ნაჭერი. ზემოდან კი გადააფარეთ ხავსი, ან სიგრძეზე დაჭრილი ფერადი ქაღალდი. შეგიძლით, ჩაამაგროთ ქოთანში დამზადებული ყვავილები.
- კრეპის ან ჟატის თხელი ქაღალდი დაკეცეთ გარმონის პრინციპით, მოუმრგვალეთ ბოლოები, ცენტრალურ ნაწილში მავთული მოახვიეთ და დაამაგრეთ, გაუშალეთ და გაუსწორეთ ფურცლები.



- მუყაოს კვერცხის კონტეინერის ბუდეები დაყავით ცალ-ცალად და დაურიგეთ ბავშვებს. სთხოვეთ, ჩადონ შიგ კრეპის ქაღალდები და მავთულით გახვრიტონ.
- გამხმარი ყვავილებისგან გააკეთებინეთ ბავშვებს კომპოზიციები ფერად ქაღალდებზე.
- გახვრიტეთ და დაამაგრეთ მავთულზე სხვადასხვა ზომებზე დაჭრილი, ფერადი კრეპის ან ჟატის ქაღალდები . დაკუჭონ და შემდეგ ისევ გაშალონ ყვავილის ფურცლები.

მოძრაობა



- სთხოვეთ ბავშვებს, განასახიერონ ყვავილის ზრდა. ჯერ ყველა ჩაიცუცქოს და დაელოდოს, როდის მიხვალთ და მორწყავთ. მორწყვის შემდეგ ბავშვები უნდა ნელნელა წამოიზარდონ და გაიშალონ.

სამაგიდო



- თანმიმდევრულად დაალაგონ ყვავილის ზრდის ბარათები (დანართი 3.22.1.).
- სხვადასხვა ფერის ფურცლებისაგან წინასწარ გამოჭერით თითო წყვილი ყვავილი. ყვავილები აურიეთ და სთხოვეთ ბავშვებს, წყვილები იპოვონ. შეგიძლიათ ათამაშოთ მემოც.
- წინასწარ გამოჭერით სხვადასხვა მასალის ყვავილები და სთხოვეთ ბავშვებს, ერთნაირი ფაქტურის ყვავილების დაწყვილება.
- თითოეული ბავშვისთვის წინასწარ დახატეთ ხუთი ცალი ყვავილის გული. დანომრეთ ერთიდან ხუთამდე. მოიმარაგეთ თითის საღებავები. წაახალისეთ, დაასახელონ ციფრი, რომელიც ყვავილის გულში წერია და ყვავილს შესაბამისი რაოდენობის ფურცელი გაუკეთონ. სურვილის შემთხვევაში ღერო და ფოთლებიც მიახატონ.
- დაითვალონ ყვავილის ფურცლები და გულში წერტილებით დაწერილ ციფრს ფანქარი გადაუსვან (დანართი 3.22.2.).

დრამატული



- მოაწყვეთ „სათბური“: მოიმარაგეთ ხელოვნური ყვავილები, ეზოს იარაღები, ბაღში სამუშაო ხელთათმანები, სარწყავი და ფართოფარფლებიანი ქუდები. წაახალისეთ ბავშვები, „ჩარგონ და დაკრიფონ“ ყვავილები.

წიგნიერება

- აუხსენით, რას ნიშნავს: დათესვა, დარგვა.
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.
- უთხარით, რა განსხვავებაა, მინდვრის და ადამიანის მოყვანილ, ასევე ქოთნის ყვავილებს შორის. რომელი ყვავილები იციან, რომელი მოსწონთ? რა ჰქვია ბევრ ყვავილს ერთად შეკრულს? – თაიგული. ყვავილების ბაღს – ბაღნარი.

მეცნიერება

- ბავშვებმა შეისწავლონ სხვადასხვა ყვავილის თესლები, ფესვები და ბოლქვები. მიეცით გამადიდებელი შუშა.
- თეთრი ყვავილები ფერად წყალში (წყლის შესაღებად გამოიყენეთ მუქი ფერის საკონდიტრო საღებავები) ჩააწყვეთ და სთხოვეთ ბავშვებს, დააკვირდნენ, როგორ „სვამს“ წყალს ყვავილი (ნელ-ნელა ყვავილი წყლის ფერი გახდება).
- სველი ბამბა და ყვავილის თესლი ზიპიან პოლიეთილენის პაკეტში მოათავსეთ. პაკეტის დახურვისას გაითვალისწინეთ, რომ შიგნით ჰაერი ჩარჩეს. მოათავსეთ ფანჯრის რაფაზე და დააკვირდით ყვავილების ზრდას.

ექსკურსია



- *ჰერბარიუმი.* გაისეირნეთ და შეაგროვეთ ყვავილები. აუხსენით ბავშვებს, რომ მოწყვეტილი ყვავილი მალე ჭკნება და კარგავს სილამაზეს. მოწყვეტილი ყვავილის სილამაზის შესანარჩუნებლად ის უნდა გამოვაშროთ, გავახმოთ. სთხოვეთ ბავშვებს, სამსამი ყვავილი მოწყვიტონ. შემდეგ სთხოვეთ ფრთხილად მოათავსონ ძველ გაზეთში და ზემოდან მძიმე წიგნი დაადონ. ორი კვირის შემდეგ გამომშრალი ყვავილებით შეგიძლიათ წიგნი ან მისალოცი ბარათები გააკეთოთ.

საღამოს წრე

- ჰკითხეთ, რა მოეწონათ დღეს ყველაზე მეტად?
- რა გაიგეს ახალი ყვავილების შესახებ?

2. ხეები

დილის წრე

- ესაუბრეთ ბავშვებს ხეებზე. ჰკითხეთ, რა სარგებლობა მოაქვს ხეებს (ჟანგბადი, საკვები, ზოგიერთი ცხოველისთვის სახლია).
- ვისაუბროთ ხეებზე. ქმნიან ჩრდილებს, მათ ჩრდილქვეშ გრილად ვგრძნობთ თავს. ხის მასალით აშენებენ სახლებს, ამზადებენ ავეჯს, სათამაშოებს და სხვა. გვამარაგებენ შეშით. გვაძლევენ საკვებს, თხილეულსა და ხილს. მისგან მზადდება ქაღალდი. გვაძლევენ ყვავილებს. ასუფთავებენ ჰაერს. გვიცავენ ქარის, წვიმის, და თოვლისაგან. ამარაგებენ ნიადაგს და მთებზე ფესვებით იჭერენ მიწას, რომ არ ჩამოიშალოს.
- უთხარით, რომ დღევანდელი დღის თემა ხეებია. ჰკითხეთ, არის თუ არა ყველა ხე ერთნაირი?
- ჰკითხეთ, მათი აზრით, ხე ცოცხალია თუ არა? რას ნიშნავს, რომ ცოცხალია (რომ მისი კარგად ყოფნა გარემო ფაქტორებზეა დამოკიდებული). როგორ უნდა ვიზრუნოთ ხეებზე და ტყეებზე (სისუფთავის დაცვა, ცეცხლის დანთების შემთხვევაში უნდა ბოლომდე ჩაქრეს).
- აჩვენეთ ერთი ხის ფოტოები წელიწადის სხვადასხვა დროს. იმსჯელეთ, როგორ იცვლება ხე სეზონის ცვლასთან ერთად.
- რა ნაწილებისგან შედგება ხე (ფესვი, ვარჯი, ტოტი, ფოთოლი)?
- ესაუბრეთ მარადმწვანე ხეებზე. ასევე ფოთლებსა და წიწვებზე. აჩვენეთ ფოტოები.
- აღნიშნეთ, რა სახალისოა ხეზე აძრომა. წაუკითხეთ ნაწყვეტი „პეპი გრძელიწინდადან“ (იხ. წიგნიერების დანართი).

ხელოვნება



- ფოთლების ტანსაცმელი. ამობეჭდეთ დანართი 3.22.3. დაურიგეთ ბავშვებს ადამიანის ტანის დიაგრამა. სთხოვეთ სხვადასხვა ფოთლებით შემოსონ და დააწებონ, ვითომ ტანსაცმელია. სახეს მიახატონ ნაკვთები.
- ქაღალდზე შემოხაზეთ ბავშვის ხელი (ხის ტანი). პატარა ნაკუწებად დაახევინეთ ჟატის ქაღალდები (მწვანე, წითელი, ყვითელი). ბავშვებმა დაკუჭონ და გააფორმონ ხე ფოთლებით.



- დაურიგეთ ბავშვებს ფურცელზე დახატული 4 ხის ტანი (ქვევით შესაბამისი სეზონის წარწერით), უთხარით ბავშვებს ხეები სეზონების მიხედვით გააფორმონ. შემოდგომა: წითელი და ყვითელი ქსოვილის ნაკუწებით (ფოთლებით); ზამთარი: თეთრი ქსოვილის ნაკუწებით (თოვლი); გაზაფხული: ვარდისფერი ქსოვილის ნაკუწებით (კვირტები); ზაფხული: მწვანე ქსოვილის ნაკუწებით (ფოთლები) (დანართი 3.22.4.).
- შეაგროვეთ სხვადასხვა ხის ფოთოლი. გამოჭერით და ბავშვებს დააწებებინეთ ფერადი ქაღალდისგან ხის ტანი ფორმატზე, დააწებებინეთ გარშემო შეგროვებული ხის ფოთლები ან გაუკეთეთ გარშემო ფოთლების ანაბეჭდები.

მოძრაობა



- წარმოიდგინონ ბავშვებმა, ვითომ ხეები არიან. მიეცით მითითება სხვადასხვა ამინდი განასახიერონ, მაგ. ძლიერი ქარი ამოვარდა. ჰკითხეთ, რას აკეთებს ამ დროს ხე და გაიმეორონ ხელით იგივე მოძრაობა. ასევე, ნიავი, თავსხმა წვიმა, მცხუნვარე მზე და ა.შ.
- წაუკითხეთ დანართიდან „ხის ზრდა“ და გაითამაშეთ.

- შეარჩიეთ ეზოში ხე. ჰკითხეთ ბავშვებს რამდენი ბავშვი დასჭირდება, რომ ხეს გარს შემოეხვიონ?
- ხე მოარწყვევინეთ.

სამაგიდო



- მათემატიკა. როგორ იზომება ხე. სიგრძით (სიმაღლით) და სიგანით. მიეცით ხის ნახატი და სანტიმეტრი. უთხარით, გაზომონ ხის სიმაღლე და სიგანე.
- თუ ეს თემა შემოდგომის პერიოდს დაემთხვა, შეაგროვებინეთ ბავშვებს სხვადასხვა ფერის შემოდგომის ფოთლები და გააკეთეთ ცხრილი, რა ფერის ფოთოლი რამდენია.
- თანმიმდევრული ბარათები. დანართიდან ამოჭერით ბარათები (დარგვა, მორწყვა, გაზრდა, აყვავება, ფოთლების გაყვითლება, ფოთლების გაცვენა) და გაუკეთეთ ლამინირება. სთხოვეთ ბავშვებს, დაალაგონ თანმიმდევრულად (დანართი 3.22.5.).

- სამუშაო ფურცელი. დაითვალე ნაყოფი ხეზე (დანართი 3.22.6.).
- დაახარისხებინეთ ბავშვებს წიწვები და ფოთლები.
- სამუშაო ფურცელი – დააწყვილონ შესაბამისი ფოთლები (3.22.7.).

დრამატული



- მოამარაგეთ ბავშვები მებაღის ნივთებით. შესთავაზეთ ითამაშონ ქვიშაში.

წიგნიერება

- ბავშვებს დაათვალიერებინეთ სხვადასხვა ხის ფოტოები და ნამდვილი ხეები. შეაგროვეთ ხის ფოთლები და დახატეთ ხეები, აკინძეთ წიგნი ხეებზე.
- აუხსენით, რას ჰქვია ხეხილი. ჰკითხეთ რას ისხამს ვაშლის ხე, მსხლის ხე. ჩამოთვალეთ სხვადასხვა ხეები.
- სთხოვეთ ბავშვებს, გამოიგონონ ხის ზღაპარი, ჩაიწერეთ და წაახალისეთ ნახატიც დახატონ. უფრო პატარებმა ჯერ ნახატი დახატონ და შემდეგ მოიფიქრონ ზღაპარი.

- ჰკითხეთ, რომელი ხეები იციან? უთხარით, რა სარგებლობა მოაქვს ტყეს? რატომ უნდა მოვუფრთხილდეთ მას? რა განასხვავებს ხეს ბუჩქისგან? გაიყვანეთ და დაათვალიერებინეთ განსხვავება. ესაუბრეთ მარადმწვანე ხეებზე. აღუწერეთ ხე: ფესვები, ტოტები, ფოთლები ან წიწვები.
- წაუკითხეთ ლექსები დანართიდან.

მეცნიერება

- აირჩიეთ რამდენიმე ხე, რაც თქვენი ბაღის ეზოში, ან მიმდებარე ტერიტორიაზე. უთხარით, დააკვირდნენ და შეისწავლონ (ქერქი, ფოთოლი, სიმაღლე, აქვს თუ არა ნაყოფი, ყვავილი).
- „კრისტალებიანი ხე“: წინასწარ მოიმარაგეთ ერთჯერადი თეფში, პლასტმასის ბოთლი, მუყაოს რულონი და საკვების საღებავი. ბოთლში ჩაასხით 2 სუფრის კოვზი წყალი, 2 სუფრის კოვზი მარილი, 2 სუფრის კოვზი თხევადი ლილა და ერთი სუფრის კოვზი ნიშადურის სპირტი. ბოთლს დაახურეთ და აურიეთ. მუყაოს რულონზე ბავშვებს დააწვეთებიეთ სხვადასხვა ფერის საკვების საღებავი. ერთჯერად თეფშზე მუყაოს რულონი ვერტიკალურად დადეთ და ძირში დაასხით ბოთლში მომზადებული ხსნარი. რამდენიმე საათში მუყაოზე ფერადი კრისტალები გამოჩნდება და იწყებს ზრდას.

საღამოს წრე

- რომელი აქტივობა მოეწონათ ყველაზე მეტად?

ბაღის დასრულება

დილის წრე

- თუ შესაძლებელია, მოაწყვეთ წლის განმავლობაში გადაღებული სურათების ჩვენება. სთხოვეთ ბავშვებს, გაიხსენონ სურათებზე ნაჩვენები დღე და აქტივობები.
- ისაუბრეთ ერთად გატარებულ დროზე:
  * რისი კეთება უფრო მოსწონდათ? (ხატვა, ძერწვა, თამაშები, ეზოში ჩასვლა)
  * რომელი აქტივობა დაამახსოვრდათ და მოეწონათ ყველაზე მეტად?
  * რას იხსენებენ ყველაზე მხიარულად?
  * რა თემა იყო ყველაზე საინტერესო?
- ამ დღეების განმავლობაში ათამაშეთ მათი საყვარელი თამაშები და გააკეთებინეთ ახალი აქტივობები იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც მოეწონათ (ყოველ დღე შეთანხმდით მეორე დღის აქტივობებზე).
- უთხარით, რომ ისინი უკვე დიდები არიან და ზაფხულის არდადეგების შემდეგ სკოლაში გააგრძელებენ სწავლას.
- უთხარით ბავშვებს, რომ ეს კვირა ბაღის ბოლო კვირაა.

მუსიკა და მოძრაობა

- ჰკითხეთ ბავშვებს, რომელი სიმღერა სურთ, რომ იმღერონ იმ სიმღერებიდან, რომლებიც წლის განმავლობაში ისწავლეს. შერჩეული სიმღერები იმღერეთ.

ხელოვნება

- აუხსენით ბავშვებს, რა არის დროის კაფსულა. მოიმარაგეთ სტიკერები, ბრჭყვიალები, ფანქრები, პასტელები და საშუალება მიეცით გააფორმონ კონუსის ფორმის ყუთი (მაგ. ნახაზების შესანახი ყუთი). ჩაალაგონ თავიანთ „დროის კაფსულაში“ მთელი წლის განმავლობაში მოგროვებული მნიშვნელოვანი ნივთები, როგორიცაა: ბაღში გადაღებული სურათები, ხელის ანაბეჭდი, რაიმე მათთვის განსაკუთრებული ნამუშევარი (ნახატი ან გამოძერწილი ფიგურა) და სხვა. სთხოვეთ, თითოეულ ბავშვს დაასრულოს შემდეგი წინადადებები და ჩაიწერეთ:
  * ჩემი მეგობრები არიან.....
  * ყველაზე მეტად რისი კეთება მიყვარს და .....
  * ჩემი საყვარელი სათამაშოა .....
  * როდესაც გავიზრდები, მინდა გამოვიდე .....

ეს ფურცელიც ჩადეთ ყუთში, დაახურეთ თავსახური, დააწერეთ წელი და სკოჩით დალუქეთ. დამამთავრებელ ზეიმზე გადაეცით ბავშვებს და მათ მშობლებს. წაახალისეთ, რომ „დროის კაფსულა“ არ გახსნან, სანამ სკოლას არ დაამთავრებენ.

- დაამზადებინეთ „მოგონებების წიგნი,“ სთხოვეთ ბავშვებს, დახატონ ბაღში მომხდარი მნიშვნელოვანი მომენტები, შემდეგ ნახატების განმარტებები სიტყვიერად ჩაიწერეთ. ტექსტიცა და ნახატიც ბავშვებს დააწებებინეთ სათითაოდ ფურცლებზე და აკინძეთ. წიგნს გაუკეთეთ ყდა და დააწერეთ სათაური „მოგონებების წიგნი.“
- ფურცლის თავზე დააწერეთ ბავშვის ნაკარნახევი წინადადება „როცა დიდი გავხდები, მინდა გამოვიდე..., რადგან/ რომ...“ შემდეგ დაურიგეთ სახატავი საშუალებები და სთხოვეთ, დახატონ, როგორ წარმოუდგენიათ საკუთარი თავი, როცა გაიზრდებიან.

დრამატული

- მოაწყვეთ კინოთეატრი, დადგით სკამები რიგებად ეკრანის წინ. წინასწარ გაამზადეთ კინოს ბილეთები, მოიმარაგეთ ბატი-ბუტი. გაუნაწილეთ ბავშვებს როლები: ბილეთის გამყიდველი, ბატი-ბუტის გამყიდველი, ბილეთის შემმოწმებელი, მაყურებელი. გული რომ არ დასწყდეთ, ჩაყარეთ ქუდში ფურცლები, რომლებზეც მათი სახელი ეწერება და რომლის სახელიც ამოვა, ის შეასრულებს ამა თუ იმ „როლს.“ როდესაც ყველანი დასხდებიან, მოულოდნელად ჩართეთ ვიდეოფირი, რომელიც წლის განმავლობაში გადაუღეთ.

- გაარკვიეთ, წლის განმავლობაში წაკითხული, რომელი ზღაპარი მოეწონათ ყველაზე მეტად და სთხოვეთ, გაითამაშონ.

წიგნიერება

- ყოველდღიურად აიღეთ წიგნიერების დანართის რაღაც ნაწილი, შეახსენეთ ნაწარმოებები და თითოეულს უყარეთ კენჭი, რომლის მოსმენა სურთ თავიდან.
- ეთამაშეთ შემდეგი თამაში: ჩაფიქრებულია მხიარული კაცუნა, თუ ვერ გამოიცნობენ, აძლევთ შემდეგ მინიშნებას (რომელსაც პროპელერი აქვს ზურგზე) და ა. შ. სანამ არ გამოიცნობენ.

საღამოს წრე

- ასაუბრეთ ბაღში გატარებულ დროზე.
- ასაუბრეთ ბაღის მეგობრებზე. როგორ შეიძლება, რომ ურთიერთობა და მეგობრობა შეინარჩუნონ/გააგრძელონ?
- ესაუბრეთ ცხოვრების ეტაპებზე: უთხარით, რომ ბაღი მათი ცხოვრების ერთ-ერთი სერიოზული ეტაპია, რომელიც წარმატებით გადალახეს. შემდეგი სკოლაა.
- ასაუბრეთ მომავალზე, სკოლაზე, რა შეიცვლება მათ ცხოვრებაში?

რჩევები აღმზრდელებისათვის

როგორც შესავალშია აღნიშნული, პროგრამაში შესული თითოეული თემა მოიცავს ბაღში განსახორციელებელი აქტივობების მთელ პაკეტს, აქტივობათა სრული აღწერილობით და დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად.

1. ხელოვნება
2. მუსიკა და მოძრაობა
3. სამაგიდო აქტივობები
4. წიგნიერება/მეტყველება
5. დრამატული აქტივობები
6. სენსორული აქტივობები
7. მეცნიერება
8. კონსტრუქციული აქტივობები
9. დილისა და საღამოს წრეები

რისთვისაა მნიშვნელოვანი ეს მიმართულებები და რა უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა წრეებში მუშაობისას

სამაგიდო/მანიპულაციური

სამაგიდო მანიპულაციური აქტივობები და თამაშები ნატიფი მოტორიკის განვითარებას უწყობს ხელს. ნატიფი მოტორიკის მიზანია ხელისა და თითების კუნთების განვითარება, ხელისა და თვალის კოორდინაციის სრულყოფა, რაც მომავალში წერისა და კითხვის უნარებზე აისახება. სამაგიდო-სამანიპულაციო აქტივობებით დაკავება ბავშვებს დამოუკიდებელი მუშაობის, პრობლემის გადაჭრისა და აზროვნების უნარებს უვითარებს. ეს აქტივობები ასევე ძალიან მნიშვნელოვანია წინა მათემატიკური უნარების განვითარებისთვისაც. თუმცა წინა მათემატიკური უნარების განვითარება მხოლოდ ამ ცენტრის აქტივობებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. აღმზრდელი სხვადასხვა თამაშების დროს სულ უნდა ახალისებდეს ბავშვებს, დათვალონ საგნები (მაგალითად, მძივების ან მანქანების რაოდენობა კონკრეტული თამაშისას), შეიძინონ რაოდენობების რიცხვებთან დაკავშირების გამოცდილება (მაგალითად, როგორ გამოისახება 3 ალუბალი რიცხვით) და ა.შ. იმისათვის, რომ ბავშვებმა ისწავლონ სხვადასხვა ფორმებისა და ზომების შედარება, საგნების გაზომვა და აწონვა, მარტივი მიმატება და გამოკლება, ეცადეთ, სამაგიდო ცენტრში იქონიოთ ისეთი მასალა, როგორიცაა: სათამაშო ფული, სახაზავი, სასწორი, სათამაშო საათი, ჩხირები, პატარა დასათვლელი საგნები: ღილები, ნიჟარები, კენჭები, ჩიპები (ლობიოები) და ა.შ.

სამაგიდო/მანიპულაციური ცენტრის მასალის ჩამონათვალში ასევე უნდა იყოს:

მძივები, სათამაშო ცომი, თასმების გასაყრელი მასალა, მაკრატელი, თავსატეხები (ფაზლები), ქაღალდები (ქაღალდით მანიპულაციისთვის), ჩასასმელი, ერთმანეთში მოსარგები საგნები და ა.შ. სამაგიდო აქტივობები ასევე აერთიანებს ჯგუფურ თამაშებსაც, მაგ. ლოტო, „მემო“, დომინო და ა.შ. ასეთი ტიპის თამაშები გარკვეული სოციალური წესების დაცვას მოითხოვს, რაც ასევე უნდა წახალისდეს და ისწავლებოდეს.

სენსორული აქტივობები

ბავშვი გარე სამყაროს შეგრძნებების (სენსორების) – შეხების, ყნოსვის, ხმის, მხედველობის და გემოს – საშუალებით აღიქვამს და შეისწავლის. სენსორული თამაშები და აქტივობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ. სენსორული მასალაა: ქვიშა, წყალი, სათამაშო ცომი, თიხა, პლასტელინი, საპარსი ქაფი, ასევე კულინარიული პროდუქტები და სხვა, ყველაფერი ის, რაც ბავშვის სხვადასხვა შეგრძნებების სტიმულაციას ახდენს. მაგალითად, ერთი და იგივე აქტივობა – თვალების და პირის გამოჭრა და დაწებება სახის კონტურზე, სხვადასხვაგვარ სტიმულაციას ახდენს, როცა მუშაობისას სხვადასხვა მასალა (ქაღალდი და თექა) გამოიყენება. ამიტომ მუდმივად ეცადეთ აქტივობები შეგრძნებების თვალსაზრისით გაამრავალფეროვნოთ.

არ არსებობს სენსორული მასალის სწორად ან არასწორად გამოყენების წესი. ეს მასალა განუსაზღვრელ შესაძლებლობებს უქმნის ბავშვებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია წარმატების განცდას უღვიძებს. წაახალისეთ ბავშვები, სხვადასხვანაირად გამოსცადონ სხვადასხვაგვარი მასალა, ჩაატარონ ექსპერიმენტები, იგრძნონ მასალა. სენსორულ აქტივობებს დამამშვიდებელი ეფექტი აქვს, ეს არის ენერგიისა და დაძაბულობისგან განმუხტვის საშუალებაც.

დრამატული თამაშები

დრამატულ ცენტრში ბავშვები სიმბოლურ თამაშებს თამაშობენ, რომელსაც სხვანაირად წარმოსახვით ან როლურ თამაშებს უწოდებენ. დრამატული თამაშები დასწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, როდესაც ბავშვები ირგებენ სხვადასხვა სოციალურ როლებს, ურთიერთობენ, იღრმავებენ და იქმნიან წარმოდგენას გარე სამყაროს შესახებ. დრამატული თამაშების საშუალებით ხდება წარსული გამოცდილების ხელახლა განცდა და დაუფლება. დრამატული, წარმოსახვითი თამაში სასაუბრო ენის განვითარებას უწყობს ხელს. ბავშვები ამ დროს სწავლობენ მოლაპარაკებას, აზრის გამოთქმას, და პრობლემის გადაჭრას. წარმოსახვითი თამაშებით ბავშვები უფრო ეგუებიან გარემოს და ნაკლებ სტრესს განიცდიან. აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს ბავშვები ისეთი იდეებითა და შესაძლებლობებით, რომ ბავშვები აქტიურად ჩაერთონ დრამატულ თამაშში, დაეხმაროს სცენარების მოფიქრებასა და გათამაშებაში. აღმზრდელმა კითხვებით უნდა წარმართოს თამაშის პროცესი. კარგი იქნება დრამატული კუთხის რეალისტური მასალებით მომარაგება, მაგრამ თუ ამის საშუალება არ არის, მაშინ შეგიძლიათ ბავშვების მიერ შექმნილი სიმბოლური რეკვიზიტები და მათი ფანტაზია გამოიყენოთ, მაგალითად, ქაღალდის პარკი როგორც მზარეულის ქუდი. კარგია თუ ბავშვებს ასევე დაეხმარებით სხვადასხვა სოციალური წესებისა და როლების გაგებასა და დასწავლაში, მაგალითად თამაში „კაფეში." შეგიძლიათ შექმნათ ბარათები წარწერით „მოლარე", „მიმტანი", „კლიენტი", „შეფმზარეული", რომელსაც ბავშვებს ჩამოკიდებთ და ამ როლების გააზრებაში დაეხმარებით.

მეცნიერება

ყველა აქტივობა, რომელსაც ბაღში შეიძლება ვაკეთებდეთ ამა თუ იმ მეცნიერებასთანაა კავშირში. მაგალითად, ფერების შერევა ხელოვნების ცენტრში, სიმაღლის გაზომვა სამაგიდო/მათემატიკის ცენტრში და ა.შ. მაგრამ სასწავლო დღის დაგეგმვისას აუცილებლად ცალკე უნდა დაიგეგმოს მეცნიერული აქტივობა, რისთვისაც შეგიძლიათ ყველაფერი გამოიყენოთ: ქვიშა, წყალი, თიხა, ხე, სახატავი მასალა, ენციკლოპედიები და ა.შ. აჩვენეთ ბავშვებს ცოცხალი მაგალითები მცენარეების, მწერების, ცხოველების სახით. რეალურის, უკვე ნანახის განსამტკიცებლად კი წიგნები გამოიყენეთ.

ამგვარი აქტივობებით ბავშვები სწავლობენ: დაკვირვებას, კვლევას, ცდების ჩატარებას, შედეგების განსაზღვრას და პრობლემის გადაჭრას. მეცნიერული აქტივობების განხორციელებისას წაახალისეთ ბავშვები დასვან კითხვები, გაუზიარონ ერთმანეთს აზრები, განჭვრიტონ შედეგები, მოახდინონ კლასიფიცირება და დაკვირვება. მოიმარაგეთ ისეთი ნივთები, რომელიც მათ ყურადღებას მიიპყრობს და გაზრდის მათ ცნობისმოყვარეობას. მაგ. გამადიდებელი შუშა, მაგნიტი, კალეიდოსკოპი, თერმომეტრი, და თუნდაც, ქვა და ბუმბული.

ხელოვნება

ხელოვნება ბავშვების შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას ახდენს. ხელოვნების ცენტრის აქტივობები აუცილებელია, როგორც შემოქმედებითი უნარების, ასევე ემოციური, ფიზიკური, სოციალური და ინტელექტუალური უნარების განვითარებისათვის. შემოქმედებითი აქტივობების დროს ვითარდება სენსორული აღქმა, ხელისა და თვალის კოორდინაცია, ნატიფი მოტორიკის კონტროლი, სილამაზის აღქმა. ხელოვნებით დაკავება ბავშვებში სიამოვნებისა და კმაყოფილების განცდას ზრდის. ეს საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებაა.

ბავშვები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები ხელოვნებით აქტივობებში. მოზრდილები ხშირად ბავშვების ნაცვლად ქმნიან ნამუშევრებს. არ აყვეთ ცდუნებას. გახსოვდეთ, რომ ხელოვნების გაკვეთილები პროცესზე ორიენტირებული (ბავშვი აკეთებს) უნდა იყოს და არა დასრულებულ პროდუქტზე (გაკეთდა რაღაც). ხელოვნების გაკვეთილების დროს გაითვალისწინეთ:

- ნუ დახატავთ და ნუ შეასრულებთ ნამუშევრებს ბავშვების მაგივრად.

- მიეცით საშუალება, წარმოიდგინონ საგნები, და ექსპერიმენტები ჩაატარონ, მაგ. გააკეთონ მცენარე თიხისგან.
- წაახალისეთ განსხვავებული იდეები.
- კარგია, როდესაც თითოეული ბავშვი რაიმე განსხვავებულს აკეთებს, ეს იმას ნიშნავს რომ ბავშვები იმას აკეთებენ, რასაც ფიქრობენ და არ არიან დამოკიდებულები უფროსის წარმოდგენებზე და მოსაზრებებზე.
- გახსოვდეთ, რომ ბავშვი შემოქმედია და ეს უნდა წახალისდეს.

კონსტრუქციული

კუბურებით და სხვა „საშენი“ მასალით თამაში აუმჯობესებს მანიპულაციურ უნარებს, რაც თავის მხრივ ხელისა და თითების კუნთებს აძლიერებს და ზრდის თვალისა და ხელის კოორდინაციას. კუბურებით თამაში სოციალური ურთიერთობების შესაძლებლობაცაა. ასევე, ბავშვებს უვითარდებათ წარმოდგენები ზომაზე, ფორმაზე, წონაზე, სივრცესა და რაოდენობაზე.

კუბურებით და კონსტრუქციული მასალით თამაში სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. აქაც, ისევე როგორც ხელოვნებაში, გაკვეთილები შენების პროცესზე (ვაშენებ, ვაწყობ, ვქმნი) უნდა იყოს ორიენტირებული და არა შედეგზე (რა ავაშენე, რა გავაკეთე). ბავშვები კონსტრუქციული თამაშით უნდა დააინტერესოთ და მოტივაცია გაუღვიძოთ. არ იკითხოთ „რას აშენებ?“, მიაწოდეთ ბავშვს კუბურა და ჰკითხეთ „სად დადებ ამ კუბურას?“, „რაში გამოიყენებ?“ ბავშვებმა ასევე უნდა ისწავლონ ერთმანეთის ნაგებობების მოფრთხილება. სხვისი აშენებულის პატივისცემის წესი აუცილებლად უნდა შეიმუშაოთ კონსტრუქციის ცენტრში – გავუფრთხილდეთ სხვის შენობებს, არ ვისვრით კუბურებს.

კონსტრუქციის ცენტრში უნდა გქონდეთ სხვადასხვა მასალისა და ზომის კუბურები და სხვა კონსტრუქციული მასალა, ასევე პატარა ცხოველები, სათამაშო ავეჯი, სახლი, ტრანსპორტი.

მუსიკა და მოძრაობა

სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან კოგნიტურ და შემოქმედებით უნარებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია მსხვილი მოტორული უნარების განვითარება. სხეულის მრავალმხრივი გამოყენება თამაშისა და სწავლის პროცესში გააუმჯობესებს კოორდინაციას, დაეხმარება ბავშვს დაარეგულიროს და ისწავლოს სხეულის კონტროლი, გააძლიეროს სხეული, გახდეს თვითდაჯერებული. მოძრაობა ეხმარება ბავშვს სტრესის შემცირებაში, ენერგიის გამოთავისუფლებაში, განცდების გამოხატვაში, ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარის გაზრდაში. სკოლამდელი ასაკის ბავშვმა უნდა ირბინოს, იაროს თითის წვერებზე, იხტუნოს ცალი და ორივე ფეხით, იაროს წინ და უკან, ავიდეს კიბეზე, შეინარჩუნოს წონასწორობა ცალ-ცალ ფეხზე, ახტეს, დაარტყას ბურთს ფეხი, ისროლოს და დაიჭიროს ბურთი.

ბავშვებს საკმარისი სივრცე უნდა ჰქონდეთ სამოძრაოდ, სხეულის გამოსაცდელად, დასამალად, მაღლა ასასვლელად, ქვეშ შესაძრომად, ასაძრომად, როგორც ოთახში ასევე ეზოში.

ჯგუფური მოძრაობითი თამაშები კი ჯგუფის მიკუთვნებულობის განცდას ზრდის. მრავალფეროვანი მოძრაობის სტიმულირებისთვის უნდა გქონდეთ ჰულა-ჰუპი, დიდი და პატარა ბურთები, სასრიალო, სათამაშოები, რომელიც წონასწორობის დაცვას მოითხოვს, ასაძრომი და საქანაო მოწყობილობები.

სიმღერები ბავშვებს ახალისებს და ძალიან კარგი საშუალებაა სხვადასხვა სასწავლო პროცესში ჩასართავად. ასევე, ერთი საქმიანობიდან მეორეზე ყურადღების გადასატანად.

თანამედროვე კვლევებმა ნეირომეცნიერებაში გვიჩვენა, რომ მუსიკა ენის დასწავლასა და მეხსიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სიმღერის საშუალებით ბავშვები ადვილად იმახსოვრებენ სიტყვებს. ასევე წაახალისეთ ბავშვები, ყურადღებით მოუსმინონ სხვადასხვა ხმებს: მაგალითად, ქაღალდის შრიალს, გასაღების ჟღარუნს, წყლის წვეთის ხმას და ა.შ.

წიგნიერება/ მეტყველება

წიგნიერების ცენტრი, ბაღის ასაკის ბავშვებთან, კითხვისთვის მზაობას უნდა უზრუნველყოფდეს და წიგნისა და კითხვის მიმართ დადებით დამოკიდებულებას უნდა აყალიბებდეს.

მეტყველებისა და წიგნიერების ცენტრში ბავშვებმა აზრებისა და განცდების ვერბალურად გამოხატვა უნდა ისწავლონ. მათი მეტყველება სხვების მოსმენითა და იმიტაციით უმჯობესდება. ყურადღებით

მოუსმინეთ მათ აზრებს და შეეცადეთ პასუხი გასცეთ დასმულ კითხვებს. გახსოვდეთ, რომ ლაპარაკის გარდა, ბავშვებმა უნდა ისწავლონ მოსმენაც.

თემებისა და ქვეთემების გადანაწილება და დაგეგმვა

სახელმძღვანელოში შესული თემები ისეთი თანმიმდევრობითაა დალაგებული, რომ იგი მეტ-ნაკლებად ემთხვევა სეზონურ და სადღესასწაულო კალენდარს. თუმცა აღმზრდელებს შეუძლიათ, თემათა თანამიმდევრობა, რიგ შემთხვევაში, გადააადგილონ და იგი, თავიანთი შეხედულებით, თემატურად შეუსაბამონ კალენდარს. თითო თემა საშუალოდ 1 კვირაზეა გათვლილი, მაგრამ, სასწავლო პროგრამების კოორდინატორებმა და აღმზრდელებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რომელ თემას ან ქვეთემას რამდენ დღეს დაუთმობენ. თუმცა, ბავშვებისათვის მოსაბეზრებელი რომ არ იყოს და ზოგიერთი თემა გრაფიკს მიღმა რომ არ დარჩეს, უმჯობესია, ერთი თემა 2 კვირაზე მეტ ხანს არ გრძელდებოდეს, ერთ ქვეთემას კი სამ დღეზე მეტი არ დაეთმოს.

როგორც წესი, სხვადასხვა ასაკის ჯგუფის ბავშვებისათვის სხვადასხვა თემებია შერჩეული; ზოგიერთ თემას კი სხვადასხვა ასაკისათვის განსხვავებული ქვეთემები და აქტივობები აქვს შერჩეული. მაგრამ, სახელმძღვანელოში შესული ზოგიერთი თემა, მისი ქვეთემებითა და აქტივობებით, საერთოა ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის. ასეთ შემთხვევაში, კონკრეტულ აქტივობათა სირთულის ხარისხიდან და ჯგუფის მომზადების დონიდან გამომდინარე, აღმზრდელებმა თავად უნდა შეარჩიონ, რომელ აქტივობას რომელ ასაკობრივ ჯგუფში გამოიყენებენ.

არ არის აუცილებელი აღმზრდელმა მიზნად დაისახოს კონკრეტული დღის თემაში გაწერილი ყველა აქტივობის შესრულება, თუმცა მნიშვნელოვანია დაცული იყოს თანაფარდობა მოძრავ და არამოძრავ აქტივობებს შორის, ასევე თანაფარდობა სხვადასხვა ცენტრებში განსახორციელებელ აქტივობებს შორის. მაგალითად, თუ ხელოვნების ნაწილში კონკრეტულ დღეზე 5-6 ან მეტი აქტივობაა შეთავაზებული, აღმზრდელს შეუძლია აირჩიოს ერთი ან ორი დანარჩენი დრო კი მაგალითად, სენსორული, დრამატული ან სხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას დაუთმოს.

სასურველია, კონკრეტული თემის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, აღმზრდელი დაწვრილებით გაეცნოს სახელმძღვანელოს შესაბამის თავს, განსაზღვროს, რამდენ დღეს დაუთმობს კონკრეტულ თემას და რამდენს თითოეულ ქვეთემას. შემდეგ ყოველი ქვეთემიდან შეარჩიოს იმ აქტივობები, რომლების ჩატარებასაც საჭიროდ მიიჩნევს. როგორც აღნიშნეთ, არ არის აუცილებელი აღმზრდელმა მიზნად დაისახოს კონკრეტულ ქვეთემაში გაწერილი ყველა აქტივობის შესრულება, ეს შეუძლებელიც კი იქნება დროის თვალსაზრისით. ამიტომ აღმზრდელი – ხელოვნების, სამაგიდო, სენსორული, წიგნიერების, დრამატული და სხვა მიმართულებებიდან ირჩევს თითო-თითო ან ორ-ორ აქტივობას (ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აქვს მას დღე დაგეგმილი) და გადააქვს შერჩეული აქტივობები დაგეგმვის ფორმაში. შემდეგ, ერთი კვირით ადრე, აღმზრდელი ამ ფორმას წარუდგენს სასწავლო პროგრამების კოორდინატორს (მეთოდისტს). სასწავლო პროგრამების კოორდინატორი აღმზრდელთან ერთად გაივლის დაგეგმილ აქტივობათა ნუსხას და საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციებს გაუწევს აღმზრდელს. აღმზრდელი და სასწავლო პროგრამების კონსულტანტი ერთად ზრუნავენ აქტივობების განსახორციელებლად საჭირო მასალების მოძიებასა და მომზადებაზე.

დღის დაგეგმვის მნიშვნელობა

მნიშვნელოვანია, აღმზრდელი ყოველი ახალი ქვეთემის ან დღის დაწყების წინ, კარგად იაზრებდეს და გეგმავდეს დღის რუტინას და უფარდებდეს მას ჩასატარებელ აქტივობებს. მაგალითად, როდის ჩაატარებს დილის წრეს - საუზმემდე, თუ საუზმის შემდეგ. შესაძლებელია, ზოგიერთ აღმზრდელს ერჩივნოს საუზმემდე, ახლადმოსულ ბავშვები უბრალოდ მოიკითხოს, ესაუბროს მათ ამინდზე, განწყობაზე და ა.შ. თემატური დილის წრე კი საუზმის შემდეგ ჩაატაროს, მაშინ, როდესაც უკვე ყველა ბავშვი მოსულია. იგივე შეიძლება ითქვას საღამოს წრეზეც; აქაც აღმზრდელმა უნდა განსაზღვროს, მის მიერ დაწესებული რუტინიდან გამომდინარე, როდისაა უმჯობესი საღამოს წრის ჩატარება – სამხრამდე, თუ სამხრის შემდეგ.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ დილისა და საღამოს წრეები არ უნდა დაემსგავსოს გაკვეთილს, სადაც დილას აღმზრდელი ბავშვებს რაიმეს ასწავლის, საღამოს კი ნასწავლი მასალის გამოკითხვას ახდენს. დილისა და საღამოს წრეები ბავშვებთან ორმხრივი კომუნიკაციის დასამყარებლად არის განკუთვნილი. ამ წრეებზე (ისევე როგორც სხვა აქტივობების დროსაც) წამყვანი როლი ბავშვებს უნდა ეკუთვნოდეთ.

მათ უნდა მიეცეთ მაქსიმალური შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი აზრი, დამოკიდებულება ამა თუ იმ თემის, მოვლენისა და საგნისადმი, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა გაიუმჯობესონ მეტყველების უნარი, გაიმდიდრონ წარმოსახვის უნარი, მათ უნდა მიეცეთ საშუალება, დაუშვან შეცდომები და ისწავლონ მათი გამოსწორების გზები, ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა და სხვისი აზრის პატივისცემა. აღმზრდელი ასეთ დროს წამახალისებელი და მხარდამჭერი ადამიანის როლს უნდა ასრულებდეს და არა ცენტრში მდგომი პედაგოგისა, რომელიც ბავშვებს მოძღვრავს. ამგვარი აქტივობების დროს შეეცადეთ დასხდეთ ბავშვების გვერდით, მათ სიმაღლეზე, ესაუბროთ შეძლებისდაგვარად დაბალი და გულისხმიერი ხმით.

აღმზრდელს წინასწარ უნდა ჰქონდეს გააზრებული და მოფიქრებული დილის წრის შემდეგ, რომელი აქტივობის ჩატარებაა შესაძლებელი ყველა ბავშვთან და რა შემთხვევაში უნდა დაიყოს ბავშვები ჯგუფებად. როგორც წესი, უმჯობესია, ხელოვნებისა და სამაგიდო აქტივობები უფრო მცირე ჯგუფებში გაკეთდეს (ვიდრე 30-35 ბავშვია), რადგან ბავშვებს უჭირთ ერთმანეთის ლოდინი, როდესაც მათ მაკრატელი, ფანქარი ან სხვა რამ ასეთი სჭირდებათ. თუ ჯგუფს ორად გაყოფთ, სასურველია, ამ დროს ერთი სამაგიდო აქტივობებით დაკავდეს, მეორე კი – ხელოვნების. ერთ ჯგუფს, შესაძლებელია, აღმზრდელი მეთვალყურეობდეს, მეორეს კი აღმზრდელის თანაშემწე. თუ ჯგუფს სამად ან ოთხად გაყოფთ, სასურველია, ჯგუფები ისეთი აქტივობებით იყოს დაკავებული, რომლებიც ბევრ მოძრაობას არ იწვევს და დაახლოებით თანაბარ დროს მოითხოვს (საშუალოდ 15 წთ). ასეთ შემთხვევაში აღმზრდელი და აღმზრდელის თანაშემწე პასიურად აკვირდებიან ბავშვების მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარებიან და ამხნევებენ. აქტივობათა დროის ამოწურვის შემდეგ, თუ ბავშვებს ამის სურვილი აქვთ, ხდება ჯგუფების როტაცია. პირველი ჯგუფი აკეთებს იმ აქტივობას, რასაც მეორე აკეთებდა, მეორე კი პირველს და ა.შ. (გააჩნია ჯგუფების რაოდენობას). ამას, სასურველია, მოყვებოდეს მუსიკისა და მოძრაობის აქტივობები, რომელსაც ყველა ერთად ახორციელებს და სადილამდე ეზოში გასეირნება. სადილის შემდეგ, როდესაც ბავშვები ბუნებრივად არიან სიმშვიდისადმი მიდრეკილნი, უმჯობესია, დრო დაეთმოს კითხვის საათს, რომელშიც ასევე მთელი ჯგუფი შეიძლება იყოს ჩართული, ხოლო თუ ამ დროს რამდენიმე ბავშვს, მაგალითად, კონსტრუქციულ ცენტრში მოუნდება დაკავება, აღმზრდელის თანაშემწეს შეუძლია მათ ამ დროს თემასთან დაკავშირებული კონსტრუქციული აქტივობების განხორციელებაში დაეხმაროს. შემდეგ, შესაძლებელია, აღმზრდელმა ბავშვების გარკვეულ რაოდენობასთან ერთად მეცნიერების ცენტრში გადაინაცვლოს, ხოლო აღმზრდელის თანაშემწემ დრამატულ ცენტრს უმეთვალყურეოს, შემდეგ ბავშვები ცენტრებში შეიცვალონ და ა.შ. პირველ ეტაპზე შესაძლებელია, ბავშვების ცენტრებში მონაცვლეობა თქვენ არეგულიროთ, თანდათან ისინი ამას თავად მიეჩვევიან და დღის თემით მათთვის სასურველ ცენტრებში დაკავდებიან ხოლმე. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღის მანძილზე ბავშვებს თავისუფალი თამაშის შესაძლებლობაც უნდა მივცეთ.

აღმზრდელს წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, როგორ მოხდება ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა ან ჯგუფებს შორის როტაციის პროცესი, ისე რომ თემასთან კავშირი არ დაიკარგოს (ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლისას, ერთი ცენტრიდან მეორეში გადასვლისას). ყველაზე თვინიერი ბავშვიც მოუსვენარი ხდება, როცა ხშირად უწევს სხვისი საქმიანობის დასრულების ლოდინი. ზოგიერთი ბავშვისთვის კი სტრესულია ერთი აქტივობიდან მეორეზე გადართვა. ასეთი ბავშვები ხშირად იმსახურებენ აღმზრდელისგან შენიშვნებს – არ მოკიდონ ხელი სხვა ნივთებს, არ კრან ხელი თანატოლს და ა.შ. პატარ-პატარა დამოუკიდებელი საქმეები (სათამაშოების ალაგება, გაწმენდა, ჩაცმა და სხვა) ამცირებს ლოდინის პროცესს და ზრდის ბავშვის ჩართულობას. რაც უფრო მეტად არის ბავშვის ყურადღება მიმართული იმაზე „თუ რა უნდა გააკეთოს“ („რა არ უნდა გააკეთოს“ ნაცვლად), უფრო მცირდება ქცევითი პრობლემები და იზრდება ბავშვის დამოუკიდებლობა.

თუ ბავშვები ან რომელიმე ბავშვი იმაზე უფრო დიდხანს არის გართული ერთი აქტივობით, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო, აღმზრდელი არ აწყვეტინებს მას მიმდინარე პროცესს; ბავშვების ის ნაწილი, რომელიც მორჩა აქტივობის შესრულებას, უმტკივნეულოდ გადაჰყავს იმავე თემის სხვა აქტივობაზე, მაგალითად, მათივე დახატულ მაღალ და დაბალ შენობებს თვალსაჩინოებისთვის უკიდებს კედელზე და კონსტრუქციული ცენტრიდან აღებული კუბურებით სთხოვს ბავშვებს, გააკეთონ ასეთივე მაღალი და დაბალი შენობები. აქტივობის დასრულებისას, ბავშვები თავად ალაგებენ გამოყენებულ მასალას, სასურველია, ჯგუფში თვალსაჩინო ადგილას იდგეს ურნა, სადაც შეძლებენ ქაღალდების ნარჩენების ჩაყრას.

ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასართველად, სასურველია გამოვიყენოთ: 1) ვერბალური/სიტყვიერი მინიშნება, რომ მალე ვამთავრებთ ერთ საქმეს (მაგ. „სადილამდე დაგვრჩა 5 წუთი“, „უკვე დროა დავიწყოთ ალაგება“), 2) პოზიტიური განმტკიცება, ანუ აღნიშვნა, რომ წარმატებით გაართვეს თავი რაიმე

საქმიანობას (მაგ. „გიორგიმ და ნიკამ კარგად მიალაგეს კუბურები და დასხდნენ ხალიჩაზე“), 3) არავერბალური მინიშნებები (მაგ. ზარის დარეკვა, ვიზუალური მინიშნება – რა უნდა გააკეთოს ბავშვმა, ასეთი მინიშნებები თავად შეგიძლიათ მოიფიქროთ თითოეული აქტივობისთვის). 4) ასევე უნდა დაეხმაროთ ბავშვს გამოიმუშავოს საკუთარ თავზე დაკვირვების უნარი. მაგ. „ნინი, რა გააკეთე მასწავლებლის ზარის ხმა რომ გაიგე?“ 5) გამოიყენეთ რიტუალი, მოიფიქრეთ მარტივი სიმღერა, თითებით თამაში, სიტყვებით თამაში ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად.

ცენტრებში მასალების თემატური განლაგება

სასურველია ჯგუფებში სივრცე ისე იყოს ორგანიზებული, რომ საშუალებას იძლეოდეს ბავშვებმა დრო სხვადასხვა ცენტრებში (წიგნიერების კუთხე, დრამატული თამაშების კუთხე, კულინარიის კუთხე და ა.შ.) გაატარონ. ამგვარად მოწყობილი სივრცე უფრო ორგანიზებულს ხდის სასწავლო პროცესს, უზრუნველყოფს სპეციფიკური უნარების განვითარებასა და არჩევანის შესაძლებლობებს; აადვილებს პროგრამით გათვალისწინებული თემების სრულფასოვნად შესწავლასა და აქტივობების განხორციელებას.

ცენტრებში წინასწარ უნდა იყოს გამზადებული აქტივობის შესასრულებელი მასალა ყველა ბავშვისათვის, მაგალითად, თუ დაგეგმილია შაბლონების გამოჭრა, ამ შემთხვევაში, იმდენი შაბლონი და მაკრატელი უნდა იყოს წინასწარ გამზადებული, რამდენი ბავშვიც მიიღებს მონაწილეობას აქტივობაში.

სასურველია, ყოველი ახალი თემის დაწყების წინ, ცენტრებში წინასწარ იყოს გამზადებული შესაბამისი მასალა, მაგალითად, თუ თემაა ფერები და ფორმები – წიგნიერების ცენტრში იდოს წიგნები, რომლებიც სხვადასხვა ფორმებით და ფიგურებით არის ილუსტრირებული, სამაგიდო ცენტრში ფერების ლოტო, დრამატულში სხვადასხვა ფორმის სახეები და ა.შ. თუ თემა არის ცხოველები, წიგნიერების ცენტრში ამ კვირის განმავლობაში იდოს წიგნები, ჟურნალები და სურათები ცხოველების ილუსტრაციებით; სამაგიდოში ცხოველების ფაზელი; დრამატულში სათამაშო ცხოველები და ა.შ. ცენტრებში მასალის ასეთი განლაგება ხელს შეუწყობს ბავშვებს, უფრო დამოუკიდებლად აღიქვან, შეიმეცნონ მიმდინარე თემა.

დრამატული აქტივობის განხორციელებისას, შესაძლებელია მასალა არ იყოს საკმარისი, მაგრამ, სასურველია, თვითნაკეთი უბრალო მასალებისგან მაინც ჩატარდეს აქტივობა. თუ, მაგალითად, თემაში პროფესიები, არ გვაქვს მეხანძრის ფორმა ან სათამაშო საექიმო ყუთი, შესაძლებელია, ისინი სახელდახელოდ შევქმნათ სხვადასხვა მასალისაგან ან ბავშვებს რაიმე მიმსგავსებული მასალა შევთავაზოთ და ვთხოვოთ წარმოიდგინონ, რომ ეს, მაგალითად, მეხანძრის თავსაბურავია. ამ ტიპის თამაშები, ხელს უწყობს ბავშვებში წარმოსახვის უნარის განვითარებას.

შექება და პროცესის მნიშვნელობა

აქტივობისას, მნიშვნელოვანია ბავშვებს მიეცეთ იმის თავისუფლება, რომ ისიამოვნონ აქტივობის მსვლელობით. ყველა აქტივობის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ბავშვების მცდელობების, საქციელის შექება. მაგალითად, შუქნიშნის ფერების სწავლებისას, არ დაგავიწყდეთ შექება, როდესაც ერთი ბავშვი მაინც გაჩერდება წითელი ფერის გამოჩენისას, – რა კარგია, წითელ ფერზე რომ გაჩერდი. ამით სხვა ბავშვებიც წახალისდებიან, რომ საჭირო დროს გაჩერდნენ.

მნიშვნელოვანია, არ მოატყუოთ ბავშვი, თუ, მაგალითად, ის ბურთს აგორებს, მაგრამ ვერ ისვრის მიზანში (მაგალითად, ვერ აცცევს კეგლს) შეეცადეთ მოიფიქროთ ისეთი რამ, რითაც კიდევ მოუნდება გაგორება და მიზნის მიღწევა – უთხარით, რომ კარგად უჭირავს ბურთი, რომ ბურთი სწორად გაგორდა და ა.შ. (ასეთ დროს, აღმზრდელმა არ უნდა წააქციოს ბავშვის მაგივრად).

ბავშვების გარკვეულ რაოდენობას აქვს ფანქრის ხელში დაჭერის და დახატვის შიში. ამ შიშის დასაძლევად, წაახალისეთ მათი ნებისმიერი მცდელობა – უთხარით, რომ ფანქარი სწორად უჭირავს ხელში, უთხარით, რომ ფერები ლამაზად შეუხამა ერთმანეთს და ა.შ. ნუ გამოიყენებთ მსგავსი ტიპის ფრაზებს – შენ უკვე დიდი ხარ და ასე ხატვა არ გეკადრება და ა.შ. ეს ეხება ნებისმიერ სხვა აქტივობასაც.

აქტივობის მსვლელობისას, წამყვანი (აღმზრდელი ან მისი თანაშემწე) უმჯობესია პასიურ როლს ასრულებდეს. მან ბავშვებს ინსტრუქცია მოკლედ და მარტივად უნდა აუხსნას; შემდეგ შესაძლებელია ბავშვებთან ერთად გააკეთოს ესა თუ ის აქტივობა, მაგრამ ისე რომ ბავშვების მოქმედებაში პასიურად ჩაერთოს (მათ მაგივრად არ გამოჭრას, არ გააგოროს ბურთი, არ დახატოს და ა.შ.) აქტივობის მსვლელობისას ფიზიკურად დახმარების ნაცვლად, უმჯობესია ბავშვები სიტყვიერად წაახალისოთ, შეაქოთ მათი საქციელი და მცდელობები.

აღმზრდელმა მუდმივად უნდა წაახალისოს თანატოლებს შორის დადებითი ურთიერთობები. დღის განმავლობაში ბევრი შესაძლებლობა არსებობს სწორი, მისაღები სოციალური ურთიერთობების დასასწავლად. მაგალითად, მისალმებისას, უნდა აღნიშნოთ, რომ კარგია თუ ერთმანეთს მოიკითხავენ.

დილის წრის დროს ბავშვებს შეუძლიათ ერთმანეთს გადასცენ, ბოლოს კი შეაგროვონ მასალა. სადილის დროს ერთმანეთს გაუმასპინძლდნენ. დაიხმარეთ ბავშვები, ისინი ამას სიამოვნებით აკეთებენ. მნიშვნელოვანია, რომ ყოველთვის წაახალისოთ მისაღები ქცევა ბავშვებში და გქონდეთ ამ ქცევის მოლოდინი მათგან. არ დაგავიწყდეთ წახალისება და გამხნევება. აუცილებელია ბავშვს უთხრათ, რა საქციელი მოგეწონათ, რომ იცოდეს, რას ელით ხოლმე მისგან.

დანართები

წიგნში დისკის სახითაა დართული ხელოვნებისა და სამაგიდო აქტივობების განსახორციელებელი დანართები – გასაფერადებლები, ლოტოები, დასაკავშირებლები და ა.შ.

მოძრაობისა და მუსიკის აქტივობები, რომლებიც ქვეთემებშია გაბნეული, ბავშვებს ჯგუფის აღმზრდელებმა უნდა განახორციელებინონ, ხოლო დანართში მოცემული მუსიკის აქტივობები მუსიკის პედაგოგებისთვისაა განკუთვნილი.

წიგნიერების დანართში თავმოყრილია თემატურად დალაგებული საბავშვო ლექსები და მოთხრობები, რომელიც წიგნიერებისა და მეტყველების ცენტრში გამოგადგებათ. ბავშვებთან ერთად წაიკითხეთ და იმსჯელეთ სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებების გარშემო. საბავშვო ლექსების ზეპირად დასწავლა სახალისო და სასარგებლო პროცესია, რომელიც მეხსიერებისა და სიტყვათა რითმის შერძნების გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ბუნებრივია, წიგნიერების დანართში მოცემული ყველა ლექსის ზეპირად დასწავლა ვერ მოხერხდება მათი სიმრავლის გამო და ეს არც არის სასურველი; მაგრამ, აღმზრდელი ხელს უნდა უწყობდეს ბავშვებს, რომ მათ წლის მანძილზე საბავშვო სახალისო ლექსების გარკვეული, გონივრული რაოდენობა ზეპირად ისწავლონ – არაძალდატანებით, წამახალისებელ გარემოში.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა თემებში მრავლადაა გაბნეული წიგნიერებასა და მატემატიკაზე ფოკუსირებული აქტივობები, სახელმძღვანელოში, დანართის სახით, ცალკეა თავმოყრილი წერა-კითხვისა და მათემატიკის საწყისი უნარების განმავითარებელი აქტივობები. ისინი განკუთვნილია 4-6 წლის ბავშვებისათვის. აღმზრდელებს შეუძლიათ, ეს სავარჯიშოები სხვადასხვა თემებსა და ქვეთემებში დამატებითი აქტივობების სახით გადაანაწილონ 4-5 და 5-6 წლიან ჯგუფებთან მუშაობისას. ისინი გამიზნულია ანბანისა და რიცხვების ცნობის, რაოდენობრივი წარმოდგენებისა და ფონემური აღქმის საწყისების განვითარებისათვის.

მათემატიკის საწყისი უნარების განვითარება

ბავშვის განვითარების სტანდარტის მიხედვით, სამი-ოთხი წლის ასაკში ბავშვმა უნდა შეძლოს 10-მდე თვლა, რიცხვების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება. 5-6 წლის ასაკში კი 21-მდე თვლა; და 10-ის ფარგლებში – თვალსაჩინო საგნებით და არა სიმბოლური რიცხვებით – ანგარიში (მიმატება-გამოკლება). განვითარების ამ ეტაპზე ბავშვს არ მოეთხოვება სიმბოლური აზროვნება, ანუ მათემატიკური ოპერაციების სიმბოლოებით გონებაში შესრულება. მნიშვნელოვანია, ბავშვს განუვითარდეს რაოდენობრივი წარმოდგენები. თავიდან ბავშვები მექანიკურად იმეორებენ რიცხვებს და ითვლიან, რაც არ გულისხმობს იმას, რომ მათ ესმით დასახელებული რიცხვის რაოდენობრივი მნიშვნელობა. რაოდენობრივი წარმოდგენის განვითარებას ხელს უწყობს გაზომვასთან დაკავშირებული აქტივობები (რომელია მეტი/ნაკლები, გრძელი/მოკლე, მსუბუქი/მძიმე), კლასიფიკაცია (პატერნების გაგრძელება – სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე, სამკუთხედი……რა იქნება შემდეგი; საგნების დაჯგუფება ერთი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით – ასეთი ტიპის აქტივობები მრავლად არის სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში). ბავშვის დასწავლის პროცესი აღქმაზეა დამოკიდებული, ამიტომ რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარებას, ასევე უნდა უსწრებდეს საგნების დაწყვილება და რაოდენობის ისე შედარება. ამიტომ ნებისმიერი თამაშისას, ბავშვებს უნდა ვუმახვილებდეთ ყურადღებას იმ საგნების რაოდენობაზე, რითაც ისინი მანიპულირებენ და დროდადრო მათი რაოდენობების შედარებასაც ვთხოვდეთ. აი, მაგალითად – რომელია მეტი 3 კუბი თუ 4 მანქანა? მოდით, თითო კუბი თითო მანქანის საბარგულს დავადოთ (დავუწყვილოთ), ნახეთ, ერთი მანქანა კუბის გარეშე დარჩა, გამოდის, რომ 4 მანქანა უფრო მეტია, ვიდრე სამი კუბი და ა.შ.

დანართში მოცემული აქტივობები ძირითადად ციფრების ცნობა/გაცნობას და რაოდენობრივ წარმოდგენებს ეხება. მოცემული აქტივობებით ციფრების გაცნობა სხვადასხვა შეგრძნებების ჩართვით ხდება (მხედველობა, შეხება, მოძრაობა, თვალისა და ხელის კოორდინაცია). სხვადასხვა თემებზე მუშაობისას აღმზრდელმა თავად უნდა აირჩიოს დანართში მოცემული აქტივობები და ბავშვებს რიცხვები გააცნოს. მნიშვნელოვანია, ამ პროცესს ჰქონდეს სახალისო თამაშის, და არა გაკვეთილის სახე. ასევე არ დაგავიწყდეთ, რომ, როდესაც ბავშვებს ამ ასაკში რაიმე ციფრს ვაცნობთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ უკვე, სხვადასხვა საგნების გამოყენებით, ციფრის შესაბამისი რაოდენობის ცნობა შეუძლიათ. აუცილებელია, ციფრის გაცნობისას ბავშვებმა იგი გამოძერწონ კიდეც, ქვიშაშიც დახატონ და ა.შ.

წერა/კითხვის საწყისი უნარების განვითარება

წერასთან დაკავშირებული აქტივობები, კერძოდ ნატიფი მოტორიკის, ხელისა და თვალის კოორდინაციის, კალმის კონტროლის ხელშემწყობი აქტივობები სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილშია მოცემული. დანართში მოცემული ანბანის აქტივობები, ისევე როგორც რიცხვების, ძირითადად ანბანის გაცნობას ეხება. ეს აქტივობებიც გულისხმობს სხვადასხვა შეგრძნებების ჩართვით და თავის ტვინის სტიმულაციით ანბანის გაცნობას, რაც უფრო ეფექტურს ხდის სწავლის პროცესს. ბავშვმა უნდა გამოჭრას, დააწებოს, თითი გადაუსვას, ლაბირინთში გაიაროს, გამოძერწოს, მიამსგავსოს, ააწყოს და ისე გაიცნოს ანბანი. ეს აქტივობებიც აღმზრდელმა სხვადასხვა დღეებში უნდა გადაანაწილოს და თანდათანობით, მანიპულაციური აქტივობებით გააცნოს ბავშვებს ასოები. სასურველია, ანბანის გაცნობა დაიწყოთ ბავშვის სახელების შემადგენელი ასოებით (სახელი და გვარის პირველი ასო). უფრო მეტად სახალისო და საინტერესო იქნება, როდესაც ყველა სხვადასხვა ასოთი დაიწყებს თამაშს და მანიპულაციას. 4-5 წლის ასაკში, სტანდარტის მიხედვით, ბავშვი რამდენიმე ასოს უნდა ცნობდეს, ხოლო 5-6 წლის ასაკში, ანბანის ნაწილს. ასე რომ, აღმზრდელებმა მიზნად არ უნდა დაისახონ, ბავშვებს მთლიანი ანბანი შეასწავლონ.

ანბანის აქტივობებში ასევე შეხვდებით ფონემური ცნობიერების ხელშემწყობ აქტივობებსაც. ფონემური ცნობიერება სკოლის ასაკამდე ეტაპობრივად და თანმიმდევრულად ვითარდება და მნიშვნელოვანი უნარია წერისა და კითხვისათვის. ამ უნარის განვითარება ასევე უწყობს ხელს კითხვისა და მართლწერის პრობლემების პრევენციას.

რიტმული სიმღერების მოსმენისას დაავალეთ ბავშვს გამოარჩიოს ის სიტყვები, რომელიც ერთმანეთს ერითმება; გამოიგონეთ მარტივი სასაცილო, სახუმარო სიმღერები და ამ პროცესში ბავშვები ჩართეთ. შესაძლებელია, ლექსის კითხვისას სცადოთ მარცვლების, ბგერების გამოყოფა.

სტანდარტის მიხედვით, 4-5 წლის ბავშვს შეუძლია უფროსის დახმარებით სიტყვის პირველი მარცვლის დასახელება. ასახელებს სიტყვებს უფროსის მიერ შეთავაზებული ასო-ბგერით. 5-6 წლის ბავშვს შეუძლია გამოყოს და დაასახელოს სიტყვის პირველი ბგერა, გააერთიანოს რამდენიმე (2-3) მარცვალი. ფონემური აქტივობები ასევე დღეებზე უნდა გადაანაწილოს აღმზრდელმა. მუდმივად გახსოვდეთ, რომ ყველა ერთნაირი წარმატებით ვერ შეძლებს ფონემური აქტივობების შესრულებას. შესრულების ტემპი ძალიან ინდივიდუალურია. ეცადეთ ეს აქტივობებიც ხალისიანად ჩაატაროთ და თამაშის და არა მეცადინეობის სახე მისცეთ, არ შეაჯიბროთ ბავშვები ერთმანეთს, არ გაუსვათ ხაზი, თუ რომელიმე ბავშვს ეს აქტივობები ნაკლებად ეფექტურად გამოსდის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2010

2. ი. აფთარაშვილი, ნ. დალაქიშვილი, ს. თაყაიშვილი, ნ. ლაბარტყავა, ნ. ნიაური, ბ. ოჩიაური, ქ. ქობალია, თ. ხაჯალია. საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011

3. The Creative Curriculum for Preschool. Diane Trister Dodge. Teaching Strategies (December 1, 2010)

4. The complete Daily Curruculum for early Childhood, Pam Schiller and Pat Phipps, grypham house, 2002

5. The complete resource book for preschoolers, Pam Schiller, Kay Hastings, grypham house, 2009

6. All about the ITERS-R, Debby Cryer, Thelma, Harms, Cathy Riley, Pact House, 2004

7. Dionna, 2011. 23 Gross Motor Games and Activities for Preschoolers You Can Play with Two or More People, at http://codenamemama.com/2011/08/11/gross-motor-games/

8. Simple and fun activities for preschoolers,at http://www.preschools4all.com/gross-motor-activities-for-preschoolers.html

9. Warren J, 2011. Gross motor skills, at www.preschoolexpress.com

10. www.challengingbehavior.org

11. www.kinderplans.com

12. http://www.kleinesinne.de/motopaedie/einfuehrung-in-die-psychomotrik.pdf